ISSN 1512 4959



- HISTORICAL VERTICALS
- ВЕРТИКАЛИ ИСТОРИИ
- GESCHICHTS VERTIKALEN
- LES VERTICAL ESHISTORIQUES
- VERTICALES DE LA HISTORIA
- TARIHIN DIKEY HATLARI

2022

საისტორიო ვერტიკალები

- HISTORICAL VERTICALS
- ВЕРТИКАЛИ ИСТОРИИ
- GESCHICHTS VERTIKALES
- LES VERTICALES HISTORIQUES
- VERTICALES DE LA HISTORIA
- TARIHIN DIKEY HATLARI

თბილისი TBILISI ТБИЛИСИ

52

2022

ჟამთა აღმწერლობა ქუშმარიტების მეცხოველება არს, არა თვალახმა ესისმე

ჟამთააღმწერელი

მთავარი რედაქტორი: **იგორ კვესელავა**

რედაქტორის მოადგილე: **ვალერი მოდებაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ედიშერ გვენეტაძე

რედაქტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხებში: **ნონა ცაბაძე**

საზღვარგარეთის ბიურო:

რუდიმერ ადრესენი (გერმანია)

ჰიროტაკი მაედა (იაპონია)

ჯუნჯი იტო (იაპონია)

ფრანსუაზა ტომი (საფრანგეთი)

ბადრი გოგია (საფრანგეთი)

სტივენ ჯონსი (აშშ)

დილავერ ჰალიტე (თურქეთი)

ჰ. პ. ანგელოვა (ბულგარეთი)

ა. მკრტიჩიანი (ესპანეთი)

ტ. კოროტკი (უკრაინა)

მ. პოლოვი (უკრაინა)

აჭარის ბიურო:

ავთანდილ დიასამიძე

EDITOR IN CHIEF: **IGOR KVESELAVA**

DEPUTY EDITOR: **VALERI MODEBADZE**

EXECUTIVE EDITOR:
EDISHER GVENETADZE

DEPUTY EDITOR FOR PUBLIC RELATIONS AND ORGANIZATIONAL AFFAIRS:
NONA TSABADZE

INTERNATIONAL AGENCY:

RUDIMER ADRESEN (GERMANY)

HIROTAKI MAEDA (JAPAN)

JUNJI ITTO (JAPAN)

FRANSUAZA TOM (FRANCE)

BADRI GOGIA (FRANCE)

STEPHAN JONES (USA)

DILAVER HALIT (TURKEY)

H.P. ANGELOVA (BULGARIA)

A. MKRTICHYAN (SPAIN)

T. KOROTKYI (UKRAINE),

M. POLOVYI (UKRAINE)

ADJARA AGENCY:

AVTANDIL DIASAMIDZE

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Faculty of Law and International Relations
The international refered and reviewed scientific journal of the Department of Policy and International Relations

სარედაქციო კოლეგია:
გ. აბესაძე, ნ. ბახსოლიანი, ე. ბუხრაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ო. გოგიაშვილი, ზ. გოცირიძე, ზ. კვეტენაძე, თ. კიკნაძე, კ. კოპალიანი, ჰ. კუპრაშვილი, კ. კუტუბიძე, ს. მიდელაშვილი, ვ. მოდებაძე, ა. სონღულაშვილი, ა. ფუტკარაძე, რ. ქუთათელაძე, ვ. შუბითიძე, ი. შურღაია, მ. ყიფიანი, ო. ჭუმბურიძე, ა. ხევცურიანი, ივ. ჯაგოდნიშვილი, ე. ჯაფარიძე, ქ. ჯიჯეიშვილი.

EDITORIAL STAFF:
G. Abesadze, B. Bakhsoliani, E. Bukhrashvili, I. Gabisonia, J. Gabelia, J. Gakhokidze, O. Gogiashvili, Z. Gotsiridze, Z. Kvetenadze, T. Kiknadze, A. Khevtsuriani, K. Kopaliani, H. Kuprashvili, I. Kutubidze, S. Midelashvili, V. Modebadze, A. Songulashvili, A. Putkaradze, R. Kutateladze, V. Shubitidze, I. Shurghaia, M. Kipiani, O. Chumbruridze, Iv. Jagodnishvili, E. Japaridze, K. Jijeishvili.

ტექნიკური რედაქტორი - ქეთი კვესელავა, სტეფანე აბრამიანი.

ჟურნალის გარეკანი შეასრულა - ემირ ბურჯანაძემ.

ემბლემა ეკუთვნის სახალხო მხატვარს - კობა გურულს.

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ჟურნალი დაარსდა ზვიად გამსახურდიას ინიციატივით
1991 წელს, აღდგა 2002 წელს

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპუსი VI, ოთახი 605ᵃ

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Tbilisi, Kostava 77, block VI, room 605ᵃ

599 24 64 74; 599 24 56 41; 595 29 89 07; 62 09; 66 86;
ოფიციალური ვებ-გვერდი: www.saistoriovertikalebi.ge
E-mail: svertikali@yahoo.com

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ - 100

ნიკოლოზ ქორთუა 8

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ – INTERNATIONAL RELATIONS – МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ
პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის თეორიები და იდეოლოგიები. 12

АЛЛА БИБИЛАШВИЛИ
Проблемы территориальной целостности государств в аспекте деструктивных тенденций развития сепаратизма 20

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ
დასავლეთის და რუსეთის სტრატეგიული შეცდომები, რომლებმაც დღევანდელობა განაპირობა 28

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ – HISTORY – ИСТОРИЯ

ᲘᲠᲛᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲫᲔ
კავკასია საერთაშორისო ფორმატში და მიგრაციული პროცესები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) 33

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ – PHILOSOPHY – ФИЛОСОФИЯ

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲠᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
შოთა რუსთაველის ერთ-ერთი ბწკარედი - „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან“ 37

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ – POINT OF VIEW – МНЕНИЕ

ᲔᲗᲔᲠ ᲗᲐᲙᲐᲚᲐᲜᲫᲔ
მინიშნებები ქრისტე-სიტყვიდან: დედამიწის ეკოლოგიურად გაწონასწორების საკითხისათვის . . 39

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ - REVIEW – РЕЦЕНЗИЯ

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ
შთამბეჭდავი წიგნი კაცობრიობის წარსულსა, რევანდელობასა და მომავალზე 46

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ
ჰუმანიზმის იდეით გამსჭვალული წიგნი. 51

წერილების ციკლი - THE CYCLE OF LETTERS – ЦИКЛ ПИСЕМ

ბური ოტობაია

მსოფლიოს მერვე საოცრება (წერილი მეოთხე) 55

ბური ოტობაია

შეკვეთილის დენდროლოგიურიდან მსოფლიო წალკოტამდე (წერილი მეხუთე). 61

დოქტორანტები – PhD STUDENTS – ДОКТОРАНТЫ

მაკა ბენაშვილი

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ბალტიის ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა). 65

მარიკა კენჭოშვილი

COVID-19-ის წინააღმდეგ ბძოლა ცენტრალური აზიის ქვეყნებში. 73

ანა მოდებაძე

რუსეთ-თურქეთის დაახლოება და მისი გეოპოლიტიკური შედეგები 80

ვეფხვია ჩალაბაშვილი

ცივი ომის დასასრული და ახალი მსოფლიო წესრიგის თეორია. 86

მიხეილ ჩოხელი

გერმანიის გაერთიანების გეოპოლიტიკური შედეგები 97

ნინო კობახიძე

ბირთვული ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში 106

ნატო ჯიაძე

რეალიზმის თეორია და კიბერუსაფრთხოება 115

ნათია მამალაძე

კულტურული ასპექტები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. 122

სოსო კიკნაძე

პოლიტიკური პარტიები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ევროპასთან ინტეგრაციის პრობლემა. 130

ანა ბეჭაშვილი

კულტურის გლობალიზაცია - საფრთხეები და სარგებელი. 138

გიგა გუბელაძე

ყარაბაღის კონფლიქტი და რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკა 142

გიორგი გახარია

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების
შეთანხმების ეკონომიკური პარადიგმა 149

ანა ნუცუბიძე

საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის უზრუნველყოფის
ძირითადი მიმართულებები 156

გაიანე მკრტუმიანი

შთო-ს თანამშრომლობის მიმართულებები და სფეროები. 163

ლევან კურცხალია

ოსმალეთის იმპერიის სამხედრო დიპლომატია, ოსმალეთის და
პრუსიის სამხედრო თანამშრომლობის მაგალითზე. 170

ხატია ვასაძე

აფხაზეთის კონფლიქტი - გენეზისი, დინამიკა, შედეგები. 175

ნათია გოგალაძე

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და ტერიტორიული მთლიანობა (დეფინიცია და კავშირი) . . .183

ნათელა ხაჩიძე

გლობალური კორპორაციების ჩართულობა სირიის კრიზისში. 190

ანა გეთია

ჭკვიანი ძალა საერთაშორისო ურთიერთობაში და ხელოვნური ინტელექტი,
როგორც მისი ძირათადი რესურსი. 194

გიორგი კაკულია

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საერთაშორისო - სამართლებრივ-პოლიტიკური
რეგულირების თავისებურებები. 201

ლევან ბერია

რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ცენტრალურ აზიაში 207

გიორგი გაბიტაშვილი

რუსეთის გეოსტრატეგია და 2008 წლის აგვისტოს ომი. 213

ვერიკო ბალუხაშვილი

რუსეთის ევრაზიული ინტეგრაციის კონცეფცია და ევროკავშირი. 218

მარიამ ჩივაძე

რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენი 225

თეონა ჩარკვიანი

ევროკავშირის ქვეყნების საემიგრაციო პოლიტიკა
და ქართველთა შრომითი მიგრაცია 230

ლია შენგელია

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები 238

რიმა გელენავა

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში. 244

მალხაზ გულაშვილი

კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების მახასიათებლები და „რბილი ძალის“ ეფექტი რეგიონულ უსაფრთხოებაზე 251

აბილ ასლანოვი

თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ინტერესები. 262

ნანა კანკავა

ქართულ და გერმანულ სააღსრულებო სისტემაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროპის საბჭოს როლი. 270

სოფიო ცაციაშვილი

სპორტი და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი 281

რონა პერტია

რუსული რბილის ძალის მექანიზმი და მისი გამოვლენის თავისებურებები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) 287

სალომე გიორგაძე

ქართული ნაციონალიზმი და ეთნოსიმბოლიზმი თანამედროვე მსოფლიოში. 294

ინა ნაცვალაძე

ევროსკეპტიციზმი და რადიკალიზმის აღორძინების ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებში. . . 303

ნინო მაზიაშვილი

შოტლანდიური სეპარატიზმის ჩასახვა, მისი თავისებურებანი და პოლიტიკურ-ეკონომიკური წინაპირობები 309

გიორგი კლიმიაშვილი

შავი ზღვის რეგიონში არსებული ინტეგრაციული პროცესები და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე 319

გიორგი ხიდირბეგიშვილი

კონფლიქტის მოგვარებისა და დარეგულირების ძირითადი მექანიზმები. 323

ნატალია ხულორდავა

კიბერტერორიზმი და კიბერომი, როგორც პოლიტიკური კონფლიქტის თანამედროვე საფრთხე. 328

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲐ

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
თელავის ი. ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის
რექტორი 1957–1984 წწ.

ბატონმა ნიკომ თავისი რთული და საინტერესო ცხოვრების გზა ღირსეულად გაიარა. ის არის ასამდე მეცნიერული შრომის ავტორი, მათ შორის, 6 მონოგრაფიის ავტორი და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის IV ტომის თანაავტორი. მისი მონოგრაფიე-

ბიდან აღსანიშნავია „საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში“; „ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წ.წ. ომში“; „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“; „დასავლეთ საქართველოს ბრძოლა XVIII საუკუნის დასასრულს ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ“ და სხვ.

ნიკოლოზ ქორთუა დაიბადა 1922 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, მელიტონ ნიკოლოზის ძე ქორთუას ოჯახში. მშობლიური მიწისა და შრომისადმი სიყვარული, როგორც კეთილშობილების საწყისი, მან ბავშვობიდანვე მშობლებისაგან შეითვისა. 17 წლის ნიკომ აბასთუმნის საშუალო სკოლა დაამთავრა და გახდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. ორი წლის შემდეგ სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი გაიწვიეს II მსოფლიო ომში. 1943 წელს ფრონტზე მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს. ომიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1946 წელს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თავისი მშობლიური აბასთუმნის სკოლაში, ჯერ როგორც მასწავლებელი, შემდეგ- როგორც დირექტორი.

1949 წელს ნიკოლოზ ქორთუა სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება პეტერბურგში, და ჩაირიცხა მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ხალხთა ისტორიის განხრით, სადაც მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1953 წელს. ნიჭიერებით გამორჩეულსა და ერუდირებულ ახალგაზრდას თავისმა აკადემიის პროფესორებმა არაერთხელ ურჩიეს დარჩენა შემდგომი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გასაგრძელებლად, მაგრამ მას უნდოდა სამშობლოში დაბრუნება და ცნობილ მეცნიერს, ბორის რომანოვს ზრდილობიანი უარი განუცხადა.

1948 წელს ბატონი ნიკო დაოჯახდა, ცოლად შეირთო ქალბატონი კლარა ჯიბლაძე, პროფესიით ექიმი, მათ სამი შვილი შეეძინათ: ია, თეიმურაზი (თამაზი) და მანანა.

საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ ნიკოლოზ ქორთუა 1953 წლის ოქტომბერში დაინიშნა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად სასაწავლო-სამეცნიერო დარგში. მალე იგი დააწინაურეს ამავე ინსტიტუტის რექტორად. ბატონი ნიკოლოზი 1957 წლიდან 1984 წლამდე ხელმძღვანელობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელსაც წარმოშობის უძველესი ისტორია გააჩნია.

ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა მეფე ერეკლე მეორის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად, 1758 წელს თელავის სასულიერო სასწავლებლის დაარსებით, რომელიც შემდეგ, 1782 წლიდან ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა.

მის პირველ რექტორად დაინიშნა გაიოზი, ხოლო 1790 წლიდან დ. მესხიშვილი.

ამ სასწავლებლის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ანტონ კათალიკოსმა. ამავე სასწავლებლის ბაზაზე 1830 წელს თელავში დაარსდა სამაზრო სკოლა, ხოლო 1865 წელს - „წმინდა ნინოს“ სახელობის ქალთა სასწავლებელად გადაკეთდა, რომელიც 1923-24 წელს პედაგოგიურ სასწავლებლად ჩამოყალიბდა.

1939 წლის 1 სექტემბერს კი „კახეთის სამეფო სასახლეში“ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი ზარი დაირეკა. 1940 წლიდან ინსტიტუტი ატარებს დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელს. 1951 წლამდე სამასწავლებლო ინსტიტუტს და 1951 წლიდან პედაგოგიური ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ რექტორები, ბ-ნები: დ. შარიქაძე, ტ. სარიშვილი, შ. სიხარულიძე, ნ. ჩახვაშვილი, ი. ნანობაშვილი, ვ. ციხისთავი. ინსტიტუტის დაარსებიდანვე მუშაობა დაიწყო ბევრმა ცნობილმა პროფესორმა და ახლგაზრდა მეცნიერმა. 60-იანი წლებიდან პროფესორებმა: მ. ზანდუკელმა, პ. ბერაძემ, ა. გაჩეჩილაძემ, აკად. შ.ძიძიგურმა. დოცენტებმა: გრ. გაბედავამ, შ. ჩიჯავაძემ, ე. ამაშუკელმა და სხვებმა. ისტორიკოსმა პროფესორებმა: ი. ანთელავამ, მ. დუმბაძემ, ა. იოსელიანმა, გრ. მარგიანიმა შ. მეგრელიძემ, ედ. მენაბდემ, შ. ხანთაძემ, ი სიხარულიძემ, თ. პაპუაშვილმა, შ. ლომსაძემ და სხვებმა.

ბატონმა ნიკომ, წარმოშობით კოლხმა, კახეთის დედაგულში, თელავში ხანგრძლივად იმოღვაწა, როგორც პედაგოგმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ. იგი შეუნელებელი ენთუზიაზმით შრომობდა ინსტიტუტის წინსვლისა და აღორძინებისათვის. მას ეამაყებოდა, რომ მისი სადოქტორო დისერტაცია - „საქართველო 1806-1812 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში“ - სხვადასხვა არქივების პარალელურად დიდი მეფე ერეკლეს ციხე-გალავნისა და სასახლის კედლებში მზადდებოდა. საქართველოს სახელოვანი მეფის, ერეკლე მეორის დიდი პატივისცემისა და შთამომავლობის მიერ მისი დაფასების სიმბოლოდ ბატონ ნიკოს მიაჩნდა, მეფის მემორიალი სასახლიდან ინსტიტუტის გადატანა და ინსტიტუტის ახალი კომპლექსის მშენებლობა. ეს მოვლენა არცთუ ისე შორეული წარსულია და ბევრს ახსოვს,რომ იმ პერიოდში თითქმის მიუღწევლად ითვლებოდა ასეთი განზრახვა, მაგრამ სწორედ ბატონი ნიკოს დიდი დამსახურება იყო, რომ იმ დროის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით საკავშირო მთავრობა დაითანხმა და თელავის სამხრეთით ტყიანი ზოლის საზღვარზე აშენდა ინსტიტუტის შესანიშნავი სასწავლო კომპლექსი: საცხოვრებელი კორპუსი, სპორტ-კომპლექსი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, და სხვა მრავალი დამხმარე ნაგებობა, საცურაო აუზის ჩათვლით. ეს კომპლექსი მთლიანად თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღიჭურვა. თელავის ამ ახალ უბანს მოსახლეობა „სტუდენტთა ქალაქს“ უწოდებდა. ამავე დროს ინსტიტუტისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შვიდ ჰექტარზე გაშენდა ახალი ტყე-პარკი.

ინსტიტუტმა 1973 წლის 1 სექტემბერს იზეიმა ახალ სასწავლი კორპუსში გადასვლა. იმ პერიოდისათვის ინსტიტუტს სამი ფაკულტეტი გააჩნდა: ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-ფილოლოგიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის. იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, მათემატიკოსები: ის, ისტორია-ფილოლოგიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის. იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, მათემატიკოსები: ბ-ნები: ვლ. ჭელიძე, დავით კვესელავა, ტ. კაკუშაძე, ა. ჩახტაური, ვ. კობახიძე, მ. ბაშალეიშვილი, მ. თოფურიძე. მ. სულხანაური და სხვები. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე მოღვაწეობდნენ ცნობილი პროფესორები: ნ. ჩახვაშვილი, ვ. სიფრაშვილი, ბ. წოწონავა, შ. არახამია, ო. ბაკურაძე, ლ. დეისაძე, გ. ასათიანი, ბ. ხასია, დოცენტები: გ. ჯიბუტი, გ. ბაქრაძე, ზ. როსტომაშვილი, მ. სესიშვილი ნ. მალუძე ი. ჩიკვაიძე, ლ. ამაშუკელი, ა. ხინთიბიძე, ა. ავალიშვილი, ა. ურუშაძე და სხვები.

გარდა სამსახურებრივი და სამეცნიერო კოლეგიალური ურთიერთობისა ზემო აღნიშნულ პიროვნებებთან ბატონ ნიკოს დიდი მეგობრობა აკავშირებდა. განსაკუთრებულია ბატონი ნიკო ქორთუას როლი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეში. იგი მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევის, მომზადებისა და პროფესიული აღზრდისათვის. მისი აღზრდილი სპეციალისტები დღეს წარმატებით იღწვიან, როგორც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. ინსტიტუტის მმართველობა ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდა.

ბ-ნი ნიკოს უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი ხალხთა ისტორიის პრობლემურ საკითხებზე. იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით ეხმარებოდა და კონსულტაციებს უწევდა დოქტორანტებს.

მოგვიანებით, ბატონი ნიკოლოზი 1984 წლიდან 1992 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიის კათედრას, ხოლო 1993 წლიდან დაუბრუნდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს და სათავეში ჩაუდგა მსოფლიო ისტორიის კათედრას.

ბატონი ნიკო დაჯილდოვებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1997 წლის 10 ნოემბერს დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

თავისი განსაკუთრებული ადამიანობით, შრომისმოყვარეობით, შესაშური ენერგიითა და საქმისადმი ერთგულებით ბატონი ნიკო სამაგალითო პიროვნება იყო, სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის.

ბატონი ნიკო 1998 წლის 28 ნოემბერს მოულოდნელად გამოაკლდა ქართული უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მოღვაწეთა რიგებს.

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა ღირსეულად დააფასეს ბატონი ნიკო ქორთუას ღვაწლი. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მისი ნეშთი დაიკრძალა უნივერსიტეტის ეზოში.

ინსტიტუტის დაარსებიდან 60 წლის თავზე 1999 წელს, დაფუძნდა თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს არის რეგიონის მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს საბუნებისმეტყველო, ზუსტი, სოციალური, ჰუმანიტარული, ჯანდაცვის, აგრარული, და გადამამუშავებელი მეცნიერების დარგებში.

იგორ კვესელავა, *პროფესორი*
გონელი არახამია, *პროფესორი*

იგორ კვესელავა

პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის თეორიები და იდეოლოგიები

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია უძველესი ეპოქებიდან მომდინარეობს და იდეებს, ინსტიტუტებს და პრობლემებს მოიცავს და უაღრესად აქტიური ხასიათი მიიღო მეოცე საუკუნის დასაწყისში, რაც აისახა: მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სამხედრო არამდგრადობაში, მშვიდობიან და არამშვიდობიან რევოლუციებსა და სახელმწიფო გადატრიალებებში, სამოქალაქო ომებში, პოლიტიკურ და ეთნიკურ კონფლიქტებში, ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებში და ა.შ., რომელმაც ქვეყნები მიიყვანა, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომის პერიპეტიებამდე და სამყაროსთვის „რუსეთ-უკრაინის ომის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მოვლენები სწრაფად იცვლება, თუმცა პოლიტიკის ძირითადი ბუნება უცვლელი რჩება. ძალაუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება, ისევე, როგორც ბრძოლა, ერთი მხრივ, ერთპოლუსიანი სისტემის დასაბრუნებლად, მეორე მხრივ კი, მრავალპოლუსიანი პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, დემოკრატია, იმპერიული კვლევები, თეორია, იდეოლოგია.*

ძალაუფლების საზღვრები თვით ყველაზე კონცენტრირებულ ფორმებშიც კი, გამოწვევაა აშკარად - დაწყებული ახლო აღმოსავლეთით, ცენტრალური აზიით და დამთავრებული შედარებით მოკლე ისტორიისა და ასევე, მოკლე მეხსიერების მქონე ამერიკის შეერთებული შტატებით.

მესამე მსოფლიო ომის დაწყებამ ცალსახად დაადასტურა წარუმატებელი ან დამახინჯებული პოლიტიკის, ცინიკური ან არაკომპეტენტური ლიდერობის შედეგები თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ამერიკის პრეზიდენტს ჯო ბაიდენთან და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ლიდერთან ბორის ჯონსონთან.

21-ე საუკუნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ა.შ. ცხოვრება ურთულესი პროცესია და მოითხოვს ახალი გეგმების შემუშავებასა და რეალურად განხორციელებას, თუმცა არსებობს ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც, რომლებიც ხელს უშლის და აფერხებს სწავლებისა და მეცნიერების ახალი ტექნოლოგიების განვითარებას.

თუ მეცნიერები ცდილობენ აღმოაჩინონ სამყაროს კანონების, წესრიგისა და სხვადასხვა ურთიერთობათა კანონზომიერებანი, რელიგია საუბრობს ურთიერთობათა მნიშვნელობის ფენომენზე, იმ ცნობიერებაზე, რომელიც, ფაქტობრივად, არ ისაზღვრება.

რელიგიური გამოცხადებიდან წარმოიქმნება იდეები ანუ სულიერება მუდმივად ახდენს გავლენას ადამიანებზე, ვიდრე ყოფიერება ანუ „გონიერმა შემოქმედმა“ გამიზნულად შექმნა სამყარო. ებრაული ბიბლიის ერთკვირიანი შესაქმის ისტორია ანალოგიაა და მათ არ შეეძლოთ მაშინ სამყაროს ასაკის განსაზღვრა და ეს ევოლუციურ პროცესებთანაა დაკავშირებული.

ამ კონტექსტში, ლაზერის გამომგონებელი, ნობელისტი ჩარლზ თაუნზი, გვამცნობს, რომ მეცნიერული თვალსაზრისით დანახული გონიერი შემოქმედება - სამყარო დაიგეგმა.

საზოგადოებას ყოველთვის არ გააჩნია უნარი გამოიყენოს მეცნიერთა შედეგები ადა-

მიანთა საკეთილდღეოდ. თუ გავიზიარებთ ავტორების თვალსაზრისს - მეცნიერების, როგორც ცოდნათა საწარმოს შესახებ, მაშინ ისიც გასაზიარებელია, რომ მეცნიერება მრავალკომპონენტიან და არაერთგვაროვან ფენომენს წარმოადგენს და, შესაბამისად, იცვლება მეცნიერული მოღვაწეობის სტრატეგიები და ფუნქციები საზოგადოების ცხოვრებაში.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ თანამედროვე მეცნიერების ფილოსოფია მეცნიერულ შემეცნებას სოციალურ-კულტურულ ფენომენად მიიჩნევს და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმის გამოკვლევა, თუ როგორ იცვლება ისტორიულად ახალი მეცნიერული ცოდნის ფორმების ხერხები და როგორია ამ პროცესზე სოციალურ-კულტურული ფაქტორების გავლენის მექანიზმები (არჩილ ფრანგიშვილი, ოლეგ ნამიჩეიშვილი) [1].

კვლევის საგნად ისტორიის, პოლიტიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პედაგოგიკისა და მეცნიერების სხვა დარგების კონკრეტული ნაწილი მოიაზრება. მაგალითად, თუ კვლევის ობიექტია ქვეყნის უახლესი პოლიტიკური ისტორია, კვლევის საგანი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიები, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი და ა.შ.

კვლევის ობიექტად განიხილება რომელიმე მოვლენა ან პროცესი, რომელიც მკვლევარის ყურადღების ქვეშ ექცევა და მოიცავს ანალიზს, დასკვნასა და შედეგებს, ანუ კვლევის საგანი ექცევა ობიექტის საზღვრებში, შესაბამისად, კვლევის ობიექტის და საგნის განსაზღვრის შემდეგ მკვლევარი ახდენს კვლევის მიზნისა და ამოცანების დასაბუთებას, რომლებიც ფორმულირდება სხარტად, ზუსტად და მკაფიოდ, და ცხადად უნდა გამოხატავდეს რისი გაკეთებაც სურს მკვლევარს.

ამოცანათა სისტემის დამუშავებისას მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: უპირატესი ლიტერატურის შესწავლა, მოდელირებისა და განზოგადების განსაზღვრა. შესაბამისად, კვლევის მიზანი უფრო კონკრეტდება და ვითარდება კვლევის ამოცანებში, რომლის მთავარი არსი მდგომარეობს შესრულებაში, ახსნასა და გადაწყვეტაში. კვლევის ამოცანა კვლევის მიზნის ერთი კონკრეტული ამოცანები, მით უფრო მკაფიოა მიზანი, ანუ კვლევის ამოცანები აკონკრეტებს მის მიზანს.

სამეცნიერო კომუნიკაციის მიზნები და ამოცანები უცნობი არ ყოფილა საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი სივრცისათვის. თუმცა საბჭოურ პერიოდში ხდებოდა მათი აშკარა პოლიტიზირება, იქმნებოდა შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად მიუღებელი და შეუძლებელი იყო ოფიციალური ტექსტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გახმოვანება მოსწავლეებს, სტუდენტებს, ასპირანტებს და ლექტორებს ავალდებულებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებზე დაყრდნობით მოეხდინათ მათი ნააზრევის ციტირებები.

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები ცდილობენ ჩამოაყალიბონ ცოდნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ და ეს ხდება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რომელშიც წინ არის წამოწეული მონაცემები ანალიზისათვის, აღწერა, დასკვნების გაკეთება, ინტერპრეტაცია, შედეგების კომუნიკაცია და ა.შ.

პოლიტიკური და საერთაშორისო მეცნიერების კვლევა ურთულესი პროცესია, რადგან მან უნდა აჩვენოს სცენაზე და სცენის მიღმა განვითარებული განზომილებები.

სოციალურ მეცნიერებათა და, კერძოდ, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი მეცნიერებები სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენებს სწავლობენ.

მათ შორის, შეიძლება გამოიყოს:

- სტაბილური და უსაფრთხო პოლიტიკური რეჟიმები და მათი ფორმირებები;
- სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები;
- დემოკრატიული სახელმწიფოების სივრცეში არსებული საზოგადოებისა და სახელმწიფო მოხელეებს შორის არსებული ურთიერთობები.

შესაბამისად, სრულიად კანონზომიერად წარმოიშობა პასუხგასაცემი კითხვებიც:

- აფერხებენ თუ აძლიერებენ პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ პროცესებს?
- რამდენად განსხვავდებიან სახელმწიფოთა პოლიტიკური გადაწყვეტილებები ერთმანეთისაგან და რატომ?
- არის პოლიტიკის მეცნიერება მოწოდებული ისეთი მოვლენების შესასწავლად, რომლებიც საკუთარი შინაარსით პოლიტიკურ მოვლენათა კატეგორიას განეკუთვნება?

საერთაშორისო კვლევას თავისი პროგრამა გააჩნია და ამ პროგრამა გააჩნია და ამ პროგრა-

მის შინაარსის სტრუქტურული კომპონენტებია:

1. კვლევის თემა ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობების სივრცეში წარმოშობლი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, სოციალურ და ა.შ. პროცებში აღმოჩენილი წინააღმდეგობების (პრობლემების) საფუძველზე;
2. თემის აქტუალურობის დასაბუთებაში ისაზღვრება თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნილებები მისი მზა ამოხსნის არარსებობის გათვალისწინებით, შესაბამისად, აქტუალურობის ბაზად ყალიბდება მიზანდასახულობები, რომელთა რეალიზება უნდა მოხდეს კვლევის პროცესში.

უდავოა, თემის აქტუალურობა პრობლემის აქტუალურობიდან მომდინარეობს და, შესაბამისად, ხდება დასაბუთებაც, ხოლო კვლევის ობიექტი ის გარკვეული უბანია, რომლის ჩარჩოებში წარმოებს კვლევა.

ცხადია, არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების კონკრეტული საგანი, რომელიც გამოიკვლევა და ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეული პრობლემები თუ თემები, რომლებშიც გამოკვეთილი იქნება ობიექტი, მიზანი, ამოცანები, მეთოდოლოგია, ჰიპოთეზა, შინაარსი, განსჯა, დასკვნები და რეკომენდაციები.

ცხადია, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისათვის, როგორც სხვა მეცნიერებისათვის დამახასიათებელია იდეა, აზრი გარდაქმნის შესახებ. იდეის დაბადება ინდივიდუალური პროცესია და მის საფუძველში დევს გამოცდილება, ინტუიცია, აზრითი სინჯვები და ექსპერიმენტები, ლოგიკური გააზრებები, მით უმეტეს, გამოცდილება აგროვებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც ვერ თავსდება არსებული და დამკვიდრებული ახსნის სფეროში და არსებული თეორიები ფაქტებს ვერ ხსნიან ან ბუნდოვნად წარმოაჩენენ, სწორედ ასეთ ვითარებაში წარმოიშობა სურვილი და მოთხოვნილება შეიქმნას ახალი თეორია, რომელიც ჩაისახება იდეისა და ჩანაფიქრის სახით და ხდება მისი რეალიზება და სვლა მიზნისაკენ, ანუ ლოგიკა და ინტუიცია ბადებს კვლევის ჰიპოთეზას - კვლევის შედეგის წინასწარი განჭვრეტის ფორმით. ცხადია, მკვლევარს, საკმარისი ცოდნა უნდა გააჩნდეს საკვლევი ობიექტის შესახებ, რათა ჰიპოთეზის დებულებები დამაჯერებელი გახდეს და არ მოუხდეს არც დამტკიცებულის და არც უარყოფილის მდგომარეობაში ყოფნა, ანუ ღია პრობლემის სახით უნდა არსებობდეს.

მკვლევარების აზრით, არსებობენ მუშა და მეცნიერული ჰიპოთეზები: პირველი, დროებითი ვარაუდია და გამიზნულია ფაქტობრივი მასალის სისტემატიზაციისთვის, ხოლო მეცნიერული ჰიპოთეზა იქმნება თუ დაგროვილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა და ჩნდება შესაძლებლობა წარმოჩენის ამოხსნის პროექტი, რომლის განვითარება მას მეცნიერულ თეორიად აქცევს და განსახიერდება მეთოდიკებსა და ტექნოლოგიებში.

თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ჰიპოთეზა მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდია საკვლევ მოვლენათა კავშირების ხასიათისა და ფორმის და ამ მოვლენათა განმაპირობებელი მიზეზების, კანონზომიერებებისა და წინააღმდეგობათა შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზაში წარმოდგენილია მოდელი, პარადიგმა, ზომათა სისტემა ან საძიებელ სიახლეთა მექანიზმები, მით უმეტეს, კვლევის პროცესში ჰიპოთეზა ზუსტდება და უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ ჰიპოთეზის აგება, მი სი ჩამოყალიბება ლაკონური სახით, შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართულად ძნელი და ჯერ კიდევ ნაკლებად გამოკვლეული საკითხია, და ამ რთული პროცესისთვის მნიშვნელოვანია პრობლემური ხედვა, ალტერნატიული აზროვნება, შემოქმედებითი წარმოსახვა, ინტუიცია, პროგნოზირების, მოდელირების, პროექტირების და ა.შ. უნარი (ჯ. ჯინჯიხაძე).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა აღწერითი, ახსნითი, ახსნით-აღწერითი, ინდუქციური, დედუქციური ჰიპოთეზები, შესაბამისად, ისინი უნდა პასუხობდნენ გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთა შორის გამოსაყოფია ფაქტებთან შესაბამისობის, დამაჯერებლობის, შემოწმების მისაწვდომობის და სხვა მოთხოვნები, რის შემდეგაც ჰიპოთეზა შეიძლება მეცნიერულ თეორიად იქცეს.

უდავოა, მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია შედეგთან ანუ მეცნიერულ ცოდნასთან, რომელიც შეიძლება იყოს: აღწერითი, ახსნითი, დამტკიცებითი, როდესაც გამოიკვეთება კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობანი; შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოარჩევენ ფუნდამენტალურ, გამოყენებით, კომპლექსური, ძიებით, დისციპლინათშორის, ერთფაქტორულ, კრიტიკულ, დამაზუს-

ტებელ, კვლავწარმოებით, დამუშავებით და სხვა კვლევებს.

სადისერტაციო და სხვა ხასიათის კვლევებისათვის დამახასიათებელილა გარკვეული ეტაპები, რომელიც იწყება თემის შერჩევიდან კვლევის ამოცანებისა და ჰიპოთეზის განსაზღვრამდე. ცალკეული მკვლევარები გამოარჩევენ დაწყებით, საკუთრივ, კვლევითი და გაფორმებით-დანერგვით ეტაპებს, რომელიც მოიცავს საკვლევი თემის შერჩევას, კვლევის ძირითად შინაარსს და დასკვნას, პროცედურული და მეთოდოლოგიური ნაწილების გათვალისწინებით, რომლებსაც აკისრიათ კომუნიკაციური, შემეცნებითი და სოციალურობითი ფუნქციები.

განსაკუთრებულად განიხილება სამეცნიერო კვლევების კლასიფიკაციის საკითხი, რომელსაც მივყევართ მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტთან და მოიცავს ურთიერთმიმართებებს მეცნიერებას, ტექნიკასა და წარმოებას შორის, შესაბამისად, წარმოიშობა შუალედური რგოლი მეცნიერებასა და პრაქტიკას და, ასევე, ფუნდამენტალურ კვლევებსა და დამუშავებებს შორის.

ამ კონტექსტში მკვლევარისათვის ყველაზე ზოგადი ორიენტირია შემეცნების თეორიის ფუძემდებლური თეზისი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შესახებ. ცხადია, ეს დებულება შეესაბამება მეთოდოლოგიის ზოგადფილოსოფიურ დონეს, შესაბამისად, მკვლევარს უნდა ჰქონდეს განვითარებული უნარი - ერთიანობაში დაინახოს განსხვავებები და განსხვავებებში დაინახოს ერთიანობა.

ამ მიმართულებით საინტერესო დასკვნას გვაწვდის პედაგოგიკის მკვლევარი ჯ. ჯინჯიხაძე იმის შესახებ ოჯახის ერთიანობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის და, პირიქით, სწორედ ეს განსხვავება განაპირობებს ოჯახის ერთიანობას, შესაბამისად, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის კვლევა მოითხოვს სისტემურ და საქმიანობრივ მიდგომას და ეს უკვე ზოგადმეცნიერულია.

მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც არსებობს საზოგადოებრივი და პოლიტიკური, ორსახოვანი, დეფიციტი, ყველა საფეხურზე, რომელიც საკუთარი არსებობის უთვალავ სამხილს ტოვებს, მაგრამ შეუმჩნევლად აგრძელებს არსებობას და ამავე დროს არც უსამართლობა, შეუწყნარებლობა, არასწორად გაგებული იდეალიზმი, ფანატიზმი, ადამიანთა ტანჯვა და ა.შ. უკეთესობისაკენ არ იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის რამდენიმე იღბლიან ქვეყანაში ადამიანები თავს უფრო დაცულად და კომფორტულად გრძნობენ, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა დედამიწის ე.წ. განვითარებად რეგიონებში.

ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა თაობას და, მათ შორის, სტუდენტებს ელემენტარული ცოდნა მაინც სჭირდებათ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების შესახებ, თუმცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მსოფლიოს ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში სულ უფრო და უფრო მცირდება, რაც სამწუხარო ფაქტია, რადგან პოლიტიკური განსწავლულობის ამაღლება არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ახალი თაობის განათლების, მეცნიერების, კულტურის, სამართალმცოდნეობის და ა.შ. განვითარებისათვის.

პოლიტიკის შესწავლა და გაგება ერთგვარი ჭიშკარია ადამიანური განზომილებების, საზოგადოების, სამყაროს უფრო ფართოდ და ღრმად გაგებისათვის. მეცნიერების ერთი ნაწილი პოლიტიკას ცალსახად არ მიჯნავს ფილოსოფიისაგან და, შესაბამისად, ზნეობისაგან. რეალურ ცხოვრებაში ზნეობრივი და პოლიტიკური საკითხები არსებითად განუყოფელია. ძალაუფლების მართებულ და არამართებულ გამოყენებასა და გამოყენების შედეგად მოგებული და დაზარალებულთა შესახებ დებატები აქცევს ძალაუფლებას პოლიტიკურ კატეგორიად.

უახლოესი პერიოდის პოლიტიკაზე მსჯელობა შესაძლებელია ისტორიულ ვაკუუმში, რუსეთში მომხდარი თებერვლისა და ოქტომბრის სახელისუფლებო გადატრიალებების, ფაშიზმისა და კომუნიზმის იდეოლოგიის, მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიების, კოლონიური იმპერიების ნგრევის, საბჭოთა კავშირის დაშლის, აშშ-ის მიერ ერთპოლუსიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შექმნის, ლიბერალიზმის ზეობის პერიოდის შესწავლისა და გაცნობიერების გარეშე.

საყურადღებოა, რომ ამ მიმართულებით პრობლემის შესწავლა და განზოგადება მოახდინეს ამერიკელმა მკვლევარებმა და ამ მხრივ გამორჩეული ნაშრომი შექმნა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა თომას მაგშტადტმა; „გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, რომლის პირველი დებიუტი

შედგა 1984 წელს და შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე [2].

ამ კონტექსტში გამოსაყოფია ემპირიული კვლევები პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომელიც მოვლენების რეალურ და „ობიექტურ“ დაკვირვებებს ეყრდნობოდა.

სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ თუ როგორ წარმართავენ პოლიტიკის შემსწავლელი მეცნიერები ემპირიულ კვლევებს, და როგორია საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენების მიმართ, მაგალითად:

1. არის თუ არა სიკვდილით დასჯა დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმი?
2. არჩეული საჯარო მოხელეების თანამდებობაზე ყოფნის ვადების შეზღუდვა ზრდის თუ არა არჩევნების კონკურენტუნარიანობას?
3. როგორია დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობის ხარისხი, აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, ცენტრისტული ამერიკის სამხრეთ აფრიკის, კავკასიის ქვეყნებში?
4. შეიძლება თუ არა განსჯა დემოკრატიის სხვადასხვა ხარისხებსა და ვარიანტულობაზე?
5. არსებობს თუ არა გამოხატვის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ლიბერალიზმის, დემოკრატიის, კერძო საკუთრების, რელიგიური შემწყნარებლობისა და ა.შ. საზღვრები?
6. შეიძლება თუ არა მსჯელობა მოწესრიგებულ დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, ლიბერალიზმზე, კულტურაზე და ა.შ.?

ემპირიული კვლევების ჩატარება ძირითადად განპირობებულია ცოდნის აკუმულირებით, რომელიმე კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ან კონკრეტული ვითარების გასაუმჯობესებლად, სიღარიბის მიზეზების გასარკვევად, რომელიმე კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ან კონკრეტული ვითარების გასაუმჯობესებლად, სიღარიბის მიზეზების გასარკვევად, მთავრობის მხრივ წარმატებული სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მკვლევარები ამგვარ კვლევებს გამოყენებით კვლევევებსაც უწოდებენ.

პოლიტიკურ ლიტერატურაში ანგარიშგასაწევ გამოკვლევად ითვლება 1936 წელს ჰაროლდ ლასუელის გამოქვეყნებული წიგნი „პოლიტიკა: ვინ იღებს რას, როდის და როგორ“.

ნაშრომი გვამცნობს სიმართლეს პოლიტიკის მოგებისა და წაგების შესახებ. მით უმეტეს, მსოფლიოში არცერთ პოლიტიკურ სისტემას საზოგადოებისათვის არ შეუთავაზებია არც აბსოლუტური სიკეთე და არც აბსოლუტური ბოროტება.

ცალკეული პოლიტიკური პროცესები ზოგიერთისთვის ძალიან ხელსაყრელია და ზოგიერთისთვის გამანადგურებელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ა.შ., მიმართულებებით ანუ პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმის გარკვევაა, კონკრეტულად და მიზნობრივად, რომელი ინდივიდები, ჯგუფები, კლანები და ა.შ. იღებენ ყველაზე მეტ სარგებელს პოლიტიკური ბრძოლის შედეგად.

ერთ-ერთი თეორია გვამცნობს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვებული სოციალური ფანები წარმატებებს პოლიტიკური რესურსების მეშვეობით აღწევენ, ვიდრე მათი მოთხოვნების ლეგიტიმურობით ან საჯარო მოხელეების მხრიდან სამართლიანი მოპყრობით.

ამ მიდგომით დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა არის ასპარეზი, სადაც ძლიერი ანუ გამარჯვებული გუნდი პოლიტიკურ და მატერიალურ ჯილდოებს იღებს და ეს იზომება ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა: ორგანიზაციული უნარები, ცოდნის, ფინანსური და სხვა რესურსების ფლობა. მთავრობის სტრუქტურის მიერ პირობებში ჩაყენება და, რაც მთავარია და რეალური პოლიტიკური ბრძოლის შედეგების განმაპირობებელია აქტორების სიძლიერე ან სისუსტე.

ცხადია, აქ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა „ჩვეულებრივ“ მოქალაქეს არ შეუძლია სამთავრობო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, თუ ისინი არ ეკუთვნიან გავლენიან ორგანიზაციებს. ანუ პოლიტიკოსებისა და ხალხის ერთი ჯგუფი მეტ-ნაკლებად პასიურია, ხან ერთ მხარეს უჭერდს მხარს, ხან - მეორეს, ან საერთოდ - არავის.

მკვლევარების აზრით, აზროვნების განსხვავებული სკოლა, რომელსაც სახელმწიფო ცენტრულ თეორიას ან ინსტიტუციონალიზმს უწოდებენ, ამტკიცებს, რომ დემოკრატიულ მთავრობებს (სახელმწიფო მენეჯერებს) აქვთ საკუთარი ინტერესები, რომლებსაც თავს ახვევენ პოლიტიკური სისტემის მიღმა, მყოფ ადამიანებს ანუ სახელმწიფო არ არის საასპარეზო

ადგილი და ერთგვარი ჯგუფია, რომელიც პოლიტიკური სარგებლობისთვის თუ დანაკარგებისთვის წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობს.

ცხადია, აღნიშნული თეზა არ არის გაზიარებული ყველას მიერ, მაგალითად, საპირისპიროს ამტკიცებენ ამერიკელი დევიდ ბრედლი და მისი თანამოაზრეები სტატიაში „განაწილება და გადანაწილება პოსტინდუსტრიულ დემოკრატიებში“.

ჰიპოთეზებით თუ დაშვებებით, ძალაუფლების რესურსების თეორია ცდილობს ამტკიცოს, რომ კონკრეტულ ჯგუფს ან კლასს შეუძლია არჩევნების გზით გარკვეული დროით მოიპოვოს კონტროლი მთავრობაზე და კონკრეტული სარგებელი მიიღოს.

საერთოდ, თუ პარლამენტში ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში დომინირებს ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მუშათა კლასს ან გარკვეულ გაერთიანებებს წარმოადგენენ და განახორციელებენ ისეთი ტიპის ეკონომიკურ და დასაქმების პოლიტიკას, რომელიც უფრო დაბალი სოციალური კლასებისათვის იქნება მისაღები და ამის საპირისპიროდ, თუ დაბალი სოციალური სტატუსის კლასები სუსტად არიან ორგანიზებული და ხელისუფლებაში მაღალი სოციალური და ეკონომიკური კლასების ინტერესების გამომხატველი პარტიებია წარმოდგენილი, მთვარობის მიერ გატარებული პოლიტიკა უფრო მისაღებია ბიზნესმენებისა და მდიდრებისათვის.

ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში მემარცხენე ძალები ვერავითარ რეალურ კონტროლს ვერ ახორციელებენ მთვარობის კონტროლის ზომაზე, ხანგრძლივობასა, განაწილებასა და გადანაწილების პოლიტიკის შედეგებზე.

30 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებები აკონტროლებდნენ პარტიებს და, შესაბამისად, უთანასწორობა კი არ მცირდებოდა, არამედ გაიზრდებოდა.

პოლიტიკურ ველში არჩევნებში მონაწილეობა დაკავშირებულია ძლიერ და სუსტ ეკონომიკურ კლასებთან. დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლები არჩევნებში იშვიათად მონაწილეობდნენ, ვიდრე მდიდარი მოქალაქეები. შეიძლება ითქვას, რომ დაბალი სოციალური ფენები, ფაქტობრივად წყვეტენ საარჩევნო აქტიურობას, მით უმეტეს, მათ ნაკლები განათლება და ინფორმაცია აქვთ პოლიტიკისა და მმართველობის შესახებ; ისინი ფაქტობრივად დამაჯერებელ ინფორმაციებს არ იღებენ პოლიტიკური პარტიებისაგან, ქრება ნდობა იმედი და პარტიის წინამძღოლობის გარეშე მოქალაქეები შორდებიან პოლიტიკურ პროცესებს.

საქართველოში, საჯარო პოლიტიკა მიკერძოებულია მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის კლასების მიმართ და არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, 1992 წლიდან გაიზარდა კლასობრივი განსხვავებები.

ბრედლის ჯგუფის იდეის მიხედვით თუ ძალაუფლების რესურსების თეორია სწორია, იმ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასს შეუძლია მემარცხენე პარტიების მეშვეობით, მოახერხოს მობილიზაციამ ხანგრძლივი ვადით გააკონტროლოს მთავრობა და მნიშვნელოვნად შეამციროს უთანასწორობა.

მსოფლიო მკვიდრდება ტერმინი „ინდუსტრიული დემოკრატია“ და მისი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ძალაუფლების რესურსების თეორიიდან გამომდინარე მემარცხენე პარტიების მიერ მხარდაჭერილი მემარცხენე მთავრობები აღწევენ უთანასწორობის შემცირებას და, ამ მხრივ, საგულისხმო მაგალითია შვედეთი და ნორვეგია.

საბაზრო უთანასწორობის მაგალითად ასახელებენ აშშ-ის, გერმანიას და გაერთიანებულ სამეფოს, რომლებიც ნაკლებად რეაგირებენ ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებაზე.

თუ დაბალი შემოსავლის მქონე ამომრჩევლები ნაკლებად იაქტიურებენ არჩევნებზე, ვიდრე ნაკლებად უპასუხებენ მთავრობები შემოსავლის უთანასწორობას.

კვლევები აჩვენებს, რომ აშშ-ს ყველაზე დაბალი აქვს საარჩევნო აქტიურობის კოეფიციენტი სხვა ქვეყნებთან შედარებით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვედა კლასის წარმომადგენლები მზარდად სცილდებიან საარჩევნო პროცესებს, ანუ ღარიბი, კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშები და სხვები ვერ ახერხებენ მემარცხენე პარტიების მეშვეობით მობილიზებას, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები პოლიტიკურ არენაზე.

ცხადია, რომელიმე პარტიის იდეოლოგიურ ღირებულებებზე, საუბარი სულ სხვა თემაა და ისეთ კითხვებს, როგორიცაა: „ვინ რას იღებს პოლიტიკური და სისტემისაგან“ პასუხები სისტემური და ობიექტური გამოკვლევების გზით უნდა გაეცეს, მით უმეტეს, ამ დებატებში გამოყენებული მეთოდები გასაგები და ნათელი

უნდა იყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სტუდენტებისათვის.

ზოგადად, სახელმწიფოში არსებობდნენ და იარსებებენ პოლიტიკურად მოგებული და წაგებული მხარეები, მაგრამ პოლიტიკური აქტიურობის შედეგად ხერხდება საკუთარი პოზიციებისა თუ ინტერესების დაფიქსირება და შედეგების მიღწევა.

პოლიტიკის მეცნიერების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ვალტერ ბარნჰემმის განსაზღვრით, რომელიც მოცემულია ნაშრომში „კლასის სელექციური დემობილიზაცია", საარჩევნო აქტიურობა სუსტია დაბალ, მუშათა, მცირე განათლებისა და შემოსავლის მქონე კლასებში, რომლებიც დაკავებული არიან რუტინული საქმიანობით და მაღალ კვალიფიკაციას არ საჭიროებენ.

სელექციური დემობილიზაციის თეორიით შეერთებულ შტატებში პოლიტიკური პარტიები დასუსტდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, როდესაც მუშათა და უფრო დაბალი კლასების წარმომადგენლები პოლიტიკური პარტიების და მათი მესიტყვეების მიღმა დარჩნენ და ამგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკარგნენ პოლიტიკაში და ამოვარდნენ პოლიტიკური პროცესებიდან [3. 11].

ამ თეორიული მიდგომებიდან გამომდინარე, ამერიკულ პოლიტიკაში საჯარო პოლიტიკა მიკერძოებულია უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის კლასების მიმართ.

ბარნჰემის თეზისმა ბუნებრივად წარმოშვა კრიტიკული რეაქცია ამერიკის ხელისუფლების მხარდამჭერ პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში და გამოითქვა მოსაზრება, რომ „არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, კლასობრივი განსხვავებები არ გაზრდილა 1964 წლის შემდეგ და რეალურად მილიონობით ამერიკელი იღებს არჩევნებში მონაწილეობას, რაც არ ადასტურებს მოდელის დასკვნებს.

ბოლო წლებში მეცნიერთა ინტერესი გაიზარდა ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ, როგორიცაა ადამიანის უფლებების დარღვევები. სხვადასხვა ორგანიზაციები (საერთაშორისო ამნისტია, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, ფრიდომ ჰაუსი) ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს აქვეყნებენ.

ამერიკელი მეცნიერების სტივენ პოს და ნილ ტეიტის გამოკვლევებში ნაჩვენებია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალადობის მიზეზები, რომლებიც მოიცავენ პიროვნების სიცოცხლის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, მათ შორის, ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: მკვლელობა, წამება, ადამიანების გაუჩინარება და დაპატიმრება მათი პოლიტიკური ხედვების გამო.

მკვლევარები განიხილავდნენ იმ მოცემულობებს, როგორც სავარაუდო მიზეზებს, რომლებიც ქვეყნებს შორის სახელმწიფო ტერორის განხორციელების კუთხით არსებობდა:

- **დემოკრატიული პროცედურების და გარანტიების არსებობა (დემოკრატია),** მით უმეტეს, ავტორები ირწმუნებიან, რომ დემოკრატიის ის საზომი, რომელსაც ისინი მიმართავდნენ, განსხვავდებოდა იმ საზომისაგან, რომელსაც ადამიანის უფლებების დარღვევების გასაზომად იყენებდნენ;
- **ეკონომიკური განვითარების დონე და ეკონომიკური ზრდა,** რადგანაც სწრაფი ეკონომიკური ზრდა იწვევს უკმაყოფილებას იმ კლასებში, რომლებიც ამ პროცესისაგან სარგებელს ვერ იღებენ. შესაბამისად, შეიძლება მოხდეს რეჟიმის დესტაბილიზაცია და რეპრესიების გაძლიერება;
- **მემარცხენე ორიენტაციის რეჟიმების არსებობა** - როდესაც სახელმწიფოს, რომელსაც მართავს სოციალისტური პარტია ან კოალიცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან საარჩევნო კონკურენციას არასოციალისტური ოპოზიციისთვის და არ უშვებს თანამდებობიდან მოძალადე ლიდერების ჩამოშორებას. შესაბამისად, დაშვებულია სახელმწიფო ძალადობის უფრო მაღალი დონე;
- **სამხედრო რეჟიმების არსებობა**. ისინი მიდრეკილი არიან ძალადობისკენ, ვიდრე სხვა ტიპის რეჟიმები. თუმცა ზოგიერთი სამხედრო რეჟიმი ძალაუფლებაში მოდის იმ არგუმენტით, რომ წინა ხელისუფლება არღვევდა მოქალაქეების უფლებებს;
- **მრავალრიცხოვანი ქვეყნების მთავრობები უფრო მეტად მონაწილეობენ ადამიანის უფლებების დარღვევაში, ვიდრე მცირერიცხოვანი ქვეყნების მთავრობები**;
- **სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი შედეგები**.

IGOR KVESELAVA

RESEARCH THEORIES AND IDEOLOGIES OF POLITICS AND INTERNATIONAL RELATIONS

Summary

The history of politics and international relations originates from ancient times and includes ideas, institutions and problems, and it took on a highly active character at the beginning of the twentieth century, which was reflected in: the world's political, economic, In ideological and military instability, peaceful and non-peaceful revolutions and coup d'états, civil wars, political and ethnic conflicts, economic and financial crises, etc., which In fact, the countries were led to the end of the third world war and known to the world as the "Russian-Ukrainian war".

Events are changing rapidly, but the basic nature of politics remains unchanged. The struggle for power continues, as well as the struggle, on the one hand, to return the unipolar system, and on the other hand, to achieve a multipolar political and economic order.

Key words: *politics, international relations, democracy, imperial studies, theory, ideology.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ“, თბ., 2009.
2. თომას მ. მაგშტადტი „გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, ილიაუნის გამომცემლობა, თბ., 2010.
3. ჯონსონი ჯ., რეინოლდსი ჰ., მაიკოფი ჯ., „პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013.

АЛЛА БИБИЛАШВИЛИ

Проблемы территориальной целостности государств в аспекте деструктивных тенденций развития сепаратизма

Распространение сепаратизма в различных странах является одной из причин непризнания самопровозглашенных образований, ибо существует реальная угроза, что легитимация какого-либо конкретного регионального субъекта будет способствовать дальнейшему распространению сепаратизма, приведет к потере контроля над территориями с центробежными тенденциями развития в различных странах, и как следствие этих процессов, к образованию большого числа фактически нежизнеспособных государств, полностью зависимых от сильных и влиятельных акторов – политических сил, заинтересованных в расширении сферы своего влияния. Увеличение количества новых, всецело ориентированных на внешнего политического спонсора государственных субъектов, в значительной степени будет способствовать повышению уровня конфликтогенности и дестабилизации политической ситуации не только в отдельных регионах и странах, но и в общемировом масштабе.

Особую угрозу безопасности и стабильности представляют те сепаратисткие образования, которые активно поддерживаются внешними силами, в первую очередь, пограничными государствами, преследующими четко обозначенные геополитические цели. Наиболее ярко эта тенденция прослеживается в действиях России на постсоветском пространстве, в первую очередь, в Грузии. Россия, приверженная своему политическому курсу, стремится к тому, чтобы Грузия признала доминирующее влияние Москвы в регионе и переориентировала свои внешнеполитические константы на политику Кремля, оставаясь ментально и мировоззренчески в вассальной зависимости от интересов Москвы, что фактически исключало независимый выбор дальнейшего пути государственного развития. В поисках действенного рычага давления на Грузию и воспрепятствования ее вступлению в западные структуры, в первую очередь, в Евроатлантический альянс, в сепаратистских грузинских автономиях Россия прибегла к апробированным пиар-технологиям и использованию этнического фактора, как мощного мобилизационного ресурса для достижения поставленной цели. В результате нарушения Россией территориальной целостности Грузии в Цхинвальском регионе проблема самоопределения и перспектива реализации собственного национального проекта постепенно трансформировалась из сепаратизма в политику ирредентизма, в рамках которой активно обсуждаются различные стратегии вхождения в состав России, что подразумевает юридический отказ от получения статуса независимого государства даже при возможном возникновении благоприятной политической конъюктуры.

Ключевые слова: *суверенное государство, территорияльная целостность, безопастность, стабисльность, сепаратизм.*

В эпоху глобализации и широкомасштабных геополитических трансформаций реальными объектами политико-территориальной организации современного общества стали так называемые «непризнанные», или «самопровозглашенные» государственные образования, территории, суверенитет которых не признается подавляющим большинством субъектов международного права – государств и международных организаций.

Непризнанные образования именуют также квазигосударствами, ибо де-факто подобные структуры существуют, однако юридически не признаются. В определенном контексте непризнанные государства рассматриваются как элемент мирового политического ландшафта.

Широкое распространение сепаратизма в разных странах является одной из причин непризнания суверенитета самопровозглашенных государств, ибо существует опасность, что легитимация какого-либо одного конкретного квазигосударства будет косвенно способствовать дальнейшему распространению сепаратизма, приведет к потере контроля над территориями с центробежными тенденциями в других странах, а также к образованию большого числа фактически нежизнеспособных государственных образований, полностью зависимых от более сильных акторов – политических сил, заинтересованных в расширении сферы своего влияния. Увеличение количества новых, всецело ориентированных на внешнего политического «спонсора» непризнанных государств будет способствовать повышению уровня конфликтогенности и дестабилизации политической ситуации в отдельных регионах, странах и в общемировом масштабе. Сепаратизм ведет к нарушению международных принципов суверенитета, единства и территориальной целостности государств, попирает принцип нерушимости границ и часто является источником острейших межнациональных и межгосударственных конфликтов.

Следует констатировать, что очень часто невозможность для определённой территории или административного автономного формирования отделиться от государства и получить независимость мирным путем связана с внешней противоречивостью интерпретации двух важных принципов международного права: принципа территориальной целостности государства и права на самоопределение. Принцип территориальной целостности является гарантом стабильности современного мироустройства, и в данном понимании не может быть предметом полемики. Что же касается абсолютизации права на самоопределение, следует учитывать, что нормы этого права изначально разрабатывались в отношении тех наций, которые проживали на колонизированных территориях, и, если бы не колонизация, могли самостоятельно прийти к формированию собственной государственности в той или иной исторической форме [1].

В международно-правовом аспекте право нации на самоопределение, которым постоянно оперируют сепаратистски настроенные силы, не дает оснований отдельным этническим группам в составе современных международно признанных государств претендовать на суверенное развитие. Создание и существование непризнанных государств можно интерпретировать как пример недостаточной эффективности региональных и международных институтов по урегулированию конфликтов, ибо в современном мире тенденции к региональной и мировой интеграции сосуществуют с трендами сепаратизма и ирредентизма.

Непризнанные государства являются определенной переходной стадией государственности, возникающей в процессе развития различных территорий, и могут стать полноценными независимыми государствами, могут быть поглощены «материнским» государством (метрополией), или надолго сохранять свой переходный статус.

Особую угрозу безопасности и стабильности представляют те сепаратистские образования, которые активно поддерживаются внешними силами, в первую очередь, пограничными государствами, преследующими четко обозначенные геополитическим цели. Наиболее ярко подобная тенденция прослеживается в действиях России на постсоветском пространстве, в первую очередь, в Грузии.

С учетом обьективных факторов современного развития главные геополитические приоритеты Грузии определяются задачей построения независимого демократического государства с успешно развивающейся экономикой и инфраструктурой, с формированием и функционированием гражданских институтов на основе принципов и норм международного права.

После распада Советского Союза во внешней политике России на постсоветском пространстве заметны элементы «советизации», которые находили свое выражение в имперских рецидивах политики по отношению к Эстонии, Украине, Грузии, и противоречили прагматическому курсу на доминирование экономических интересов крупнейших российских государственных корпораций. Становилось очевидным, что некоторые постсоветские государства уже стали неотъемлемой частью Запада, другие стремятся проводить диверсификационную политику, направленную на сближение с Европейским Союзом, Соединенными Штатами Америки и Североатлантическим Альянсом [2].

Россия с самого начала возникновения концептуальных противоречий на постсоветском пространстве негативно реагировала на провозглашенные Грузией внешнеполитические координаты: курсу на вступлению в НАТО, Евросоюз и развитие многовекторных взаимосвязей с Соединенными Штатами Америки.

Россия, приверженная своему геостратегическому курсу, стремилась к тому, чтобы Грузия признала доминирующее влияние Москвы в регионе и предопределила свои ориентиры на политику Кремля, оставаясь практически в вассальной зависимости, исключавшей независимый выбор дальнейшего пути государственного развития. Российский эксперт С. Маркедонов констатировал, что у России и Грузии разные взгляды на развитие политических процессов и характер межэтнических конфликтов, поэтому следует сделать акцент на разрешение проблем, являющихся общими для национальной безопасности обеих стран. Россия должна получить поддержку международного сообщества, сняв с себя обвинения в антигрузинской направленности, учитывая, что безопасность «грузинского направления» является одним из ключевых моментов безопасности российского Северного Кавказа. Однако, как показали последующие события, аргументированные постулаты аналитика не были в должной мере восприняты российскими властями и политическим истеблишментом.

В поисках действенного рычага давления на Грузию и воспрепятствования ее вступлению в евроатлантический альянс, в сепаратистских грузинских автономиях Россия прибегла к апробированным пиар-технологиям и использованию этнического фактора, как мощного мобилизационного ресурса для достижения поставленной цели. Следует учитывать, что в сепаратистских регионах уровень доктринальной ксенофобии часто превышает разумные пределы. Население, провоцируемое внешними силами и национальными элитами, попадает под влияние культивируемых сепаратистами конфронтационных настроений, гражданские права начинают соотноситься с национальностью, солидарность отождествляется с этническими параметрами. В сепаратистски ориентированных регионах агрессивный национализм во всех его формах служит определенным политическим устремлениям. Процветанию этнического национализма способствуют экономическая неустойчивость, низкий уровень жизни населения, высокий процент безработицы, распространенное желание декларативной независимости. В контексте развития российской политической мысли установление контроля над сепаратистски-ориентированными административными образованиями и отторжение их территорий от суверенных государств имплементируются как условие укрепления самой российской государственности.

Решение Кремля о вторжении в Грузию и признание независимости сепаратистских регионов является логическим продолжением неоимперской политики России. В. Путин назвал распад Советского Союза крупнейшей геополитической катастрофой нашего времени, и в этом аспекте Россия рассматривает прозападно ориентированные государства, первую очередь Грузию, как недружественную страну. В то время как в странах Центральной и Восточной Европы падение коммунизма воспринималось как освобождение и возрождение независимой государственности, в России эпоха коммунизма символизировала величие страны, поэтому в постсоветский период Россия стала проводить последовательную политику, направленную на расширения сферы своего влияния путем создания всецело подконтрольных ей самопровозглашенных государств. При этом агрессию России против Грузии не следует рассматривать только в контексте русско-грузинских отношений, - проблема намного шире, и касается глобальных интересов, пересечения сфер влияния Запада с российскими геополитическими амбициями.

После признания Россией независимости так называемой Южной Осетии, против Грузии не прекращается фактическая агрессия, выражающаяся в ползучей аннексии территорий, находящихся на линии соприкосновения оккупационной линии и административной границы Цхинвальского региона. В результате в Цхинвальском регионе проблема самоопределения и перспектива реализации собственного национально-государственного проекта постепенно трансформируется из сепаратизма в политику ирредентизма, в рамках которой активно обсуждаются различные стратегии объединения с Российской Федерацией, что подразумевает отказ деюре от получения статуса независимого государства в обозримой перспективе, даже при

создании благоприятной политической конъюктуры.

В Цхинвальском регионе в 2016-2017 годах развивались два параллельных политических процесса: подготовка к проведению референдума о переименовании «частично признанной» республики, и президентских выборов. Это содержательно и технологически соединяет эти процессы в одну большую кампанию. Еще в 2016 году, до того, как было принято решение о переносе референдума на 2017 год, директор Центра политических конъюнктур А. Чеснаков подчеркивал нецелесообразность объединения данных процессов, ибо оно вряд ли улучшит общественную атмосферу в республике, а референдум при таком раскладе получит излишнюю политизацию. Это полностью подтвердились в процессе подготовки и проведения референдума в Цхинвальском регионе. При этом следует констатировать, что с правовой точки зрения референдум не мог иметь никакой силы, являясь незаконным, ибо в нем не участвовала большая часть населения, подвергшегося фактической депортации, а обстановка в регионе полностью контролировалась оккупационными силами.

В то время как политика грузинских властей была последовательно направлена на восстановление доверия и примирение населения, разделенного линией оккупации, на мирную политику Тбилиси Москва отвечала усилением политической изоляции, и шагами, направленными на аннексию региона. В данном аспекте очевидно, что целью первых президентских выборов после кампании 2011 года, приведшей к сложнейшему внутриполитическому кризису, было показать не внешнему миру, а, прежде всего, самим себе, что уроки прошлого усвоены, и поступательное развитие Южной Осетии важнее, чем извлечение сиюминутной выгоды и попадание на верхние этажи власти любой ценой.

Все кандидаты на пост президента рассматривали Россию как гаранта безопасности, и с ней связывались различные надежды. Для одних было бы благом получение административной или пиаровской поддержки, для других, напротив, предпочтительна некоторая отстраненность, а для третьих – готовность Москвы к «смене вех» и «смене лиц». Но при всем различии политических мотиваций, в России по-прежнему видят потенциального эффективного арбитра, способного помочь в сложных ситуациях распутать политические узлы. Российские эксперты констатировали, что в регионе наблюдают за положением дел именно с точки зрения понимания качества российского участия в общественно-политических к экономических процессах. Таким образом, мирный исход выборов, формирование эффективных управленческих моделей и быстрейшей переход из фазы восстановления в фазу развития также будут рассматриваться как доказательство российских успехов или, напротив, неудач, и существенно влиять на отношение к проектам под эгидой Москвы в будущем.

Одновременно со стремлением подчеркнуть значение проводившихся в Цхинвальском регионе президентских выборов, официальные лица не могли не признать их потенциальную нелегитимность. По мнению председателя комитета по сотрудничеству Совета Федерации РФ и парламента Республики Южная Осетия А. Тотоонова, иностранными наблюдателями на выборах были неофициальные лица, ибо Южная Осетия пока не признана многим мировыми государствами, и это высказывание можно рассматривать, как закамуфлированное осознание нелегитимности задуманного действа. Однако автор тут же спешит добавить, что того признания, которое есть, достаточно, чтобы считать себя самостоятельным государством и двигаться по своему независимому курсу. Тут налицо явное противоречие: о каком независимом курсе может идти речь, если результаты референдума, почти стопроцентно прогнозируемые, будут означать именно противоположный итог, а именно отказ не только от мифического «независимого курса», но и от самой независимости. /sputnik-ossetia.ru/anakytics/20170307/38077323.html/ [4].

Турецкий эксперт Г. Тюйсюзоглу в статье «Южная Осетия тоже возвращается в Россию? Кто на очереди?» полагает, что организация референдума, который совершенно явно будет означать шаг в сторону присоединения к России через семь лет после провозглашения независимости, не признанной ни ООН, ни мировым сообществом в целом, предполагает, что практика, имевшая место на Украине (обозначаемая как «путинская доктрина»), сработает и в Грузии. Путинская доктрина подразумевает обеспечение шагов, направленных на отделение или присоединение к России регионов, расположенных на пост-

советском пространстве и имеющих сепаратистские/ирредентистские импульсы, где русскоязычное поселение находится в большинстве или где проживают пророссийски настроенные народы, при оказании им в случае необходимости политической, экономической и даже военной поддержки. Регион Южной Осетии фактически защищают российские военнослужащие, экономическую деятельность практически полностью направляет Россия, почти все население желает присоединения к Российской Федерации. Поэтому становится очевидным, что аннексия этого региона Россией – вопрос времени. Исследователь отмечает, что статус Южной Осетии, потенциально не способной быть самостоятельным государством, стал предметом борьбы глобальных и региональных держав за силу и влияние. При этом нельзя сказать, что Россия жаждет слияния этого региона с Северной Осетией, находящейся в ее составе, ибо тогда возникнет некая политическая структура под названием «Осетия» с ярко выраженной осетинской идентичностью. Россия, которая на примере Северного Кавказа знает о проблемах, возникающих из-за такого рода регионов а интегрированной этнической идентичностью, едва ли пожелает создавать для себя очередной источник проблем. Исследователь подчеркивает, что суть борьбы между Западом и Россией, которая разворачивается в Евразии и на Ближнем Востоке, - это конфликт между требованием гегемонии со стороны Запада и многополярностью, о которой говорит Путин. События, происходящие на Украине и в Сирии, сегодня образовали глубокие линии разлома. Попытка России в рамках путинской доктрины использовать зоны замороженного конфликта (которые возникли на постсоветском пространстве в этнорелигиозном контексте) для обеспечения своих интересов ведет к тому, что социальные тенденции и политические требования таких регионов, как Южная осетия, сказываются не только на жизни региона, но и всего мира [5].

Представители НАТО высказали свое мнение о том, что проведение референдума не повлияет на политику альянса. Позиция НАТО в этом вопросе «остается ясной и неизменной – страны-члены альянса полностью поддерживают территориальную целостность Грузии и ее суверенитет, в границах, признанных международным сообществом. Страны НАТО не признают грузинские сепаратистские регионы в качестве независимых государств. «Поэтому мы призываем Россию выполнить свои обязательства по отношению к Грузии и отозвать признание Южой Осетии и Абхазии». Свою поддержку территориальной целостности Грузии зафиксировал и Европейский Союз в период подготовки референдума, и на всех международных форумах высказывал свою позицию по данной проблеме [6].

По мнению спецпредставителя премьер-министра Грузии З. Абашидзе, Россия откажется от признания Абхазии и Южной Осетии независимыми государствами, потому что это настолько неестественная ситуация для всего мира, что международное сообщество не собирается с этим мириться. В какой-то степени эти регионы тоже оказались жертвой конъюктуры, которая возникла в 2008 году. З. Абашидзе полагает: в России многие сейчас осознают, что решение, принятое тогда по признанию Абхазии и т.н. Южной Осетии независимыми государствами, было большой ошибкой [7].

Позиция грузинского дипломата заслуживает внимания, ибо базируется на общепринятых постулатах мирового демократического развития, однако российское руководство продолжает предпринимать провокационные шаги, направленные на усилие конфронтации и дальнейший рост напряженности: В. Путин одобрил соглашение о вхождении военизированных формирований Южной Осетии в состав российской армии. Политические процессы в отколовшемся грузинском регионе свидетельствовали о его полной оккупации Россией.

Представители официальных грузинских властей осудили эти противоправные действия, и обратились к мировому сообществу с призывом объединенными усилиями противостоять действиям России, помешать посягательству на территориальную целостность суверенного государства и внедрению практики незаконной аннексии, которая подрывает стабильность региона и международную систему, основанную на демократических ценностях.

Агрессию России против Грузии не следует рассматривать только в контексте русско-грузинсих отношений, проблема намного шире, и касается глобальных интересов, пересечения сфер влияния Запада с российс-

кими геополитическими амбициями. Этот аспект отметил Ганс-Дитрих Геншер, подчеркнувший, что было бы упрощением рассматривать Грузию изолированно, ибо проблема намного шире – речь идет об отношениях между Западом и Россией.

Территориальная целостность Грузии признана всеми международными организациями и почти всеми государствами мира – к России присоединились только Никарагуа, Венесуэла и Сирия, и на этом процесс легитимации Цхинвальского региона окончательно и бесповоротно застопорился, и ее признание со стороны каких-либо новых государств не представляется возможным. Следует учитывать, что бывший в то время президентом России Д. Медведев в 2008 году «рассекретил» подлинный смысл действий Кремля, прямо заявив о том, что если бы не была развязана российская агрессия против Грузии, эта страна уже была бы в НАТО.

После признания Россией независимости так называемой Южной Осетии против Грузии не прекращается фактическая агрессия, выражающаяся в ползучей аннексии территорий, находящихся на линии соприкосновения административной границы Цхинвальского региона. В результате в Цхинвальском регионе проблема самоопределения и перспектива реализации собственного национально-государственного проекта постепенно трансформировалась в политику ирредентизма, в рамках которой активно обсуждаются различные стратегии объединения с Российской Федерацией, что подразумевает отказ от получения статуса независимого государство в обозримой перспективе, даже при создании благоприятной политической конъектуры. При этом следует учитывать, что в маленьких республиках дистанция между властью и социумом невелика. А возможности для общественной мобилизации в случае недовольства политикой руководства весьма высоки, однако геополитическая ориентация не является предметом дискуссии проживающего в настоящее время в Цхинвальском регионе населения, ибо она предопределена результатами российскоий агрессии, в результате которой большая часть коренного грузинского населения стала вынужденными переселенцами.

Реакция на происшедшее международного сообщества полностью соответствовала международно-правовым нормам и западным демократическим критериям. Министерство иностранных дел Азербайджана откликнулось на события в Цхинвальского регионе на следующий же день, заявив, что Азербайджан не признает независимости Южной Осетии и результатов состоявшегося референдума. Председатель генсека ООН выразил сожаление относительно проведения в Южной Осетии президентских выборов и референдума, расценив их как угрозу международным переговорам в Женеве. Представитель НАТО Оана Лунгеску констатировала, что североатлантический альянс не признает независимость Южной Осетии, отстоявшихся там президентских выборов и референдума. Свою поддержку территориальной целостности Грузии зафиксировал еще в период подготовки к референдуму и Европейский Союз [8].

Политические деятели и представители официальных кругов Соединенных Штатов Америки еще накануне выборов распространили заявление с осуждением референдума в отторгнутом у Грузии регионе, подчеркивая, что незаконные выборы и референдум будут проведены на грузинской территории без согласия правительства Грузии, в то время как эти регионы являются составной частью Грузии и находятся в пределах ее международно признанных границ.

Комитет заместителей министров Совета Европы на совместном заседании принял давно подготавливавшееся решение по вопросу, поставленному в повестку дня: «Совет Европы и конфликт в Грузии». Основанием этого документа стали решения, принятые комитетом в течение 2014, 2015 и 2016 годов, и в нем выражается твердая поддержка суверенитета и территориальной целостности Грузии и заостряется внимание на правовой ответственности России как страны, осуществляющей фактический контроль над «оккупированными территориями» Грузии. В этом решении четко сформулировано, что Грузия не может осуществлять легитимную юрисдикцию над своими регионами из-за «незаконных действий России». В данном документе впервые зафиксировано, что ситуация на оккупированных территориях Грузии – это конфликт между Россией и Грузией, и таким образом, Россия признается стороной конфликта.

В решении Комитета заместителей министров Совета Европы констатируется, что

«действия и политика России в отношении регионов Грузии препятствуют мирному урегулированию конфликта, подрывают усилия, направленные не упрочение безопасности и стабильности, нарушают суверенитет и территориальную целостность Грузии». В документе подчеркивается, что те акты, которые изданы Россией и направлены на изменение статуса регионов Грузии, не будут иметь правовых последствий. Авторы документа выражают глубокое беспокойство в связи с процессами возведения искусственных заграждений, нарушения прав и свобод граждан. Одновременно приветствуются усилия правительства Грузии по углублению гуманитарной деятельности с населением Абхазии и Южной Осетии. Комитет призывает Россию прекратить незаконные действия, подчиниться международным обязательствам, выполнить соглашение о прекращении огня и обеспечит допуск представителей постоянных органов Совета Европы не территории, оставшиеся вне контроля правительства Грузии [9].

Важным фактором, свидетельствовавшим о подтверждении Соединенными Штатами Америки оккупации Абхазии и Южной Осетии, явилось принятие Вашингтоном государственного бюджета, предусматривающего защиту территориальной целостности Грузии. Согласно бюджету на 2017 год, Белый дом не будет финансировать те страны, которые признали независимость оккупированных территорий Грузии. В законе, утвержденном Конгрессом США и вступившем в силу после подписания президентом Дональдом Трампом 6 мая 2017 года, в подглаве о российской агрессии сделана запись о Грузии с подзаголовком «Оккупация территорий Грузии -- Абхазии и Цхинвальского региона». Согласно этому закону, финансированием США не смогут воспользоваться правительства тех стран, которые признали независимость «оккупированных Россией Абхазии и Цхинвальского региона», или установили с ними дипломатические отношения. Закон о бюджете запрещает выделение финансирования для поддержки оккупации Россией Абхазии и Цхинвальского региона, так как это нарушает суверенитет и территориальную целостность Грузии» [10]

Подобную реакцию международного сообщества следует рассматривать как несостоятельность и неприятие аннексионистских устремлений российской политики, включающей планы по переформатированию территории суверенного государства, а также как доказательство действенности внешнеполитического курса Грузии.

Политическая ориентация властей Цхинвальского региона не претерпела изменений, и в 2022 в году, во время очередных президентских выборов, первый тур которых не выявил победителя, а во втором туре большинство голосов получил кандидат оппозиции А. Гаглоев, не модифицировала своих стратегических постулатов. Грузинские власти заявили, что проведенные выборы противоречат основополагающим принципам международного права, и являются еще одним грубым нарушением суверенитета Грузии и международно признанных границ. Правительство Грузии и международное сообщество не признают законность подобных действий и их последствий. В условиях российской оккупации и многочисленных волн этнических чисток коренного населения выборы не выражают волю народа, и поэтому не имеют правовой основы. За последние 30 лет сотни тысяч перемещенных лиц из оккупированных регионов Грузии были лишены возможности безопасного возвращения в места своего постоянного проживания в условиях продолжения систематических и грубых нарушений их конституционных прав: возведения заграждений, ограничения свободного передвижения, незаконных задержаний, похищений и арестов.

Помимо президентских выборов, сепаратистскими властями задумано также проведение референдума по вхождению в Россию. Президент А. Бибилов назначил референдум на 17 июля 2022 года, опубликовав свой указ на официальном сайте главы самопровозглашенного государства. Следует обратить внимание и на видоизмененную формулировку вопроса референдума: «Вы поддерживаете объединение Республики Южная Осетия и России?», где налицо вопиющая юридическая безграмотность, ибо в официальных документах должно приводиться полное название страны – Российская Федерация, и крупное государство обыкновенно называется первым, а то получается, что «Республика Южная Осетия» занимает доминирующую роль. Логично предположить, что, независимо ни от формулировки, ни от итогового результата, который фактически известен зара-

нее, никакого международного признания - ни Грузии, ни международного сообщества – референдум не получит, несмотря на всю поднятую вокруг него пропагандистскую шумиху.

ალა ბიბილაშვილი

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა სეპარატიზმის დესტრუქციული ტენდენციების ასპექტში (ცხინვალის რეგიონის მაგალითზე)

რეზიუმე

სხვადასხვა ქვეყნებში სეპარატიზმის გავრცელება თმითგამოცხადებული სუბიექტების სუვერენიტეტის არაღიარების ერთ-ერთი მიზეზია, რადგან არსებობს საფრთხე, რომ რომელიმე კონკრეტული კვაზისახელმწიფოს ლეგიტიმაცია ხელს შეუწყობს სეპარატიზმის შემდგომ განვითარებას, გამოიწვევს ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვას. უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ის სეპარატისტული წარმომაქმნები, რომლებსაც მხარს უჭერს გარე ძალები, უპირველეს ყოვლისა, მოსაზღვრე სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ მკაფიოდ განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ მიზნებს ახორციელებენ. ეს ტენდენცია ყველაზე ნათლად ჩანს რუსეთის ქმედებებში, განსაკუთრებით საქართველოში.

რუსეთი, როგორც თავისი პოლიტიკური კურსის ერთგული სახელმწიფო, ცდილობს უზრუნველყოს, რომ საქართველომ აღიაროს მოსკოვის დომინანტური გავლენა რეგიონში და წინასწარ განსაზღვროს მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია კრემლის პოლიტიკაზე, იდეოლოგიურად დარჩეს მოსკოვის ინტერესებზე ვასალურ დამოკიდებულებაში, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს სახელმწიფო განვითარების შემდგომი გზის დამოუკიდებლად არჩევას. საქართველოზე ზეწოლის ეფექტური ბერკეტის მოსაძებნად და დასავლეთის სტრუქტურებში, პირველ რიგში, ევროატლანტიკურ ალიანსში შესვლის თავიდან ასაცილებლად, რუსეთმა მიმართა უკვე გამოცდილ პიარ-ტექნოლოგიებს და ეთნიკურ ფაქტორს, როგორც ძლიერ სამობილიზაციო რესურსს დასახული მიზნის მისაღწევად. რუსეთის დიქტატის შედეგად ცხინვალის რეგიონში თვითგამორკვევის პრობლემა და საკუთარი ეროვნული პროექტის განხორციელების პერსპექტივა სეპარატიზმიდან თანდათან გადაიზარდა ირედენტიზმის პოლიტიკაში, რომლის ფარგლებშიც აქტიურად განიხილება რუსეთთან გაერთიანების სტრატეგია, რაც გულისხმობს სამართლებრივ უარს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოს სტატუსის მიღებაზე.

***საკვანძო სიტყვები**: სუვერენული სახელმწიფო, ტერიტორიული მთლილანობა, უსაფრთხოება, სტაბილურობა, სეპარატიზმი.*

Литература:

1. «Московские новости», 2006, № 22.
2. /http:www.gazeta.ru//politics/2016/05/26-a/826673.shtml./
3. /Inosmi.ru/caucas/20151028/231068733/html
4. /www.kavkaz-uzel.eu/articles/298633/
5. /sputnik-ossetia.ru/SouzOssetia/201702221/3751857/html
6./http://sputnik-ossetia.ru/analytics/2170220/3745014.html/alaniatv.ru/vesti/ ?id=22502/
7. /https :Russian/rt.com/inotv/2017-02-16/
8. Русская служба Би-би-си. 11.02.2017./www.bbc.com/Russian/features-38941912/ «Русский еврей», 14.03.2017
9. /hpps://regnum.ry/news/politic/2271317.html
10. Consolidated Appropriationes Act, 2017. www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/19206html.

ნუგზარ დურმიშიძე

დასავლეთის და რუსეთის სტრატეგიული შეცდომები რომლებმაც დღევანდელობა განაპირობა

წინამდებარე სტატიაში „დასავლეთისა და რუსეთის სტრატეგიული შეცდომები, რომლებმაც დღევანდელობა განაპირობეს," განხილულია ის აქტუალური პრობლემა, რომელსაც დასავლეთის, პირველ რიგში კი, ამერიკის შეერთებულ შტატებს და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა ქმნის საერთაშორისო პოლიტიკაში და შეძლებისდაგვარად განმარტებულია მიზეზები, რომლებიც ამ დაძაბულობას უდევს საფუძვლად, გაანალიზებულია ის სტრატეგიული შეცდომები, რომლებმაც მრავალწილად განაპირობეს დღევანდელი მდგომარეობა.

სასურველია მხარეებმა ძალისხმევა არ დაიშურონ აღნიშნულ შეცდომათა გამოსასწორებლად, რათა ზიანი არ მიადგეს მშვიდობას და სტაბილურობას მსოფლიოში.

***საკვანძო სიტყვები**: საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკა, რუსეთი, აშშ.*

1991 წლის დეკემბერში მოხდა ისეთი მოვლენა, რომელმაც შეძრა მთელი საერთაშორისო საზოგადოება და თავისი მნიშვნელობით ლამის II მსოფლიო ომის დასრულებასაც კი გადააჭარბა, რადგან დამთავრდა ის, რაც პოლიტიკურ ლექსიკონსა და ისტორიოგრაფიაში „ცივი ომის" სახელით არის ცნობილი და, რაც მთავარია, დაიშალა მსოფლიო კომუნისტური სისტემა და მისი შემოქმედი, უზარმაზარი ტოტალიტარული სახელმწიფო - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. სწორედ ეს უკანასკნელი გახლდათ ცივი ომის და ბიპოლარული წესრიგის ერთ-ერთი უპირველესი არქიტექტორი და მისი გაქრობით, გლობალურ იდეოლოგიურ დაპირისპირებასაც ბოლო მოეღო.

როდესაც საბჭოთა კავშირის და, ზოგადად, მსოფლიო კომუნისტური სისტემის დაშლაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ერთი არცთუ უმნიშვნელო „დეტალი": საბჭოთა კავშირი და მის მიერ შექმნილი გლობალური სისტემა არ იყო მხოლოდ სახელმწიფო (თუნდაც ზესახელმწიფო) ან სახელმწიფოთა ჯგუფი თუ ალიანსი; ეს გახლდათ სრულიად ახალი, მანამდე არასდროს არსებული ცივილიზაცია, რომელიც აღმოცენდა ასევე უპრეცედენტო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე და უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის გავითარებაზე, შექმნა აბსოლუტურად ახალი, ყველასათვის უცხო მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი, რომელმაც, „წითელი იმპერიის" ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, ღრმა კვალი დატოვა ამ იმპერიის ქვეშევრდომთა დიდი ნაწილის ფსიქიკასა და აზროვნებაზე, გამოძერწა რა ადამიანის განსაკუთრებული ტიპი - homo sovietikus - საბჭოთა ადამიანი. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების პოლიტიკის შეფასებისას. მოცემული იდეოლოგიისა და მისი მატარებელი სახელმწიფოს გაქრობა არ ნიშნავს ათწლეულების მანძილზე ძალით თუ ნებით (ვისთვის - როგორ) დამკვიდრებული მასობრივი მენტალიტეტის მოშლას; ამას დრო სჭირდება სხვა ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად.

სიტუაციის ანალიზი

არანაკლებ საყურადღებო და საჭირბოროტო პრობლემაა ე.წ. ძალის ვაკუუმი. გლობალური ზესახელმწიფოს და მისი სატელიტი რეჟიმების გაქრობით მოიშალა ძალის უზარმაზარი ცენტრი, რომლის ადგილიც დღემდე სრულფასოვნად ვერავინ შეავსო სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის დიდი მცდელობის მიუხედავად. ასევე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ბირთვული პოტენციალის „გადანაწილების" საკითხი, რადგან სსრკ-ს ბირთვული იარაღის მარაგი ხომ არა მარტო რუსეთის, არამედ სამი სხვა რესპუბლიკის - უკრაინის, ბელორუსიის და ყაზახეთის ტერიტორიებზეც იყო განთავსებული. ამდენად, ერთი ბირთვული სუბიექტის ნაცვლად ჩნდებოდა ოთხი და აქედან სამი იმდენად სუსტი, რომ ეგზისტენციალური კრიზისის შემთხვევაში მათ

ამ იარაღის გამოყენების გარდა სხვა შანსი არ ექნებოდათ. საჭირო იყო მათი დაყოლიება საკუთარი ბირთვული მარაგის ლიკვიდაციაზე გარკვეული კომპენსაციით, რაც განხორციელდა კიდეც და ეს პრობლემაც ასე თუ ისე გადაიჭრა.

ძირითადად კი, „საბჭოთა მონსტრის“ ჩამოშლა, რაც ძლიერი შინაგანი წინააღმდეგობებისა და სისტემის გახრწნის გარდა მეტოქე ზესახელმწიფოს დიდმა ძალისხმევამაც განაპირობა, რა თქმა უნდა, განუზომელი შვება იყო მთელი დანარჩენი მსოფლიოს და არა მარტო დასავლეთისთვის, რადგან ეს უპირველეს ყოვლისა ცივი ომის დასრულებასა და, გამომდინარე აქედან, გლობალური ბირთვული კატასტროფის შიშის გაქრობასთან იყო დაკავშირებული; ყოველ შემთხვევაში, იმ დროს ასე ეგონათ და სამწუხაროდ, ორივე მხარემ (დასავლეთმა და რუსეთმა) ნებით თუ უნებლიეთ, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სერიოზული პრობლემები შექმნოდა ხსენებული კეთილსასურველი პროგნოზის რეალიზებას.

მსოფლიოს პოლიტიკურმა ისტორიამ ერთი ასეთი ფაქტი შემოგვინახა: როდესაც ნაპოლეონმა ბურბონთა ოჯახის და როიალისტური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისი რეჟიმისადმი ყველაზე კონსტრუქციულად განწყობილი, იმჟამად პარიზში მყოფი ანგიენის ჰერცოგი, მავანთა დასმენის საფუძველზე სიკვდილით დასაჯა, გამოჩენილმა დიპლომატმა და საფრანგეთის ლამის „ყველა დროის“ საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეირენ-პერიგორმა ემოცია ვეღარ მოთოკა და პათეტიკურად წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, ეს ხომ დანაშაულზე უარესია, ეს შეცდომაა!“ [3].

ძნელია არ დაეთანხმო.

მართლაც, პოლიტიკაში ხშრად შესდომა კარგად დაგეგმილ დანაშაულზე უარესია, რადგან მას გაუცნობიერებლად, გაუაზრებლად ჩადიან და არც შედეგები აქვთ გათვლილი, რომ მათ გასანეიტრალებლად მზად იყვნენ. კიდევ უფრო ფატალური გამოდგა I მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შეცდომა დაშვებული დამარცხებული გერმანიისა და მის მოკავშირეთა მიმართ, რომელსაც უინსტონ ჩერჩილმა „გამარჯვებულთა უგუნურება“ უწოდა [3].

პარიზის კონფერენცია და ვერსალის საზავო ხელშეკრულება იყო ფაქტობრივად II მსოფლიო ომისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები, რადგან მათ იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს გერმანია როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყვეს მოსახლეობაში რევანშისტულ განწყობათა სტიმულირებას. ხალხი ერთიანად მოიცვა როგორც სიდუხჭირის, ისე ეროვნული ღირსების შელახვისა და დამცირების განცდამ და როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება, ყველაზე მოთხოვნადი გახდა ე.წ. მესია, რომელიც ეროვნულ ღირსებას აღუდგენდა და ისევ ძლევამოსილ ქვეყნად აქცევდა მათ სამშობლოს. „მესიაც“ მალე გამოჩნდა ჰიტლერის და მისი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სახით, რომელიც არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში და არა სამხედრო გადატრიალების მეშვეობით. დანარჩენი კი ყველასთვის ცნობილია.

დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა რუსეთი ცივი ომის წაგების და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, როდესაც დასავლეთი გამარჯვებას ზეიმობდა, ამერიკის შეერთებული შტატები კი ერთადერთ გლობალურ ზესახელმწიფოდ დარჩა საბჭოთა მეტოქის გაქრობის შემდეგ [1].

მაგრამ ამან გლობალური შანსების პარალელურად პასუხისმგებლობაც ძლიერ გაუზარდა ვაშინგტონს, რომელთან გამკლავებაც არც ისე ადვილი გამოდგა. გამარჯვებულები კი თითქმის ისევე მოექნენ ცივ ომში დამარცხებული საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციას, როგორც თავის დროზე ე.წ. ვაიმარის რესპუბლიკას, რითაც სერიოზული სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს. განვიხილოთ მათგან რამდენიმე ძირითადი:

1. დასავლეთის, პირველ რიგში კი აშშ-ს ფინანსური დახმარება აშკარად არ იყო საკმარისი რუსეთის ახალი, საბაზრო ეკონომიკის შესაქმნელად და ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ძალიან უადგილო იქნებოდა მისი შედარება „მარშალის გეგმასთან.“ ის, რაც საკმარისზე მეტიც იქნებოდა პატარა ქვეყნებისათვის, არაფერში ეყოფა უზარმაზარ ქვეყანას - 145 მილიონიან რუსეთს. მაგრამ მთავარია, რომ ეს ხდებოდა თითქმის სავსებით უკონტროლოდ. ის დაფინანსება და გრძელვადიანი კრედიტებიც, რომელიც დასავლეთიდან მიდიოდა, კიდევ რამდენადმე წაადგებოდა საქმეს, ზუსტად დანიშნულების მიხედვით რომ გამოეყენებინათ და „უკიდეგანო“ კორუფციას არ ჰქონოდა ადგილი და ამ დროს იმას, რაც რუსეთში ხდებოდა 90-ან წლებში, კორუფციასაც ვერ დაარქ-

მევდი; ეს იყო კლასიკური ხაზინის ქურდობა, ქვეყნის პირდაპირი ძარცვა, რამაც სრულ გაღატაკებამდე მიიყვანა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და შექმნა კატასტროფული სოციალური ფონი. ეს კი დასავლეთს არ გაუთვალისწინებია და არც გაუკონტროლებია „ახალი მეგობრისთვის“ [2] გამოყოფილი ფინანსების მიმართულება;

2. იდეოლოგიური დაპირისპირებისა და ბიპოლარული სისტემის ლიკვიდაციის შემდგომ, როდესაც ორი მოწინააღმდეგე ბანაკიდან ერთი აღარ არსებობს, ლოგიკურად ე.წ. თავდაცვითი სამხედრო ალიანსების აუცილებლობაც უნდა მოხსნილიყო დღის წესრიგიდან, საჭირო აღარ იყო არც ჩრდილოატლანტიკური და არც ვარშავის სახელშეკრულებო ორგანიზაციები. ვარშვის პაქტი მართლაც დაიშალა ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე, ნატო კი „რატომღაც“ დღემდე არსებობს, თუმცა მისი არსებობა შეიძლება გამართლებულიც იყოს, რადგან ჯერ ერთი, რუსეთი არცთუ სანდო პარტნიორია, რაც მან ბერვრჯერ დაამტკიცა და მისგან ყოველთვის მოსალოდნელია „სიურპრიზები“ და მეორეც, ჩვენს ახალ ეპოქაში წარმოიქმნა სხვა ძალზე სერიოზული გამოწვევები, რომლებიც „მესამე რომზე“ ნაკლებ საფრთხეს როდი უქმნიან მსოფლიო მშვიდობასა და სტაბილურობას. მაგრამ აუცილებელი არ იყო ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოება „რუსეთის ჯინაზე“ მხოლოდ იმის გამო, რომ ამას ითხოვდნენ რუსეთის ყოფილი სატელიტები აღმოსავლეთ ევროპაში და ზოგი პოსტსაბჭოთა ქვეყანა. ცხადია გასაგებია მათი ტრადიციული შიში ყოფილი მეტროპოლიის მიმართ, მაგრამ მხოლოდ ასეთ ემოციებზე დაყრდნობას საერთაშორისო პოლიტიკაში არ მოაქვს სარგებელი. მით უმეტეს, რომ დასავლეთს და რუსეთს შორის არსებობდა მოლაპარაკება ალიანსის გაუფართოებლობის შესახებ, მაგრამ მაინც გაფართოვდა. უფრო მეტიც: არა მხოლოდ ვარშავის პაქტის ყოფილ წევრებს, თვით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსაც კი (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) შეეხო საქმე.

3. დასავლეთმა რუსეთი „ჩაკეტა“ პოსტსაბჭოთა ქვეყნების (ბალტიისპირეთის გარდა) რეგიონული ორგანიზაციის - დსთ-ს ფარგლებში და ამ სივრცეზე მიანდო მშვიდობისა და წესრიგის უზრუნველყოფა, ანუ ფაქტობრივად პოსტსაბჭოთა სივრცის კურატორობა „უბოძა“, აფხაზეთის, ცხინვალის, ყარაბაღისა და დნესტრისპირეთი კონფლიქტების მისებურად „მოგვარების“ საშუალებაც მისცა და როგორც „მოაგვარა“ რუსეთმა ეს პრობლემები, კარგადაა ცნობილი. მაგრამ აღნიშნული ფორმატის იქით აღარ გადაუშვა და დანარჩენი მსოფლიოს არცერთი კონფლიქტის გადაწყვეტაში არ მიაღებინა მონაწილეობა, ბალკანეთის საქმეებშიც კი არ „ჩაახედა,“ თუმცა იცოდა რუსეთის გარკვეული „სენტიმენტების“ შესახებ ამ რეგიონში, პირიქით, დემონსტრაციულად იქცეოდა სწორედ მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასევე მოიქცა ერაყის მეორე კამპანიის შემთხვევაშიც მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი 9/11-ის შემდეგ მოსკოვმა ქმედითი დახმარება გაუწია ვაშინგტონს ავღანელი თალიბების წინაარმდეგ ბრძოლაში, რითაც მნიშვნელოვანი „ქულა ჩაიწერა“ მსოფლიო საზოგადოების თვალში. დასავლეთს შეეძლო თუნდაც pro forma „რაღაც ეკითხა“ თავისი ახალი პარტნიორისთვის, რათა ამ უკანასკნელს კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად ეგრძნო თავი და ამით მისი პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, რაც უწყინარი, მაგრამ სასარგებლო დიპლომატიური ნაბიჯი იქნებოდა. რუსეთი კი ამის საპასუხოდ, ჩვენი აზრით, უმთავრეს საკითხებში დაეთანხმებოდა დასავლეთს, როგორც ამას მ. გორბაჩოვი აკეთებდა. უმჯობესი იქნებოდა ასევე, დასავლეთს პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტების დარეგულირებაშიც მიეღო რეალური მონაწილეობა რუსეთთან ერთად, რითაც თავიდან აიცილებდა მათი რუსული სცენარით განვითარებას; შედეგებიც გაცილებით სამართლიანი და მისაღები იქნებოდა.

4. დასავლეთმა, პირველ რიგში კი აშშ-მა, ორ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, უკრაინას და საქართველოს შეუქმნა არცთუ რეალისტური მოლოდინები ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რითაც ამ ქვეყნების შემდგომი პოლიტიკური ქცევა განსაზრვრა ყველა გამომდინარე შედეგით. რუსეთმა ბევრი რამ მოითმინა 90-ან წლებში, მოითმინა ბალტიის ქვეყნების ალიანსში შესვლაც კი, მაგრამ დსთ-ს რომელიმე წევრთან, განსაკუთრებით საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, ელცინის რუსეთიც კი ეცდებოდა ეს არ დაეშვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამჟამინდელ, პუტინის რუსეთზე. ნატო მაინც არ არის ევროკავშირი, ის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა, რაც გამორიცხავს რუსეთის მხრიდან ყოველგვარ კომპრომისს, ვინაიდან განიხილება პირდაპირ შეჭრად მისი ინტერესების სფეროში. მოსკოვი ასე თუ ისე შეეგუა კიევის და თბილისის ასოცირებას

ევროკავშირთან, მაგრამ არ დაუშვებს რაიმე ნაბიჯის გადაგმას ევროატლანტიკური პარტნიორობის იქით. ეს ყველაფერი ვაშინგტონისთვისაც კარგად არის ცნობილი და ჯობდა ამავე ქვეყნების სასიკეთოდ თავი ცოტა ხნით მაინც თავი შეეკავებინა არარეალისტური მოლოდინების შექმნისაგან. ცუდი პრეცედენტი იყო კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაც, რაც მშვენივრად გამოიყენა რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. რუსეთის მართვა ჯერ კიდევ შესაძლებელია უკრაინაში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომის მიუხედავადაც კი, მისი დასავლეთზე ფინანსურ-ეკონომიკური დამოკიდებულებიდან და შელახული საერთაშორისო ავტორიტეტიდან გამომდინარე. მცირე დათმობებით და არსებული ბერკეტების გამოყენებით შეიძლება მოვალე გახადო შენი ინტერესების ფარგლებში იმოქმედოს. ასე უფრო მოხერხდება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაცვა მისი აგრესიისაგან. ალბათ, ასე აჯობებს, სანამ რუსული რევანშიზმი უკიდურესობამდე არ მისულა და სრულიად უმართავი არ გამხდარა, როგორც ეს 90 წლის წინ გერმანიაში მოხდა.

ახლა კი რუსეთის სტრატეგიულ შეცდომებზე ვისაუბროთ:

1. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ამ აქტის ავტორმა სამმა დამფუძნებელმა რესპუბლიკამ - რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ მათი პრეზიდენტების პირით საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე ახალი რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნა გამოაცხადეს და იქვე „დასძინეს“ რომ ორგანიზაციის კარი ღია იყო არა მარტო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, არამედ ყოველი მსურველი ქვეყნისთის. მაგრამ მიუხედაად ამისა მსგავსი სურვილი ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსაც არ გამოუთქვამს. გაწევრიანებაზე უარი განაცხადეს ბალტიის რესპუბლიკებმა და საქართველომ, თუმცა ამ უკანასკნელს აფხაზეთის დაკარგვის და სამოქალაქო ომის შემდეგ მოუწია დსთ-ს რიგებიში შესვლა. ეს ორგანიზაცია ალბათ თავდაპირველი ჩანაფიქრით ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის მოდელს გულისხმობდა, სადაც გაერთიანებილი არიან ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები და დომინიონები, თვით ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან კანადა, ავსტრალია და ინდოეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც არა მარტო პარტნიორობას, არამედ ურთიერთდაცვას და პრეფერენციულ რეჟიმს გაულისხმობს როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. კარგი იქნებოდა რუსეთს მართლაც რომ მიებაძა ბრიტანეთის მაგალითისთვის: დახმარებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს სახელმწიფოს შექმნაში, როგორც ბრიტანეთმა გააკეთა, დაეშვა მათთვის სავაჭრო პრეფერენციები, დაეცვა მათი პოლიტიკური სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობა და პირიქით, არ მოეხდინა ეთნოკონფლიქტების ინსპირირება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათი ტერიტორიების დატაცება, ოკუპაცია, განუწყვეტელი მუქარა ძალის გამოყენების, ეკონომიკური და ენერგოშანტაჟი და ა.შ. საქართველოს და უკრაინის მიმართ ხომ პირდაპირ სამხედრო აგრესიასაც არ მორიდებია და მხოლოდ დასავლეთის აქტიურმა პოლიტიკურმა ჩარევამ გადაგვარჩინა 1921 წლის განმეორებას. ამის საპირისპიროდ რომ მოქცეულიყო რუსეთი, რომელსაც ძალიან აღიზიანებს საქართველოს და უკრაინის პროდასავლური ორიენტაცია, არა მგონია რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს და უკრაინას, ეს გზა აერჩიათ და გასაღიზიანებელიც არაფერი იქნებოდა. ბოლოსდაბოლოს ელემენტარული ლოგიკაა: რომელი „ხელი“ უფრო მისაღებია - სამეგობროდ და დასახმარებლად გამოწვდილი თუ დასარტყმელად მოღერებული მუშტი?
2. ვლადიმირ პუტინის და მისი მთავრობის კონტრუქციული ურთიერთობა და თანამშრომლობა დასავლეთთან მხოლოდ 2-3 წელი თუ გაგრძელდა, ერაყის მეორე ომის შემდეგ კი თანდათან ანტიდასავლურობასა და გლობალური ზესახელმწიფოს აღდგენაზე აიღო კურსი და თავის მოქალაქეებსაც ასეთი მოლოდინი შეუქმნა, რითაც არა მარტო დასავლეთი დააყენა პრობლემე-

ბის წინაშე, არამედ თვითონაც გაირთულა ცხოვრება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. არავის მოსწონს მისი მეგობრობა ოდიოზურ რეჟიმებთან (ჩრდილოეთ კორეა, სირია, ვენესუელა, ირანი), უკრაინასთან ომის და იქ ჩადენილი უმძიმესი სამხედრო დანაშაულების გამო სერიოზული ფინანსურ-ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული, ხოლო მისი საერთაშორისო რეპუტაცია ნულს უტოლდება, იგი თითქმის სრულ საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფება, სირიის კრიზისი კი მისი მონაწილეობით ისეთ ჩიხში შევიდა, საიდანაც ძნელი მოსაძებნია გამოსავალი. საჭირო არ იყო დასავლეთთან პოლიტიკური კონფრონტაცია; ამით ხომ რუსეთმა ნორმალურ, განვითარებულ, ყველასათვის მისაღებ სახელმწიფოდ და სასურველ პარტნიორად ჩამოყალიბების რეალური შესაძლებლობა დიდი ხნით გაუშვა ხელიდან. ესეც მოსკოვის სტრატეგიული შეცდომა გახლდათ, რომლის გამოსწორებასაც ცოტა დრო არ დასჭირდება სავარაუდოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ საქმე გვაქვს სულ სხვა პოლიტიკურ აზროვნებასა და მენტალიტეტთან, ირაციონალურ და არაადექვატურ, დოგმატურ იმპერიალისტურ აზროვნებასთან, რომელსაც ჯიუტად არ სურს თანამედროვე რეალიების გათვალისწინება და იმის წარმოდგენა, რომ ყველაფრის უფლებას არ მისცემენ, (თორემ ზოგადად იმპერიალისტური აზროვნება და ამბიციები არც დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა ისტებლიშმენტს აკლია), ეს არის „მესამე რომის“ და „რუსული სამყაროს“ მანიაკალური იდეა, [4], რომელსაც საუკუნეებიც ვერ ცვლის და რაც ყველაზე ცუდია, იგივე საუკუნეების მანძილზე ხდება იმ განცდის დამკვიდრება მოსახლეობაში, რომ ვინც ამ იდეის წინააღმდეგია, ის მოსისხლე მტერია, რომელსაც ხშირად მასობრივ ფსიქოზამდე მიჰყავს ხალხი. ასე შეიძლება ნებისმიერი ხელისუფლება თავი მიერვე ზომბირებული ხალხის მძევლად იქცეს.

NUGZAR DURMISHIDZE

STRATEGIC MISTAKES OF THE WEST AND RUSSIA WHICH LED TO THE PRESENT DAY

Summary

In presented article „Strategic Mistakes of the West and Russia that Infuenced on now days“, considered actual problem making compecated relations between the West and first of all United States and Russia in international politics and we tried to explane fundamental reasons of problem. Are analised strategic mistakes, that provides the present situation.

Its necessary for opposite sides try to prove the mistakes for keeping the peace and stability in the World.

Keywords: *international relations, world politics, Russia, USA.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბჟეზინსკი ზ., „დიდი საჭადრაკო დაფა“, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2014.
2. ჯენტლესონი ბ., „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, ილიაუნი, თბ., 2015.
3. ცინცაძე ს., „დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე,“ გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2016.
4. Дугин А., «Основы геополитики,» «Артрогея», М., 2009.
5. Шелин С., «Просчеты года. Путин ждал плодов, но они к нему не приплыли», www.rosbalt.ru 2020.05.01

ირმა გოგოლიძე

კავკასია საერთაშორისო ფორმატში და მიგრაციული პროცესები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

მე-19 საუკუნე ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების სასტიკი დაპირისპირების პერიოდია კავკასიაზე კონტროლის მოსაპოვებლად ბრძოლაში. „აღმოსავლეთის საკითხის“ გააქტიურებამ კავკასიის გეოპოლიტიკური რეგიონი დიდი სახელმწიფოების ინტერესისა და დაპირისპირების ობიექტად აქცია. თითქმის მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 საუკუნეშიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის პერიოდული მიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც ცნობილია როგორც „მუხაჯირი“. მიმდინარე საერთაშორისო და შიდაპოლიტიკური მოვლენის გამო მუხაჯირი პერიოდულად განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენდა. ჩვენ გავაანალიზეთ კავკასიის ისტორიის ეს ურთულესი პერიოდი მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ურთიერთობები, მიგრაცია, რეგიონული პოლიტიკა.*

ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობით და გამორჩეული სატრანზიტო ფუნქციით კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიოს გეოსტრატეგიული ანტურაჟის მნიშვნელოვან და აქტუალურ რეგიონს. მართებულად შენიშნავს ვ. ითონიშვილი: „კავკასიის ისტორიული ევოლუციის მთელ მანძილზე ძნელია ისეთი ქრონოლოგიური პერიოდის მიკვლევა, როდესაც მსოფლიო რეზონანსის მქონე ესა თუ ის მოვლენა მეტ-ნაკლები სიმძაფრით კავკასიას არ შეხებოდეს [1. 22].

ჩრდილოეთიდან მოძალებული ქიმერიელების, სკვითების, სარმატების, ას-ალანების, ჰუნების, ხაზარების, ყივჩაღების და სხვა მომთაბარეების შემოსევების გარდა კავკასია წარმოადგენდა აქემენიდური, სასანიდური, სეფიანთა ირანის, ბერძენ-მაკედონელთა, რომაელთა, პონტოელთა, ბიზანტიელთა, არაბთა, თურქსელჩუკთა თუ თურქ-ოსმალთა და რუსეთის აგრესიის ობიექტს. XIX საუკუნე კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლაში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მკვეთრი დაპირისპირების პერიოდია. „აღმოსავლეთის საკითხის“ გააქტიურებამ, რომლის შინაარსს: ხმელთაშუა ზღვის პრობლემა, შავი ზღვის სრუტეების საკითხი, ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების დანაწილება, ახლო აღმოსავლეთში შეუზღუდავი ბატონობა წარმოადგენდა, კავკასიის გეოპოლიტიკური რეგიონი კვლავ აქცია დიდი სახელმწიფოების დაინტერესებისა და დაპირისპირების ობიექტად. „აღმოსავლეთის საკითხში“ რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის ერთმანეთთან წინააღმდეგობრივი ინტერესები გამოიკვეთა. ხელისშემშლელი ფაქტორი, რუსეთის იმპერიის სამხრეთის მიმართულებით ექსპანსიისათვის, აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერია და სპარსეთი, რომელთა მიღმაც სერიოზული ძალა - ბრიტანეთის იმპერია იდგა. ცხადია, ინგლისში ნაკლებად აღელვებდათ ბალკანეთის ამბები, მაგრამ სრუტეებთან რუსეთის მიახლოება თავიანთი ინტერესებისათვის საფრთხედ აღიქვეს და წინააღმდეგობით უპასუხეს [2. 108].

მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფოების კავკასიურმა პოლიტიკამ განაპირობა მიგრაციული პროცესების ინტენსივობა, სახელდობრ, ამ პროცესების ერთი ვექტორი განისაზღვრა რუსეთის იმპერიის ომებით კავკასიაში. სპარსეთთან (1804-1813; 1826-1828) და ოსმალეთთან (1828-1829; 1877-1878) ომების შედეგად რუსეთმა სამხრეთ კავკასია თავის სამფლობელოდ აქცია [3. 45].

ერთი მხრივ, რუსეთის „ქრისტიანული“ დიპლომატიის, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალური პროპაგანდის შედეგად, სამცხე-ჯავახეთიდან მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებას უკავშირდება მუჰაჯირობის[1] პირველი ტალღა [4. 48].

მუჰაჯირობა პერიოდულად მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. მიგრაციული პროცესების ეტაპებიც და გადასახლებების მასობრივი ხასიათიც

[1] კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში მუჰაჯირობის (არაბ. مهاجر მუჰაჯირ „გადასახლებული“) სახელითაა ცნობილი და ითვლება ტრაგედიად, რომელმაც კავკასიის ზოგიერთი უძველესი ხალხები განადგურების ზღვარამდე მიიყვანა.

განპირობდა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით: ყირიმის ომი, კავკასიური ომების დასრულება, ბერლინის კონგრესი. ყირიმის ომის მიმდინარეობისას, რუსეთის ხელისუფლებამ, ევროპულ სახელმწიფოთა მხრიდან კავკასიის გეოპოლიტიკური რეგიონის და ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენების საფრთხის გამო, დააჩქარა „კავკასიური პრობლემის გადაჭრა“ სამხედრო კოლონიზაციით: მთის სისტემური დასახლებების შექმნა კაზაკთა სტანიცებით, კავკასიელთა გადასახლება დაბლობში ან გასახლება ოსმალეთის იმპერიის სიღრმეში. 1859 წელს, შამილის დატყვევებით, რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია - ჩეჩნეთ-დაღესტანი დაიპყრო, ხოლო 1864 წელს კავკასიური ომი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც დასრულდა, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის მასობრივი გადასახლებები. რუსეთმა დაიწყო ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელება: მთიელთა განდევნა მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. აიძულეს ჩერქეზები, უბიხები, აფხაზები, ჩეჩნები, აბაძეხები, შაფსუღები, აბაზინები, ნოღაელები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ოსები, დაღესტნელები და სხვა მთიელნი ოსმალეთის იმპერიაში გადასულიყვნენ. რაც შეეხება გადასახლებულთა რაოდენობას, თავად კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე ბერჟე თვლიდა, რომ ცნობები, გადასახლებულთა შესახებ, არაზუსტი იყო: „სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს მონაცემები, განვსაზღვროთ, თუნდაც მიახლოებით თითოეული ტომის რაოდენობა. გადასახლება რომ წარმართულიყო სისტემატურად და ჩვენი ხელისუფლების მეთვალყურეობით, მაშინ იქნებოდა შესაძლებლობა განსაზღვრულიყო თურქეთში გადასახლებული თითოეული ტომის რაოდენობრივი შემადგენლობა. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ გადასახლება დაიწყო კავკასიის სამხრეთ ფერდობზე, შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენი ჯარების გამოჩენამდე. მთიელები, ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი ტომთა პუნქტებიდან მიემგზავრებოდნენ თურქული ხომალდებით, მათ არ აინტერესებდათ დაეთვალათ ვინ და რატომ მიდიოდა თურქეთში. რამდენი ათასი მთიელი იქნა გადაყვანილი კერძო, სახაზინო თურქული გემებით გარკვევა შეიძლება, მაგრამ კონკრეტულად ვინ მიემგზავრებოდა: ბჟედუხები, აბაძეხები თუ შაფსუღები ცნობილი ხდებოდა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მთავარსარდლის მიერ გადასახლების კონტროლისათვის დანიშნული სპეციალური აგენტებიც არასწორად უჩვენებდნენ გადასახლებულთა რაოდენობას. სამწუხაროდ ეს ცნობები ოფიციალურია, მაგრამ - არაზუსტი“ [5. 164-165].

1865 წელს აღმოსავლეთ და ცენტრალური კავკასიის მცხოვრებთა მიგრაციამ კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. თუკი ჩრდილო დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის მიგრაცია კავკასიურმა ომმა და მისმა შედეგებმა განაპირობა, 1865 წელს გადასახლება განხორციელდა რუსეთის ხელისუფლების მიერ „არასაიმედო“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან გათავისუფლებისა და მათი მიწების კოლონიზაციის მიზნით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაღესტნელები და ოსები მცირე რაოდენობით გადასახლდნენ, დაღესტნისათვის ეს ოსმალეთის სიშორით აიხსნება, ხოლო ჩრდილო ოსეთში მუსლიმები შედარებით მცირერიცხოვანნი იყვნენ და კავკასიის ომში არ მონაწილებდნენ. აღმოსავლეთ კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება სხვაგვარი ფორმით მიმდინარეობდა მოგვიანებითაც: დაღესტანში 1873 წლამდე ლეგალური გზებით გადასახლების ნებას აძლევდნენ და წასვლის წინ უცხადებდნენ, რომ რუსეთის იმპერიის საზღვრების დატოვების შემთხვევაში უკან დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდათ. მიგრაციული პროცესები ასევე შეეხო ქართველებს, სომხებს, ქურთებს, აზერბაიჯანელებს, ყუმიხებს.

ოსმალეთის იმპერია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობდა კავკასიელთა მუჰაჯირობას:

- სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესები: რუსეთთან ომის შემთხვევაში, რუსეთისადმი გაბოროტებული ფანატიკური მოსახლეობის საყრდენ ძალად გამოყენება; არმიის გაძლიერება კავკასიელი მთიელებით და მათი დასახლება სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში; კავკასიელების ჩასახლებით ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მცირე აზიაში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება, ხოლო ბულგარეთში ქრისტიანებისა და მუსლიმების გათანაბრება;
- ეკონომიკური ინტერესები: ცარიელი და მცირედ დასახლებული ტერიტორიების სამეურნეო ათვისება;
- რელიგიური ინტერესები: ყველა მუსლიმის მფარველობის ხაზგასმა.

ორივე იმპერია შეთანხმდა: რუსეთი მატერიალურ და მორალურ დახმარებას გაუწევდა

მუსლიმთა გადასახლებას, ხოლო ოსმალეთი უზრუნველყოფდა მათ მიღება-დაბინავებას. მიგრაციულ პროცესებში თითქოსდა რელიგიური მომენტი დომინირებდა, რეალურად კი განმსაზღვრელი იყო პოლიტიკური ფაქტორი. თურქმა ემისრებმა, ადგილობრივმა ზედაფენებმა და სასულიერო წრეებმაც საკმაო ზეგავლენა მოახდინეს. მოსახლეობის მიგრაცია ორგანიზების გარეშე მიმდინარეობდა. ვერც თურქული და ვერც რუსული ფლოტი ვერ უზრუნველყოფდა უზარმაზარი ნაკადის გადაყვანას, ამიტომ ნაწილობრივ გამოყენებული იქნა ინგლისის, საბერძნეთის ფლოტიც. გადაყვანის ლოდინში მუჰაჯირებს ღია ცის ქვეშ, შიმშილსა და სიცივეში უწევდათ ცხოვრება, დაიღუპა უამრავი ადამიანი, გაჩნდა ეპიდემიები. ოსმალეთის ხელისუფლება, რომელიც თავიდან პროვოცირებდა კავკასიელთა ემიგრაციას, როცა ათასობით გაუბედურებული ადამიანი მიაწყდა ოსმალეთის საზღვრებს, მათი დაბინავების სურვილიც აღარ ჰქონდა. გადასახლებულთა დიდი ნაწილი პორტებშივე ჩერდებოდა, ხშირად თვეების ან მთელი წლის მანძილზე აქვე უხდებოდათ ცხოვრება უკიდურეს სიღატაკეში. მცირე ნაწილმა მოახერხა უკან დაბრუნება, თუმცა, პროცესის მასობრივი ხასიათის მიღებისთანავე, რუსეთმა აკრძალა და ზომებიც მიიღო გადასახლებულთა დაბრუნების შესაჩერებლად.

გადასახლებულთა ნაწილს, ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით, ბანაკებში ათავსებდნენ. ბანაკები იყო ტრაპიზონის მახლობლად, სინოპში, სამსუნში, ვარნასა და სხვა პუნქტებში. გადასახლებულთა 50% დაიღუპა ეპიდემიებისა და მგზავრობის გამო, გადარჩენილთა დაახლოებით 15%, ძირითადად ქალები და ბავშვები, მონებად გაყიდეს.

ბერლინის კონგრესმა ძალაში დატოვა სანსტეფანოს ხელშეკრულების 61-ე მუხლი, რომლის თანახმად, რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას უფლება ჰქონდა, სურვილისამებრ, სამი წლის მანძილზე, გადასახლებულიყო ოსმალეთის იმპერიაში. აჭარიდან ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ორ ეტაპად: ოსმალურ და რუსულ ეტაპებად მიმდინარეობდა. ოსმალურ ეტაპზე მიგრაციას ხელს უწყობდა ოსმალეთის პოლიტიკა: წასაყვანი ხალხის შესაგროვებლად ჩამოდიოდნენ ხოჯები; მოსახლეობის ნაწილი დაპირებებით დაითანხმეს, ნაწილი კი იძულებით განდევნეს მშობლიური მიწა-წყლიდან. რუსულ ეტაპზე გადასახლების განმსაზღვრელი მიზეზი რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა, რუსული მმართველობის დამყარებისთანავე შექმნილი ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმი აღმოჩნდა. „ბათუმის ოლქის მოსახლეობის თავიდან მოცილების“ მიზნით გაიზარდა გადასახადები, დაწესდა ფულადი გადასახადი ნაცვლად ნატურალურისა და სხვ.

ცხადია, რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკა, ოსმალეთის ხელისუფლება და ფანატიკური მუსლიმური ხელმძღვანელობის აგიტაცია-პროპაგანდა გახდა გადასახლების უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი. იყო შემთხვევები, როცა მუჰაჯირობა ნებაყოფლობის ელემენტებსაც შეიცავდა. მიგრაციის ამ პროცესს საკმაოდ დიდი მასშტაბები ჰქონდა, თუმცა, ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების გამო, ზუსტი რაოდენობის დასახელება შეუძლებელია. გადასახლების მასშტაბებზე ეს საარქივო მასალაც მეტყველებს: ,,თითქმის დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, მაჭახელა, ტაო, აჭარა, ქობულეთი“ [6].

ქართველი მუჰაჯირები დასახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე (ჭანეთის ტერიტორიზე), დასავლეთ თურქეთში, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნაწილი კი - სტამბოლსა და სხვა ქალაქებში. ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება ინტენსიური იყო ყარსის ოლქშიც. გადასახლება ასევე შეეხო ყუბანის ოლქის მოსახლეობას და ყარაჩაელებს.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყო ბათუმის ოლქის მასობრივი კოლონიზაცია. მუჰაჯირთა მიწები შავი ზღვის სანაპიროების გასწვრივ ძირითადად რუსი კოლონისტების ხელში გადავიდა. რუს მოახალშენეთა დასახლებების პარარელურად შეიქმნა სომეხთა კომპაქტური დასახლებებიც. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ბათუმსა და მის მიდამოებში ოსმალეთიდან ჩამოსახლდნენ ბერძნებიც, რომელთა რაოდენობამ 1907 წლისათვის 6000-მდე მიაღწია.

ამგვარად, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა, რელიგიურმა იდეოლოგიამ, სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ განაპირობა მიგრაციული პროცესები კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში, რასაც ტრაგიკული შედეგები ჰქონდა კავკასიის მოსახლეობისათვის. ამ გადასახლებებმა გენოციდამდე მიიყვანა: უბიხები, საძ-ჯიქები, შაფსუღები, აბაძეხები, ნატუხაელები და სხვები. ცხადია, მიგრაციული პროცესები ვერ მიიღებდა ასეთ მასობრივ ხასიათს, რომ არა, ერთი მხრივ, რუსეთის

კოლონიური პოლიტიკა, ამ მხრივ მთიელთა ემიგრაცია წარმოადგენდა რუსეთის მიერ დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ერთგვარ ფორმას; ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკა, რომლის გავლენაც ზოგიერთ ხალხებზე საკმაოდ მძლავრი იყო. მართებულადაა შენიშნული წიგნში „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“: „რა მიზნებიც და მოტივებიც არ უნდა ჰქონოდათ რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს, ასევე ამ გადასახლების ორგანიზატორებს მთიელთა ზედაფენებიდან, ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება კავკასიელი ხალხის მიმართ უმძიმეს პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენდა და მასში თანაბრადაა დამნაშავე როგორც რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობები, ასევე მთიელთა პრივილეგირებული ფენები“ [7. 139].

მუჰაჯირობა ქართველი ერის ისტორიაში სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ერთ-ერთ უმძიმეს ტრაგედიად [8. 6].

დასკვნის სახით მივიყვანთ ჰ. კისინჯერის მართებულ შენიშვნას: „ისტორია არ გვთავაზობს სახელმძღვანელოს, ან თუნდაც ანალოგიებს, რომლებიც სრულიად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ისტორია გვასწავლის მაგალითით“ [2. 1068]. კარგი იქნება თუ გავიაზრებთ და გავაანალიზებთ წარსულში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს, მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი ქვეყნების კავკასიურ პოლიტიკას, ვიპოვით მინიშნებებს, რომლებიც დაგვეხმარება შემდგომი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაში [9. 119].

მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები ზეგავლენას ახდენს ნებისმიერ სახელმწიფოზე და განსაკუთრებით პატარა ქვეყნებზე. სწორედ ამ რაკურსით: მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში გავაანალიზეთ კავკასიის ისტორიის ეს ურთულესი პერიოდი. ისტორიული მაგალითების შესწავლა, სწორი ანალიზი განსაკუთრებით აუცილებელია დღეს, როცა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი ისტორიული პერიოდის თავისებურებებმა უამრავი რთული შიდა და გარე გამოწვევების წინაშე დაგვაყენა.

IRMA GOGOLIDZE

CAUCASUS IN INTERNATIONAL FORMAT AND MIGRATION PROCESSES (SECOND HALF OF THE 19TH CENTURY)

The 19th century is a period of fierce confrontation between Ottoman Empires and Russian Empires in the fight for getting control over Caucasus. Activation of the "Eastern issue" made the geopolitical region of the Caucasus an object of interest and confrontation of the great powers. During almost the whole 19th century and in the 20th century too before the beginning of the World War I there was a Periodic migration of local population to Ottoman Empire taking place, which is known as "Mukhajir". Because of on-going international and inner-political event the Mukhajir periodically acquired particularly massive scale. We analyzed this most difficult period in the history of the Caucasus in the context of world politics.

Key words: *international relations, migration, regional policy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ითონიშვილი ვ., „ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან“. თბ., 2002.
2. კისინჯერი ჰ., „დიპლომატია“. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბ., 2021.
3. გაჩეჩილაძე რ., „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“. ბ. სულაკაურის გამომცემლობა. თბ., 2017.
4. ფუტკარაძე თ., „აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში“, ბათუმი. 2005.
5. Берже А.П., „Выселение горцев с кавказа. „Русская старина“. 1882.
6. სცსსა, ფ., 545, აღწ., 1, ს., 91, ფურც., 19.
7. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი II, თბ., 1978.
8. ხორავა ბ., „აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა“, თბ., 2004.
9. გოგოლიძე ი., „საქართველო მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში (ბათუმის ოლქის მაგალითზე)“, VII საერთ. სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები, ქუთაისი, 2022.

გიული მურადაშვილი

შოთა რუსთაველის ერთ-ერთი ბწკარედი - „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან“ (შეფასება) [1] [2]

შეფასებულის მიხედვით შოთა რუსთაველის პოემის („ვეფხისტყაოსანი“) თემას არა აქვს ცალი მსოფლიო ლიტერატურაში; სიტყვას და რითმათა ტალღას შერწყმული შინაარსი პაექრობს აღმოსავლურ და დასავლურ პოეზიასთან; ორიგინალურია იმითაც, რომ სახეზეა ქართული სიტყვის სარბიელი ფერისცვალების ნიჭით, სიღრმე-სიმათლის იდუმალებამ მიაღწია ზენიტს, გამოავლინა რუსთაველის მსოფლმხედველობა; ამ გაგებით გვსურს ვახსენოთ ერთ-ერთი უიშვიათესი ბწკარედი: ***„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი, შენ მიშველე-რა ტყვე ქმნილსა“.*** (წასვლა ავთანდილისგან ტარიელის შეყრად მეორედ“, სტროფი უცვლელად არის 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში, გვ. 160) [3. 150].

ხსენებული სტროფი ავლენს შეფასებულის სამართლიანობას, რომელთა კვალად XI საუკუნეში გახდა აშკარა მიბრუნება ანტიკური ძირებისკენ; ხსენებულმა განწყობამ ჰპოვა ასახვა აგრეთვე რუსთაველის პოეზიაში პლატონის ხსენებით, რაც პოემის ფორმას და შინაარსს არის შერწყმული; მასთან ერთად, რაც იყო საუკუნეთა უწინ - მას აქეთ და იქეთ - ჭირსა და ლხინში ღირსეული; ამ გაგებით „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ - გარდაწვდა რჩეულთ საუკეთესოთა შორის - სილამაზის, ცოდნის, სიბრძნის ქება „ვეფხისტყაოსანი“.

საკვანძო სიტყვები: *შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, პოეზია. ფილოსოფია.*

ვის ხატად მზისად გიტყვიან, მის მზიანისა ღამისად,
ერით-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გმორჩილებემ ციურნი ერთი იოტის წამისად“.

შოთა რუსთაველი

რუსთაველის ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ შეუფასებია დავით ჩუბინაშვილს 1842 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ნარკვევის საფუძველზე.

„ფილოსოფიის დამოწმება - ზოგან აშკარად, ზოგან შეფარული - ოღონაც ისე, რომ ადვილია მათი ამოცნობა - ავლენს კლასიკური ფილოსოფიის ცოდნას“ („რუსთველოლოგიური გამოკვლევები XIX საუკუნეში“) [4. 11]; ხსენებული წიგნის საფუძველზე ისტორიულმა ცნობებმა, შედარებებმა, პარალელებმა ჰპოვა დაგვირგვინება; XIX საუკუნის მოღვაწეთა (ი. ბარიატინსკი, ნ. მარი, კიევის მიტროპოლიტი გ. ბოლშოვიტვინოვი) შეფასების მიხედვით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არის „ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიური მხატვრობა“ [4. 21]. „მისი უმჯობესი ევროპაშიც არ მოიპოვება“.

თუ რამდენად სამართლიანია პოეტურად შემკობილი ბწკარედი „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინათ“ - მსურს იმის ხსენება, რამაც ასახვა ჰპოვა დამოუკიდებელი ფილოსოფიის სახასიათო ფორმით; ახსენა სოლომონ დოდაშვილმა შუასაუკუნეთა ლოგიკის არსი - შეუთანხმოს გონების ჭეშმარიტებანი ქრისტიანული ღვთისმეტყველების ჭეშმარიტებას დიალექტიკის გამახულობათა საფუძველზე“ [5. 59].

სოლომონ დოდაშვილმა ლაკონურად განმარტა არსებითი; ის, რომ არისტოტელემ დიალექტიკის ფუძემდებლად სცნო ზენონი, ვინც განავრცო პარმენიდეს მოძღვრება [5. 52].

გვიან, XX საუკუნის დამდეგს - დიალექტიკის საიდუმლო, - რაც არის წინასწარმეტყველების თანაარსი, - ჰაიდეგერმა ჩამოაყალიბა იმ გაგებით, რომ პარმენიდეს მხრივ მოაზრებული

ფუძეცნება „E“ - უზოგადესია მათთვის, ვინც იგი უწყის...

ხოლო ჰერაკლიტემ გაუსწრო პარმენიდეს: მის მიერ მოაზრებული ცნება, „Werden“ გამოვლენას გულისხმობს, რაც „მყოფის“ (პირველარსის) განჭოლია და მისგან განუყოფელი (M. Heidegger, „Wegmarken“).

რათა სათქმელს მოეყაროს თავი, პარალელის მოხმობას - ს. დოდაშვილის და მ. ჰაიდეგერის ნააზრევის ხსენებას რუსთაველის თქმულთან მიმართებაში - აქვს გამართლება იქიდან გამომდინარე, რომ შემოქმედება გარდასახვას გულისხმობს; ავლენს იმას, რომ „შოთა რუსთაველმა მაღალმხატვრული ფორმით თქვა სხარტად - სანთლით საძებნი იშვიათი ბწკარედი“:

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ - ხალისობს მასში დედამიწა, ცა, ადამიანი, სამყარო.

GIULI MURADASHVILI

ONE OF SHOTA RUSTAVELI'S BTSKAREDI - IN WHOSE IMAGE THEY CALL YOU GOD" (EVALUATION)

Summary

According to the assessment, the theme of Shota Rustaveli's poem ("Leopard's Skinner") has no place in world literature; The content combined with the word and the wave of rhymes is similar to Eastern and Western poetry; It is also original in that it shows the rapidity of Georgian poetry with the talent of changing colors, the mystery of depth and beauty has reached its zenith, it has revealed Rustaveli's worldview; In this sense, we would like to mention one of the rarest btskaredi:

"In whose image the philosophers of old will say you are God,

You saved me from being a captive."

(Going from Avtandil to Tariel for the second time", the stanza is unchanged in the anniversary edition of 1966, p. 160) [3. 150].

The mentioned stanza shows the justice of the assessment, which in the 11th century was followed by a clear return to the ancient roots; The mentioned mood was also reflected in Rustaveli's poetry by mentioning Plato, which is combined with the form and content of the poem; With him, what was centuries ago - he is worthy here and there - in plague and in Lkhin; In this sense, "in whose image the ancient philosophers call you a god" - the praise of beauty, knowledge, and wisdom of "the tiger" was translated among the best of the chosen ones.

Key words: *Shota Rustaveli, "A Tiger Skinner", poetry. philosophy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მურმან თავდიშვილი „დაბნეული ქარავანი“, ჟურნალი „პარალელი“. 2018. #10; ცხადაძე ბ., ცხადაძე ე., „ერთი სიტყვაწარმოებითი მოდელის წარმმავლობისთვის „ვეფხისტყაოსანში“, გვ., 101; ნუცუბიძე თ., „შალვა ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, გვ., 136; სიგუა ს., „საერო მწერლობა, აღმოსავლური და ანტიკური იმპულსები.
2. ოტობაია გ., „რევაზ მიშველაძის რომანების თავისებურება“, „მწერლის გაზეთი“, თბ., 2018.
3. „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1990.
4. მოსია ტ., „რუსთველოლოგიური გამოკვლევები XIX საუკუნეში; თბ., 2018.
5. [2] დოდაშვილი ს., „თხზულებანი“, თბ., 2001.

[*]ომი პოლიტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და როდესაც მოლაპარაკებებისა და დიპლომატიური ურთიერთობის რესურსი იწურება, პრობლემის გადასაჭრელად ქვეყნები ომს მიმართავენ, ომის განმარტება კარლ ფონ კლაუზევიცმა (178-1831) შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით“. ხოლო ჰედლი ბულის განმარტებით, „ომი არის ორგანიზებული ძალადობა, რომელსაც ახორციელებს ერთი პოლიტიკური ერთეული მეორის მიმართ“ (H. Bull, The Anarchical Society, გვ.184).

ეთერ თაკალანძე

მინიშნებები ქრისტე-სიტყვიდან: დედამიწის ეკოლოგიურად გაწონასწორების საკითხისათვის

ე. თაკალანძის სტატიაში „მინიშნებები ქრისტე-სიტყვიდან: დედამიწის ეკოლოგიურად გაწონასწორებიბს საკითხისათვის“ - ახსნილია „მერწყულის“ ერას მორიგი, 2000-წლიანი ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით, დედამიწაზე მეორედ მოსული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერების - ქრისტე-სიტყვის სოციალურ-მეცნიერული არსი; წარმოჩენილია ადამიანური გონის კეთილგონივრული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობიერების 2000-წლიანი ეტაპობრიობით გახანგრძლივების გზა.

აღნიშნული გზა, რომელიც ქართული დედა-ენის, იგივე, ლაზარე-ენის 37 ანბანის, ასო-ნიშნის და, ამდენივე ასო-ბგერის ამსახველი, საიდუმლო ციფრული ნიშნების მიხედვით აიგება, წარმოაჩენს „მერწყულის“ ერას ე.ი. ამჟამინდელი კაცობრიობის სრულწლოვანთა თაობებს, როგორც მისიონერმა, თავისი სამშობლო-ქვეყნის თვითგანვითარება-თვითმყოფადობის 2000-წლიანი ეტაპობრიობით განვითარება-გახანგრძლივების აქტორად; წარმოჩინდება ამ ახალი ერას თაობის მიმართ, უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონის განსაზღვრულობით მოქმედი, სოციალურ-მეცნიერული კანონზომიერება - ლაზარე; აშკარავდება, რომ ამ კანონის ზეგავლენა ადამიანის სხეულთან მიმართებაში, თავისივე გრძნობით ორგანოების მეშვეობა, რაც, თავისთავად არის მისი სულიერი ენერგიის დადებითისა ან/და უარყოფითის სულიერი ძალის გამომწვევი, მისსავე ორგანიზმში ქმნის ზემოხსენებული, საიდუმლო ციფრული მინიშნების ბაზაზე, შესაძლებლობას, აღასრულებდეს დედამიწაზე, საერთაშორისო ენის სოციალურ-მეცნიერულ დანიშნულებას.

საკვანძო სიტყვები: *მართლმადიდებლობა, ქრისტე-სიტყვა, „მერწყულის ერა“.*

დედამიწაზე სასძლო ქვეყნად საქართველოს გამოცხადება, თავისთავად იწვევს კითხვებს სოციალურ-მეცნიერული თვალსაზრისით; სასწაულია, მაგალითად, ის რომ თბილისში 1995.01.09, 14:00 საათზე საქართველოს პრესის წარმომადგენლობისა და სხვა მოწვეული საზოგადოების წინაშე, ქართელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ბა-ნმა აკაკი ჯორჯაძემ უცნაური განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ მიღებული აქვს უმაღლესი სულიერით, ახალი სიტყვა-ღმერთი, იგივე - ქრისტე-სიტყვა; - რომ მას დაევალა ამ ახალი ცნობიერების გადაცემა ქართველი ერისათვის. სიტყვა-ღმერთის შემეცნება-გაზიარებისა და, ამ ნიადაგზე, უკვე მსოფლიოს სხვა, ყველა ერისათვის, თანმიმდევრულად დროში, გადაცემა-გაზიარების, - მსოფლიო მოსახლეობის მიერ ქვეყნების დონეზე, ამ ახალი სიტყვით ხელმძღვანელობის ნიადაგზე, თვითგანვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკურად ორგანიზების მისია.

ახალი სიტყვა (ქრისტე-სიტყვა) „მერწყულის“ ერას თაობებს მიგვანიშნებს, სხვათა შორის, იმაზეც, რომ ბიბლიური ცნობა, დედამიწაზე ქრისტე-ღმერთკაცის დაბადების დროის თაობაზე, არის განსხვავებული, - სულ ცოტა 6 წლით მეტი იმაზე, რასაც აჩვენებს ქრისტიანული წელთაღრიცხვა, ანუ ამ ბიბლიური ცნობით უკვე დადასტურებულია ფაქტიურად, ქრისტე-სიტყვისა და ბიბლიის, როგორც საზოგადოებრივი თვითგანვითარების ისტორიის, ერთიანობა; ამითივე დასტურდება (ირკვევა) ის სიახლეც, რომ დედამიწაზე ქრისტიანული წელთაღრიცხვა „მერწყულის“ ერას გამეორებასთან დაკავშირებით, უნდა აითვალოს უკვე 2001 წლიდან - (1995.01.09. 14:00+6 სთ-დან).

ზემოთ დაზუსტდა რა, მზის გარშემო მერწყულის თანავარსკვლავედის 24000-წლიანი ბრუნვის ციკლისა და, ამასთან, მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის 2000-წლიანი ციკლის (ამ ასტროფიზიკური პროცესების) თანხვედრის ჟამი, ეს ჟამი ხდება დედამიწაზე ვინი-სუბიექტისათვის შემეცნება-გამოყენების, მისი აზროვნების განვითარებისთვის შრომის საგანი, წარმოჩინდება მზის სისტემაში 12 თანავარსკვლავედის გარემოცვაში - დედამიწის ბრუნვის 2000-წლიან ეტაპებად, შემეცნება-გაცნობიერე-

ბის ეროვნული და, ამასთანავე, საკაცობრიო საქმიანობა-მისია; ეს კი, ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგანვითარების საქმიანობა-შედეგია; ის შედეგია, რომელიც, როგორც ამას, დღეს უკვე გვამცნობს ქრისტე-სიტყვა, იძლევა ლაზარე-ენის ასო-ბგერებისა და ასო-ნიშნების ციფრული მინიშნებების ბაზაზე, ერთი მხრივ, დედამიწასა და მზეს შორის და, მეორე მხრივ, მზის სამყაროს სხვა სხეულებს შორის სივრცეებში, ინფორმაციული ნაკადების თვითდინების წესით გაცვლის შესაძლებლობას.

ანუ: ადამიანური მისია მოიცავს მზის სამყაროში, ერთი მხრივ, დროისა და, მეორე მხრივ, ამ სამყაროს სხვა ფიზიკურ სხეულებთან დედამიწის მიმართების საშუალო ფარდობითი მაჩვენებელი (სალდო) დადებითი უნდა იყოს; ეს უკანასკნელი მოთხოვნა ანუ ხსენებული სალდოს ფორმირების პრინციპი, ამ ახალ დროში, უკვე ქრისტე-სიტყვის მცნებებით აშკარავდება - აშკარავდება ქვეყნების დონეზე ეროვნულ-საზოგადოებრივ პოლიტიკური სისტემურობითი ორგანიზების სოციალური მოთხოვნა; მოითოხვება ქვეყნებში, ადგილობრივი მამაკაცების (გვარის გამგრძელებლების) თაოსნობით, თავის სამშობლო-ქვეყანაში მუდმივად მაცხოვრებლობის, ხოლო ქალიშვილების (ქალების) გათხოვების საქმეში. „შერეული ქორწინების“ პრაქტიკის, ახალ ერაშიც დატოვება; ანუ ამ უკანასკნელი ფორმითაა მინიშნებული, მსოფლიო მოსახლეობაში ეროვნებათა შორის მეგობრობის წახალისების პოლიტიკურ-ეკონომიკურ მექანიზმში კვლავაც ასახვის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნა.

ქართულ, იგივე ლაზარე-ენაში, ქართველი ერის თვითგანვითარების სოციალური მოთხოვნიდან გამომდინარე, მიანიშნებს - **ვინი** - **ს**უბიექტის **ე**როვნული **თ**ვითშეგნების **ნ**ათესაურად **ო**რგანიზაციულ **ს**ისტემაზე; ანუ, ამ უკანასკნელი სისტემის მიხედვით, ამა თუ იმ ერის ყოველდღიური მეტყველების დიალექტიკური სხვადასხვაობის მიუხედავად, ყოფა-ცხოვრების წესებით, სარწმუნოებითა და ზნეობრივ-მორალური პრინციპების ბაზაზე, დედამიწაზე, კონკრეტულად, კავკასიაში, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით ურთიერთისგან გამოყოფილნი, მაგრამ სულიერი ერთიანობით გეოგრაფიული, სოციალური და ადამიანური გარემო-პირობებით შეკრულნი, ჰქმნიან თემის, იგივე ტომების სახით, ერთი კონკრეტული ერის სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას; აქვე აშკარავდება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიულ სივრცეში, მკვიდრად მობინადრე დანარჩენი სოციალური ერთეულების (ფლორა, ფაუნა) მოვლა-პატრონობა-გამოყენების საქმიანობის შეთავსებას ეროვნულ თვითგანვითარებასთან;

ლაზარე-ენის, როგორც საერთაშორისო ენის, მსოფლიოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ენად კონსტიტუციურად დაკანონება, მოიცავს ამ ენაში ქართული ანბანის 37 ასო-ნიშნისა და ასო-ბგერების ციფრული მინიშნებების მსოფლიო მოსახლეობის დონეზე, საკუთრივ, ამ მიმართების დროთა გათვლების ნიადაგზე, თავად, ვინის პირადი, ფიზიკური მოძრაობების (აზროვნება, ფსიქიკა, ნება, სურვილი, შრომა და ა.შ.) მიზანმიმართულად წარმართვის შესაძლებლობას. ანუ სამყარო-სივრცეში, ადამიანური წარმონაქმნი ბგერებისა და, შესაბამისად, სიტყვათა წყობისა და აზრების ურთიერთთან მიზიდულობის ძალის ბაზაზე, იქმნება თვითონ ადამიანის ორგანიზმში, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სულიერი ძალებისა ცალ-ცალკე, თავმოყრა, რომლებიც, თავ-თავის მხრივ, ურთიერთს განიზიდავენ და, სედეგად იქმნება ადამიანის ორგანიზმში ამ ორ ძალას შორის განზიდულობის, - წინააღმდეგობის განცდა-პროცესი; ადამიანში ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობა-განცდა, მისი არსებობის შენარჩუნებისათვის საჭიროებს ამ ორ ძალას შორის დადებითი ბალანსირების შენარჩუნების გარდაუვალობას; აქედან გამომდინარე, ოჯახის უფროსის (მამაკაცი, ქმარი) გვარის, გენის, თაობიდან თაობაში გახანგრძლივების კანონზომიერების (კანონზომიერება-ლაზარე), დაცვა კონსტიტუციურად, სისხლის სამართლის იურიდიული სამართლიანობით დაცვის საგანია. ეს საქმიანობა კი, ვინის ყოფიერებაში, ახალშობილის დედის ორგანიზმში ჩასახვიდან დაწყებული, მის სრულწლოვანებამდე, მშობელი დედისა და მამის მხრიდან სიყვარულის, მზრუნველობის, ზნეობრივ-მორალური აღმზრდელობითი პირობების შემოქმედება-კონტროლირების პასუხისმგებლობას, მეტადრე, მოზარდის სქესობრივი ფუნქციის დაცვის თვალსაზრისით, მოითხოვს; ეს მოთხოვნა კი, ვინი-სუბიექტის მხრიდან ასეთი მისიის აღსრულებისათვის მდგომარეობის დაფიქრებას - საცოლის შერჩევა, ცოლის შერთვა - წინასწარ [ასაკობრივად] განსაზღვრულ დროში მოითხოვს.

მოკლედ, დამდეგი „მერწყულის“ ერას დასრულების ჟამს, დედამიწაზე ვინი-სუბიექ-

ტის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ინფორმირებულობა, უკვე უნდა მოიცავდეს, ასტრო-ფიზიკური და დედამიწისეული ერთიანი პროცესების შედეგების თაობაზე, ზემოხსენებული ინფორმაციული აკადების ფლობას; ეს არის თვითდინებადი ნაკადები, ინფორმაციებისა, დედამიწის ამა თუ იმ ქვეყნის მძლეველობის შესახებ, რომლებიც გახმაურდება რა მსოფლიო მოსახლეობაში, ყოველწლიური ანგარიშგების წესით, მიეწოდება თვითდინებით, ჯერ, ზენა (ციური) სხეულებრივ სივრცეებში, ხოლო პასუხებადაც, ამ სხეულებიდან მიეწოდება უკვე დედამიწასაც; მიეწოდება, ცხადია, თავიდანვე, სასძლო ქვეყნიდან, ამ უკანასკნელის ყოველწლიური ინფორმაციული, სტატისტიკური ფორმებითა და შინაარსით გადასული, თვითდინებადი ინფორმაციული ნაკადების პასუხებად, მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ნაკადები ამ ქვეყნის მძლეველობას ადასტურებენ; სასძლო ქვეყანაში ეს ხდება მხოლოდ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, ანუ ეს (საპასუხო) ინფორმაცია მიეცემა ახალი სიტყვის სახით, ერთს კონკრეტულ მამაკაცს დედამიწაზე, შერჩეულს, სასძლო ქვეყანაში თავად, სულიერი ძალების მიერ, როგორც ჩანს, დამსახურებით, ამ რჩეულის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან გამომდინარე; გადაეცემა ეს ახალი სიტყვა ამ რჩეულს - სასძლო კაცს, სასძლო ერის მასთან გაზიარების, გაცნობიერება-გათავისებისა და თავის ქვეყანაში დამკვიდრების, ასევე სასძლო ერის მიერ ოფიციალურად, სასძლო კაცისავე ხელმძღვანელობით, ყველა სხვა ერისათვის გადასაცემად; - გადასაცემად, სათანადო რიგითი თანმიმდევრულობით, შესამეცნებლად და სახელმძღვანელოდ, თავ-თავის ქვეყნებში თვითგანვითარების საქმიანობაში.

ზემონათქვამში გამოიკვეთება ის სოციალურ-ეკონომიკური რეალობა, რომ ქრისტესიტყვა არის ასტრო-ფიზიკურად განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა; ამასთან, ეს ახალი სიოტყვა წარმოჩინებულია, როგორც ეროვნული, კონსტიტუციური, პოლიტიკური თეორიული იდეოლოგია; ეს თეორია, რომელიც ეფუძნება ქვეყნის ადგილობრივი, მუდმივად მაცხოვრებელი მოსახლეობის, მეტადრე, მამაკაცების გვარის ვინი-სუბიექტების ოჯახების სრულწლოვანი წევრების (ე.ი. სახელმწიფო ხელისუფლების ყოველი ამომრჩევლის) ნების კონსტიტუციურად დაცვას - წარმოაჩენს ამ პრინციპს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასტრო-ფიზიკური მეცნიერების ბაზაზე აგებულს, ვინის თვითმყოფადობის საქმიანობა-მისიის აღსრულების გზას. უფრო კონკრეტულად: ეს საქმიანობა, რომელიც, ძირითადად, ქვეყნის სახელმწიფოებრივ საარჩევნო კოდექსით უნდა მოწესრიგდეს და, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, მოითხოვს, სახელმწიფოებრივი საარჩევნო შედეგების (ბიულეტენი) საარჩევნო პროგრამების მიხედვით რეგისტრირებას, რატომღაც, არა კეთდება; ბიულეტენების „ბითუმად“ ჩაყრის პრაქტიკა, რომელთაც ამომრჩევლის პოლიტიკურ-ეკონომიკური და მორალური პასუხისმგებლობის ბალანსირების სოციალური მოთხოვნის იგნორირებას განაპირობებს, ქმნის არჩევნების გაყალბების შესაძლევლობებსაც, ბუნებრივია, ხელისუფლების მემარცხენე ძალების ხელში; ამის გამო, სულ უფრო და უფრო აშკარავდება ის, რომ მატერიალისტური და, მეტადრე, კაპიტალისტური საზოგადოებრივი თუ შრომითი ურთიერთობებისა და ფორმაციების სტაბილიზაციამ, - ბიზნესის აქტივიზაციამ უკვე აშკარად გამოავლინა ამ ფორმაციების უარყოფითი ზეგავლენა ადამიანი-სუბიექტის მორალისა თუ ფსიქიკის, მისი კეთილგონივრული ხასიათის, უნარებისა თუ ჩვევების ფორმირების მიმდინარეობაზე; - წარმოჩინებულია ამ ფორმაციების სოციალისტურად გარდაქმის გარდაუვალობა.

2001 წლიდან საქართველოში თალმუდისტთა კლანური მმართველობის ფარულად გამტარებლების საპირისპიროდ, უკვე მოქმედებდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ სივრცეში, ახალი ასტრო-ფიზიკური სულიერი ძალა ქრისტე-სიტყვა; ეს უკანასკნელი ზემოქმედებდა ადამიანურ აზროვნებაზე, დედამიწაზე ადამიანური კეთილგონივრული ყოფისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის დაცვის თვალსაზრისით.

ახალი სიტყვის, ე.ი. დადებითი სულიერი ძალის, თალმუდისტ-მასონთა უარყოფით სულიერ ძალასთან მიმართებაში მძლეველობა გამოიხატება, თავად ერის თვითგანვითარებისუნარიანობაში, - ამ თვალსაზრისით მის ერთსულოვნებაში; ამგვარი ერთსულოვნებაც, რომელიც, მზის სამყაროს სხვა სხეულებთან, დედამიწის მიმართების დადებითად დაბალანსებას მოითხოვს, მხოლოდ, მათი საშუალო ფართობითობის მაჩვენებლებით, მხოლოდ ამ ფასეულობის დადებითი სალდოს ფორმირების პირობებში არის შესაძლებელი, რამეთუ, მზის სამყაროს სხეულებთან დედამიწის მიზიდულობა-განზიდულობის ძალის დადებითად დაბალანსება, რაც დედამიწაზე ვინის თვითგანვი-

თარების გარდაუვალი წინაპირობაა, თავად არის ამ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის გადარჩენის წინაპირობა, ეკოლოგია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენის მიზანს მოემსახურა სოციალური გამოკვლევა - „სიები სიცოცხლის წიგნისათვის“. ამგვარი გამოკვლევა, დადასტურებული ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობიდან 1700000 ზრდასრული მოსახლეობის ხელმოწერით და, დამტკიცებული, სრულად საქართველოს 2002 წლის 15 აპრილის ყრილობის დადგენილებით, ხელთ აქვთ პ/გ „ახალი სიტყვისა“ და „საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის“ მესვეურთა და მხარდაჭერეებს, იმისათვის, რომ გადაარჩინონ ახალი ორიათასწლეულის თაობების სიცოცხლე საქართველოში. სწორედ ამ ქართული სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის იგნორირება, - ამ მიზნით, ხსენებული ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ ტაბუს მდგომარეობაში 28 წლის განმავლობაში „დაპატიმრება“ და, ქართველი ერის დეზინფორმირება, რასაც განახორციელებს ეს „ჩვენი“ ხელისუფლება ზემოხსენებული ექსპერიმენტის სახით, უზენაესი გონის განსაზღვრულობით და ამას თან, გაუცნობიერებლად თავისთვისაც და ამასთან - გაუცნობიერებლად, თავისთვისაც და ქართველი ერისთვისაც, ცხადია, რომ უკვე უნდა დასრულდეს.

ალფრედ სკაიპის თეორია ამერიკაში, 1891 წელს გამოქვეყნდა [4]. ეს თეორია ლუციფერული რელიგიის საპირისპიროდ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიის დამცველია: „თევზების“ ერას დასაწყისში, ალ. სკაიპის ამ თეორიის ექსპერიმენტს ამერიკაში, მოჰყვა, როგორც ჩანს, დიდი სისხლისღვრა და, პარალელურად, ბუნებრივია, დაიმსახურა კიდევაც, სატანისტის მეტსახელიც [5]; აშკარაა ის რეალობაც, რომ ამერიკაშიც და, ზოგადად, დედამიწაზე, ადამიანური ყოფა-ცხოვრება იმ სისხლისღვრას გადაურჩა. ეს უკანასკნელი რეალობა კი, მადლიერმა ამერიკელმა ხალხებმა, მომდევნო თაობების სამახსოვროდ, ამ წარმატებული მეცნიერის ძეგლი ვაშინგტონში რომ დადგა, ცხადია, უკვდავჰყო მისი სახელიც, ამასთან ამ ხალხმა, ასტრო-ფიზიკური დროის უსასრულობაში, დედამიწაზე ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყების ჟამიც, ისევე, მომდევნო თაობების სამახსოვროდ, ჩვენს პლანეტაზე, სწორედ, ქრისტეს პირველად მოსვლის სასწაულით დააფიქსირა [6].

2001-2002 წლებში პოლიტიკური სუბიექტის „სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის, პ/გ „ახალი სიტყვისა“ და მათი მხარდამჭერების გამოკვლევა, ხსენებული, ტაბუს სახით არის დამალული 27-28 წლის განმავლობაში, საქართველოში უკანონოდ შემოჭრეული ხელისუფლების მიერ. ცხადია, ეს არის ხელისუფლება, რომელიც მსახურებს უკვე დედამიწაზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლას. ეს უკანასკნელი მიზანი საქართველოში მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ალ. სკაიპის სოციალური თეორიის ექსპერიმენტის ჩატარება - მისი სოციალური სამართლიანობის გამოკვლევა; ამგვარი მისია მ. სააკაშვილს ქრისტეშობიდან 2000-წლიანი პერიოდის დასრულების ჟამს, უზენაესი გონის კანონის განსაზღვრულობით დაეკისრა; ხოლო ამ ექსპერიმენტმა სადღეისოდ, უკვე წარმოაჩინა არამხოლოდ ხელისუფლების მიერ ერის უფლებების მითვისების კონკრეტული მაგალითი, არამედ, რაც მთავარია, ის, რომ ამგვარი პრაქტიკა - სიცრუე, სიყალბე, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, თავად ამ საზოგადოების თვითგანადგურების გამომწვევია; მოკლედ, ამ ექსპერიმენტის საბოლოო შედეგიც ის არის, რომ დედამიწაზე, სასძლო ქვეყანაში - საქართველოში, ქართველი ერის თვითგანადგურებისუნარიანობა „მერწყულის“ ერას დაწყების ჟამის მდგომარეობით, შენარჩუნებულია; შესაბამისად, წარმოჩინებულია; - ახალ, - „მერწყულის“ ერას თაობების სიცოცხლის, მორიგი 2000-წლიანი პერიოდით გახანგრძლივების წინაპირობა და მისი იდეოლოგიური მძლეველობა, იგივე ქვეყნის ეროვნული დემოკრატიულობის ზღვრული ნორმის $k > 1 +$ თ გადალახვის სოციალური რეალურობა.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში გამორჩეულია თავისი პოლიტიკური დანიშნულება - დატვირთვის თვალსაზრისით, პ/გ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ყოფილი თავმჯდომარისა და საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მისია, რომელიც საქართველოში ქრისტეს მეორედ მოსვლის დროსთან არის დაკავშირებული; უნდა ითქვას, რომ აქ მან ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; როგორც პრაქტიკული რეალობა ადასტურებს, უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონის შესაბამისად, საქართველოს ამ მოქალაქეს დაეკისრა და გახდა იგი, ზემოხსენებული, ალ. სკაიპის სოციალური თეორიის პრაქტიკულად, მეორედ, უკვე საქართველოში გამო-

ცდის აქტორი; აქ მას დაეკისრა საქართველოს ხელისუფლებაში უკანონოდ (საქართველოს ხელისუფლების მემკვიდრეობითობის დარღვევის პირობებში) შემოჭრისა და, ამ ახალი ერას დაწყების ჟამს, ქართველი ერის მხრიდან, ქრისტიანული სარწმუნოებიდან გადახრის ფაქტების გამოვილების მიზნით. თვითონ მ. სააკაშვილისათვის და, ასევე ქართველი ერისათვის გასაიდუმლოებულად, ექსპერიმენტის ჩატარება - ამგვარი ექსპერიმენტის პრაქტიკული შედეგების გამოვლინება; სწორედ ამ მიზნის აღსრულებას, უფრო კონკრეტულად, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ანტიეროვნული აქტის დაშვებამ, განაპირობა საქართველოში გაჩაღებული 28-წლიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კრიზისები მხოლოდ ამ ეტაპზე, როცა იწურება ქრისტე-სიტყვის დედამიწაზე მოსვლისათვის განსაზღვრული დრო (2000-წლეული) და, როცა, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი კი ამ ხელისუფლების ოპოზიციონერია. ეს ოპოზიციონერები არა თუ არ აღიარებენ ქრისტე-სიტყვა-მოვლენას, არამედ, უკვე **თავის მხრიდან სთავაზობენ ჩვენს ერს ეროვნული თანხმობის გზით თვითგანვითარების არჩევანს**. ეს არჩევანი, მთელიკ თავისი სოციალური არსით, არის „ს.ს. ხსნის ეროვნული ფრონტისა“ და პ/გ „ახალი სიტყვის“ მხრიდან უკვე შემოთავაზებული, ახსნილი და გამზადებული დასანერგად ქვეყანაში [7].

ექსპერიმენტიც დასრულდა: 1) პ/გ „ნაც/მოძრაობამ“ გაიზიარა ქრისტე-სიტყვა, როგორც სოციალური მოვლენა - როგორც უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონის განსაზღვრულობა; 2) პ/გ „ქართულმა ოცნებამ“ დაადასტურა, რომ იგი ემსახურება არა ქართულ ეროვნულ საქმეს, არამედ მასონურ-კლანური იდეოლოგიის საქართველოში გატარების საქმეს.

ზემოთ წარმოჩინებული, საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური რეალობა საქართველოს სახელმწიფოებრივმა მედია-საშუალებებმა რომ უნდა ქართველ ერს აუწყოს, ცხადია, ხსენებული ტაბუ უნდა აიხსნას, - სიმართლე, ე.ი. ექსპერიმენტის მიზანი და შედეგები, ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, - მან თავისი საქმე უნდა აკეთოს.

ქრისტე-სიტყვის მოსვლა დედამიწაზე ე.ი. ლაზარე-ენის მკვდრეთიდან აღდგომა, მისი გაცოცხლება, იგივე, **ქრისტეს მეორედ მოსვლის ინსცენირებისა** თუ ექსპერიმენტირებისათვის, უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონის მიხედვით, დედამიწაზე **ვინი-სუბიექტის მიერ გააზრება-გახანგრძლივების გზას წარმოადგენს**.

ბუნებრივია, ყოველი ზემოაღნიშნული, - მიწიერ ბუნებაში თავისი ყოფა-ცხოვრების მისიის აღმსრულებლობისათვის თვითმომზადების ორგანიზების თვალსაზრისით მოეთხოვება ვინი-სუბიექტს (სრულწლოვანი, ჯანმრთელი, შრომისუნარიანი მოქალაქე; შესაბამისად, ერი და კაცობრიობა) გაიცნობიეროს და იტვირთოს სამშობლო ქვეყანაში შრომითი ურთიერთობების გზით სვლაც. მეტიც, - მას მოეთხოვება დედამიწაზე სოციალური ყოფითი ურთიერთობების შემეცნება-განვითარება-დამკვიდრების საერთო-ეროვნული თუ, საერთო-საკაცობრიო ცნობიერების ფლობა-განვითარება ოჯახების, გვარების, თემების დონეზე ასაკობრივად და, მაშასადამე, თაობების მიხედვით, ამასთან, დროში თანმიმდევრულობითა და განუწყვეტლივად; მოკლედ, გამოიკვეთება **დრო** და დროის ერთეული, როგორც **გენერატორი** ადამიანური გონისა და აზროვნების, აზროვნებისუნარიანობის ჩამოყალიბება-განვითარებაში; ეს ყველაფერი კი მშობლიური (მამაშვილური, დედაშვილური) სიყვარულში და მზრუნველობაში, ამასთან, შვილებისა და მოდგმა-თაობების მხრიდან მშობლებისა და, ზოგადად, უფროსი თაობების მიმართ სიყვარულსა და პატივისცემაში, მათი ამგვარი სულისკვეთებით აღზრდაში უნდა ვლინდებოდეს; - ადამიანური ყოფა-ცხოვრების წესებში, მათ ურთიერთობებში, **ცოდვისა** და **მადლის** გაწონასწორებულობა კი, ცხადია, მადლის სასარგებლოდ რომ უნდა დასრულდეს და, რომელმაც თავისთავად, კარგი ადამიანი უნდა წარმოაჩინოს და წაახალისოს არის თვითონ **ვინი-პიროვნების** სიცოცხლის გახანგრძლივების ფაქტორული სულიერი ძალა.

დედამიწაზე, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალდებზე, ოდთგან ლაზური წარმომავლობის მქონე ქართველი ტომები, თავიანთ მომულეთში ცხოვრობენ;

ცხოვრობენ ისინი **სა-ქარ-თველო-ში**, დიდი ისტორიის მანძილზე, მშობლიური - ქართული დედა-ენის ანუ ლაზარე-ენისა და თავისი უძველესი, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური სარწმუნოების ბაზაზე; ეს უკანასკნელი ბაზა კი, თავისთავად, არის ადამიანური (კეთილგონივრული) ოჯახის შექმნისა და ცხოვრების ეროვნულ-საზოგადოებრივი კულტურა და პრინციპები, რომლებითაც, **ვინი-პიროვნება** თუ **ვინი-სუბიექტი**, დააწინაურებს პირადს ვინაობას - კაცთმოყვარეობასაც და თავმოყვარეობასაც; - გახდის კაცთმოყვარე-

ობას პრიორიტეტს, ყველა სხვა ადამიანების დავარქვათ დემოკრატიულ საქმიანობებს შორის.

დროის ამ, მოცემულ, ახალ ეტაპზე, როცა „მერწულის“ ერა საქართველოდან იწყება, საქართველოში დემოგრაფიული სტატისტიკა აფიქსირებს ქვეყანაში, დედაკაცებთან შედარებით, მამაკაცების სიკვდილიანობის ნაადრევ (60-62 წლის) ასაკს. სხვა სიტყვებით: კაპიტალისტური აგრესია, რაც, თავისთავად არის **ვინისა** და **გონის** დაკნინების გზა და, რაც დაიწყო საქართველოში 2008 წლის ომით და, მადლობა ღმერთს, დროულად შეჩერდა; ცხადია, ამ უკანასკნელში გამოიკვეთება ქართელი ერის ე.ი. რუსი ერისიც, ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითგანვითარების ნებაც; მაგრამ, მოძმე ან, თუნდაც, რიგითი, მეზობელი ხალხის თვითმყოფადობისა ან/და მათი ნაამაგარის მიზანმიმართულად მტრულად განადგურება, უდავოდ არის არაადამიანურობა; - ომი, მოკვლა და თვითმკვლელობა ადამიანმა უნდა მოიშალოს; არა და ალფრედ სკაიპის სოციალური თეორიის პრაქტიკაში გამოცდა (ექსპერიმენტი) დედამიწაზე, მის სამშობლოში, ამერიკაში „თევზების“ ერას დასაწყისიდან განხორციელდა და ადამიანების უსაზღვრო სისხლისღვრა რომ გამოიწვია, ამას მოჰყვა ორი, დიდი მსოფლიო ომი და მილიონობით ადამიანური მსხვერპლი; მაგრამ, მადლობა ღმერთს, დედამიწაზე სიცოცხლე გადარჩა; მზის სამყაროში (დედამიწა, მზე, ვარსკვლავები) სიცოცხლე, რომელიც, თავისთავად, გონის თვითგანვითარების კანონის - ლაზარეს შესაბამისად, 2000-წლიანი ეტაპობრიობით გახანგრძლივების პრაქტიკა დაგვანახა; ეს კანონი კი, რომელიც ამას დღეს - „მერწყულის“ ერას დასაწყისში, დედამიწაზე ლაზარე-ენის სამშობლო ქვეყანაში ანუ საქართველოში ქრისტე-სიტყვა გვამცნობს. ძალაშია ამ სამყაროში მხოლოდ 2021 წლის 9 იანვრის 14:00 საათამდე.

მოკლედ, დედამიწაზე, უზენაესი (ასტროფიზიკური) გონის თვითგანვითარების კანონის განსაზღვრით, **ვინი-სუბიექტი** მზის სინათლისა და სინთეზური ენერგიებით რომ სარგებლობს, კონტინენტებისა თუ ქვეყნების მიხედვით, ამ ენერგიათა განაწილების ცოდნის დაუფლებას, - ამ თვალსაზრისით, ვინი-სუბიექტი აზროვნებისა თუ გონის კონცენტრაცია-განვითარებაც, ცხადია, გვინდა!

საზოგადოებამ - „ს.ს. ხსნის ეროვნულმა ფრონტმა“ პ/გ „ახალმა სიტყვამ“ და მათმა მომხრეებმა გავიზიარეთ და გავაზიარეთ რა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობიერების სოციალურ-მეცნიერული საფუძვლიანობა, ჯერ კიდევ 2013 წლიდან ქართულ გაზეთში გამოვაქვეყნეთ სამეცნიერო ხასიათის სტატია სათაურით: „სოციალური კანონზომიერება ლაზარე - ერთადერთი გზა სიცოცხლის გადარჩენისათვის დედამიწაზე“ [9]; ჩვენი აზრით, თუნდაც ამ სათაურიდან გამომდინარე, ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობა, ამ თემაზე დუმილით არ უნდა პასუხობდეს;

გამოდის, რომ ფულის (კაპიტალის) კულტის მაცდური (ეშმაკური) ძალა, - იმპერიალისტური კაპიტალისტური სტაბილიზაცია დაუპირისპირდა ადამიანურ, იგივე, მშობლიურ სიყვარულსაც კი; თუმცა, რაც თავისთავად, მეტადრე საყურადღებოა და უპირისპირდება ყველაფერს, - დედამიწაზე მოავლინა ქრისტე-სიტყვა, იგივე, სიტყვა-ღმერთი (ღმ-ერთი); ეს უკანასკნელიც თავიდან, მხოლოდ იგავებით ესაუბრებოდა ადამიანებს, „მერწულის“ ერაში, უკვე ქრისტე-სიტყვის სახით - გაცხადებულად მოევლინა.

ქრისტე-სიტყვა, როგორც ჭეშმარიტება, „მერწყულის“ ერას კაცობრიობას მოევლინა, ასევე, გაცხადებულად და პრაგმატულად, ქრისტეს ათი მცნების სახითაც.

ირკვევა ის, რომ დედამიწაზე, ქვეყნების დონეზე ვინი-სუბიექტის მიმართ სოციალურ-მეცნიერული მოთხოვნა, 2000-წლიანი ეტაპობრიობით განუწყვეტლივ დროში თვითგანვითარება-თვითმყოფადობაზე, რაც „მერწყულის“ ერას თაობის მიმრთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკულად, გასაიდუმლოებულ ექსპერიმენტულ ვითარებაში განხორციელდა და, რომლის მიმართ რეალური რწმენა ქართველი ერის მხრიდან მაინც, აშკარად იქნა წარმოჩინებული.

ჩვენი აზრით, ძირითადი და, ამ ეტაპზე პრიორიტეტული მინიშნება ახალი ერას კაცობრიობასთან მიმართებაში, ასეთია:

1. დედამიწის, როგორც ასტრო-ფიზიკური, ერთიანი და მთლიანი სხეულის, ერთიანობისა და მთლიანობის, - მისი ეკოლოგიური წონასწორობა-შენარჩუნების დროში განუწყვეტილივად-სამარადჟამოდ!
2. ეროვნულ-საზოგადოებრივი ურთიერთობების მამაკაცსა და დედაკაცს შორის, ერთსულოვნურ ცოლ-ქმურლ სიყვარულზე და ერთგულებაზე აგება;

3. ე.წ. „დიდი“ და „მწიცე“ ერების პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის დაკანონება;
4. პატრიარქატის - მამაკაცური (ძლიერი) სულიერი ძალის მქონე ვინის სახ-ვის პოლიტიკა;
5. კეთილგონიერება და კაცთმოყვარეობა - მთავარი და პრიორიტეტული ორიენტირი, ვინისეული აზროვნების და გონის განვითარება-თვითმყოფადობაში;
6. გენდერული თანასწორობა - ეროვნული, ინტელექტუალური თანასწორუფლებიანობის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემურობის გამოხატულება!

ETER TAKALANDZE

REMARKS FROM CHRIST'S WORDS FOR ECOLOGICAL BALANCING OF THE UNIVERSE

Summary

In the E. Takalandze's work - ,,Remarks from Christ's words for ecological balancing of the Universe'' is explained in connection with the beginning of the next – 2000 yars stage of the Aquarius era on the Earth; the social-scientific essence of the second-coming of Christian-Ortodox religious consciousness – the Word of Christs; The way of prolonging the mentioned way, wich is built according to the letters of the 37 alphabet of the Georgian mother tongue, the same alphabet of the same as Lazarus language, and the same number of letters – the secret digital signs. It represents the present-day adult generations of humanitu, as missionaries, as an actor of prolongation of the self-development of their homeland – the 2000-yars-old devepokment of identity:

1) Is showm the socio-scientific regularity of Lazarus, acting in accordance with the law of the self-development of the Supreme Mind towards the generations of this new era;
2) It is revealed that the influence of this law on the human body through its own sensory organs, which in itself caueses the spiritual force of positive amd/or negative stiritual energu in his-its own body, creates the opportunity to execute the above-metioned secret digital hints on earth, international language for dcientific purposes.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, #1, 01.09.1995.
2. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989; ცნობები.
3. თაკალანძე ე., საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, #34, გვ. 189. თბ., 2016.
4. ჯორჯაძე ა., „ომი - ომი“, გაზეთი „ძველი - ახალი სიტყვა“, #24-25, თბ., 2008.
5. მეუფე სპირიდონ აბულაძე - „რატომ დგას ვაშინგტონში ალფრედ სკაიპის ძეგლი“, ჟურნალი „ქვაკუთხედი“, #9, 2013.
6. თაკალანძე ე., ჟურნალი „მმ ეკონომიკა“, #4, 1999.
7. გაზეთი „ძველი - ახალი სიტყვა“, #4 (203), თბ., 2013.
8. თაკალანძე ე., „კანონზომიერება ლაზარე - ერთადერთი გზა სიცოცხლის გადარჩენისათვის დედამიწაზე“, გაზეთი „ძველი - ახალი სიტყვა“, #27 (143), 2013.
9. თაკალანძე ე., „ადამიანის სული და თამაშის წესები ეკონომიკაში“, ჟურნალი „მმ ეკონომიკა“, #4, 1999.
10. თაკალანძე ე., საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, #47-48, გვ. 348. თბ., 2021.

შთამბეჭდავი წიგნი კაცობრიობის წარსულსა, დღევანდელობასა და მომავალზე

მოსაზრებები **გიორგი მალაშხიას** ახალი წიგნის -
„კაპიტალიზმისა და კომუნიზმის სიძულვილი. გლობალური მეტამორფოზი და კაცობრიობის მომავალი. ჰუმანოიზმი“ - გარშემო

დედამიწის ყოველმა გათვითცნობიერებულმა მცხოვრებმა კარგად უწყის, რომ ცივილიზაციის მიღწეული ეტაპი არ იძლევა ადამიანთა საყოველთაო ბედნიერების გარანტს, რაც, სასურველია, იყოს ბუნებრივი მდგომარეობა.

არსებული სინამდვილე რთულია, კაცობრიობის უდიდეს პროგრესთან, უზარმაზარ მიღწევებთან ერთად, დახუნძლულია შოკისმომგვრელი საშინელებებით - წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით ადამიანებსა თუ ხალხებს შორის, უბედურებებით, განცხრომის გვერდით სიდუხჭირით.

ბევრს ეს არ ადარდებს, ბევრისთვის თავსატეხია, თუ რატომ არის ასე, რატომ არ მოეწყო ცხოვრება უკეთ? რატომ არის ცხოვრება ნებივრობა ზოგისთვის, სატანჯველი ბევრისთვის? რატომ მხოლოდ ზოგიერთი ხალხი და ქვეყანა განვითარდა, ბევრი ჩამორჩა და იქ ადამიანები ყოფას სიღარიბესა და გაუნათლებობაში, წვალებაში ატარებენ და ა.შ.

მრავალი ასეთი კითხვაა დაგროვილი, სათანადო ნათელი პასუხი რომ არაა გაცემული.

მეცნიერება უფრო მეტად სადღეისო პრობლემებზე ამახვლებს ყურადღებას, რაც საჭიროა, მაგრამ არა - საკმარისი. იშვიათად, ღრმა მიზეზებზე და სამომავლო გრძელვადიან მომავალზე არსებული თეორიები არ იძლევა აუცილებელ ცოდნას.

საჭირო და ყველასთვის საინტერესოა აღნიშნულ კითხვებზე ღრმა პასუსი გვქონდეს. ეს არა მარტო შემეცნების, თეორიის სფეროს საჭირდება, არამედ - პრაქტიკას, ცხოვრების სათანადო გაუმჯობესების საქმეს.

მიმდინარე პრობლემებით დატვირთულ დროს უთუოდ ზედმეტი არაა და მოსაწონია აღნიშნული თემების გარშემო მუშაობა, წვლილის შეტანა საჭირო ცოდნის შემუშავებაში და დაგროვებაში. ცხადია, არავის ცალკეულ პირთაგან არ მოეთხოვება სინამდვილისაგან დასმულ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცეს, მაგრამ გარკვეული წვლილის შეტანა მათ გარშემო ცნობიერების ამაღლებაში საგულისხმო ფაქტია და მისალმების ღირსია.

ამ მხრივ საგულისხმო მოვლენად მიგვაჩნია ეკონომისტის, ფილოსოფოსის, სოციოლოგის, პუბლიცისტისა და პოეტის, პროფესორ გიორგი მალაშხიას წიგნის - „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის სიძულვილი. გლობალური მეტამორფოზი და კაცობრიობის მომავალი. ჰუმანოიზმი“ - გამოცემა ევროპული გამომცემლობის palmarium academic publishing-ის მიერ. წიგნი მეტად მასშტა-

ბურია, 886 გვერდს შეიცავს და საკაცობრიო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების საკვანძო თემებს შეეხება. იგი ხასიათდება ზემოთ აღნიშნულ თემებზე ორიგინალური, ახლებური გაგების, ახალი ცოდნის შემუშავებით, დღემდე არსებული შეხედულებების გადასინჯვით, გაღრმავებით და ახალი თვალთახედვის მიწოდებით მკითხველისათვის.

საგულისხმოა, რომ ავტორი მკითხველს უბიძგებს აზროვნებისკენ, რთულ თეორიულ პრობლემებზე დაფიქრებისკენ, შემეცნების პროცესში ჩართვისკენ.

გიორგი მალაშხიას შემოაქვს კვლევის ახლებური მეთოდური ინსტრუმენტარი: ანთროპოცენტრული მიდგომა - ადამიანთა ინტერესების და მათი დაკმაყოფილების კუთხით საზოგადოებრივ მოვლენეთა განხილვა; აქსიომეტრიული ხედვა - ფასეულობათა საზომით ცხოვრების მოვლენათა ანალიზი; ევდემონისტური - ადამიანთა ბედნიერების კუთხით მოვლენებისა და პროცესების განსჯა და დასკვნების გამოტანა; გენეტიკური ხედვა - მემკვიდრეობითი ფაქტორის როლის წარმოჩენა განვითარების პროცესში. ეს მიდგომები მას ღრმა თეორიული დებულებების წამოყენებასა და დასაბუთებაში უწყობს ხელს.

გიორგი მალაშხია ახალი რაკურსით - საკვანძო საცობრიობო ფასეულობების - ეთიკურობისა და სამართლიანობის ასპექტით განიხილავს ისტორილ ეტაპებს, ამ ფონზე აანალიზებს და აფასებს საკაცობრიო ისტორიის ეპოქებს. მისი მიდგომა, ამ თვალსაზრისით, დამაჯერებლად მიგვაჩნია. ისტორიის ეტაპების დამახასიათებელ ნიშნებს უთუოდ ნათელყოფს ცხოვრების ეთიკურობა და მოვლენათა სამართლიანობის ხარისხი - ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა შესაბამისობა ეთიკის ნორმებთან, სამართლიანობასთან, სიკეთესთან, საყოველთაო ბედნიერების კრიტერიუმთან. ავტორი აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით არსებული სინამდვილე, ისტორიული პროცესი, შეიძლება, მთლიანობაში პროგრესის გზით სვლად წარმოვიდგინოთ, თუმცა დღემდე მან ვერ მიაღწია სასურველ დონეს, რომლის რეალიზაცია სამომავლო გამოწვევად რჩება.

ავტორი სადავოდ მიიჩნევს ისტორიული მატერიალიზმის დებულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მატერიალური მხარის ამოსავალი როლის, მატერიის პირველადობის შესახებ და ასაბუთებს იდეების პირველადობას საკაცობრიო ისტორიაში, რის საფუძველზე იქმნება საქმიანობის მიზნები, მათი შედეგების მოდელები, შემდეგ საგნები და ა.შ. გიორგი მალაშხია, ასევე, სადავო მიიჩნევს მარქსისტულ თვალსაზრისს საზოგადოების განვითარებაში საწარმოო ძალთა - ეკონონიკური მოვლენების საბაზო როლის შესახებ. იგი თვლის, რომ ამოსავალი მიზეზი უფრო სიღრმეში უნდა ვეძებოთ - ადამიანის, მისი ინტელექტის - აზროვნების, მეცნიერების, ტექნიკის, გამომგონებლური უნარის განვითარებაში, ამ სფეროში არსებულ მიღწევებში.

განიხილავს რა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს (თეორიული კომუნიზმის პირველ, პრაქტიკაში არსებულ ფაზას) მის მიერ შემოღებული კრიტერიუმების - ეთიკურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით, ადამანთა საერთო კეთილდღეობისა და ბედნიერების კუთხით გიორგი მალაშხია დამაჯერებლად წარმოაჩენს მათ პოზიტივებსა და ნეგატივებს, პრობლემებს, გვჩვენებს მათ რეალურ ხარვეზებს, წინააღმდეგობებს. იგი ავლენს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევს მათ მიმართ ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებში უკმაყოფილებას სიძულვილის დონეზეც.

საგულისხმოა, რომ ავტორი ახლებურად ხსნის უსამართლობის, არაეთიკურ ეკონომიკურ და სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათს, საფუძვლებს. პირველ რიგში ეს ეხება მარქსისტულ შეხედულებებს, რომელთა საძირკვლები შემუშავებულია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ და განვითარებული მათი მიმდევრების ნაშრომებში.

ავტორი ორიგინალურად წარმოგვიდგენს წარმოებისა და განაწილების პროცესს კაპიტალიზმის პირობებში. მისი აზრით, არაა სწორად გაგებული შექმილი დოვლათის განაწილების ხასიათი, უსამართლობა, არაეთიკურობა. თვით დოვლათის შექმნის პროცესში წარმოების ფაქტორების როლის ახსნა სინამდვილეს სცილდება. წარმოების პროდუქტი არ არის მხოლოდ შრომის, გაწეული დანახარჯების შედეგი, როგორც ამას მარქსიზმი და საერთოდ ეკონომიიკური მეცნიერება წარმოგვიდგენს. ეკონომიკური თეორიის მიერ ყურადღების გარეშეა დატოვებული წარმოების ბუნებრივ ფაქტორთა დიდი ნაწილის, ფასგადაუხდელი (მუქთი) ხასიათი. ეს, პირველ რიგში, ეხება ბუნებრივ პირობებს და რესურსებს, რომელთა ერთი წილი არავისგან არ ანაზღაურდება, ასევე ითქმის ანტროპოგენური რესურსების რიგ მნიშვნელოვან სახეობებზე - ცოდნაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, კაპიტალური დოვლათის დიდ რაოდენობაზე, რომელსაც მოქმედი თაობა წინა თაობებისაგან უსასყიდლოდ იღებს. ახალი ცოდნა და ტექნიკური სიახლეებიც, რომლებიც ბევრად მეტ

როლს ასრულებს დოვლათის შექმნაში, ვიდრე მათზე გაწეულია დანახარჯები, ნაწილობრივ უსასყიდლო რესურსად გვევლინება. აქედან ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ დოვლათის შექმნაში, მოქმედ თაობებთან ერთად, წინა თაობები არაცხადად, არაპირდაპირ მონაწილეობენ, რაც უაღრესად საყურადღებოა.

გიორგი მალაშხია ადასტურებს მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ დანახარჯებზე მეტი დოვლათი, მაშასადამე, მოგება, იქმნება სწორედ აღნიშნული უსასყიდლო ფაქტორების მეშვეობით. ამით მან გააბათილა მარქსის ძირითადი თეორიული დებულება ე. წ. ზედმეტი ღირებულების წარმოქმნისა და მითვისების შესახებ, აგრეთვე ეკონომიკურ თეორიაში არსებული სიცარიელე შეავსო. მარქსის მიხედვით, მუშის შრომით შექმნილი ღირებულების მითვისებაა კაპიტალისტების შემოსავლის, გამდიდრების წყარო. იგი გაგებულია უსამართლობის მიზეზად. გიორგი მალაშხიას მტკიცებით, რომელიც იმსახურებს ნდობას, კაპიტალისტები მუშებს, როგორც წესი, უხდიან შრომის საზღაურს და არ ითვისებენ მუშის მიერ შექმნილ ღირებულებას. უსამართლობა დოვლათის კაპიტალისტურ განაწილებაში კი მაინც არის, რაც იმაში გამოიხატება, რომ კაპიტალი იღებს შექმნილი ღირებულებიდან მეტს, ვიდრე ეკუთვნის, ანუ შეაქვს წვლილი დოვლათის შექმნაში. ეს არის სწორედ წარმოების უსასყიდლო (მუქთი) ფაქტორების წყალობით შექმნილი დოვლათი, რომელიც სამართლიანი განაწილების პირობებში, როგორც წესი, ძირითადად საზოგადოებას ეკუთვნის და მის მიერ უნდა და შეიძლება უკეთ იქნეს გამოყენებული საერთო მიზნებისათვის. ვფიქრობთ, გიორგი მალაშხიას მიერ შემუშავებული ეს თეორიული ნოვაცია მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თეორისათვის, კაპიტალიზმის ბუნების ახსნისა და მისი ფუნქციონირების გაგებისათვის, წვლილია ეკონომიკურ თეორიასა და სოციალურ მეცნიერებებში.

გიორგი მალაშხია, ჩვენი აზრით, სწორად თვლის, რომ მარქსი იგნორირებას უკეთებს კაპიტალის საზოგადოებრივ ფუნქციას, წარმოების შედეგების გამოყენების საზოგადოებრივ ხასიათს, კაპიტალისტთა მხრივ საზოგადოების სამსახურს, მისთვის მოტანილ სიკეთეს - სამუშაო ადგილების, შექმნას, დოვლათის მიწოდებას და სხვ. იგი აღნიშნავს და ეს სწორად მიგვაჩნია, რომ კაპიტალის მიერ არკუთვნილი დოვლათის მითვისება უთუოდ არის კაპიტალიზმის ძირითადი უსამართლობა, რომლისგან წარმოიქმნება მის სხვა ხარვეზებიც - ზომას გადასული ქონებრივი და ცხოვრების დონის უთანაბრობა საზოგადოების წევრებს შორის, რაც ამ სისტემის დიდ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის დებულებაც, რომ, არსებული უსამართლობის მიუხედავად, არ შეიძლება კაპიტალისტები ბოროტ ძალად გამოვაცხადოთ. ისინი ასრულენენ იმ მძიმე ფუნქციას, რაც მათ ისტორიამ დააკისრა - დოვლათის შექმნისა და განაწილების ორგანიზებისას გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში და მათი ნებისაგან დამოუკიდებლად, რაშიც, ვფიქრობთ, ავტორი სწორდ მიგვაჩნია.

ავტორი გვიჩვენებს იმ პროგრესს, რაც კაპიტალიზმის ეპოქაში განხორციელდა საზოგადოების განვითარებაში - საწარმოო პოტენციალის ზრდაში, ეკონომიკის, განათლების კულტურის, პოლიტიკურ განვითარებაში. ამასთან იგი თვლის, რომ ეს კაპიტალიზმს კი არ უნდა მივაწეროთ უშუალოდ, არამედ, როგორც ამოსავალს, ადამიანის განვითარებას, ცივილიზაციას.

ავტორი სოციალიზმის წარმოშობის ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს არკვევს. მას მიაჩნია, რომ, საერთოდ, სოციალიზმი თავისი არსებით ემსახურება სიკეთეს - ადამიანის გათავისუფლებას დაქირავებული შრომისაგან, საზოგადოებაში ზღვარგადასული უთანასწორობის მოსპობას, ადამიანთა კეთილდღეობის ზრდას, ეკონომიკის, კულტურის განვითარების შესაძლებლობათა წარმოქმნას. ამასთან, რეალური სოციალიზმის წარმოშობა იყო ძალადობრივი რევოლუციის შედეგი, რაც განხორციელდა მცდარი მეცნიერული თეორიის საფუძველზე და რამაც გამოიწვია ძალადობა, ადამიანთა კოლოსალური მსხვერპლი, შექმნილი დოვლათის უზარმაზარი რაოდენობის მოსპობა, რაც ძვირად დაუჯდა ხალხებს, პირველ რიგში ყოფილი სსრკ და ჩინეთისა, ასევე სხვა ქვეყნებისას.

კაპიტალიზმი და სოციალიზმი ავტორის მიერ განხილულია როგორც ისტორიული განვითარების პროდუქტები. ისინი მიჩნეულია ცივილიზაციის გარკვეულ, მაგრამ არა მაღალ ეტაპად. მათ მეტ-ნაკლებად ახასიათებთ სოციალური უსამართლობა, უთანასწორობა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კაპიტალიზმს, სხვადასხვა ზომით სამართლიანობის, ეთიკურობის დარღვევები, ადამიანთა არასრული თავისუფლება, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების დაცვის ხარვეზები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორის დასკვნით, როგორც კაპიტალისტურმა, ასევე სოციალისტურმა სისტემას ვერ გადაწყვიტა საზოდადოების ცხოვრების ჰუმანიზაციის, ადამიანთა სრული საყოველთაო კეთილდღეობის პრობლემები. ქვეყნების წინაშე დგას ცხოვრების სრულყოფის, ნამდვილად ადამიანურ საზოგადოებაზე გადასვლის გამოწვევა, რაც პროგრესის ობიექტური კანონითაა განპირობებული.

ავტორი გვიჩვენებს იმ ტენდენციებს, რომლებიც საზოგადოებრივ და სოციალურ ურთიერთობათა წიაღში მიმდინარეობს კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებათა სოციალიზაციის, ახალ წესრიგზე, ცხოვრების წესზე გადასვლის მიმართულებით. დამაჯერებლადაა დადასტურებული, რომ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციებს მშვიდობიანი გზით მივყავართ პერსპექტივაში ნამდვილად ადამიანური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, როგორც თვით პირობითად ავტორი უწოდებს, ჰუმანიზმისაკენ - თავისუფლების, სამართლიანობის, ეთიკურობის, საყოველთაო კეთილდღეობის უმაღლესი დონისაკენ. მაშინ თითოეული იქნება ბედნიერი, გამოირიცხება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, არსებითი უთანასწორობა, ყოველგვარი უუფლებობა, ყოველი სიკეთე დამკვიდრდება ყველასთვის არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში, რის გარეშე დედამიწაზე ჭეშმარიტ ბედნიერებას ვერ მოიპოვებს ვერც ერთი ადამიანი.

ახალ, ადამიანურ ცხოვრებაზე გადასვლის ამოსავალ პირობად ავტორს მიაჩნია საყოველთაო მასშტაბით ახალი ტიპის პიროვნების ფორმირება განათლების, აღზრდის სისტემის, საზოგადოებრივი გარემოს ხელშეწყობით. ეს ნიშნავს ადამიანთა საერთო მაღალ ინტელექტუალობას, შემოქმედითობას, გათავისუფლებას მისთვის არაბუნებრივი, ისტორიის უკუღმართი სინამდვილის მიზეზით შეძენილი მანკიერებებისაგან - ბოროტების, ეგოიზმის, სიხარბის, სიცრუის, გაუტანლობის, სიმდიდრისა და ძალაუფლებისადმი გადაჭარბებული მიდრეკილების, ზომიერების უგულვებელყოფის მახინჯი და გადაჭარბებული მოთხოვნილებებისაგან, არასწორი ფასეულობითი ორიენტაციისაგან და სხვა, რაც დღემდე დამახასიათებელია ადამიანთა დიდი ნაწილისათვის და ცხოვრების გაუკუღმართების მიზეზი ხდება. სწორედ ეს იქნება ცხოვრების ჭეშმარიტი გაადამიანურების, გაკეთილშობილების პირობა. ადამიანები საერთო მასშტაბით გახდებიან ისეთები, როგორებიც ამჟამად არიან მისი საუკეთესო წარმომადგენლები. ეს ავტორს პროგრესისა და ცივილიზაციის ერთადერთ გზად, გარდაუვალ შემადგენლად მიაჩნია.

გიორგი მალაშხიას ახალ ეპოქაზე - ადამიანურ საზოგადობრივ წყობაზე გადასვლა კაცობრიობის გარდაუვალ პერსპექტივად წარმოუდგენია, თუმცა მის ვადებზე პასუხის გაცემა არ მიაჩნია შესაძლებლად. მის დამახასიათებელ ნიშნად მოაზრებულია ჭეშმარიტების ტრიუმფი. ეს, მისი თვალსაზრისით, ნიშნავს, რომ მომავალი საზოგადოებისათვის უწინარესად ის ნიშნები იქნება დამახასიათებელი, რაც თან ხვდება ჭეშმარიტებას - კეთილდღეობა ყველასათვის, უთანასწორობის გამორიცხვა, გადასვლა ეგოიზმის ეპოქიდან ალტრუიზმის ეპოქაზე, ადამიანთა უპირველეს მოთხოვნილებად შრომის, მეგობრობის, სოლიდარობის, მოძმეთათვის, საზოგადოებისათვის ზრუნვის გადაქცევა, რის პირობებში ყველა იღვაწებს ყველასთვის, რაც ნიშნავს მეტ კეთილდღეობას ყველასთვის, სიხარბის, სიძუნწის, ეგოიზმის, ყოველგვარი ბოროტების მოსპობას. ეს იქნება სიყვარულის ნამდვილი სამყარო, რაც თითოეული ადამიანის ბედნიერების უშრეტ წყაროდ წარმოგვიდგება. ის საყოველთაო სინამდვილედ გადაიქვეცა.

ამგვარი სამყარო, ცხოვრების წესი ავტორს მიაჩნია ბუნებრივ მდგომარეობად, განვითარების ობიექტურ შედეგად. ამდენად ის უტოპიას სცილდება.

ავტორი არ იზიარებს არც კაპიტალიზმის მარადიულობას, არც კომუნიზმის მოდელს, განსაკუთრებით მის უტოპიურ ნაწილს. ამასთან თვლის, რომ მიმავალი საზოგადოებისთვის გარკვეული ცვლილებებით დამახასიათებელი იქნება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ნიშნები, რომლებიც შეესაბამება საკაცობრიო ფასეულობებს.

გიორგი მალაშხიას თეორიულ ნოვაციებად, მისი ნაშრომის საერთო ხასიათთან ერთად, რაც ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებებში მის წვლილად წარმოდვიდგება, საყურადღებოა რიგი თეორიული დებულებებიც. მათ შორის, გარდა ზემოთ უკვე აღნიშნული მეთოდოლოგიური და სხვა სიახლეებისა, მნიშვნელოვანია მის მიერ რიგი თეორიული პარადიგმების შემოტანა. ასეთია, მაგალითად: განვითარებული საზოგადოების საწარმოო ძალების აღმატება მის სამომხმარებლო ძალებზე; გონივრული მოხმარების პირობებში კაპიტალური, გრძელვადიანი სამსახურის დოვლა-

თის მაღალი წილის გამო სიმდიდრის უფრო სწრაფად ზრდა ეკონომიკური დოვლათის წარმოებასთან შედარებით, შედეგად სიმდიდრის დაგროვების გასწრება ეკონომიკურ ზრდაზე. ავტორი საზოგადოების სიმდიდრეს იხილავს ფართო აზრით, მასში, ეკონომიკურ, ფულად ერთეულებში გამოხატულ სიკეთეთა გარდა, გულისხმობს სხვა ყოველგვარი სიკეთეს, რაც საზოგადოების კეთილდღეობას უწყობს ხელს - არამატერიალურ სიკეთეთა სახეებს - სოციალურ კავშირებს, ასევე განათლებას, ცოდნას, ჯანმრთელობას, პროგრესულ იდეებს, მეცნიერულ მიღწევებს, ე.წ. „სოციალურ კაპიტალს“, „ინტელექტუალურ კაპიტალს“ და სხვ.

გიორგი მალაშხიამ დაასაბუთა, რომ თანამედროვე პირობებში დოვლათის შექმნასთან შედარებით სიმდიდრის წინმსწრები ზრდის მიუხედავად, საერთო კეთილდღეობა მას ჩამორჩება დოვლათის უსამართლო განაწილებისა და მოხმარების დაბალი კულტურის, არარაციონალობის გამო. ვფიქრობთ, საგულისხმო თეორიულ სიახლედ გვევლინება თანასწორობის ავტორისეული გაგება. თანასწორობას საზოგადოებაში იგი განმარტავს არა როგორც ადამიანთა ქონებრივ და მოხმარების, უფლებრივ თანაბრობას, რაც უსამართლობად და უაზრობად მიაჩნია, არამედ განსხვავებულ მოთხოვნილებათა, თანაბარ დაკმაყოფილებას, ცხოვრების დონის თანაბრობას, აუცილებელი უფლებების მოთხოვნილების დაკმაყოფილების თანაბრობას ადამიანებს შორის.

გიორგი მალაშხიამ შემოიღღო რიგი ახალი ცნება, რომელებიც აფართოებს ეკონომკურ და სოციალურ მოვლენათა შემეცნების შესაძლებლობას: „სოციალური ენერგია,“ „დამატებული პროდუქტი,“ „უსასყიდლო რესურსები“, „უქმი ეკონომიკა“, „ადამიანური ეონომიკა“, „ადამიანური საზოგადოება“ და ა.შ.

ნაშრომის მეცნიერული დებულებები რიგი მკითხველისთვის, შეიძლება, სადისკუსიო იყოს. ავტორს არა აქვს მათი სრული უდავობის პრეტენზია. ზემოთ მოცემული მიმოხილვიდან გამომდინარე კი, ვფიქრობთ, რომ ნათელია გიორგი მალაშხიას ახალი მონოგრაფიის მეცნიერული ღირებულება. იგი წარმოადგენს ქართული ეკონომიკური და საერთოდ მეცნიერული აზრის მნიშვნელოვან მონაპოვარს.

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა,***

*ეკონომიკურ მეცნიერენათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე სიჭინავა.***

ჰუმანიზმის იდეით გამსჭვალული წიგნი

ეკონომისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი და პოეტი გიორგი მალაშხია ცნობილია საზოგადოებისა და ეკონომიკის ჰუმანიზაციის ირგვლივ საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ნაშრომებით. ჰუმანიზაციის ტენდენციას იგი მიიჩნევს საზოგადოების პროგრესის მაგისტრალურ გზად.

ამჯერად მის მიერ ევროპული გამომცემლობის Palmarium Academic Publishing-ის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი მონოგრაფია (886 გვ.) „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის სიძულვილი. გლობალური მეტამორფოზები და კაცობრიობის მომავალი. ჰუმანოიზმი“ ასახავს კაცობრიობის მიერ ჰუმანური ცხოვრებისაკენ გავლილ გზასა და ავტორის წარმოსახულ მომავალს, რომელსაც იგი ადამიანურ ადამიანთა საზოგადოებას, „ჰუმანოიზმს“ უწოდებს.

ისტორიული პროცესი აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია ანთროცენტრული ხედვით, ე.ი., ერთი მხრივ, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მეორე მხრივ, მათი მწარმოებლური პოტენციალისა და ცნობიერების დონის პოზიციიდან.

საზოგადოების პროგრესი გაანალიზებულია აქსიოლოგიური მიდგომის - საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა, განსაკუთრებით, ეთიკურობისა და სამართლიანობის, როგორც ცხოვრების წესის საკვანძო კრიტერიუმების, შუქზე, ასევე, ევდემონისტური ანუ ადამიანთა ბედნიერების თვალსაზრისით. გენეტიკური მიდგომით გამოვლენილია განვითარების გავლილი ეტაპების მემკვიდრეობის გავლენა საზოგადოების მწარმოებლურ ძალებსა და საქმიანობის შედეგებზე.

ავტორი კაცობრიობის ისტორიასა და მის საფეხურებს განიხილავს სწორედ ეთიკურობისა და სამათლიანობის მიმართულებით პროგრესის თვალსაზრისით. ეს ეხება პერიოდს მას შემდეგ, რაც წარმოიშვა ადამიანთა განსხვავება სოციალური მდგომარეობის მიხედვით, დაყოფა პრივილეგირებულებად და დამორჩილებულებად, მჩაგვრელებად და ჩაგრულებად.

ისტორიული პროგრესის მთავარ ამოსავალ პირობად გიორგი მალაშხია, მარქსიზმის და სხვა თეორიებისაგან განსხვავებით, მიიჩნევს არა მთელი საწარმოო ძალების ან ეკონომიკური ურთიერთობების თუ ცხოვრების სხვა სფეროს, არამედ საკუთრივ ადამიანის - ისტორიის ერთადერთი აქტორის - განვითარებას, მისი ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლებას. მის საფუძველზე ხდება, ავტორის მიხედვით, წარმოების პროცესის, ერონომიკურ ურთიერთობათა, პოლიტიკური სისტემის, ყოფის განვითარება. ესაა ავტორის ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულება, რომელსაც ემყარება საზოგადოების ისტორიული წარსულისა და მომავლის ახსნა.

ძირითადი ადგილი ნაშრომში ეთმობა კაპიტალიზმისა და კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის - მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში ამ უკანასკნელის უკვე განხორციელებული და შემდგომ დამარცხებული, ასევე მისი რიგ ქვეყნებში ამჟამად არსებული პირველი სტადიის - სოციალიზმის ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ავტორის მიდგომები და ანალიზი, ასევე ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, დასკვნები ძირეულად განსხვავდება არსებულისაგან. ავტორს ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია ორიგინალური, ფართო და მიუკერძოებული მიდგომა, რომელიც თავისუფალია იდეოლოგიური, ადამიანთა ჯგუფების ინტერესების გავლენით ჩამოყალიბებული პოზიციისაგან, ემყარება ობიექტურობის პრინციპს. გიორგი მალაშხიას მეცნიერული კონცეპტი, ხედვა და განსჯა ორიგინალურია და მას აქვს ობიექტურობის პრეტენზია. განსხვავდება გავრცელებული შეხედულებებისაგან, რომელთაც აკლიათ აღნიშნული თვისება. ეს ნათელია დღეისათვის არსებული, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში შექმნილი ნაშრომების მიხედვთ, რომლებიც უპირატესად არსებული სისტემების დაცვის მიზანს ემსახურება და არა ჭეშმარიტების დადგენას. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, მოკლე ისტორიული პროცესის ანალიზით შემოიფარგლება და გაბატონებული საზოგადოებრივი ძალების ინტერესებსა და მიზნებს ესადაგება, რასაც არ შეიძლება მივყავდეთ ჭეშმარიტებამდე.

ავტორის აზრით, კაპიტალიზმისა და სოციალიზმისადმი დამოკიდებულება დასაბამიდან გამოირჩევა არაობიექტურობით, მათ მიმართ არსებობს ან სრულიად ნეგატიური ან ზედმეტად პოზიტიური მიდგომა, აქედან გამომდინარე, შეიმჩნევა მოძულებრივი ანდა თაყვანისმცემლური დამოკიდებულება. გიორგი მალაშხია ცდილობს ჩაწვდეს ამ მოვლენების მიზეზებს, გაარკვიოს მათი ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები. კაპიტალიზმი და სოციალიზმი მის მიერ განიხილება არა სუბიექტების სურვილების კვალობაზე შემთხვევით წარმოშობილ საზოგადოებრივ სისტემებად, როგორც ბევრი მიიჩნევს განსაკუთრებით სოციალიზმის შემთხვევაში, არამედ ობიექტური ისტორიული პროცესის პროდუქტებად. მათი არსებობა შეესაბამება ადამიანის, საზოგადოების ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურს.

კაპიტალიზმმა განვითარების დიდი გზა გაიარა სოციალიზმთან შედარებით. იგი კვლავ მუდმივ ცვლილებაშია. პრაქტიკული სოციალიზმის ისტორია ქვეყნების ერთ ნაწილში მოკლე აღმოჩნდა, თუმცა იგი გრძელდება თანამედროვე მსოფლიოს დიდ ნაწილში, რომლის მოსახლეობა 1,6 მლრდ-ს უდრის (მსოფლიოს მოსახლეობის 20 პროცენტი), მათ შორის მოსახლეობის და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით ყველაზე დიდ ქვეყანაში - ჩინეთში. ესაა დღევანდელი რეალობა.

გიორგი მალაშხიას მცდელობა მიმართულია კაპიტალიამის არსების ახლებურად წარმოჩენისკენ. იგი აუცილებლად მიიჩნევს კაპიტალიზმის როგორც პოზიტივების, ისე ნეგატივების ცოდნას. გაუმართლებლად მიაჩნია მათი მიჩქმალვა. განიხილავს რა კაპიტალიზმს საკაცობრიო ფასეულობების - ეთიკურობისა და სამართლიანობის ასპექტით, იგი მის თანამედროვე მდგომარეობას მიიჩნევს კაცობრიობის განვითარების მიღწეული დონის შესატყვისად, მაგრამ არა მაღალი ცივილიზაციის რელევანტურად.

ავტორი არ იზიარებს კ. მარქსის მიერ კაპიტალიზმის უსამართლობისა და საზოგადოების ცხოვრებაში კაპიტალისტთა როლის, ასევე დოვლათისა და მისი დანახარჯებზე მეტი ნაწილის შექმნაში მუშათა როლის მტკიცებას. ამასთან იგი სრულიად ახლებურად, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულ თეორიებისგან განსხვავებით, განიხილავს დოვლათის შექმნის პროცესის ეკონომიკურ შინაარსს, განმარტავს მასში სრულიად უსასყიდლო და ნაწილობრივ უსასყიდლო ბუნებრივი და ანტროპოგენური რესურსების მონაწილეობას და მის შედეგს - დანახარჯებზე მეტი დოვლათის, მისი ტერმინოლოგიით, დამატებული პროდუქტის წარმოებას. იგი ასაბუთებს დოვლათის განაწილების უსამართლობას კაპიტალიზმის პირობებში, კაპიტალისტების მიერ არა მუშათა მიერ, არამედ უსასყიდლო რესურსებით გამოყენებით შექმნილი დამატებული პროდუქტის მითვისებას, რომელიც მთელ საზოგადოებას ეკუთვნის. ეს, ნაშრომის მიხედვით, არის დოვლათის მეტი ოდენობით მითვისება კუთვნილთან შედარებით. ავტორი ადასტურებს, რომ ერთ ადამიანს საკუთარი შრომით არ ძალუძს დიდი, მით უფრო უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვება. ეს ხდება ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებული რეალობის, შექმნილი დოვლათის არასამართლიანი, ქაოსური განაწილების პირობებში. ნაშრომში არასწორადაა მიჩნეული მარქსიზმის მიერ კაპიტალისტების პარაზიტებად აღიარება, დოვლათის შექმნაში მათი წვლილის, საზოგადოების სამსახურში, ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაში კაპიტალის როლის უარყოფა.

ავტორი კაპიტალიზმის ძირითად ნეგატივებად განიხილავს ადამიანთა არათანაბარ დამოკიდებულებას წარმოების საშუალებათა მიმართ, მათი დიდი ნაწილის თავმოყრას ადამიანთა მცირე რიცხვის ხელში, რაც წარმოშობს დოვლათის არასამართლიან არაეთიკურ განაწილებას, რომლის

შედეგებია უზარმაზარი ქონებრივი უთანასწორობა, ცალკეულ ადამიანთა ხელში უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვება, რაც იწვევს მოქალაქეთა არათანასწორ მდგომარეობას საზოგადოებაში.

კაპიტალიზმის დიდი ნაკლად, უამართლობის გამოვლენად ავტორს ესახება დაქირავებული შრომის არსებობა, რაც ადამიანთა ერთ ნაწილს ეკონომიკურად უქვემდებარებს მეორე ნაწილს, მიუხედავად მათ შორის გარიგებითი ურთიერთობისა, რომლის დროსაც დამქირავებელს უპირატესობა გააჩნია დაქირავებულთან შედარებით. აღნიშნული ნეგატივები სათანადოდ არ ფასდება. ისინი კი, ფაქტობრივად, იწვევს მოქალქეთა ცხოვრების დონის, კეთილდღეობის, პირობების უთანასწორობას, რაც კი არ სწორდება, არამედ სულ უფრო ღრმავდება. ნაშრომში დადასტურებულია, რომ არსებულ უთანასწორობათა და დაქირავებული შრომის პირობებში დემოკრატია და ადამიანის თავისუფლება ვერ აღწევს სრულფასოვანებას.

ავტორი გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის წარმოშობა არ ყოფილა შემთხვევითი. გიორგი მალაშხია წარმოგვიდგენს სოციალიზმის ძირებს უძველესი დროიდან (სპარტაში, შუა საუკუნეების რელიგიურ თემებში და ა. შ.). ავტორის მიერ ხაზგასმულია, რომ მარქსისტული, საბჭოური სოციალიზმი წარმოიშვა ძალადობრივი, რევოლუციური გზით, როცა სათანადო პირობები არ არსებობდა საზოგადოების მაღალი იდეალების - თანასწორობის, თავისუფლების, სამართლიანობისა და ეთიკურობის მიხედვით მოწყობისათვის. ამან გამოიწვია დიდი ადამიანური მსხვერპლი, ნგრევა და ისეთი საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბება, როცა გაბატონდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, შეიზღუდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები; პოლიტიკურმა სისტემამ მიიღო გაუმართავი ხასიათი.

ისტორიას ახასიათებს ზიგზაგები ბევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში მოხდა უკან გადასვლა კაპიტალიზმისაკენ. სოციალიზმი კი არსებულ თავისებურებათა პირობებში შენდება აზიისა ამერიკის რიგ ქვეყანაში. მსოფლიოში მრავალი ადამიანი თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის მხარეზეა, როგორც წესი, დემოკრატიული სოციალიზმისა. ამას ავტორი თვალნათლივ გვიჩვენებს. თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს არ აქვთ წარმოდგენა საზოგადოებრივ სისტემებზე და არც იცის რა არჩევანი გააკეთოს, არ ესმის, თუ რა ის სისტემა უზრუნველყოფს მოქალაქეთა საყოველთაო კეთილდღეობას, თავისუფლებასა და უფლებებს. არჩევანი კი ადამიანებზე არაა დამოკიდებული. მათ ის ან თავს ეხვევა ისტორიის კანონზომიერებით ან ადამიანთა ძლიერი ჯგუფების მიერ.

გიორგი მალაშხიას ინტერესის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს ობიექტურ ისტორიულ კანონზომიერებათა და ტენდენციების საფუძველზე მომავალი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება. მიუხედავად ადამიანთა და საზოგადოების მრავალი ნეგატივებისა, არც ისე იშვიათად საზიზღრობებისა, ზიგზაგებისა განვითარებაში, მკვლევარი მაინც ხედავს ისტორიის მაგისტრალურ ხაზს - ჰუმანიზაციის, ეთიკურობისა და სამართლიანობის მხრივ პროგრესის გარდუვალობას. განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი აქცევს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს ჭეშმარიტი გაგებით, რაც დღემდე არსებულ საზოგადოებათა „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს, მიუხედავად მისი დეკლარირებისა. ავტორი გვთავაზობს თანასწორობის ახლებურ გაგებას. თანასწორობად იგი მიიჩნევს არა თანაბარ ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას, რაც უსამართლობა იქნებოდა, რადგან ადამიანები განსხვავდებიან უნარებითა და მოთხოვნილებებით, არამედ მატერიალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის, ცხოვრების ხარისხის თანაბრობას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ ადამიანთა თანასწორობას, არამედ ქვეყნებისა და ხალხების შედარებით თანაბარ განვითარებას მთელ მსოფლიოში, რაც ყველას ბედნიერების პირობა იქნება. ეს კი, შეიძლება, კაცობრიობის საერთო ინტელექტუალური დონის ამაღლების, ჭეშმარიტების წვდომის, ცნობიერების განვითარების, ეთიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო რევოლუციების შედეგად მოხდეს; ადამიანის განვითარებითა და სრულყოფით. ავტორი ახალი ეპოქის დადგომას, ეგოიზმის ეპოქიდან ალტრუიზმის, ნამდვილ ადამიანური ურთიერთობათა ეპოქაზე გადასვლას პროგნოზირებს.

გიორგი მალაშხია მრავალი რეალური ცხოვრებისეული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე წარმოგვიდგენს და ასაბუთებს აღნიშნულ ტენდენციას, რომელიც უკვე დღეისათვის ვლინდება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის გლობალური მეტამორფოზის, თანდათანობითი, ევოლუციური ტრანსფორნაციის სინამდვილეში. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს ჭეშმარიტების ტრიუმფს, საყოველთაო სიყვარულის, ერთობის, თანასწორთა თანამშრომლობის ხანის დაწყებას, სიხარბის, ანგარების, სი-

ძუნწის, შურის, მტრობის, ბოროტმოქმედებისა და სხვა სიმახინჯეთა გადალახვას, რაც ამჟამად ადამიანთა მხოლოდ ნაწილს ახასიათებს. ამით იზეიმებს ჰუმანიზმი - ნამდვილი ადამიანური თვისება, რომლის საყოველთაო დადგომა ადამიანთა საერთო ოცნებას წარმოადგენს. კაცობრიობა, მიუხედავად ბოროტი ძალების წინააღმდეგობისა, ამ გზას ვერ აცდება თვით მისი არსებობის ლოგიკით. ადამიანთა მომავალ მოდგმათა ცხოვრებაში ასეთი ხანის დადგომა დღეს სიამოვნების საგანი უნდა იყოს ყველასთვის. ასეთია ავტორის მოლოდინი და დასკვნა მისი ვრცელი და მრავალმხრივი განსჯის ბოლოს.

გიორგი მალაშხიას ახალი წიგნი შეიცავს ეკონომიკური და სხვა სოციალური მეცნიერებებისათვის რიგ ახალ თეორიულ პარდიგმებს. იგი უთუოდ მიიპყრობს მკითხველთა ყურადღებას, რომელთა შემეცნებითი ჰორიზონტის გაფართოებას შეუწყობს ხელს, ბიძგსაც მისცემს ამ სფეროში ჭეშმარიტების ძიებას, რაც უთუოდ სჭირდებათ დღევანდელ და მომვალ თაობებს.

პროფესორი **ალექსანდრე სიჭინავა**

გური ოტობაია

მსოფლიოს მერვე საოცრება

წერილი მეოთხე

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს,
მის უწმინდესობას ილია მეორეს,
საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს,
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ოთარ შამუგიას,
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს,
ქალბატონ თეა წულუკიანს

მსოფლიოს პირველ შვიდ საოცრებაზე ხმის დაძვრა უხერხულიც კი მგონია წიგნიერი ხალხის წინაშე. აქ ეგვიპტის პირამიდები ტოლს არავის დაუდებს, მეორე სემირამიდას ცაში დაკიდული ბაღებია, მესამე - არტემიდას ტაძარი ეფესში, თავისი სახელის უკვდავსაყოფად რომ გადაწვა ჰეროსტატე დამთხვეულმა, მეოთხე - ზევსის ქანდაკება ოლიმპოში, მეხუთე - ჰალიკარნასის მავზოლეუმი, მეექვსე - როდოსის კოლოსი, მეშვიდე ალექსანდრიის შუქურა. აი, ამოიწურა ჩვენი საოცრებათა სკივრი. ამათთაგან, მხოლოდ ერთადერთი დგას მიწაზე მყარად - ეგვიპტის პირამიდები და კიდევ - ჩინეთის დიდი კედელი, რომელიც მხოლოდშობილივით მოჩანს მთვარის სიშორიდან, როგორც პლანეტარული ცივილიზაციის უპირველესი ნაგებობა. მაგრამ რა, ამ კედელმა ჩინეთს თუ დიდება მოუტანა, შექმნა მისი მონოლითური სული და ინდივიდუალობა, სამაგიეროდ ფაუნისა და ფლორის ათასობით წარმომადგენელს მოუსპო სიცოცხლე. ესე იგი ვერ გამოდგება ამაღლებულ-მშვენიერის ნიმუშად.

რაც შეეხება ჩვენეულ მერვე ნომიმანტს მსოფლიო საოცრების პრეისტორულ ნუსხაში დასამკვიდრებლად - ყველასთვის მოულოდნელი და წარმოუდგენელიც კი შეიძლება იყოს. დიახ, იგი გახლავთ დიდად წიგნიერი და მუსიკალური კულტურით გაჯერებული პიროვნების, ქიმიის დოქტორის, პროფესორის, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატის, აკადემიკოს რამაზ გახოკიძის მიერ ოთხათეული წლის წინათ შექმნილი ფანტასტიკური პრეპარატი ბიორაგი.

ბიორაგმა ფეხი კომუნისტობის პერიოდიდან აიდგა, მაგრამ ვერავინ მოიცალა მაშინ მისთვის.

მხოლოდ ეროვნულმა მთავრობამ შეიგრძნო ამ გასაოცარი პრეპარატის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა. წიგნი „გზა ხსნისა“ 100 000 ტირაჟით გამოიცა იმხანად, მაგრამ ჩაესვენა თავისუფალი საქართველოს მზე და ბიორაგის პერსპექტივებიც ჩრდილში მიდგა.

ბატონი რამაზ გახოკიძე ქარიშხლის ჭიქაში დატრიალებას ამაოდ ცდილობდა, ელოდა ჯადოსნურ ძალას, რომელიც ამ გასაოცარ აღმოჩენას მთელს პლანეტაზე დაამკვიდრებინებდა, მაგრამ ამისთანა სასწაულმოქმედი იგვიანებდა და აი, თითქოს გამობრწყინდა, რაღაც იმედის სხივი და ეს სხივიც შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გახლდათ. სანდო ხალხს გაატანა კიდეც ყველა საჭირო დოკუმენტაცია ბიორაგზე ბატონმა რამაზმა, თუმცა იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ან რანაირად გაიგონებდა ამისთანა სანეტარო ხმას, როცა საჭირო ინფორმაცია მთავარ ადრესატამდე არც კი მიღწეულა. აქ არაფერია უცხო, განა ცოტა გვსმენია ხალხური სიბრძნიდან: ბევრი ვეცადე შენთვინა, ძლივს მოვახერხე ჩემთვინაო.

მთავარი წინაღობა ბიორაგის ბლოკირებისა მესასუქეების კასტა იყო და არის დღესაც. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმისათვის, რომ ამ გასაოცარ პრეპარატს სახელი გაუტყდეს. მიჰქონდათ ეს სითხე ქართველ ფერმერებს, ზედმიწევნით იცავდნენ მცენარის თესლის მისით დამუშავების მეთოდოლოგიას, მოსავალიც მოჰყავდათ, გაცილებით მეტი, როგორც ამას ჩვეულებ-

რივ პირობებში იღებდნენ, (რასაც, როგორც წესი, საჯაროდ ყოველთვის მალავდნენ), მაგრამ აუტკივარი თავის ატკივება არავის სურდა. ნაცადი გზა ისევ იმარჯვებდა - აქ ვიყო და ჭაკ ვიყო. მერედა, ბიორაგს უჭირს გენმოდიფიცირებულ მცენარეების თესლზე ზემოქმედება, რამდენიმე სეზონი. იგი ხომ ფაქტობრივად ადამიანების გადასაშენებლადაა მოფიქრებული. ბიორაგის უნარიანი ასპარეზი ძირითადად ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ენდემურ ჯიშებშია.

იყო შემოთავაზებები თურქეთიდან, ეგვიპტიდან, აფრიკიდანაც კი, მაგრამ რამაზ გახოკიძეს ერთის მხრივ მამულიშვილური გრძნობა ამუხრუჭებდა ქვეყნიდან გაეტანა მისი სამშობლოს ასაღორძინებლად შექმნილი პრეპარატი, და მეორე, ის საინვესტიციო ჯგუფები ბიორაგის ფორმულას სთხოვდნენ უკლებლივ, რაც პრეპარატს საერთოდ დაუკარგავდა საქართველოს ამ პატროფილურ ძალისხმევას და შესაძლოა მთელ კაცობრიობასაც კი, ვინაიდან ბიორაგი პირდაპირ ცხვირ-პირში ულაწუნებდა და ულაწუნებს დღესაც ანტიპლანეტარულ გენურ ინჟინერიას, ეკოსისტემის გამატიალებელ პესტიციდებს და ჰერბიციდებს, ათასნაირ შხამ-ქიმიკატს, რომლებმაც სამუდამოდ გაანადგურეს ჩვენი პლანეტის ჰუმუსი, მოგებას გამოდევნებული კორპორაციებისა თუ სინდიკატების მადათა სასარგებლოდ.

მოგეხსენებათ, ხელდასხმულებს, როგორც ყველა მოვლენა და ყველა საგანი, ოლიგარქიაც ორნაირია - პროგრესული და რეგრესული, საკაცობრიო და ანტიკაცობრიული, ჭეშმარიტი და ფსევდო და, აი, ფსევდო-ოლიგარქიამაც დიდი ხანია დედამიწა გარდაუვალი კატასტროფისათვის გასწირა.

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიშველიებ სტატისტიკური მაჩვენებლების გვერდის ავლით:

- გაუდაბურებულია ოდესღაც მოხასხასე ტყეები და ველ-მინდვრები;
- გაიშვიათებულია ჰაერი;
- ცაში აჭრილი ხეპრული ქალაქები გადაულახავ ბარიერად ეღობება წინ გადამფრენ ფრინველებს, მის კოჭებთან ცვივიან ისინი ფრთებდალეწილები და მათ მიერ მოსასპობმა პარაზიტმა მწერებმა აიშვეს ქვეყნის ოთხივ კიდით;
- ატმოსფეროში გამოფრქვეული ფაბრიკა-ქარხნების, მანქანა-თვითმფრინავების გაზებისგან, თუ რადიაციული დარდუბალათი მუტაციას განიცდის განუხრელად ფლორა, ფაუნა;
- დედამიწაზე გლობალური დათბობის შედეგად ინტენსიურად დნება პლანეტის პოლუსებზე ყინულის მასები, რომელიც კაცობრიული წარღვნის უტყუარი წინაპირობაა სახვალიოდ თუ არა, საზეგისოდ მაინც.

„ჩვენს ხანებში მცხოვრები ერთ-ერთი უდიდესი წარმოსახვის ადამიანი“, მილიარდერი ილონ რივი მასკი თითქოსდა განწირული სულისკვეთებით გამოსავალს ეძებს თავისი 9 შვილისთვის თუ კაცობრიული ცივილიზაციისათვის, სერიოზული თანხის დაბანდებას აპირებს მარსზე სასიცოცხლო პირობების დასანერგავად. თავისთავად მსგავსი პროექტი თითქოსდა სისხლხორცეულად ემსახურება კაცობრიულ ინტერესებს და ამავდროულად დედამიწის პრობლემებისადმი უნებლიე ზურგის შექცევა მგონია. თუკი მისივე ელექტრომანქანა „ტესლას“ წარმოება კაცობრიობის სამსახურშია, მარსის პროექტეზე მილიარდების გაფლანგვა სრულიად უსაგნური მეჩვენება. არის ვარაუდები, რომ მარსზე ხელოვნური არხები თითქოს წყალთა ნაკადისგანაა წარმოქმნილი; რომ მან სიცოცხლის პოზიცია მილიონობით წლის წინათ დათმო, დაკარგა ატმოსფერო და წითელ პლანეტად იქცა, რომელ შეფერილობასაც რკინის მადნისგან იღებს შორიდან მომზირალი თვალისთვის.

ბერძნულად ოლიგარქი უმცირესობის მმართველობას ნიშნავს - λίγον „ოლიგონ“ ცოტა და ρχή „არქე“ ძალაუფლება. ეს იგივე ხელისუფლებაში მდიდარი კაცის ყოფნაა, მაგალითად ქართულ სინამდვილეში რომ გვყავდა დიდი ილია ჭავჭავაძე, ან გასულის საუკუნის ოციან წლებში ნავთობის მაგნატი ირანში აკაკი ხოშტარია, სამ წელიწადს უფასოდ რომ აჭმევდა პურს თავისუფალ საქართველოს. შეძლებული, მდიდარი კაცი ხელისუფლებაში, თანაც კაცობრიული სულის მატარებელი, მშვენიერისა და ამაღლებულის დამამკვიდრებელი ჩვენ ჭეშმარიტ ოლიგარქად მოგვინათლავს - ეს იგივე პრომეთეა, ქრისტე თავიანთი ზოგადკაცობრიული მისიებით. ჩვენ ამისთანა პირტოვნებად მოვიაზრებთ უმაგალითო ქველმოქმედს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს. მაგრამ არიან ხელისუფლებაში სხვა ყაიდის ფსევდო-ოლიგარქებიც, რომლებიც აფინანსებდნენ და აფიუნანსებენ ომებს, „შიდსებს“ და „კოვიდებს“ პროსტიტუციებს და სიჩლუნგეებს, რათა მათი სოციალური აქტივობა აღ აღემატებოდეს ჯოგის მონაცემებს. ადამიანების ამგვარი კატეგორიისათვის იბრძვიან ფსევდო ოლიგარქები, რათა სამერმისოდ უზრუნველყოფილიყოს მათი კლანური მსოფკლიო ბატონობა.

ჩვენ არაერთი მაგალითი გვახსოვს შორეული წლებიდან, როცა ძველი ცივილიზაციის მონაპოვრებს თვალის დაუხამხამებლად ისაკუთრებდა შედარებით ახალი. თავად დარწმუყნდით: შუმერული ცივილიზაციის წარღვნისგან გადამრჩენელ მეფეს ზიუსუდრა ერქვა, რომელიც აქადების პერიოდში უთანაფიშთიმად გადაინათლა, ხოლო სემიტების ზეობის ჟამს, მთლად ნოედ მოგვევლინა. ჭეშმარიტი ოლიგარქია ფსევდო ოლიგარქიის მეასფლავეა. ამიტომაც ააგორეს ევროპარლამენტში „ევროპის სახალხო პარტიის“ ლობირებით ივანიშვილის დეოლიგარქიზაციის საკითხი, კაცობრიობის ისტორიაში არგაგონილი დებიძინიზაციის თემა. ეს იგივეა, რაც კაცთმოყვარეობისათვის უნდობლობა გამოუცხადო პრომეთეს, ქრისტეს, შენი უმეცარი ეგოიზმით ერთის დეპრომეთიზაცია მოითხოვო და მეორის დექრისტეზაცია.

მსოფლიოში დღეს 3228 მილიარდერია, რომელთა საერთო ქონება დაახლოებით 15 ტრილიონ აშშ დოლარს. ამ თანხის 20-30 პროცენტი დედამიწის პრობლემებისაკენ რომ მიმართოს მდიდართა კასტამ, კაცობრიული პრობლემების მეტი წილი ეგრევე აილაგმება - შიმშილი, სიღატაკე, ავადმყოფობა, უცოდინრობა, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ თითო-ოროლას გამოკლებით მათი მეტი წილი გაურბის კაცობრიულ პრობლემებს და მერკანტილური მიზნებითაა დაკავებული. რაც მეტი ოდენობით ეყოლება კაცობრიობას წარსულში აკაკი ხოშტარიას, დღევანდელობაში ბატონ ბიძინა ივანიშვილის გონების ოლიგარქები, მით ნაკლები იქნება საზოგადოებრივი აშლილობანი, რომელიც დედამიწას გულმოდგინედ მიაქანებს გარდუვალი ეშაფოტისაკენ.

აი, როგორ და რანაირ ვითარებაშია აღმოცენებული ჩვენს პროტოიბერიულ სივრცეში კაცობრიობის მეოხ და გადამრჩენელ სივრცეში (იოანი - შუმერის შემოქმედი, პრომეთე-ამირანი - კაცობრიობისთვის ცეცხლის, გონითი სივრცის მიმწოდებელი და სტალინი - ფაშიზმის დამასამარებელი), აკადემიკოს რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი მსოფლიოს მერვე საოცრება - პრეპარატი ბიორაგი.

ბიორაგით დამუშავებული თესლი (ეფექტურია მცენარეზე ბიორაგის ხსნარის შესხურებაც ვეგეტაციის პირობებში) დაკავებული მიწის ფართობი ტრადიციული გამოფიტვის სანაცვლოდ, გასაოცარ ცხოველმყოფელობას იძენს. თუკი აზოტოვანი და ფოსფორის სასუქებით, პესტიციდებითა და შხამ-ქიმიკატებით სავარგულები ორი-სამი მოსავლის შემდეგ აბსოლუტურად გამოუსადეგარი ხდება, აქ პირიქითაა საქმე, რამდენჯერაც დაკავდება ფართობი სასოფლო-სამეურნეო კულტურით, მით უფრო ნაყოფიერი ხდება. ხოლო რაც შეეხება მასზე მოწეულს პროდუქციას, ნებისმიერი მიმართულებით (ფაუნა, ფლორა), სამჯერ, ხუთჯერ მეტ მოსავალს იძლევა. ამავდროულად ეს მოსავალი აბსოლუტურად უწყინარია ადამიანის ორგანიზმისათვის. ბიორაგით დამუშავებული მცენარე გაცილებით სწრაფზრდადია. ეს თვალსაჩინო გახდა ვერცხლისფერი ნაძვის მაგალითითაც, რომელი პროექტი იტალიელებისთვის განხორციელდა რომის სიახლოვეს. გონებ იმ ადგილს თბილისის ხეივანი ჰქვია. ასეთი მცენარე ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით მძლავრი ვარჯით გამოირჩევა, შთანთქავს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს და გამოჰყოფს მეტი ოდენობის ჟანგბადს. ეს კი მიმანიშნებელია იმისა, რომ დედამიწის მცენარეულ სამყაროს ბიორაგის მეშვეობით შესწევს ათწლეულობით დაკარგული ატმოსფეროს სრულფასოვანი აღდგენა. ამისთანა შემთხვევაში მყის უკუდგება დათბობის საშიშროებაც, რომელიც იწვევს პოლუსებზე ყინულის მასის ინტენსიურ დნობს და ჩვენს პლანეტას მორიგი წარღვნიკენ მიაქანებს. ბიორაგი გვათავისუფლებს იმ უტოპიური პროფილაქტიკისგანაც, რასაც ტრილიონების შეწირვა შეუძლია დედამიწის ფინანსური წყაროებიდან; შედეგი კი არავინ უწყის რა სავალალო შეიძლება მივიღოთ: საქმე ეხება ცის თაღზე ხელოვნური თანამგზავრების წრიულად განლაგების პროექტს, რომელზეც სარკეები დამონტაჟდება მზის სხივების ასარეკლავად, და ამ გზით თითქოს დედამიწაზე სითბო შემცირდება.

აი, გახურებული თავების ავადმყოფური თერაპია. ფსევდო-ოლიგარქია დაავადებულია საკუთარი სიმდიდრის მანიაკური გამრავლებისა და შენარჩუნების სინდრომით. იგი ჰგავს მაკაკას, რომელსაც მონადირენი კაკალს ჩაუყრიან ამოღრუნტულ ჯირკში. ჩაჰყობს ხელს ხვრელში მაკაკა, მომუჭავს კაკალს, მუშტი გაუმსხვილდება და უკან ვერ ამოაქვს. მაკაკა დაჭერილია, გინდა თავში გირახუნებია თუ სულაც წარბებიაბანად შეგიტრუსავს. ასეთივეა ფსევდო-ოლიგარქების კასტაც. ისინი ვერაფრით ელევიან თავიანთ სიმბოლურ კაკალს - ამ შემთხვევაში მილიარდებს, როცა შესაძლოა ყველაფერი დაკარგონ კარზე მომდგარი გლობალური კატასტროფით; რომელიც კვლავაც და კვლავაც მათი ინსპირირებულია, ლოკალური თუ მასშტაბური ომებით, საზოგადოებრივი თუ შინაგანი აშლილობებით.

როგორ მოვიქცეთ ახლა?!

უმრავლესობა, პლებსი გამოთაყვანებულია უკვე ალან დალასის დაქადნებული დოქტრინის კვალობაზე - მომსპარია ნარკომანიით, ალკოჰოლიზმით, ნიკოტინით, აღვირახსნილი სექსით ადრეული ასაკიდენ. საზოგადოების ეს კატეგორია ჭაბუკობის წლებიდანვე შეპყრობილია იმპოტენციით - ანანიზმის საწინააღმდეგოდ მოსემ წინდაცვეთა მოიგონა, რათა ტრიბადიით (ხახუნი) არ მიეღო მამრს კოიტუსი (სექსუალური სიამოვნება) და ამით ნაადრევად არ გაეცვითა პენისის გვირგვინი. - ამისთანა ინდივიდები გამალებით ეძებენ ახალ იმპულსებს, სოდომ-გომორით, ბოლო პერიოდში ასე რომ მოუმრავლდა კაცობრიობას; რომლის მასობრივი დამკვიდრებისთვის თავს იკლავდნენ ოციანელი ტროცკები, ოცდაერთიანელი ფსევდო-ოლიგარქები ლგბტ-ეების ლაშქარით ტრანსატლანტიკური თუ ევროპული სივრციდან.

ხსნა სად შეიძლება იყოს?

პირველ რიგში ფსევდო-ოლიგარქების მადას ალიკაპი უნდა ამოედოს ჭეშმარიტი ოლიგარქების სასარგებლოდ: უნდა შეაწყვეტონო კაცობრიული ზეწოლით ატომური აფეთქებები დედამიწის ქერქსა და ატმოსფეროში; შემდგომ ფორსირებულად უნდა განხორციელდეს ჩვენს პლანეტაზე არსებული (ისრაელი 80, პაკისტანი - 150, დიდი ბრიტანეთი - 520, ჩინეთი 260, საფრანგეთი - 290, აშშ - 6450, რუსეთი 7500) 15 250 ქობინის დემონტაჟი, რომელსაც, სულ ცოტა 150-ჯერ შეუძლია ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლია იავარქნა. კაცობრიობამ საერთო ძალისხმევთ უნდა შეძლოს პლანეტარული ბიუჯეტის ფორმირება, (არა ისეთი, როგორც „ნატოს“ აქვს, ევროკავშირს, ან „ესენგეს“ ჰქონდა - მილიტარისტული), სადაც შეიარაღებული ძალებისთვის ფორმირებისაგან გამოთავისუფლებული თანხები ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს მოხმარდება.

კაცობრიობა უნდა მიჰყვეს პროფესორ ნოდარ ჭითანავას პარადიგმას, რომელიც გულისხმობს მძლავრი აგროკომპლექსის განვითარებას ინდუსტრალიზაციის გზით, სამოქალაქო ინტეგრაციისა და პოლიტიკური კონსენსუსის შემოხიდებით.

საქართველოში ფსტა (ბუსტუღი), სამეურნეო მიზნით დღემდე ფართოდ არ გამოიყენებოდა. ის ყველაზე ძვირად ღირებული კაკლოვანი კულტურაა. აშენებენ სამეურნეო მიზნით, ასევე კარგია ნიადაგის გაუდაბნოებისა და ეროზიის წინააღმდეგ. ეს მცენარე პროდუქტიულობას სამასი-ოთხასი წლის განმავლობაში ინარჩუნებს. ფსტა უძლებს მინუს 30 გრადუს ყინვას და პლუს 50 გრადუს სიცხეს. ერთი ხე 20 წლის ასაკში 30 კილოგრამ ნაყოფს ისხამს. ახლა წარმოიდგინეთ, ერთ ჰექტარზე გაშენებული 400 ნერგი 20 წლის ასაკში რა რაოდენობის მოსავალს მოგვცემს: დაახლოებით 360 000 ლარს ჰექტარზე. მაგრამ ჩვენ ფსტას განსხვავებულ ფუნქციას ვანიჭებთ, შესაძლოა ითქვას - კაცობრიულ მნიშვნელობას. ეს ყველაფერი უკავშირდება დედამიწაზე არსებულ მილიონობით ჰექტარ უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს, და, დიახაც, ფსტას მეშვეობით მათ გამიწიანებას, კაცობრიობის სამსახურში ჩაყენებას.

ამ კუთხით დღემდე ქმედითი ნაბიჯი არავის გადაუდგამს. სწორედ აქ არის ჭეშმარიტი ოლიგარქიის ძალისხმევა აუცილებელი, რათა მან განსაკუთრებული როლი ითამაშოს დედამიწის გადარჩენაში. საილუსტრაციოდ, პირველ რიგში დავით გარეჯის უდაბნოს მოვლა-პატრონობა იკმარებს. აქ ფსტას სამეურნეო მნიშვნელობით კარგა ხანია აშენებს ერთი ირანელი მეწარმე. მაგრამ ჩვენთვის ფსტას პერსპექტივები, როგორც ვახსენეთ, გაცილებით შორს მიმავალია. თუკი მისი თესლი ბიორაგით დამუშავდება, ამისთანა შენმთხვევაში, ფსტას ისედაც ბუნებრივად მომადლებული მძლავრი ფესვთა სისტემა (დაახლოებით 30-35 მეტრი), უორმაგდება, უსამმაგდება და წარმოუდგენელ სიცოცხლისუნარიანობას იძენს. ამისთანა მცენარეს უკვე თავისუფლად შეუძლია ნახევარუდაბნოსა თუ უდაბნოს გამიწიანების პრობლემასთან შეჭიდება, ვინაიდან 80-90 მეტრის სიღრმიდან იგი ადვილად შეძლებს მის წიაღში არსებული წყლის მარაგის ზედაპირზე ამოტუმბვას და საბოლოოდ ხრიოკი გარემოს ბაღნარად გადაქცევას.

ეროვნულ მისიად მიმიჩნევია შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკისათვის გვიმრის ხეების იშვიათი ეგზემპლარების ახალი ზელანდიიდან ჩამოტანა. ეს ქმედება ქართული ეკოსისტემის რგოლიდან ამოვარდნილი ამ მცენარის რეანიმაციაა ფაქტობრივად. ჩვენი წინაპრები ხომ მითოლოგიური გადმოცემით გვიმრის ხეებზე ლოცულობდნენ, ეთაყვანებოდნენ, როგორც ბუნების იშვიათ ეგზემპლარებს, მშვენიერების სიმბოლოს; ეროვნულ მისიად მიმიჩნევია სამომავლოდ ქართველ ჭეშმარიტ ოლიგარქთაგან ბიორაგის სტიმულირების მიზნით საქართველოს მოსახლეობისათვის მისი უსასყიდლოდ მიწოდებაც. ეს პრეპარატი სპეციალიზებულ მაღაზიებში რის ვაი-ვაგლახით

იყიდება დღემდე. თანაც აქ გამორიცხული არ არის ფალსიფიკაციაც, ვინაიდან ერთი ლიტრი ბიორაგის ფასი 180 ლარია. ჩვენი გამოცდილებით კი საკოლმეურნეო ბაზარში 15-20 ლარის ღირებულების ნამდვილი სულუგუნი ვერაფრით შეგვიძენია, სულ წარყვნილს ვაღლაჭუნებთ. ბიორაგის მასშტაბურად დანერგვას აფერხებს აგრეთვე გარკვეული წრეებში დამკვიდრებული აღებ-მიცემის პრინციპი, მწარმოებელ ფერმერებს მოგების წილში უჯდებიან გარკვეული წრეები.

- ჩვეულებრივი გზით ხომ ღებულობდი ჰექტარზე 2 ტონა მოსავალს? - კითხულობენ ისინი.

- კი - პასუხობს ფერმერი.

- თუკი ბიორაგის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა, გასამმაგდა, რამდენი პროცენტი მეკუთვნის ახლა ამ მოგებიდანო. - დაინტერესებულია საქმოსანი. მოკლედ, ამგვარ სავალალო სიტუაციაში განუზომელია ქართული ჭეშმარიტი ოლიგარქიის ძალისხმევა. პირველ ეტაპზე სათანადო ქველმოქმედებით მსგავსი მანიპულაციების მზე ერთხელ და სამუდამოდ ჩაესვენება.

სავარგულებში ბიორაგით დამუშავებული კულტურების დანერგვის შემთხვევაში საერთოდ ამოვარდება ფართობებში სასუქების შეტანის პრაქტიკა. მეურნე კაცს საკმაოდ სოლიდური თანხა დაეზოგება. თითოეული ჰექტარი სასუქთან შედარებით დაახლოებით ორჯერ ნაკლები ღირებულების ბიორაგს საჭიროებს. თუკი პირველ ეტაპზე გლეხს ეს პრეპარატი უსასყიდლოდ მიეცემა, აი, მაშინ თვალში გამოიხედავს ჩვენი გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა, ვინაიდან მუშახელს გული მოუბრუნდება მიწისკენ. მის კისერზე დაწოლილი სასუქების ხარჯი და მათი შეტანის დამატებითი გასავალი გამოთავისუფლდება შრომის პროცესიდან. ეს ყველაფერი პროდუქციის თვითღირებულებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს. ამას დავამატებთ სავარგულების გაკეთილშობილების რეალობას და ორგანიზმისთვის აბსოლუტურად უსაფრთხო პროდუქციას, რომელიც ონკოლოგიური და სხვა დაავადების დათრგუნვის უებარი საშუალებაა. ყველაფერს რომ მოვეშვათ, მსოფლიოში ქართული სურსათ-სანოვეგე ერთპიროვნული ლიდერი, უკონკურენტო გახდება.

ეროვნულ ძალისხმევად მიმაჩნდა და მიმიჩნევია ქართული ჭეშმარიტი ოლიგარქიის მიერ ეკლესია-მონასტრის აშენება-რესტავრაციაზე გახარჯული მილიონები, ეს სულიერიებისკენ გადადგმული ქმედითი ნაბიჯებია, მაგრამ ბიორაგის მეოხება მათ საქმიანობას ახალ ამპლუაში აიტაცებს ხვალ და ზეგ, მარსის ათვისებისკენ კი არ მიაპყრობს ილონ მასკივით ფინანსურ რესურსებს, არამედ დედამიწის გადაუდებელი პრობლემების მოგვარებისაკენ, რადგანაც დიდი ირაკლი აბაშიძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე!

ბიორაგის მასობრივი დანერგვით ჩვენ უნებურად შემოვაბრუნებთ საქართველოში დღემდე საგანგაშოდ დამკვიდრებული მიგრაციის პროცესს. ჩვენ უკვე ევროკავშირის ქვეყნებსა თუ ტრანსატლანტიკურ სივრცეში ღამის ქოთნებისა და ბორბლებიანი ეტლების საგიგავი არაფერი დაგვჭირდება, ჩვენი სხეულებიც ნაკლებად აჭრელდება ტატუთი და არც განგებ სტიმულირებულ გეიპარადების ამაზრზენობით დაშანტაჟდება ქართული მართლმადიდებელი მოსახლეობა.

დღეების წინათ დუშეთის მუნიციპალიტეტის რეგიონში (გამგებელი მანანა ნარიმანიძე) ბაზალეთის ტბის ხელმარცხნივ, საკრამულის (შარმაზანა) ტერიტორიაზე ბიორაგით გაჯერებულ წითელი დოლის პურის ხოდაბუნში მოვხვდი. ფაქტობრივად უნაყოფო მიწაზე, სადაც ადრე მოსავალი მისდღემში არ მოწეულა, ერთმა ენთუზიასტმა პიროვნებამ, ადრეულ წლებში სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავემ, აწ ორი შვილის დედამ და ხუთი შვილიშვილის ბებიამ, მარიამ კიკაძემ სამ ჰექტარზე გააშენა ეს კულტურა. წითელი დოლი ენდემური იშვიათი ჯიშია. კილოგრამი 3,5 ლარი ღირს. მისი საჰექტარო მოსავალი 1,2 ტონაა, გასაყიდად არც ემეტება, სათესლედ აქვს გამიზნული, სელექციისათვის. ჯერ მოსავალი არც კი მოუწევია და ხორბლის შეძენის ორი მსურველი უკვე გამოუჩნდა. ლამის ხრიოკ ადგილას, უსასუქოდ, სამ ჰექტარზე სამი ტონის ნაცვლად მოწეულია 18 ტონა წითელი დოლი! აქედან ერთი ტონა უკვე შეიძინა მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ტოკიოს 1964 წლის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონმა, ყოფილმა პარლამენტარმა და უნივერსალურმა ადამიანმა, ბატომ რომან რურუამ თავის სავარგულებზე დასათესად. წარმატება, ზურგის ქარი მას და მისთანებს!

ჩვენ სამახსოვრო ფოტოებს გადავიღებთ წითელი დოლის ხოდაბუნში მაშინ. უნებურად სელინჯერის დიდებული „თამაში ჭავის ყანაში“ გამახსენდა, სადაც ფლატეზე ბავშვები ჟრიამულობენ, რომლის იქით ფრიალოა, გადასავარდნი.

დიახ, ამ უფსკრულს მიდგომია ჩვენი მსოფლიო დღეს და ბიორაგის ძალისხმევა რომ არა, არავინ უწყის, მარსის გარდა კიდევ რომელ პლანეტაზე ექნება მოსაძიებელი სასიცოცხლო პირობები

ახალ მასკებს თუ მის მიმდევართ. დიახ, პანტა მსხლის ძირას გადავიღებთ სამახსოვრო ფოტოს ქალბატონ მარიამ კიკაძესთან და ბიორაგის შემოქმედ, აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან ერთად (სხვათა შორის ამ წოდებაზე 1986 წელს წარდგენილს მხოლოდ 36 წლის შემდეგ მიენიჭება ეს მაღალი წოდება). თავადაც კარგად შენიშნავთ, გაბეხრეკებულ პანტა მსხალს ძლივს უდგას სული. სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ კენწეროებს შერჩენია, ფითრი მისძალებია და გასაცოდავებულა ჩვენს სამშობლოსავით. 100 მილიგრამი ბიორაგით გაჯერებული ათიოდე ლიტრი წყალია საჭირო, რომ ბედასლმა ხემ ახალი სიცოცხლე შეიძინოს, ავადმყოფობის ჭირ-ვარამი მხრებიდან გადაიბერტყოს და იქაურობა ოდინდელი ხალისით აავსოს. მსგავსი რამ ბატონი რამაზისგან რამდენიმე ადგილას გაკეთებულა უკვე შინ თუ გარეთ, იტალიაში ვერცხლისფერი ნაძვები გაუშენებია, ახლახან საპატრიარქოს ძალისხმევით სამეგრელოში ბზის იშვიათი ნარგავები მოიკითხა.

აგვისტოს დამდეგს მარტვილის რაიონის სალხინოს თემში 5000 ბზის ნერგი დამუშავდა ბიორაგის ხსნარით დადიანების ისტორიულ სამოსახლოში. ამ საქმეს კი ბიორაგის იშვიათი მცოდნე-პრაქტიკოსი, ლეკუხონელი აგრონომი გენადი ცაავა ხელმძღვანელობდა. ჩვენი გენო ბუნების დიდი მეხვაშიადეა დარსუ უზალას კვალობაზე. დიდი ხანია ბიორაგის მეშვეობით სასწაულებს ახდენს საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ... 22 ტონა სიმინდი მოჰყავს ჰექტარიდან, ბიორაგით გაჯერებული მცენარე დამატებით ფესვურებს შეიძენს ხოლმე, სამი-ხუთი ტარო ასხია. იგივე სიტუაციაა სხვა კულტურებთანაც. წარმოიდგინეთ, მებოცვრეობამ ბიორაგის წყალობით თვალში გამოიხედა, ასევეა კოლტიც - მეღორეობაც, თვით ცხენებშიც გასაოცარი შედეგია მიღწეული, ლამის ჯაგლაგებმა, ბიორაგით მკურნალობის შემდეგ დოღში საპრიზო ადგილები არავის დაუთმეს. უტრიალეს ბეითლებმა, მაგრამ ამაოდ, დოპინგი ვერანაირად დაუმტკიცეს.

პროფესორ ჰაუსენის გამოთვლით თუ ხორბლის 1 მარცვალი მოგვცემს 100 მარცვალს, ამისთანა შემთხვევაში 10 წელიწადში მისგან წარმოშობილი მამითადი გამოკვებვას სრულიად დედამიწის მოსახლეობას.

ხალხნო და ჯაამათნო, ბიორაგით დამუშავებული ხორბლის ჯიში „ალაზნის ველის“ 1 მარცვლისგან აღმოცენებულია 8250 მარცვალი. იგი სპობს კიბოს, ინფექციურ ავადმყოფობებს, კოვიდს, პეპელას, მავნე მწერებს, შიმშილს, აჯანსაღებს გამოფიტულ მიწას, ასუფთავებს გაბინძურებულ წყალს და ჰაერს, სავარგულად გარდაქმნის უდაბნოებს და ნახევარუდაბნოებს.

სხვა რა ქნას ბიორაგმა?!

ურწმუნო თომებს ერთიღა დაგვრჩენია - ქრისტეს ნაჭრილობევ ფერდში თითების გაყრა, რათა მისი არსებობა ბილოს და ბოლოს ვაღიაროთ! დიახ, ჭეშმარიტი ოლიგარქების როლი ბიორაგის დამკვიდრებაში განუზომელია, ამ შემთხვევაში მათი მეოხება გაცდება ეროვნულ, მერკანტილურ ჩარჩოებს, პლანეტარული თვალსაწიერიდან მიყურადებს მოვლენებს და სერიოზული ინვესტიციების ბიორაგისკენ მიმართებით საკაცობრიო მნიშვნელობის გვირგვინით დაიდაფნავენ თავს, როგორც სრულიად დედამიწის სწორუპოვარი მეწალკოტენი, როგორც კაცობრიული ცივილიზაციის ჭეშმარიტი მხსნელები!

დიახ, ჭეშმარიტი ოლიგარქიის როლი ბიორაგის დამკვიდრების ასპექტით განუზომელია, ამ შემთხვევაში იგი გაცდება ეროვნულ, მერკანტილურ ჩარჩოებს, ზოგადკაცობრიული თვალსაწიერიდან მიყურადებს საგნებს და მოვლენებს. მათგან ერთ-ერთისას, ბატონ ბიძინა ივანიშვილის აღზევებას უფრო ცხადლივ ნახავს ერი და ბერი, პლანეტარული მსოფლიო: საქართველოსთვის რუსეთ-უკრაინის ომის თავიდან აცილებამ ამ პიროვნებას ჩვენს სინამდვილეში ხომ ზეზეურად დაუმკვიდრა მარადიული სუფევის გარანტიები, როგორც სწორუპოვარ რაინდს, ხოლო ბიორაგის მიზანმიმართული მეოხება საკაცობრიო მნიშვნელობის გვირგვინით დადაფნავს შეკვეთილის სულისჩამდგმელს, როცა სწორუპოვარ მეწალკოტედ მოევლენება სრულიად დედამიწის დენდროლოგიურ სავანეს.

გური ოტობაია

შეკვეთილის დენდროლოგიურიდან მსოფლიო წალკოტამდე

წერილი მეხუთე

ერთგან ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კინემატოგრაფზე რომ გაამახვილა ყურადღება, მხოლოდ კინო არ უგულისხმია. კინოსთან ერთად იგი ჩვენს ყურადღებას მიაქცევდა ფერწერას, პოლიფონიას, ქორეოგრაფიას, სიტყვაკაზმულ მწერლობას, მოკლედ, ხელოვნებას ზოგადად, რომელიც დღეს უკიდურესობამდეა დაკნინებული.

რა ხდება „მწერალთა სახლში?“ იგი დღეს კულტურის სამინისტროს მიერ გაუქმების ნაცვლად ზეპრივილიგირებულია, გამოცხადებულია ქართული მწერლობის ერთადერთ ჭირისუფლად. ამ დროს ჭეშმარიტი მწერლები ჯაყოს ხიზნების მდგომარეობაშია. გარეგნულად, თითქოს, ყველაფერი წესრიგშია, ტარდება ღონისძიებები მის დარბაზში, კვლავდებურად მიდიან მწერალთა კავშირის თავმჯდომარეები ორშაბათობით პირველიდან სამ საათამდე კოლეგებთან შესახვედრად და მორჩა, ამით ამოიწურა მწერლობის, მწრლის სოციალურ-შემოქმედებითი პრობლემები. ამ დროს ე. წ. თავისუფლების მქადაგებელი კალამგირები, სინამდვილეში საქართველოს სახელმწიფოებრივი მოშლისთვის დაქირავებული აგენტების დივერსიული მასკულატურა ითარგმნება და გამომზეურდება მთელს მსოფლიოში ქართველი ხალხის ბიუჯეტით ქართველი ხალხის მოსაკვდინებლად, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. აქ დიდი მიხვედრილობა არ უნდა, რომ ქართული მწერლობის სახელით მოდრეიფე, „მწერალთა სახლის“ „მწერლობა“ თხემით ტერფამდე მონოპოლიზებულია „ნაციონალების“ მიერ და ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის დისკრედიტაციას მსოფლიოს თვალში...

კი, ბატონო, მოხდა მათი ლუსტრაცია, მაგრამ ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის შემწეობით, „ნაციონალური“ სიმსივნე მიზანმიმართულად ჩაენერგა „ოცნების“ სხეულში და ამ ბაცილამ უამრავი ჯანსაღი „ორგანიზმი“ მოშალა დროთა მსვლელობაში... არადა, სულ რაღაც ოროიდე ჭელიწადში კარზე მოგვიკაკუნებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან - ყარსის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ვადები დიდი ხნის ამოწურული იქნება და საქართველოს მომავალი უფრო მეტ ბურუსში გაეხვევა ვიდრე დღეს.

წიგნიერი ქართველისთვის ცნობილია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ ზუგდიდში გააშენა უნიკალური ბოტანიკური ბაღი (1840), რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მთელს კავკასიაში, მაგრამ ბატონმა ბიძინამ გააკეთა გაცილებით მასშტაბური და მიზანმიმართული - დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში, სადაც რამდენიმე ასეული ჯიშის იშვიათი სილამაზის სამამულე ხეა განთავსებული. ეს ხეები მოსახლეობისაგან შეისყიდა ბატონმა ბიძინამ, ხოლო მათ ტრანსპორტირებისას ვითომ „დაზიანებული ხიდები“, „გაოხრებული გზები“, „წაფერდილი ელექტროენერგიის ბოძები“ ძირფესვიანად განაახლა, თვალის გასახარად გააკრიალა იქაურობა. ამასთან, სოლიდური ფინანსური დახმარებით (ხის საფასური) ასობით ოჯახმა ამოისუნთქა ეკონომიურადაც.

შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ოქრომრავალ კოლხეთში უხსოვარ დროში გიგანტური სალოცავი გვიმრის ხეები ხარობდნენ, რომლებიც დროთა მსვლელობაში გადაშენდნენ, გახრიოკდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება.

აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორისგან, პროფესორ გიორგი ფარულავასგან თუ სხვათა გადმოცემით დაბეჯითებით ვიცი, რომ გვიმრის ხეები ზელანდიაში ახლაც იზრდებიან პრეისტორიული ჟამსვიანობით; ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას, ჭურიაში, დღესაც არის კუნძული დიდგვიმარონის სახელწოდებით, სადაც იმ პერიოდში არსებული ხე-გვიმრის უკანასკნელი ეგზემპლარები ხანძარს გადაუბუგავს თურმე დაახლოებით ორი საუკუნის წინათ.

სანდო არხით მივაწვდინე ხმა უამრავი საშვილიშვილო პროექტის სულისჩამდგმელ პიროვნებას საქართველოში - ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რათა ზელანდიიდან ჩამოეტანა ხე-გვიმრის რამდენიმე ეგზემპლარი თავისი დენდროლოგიური პარკისთვის, რათა სიმბოლურად აღდგილიყო ის

მითთაჟამინდელი კოლხეთი, ის საქართველო, რომელიც ოდესღაც ამაღლებული და სწორუპოვარი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. ამ შეხმიანებიდან 7-8 თვეც არ გასულა, და როგორც სანდო წყაროებიდან ვგებულობ, დღეს ოცამდე ხე-გვიმრა შეკვეთილის ბინადარია.

დიახ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით გამოგვიჩნდა კაცი, რომელიც საქმეს საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს, აღორძინებს სოფელს, ქალაქს, აღაშენებს ეკლესია-მონასტრებს, მობოშებულ სულს ანიჭებს ცათაფრენებს - ფლორას, ფაუნას, ბუნებას ზოგადად, როგორც ადრე, უფლის წესით და კანონით რომ სუფევდა იმგვარად, მაგრამ დესტრუქციული ძალები არ ისვენებენ, კვლავინდებურად ხის ტარგაჩრილი ნაჯახებით ჭრიან ჩვენს მაუკვდავებელ სიცოცხლის წყაროთ იშვიათი პატროფილიის კაცისთვის დეოლიგარქიზაციის ავადმყოფური ბრალდებების წამოყენებით. მშვიდობისმოყვარე საქართველოს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელ ომში მიათრევენ უჩინარი საბელით, რათა რისეთისთვის სამხრეთიდან მეორე ფრონტის გახსნით, თითქოს ეგრევე წამოაჩოქებენ ჩრდილოეთის გავეშებულ დათვს.

გვიწერია ამეებზე ამავე გაზეთის წინა ნომრებში, ახლა კი ტრიბუნას ვუთმობთ სულიერების მეცნიერებაში ხელდასხმულ პიროვნებას, მედიუმს ადამიანებსა და ცაბაოთ-ღმერთს შორის, წმინდა ნინოს ეკლესიის დეკანოზს, მამა მიქაელს (ბუკია):

„- ოჯახი იგივე ხემარადია. სვეტიცხოველი, ედემის ხეთა - ცნობად-ყოფადისა და სიცოცხლის მომნიჭებელი ორი ხე-ფენომენის ერთ ხედ, ერთ დედაბოძად შესინთეზების მისტერია, რომელიც იდუმალებს თითქოსდა ყველას თვალწინ მდებარე სიტყვაში - ოჯახი და რომელიც სინამდვილეში გაცილებით მეტის მომცველია - მარადიული სიცოცხლის საბრძანისი, სადაც კაცობრიული ორი საწყისი - მდედრი და მამრი ერთი შინაარსით იტვირთება, ერთ ჭეშმარიტებად შეგარსიანდება ხოლმე.

ოჯახი, პავლე მოციქულის თქმით, არის ეკლესია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი; ეკლესია - ეს არ არის მარტო შენობა, ეს არ არის მარტო პატრიარქი ან ეპისკოპოსი თუ მღვდელი, ეს არის ერთობა, კრებული. თვითონ ეკლესია ხომ სიტყვა კრებულს ნიშნავს, შემომკრებს, სადაც თავი, გონება ქრისტეა, რომელიც მართავს ამ ეკლესიას, რომელიც განაგებს მას და კანონს უწესებს. ასევე არის ოჯახიც - ოჯახი არის პატარა ეკლესია. მაქსიმე აღმსარებლის განმარტებით, ოჯახის თავი, ანუ გონება არის ქმარი და გული, ანუ გრძნობა - ქალი. შესაბამისად, ადამიანი ჯანმრთელი მაშინაა, როცა გული და გონება ერთმანეთთან ჰარმონიულად, შეთანხმებულად მუშაობს. ჩვენდა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ეს ჰარმონიული ბალანსი საქართველოში არასდროს დარღვეულა, რადგანაც საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. (მანმადე ამ ჰუნქციას ასრულებდა აიეტ მეფეს და კირკე / ცირცეა, გ. ო.). ესეც, ეტყობა, ერთგვარი კოდი იყო ქართველი კაცისთვის, რის გამოც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა დედის მიმართ. ამიტომაც არის, რომ მარტო ქართულად ჰქვია პლანეტას ჩვენსას დედამიწა. მითოლოგიური წარმოდგენით ადამიანი მიწისგან არის შექმნილი და შესაბამისად, ამიტომ ვუწიოდებთ მას მშობელს, დედას კაცისას. საქართველოში ყოველთვის იყო დედის კულტი. ეს აისახა ჩვენს მეტყველებაში ეტიმოლოგიურადაც: დედაენა, დედაბოძი, გუთნისდედა, დედასამშობლო და სხვა. სწორედ ამის დამსახურება იყო ცოტა მოგვიანებით დედის წილხვედრ ქვეყანაში დედამ რომ იქადაგა ქრისტეს მოძღვრება. ის, რაც ვერ შეძლეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ (ქ)კანაანელმა, წმინდა ნინომ მოახერხა, დედის ბუნების მატარებელმა, სრულიად უმწეო გოგონამ. როგორც ფსალმუნში წერია: „არცა მსხვირბარკალნი მამაკაცნი სთნდეს უფალსა“. წმინდა ნინომ ის შეძლო, რაც ვერავინ იხელიწიფა საქართველოში და თან ეს მოახერხა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა, ჰყავდა თავისი მეფე და ჰქონდა თავისი რწმენაც. ძნელია, როცა ასეთ ქვეყანაში, ასეთ საზოგადოებაში მიდიხარ და სულ სხვა რჯულზე მოაქცევ მთელ ერის. ეს იყო დედის კურთხევით, დედა ღვთისმშობლის და უფლის ძალმოსილებით, რასაკვირველია.

რაც შეეხება ცოდვას, იგი ხომ იმ აკრძალული ხის ნაყოფის გემოის ხილვით, მიღებით შემოვიდა ჩვენში, მაგრამ თვითონ ხემ შვა მერე სიცოცხლეც, ანუ ჯვარცმა. ჯვარი მანამდე სამარცხვინო, სადამსჯელო იარაღად იყო მიჩნეული, თუმცა იესო ქრისტემ ის გახადა ხსნის სახსარღონედ. შესაბამისად, სიცოცხლის მომნიჭებლად, ცხოველმყოფელად იქცა ის ჯვარი. იმიტომ, რომ, ვინც იმ ჯვარს ცხოველი რწმენით ეხება, ყველა ცოცხლდება. ვთქვით, სამოთხეში ორი ხე იყო _ ხე ცნობად-ყოფადისა და ხე სიცოცხლისა - უკვდავებისა. პირველი ხის ნაყოფი რომ იგემა ადამმა,

ცოდვით დაცემული განიდევნა სამოთხიდან, რათა იმ მეორე ხის ნაყოფიც არ ეჭამა და მარადიულ ცოდვაში არ დარჩენილიყო, ანუ არ ყოფილიყო უკვდავი ცოდვილი.

ხე ჩვენთვის ძალიან ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი. აი, მაგალითისთვის, არის ასეთი გამოთქმა, რომ ხე ფესვებით იზომებაო. ამ თვალსაზრისით ჩვენ, ქართველებს, ძალიან დიდი ფესვები გვაქვს. უდაბნოში ყოფილა რაღაც მცენარე, რომელიც მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრია და 26 მეტრის ფესვები ჰქონია. მგონი გორგორა ჰქვია, ქარქვეტა. შეხედეთ ფრაზას: „ფეხი მთებრ დასდგას ქვეყანად, ტინურად დამტკიცებული, ვითა ქარქვეტა ქართაგან არ იქმნას, მოტაცებული“. აბა, მესხურად ნახე - ჯახი ჰქვია - Перекати-поле, იპპომორატჰრუმ ცრისპუმ, Конски фенхель“.

მოგვიანებით ჩავუღრმავდები ქარქვეტას ბოტანიკურ მონაცემებს. იგი ბალახოვანი მცენარე აღმოჩნდება - საქსაული, უდაბნოთა ერთ სხეულად მკონავი, ქვიშროვანების შემაკავებელი ენერგია. მერე იმასაც გავარკვევ, რომ გაცილებით ცხოველმყოფელი ყოფილა ამ მხრივ კაკლოვანი მცენარე ფსტა, მას 35-40 მეტრის ფესვები ჰქონია და უდაბნოთა ამაღორძინებელ ცოცხალ ძალადაა მიჩნეული.

„- იგი ამავდროულად სვეტიცხოველიცაა, - განაგრძობს ჩემი მოძღვარი მამა მიქაელი, - მარადიულობის სიმბოლო, სიცოცხლის მომტანი ცისიერი წყალობა, სადაც არის დაუნჯებული კვართი უფლისა. სხვათა შორის კვართთან მიმართებაში არის მამათა ასეთი სწავლება, რომ იგი იყო ზეგარდად მოქსოვილი. ის ხომ ღვთისმშობლის მიერ მოიქსოვა. ის იზრდებოდა მაცხოვრის ასაკის მატებასთან ერთად, ანუ ის არ იყო შეკერილი. შესაბამისად, ის არ დანაწევრებულა. აი, როგორც ქრისტეს კვართი იყო დაუნაწევრებელი, ასევე იქნებაო ქრისტეს ეკლესიაც და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ ზუსტად იმ კვართის მცველები ვართ და მადლობა უფალს, რომ დღემდე ამ კვართის მცველი ეკლესია არ განყოფილა, მწვალებლობა არ უშვია და დღემდე ერთიანია და მთლიანი. შესაბამისად, ერთიანია ეს ყველაფერი, აი, იმ მარადიულ სიცოცხლესთან კავშირში - ხე-მარადი, გასაოცრად ტევადი სიტყვაა და მკირთებელი ამ ყოველივესი. თავად ქრისტესთანაა წილნაყარი - კვართიც, ცხოველი სვეტიც, დედაბოძიც, ის ხეც - ცნობადისა - სიკეთისა და ბოროტებისა ერთი, ხე ცხოვრებისა, უკვდავებისა - მეორე, საერთოდ ერთხორცსხმული ხე, ხე, როგორც ჯვარი, როგორც ცხოველმყოფელი ძელი, რომლის შეხებითაც ჩვენ გვახსოვს პირველი სასწაული - ელენე დედოფალმა მისი მოძიება გადაწყვიტა იერუსალიმში, სადაც მაცხოვრის ძელზე გასვლის ადგილია. მოგვიანებით იქ ვენერას წარმართული ტაძარი აშენდა. აი, იმ ალაგას რომ გათხარეს, სამი ჯვარი აღმოაჩინეს და, მათგან ერთ-ერთი მიცვალებულს რომ შეახეს, იგი მყისვე გაცოცხლდა, ანუ ცხოველმყოფელი ყოფილიყო და მიხვდნენ, რომ, დიახაც, იმ ჯვარს მიაგნეს, რომელზედაც ქრისტე მაცხოვარი გაეკრა კაცობრიული ცოდვის თრგუნებად, მძლეობად სიკვდილითა სიკვდილისა.

სიწმინდე იმისთვის არსებობს, რომ ადამიანს სულის სითბო ჩაუღვაროს და სიყვარული გაუღვივოს. აქ გამოკვეთილია კვართის ზოგადეროვნული, ზოგადსამყაროსეული მნიშვნელობა. ერთ ეკლესიაში კი არა, სხვადასხვა ეკლესიაში უნდა მოძრაობდეს იგი, დასვენდეს, როგორც ჩვენი უნიკალური ხატი სულიერებისა. მიმაჩნია, რომ საქართველოს გამთლიანებას ეს განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს. ეს იქნება დედის კალთის მთელს საქართველოზე გადაფარება“.

რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენს, შეკვეთილში მის მიერ სულშთბერილ უნიკალურ დენდროლოგიურ პარკს, მას მსოფლიოში ანალოგი ნაკლებად ეძებნება. თავისი ნატურით ბატონი ბიძინა დიდი ფსიქოლოგია, იგი ზედმიწევნით ენათესავება სკანდინავიელ დრუიდებს, რომელთა სწავლებით თითოეული ხე რაღაც აღმატებულ თვისებას ანივთიერებს ადამიანში და რადგანაც ხე დედაბოძია ქართული მითოლოგიით; და რადგანაც ხე სვეტიცხოველია თეოლოგიურად; და რადგანაც ხე იგივე ქრისტეა, იგივე მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა - საქართველო, მათზე მზრუნველობით, ბატონი ბიძინა დაჭიდებულია უდიდეს მამულიშვილურ საქმეს - საქართველოს უკვდავების საქმეს.

მე ცოტათი ზემოთ შემთხვევით არ მოხსენებია უდაბნოების ნაყოფიერ სივრცედ ამაღორძინებელი კაკლოვანი ხე ფსტა. აი, რას ვკითხულობთ ვიკიპედიაში: „ლათ. Pistacia - მცენარის გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. გვარში 20 სახეობაა. ბუჩქები და ხეებია. ველურად იზრდება. საკმლის ხე, ანუ კევის ხეც ჰქვია. საქართველოში გვხვდება ფსტა (ლათ. პისტაცია ვერა).

ჩვენ ამ თემას „საერთო გაზეთის“ წინა ნომრებშიც შევეხეთ წერილში „მსოფლიოს მერვე საოცრება“, აქ კი შეგვიძლია დავსძინოთ, რომ საქართველოშივეა შექმნილი უნიკალური პრეპარატი „ბიორაგი“ (ავტორი აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე), რომელსაც შესწევს უნარი ნებისმიერ მცენარეს

მიანიჭოს გასაოცვარი ცხოველმყოფელობა. მაგალითისთვის, ჩვენს მიერ ისედაც გამორჩეულ ფსტას, გაუორმაგის, გაუსამმაგოს ფესვების სისტემა და აქციოს მილიონობით ჰექტარი დედამიწისეული უდაბნიოს გარდამქმნელ, გამამიწიანებელ, გადამრჩენ ხე-საოცრებად, ხემარადად.

აი, სად გამოჩნდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ჯერეთ პატროფილური ფენომენის შემდგომში ზოგადკაცობრიულ ძალისხმევად.

მაკა ბენაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **მანანა დარჩაშვილმა***

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ბალტიის ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა)

თანამედროვე მსოფლიოში, აღიარებულია, რომ ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად უმთავრესი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის გენდერული თანასწორობის პატივისცემა მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიოს მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ.

თანამედროვე მსოფლიოში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხი აქტიურად განიხილება. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი დემოკრატიისათვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია პოსტსოციალისტური ქვეყნების მაგალითების შესწავლა. ამასთან, ბალტიის ქვეყნებში, საქართველოსგან განსხვავებით, საკითხის შესწავლის კუთხით, საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკვლევად ბალტიის ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) შევარჩიეთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ, ევროპული დირექტივების როლი, აღნიშნულ სახელმწიფოებში სოციალური უთანასწორობის შემცირების მექანიზმების შემუშავებაში. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გენდერული უთანასწორობის შეფასებისას.

მოცემულ ნაშრომში აიხსნება თუ როგორია ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხი და რა ფაქტორები ახდენენ გავლენას, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე შერჩეულ ქვეყანებში.

საკვანძო სიტყვები: *გენდერული თანასწორობა, ქალები პოლიტიკაში, ბალტიის ქვეყნები, პოლიტიკური პარტიები.*

საერთაშორისო საზოგადოებას მტკიცედ სწამს, რომ ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან ყველა ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების“ და „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტებით“.

თანამედროვე მსოფლიოში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხი აქტიურად განიხილება. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი დემოკრატიისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია პოსტ-სოციალისტური ქვეყნების მაგალითების შესწავლა. ამასთან, ბალტიის ქვეყნებში, საქართველოსგან განსხვავებით, საკითხის შესწავლის კუთხით საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკვლევად ბალტიის ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) შევარჩიეთ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ, ევროპული დირექტივების როლი, აღნიშნულ სახელმწიფოებში სოციალური უთანასწორობის შემცირების მექანიზმების შემუშავებაში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გენდერული უთანასწორობის შეფასებისას. მოცემულ ნაშრომში აიხსნება თუ როგორია ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხი და რა ფაქ-

ტორები ახდენენ გავლენას, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე შერჩეულ ქვეყანებში.

1992 წელს (ქ. ათენში), ევროპის პირველ სამიტზე, „გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობასთან დაკავშირებით“ აღინიშნა, რომ ქალები კაცობრიობის პოტენციური შესაძლებლობებისა და უნარების ნახევარს ფლობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი დაბალი ჩართულობა მთელი საზოგადოების დანაკარგია [1].

მსოფლიო მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ მსოფლიო ბანკის 2022 წლის მონაცემების მიხედვით, ქალები ესტონეთის მთლიანი მოსახლეობის 53%-ს შეადგენს, ხოლო ლატვიასა და ლიეტუვაში ქალების რაოდენობა ერთნაირად, 54%-ია [2].

პოსტსაბჭოთა პერიოდში, რესპუბლიკები ტრანსფორმაციის გზაზე, დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. ამ პროცესის თამდევ პროცესად ხშირად სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება (რომელიც მოიცავს სოციალური რეალობის მრავალ განზომილებას, კერძოდ, აქტიური მოქალაქის ტიპის ფორმირება, სამოქალაქო ინსტიტუტების შექმნა, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება) მოიაზრება. პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში სოციალური ტრანსფორმაციის დინამიკას ასევე ახასიათებს გენდერული თანასწორობის მიმართ სწორი დამოკიდებულება, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხის გააქტიურება.

აქედან გამომდინარე საინტერესოა, ბალტიის ქვეყნების კონსტიტუციებისა და შესაბამისი კანონმდებლობების როლი ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაში [3].

ნაშრომის მეთოდოლოგია მოიცავს შესაბამისი მასალების სამაგიდო კვლევას, რაც გულისხმობს, თემის გარშემო არსებული ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. კერძოდ, ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში, გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკაში მონაწილების შესახებ არსებული კვლევების, სტატისკური მონაცემების ანალიზს. ასევე, ის მოიცავს, წარმოდგენილი თემის გარშემო, ევროპის სამეცნიერო წრეებში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებში, არსებული ლიტერატურის კონტენტ-ანალიზს.

გენდერული უთანასწორობის განვითარების თეორიის მიხედვით საზოგადოების მოდერნიზაციასთან ერთად იცვლება გენდერული როლები [4].

იმისთვის, რომ გენდერულ უთანასწორობასა და შემდგომ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობაზე მოქმედი ფაქტორები გამოგვევლინა, ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენეთ რ. ინგლეჰარტის და პ. ნორისის კვლევა „გენდერული თანასწორობა და კულტურული ცვლილება მთელს მსოფლიოში“ [5].

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, ავტორებმა შეძლეს სხვადასხვა კულტურაში გენდერული თანასწორობის კუთხით სისტემური განსხვავებების აღმოჩენა და გამოყვეს ოთხი მთავარი მიგნება:

ა) საზოგადოებებს შორის განსხვავება, შესაძლოა, იყოს ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით;

ბ) თაობების მიხედვით;

გ) სქესის მიხედვით, ქალებსა და კაცებს შორის;

დ) სხვადასხვა სტრუქტურული და კულტურული ფაქტორების მიხედვით, მაგალითად როგორიცაა განათლება.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მიგნება ძალზედ საინტერესოა, თუმცა ჩვენი ყურადღება უფრო მეტად ინგლეჰარტისა და ნორისის კვლევის იმ ნაწილმა მიიქცია, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ დამოკიდებულება ქალი ლიდერების მიმართ გაცილებით უფრო პოზიტიურია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში, ვიდრე განვითარებად ან პოსტკომუნისტურ სამყაროში და ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს, როდესაც მათ ამა თუ იმ თანამდებობაზე ირჩევენ.

მეტიც, მათივე თქმით, მართალია, კულტურული ცვლილების გარეშე ინსტიტუციური მექანიზმი არაეფექტურია, მაგრამ მხოლოდ კულტურული ცვლილებაც ვერ გადაჭრის გენდერულ უთანასწორობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გარემო გაცილებით უფრო ხელსაყრელია პოლიტიკის შესაბამისი რეფორმისათვის.

და ბოლოს, ისინი ამტკიცებენ, რომ დამოკიდებულებების შეცვლა დროში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მოდერნიზაციასთან. ავტორების თქმით, გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოებების დამოკიდებულება განსხვავდება იმ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც განვითარების ერთ დონეზე არიან. იგი იცვლება ისეთი ფაქტორების მიხედვით როგორიცაა, რელიგიური ტრადიციები, სახელმწიფოს მოწყობის ტიპი და დემოკრატიზაციის დონე.

აგრეთვე საინტერესოა, ბალტიის ქვეყნების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის რასა ალისაუსკიენეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ქალები ვერ აღწევენ წარმატებას საზოგადოებაში და ვერ იკავებენ სამთავრობო პოზიციებს, ესენია: 1) ისტორიულად განლაგებული პატრიარქალური ნორმები, რომლებიც კარნახობენ კაცებს ოჯახის მარჩენელის როლს, ხოლო ქალს – დიასახლისის; 2) შეზღუდული სამუშაო შესაძლებლობები და 3) გენდერის ნიშნით კერძო და საჯარო სფეროების დაყოფა [6].

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ესტონეთში

1918 წელს, ესტონეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე, ქალებს ხმის მიცემის უფლება მიენიჭათ, პირველი ქალი პარლამენტარი ესტონეთის საკანონმდებლო ორგანოში 1920 წელს დაფიქსირდა. 1990 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში ქალთა აღნიშნული უფლება კიდევ ერთხელ დადასტურდა. 2004 წელს ევროკავშირის წევრობის სტატუსის მიღების შემდეგ კი ესტონეთში ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, ესტონეთიც გარდამავალი დემოკრატიისთვის დამახასიათებელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

აღნიშნული გამოწვევებიდან ერთ-ერთს, სწორედ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, შესამჩნევი იყო ესტონეთში ქალთა როგორც, არჩევნებში მონაწილეობის, ასევე პოლიტიკური პარტიების საქმიანობის განხორციელების პროცესში, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ჩართულობის დონის ზრდა [7].

1991 წელს ეროვნულ პარლამენტში (რიიგიკოგუ) ქალების რაოდენობა 13%-ს შეადგენდა, თუმცა შემდეგ წლებში ჩვენ ვხედავთ პროგრესს, 1991 წლიდან - 2011 წლამდე ქალ დეპუტატთა რაოდენობა ეროვნულ პარლამენტში 20%-მდე გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალები ნაკლებად იყვნენ ჩართულები. პირველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რიიგიკოგუში ყოველთვის შეიმჩნეოდა ქალი სპიკერების ნაკლებობა. ასევე, ქალები ესტონეთის პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები ან მოადგილეები იშვიათად არიან [8].

ესტონეთის პარლამენტში ერთადერთი ქალი სპიკერი ემა ერგმა იყო, რომელიც აღნიშნულ პოზიციას 2003-2006 და 2007-2014 წლებში იკავებდა.

გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა. რა თქმა უნდა ესტონეთის კონსტიტუცია არის თანასწორობის გარანტი. თუმცა, ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანი იყო 1996 წელს სოციალური დაცვის სამინისტროს დაარსება, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც გენდერული თანასწორობის განვითარება წარმოადგენდა. უფრო მეტიც, 2004 წელს „გენდერული თანასწორობის აქტი“ ამოქმედდა, ხოლო 2009 წლიდან „თანაბარი მოპყრობის“ აქტი შევიდა ძალაში. მოცემული აქტების მიხედვით, გენდერული თანასწორობა ნიშნავს, მამაკაცებისთვის და ქალებისთვის თანაბარი უფლებების, მოვალეობების, შესაძლებლობების და პასუხისმგებლობების უზრუნველყოფას.

სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში მონაწილეობის მიღებას, რადგან ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია თანასწორობის მიღწევისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რაც აღნიშნულ აქტებშიც ასევე გათვალისწინებული იყო [9].

„გენდერული თანასწორობის აქტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას. მათი მოვალეობაა შეცვალონ გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის შემაფერხებელი პირობები და გარემოებები [10].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ის ხელისუფლებას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ავალდებულებს. ამ კუთხით, ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, 2013 წელს, ესტონეთის მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა. საბჭო არის ესტონე-

თის მთავრობის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც რჩევებს აძლევს მთავრობას გენდერული თანასწორობის დასაცავად. ამ გზით, როგორც ჩანს, ესტონეთი სხვა ქვეყნებზე უკეთ იცავს და ხელს უწყობს ქალთა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და გამოხატვის თავისუფლებას.

ესტონეთში, სადაც მოსახლეობის 53% ქალია, საინტერესოა, გენდერული თანასწორობის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული გენდერული თანასწორობის ინდექსის შედეგების მიხედვით, რომელშიც წარმოდგენილია ევროკავშირის წევრი სახელმწფოებში არსებული გენდერული თანასწორობის შედეგები. აღნიშნულის მიხედვით, ესტონეთი 61.6%-ით, გენდერული თანასწორობის მხრივ, პოსტსოციალისტურ სივრცეში მოწინავე სახელმწიფოთა რიგებშია [11].

ამ ფონზე ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში ქალ დეპუტატთა რაოდენობა 25.74%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ესტონეში არ არსებობს კანონით სავალდებულო ან ნებაყოფლობითი პარტიული კვოტები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 152 ქვეყნიდან მხოლოდ 10 სახელმწიფოს ჰყავს ქალი ლიდერი მეთაურად და მათ შორის არის ესტონეთი. უფრო მეტიც, 2021 წელს ესტონეთის ისტორიაში ქალ ლიდერთა ახალი ეტაპი დაიწყო. მსოფლიოში პირველად როგორც მთავრობის (პრემიერ-მინისტრი - კაია კალასი), ასევე სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტი - კერსტი კალიულაიდი) თანამდებობებს ქალები იკავებენ. გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რიგებში ქალების რაოდენობის ზრდის კუთხით, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ, პრემიერ-მინისტრის, კაია კალასის მიერ მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებისას დაცული გენდერული ბალანსი, სადაც 6 ქალი მინისტრი იყო წარმოდგენილი.

თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონმდებლობით გენდერული ბალანსი გარანტირებულია, მაგრამ პრაქტიკაში არსებული სიტუაცია ხშირად განსხვავებულია. ფემინისტი პოლიტიკური თეორეტიკოსების არგუმენტზე დაყრდნობით, „გენდერის მიმართ ნეიტრალიტეტის გამოჩენა ან მინისტრთა კაბინეტში მამაკაცებსა და ქალებს შორის დაცული თანასწორობა რეალურად მალავს არსებით გენდერულ უთანასწორობას“ [12].

საინტერესოა, რომ ესტონეთში ცენტრისტულ ან მემარცხენე პარტიებში ქალები, რაოდენობრივად უკეთესადაა წარმომადგენილი, ვიდრე ლიბერალურ პარტიებში [13].

თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ინფორმაცია ხშირად განხილვის საგანია, რადგან გამოთქმულია მოსაზრება, რომ ესტონეთის ცენტრისტული ან მემარცხენე პარტიები ცდილობდნენ დამალონ რეალურად არსებული მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ლატვიაში

1918 წელს ლატვიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებისთანავე, როგორც მამაკაცების, ასევე ქალთა ხმის მიცემისა და არჩევის უფლებები აღიარეს. 1990 წელს დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ ლატვიას ძალიან მოკლე დროში არსებითი ცვლილებების განხორციელება მოუხდა, რადგან ამ დრომდე ლატვიაში სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მსგავსად არ არსებობდა გენდერული კონცეფცია.

გენდერული მექანიზმების შექმნა ქვეყანაში 1999 წელს დაიწყო, როდესაც კეთილდღეობის სამინისტრო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანო გახდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ლატვიის ევროკავშირში გაწევრიანებამ ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაც დაისახა.

2010 წლიდან კეთილდღეობის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის კომიტეტი, რომლის მთავარ ამოცანას გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პრიორიტეტებისა და მოქმედების მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენდა. მასვე ევალებოდა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგიც. მნიშვნელოვანია, რომ საკონსულტაციო ორგანოში შექმნილია ინკლუზიური გარემო, რადგან მასში სახელმწიფო უწყებებისა და სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად არასამ-

თავრობო ორგანიზაციებიც აქტიურად არიან ჩართულები.

ლატვიაში პოლიტიკურ წარმომადგენლობაში თანასწორობის ფორმალური დაბრკოლებები არ არსებობს, თუმცა პოლიტიკა იმ სფეროთაგან ერთ-ერთია, სადაც გენდერული თანასწორობის მიღწევა დე-ფაქტოდ რჩება. ლატვიაში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სეიმის (პარლამენტის) დეპუტატებს შორის ქალების რაოდენობა დაახლოებით 8-20% შეადგენდა.

ასევე, დისპროპორცია შეიმჩნეოდა მინისტრთა კაბინეტშიც, აქ ჩვეულებრივ 17 მინისტრიდან 2-3 ქალი მინისტრია. თუ კარგად დავაკვირდებით ლატვიის მაგალითს, დავინახავთ, რომ აქ ქალებს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ძირითადად სოციალურ სექტორებზე (განათლებაზე, კულტურაზე, სოციალურ საკითხებზე, ჯანმრთელობაზე) აქვთ.

აღნიშნულის მიზეზი სხვადასხვა კვლევების მიხედვით, შიდაპარტიული და შიდაპოლიტიკური ელიტური კულტურაა, სტერეოტიპები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს პოლიტიკოსი ფართო საზოგადოებისთვის და ოჯახური ვალდებულებები ქალებისთვის. პოლიტიკაში ქალების დაბალი მონაწილეობა დაკავშირებულია ლატვიის პოლიტიკურ კულტურასთან და ხანგრძლივ ტრადიციებთან, სადაც პოლიტიკა მამაკაცის მოქმედების სფეროდ აღიქმება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ლატვია ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნების ჩამონათვალს შორის, სადაც საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი ქალია.

მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის სეიმის სპიკერი - ინარა მურნიეჩე და პრეზიდიუმის თითქმის ყველა წევრი ქალია, ლატვიის პოლიტიკური ძალაუფლების ნაწილში მაინც მამაკაცები დომინირებენ [14].

2018 წლის საპარლამენტო არჩევნები ლატვიის პოლიტიკაში ქალებისთვის წყალგამყოფი წელი აღმოჩნდა. საკანონმდებლო ორგანოში ქალების რაოდენობა 18%-დან 31%-მდე გაიზარდა, ზემოთ დასახელებული გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის მიერ 2021 წელის გამოქვეყნებული გენდერული თანასწორობის ინდექსის შედეგების მიხედვით, ლატვია 62.1%-ით, გენდერული თანასწორობის მხრივ, პოსტსოციალისტურ სივრცეში ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა [11].

პარლამენტარ ქალთა აღნიშნული რაოდენობრივი ზრდა საკმაოდ შესამჩნევია იმის გათვალისწინებით, რომ ლატვიის მთავრობა არ ახორციელებს კვოტირებას. ლატვიაში ქალი კანდიდატების პოპულარიზაციისთვის ინსტიტუციური ჩარჩოების არ არსებობა, მიუთითებს იმაზე, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ქალების პარლამენტში მოხვედრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ლატვიაში მოქმედი პროპორციული, ღია სიის სისტემა რიგი მკვლევარების მტკიცებით, დახურული სიის სისტემასთან შედარებით, ქალებისთვის ნაკლებად მომგებიანია.

საინტერესოა, რომ ლატვიის შემთხვევაში ღია სიის სისტემა სასარგებლო აღმოჩნდა ზოგიერთი ქალი კანდიდატისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქალ დეპუტატთა რაოდენობის მსგავსი მზარდი მაჩვენებელი მხოლოდ საარჩევნო სისტემის დამსახურება ვერ იქნებოდა. საარჩევნო სიებში ქალი კანდიდატების წამოყენებაზე პოლიტიკური პარტიების მზადყოფნამ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ზრდაზე უდავოდ იმოქმედა. საინტერესოა ისიც, რომ ამ კუთხით ლატვიაში არსებული კონკურენციის პირობებში, ტრადიციულ პარტიებს „იძულებით“ უწევთ ქალი კანდიდატების პარტიულ სიებში წარმოდგენა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ლიეტუვაში

ლიეტუვაში ქალები ქვეყანაში დემოკრატიის ჩამოყალიბებისათვის 1920-იანი წლებიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ.

მიუხედავად მათ მიერ მიღწეული წარმატებებისა, ლიეტუვაში ქალების მიერ დაკავებული საპარლამენტო მანდატების რაოდენობა ბევრად ჩამორჩება ევროპის საერთო საშუალო მაჩვენებელს. მაგალითად, ევროკავშირის (EU) გენდერული თანასწორობის ინდექსში, ლიეტუვა ევროკავშირის 28 ქვეყნიდან მხოლოდ 22-ე ადგილს იკავებს და თანასწორობის საზომი 100-ბალიანი შკალით მხოლოდ 56.3%-ია [15], ხოლო დასახელებული გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული გენდერული თანასწორობის ინდექსის შედეგების მიხედვით, ლიეტუვას მონაცემი - 58.4%-ია [11].

ცხრილი 1.

ევროკავშირის წევრი სახელმწფოების გენდერული თანასწორობის ინდექსი - 2021 წელი

ქვეყანა	გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის კვლევის შედეგები
ესტონეთი	61.1 %
ლატვია	62.1 %
ლიეტუვა	58.4 %

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ლიეტუვაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში მრავალი ცვლილება განხორციელდა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყანაში განსაკუთრებული ეკონომიკური კრიზისი სუფევდა.

2004 წელს ევროკავშირის წევრობამ მოსახლეობის საბჭოთა მენტალიტეტისა და სოციალური კუთხით არსებული სიტუაციის ტრანსფორმაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. საერთაშორისო საზოგადოებაში გაწევრიანების შემდეგ გაიზარდა ფინანსური დახმარება, იდეების ნაკადი და ცვლილებები ეკონომიკაში, რამაც ლიეტუვის კულტურასა და სოციალურ ნორმებზე გავლენა მოახდინა [16].

ლიეტუვა ევროკავშირში გაწევრიანებით გლობალური თანამეგობრობის ნაწილი გახდა, ამან კი გარკვეულწილად გენდერული იდეოლოგიაც შეცვალა, რაც ქალთა სამოქალაქო უფლებების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულებაში გამოიხატა.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების კუთხით, მნიშვნელოვანი იყო ლიეტუვაში 1998 წელს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების შესახებ კანონის მიღება.

აღნიშნული კანონმდებლობა განსაზღვრავს გენდერულ დისკრიმინაციას და აწესრიგებს ურთიერთობებს სამუშაო ადგილებსა და საგანმანათლებლო სისტემაში. ამის შემდეგ მალევე შეიქმნა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების კონტროლის საბჭო. ეს უკანასკნელი ყურადღებას ძირთადად ისეთ საკითხებზე ამახვილებს, რომლებიც კონკრეტულად ქალებს ეხება, როგორებიცაა გენდერული დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროება თუ სხვა.

ლიეტუვაში პარტიული კონკურენცია დაფუძნებულია შერეული საარჩევნო სისტემის სპეციფიკაზე, რომლის დროსაც პრიორიტეტული ხდება მაჟორიტარი კანდიდატებზე ორიენტირება, რომლებიც უფრო ხშირად მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არის მოსაზრება, რომ ლიეტუვის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი, სრულად ან მეტად პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, შესაძლოა უკეთესი ყოფილიყო.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიეტუვა ბალტიის სხვა ქვეყნებთან შედარებით უპირატესად კათოლიკური სახელმწიფოა, ამ შემთხვევაში შეიძლება რელიგია უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიოთ, ვიდრე საარჩევნო სისტემა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ რელიგიური ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ქალთა წარმომადგენლობაზე, ლიეტუვის შემთხვევაში არ გამართლდა, მაგალითად 2019 წლის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო უმრავლესობა პარლამენტში და ქალთა წარმომადგენლობა 3%-ით გაიზარდა.

ლიეტუვაში ნებაყოფლობითი პარტიული კვოტები გამოიყენება. უახლესი მონაცემებით (2020), პარლამენტში 141 მანდატიდან 38 ქალებს ეკუთვნით, რაც 27%-ია [17].

2016 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი - 21%, ხოლო 1990 წელს მხოლოდ - 7% იყო. ქალების პოლიტიკაში ჩართულობის მხრივ, ლიეტუვასთვის 2020 წელი განსაკუთრებულად პოზიტიური აღმოჩნდა, რის შედეგადაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაშიგენდერული თანასწორობის კუთხით მას ყველაზე დაბალანსებული მინისტრთა კაბინეტი ჰყავს. აღნიშნული კუთხით დაწინაურება ნათლად ასახავს ლიეტუვის დემოკრატიულ პროგრესს.

დასკვნის სახით სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას მაგალითების შესწავლამ დაგვანახა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა შემდეგ სახელმწიფოებრიობის შენების პირ-

ველ წლებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის საკითხი სამივე ქვეყნისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. პოსტ-საბჭოთა სივრცეში ქალთა პოლიტიკურიმონაწილეობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად სახელმწიფოებში არსებული პარტიული სისტემები გვევლინება. ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას მაგალითები აჩვენებენ, რომ პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემები მთლიანობაში უფრო ხელსაყრელია ქალი კანდიდატებისთვის, ვიდრე შერეული სისტემები, რომლის დროსაც აქცენტი უფრო მეტად მაჟორიტარ კანდიდატებზე კეთდება, რომელთა უმრავლესობა კი როგორც წესი მამაკაცია.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პროგრესი, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით მოცემულ სამ ქვეყანაში განხორციელდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალი ლიდერებისა და მათი, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რიგებში რაოდენობის ზრდა. თუმცა ეჭვს იწვევს ამ კუთხით არსებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ქალების პოლიტიკაში ჩართულობის ფორმალური რიცხვობრივი მონაცემების ზრდა გამიზნულია რეალურად, გადაწყვეტილებების მიმღებ წრეებში არსებული უთანასწორობის გადასაფარად.

ვფიქრობ, აღნიშნული ეჭვების გაქარწყლებისთვის საჭიროა ვიხილოთ გენდერულად დაბალანსებული ისეთივე მინისტრთა კაბინეტები, როგორიც ესტონეთის პრემიერ მინისტრმა კაია კალასმა წარმოადგინა, ხოლო საკანონმდებლო ორგანოების სპიკერებისა და კომიტეტების თავმჯომარეობის თანამდებობებზე უფრო მეტი ქალის ხილვაა საჭირო. ყოველივე აღნიშნული კი დამოკიდებულია, როგორც ქვეყნის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიაზე, ასევე თითოეული პოლიტიკური პარტიის ნებასა და ქმედებაზე.

MAKA BENASHVILI

POLITICAL PARTICIPATION OF WOMEN IN THE BALTIC STATES (ESTONIA, LATVIA, LITHUANIA)

Summary

In the modern world, it is recognized that respect for fundamental human rights and freedoms, including gender equality, is essential to human well-being because of the world's populations 50% are women. It is especially interesting and important for Georgia as a developing democracy to study the examples of post-socialist countries.

The issue of women's involvement in politics is actively discussed in the modern world. At the same time, in the Baltic countries, unlike Georgia, there is quite a rich literature in terms of studying the issue. Based on this, we selected the Baltic countries (Estonia, Latvia, Lithuania) for the study. It is also important that the Baltic States are members of the European Union, which will allow us to see the role of European directives in developing mechanisms to reduce social inequality in these countries. Women's political participation is one of the most important indicators in assessing gender inequality. This paper explains the issue of women's participation in politics in Estonia, Latvia and Lithuania, and what factors influence women's participation in politics in selected countries.

Keywords: *Gender Equality, Women in Politics, Baltic States, Political Parties.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Council of Europe, 1992, The first European Summit „Women in Power“, ATHENS DECLARATION. http://www.eurit.it/Eurplace/diana/ateneen.html - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.04.2022
2. World Bank collection of development indicators, 2022, Population, female (% of total population). https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL.FE.ZS - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2022

3. Bullough, A., Kroeck, K. G., Newburry, W., Kundu, S. K., & Lowe, K. B. 2012. Women's political leadership participation around the world: An institutional analysis. The Leadership Quarterly, 23(3), p. 398-411
4. United Nations, 2010. The World's Women 2010: Trends and Statistics. New York. http://unstats.un.org/unsd/demographic/products/Worldswomen/WW_full%20report_color.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.04.2022
5. Inglehart, R. and Norris, P. 2003. Rising Tide: Gender Equality and Cultural Change around the World, Cambridze University Press.
6. Jurėnienė, V. 2015. „Gender roles in Lithuanian Society", Global Journal of Human Social Science, p. 2–7
7. Lukić, J., Regulska, J., & Zaviršek, 2006. Women and citizenship in Central and Eastern Europe. Ashgate Publishing, Ltd., p. 85.
8. ესტონეთი ეროვნული საარჩევნო კომისია: https://www.valimised.ee/en - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.02. 2022
9. Republic of Estonia, Ministry of Social affairs, Gender equality and equal treatment. https://www.sm.ee/en/gender-equality-and-equal-treatment - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.04.2022
10. Riigikogu, 2019, Gender Equality Act. https://www.riigiteataja.ee/en/compare_wordings?grupiId=100042 &vasakAktId=516012019002 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2022
11. European Institute for Gender Equality, 2021. Gender Equality Index. https://eige.europa.eu/gender-equality-index/2021/EU - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.04.2022
12. Paxton, P., & Hughes, M., M. 2015. Women, politics, and power: A global perspective. CQ Press, pp. 15-18.
13. Crowther, W. E., & Matonyte, I., 2007. Parliamentary elites as a democratic thermometer: Estonia, Lithuania and Moldova compared. Communist and post-communist studies, p. 281-299.
14. The Association for the Advancement of Baltic Studies. 2020. Women's Representation and Gender Dynamics in Latvian Politics: A Report on the 2019–2020 AABS Emerging Scholars Grant.https://aabs-balticstudies.org/2020/12/17/womens-representation-and-gender-dynamics-in-latvian-politics-a-report-on-the-2019-2020-aabs-emerging-scholars-grant/# - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2022
15. Vismante Ezerskyte. V., 2021. Historic Elections in Lithuania Bring Women to Power, International Republican Institute. https://www.iri.org/news/historic-elections-in-lithuania-bring-women-to-power/ - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.04.2022
16. Stankevicius. S., 2012. Lithuanian women in the Parliament: Access and participation in post-socialist politics, College of Liberal Arts & Social Sciences Theses and Dissertations. p. 133. - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.04.2022
17. Lapinske, L., 2020. WOMEN LEADERSHIP IN POLITICS: LITHUANIAN PARLIAMENTARY ELECTIONS 2020. https://gender-spear.eu/blog/post/41/women-leadership-in-politics-lithuanian-parliamentary-elections-2020 - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 21.04.2022

✍ მარიკა კენჭოშვილი
წარმოადგინა პროფ. ემილია ალავერდოვმა

COVID-19-ის წინააღმდეგ ბძოლა ცენტრალური აზიის ქვეყნებში

COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა მთავარ გამოწვევად იქცა ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნებიდან სამმა - ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა - გააკვირვა მრავალი მათგანი. ცენტრალური აზიის ქვეყნებმა დროულად გადადგეს მკაცრი ნაბიჯები SARS-CoV-2–ის ქვეყნის შიგნით გავრცელებაზე, როგორც დროის, ასევე დადგენილი რეგულაციების ყოვლისმომცველობის თვალსაზრისით, მანამ სანამ ოფიციალურად დაფიქსირდებოდა COVID-19-ის შემთხვევები, ყაზახეთმა სწრაფად ჩაკეტა ქვეყნის საზღვრები და მკაცრი სოციალური დისტანცირების ზომები დააწესა. ყირგიზეთმაც და უზბეკეთმაც ანალოგიური აგრესიული ზომები მიიღეს, მაგრამ მათი შესრულება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. ამის საპირისპიროდ, ტაჯიკეთი თავდაპირველად ძალიან ერიდებოდა COVID-19–თან დაკავშირებული რისკების აღიარებას და გვიან ურჩია თავის მოქალაქეებს, რომ არ გამგზავრებულიყვნენ გარკვეული მიმართულებებით, ცოტა მოგვიანებით კი სრულად დახურა აეროპორტებიც. ბოლოს, თურქმენეთმაც გააუქმა ფრენები და დახურა საზღვრებიც, მაგრამ კვლავ უარყოფდა ქვეყნაში COVID-19 გავრცელების რისკს. მიუხედავად მათი სწრაფი და გადამწყვეტი ზომებისა, 2020 წლის მარტსა და აპრილში, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა COVID-19-ის შემთხვევების დრამატული ზრდა დააფიქსირეს.

საკვანძო სიტყვები: *Covid-19, ჩინეთი, ცენტრალური აზია, რბილი ძალა, SARS-CoV-2*

ცენტრალური აზიის ბრძოლა COVID-19-თან გვთავაზობს ორ მნიშვნელოვან გაკვეთილს: პანდემიის მიმართ მთავრობის რეაგირების შესახებ და კრიზისულ სიტუაციაში ჯანდაცვის სისტემის ეფექტურ მუშაობაზე.

2020 წლის მეორე ნახევარში COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელმა სწრაფი ზრდა დაიწყო, რის გამოც ბევრმა გამოხატა შეშფოთება, რომ ცენტრალურ აზია განიცდიდა COVID-19-ის „მეორე ტალღას“.

ახალი შემთხვევების ზრდამ გადატვირთა სუსტი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, რაც ზოგადად ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. მოკლედ, შუა აზიის სიფრთხილის ზომები განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველი, ეს აჩვენებს, თუ რა ხდება შეზღუდვების ძალიან სწრაფად მოხსნის შემთხვევაში. COVID-19-ის შემთხვევების დრამატული ზრდა და სიკვდილიანობა 2020 წლის ივნისსა და ივლისში, სავარაუდოდ, ე. წ. „მეორე ტალღა“ კი არ იყო, არამედ, მისი „პირველი ტალღის“ გაგრძელება, რომელიც ადრევე გაჩერდა ან შენელდა ადრეული მყისიერი რეაგირების გამო, მაგრამ გაგრძელდა ამ პოლიტიკის მოდუნებით. მეორე - ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის გამოცდილებამ ცხადყო, რომ პოლიტიკის სიმკაცრე და COVID-19-ის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარება, პირველ რიგში დამოკიდებულია სახელმწიფოს რეჟიმის ტიპსა და მის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. განსხვავებული რეჟიმის ტიპებისა და სახელმწიფო შესაძლებლობების სხვადასხვა დონის მიუხედავად, პანდემიის დასაწყისში სამივე ქვეყანას არ სურდა ეღიარებინა ეპიდემიის გავრცელების პოტენციური სიმძიმე და მიეღო აუცილებელი, მაგრამ არაპოპულარული ზომები. სამივე ქვეყანამ შეცვალა კურსი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ სამივე ქვეყანამ აღადგინა მკაცრი სოციალური დისტანცირების ზომები, მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ COVID-19 აგრძელებდა გავრცელებას, მათი ვირუსსთან ბრძოლის შესაძლებლობები შეზღუდული იყო, მანამდეც არსებული სუსტი ჯანდაცვის სისტემის გამო.

მიუხედავად ეპიდემიის გავრცელების მრავალი მსგავსებისა, ხუთივე ქვეყანამ, რომლებიც ცენტრალურ აზიას ქმნიან, სხვადასხვა-

ნაირი რეაგირება მოახდინეს ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ. COVID-19-ის საფრთხე მას შემდეგ, რაც პირველი შემთხვევები დადასტურდა 2020 წლის მარტის დასაწყისში, შეგვიძლია განვასხვავოთ ორ მთავარ განზომილებაში: დრო და ყოვლისმომცველობა. განსაკუთრებით სამმა ქვეყანამ - ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა - საკმაოდ სწრაფად და გადამწყვეტად მიიღეს ჯანმრთელობის პოლიტიკის ზომები.

ტაჯიკეთისა და თურქმენეთის კოლეგებთან შედარებით, მარტის შუა რიცხვებში, ამ სამი ქვეყნის ლიდერებმა დახურეს საზღვრები და დააწესეს მკაცრი სოციალური დისტანცირების ზომები, მათ შორის გააუქმეს ყველა საჯარო ღონისძიება და შეკრება 21 მარტს, ნოვრუზის დღესასწაულის აღსანიშნავად. თუმცა, ივნისის დასაწყისში სამივე ქვეყანამ ამ ზომების შერბილება დაიწყო ძირითადად მათი ეკონომიკური მდგომარეობის შედეგების გამო. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, თითოეულმა მთავრობამ აღიარა თავდაპირველი სიმკაცრის დაბრუნების აუცილებლობა, მიუხედავად ეკონომიკური და შესაძლოა, პოლიტიკური შედეგებისა.

ყაზახეთი

ყაზახეთმა ყველაზე სწრაფად აღიარა საფრთხე და შეიმუშავა ჯანმრთელობის პოლიტიკა COVID-19-ის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ჩინეთის რამდენიმე მოქალაქე დაბრუნდა ჩინეთიდან - ყაზახეთში, თანმხლები ვირუსის სიმპტომებით, 2020 წლის იანვრის ბოლოს, მთავრობამ მოაწყო საგანგებო შეხვედრა, რომელზეც მიიღო დამატებითი ზომები გავრცელების რისკის შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მთავრობას უკვე დახურული ჰქონდა თავისი სახმელეთო საზღვრები ცენტრალურ აზიასთან, ყაზახეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაეხურა თავისი მხარე ხორგოსის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან და შეეჩერებინა მგზავრები სამოცდათორმეტი საათით COVID სასტუმროში. მხოლოდ 2020 წლის 15 მარტს გამოაცხადა ყირგიზეთის პრეზიდენტმა კასიმ-ჯომარტ ტოკაევმა საგანგებო მდგომარეობა. რამდენიმე დღით ადრე, მთავრობამ უკვე გადაწყვიტა ყველა სკოლის დახურვა [1] და ყველა ძირითადი საზოგადოებრივი ღონისძიების გაუქმება, რაც მოიცავდა პოპულარული დღესასწაულის ნოვრუზის აღნიშვნასაც.

როდესაც, დადასტურებული შემთხვევების რიცხვმა დაიწყო ზრდა მომდევნო კვირეების განმავლობაში, რომლებიც კონცენტრირებულ იქნა ქვეყნის ორ უდიდეს ქალაქში, ალმატიში და დედაქალაქ ნურ-სულთანში, მთავრობა კონკრეტული ზომებით შეეცადა ვირუსის ლოკალიზებას, მათ კარანტინი გამოაცხადეს და შეაჩერეს ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა, ყველა ბიზნესი, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად არ ითვლება, 2020 წლის 30 მარტიდან, 2020 წლის 5 აპრილამდე წყვეტდა მუშაობას [2] მას შემდეგ რაც, COVID-19 ამ სამ ქალაქში ეპიდემიური აფეთქება მოხდა, მთავრობამ განაახლა კარანტინი, რომელიც მან დააწესა ამ ორ ქალაქზე და გააფართოვა ის კიდევ ექვს ქალაქში, მათ შორის შიმკენტსა და ატირაუში და ერთ რეგიონში (Akmola). ხელისუფლებამ, ასევე განაახლა საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის მასშტაბით აპრილის ბოლომდე [3].

თუმცა, 2020 წლის მაისის დასაწყისში, ყაზახეთის მთავრობამ დაიწყო ამ შეზღუდვების მოხსნა. ნებადართული იყო ალმატისა და ნურ სულთანის ფრენების განახლება 2020 წლის 1 მაისს, ხოლო მცირე ბიზნესის დაწყებას ნება დართეს 4 მაისს. 11 მაისს კი ვიცე-პრემიერმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შესახებ და შეზღუდვების ზომები მოიხსნა ეტაპობრივად, რაც დამოკიდებული იყო თითოეული რეგიონის ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოხსნეს შიდა ფრენების შეზღუდვა, გაიხსნა სასტუმროებისა და რესტორნების გარე დასაჯდომი ადგილები. ნებადართული იყო ეკლესიების და მეჩეთების ხელახალი გახსნა არა სრული მოცულობით [4].

ყაზახეთში კარანტინი ძალაში დარჩა, თუმცა მოქალაქეები აგრძელებდნენ ნიღბებისა და ხელთათმანების ტარებას, ასევე უნდა დაეცვათ სოციალური დისტანციის წესები [5], მაგრამ ზოგ ქალაქში საკარანტინო რეგულაციები გამკაცრდა COVID-19-ით გამოწვეული ეპიდემიური აფექთების საპასუხოდ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა იმუქრებოდა საკარანტინო ზომების განახლებასა და უფრო მკაცრი შეზღუდვების მიღებაზე, ბიზნესის და, ზოგადად, მოსახლეობის შიში შესუსტდა.

ამასობაში, ივნისის დასაწყისისთვის, პანდემიის გავრცელებას არ შეეტყო შემცირების ნიშნები. COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების რიცხვი კვლავ იზრდებოდა, ისევე როგორც სიკვდილიანობის მაჩვენებელი, თუმცა კვლავ არ იყო სათანადო ინფორმაცია, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ყაზახურ ჯანდაცვის

სისტემაში გაანგარიშებული არ იყო „უცნაური პნევმონიით“ გამოწვეული სიკვდილიანობა. 3 ივნისის შუა რიცხვებში, რამდენიმე ქალაქსა და რეგიონში დაავადებულთა ზრდა დაფიქსირდა, დედაქალაქ ნურ-სულთანის ჩათვლით, სადაც, სავარაუდოდ, პაციენტთა ჰოსპიტალიზაცია დღეში ხუთჯერ იზრდებოდა სამედიცინო პერსონალი COVID-19 ინფექციით ყველაზე მეტად დაზარალდა, ჯანმრთელობის სამინისტრომ ისინი საკუთარ დაუდევრობაში დაადანაშაულა, მაგრამ ამ ფრონტის მუშაკთა შორის ინფექციის გავრცელების უფრო მაღალი მაჩვენებელი უკვე აპრილში დაფიქსირდა [6].

COVID-ით დაინფიცირდნენ მთავრობის წარმომადგენლებიც, მათ შორის ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და მათი საავადმყოფოში მოთავსება გახდა საჭირო. მთავრობამ კიდევ ერთხელ მოახდინა სწრაფი რეაგირება, დაუყოვნებლივ გადავიდა შეზღუდვების გამკაცრებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად შემოიფარგლებოდა მთავარ ქალაქებში შაბათ-კვირის „ლოქდაუნით“ და ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებაში ნიღბების ტარების ვალდებულებით, 2020 წლის ივლისის დასაწყისში ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა სრული „ლოქდაუნი“, რომელიც გაგრძელდა თვის ბოლომდე, ეს გაფართოებული ჩაკეტვა ნიშნავდა, რომ ქვეყნის მუსლიმურ უმრავლესობას მოუწევდა მომავალი დღესასწაულის, ყურბან აიტის (ან ეიდა ალ-ახას) აღნიშვნა მხოლოდ ოჯახთან, მეგობრებთან შეკრების გარეშე, რაც მთავარია, მთავრობა თანახმა იყო შეეცვალა COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილიანობის გამოანგარიშების მეთოდი, 2020 წლის 1 აგვისტოდან ქვეყანაში ვირუსის გავლენის უფრო ზუსტი გაზომვის მიზნით [7].

ყაზახეთის პრეზიდენტმა ტოკაევმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და გამოაქვეყნა ორი დამატებითი განკარგულება, სადაც განისაზღვრა ზომები იმ ნაბიჯებისთვის, რომლებიც მთავრობას უნდა მიეღო, რათა უზრუნველყოს თავისი მოქალაქეებისა და ინდუსტრიის სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა. გატარებული ღონისძიებები წარმოადგენდა მნიშვნელოვან „ანტიკრიზისულ პაკეტს“, რომელიც მოიცავდა ფულად გადასახადებს უმუშევრებისა და თვითდასაქმებულთათვის, პენსიისა და სოციალური დახმარების გაზრდას და მცირე და საშუალო საწარმოების (მცირე და საშუალო ბიზნესის) მხარდაჭერას. პაკეტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მოიცავდა გადასახადების შეღავათებს (სახელფასო და დამატებული ღირებულების გადასახადი), სუბსიდირებული სესხების გაცემასა და ვალის გადასახადის შეჩერებას, ასევე დასაქმების ხელშეწყობას. მას შემდეგ, რაც კრიზისი გაგრძელდა მაისსა და ივნისში, გავლენა ეკონომიკაზე კიდევ უფრო გაიზარდა, მთავრობამ განაახლა ვალდებულება სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მისაღებად ზრდის აღდგენაზე. ეს სოციალური პოლიტიკის ზომები მოიცავდა იპოთეკური სესხის სუბსიდირებას, ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორების გადასახადების შეღავათებსა (მაგალითად, სოფლის მეურნეობა) და მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირების გაგრძელებას [8].

ივლისისთვის ქვეყნის ეკონომიკა წლის დასაწყისიდან თითქმის 2 პროცენტით შემცირდა. მიუხედავად ამისა, მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ საკუთარი ფულადი რეზერვებით მოახდენდა ეკონომიკის შენარჩუნებას. („Den'gi est“ - მინისტრი ფინანსოვი და ბორბეს კორონავირი“) [ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ფული არსებობს კორონავირუსის წინააღმდეგ“], 2020).

მთავრობა ასევე განაგრძობდა ნაღდი გადასახადების გადახდას, მათთვის ვინც საკარანტინო პირობების გამო მნიშვნელოვანი შემოსავალი დაკარგა, თუმცა, ასევე მთავრობას აკრიტიკებდნენ ამ გადასახადების ოდენობის შემცირებისათვის 2020 წლის აგვისტოში [9].

და ბოლოს, მთავრობამ გამოაცხადა, რომ გამოყოფს ერთჯერად სპეციალურ გადასახადს სამედიცინო მუშაკების კომპენსაციისთვის.

ყირგიზეთი

ყირგიზეთის პასუხი პანდემიასთან დაკავშირებით არც ისე სწრაფი იყო, როგორც ყაზახეთის, მაგრამ ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა ქვეყნისთვის. პრეზიდენტმა სუორნბაი ჯენბეკოვმა ოფიციალურად გამოაცხადა „საგანგებო სიტუაცია“ 2020 წლის 22 მარტს - ყაზახეთიდან ერთი კვირის შემდეგ - ამ დროისთვის მან უკვე გაავრცელა ინფორმაცია COVID-19-ით დადასტურებულ ათზე მეტ შემთხვევაზე [10].

ოთხი სკოლა დაიხურა და ქვეყნის სამი ძირითადი ქალაქის მაცხოვრებლები მკაცრი კომენდანტის საათის ქვეშ მოექცნენ, გარდა ძირითადი პერსონალისა [11]. შეიქმნა საგუშაგოები ბიშკეკის მახლობლად დედაქალაქში შესვლისა და გასვლის შეზღუდვის მიზნით, ასევე აკრძალული იყო სამზე მეტი ადამიანის შეკ-

რება. მთავრობამ გააუქმა საჯარო ღონისძიებები, მათ შორის ნოვრუზის დღესასწაული. 2020 წლის 16 აპრილს, მუფთი მაქსატ აჟი ტოქტომუშოვი ევედრებოდა ქვეყნის ძირითადად მუსლიმ მოსახლეობას, დაეცვათ საკარანტინო შეზღუდვები და თავი შეეკავებინათ საზოგადოებრივი თაყვანისმცემლობისა და იფტარის ტრაპეზებისაგან, რამადანის განმავლობაში.

მეზობელი ყაზახეთის მსგავსად, ყირგიზეთის მთავრობამ მაისის დასაწყისში შეზღუდვები მოხსნა, მიუხედავად COVID-19-ის დადასტურებული ბევრი შემთხვევებისა და ჰოსპიტალიზაციისა. მათ ასევე ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკაზე და მცირე ბიზნესს გახსნის შესაძლებლობა მიეცა, რომლებიც მუშაობას განაახლებდნენ 2020 წლის 1 მაისს, რასაც მოჰყვა კომენდანტის საათის მოხსნა ქვეყნის დიდ ქალაქებში 11 მაისს [12] და 25 მაისს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გახსნა, თუმცა საჭირო იყო ნიღბის ტარება.

ყირგიზეთის მეზობლებისგან განსხვავებით, ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობა იყო დაცული. ამის მიუხედავად, ივნისის დასაწყისში გაუქმდა კიდევ უფრო მეტი შეზღუდვები, მათ შორის განახლდა შიდა და საერთაშორისო ფრენები და მეჩეთები და ეკლესიები ხელახლა გაიხსნა (8 ივნისი) ყირგიზეთი ყაზახეთთან შედარებით გაცილებით ნელა რეაგირებდა მაისსა და ივნისში COVID-19-ის შემთხვევების ზრდაზე. მიუხედავად ამისა, ივნისის შუა რიცხვებში, როგორც ჩანს, მთავრობა იძულებული გახდა გაეცნობიერებია, რომ პანდემია არ კონტროლდებოდა. განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიადგა დედაქალაქ ბიშკეკს. ქვეყანაში იზრდებოდა სამედიცინო პერსონალის დაავადება. მთავრობამ აღიარა, რომ იზრდება ინფექციის და ავადობის მაჩვენებლები და საზოგადოება გააფრთხილა ახალი შეზღუდვების დაწესებაზე. ყაზახეთთან ერთად, გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, მთავრობამ გადაწყვიტა ფილტვების ანთებით გამოწვეული სიკვდილიანობის დამატება COVID-19-ს მიკუთვნებული სიკვდილიანობის გამოთვლისას. შედეგად, COVID–19-ით გამოწვეული სიკვდილიანობის რიცხვი არსებითად გაორმაგდა [13].

იმავდროულად, ბიშკეკში ოფიციალურმა პირებმა აღადგინეს შაბათ-კვირის კომენდანტის საათი, პირობა დადეს, რომ გაამლიერებდნენ სასჯელს იმ ბიზნესისთვის, რომლებიც სათანადოდ არ იცავდნენ რეგულაციებს [14] და დაიწყეს იმ პირების კონტროლი, ვისაც ნიღაბი არ ეკეთა საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ამ ზომების მიუხედავად, ახალი შემთხვევების რიცხვი კვლავ იზრდებოდა 2020 წლის ივლისში, ხოლო მათი ძირითადი ნაწილი კვლავ ბიშკეკში იყო [14].

ყირგიზეთის მთავრობამ ასევე სწრაფად აღიარა პანდემიის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. პრეზიდენტმა ჯენბეკოვმა თითქმის დაუყოვნებლივ მიმართა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს, მათ შორის აზიის განვითარების ბანკს (ADB), ევროკავშირს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) - ფინანსური დახმარების მიზნით ქვეყნის ბიუჯეტში მოსალოდნელი ხარვეზების დასაფარად. კერძოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ განიხილავს მცირე ბიზნესისთვის სესხის გადახდის გადავადების პაკეტსა და საგადასახადო შეღავათებს მეზობლების მსგავსად, ყირგიზეთი შეშფოთებული იყო სურსათის უვნებლობის საკითხით, ამიტომ 2020 წლის მარტის ბოლოს აკრძალა ყველა ძირითადი საკვები პროდუქტების ექსპორტი. ამან საშუალება მისცა ფერმერებს საგაზაფხულო კულტურები გაეტანათ შიდა ბაზარზე. ამის მიუხედავად, მაინც დახურეს ქვეყნის ყველაზე დიდი დორდოის ბაზარი, რომელიც ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკის ჩრდილო – აღმოსავლეთ განაპირას მდებარეობს, დორდოი არ არის მხოლოდ ცენტრალური აზიის უდიდესი ბაზარი, ის არის შემოსავლის ძირითადი წყარო დაახლოებით 150,000 ადამიანისთვის. ამან განაპირობა ქვეყანაში უმუშევრობის დონის მატება აპრილის შუა რიცხვებში, სავარაუდოდ, ეს იყო ოფიციალური სამუშაო ძალის დაახლოებით 50 %.

უზბეკეთი

გვიანი იყო უზბეკეთის პასუხიც ეპიდემიაზე, მაგრამ უფრო სწრაფი, ვიდრე ყირგიზეთისა და ისეთივე გადამწყვეტი, როგორც მისი მეზობლებისა. მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა 2020 წლის 16 მარტს, COVID-19-ის პირველი შემთხვევის დადასტურებისთანავე, დახურა თავისი საზღვრები და ყველა სკოლა, გააუქმა ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღონისძიება, მათ შორის ნოვრუზის დღესასწაულისთვის. შემდეგ რამდენიმე კვირაში მთავრობამ მკაცრად შეზღუდა ტრანსპორტი ვირუსის გავრცელების შესამსუბუქებლად: 20 მარტიდან მან შეაჩერა ყველა მანქანა, ავტობუსი, მატარებელი და საჰაერო ტრანსპორტი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, რაც ძალაში შევიდა 2020 წლის 22 მარტიდან,

მთავრობამ შეაჩერა საზოგადოებრივი ტრანზიტი დედაქალაქში (ტაშკენტი); ამრიგად, 27 მარტს შეჩერდა ქვეყნის მასშტაბით მანქანების, ავტობუსების, მატარებლების, საჰაერო მიმოსვლა და სატვირთო მანქანები. მთავრობამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება და დაიწყო აღსრულება რამდენიმე სხვა ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის ზომებისა, როგორიცაა ტაშკენტის მაცხოვრებლებისთვის ნიღბის გაკეთება ან დიდი ჯარიმის გადახდა, ათიდან თხუთმეტზე მეტი ადამიანის შეკრების აკრძალვა (ქორწილების და პანაშვიდების ჩათვლით) მთავარი მუფთის რეკომენდაციით, მუსლიმებს ურჩევდა დარჩენილიყვნენ სახლში და იქ შეესრულებინათ ყოველდღიური ლოცვები. ყირგიზეთისა და ყაზახეთის კოლეგების მსგავსად, უზბეკეთის მთავრობამაც დაიწყო შეზღუდვების მოხსნა ვირუსის სრულ კონტროლამდე, თუმცა უზბეკეთში ეს პროცესები უფრო დიდი სიფრთხილით წარიმართა.

2020 წლის აპრილის ბოლოს პრეზიდენტმა შავკატ მირზიიოევმა განაცხადა, რომ სიტუაცია დასტაბილურდა და საკარანტინო მოთხოვნები შეიძლება თანდათან კიდევ უფრო გამარტივებულიყო. მან ასევე ხაზი გაუსვა ეკონომიკის ჩაკეტვასა და ქალაქებში და მის შიგნით ტრანსპორტირების ზოგიერთი ფორმის აღდგენის აუცილებლობას, რათა „ხელი არ შეუშალოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაკარგვას“, ხალხი კი დაუბრუნდეს სამუშაოს.

2020 წლის მაისის შუა რიცხვებში შიდა სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლა გარკვეული შეზღუდვებით განახლდა. მაისის ბოლოს მთავრობა ხელს უწყობდა შიდა მოგზაურობას ტურიზმის ინდუსტრიის აღორძინების მიზნით. მაისის შუა რიცხვებში, მთავრობამ გამოაქვეყნა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „სანიტარული წესებისა და ნორმების“ გრძელი სია, რომლის შესრულებაც მოეთხოვებოდა ბიზნესს [15].

2020 წლის ივნისის დასაწყისში, უზბეკეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მცირე ბიზნესის, მათ შორის საცალო მაღაზიები, რესტორნები და საბავშვო ბაღები (მაგრამ არა ღამის კლუბების ან ბარები) 15 ივნისს გაიხსნებოდა [16].

საზოგადოებაში ნიღბების ტარების მოთხოვნები და სოციალური დისტანცირების დაცვა გაგრძელდა 2020 წლის 1 აგვისტომდე.

უზბეკეთი, ალბათ, ყველაზე ნელა გამოეხმაურა ვირუსის გავრცელებას. COVID-19-ის ახალმა შემთხვევებმა დაიწყო მატება 2020 წლის მაისის ბოლოს და ივნისში განაგრძო ზრდა.

ვირუსმა ასევე დაიწყო გამოჩენა იმ რეგიონებში, რომლებიც ადრე მაღალ რისკად არ ითვლებოდა. ამის მიუხედავად, მთავრობამ რეაგირება არ მოახდინა მანამ, სანამ შემთხვევათა რაოდენობამ ყოველდღიურ ანტირეკორდს არ მიაღწია (318, 2020 წლის 3 ივლისს) და შემდეგ გადააჭარბა ამ რეკორდს (342, 2020 წლის 6 ივლისს) ერთ კვირაზე ნაკლებ დროში.

2020 წლის 7 ივლისს მთავრობამ განაცხადა, რომ საკარანტინო ზომები გამკაცრდებოდა და გაგრძელდებოდა 10 ივლისის ჩათვლით. ეს ახალი ზომები მოიცავდა რეგიონებს შორის მოგზაურობის უფრო მკაცრ შეზღუდვებს და დიდ შეკრებებს (კერძოდ, ქორწილების) კრძალავდა. ერთი კვირის შემდეგ პრეზიდენტმა მირზიოევმა ოფიციალურად აღიარა, რომ ქვეყანა განიცდიდა ე.წ. „მეორე ტალღას“ და სთხოვდა თავის მოქალაქეებს, რომ არ გამოეწვიათ პანიკა [17].

2020 წლის ივლისის ბოლოს მთავრობამ კიდევ ერთხელ გაახანგრძლივა მკაცრი ჩაკეტვები, იმ მოტივით, რომ გამკაცრებულიყო საკარანტინო ზომები ვირუსის შემდგომი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში [18].

ყაზახი და ყირგიზი კოლეგების მსგავსად, უზბეკეთის მთავრობამ კარგად იცოდა პანდემიის პოტენციური სოციალური და ეკონომიკური გავლენა.

2020 წლის 19 მარტს მთავრობამ გამოაცხადა, რომ შექმნიდა „ანტიკრიზისულ ფონდს 10 ტრილიონის ოდენობით“, რომელიც მიმართული იქნებოდა ძირითადად სამედიცინო სისტემისკენ, რათა უზრუნველყოს საჭირო სამედიცინო აღჭურვილობის საკმარისი მარაგის შეძენა და სამედიცინო პერსონალისთვის ფულადი კომპენსაცია, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ზარალის ანაზღაურება. ამ პერიოდში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები განსაკუთრებით საგანგაშო იყო, განსაკუთრებით კერძო სექტორში დასაქმებული პირებისთვის, რომლებიც დასაქმებული იყვნენ COVID-19-მდე და ყველაზე მგრძნობიარენი გახდნენ ეკონომიკური ვითარების მიმართ.

ყაზახეთისგან განსხვავებით და ყირგიზეთის მსგავსად, უზბეკეთმა დაიწყო სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ყოვლისმომცველი დახმარების მოძიება კრიზისის დასაწყისში. მან მიმართა ADB-ს 1 მი-

ლიარდი აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარების თხოვნით. როგორც ცნობილია, უზბეკეთმა აპრილის ბოლოს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მნიშვნელოვანი დაფინანსება მიიღო იმისთვის, რომ დახმარებოდა ქვეყნის ეკონომიკას ანტიკრიზისულ ზომებისა და სოციალური კეთილდღეობის პროგრამების დაფინანსებით, ასევე ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა რომ, ბევრი მიუთითებს რეჟიმის ტიპზე და სახელმწიფოს შესაძლებლობებზე, როგორც მთავრობის მიერ კრიზისებზე რეაგირების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორზე, ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც ხსნიან რამდენად სწრაფად ან გადამწყვეტად მოქმედებდნენ მთავრობები COVID-19-ის შესამსუბუქებლად შუა აზიაში. სინამდვილეში, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის შედარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ ისინი განსხვავდებიან ორივე ამ ძირითადი განმარტებითი ცვლადით. რეჟიმის ტიპის შესახებ, მრავალი ინდექსების მიხედვით, ყაზახეთი და უზბეკეთი მუდმივად ხასიათდებოდნენ, როგორც კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმები, ხოლო ყირგიზეთი მუდმივად მოქმედებდა დემოკრატიულად [19].

როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო შესაძლებლობებს, რომელსაც ჩვენ ორ განზომილებაში ვგულისხმობთ (ადმინისტრაციული მიღწევა და ფისკალური რესურსები), ამ სამი ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტი განსხვავებაა ვიდრე მსგავსება. ყაზახეთს აქვს მაღალი შესაძლებლობების სახელმწიფო, გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებული სტრუქტურისა და ნავთობის შემოსავლებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. უზბეკეთს საშუალო შესაძლებლობების ხარისხი აქვს. ყაზახეთის მსგავსად, იგი ადმინისტრაციულად ცენტრალიზებულია და როგორც ადრე აღვნიშნეთ, ფისკალური რესურსები შეზღუდული აქვს. ყირგიზეთს აქვს სახელმწიფო შესაძლებლობების დაბალი ხარისხი. ყირგიზეთი, ადმინისტრაციულად და ფისკალურად დეცენტრალიზებულია - ყაზახეთთან და უზბეკეთთან შედარებით.

MARIKA KENCHOSHVILI

THE FIGHT AGAINST COVI-19 IN CENTRAL ASIAN COUNTRIES

Summary

The fight against COVID-19 has become a major challenge for Central Asian countries. Three of these countries - Kazakhstan, Kyrgyzstan and Uzbekistan - surprised many of them. Central Asian countries took tough steps to spread SARS-CoV-2 within the country in a timely manner, both in terms of timing and comprehensive regulations. Kyrgyzstan and Uzbekistan have taken similar aggressive measures, but their implementation has proved less effective. In contrast, Tajikistan was initially very reluctant to acknowledge the risks associated with COVID-19 and later advised its citizens not to travel to certain destinations, and later closed airports altogether. Finally, Turkmenistan also canceled flights and closed its borders, but still denied the risk of COVID-19 spreading in the country. Despite their rapid and decisive action, in March and April 2020, Kazakhstan, Kyrgyzstan and Uzbekistan saw a dramatic increase in COVID-19 cases.

Key words: *Covid-19, China, Central Asia, Soft Power, SARS-CoV-2*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ministry of Education and Science, Republic of Kazakhstan. (2020, March 16). Informatsiya dlya shkol'nikov, studentov, pedagogov i roditelei v period pandemii [Information for schoolchildren, students, teachers, and parents during the pandemic].
2. Official Information Resource of the Prime Minister, Republic of Kazakhstan. (2020a, March 27). S 30 marta po 5 aprelya t.g. v Nur-Sultane i Almaty budet priostanovlena deyatel'nost' predpriyatii i

organizatsii [From March 30 to April 5 this year in NurSultan and Almaty the activities of enterprises and organizations will be suspended].
3. Vlast. (2020, April 10). Rezhim chrezvychainogo polozheniya v Kazakhstane prodlen do kontsa aprelya [The state of emergency in Kazakhstan has been extended to the end of April].
4. Official Information Resource of the Prime Minister, Republic of Kazakhstan. (2020c, May 13). Novyi paket mer po voznobnovleniiu otraslei ekonomiki [A new package of measures to revive sectors of the economy].
5. Tokaev: Karantinnyi rezhim sokhranyaetsya [Tokayev says that the quarantine measures will continue]. (2020, May 18). Tengrinews. https://tengrinews.kz/kazakhstan_news /tokaev-karantinnyiy-rejim-sohranyaetsya-402643/
6. KazInform. (2020, April 6). 120 medikov zaboleli koronavirusom v Kazakhstane [120 medical workers were infected with coronavirus in Kazakhsten].
7. Kumenov, A. (2020, July 23). Kazakhstan to merge pneumonia and coronavirus cases, but only from Aug. 1. Eurasianet. https://eurasianet.org/kazakhstan-to-merge-pneumonia -and-coronavirus-cases-but-only-from-aug-1
8. World Bank. (2020b, Summer). Navigating the crisis. Kazakhstan Economic Update
9. Human Rights Watch. (2020b, August 17). Kazakhstan: Extend, expand Covid-19 aid.
10. Orlova, M. (2020, March 21). V Kyrgyzstane vveli rezhim chrezvychainoi situatsii [An emergency regime was introduced in Kyrgyzstan]. 24.kg
11. Government of the Kyrgyz Republic. (2020b, March 25). Kubatbek Boronov: Rezhim ChP dostavit neudobstva grazhdanam, no vse delaetsya radi ikh bezopasnosti [Kubatbek Boronov: The state of emergency will cause inconvenience to citizens, but it is all done for their safety].
12. Government of the Kyrgyz Republic. (2020d, May 10). Prim'er-ministr Mukhammedkalyi Abylgaziev: Sobliudenie rezhima chrezvychainoi situatsii trebuet osoboi otvetstvennosti ot kazhdogo kyrgyzstantsa [Prime Minister Mukhammedkaly Abylgaziev: Compliance with the emergency situation requires special responsibility from every Kyrgyz
13. Human Rights Watch. (2020a, July 21). Kyrgyzstan/Kazakhstan: New rules for tallying Covid-19 data. https://www.hrw.org/news/2020/07/21/kyrgyzstan/kazakhstan-new -rules-tallying-covid-19-data
14. Irgebaeyeva, A. (2020a, June 12). Vlasti budut zakryvat' biznes za narushenie sanitarnykh pravil [Authorities will close businesses for violating sanitation laws]. https://kloop.kg /blog/2020/06/12/vlasti-budut-zakryvat-biznes-za-narushenie-sanitarnyh-pravil/
15. (სანიტარული და ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის სააგენტო, 2020
16. Mamatkulov, M. (2020, June 4). Uzbekistan announces further easing of coronavirus restrictions
17. Yakubov, A. (2020, July 21). Po tu storonu dveri [On the other side of the door]. Fergana.
18. Radio Azzatyk. (2020a, July 21). Eshche ni odin iz zarazivshikhsya koronavirusom medikov ne poluchil obeshchannyiu pravitel'stvom kompensatsiiu [None of the doctors infected with the coronavirus have yet received compensation as promised by the government]
19. Haerpfer, C. W., & Kizilova, K. (2020). Values and transformation in Central Asia. In Mihr A. (Ed.), Transformation and development. Springer

ანა მოდებაძე
წარმოადგინა პროფ. ვაჟა შუბითიძემ

რუსეთ-თურქეთის დაახლოება და მისი გეოპოლიტიკური შედეგები

თანამედროვე მსოფლიოში შავი ზღვის რეგიონი და მისი უსაფრთხოება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ დღის წესრიგში, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული უსაფრთხოების ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც არსებობს შავი ზღვის რეგიონში მთელი რიგი გამოწვევების წინაშე აყენებს მსოფლიოს, რათა თავიდან აირიდონ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები რეგიონთან მიმართებაში. აღნიშნული დაპირისპირების მთავარი მიზეზები შეიძლება იყოს: ეროვნული ინტერესები, საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა და რეგიონში სტაბილურობის დარღვევა.

შავი ზღვის რეგიონი უფრო და უფრო დინამიური და მეტად ღირებული გახდება რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების და მასში შემავალი ქვეყნების შემდგომი ეკონომიკური ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რთულია დაიცვა საკუთარი ინტერესები მნიშვნელოვანი და ძლიერი სტრატეგიული პარტნიორების გარეშე. შესაბამისად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ გზა, მშვიდობიანი დეოკუპაციისა და კონფლიქტების მოგვარებასთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, საქართველოსთვის სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: *გეოპოლიტიკა, კონფლიქტების დარეგულირება, ევროატლანტიკური სივრცე.*

შავი ზღვის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის დიდი სახელმწიფოების ინტერესის სფეროდ მიიჩნეოდა. ძლიერი ქვეყნები საუკუნეების მანძილზე დიდ ყურადღებას უთმობდნენ შავი ზღვის რეგიონს და ცდილობდნენ მასზე გავლენის მოპოვებას. აღნიშნული ინტერესები, დიდი გამოწვევების წინაშე აყენებდა მსოფლიოს, რათა თავიდან აერიდებინათ მოსალოდნელი დაპირისპირება და მისი შედეგები.

შავი ზღვის მნიშვნელობის და მისი უსაფრთხოების ფაქტორის გაანალიზება ევროატლანტიკურ სივრცეში დიდი ხანია მიმდინარეობს და ასევე მიღებულია შესაბამისი ზომები, რომელიც მიმართულია რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც ალიანსის პარტნიორი ქვეყნების ინტერესთა თანხვედრაშია.

თუმცაღა, რუსეთის ფედერაციის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მას დიდი შემაფერხებელი ბარიერი აქვს წინ, რათა დაიცვას მისი ინტერესები და აგრეთვე ეცადოს არ დაუშვას რეგიონში არსებულ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის მცდელობები. მისი ინტერესები შავი ზღვის რეგიონში, როგორც დამაკავშირებელი დერეფანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, მრავალ ასპექტთანაა დაკავშირებული, როგორიცაა: ენერგეტიკული უსაფრთხოება, პოლიტიკური სტაბილურობა, ტერორიზმის საფრთხე და სხვა [1].

რუსეთისთვის შავ ზღვას საუკუნეების განმავლობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვისა და არსებითად მსოფლიო ოკეანეზე გასვლის უმოკლეს გზას. რუსეთი ყველანაირად ცდილობს შეაჩეროს შავი ზღვის რეგიონში სხვადასხვა ქვეყნების ჩართულობა, რომელიც გამოიწვევს, თუნდაც, მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობების გაფართოებას [2].

შავ ზღვასთან დაკავშირებით რუსეთის გეგმების ღია გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ყირიმის ანექსია. ყირიმის ანექსირებით შავ ზღვაზე რუსეთმა მიაღწია კონტროლის უზარმაზარ დონეს. მან დაიწყო დიდი ინვესტიციები შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზებაში

სევასტოპოლში. ამ ყველაფერით რუსეთმა ოფიციალური სიგნალი გააკეთა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებზე ლიდერობის მოპოვების [3], რუსეთმა გააძლიერა საჰაერო დაცვა, განავითარა სარაკეტო სისტემების ფართო სპექტრი, რისი საშუალებითაც მას შეუძლია ადვილად და სწრაფად მისწვდეს შავი ზღვის ნებისმიერ ქვეყანას. თურქეთი კი დაინტერესებულია შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მაქსიმალურად გააძლიეროს რეგიონის ზღვისპირა ქვეყნების როლი [4].

ცივი ომის დასრულების შემდეგ, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა, რაც თურქეთს საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. დაიწყო ბრძოლა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ჰეგემონობისათვის [5].

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საბჭოთა რუსეთისგან გათავისუფლების შემდეგ კი, თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა კავკასიაში დაბრუნებოდა რეგიონალური ლიდერის როლს და მოეხდინა რუსეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის შესუსტება, რაშიც თურქეთს აშკარად თუ ფარულად დახმარებას უწევდა დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები.

მოცემულიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თურქეთი ამერიკისათვის წარმოადგენდა საიმედო ქვეყანას, რომლის მეშვეობითაც აშშ შეძლებდა რეგიონში მიმდინარე პროცესების გაკონტროლებას და რუსეთის გავლენას შესუსტებას [6. 407].

თურქეთის რესპუბლიკამ მთავარ მიზნად დაისახა ლიდერობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და თავისი გავლენის გაზრდა, შესაბამისად, 1990 წლიდან თურქეთი ახორციელებს მარტივ და სტაბილურ პოლიტიკას აღნიშნული რეგიონის მიმართ. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1999 წელს სტამბოლში გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, სადაც თურქეთმა სურვილი გამოთქვა შუამავლის როლის შესრულებაზე და საკუთარი სამხედრო კონტიგენტის გაგზავნაზე აფხაზეთში, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგს განახორციელებდა.

აღნიშნული მიზნად ისახავდა რეგიონში რუსეთის გავლენას შესუსტებას, თუმცა ეს ინიციატივა განუხრციელებელი დარჩა გამომდინარე რუსეთის პოზიციიდან [7. 376].

სწორედ, სსრკ-ს დაშლა გახდა ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი თურქეთის სახელმწიფოსთვის გამხდარიყო ნატოს აქტიური წევრი, გარდა ამისა, გაქრა მტრული დამოკიდებულება მეზობელი ქვეყნებისადმი, რომელიც მანამდე არსებობდა.

აღნიშნული განპირობებული იყო ორი ფაქტორით: პირველი, ვარშავის პაქტის დაშლით, რითაც თურქეთმა ალიანსის ყოფილ წევრებთან დაიწყო ურთიერთობის დამყარება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, და რომელიც მიზნად ისახავდა მხარეთა ურთიერთსარგებლობას. მეორე მხრივ, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების უკრაინისა და საქართველოს ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო თურქეთთან ურთიერთობების განმტკიცებას, განსაკუთრებით რუსეთთან მუდმივი პოლიტიკური უთანხმოების ფონზე. გარდა ამისა, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში თურქეთში პოლიტიკური წრეები თვლიდნენ, რომ რუსეთი არ იყო სტაბილური სახელმწიფო, რომელსაც ემუქრებოდა საბჭოთა კავშირის მსგავსად დაშლა, რაც ასევე გავლენას მოახდენდა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე [8].

რუსეთისთვის თურქეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოა, როგორც უსაფრთხოების, ისე გეოპოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებისთვის გამოწვევა იყო 2008 წლის საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომი. ე.წ ხუთდღიანმა ომმა დააზიანა თურქეთის სტრატეგიული პოზიცია კავკასიაში, შედეგად კი ომში საქართველოს დამარცხებით და ტერიტორიის დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზი, მისი მთავარი მოკავშირის დასუსტებით იქნა განპირობებული. კონფლიქტმა განაახლა შიში რეგიონში რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენების საფრთხისა [9].

თურქეთი რუსეთთან თანამშრომლობას, ვიწრო ეკონომიკური ინტერესების გარდა, დასავლეთთან თავისი ურთიერთობების ჭრილშიც აქტიურად იყენებდა. ერდოღანის მთავრობა, რომელსაც დასავლეთი ხშირად აკრიტიკებდა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევასა და სხვა დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის გამო, რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობას, განვითარების ალტერნატიულ გზად წარმოაჩენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთისა და რუსეთის მიერ დაანონსებული არცერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელებასთან ახლოსაც არ ყოფილა (საუბარია

გაზსადენ „თურქეთის ნაკადზე“, თურქეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესაძლო შესვლაზე, აკუიუს ატომური ელექტროსდგურის მშენებლობაზე) [10].

თურქეთი სულ უფრო მეტად განიხილავს უკრაინას, საქართველოსა და აზერბაიჯანს, როგორც რგოლს იმ გეოპოლიტიკურ ჭრილში, სადაც ანკარა შეძლებს რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობა დააბალანსოს. ზუსტად ამ ჩამოყალიბების პროცესში არსებული თურქული სტრატეგიის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ მისი ნაბიჯები სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებით რეგიონში.

კერძოდ, თურქეთი მიანიშნებს იმაზე, რომ ის აპირებს ბევრად უფრო აქტიური როლი შეასრულოს შავი ზღვის აუზსა და კავკასიის რეგიონში, რათა დააბალანსოს რუსეთის მზარდი გავლენა. 2014 წელს ყირიმის ანექსიამ, შემდგომში კი ქერჩის სრუტის ბლოკირებამ, სამხედრო ბალანსი მკვეთრად მოსკოვის სასარგებლოდ შეცვალა და ამით თურქეთს მანევრირების საშუალება შეუზღუდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი ცდილობს სიფრთხილე გამოიჩინოს, რათა უკრაინის საკითხი რუსეთთან ურთიერთობების საბოლოო გაფუჭების საფუძველი არ გახდეს. ანკარა არ შეუერთდა ანტი-რუსულ ეკონომიკურ სანქციებს, თუმცა გმობს ყირიმის ანექსიას, ასევე ცდილობს ზედმეტი კრიტიკა არ მიმართოს მოსკოვის მიმართ. რუსეთს ნამდვილად არ აძლევს ხელს, რომ ის გამოთიშონ მსოფლიო ეკონომიკიდან, რადგან ეს უკიდურესად მძიმედ დააწვება მოსახლეობას, რომელიც ისედაც სულ უფრო ნაკლებად არის კონფორმისტულად განწყობილი რუსული პოლიტიკური ელიტისადმი [11].

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა შეიძლება ითქვას მწვავე დაპირისპირებით ხასიათდება, სადაც ორი ქვეყანა ერთმანეთს ყოველთვის ეცილებოდა რეგიონში უპირატესობის მოსაპოვებლად. თუმცა, დაპირისპირება ხელს არ უშლის მათ შორის ეკონომიკურ პარტნიორობას, სწორედ ამით გამოირჩევა მათი ურთიერთობა. უნდა ითქვას, რომ რუსეთი დღესაც სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს სხვა სახელმწიფოს გააქტიურებას შავი ზღვის რეგიონში [12].

სხვადასხვა პოლიტიკის და მეთოდების გამოყენებით რუსეთმა არაერთხელ დაადასტურა, რომ სწორედ ამ რეგიონში ცდილობს გაავლოს გამყოფი ხაზი საკუთარი გავლენის სფეროს დასაკანონებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ალიანსის მისიას წარმოადგენს არა მხოლოდ მისი წევრების ტერიტორიის, არამედ ევროატლანტიკური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, შავი ზღვის რეგიონი ბუნებრივად არის აღმოსავლეთ ფლანგზე ნატოს შეკავების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. არსებულ ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ ალიანსთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების ყველა შესაძლო ფორმატში ნატოსთან აქტიურად მონაწილეობის კონკრეტული სამოქმედო გეგმები შეიქმნას. შავი ზღვის რეგიონში ნატოს გაფართოება არის ერთადერთი პასუხი გამოწვევებისა და საფრთხეების სრულფასოვნად შესაკავებლად. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საერთო მიზნის მისაღწევად, რასაც შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების კონტროლი ჰქვია, ტრანსატლანტიკურმა საზოგადოებამ უნდა შეიმუშავოს სამი უმნიშვნელოვანესი სტრატეგია:

1. ეფექტური შეკავების პოლიტიკა და სანდო კოლექტიური თავდაცვა;
2. სტაბილურობა და უსაფრთხოება ნატოს ისეთ არაწევრ პარტნიორ სახელმწიფოებში, როგორებიცაა საქართველო და მოლდოვა;
3. ისეთი რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოება, რომ მონოპოლისტმა სახელმწიფოებმა ვეღარ შეძლონ თავიანთი რესურსის დახმარებით მანიპულირება [4].

რეგიონული ინიციატივა შავი ზღვის აუზში არსებულ ვითარებაში მრავალმხრივ ფორმატში მიმდინარეობს, შესაბამისად, უახლოებს წლებში რუსეთს მოუწევს თავისი შიდა პოლიტიკის კურსის გადახედვა რეგიონალურ საკითხებთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა, ორმხრივ საფუძველზე. თურქეთი, როგორც რუსეთის შემდეგ ყველაზე ძლიერი ქვეყანა შავი ზღვის აუზში, მოიცავს ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ თვალსაზრისს, რომელიც უნდა დარჩეს რუსეთის ფედერაციის რეგიონალურ პოლიტიკაში.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ორი ქვეყნის შავი ზღვის ინტერესების დამთხვევა, კერძოდ, ნატოს როლის შეზღუდვა რეგიონში [13].

აქვე უნდა აღინიშნოს, თურქეთ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების ასიმეტრიულობა. არსებობს უთანასწორობა ვაჭრობის მოცულო-

ბაში, რაც უამრავ პრობლემას უქმნის, განსაკუთრებით თურქეთს, რომელიც დამოკიდებულია რუსულ გაზზე და ასევე რუს ტურისტებზე. მაგრამ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები მხოლოდ ციფრებით ვერ გაიზომება, როდესაც საქმე ენერგეტიკას ეხება, აღნიშნული ორი ქვეყანა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი [14].

მაგალითისთვის: 2019 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 2,5%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 21 მლრდ დოლარს. ამასთან, ექსპორტი დარჩა იმავე დონეზე (17,75 მლრდ დოლარი), ხოლო იმპორტი თურქეთიდან 15,4%-ით გაიზარდა და 3,46 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

რუსეთის ძირითად ექსპორტს თურქეთში შეადგენს მინერალური საწვავი და რაფინირებული პროდუქტები (ექსპორტის 58,7 პროცენტი), ლითონები და მისი ნაწარმი (25 პროცენტი), ხოლო თურქეთის ექსპორტი რუსეთში კი მოიცავს მანქანა დანადგარებს, აღჭურვილობას, ავტომობილებს (28,3 პროცენტი), საკვებს (31,3 პროცენტი) და ასევე, ქსოვილებს და ფეხსაცმელს (18,1 პროცენტი) [15].

თურქეთი თანამშრომლობს რუსეთთან მისი უშუალო უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, მაგრამ ეს არ გამორიცხავს დასავლეთთან ურთიერთობას. თურქეთის ნატოში გაწევრიანება არის მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალიზებული კავშირი უსაფრთხოების სფეროში. ბოლოს და ბოლოს, ეს წევრობა დაკავშირებულია მის დასავლურ იდენტობაზე. თურქეთი რჩება ნატოში, რადგან მისი წევრობა მას რუსეთთან ურთიერთობაში მანევრირების მნიშვნელოვან შესაძლებლობას ანიჭებს.

თურქეთისათვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია ბაქო - თბილისი - ერზრუმის გაზსადენი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გახდა გზა ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვების. აღნიშნული პროექტი, რეგიონის ქვეყნებს რუსეთის ენერგომონოპოლიისაგან გაათავისუფლებს და გარკვეულწილად რუსეთის გავლენას შეამცირებს რეგიონზე. უნდა ვაღიაროთ, რომ სამხრეთ კავკასიაში ორი გამოკვეთილი რეგიონული ლიდერია, რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე და თურქეთი, როგორც ახალი ძალა, რომელიც დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს [16] და ამავე დროს, ცდილობს თავისი ინტერესების, მიზნების განხორციელებას შავი ზღვის რეგიონში.

შესაბამისად, თურქეთი კარგად აანალიზებს დასავლეთის, ნატოსა და ევროკავშირის როლს, რომ მათ გარეშე თითქმის შეუძლებელია რუსეთის გავლენის შესუსტება რეგიონში. ამიტომაც ცდილობს ურთიერთობების მეტად გაღრმავებას და დაახლოებას აშშ-თან, რადგან ამ ორი ქვეყნის ინტერესები უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე რუსეთ-თურქეთის.

2020 წლის თებერვალში, თურქეთმა შემოიტანა 2,7 მლრდ კუბური მეტრი გაზი და 2,52 მლრდ კუბური მეტრი LNG (თხევადი ბუნებრივი აირი). ყოველთვიური იმპორტის მთლიანმა მოცულობამ 5,26 მლრდ კუბურ მეტრს მიაღწია. 2019 წლის იმავე თვეში იმპორტირებული იყო 2,58 მლრდ კუბური მეტრი გაზსადენი და 1,69 მლრდ კუბური მეტრი LNG და რუსეთის წილი 21%-მდე დაეცა, რაც წინა წლებში ამ ქვეყნის წილი 40%-50%-ს შორის იყო. აზერბაიჯანის, ირანის, ალჟირის, ყატარისა და ნიგერიის წილებმა, შესაბამისად 16%, 15%, 10%, 12% და 7% შეადგინა. 2020 წლის თებერვალში რუსეთიდან იმპორტირებულ მილსადენის გაზსა და აშშ-დან იმპორტირებულ LNG-ს შორის სხვაობა 200 მილიონ კუბურ მეტრამდე შემცირდა [17].

შავი ზღვის რეგიონი უფრო და უფრო დინამიური და მეტად მნიშვნელოვანი გახდება რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების და შემდგომი ეკონომიკური ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ისეთი პატარა და მოწყვლადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სულ უფრო რთული იქნება საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვა ძლიერი პარტნიორების და მოკავშირეების გარეშე. შესაბამისად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას, მშვიდობიანი დეოკუპაციისა და კონფლიქტების მოგვარებასთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, საქართველოსთვის ალტერნატივა არ გააჩნია [18].

შავი ზღვის რეგიონში, თურქეთისა და საქართველოს ინტერესები სტრუქტურულად საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის არსებობა, ფუნქციონირება და განვითარება თურქეთის ერთ-ერთი პრინციპული ინტერესია, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ დერეფნის ნაწილი ჩვენც ვართ, ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივები ამ დერეფანს უკავშირდება. შესაბამისად, მოცემულ საკითხში საქართველოსაც იგივე სურს, რაც თურქეთს.

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მისი არსებობის მანძილზე უნდა აღინიშნოს, რომ მუდამ უწევდა ბრძოლა მნიშვნელოვანი როლის მოპოვებისთვის. მოცემული კი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ მეზობელი ქვეყნების (რუსეთ-თურქეთის) გავლენა, როგორც შავი ზღვის რეგიონზე, ისე საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობასა და დამოკიდებულებაზე.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარებას, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

ANA MODEBADZE

RUSSIA-TURKEY RAPPROCHEMENT AND ITS GEOPOLITICAL CONSEQUENCES

Summary

In the modern world, the Black Sea region and its security occupy an important place in the political agenda of the great powers, which influence the formation and development of both international and regional security. The conflict of interest that exists in the Black Sea region poses a number of challenges to the world in order to avoid the expected negative consequences for the region. The main reasons for this controversy may be: national interests, protection of international security and disturbance of stability in the region.

The Black Sea region will become more and more dynamic and highly valued in terms of regional and international security and the further economic growth and development of its member states. Nevertheless, in today's interdependent world, it is difficult for a small country like Georgia to defend its interests without significant and strong strategic partners. Consequently, the path to European and Euro-Atlantic integration, along with peaceful de-occupation and conflict resolution, with the active involvement of the international community, has no alternative for Georgia.

Key words: *geopolitics, conflict settlement, Euro-Atlantic space.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბელია ი., „ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში“. https://openscience.ge/bitstream/1/1691/1/Irakli%20Gabelia%20Samagistro.pdf (გადამოწმებულია 25.02.2022)
2. ესებუა კ., „რუსეთის სამხედრო გაძლიერება შავ ზღვაზე ალტერნატიული კონტრსტრატეგია ნატოსთვის“. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/92-expert-opinion-geo.pdf (გადამოწმებულია 25.02.2022)
3. ლავრელაშვილი თ., „BLACK SEA IN BLACK AND WHITE COLOURS“. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/82-expert-opinion-eng.pdf (გადამოწმებულია 25.02.2022)
4. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება., http://yata.ge/ge/?p=1568 (გადამოწმებულია 25.02.2022)
5. მაკარაძე ე., „თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკა კავკასიის გარშემო“, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შრომათა კრებული., თბ. 2010 პოლიტიკა კავკასიის გარშემო. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. http://press.tsu.ge/data/file_db/konference/printk.pdf (გადამოწმებულია 25.02.2022)
6. გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი და პოლიტიკა)“, თბ., 2003.

7. ჭიღვარია გ., „თურქეთის გეოპოლიტიკა (1990-2010)“, ქუთ. 2011. 376 გვ.
8. Васильев А., „ЧЕРНОМОРСКИЙ РЕГИОН ВО ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКИХ КОНЦЕПЦИЯХ ТУРЦИИ: РОССИЯ И ТУРЦИЯ НА ЧЕРНОМ МОРЕ (ЧМ).,
https://carnegieendowment.org/files/turkey_black_sea_report_rus.pdf?fbclid=IwAR2I2SK2jk6E6u3s7KuBFFNASvEy2xaI-2uuoVEUngPB7I7PZ44yNcowjtQ (გადამოწმებულია 27.02.2022)
9. „პოლიტიკა კავკასიის გარშემო“, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენფერენცია.,
http://press.tsu.ge/data/file_db/konference/printk.pdf (გადამოწმებულია 27.02.2022)
10. ბაქრაძე გ., „DYNAMICS OF THE RUSSIA_TURKEY RELATIONSHIF ON 2016 AND THE REASONS BEHIND IT“, http://regional-dialogue.com/rus-turkey/ (გადამოწმებულია 27.02.2022)
11. ავდალიანი ე., „სამხრეთ კავკასიის რეგიონმა დიდი ძალების მეტოქეობის ხანაში შეაბიჯა, დღეს თამაშის ახალი წესები ყალიბდება, მტკივნეული და გარდამავალი პერიოდია“,
https://www.geocase.ge/ka/publications/396/emil-avdaliani-samkhret-kavkasiis-regionma-didi-dzalebis-metoqeobis-khanashi-sheabija-dghes-tamashis-akhali-tsesebi-yalibdeba-mtkivneuli-da-gardamavali-periodia (გადამოწმებულია 27.02.2022)
12. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია., ბიულეტინი N66,2002
http://library.fes.de/pdf-files/bueros/vifaost/c03-00409.pdf(გადამოწმებულია 27.02.2022)
13. Стародубцев И., Черноморский регион: возможности для сотрудничества России и Турции.,
https://russiancouncil.ru/amp/analytics-and-comments/analytics/chernomorskiy-region-vozmozhnosti-dlya-sotrudnichestva-rossii-i-turtsii/?fbclid=IwAR0zVcmLhNv-Y8PZkjzWgUak-P4LQyQr113GljYa9rLMSnOeMKHHXEdL4E (გადამოწმებულია 13.03.2022)
14. ISACHENKO D., „TURKEY AND RUSSIA“ https://www.swp-berlin.org/10.18449/2021RP07/ (გადამოწ-მებულია 13.03.2022)
15. „Экономические связи России и Турции“, https://www.kommersant.ru/doc/4276836 (გადამოწმე-ბულია 13.03.2022)
16. იეშილთაში მ., „თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების რთული პერიოდი“,
https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2020/02/21/ak-tualuri-t-emis-analizi-8-2020-1363418 (გადამოწმებულია 13.03.2022)
17. KALEHSAR S.O., „More US LNG exports to Turkey, less dependency on Iran and Russia's gas“,
https://www.dailysabah.com/opinion/op-ed/more-us-lng-exports-to-turkey-less-dependency-on-iran-and-russias-gas (გადამოწმებულია 13.03.2022)
18. მარგველაშვილი ზ., „უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, https://di.gov.ge/wp-content/uploads/2021/02/security_black_sea_ge.pdf (გადამოწმებულია 13.03.2022)

ვეფხვია ჩალაბაშვილი
*წარმოადგინა ასოც. პროფესორმა **ნანა ბახსოლიანმა***

ცივი ომის დასასრული და ახალი მსოფლიო წესრიგის თეორია

საკვლევად შერჩეულია საერთაშორისო ურთიერთობების ის თეორიები, რომლის პრიზმაშიც ხდება საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა ურთიერთობების წარმართვა, კერძოდ კი, სახელმწიფო ზნეობისა და სამართლის ვაკუუმში ახორციელებს საგარეო პოლიტიკას (მაკიაველი). კანტისეული ანუ უნივერსალური ხედვა გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არის ზნეობრივი იმპერატივები, რომლებიც სახელმწიფოთა მოქმედებას ზღუდავს. გროციუსისეული, ანუ ინტერნაციონალისტური ტრადიცია საერთაშორისო პოლიტიკას სახელმწიფოთა საზოგადოების, ანუ საერთაშორისო საზოგადოების ასპექტში აღწერს. ჰობსის მიხედვით, სუვერენები და სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი რეალობაა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოების უშუალო წევრები არიან სახელმწიფოები და არა ცალკეული ადამიანები. გროციუსისეული ხედვით, საერთაშორისო აქტივობა არის არა სახელმწიფოთა შორის ომი და საზღვრების მკვეთრი ჰორიზონტალური კონფლიქტი, არამედ ვაჭრობა, ანდა უფრო ზოგადად, ერთი ქვეყნის მეორესთან ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამ ჭრილში ახსნილია ცივი ომის დასასრული და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პარადიგმები.

ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაში თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს თურქეთი, რომელიც ცივი ომის პერიოდში დასავლეთის ბანაკს წარმოადგენდა და ამის წყალობით ჯანსაღი ეკონომიკა, ძლიერი და კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალა და გამართული ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა შექმნა. თურქეთი აქტიურად უჭერს მხარს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს თავდაცვის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო წესრიგი, მსოფლიო პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა.*

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ჰედლი ბულის თეორიას „არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში“, რომლის თანახმად, წესრიგი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული გამოცდილების ნაწილია, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს და კვლავაც ქმნიან არა მარტო სახელმწიფოთა სისტემას, არამედ საერთაშორისო საზოგადოებასაც.

მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ზნეობისა და სამართლის ვაკუუმში ახორციელებს საგარეო პოლიტიკას (მაკიაველი). კანტისეული ანუ უნივერსალური ხედვა გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არის ზნეობრივი იმპერატივები, რომლებიც სახელმწიფოთა მოქმედებას ზღუდავს. მაგრამ ეს იმპერატივები მიმართულია არა სახელმწიფოთა თანაარსებობისა და თანამშრომლობა, არამედ სახელმწიფოთა სისტემების გაუქმებისა და კოსმოპოლიტიური საზოგადოებით მისი შეცვლისკენ.

გროციუსისეული, ანუ ინტერნაციონალისტური ტრადიცია საერთაშორისო პოლიტიკას სახელმწიფოთა საზოგადოების, ანუ საერთაშორისო საზოგადოების ასპექტში აღწერს. გროციუსის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოები უბრალოდ ბრძოლაში კი არ არიან ჩართულნი როგორც გლადიატორები არენაზე, არამედ შეზღუდული არიან ერთმანეთთან კონფლიქტში საერთო წესებითა და ინსტიტუტებით.

ჰობსის მიხედვით, სუვერენები და სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი რეალობაა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოების უშუალო წევრები არიან სახელმწიფოები და არა ცალკეული ადამიანები. გროციუსისეული ხედვით, საერთაშორისო აქტივობა არის არა სახელმწიფოთა შორის ომი და საზღვრების მკვეთრი ჰორიზონტალური კონფლიქტი, არამედ ვაჭრობა, ანდა უფრო ზოგადად, ერთი ქვეყნის მეორესთან ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა [1. 116-140].

ამ პრიზმაში ახსნილია ცივი ომის დასასრული და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პარადიგმები, რასაც ქვემოთ ნათლად დავინახავთ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შედეგად საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოკავშირეებთან ერთად შექმნეს ახალი წესრიგი, რომლის შედეგადაც პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ორი ბლოკი, დასავლეთით აშშ-სა და მისი მოკავშირეების, ხოლო აღმოსავლეთით სსრკ-სა და მისი მოკავშირეების სახით. საბოლოო ჯამში, ორპოლუსიანი მსოფლიო დაუპირისპირდა ერთმანეთს, დასავლეთით კაპიტალისტური წყობისა და აღმოსავლეთით კომუნისტური სისტემის სახით. მოწინააღმდეგე მხარეებს შორის გამალებული შეიარაღება იქცა ნომერ პირველ პრიორიტეტად, რადგან ორივე მხარე თვლიდა, რომ სამხედრო ძალითა და დიდი შეიარაღებით იყო შესაძლებელი მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვება. აშშ მეორე მსოფლიო ომის დროს უკვე ფლობდა ბირთვულ იარაღს და კიდევაც გამოიყენა ორი ატომური ბომბი იაპონიის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით, ის გარკვეულწილად წინ იყო საბჭოთა კავშირზე, რაც კომუნისტური წყობისთვის არ იყო ხელსაყრელი და მოსკოვი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დასავლეთთან წონასწორობა ბირთვულ შეიარაღებაში აღედგინა. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, ორივე მხარე ზრდიდა შეიარაღებას და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მოკლე დროში საბჭოთა კავშირმაც დაიწყო ბირთვული იარაღის წარმოება, რამაც დიდწილად განსაზღვრა კიდევაც ამ ორი ბირთვული სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიოზე სრული ზეგავლენის მოპოვება, რაც გარკვეულწილად დღესაც გრძელდება, იმისდა მიუხედავად, რომ ახლა უკვე სხვა სახელმწიფოებიც ფლობენ ამა თუ იმ სახის ბირთვულ იარაღს.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, მიუხედავად ფუნდამენტური განსხვავებებისა, თავს გამარჯვებულ მხარეებად თვლიდნენ ჰიტლერთან მიმართებაში და ერთმანეთის მიმართ ერთი შეხედვით კონკურენტებს უფრო განასახირებდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეებს. თუმცა, გარკვეული დავები ევროპული ქვეყნების განაწილებასთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობდა. გარდამტეხი მომენტი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის 1946 წლის 22 თებერვალი გახდა, როდესაც მოსკოვში ამერიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ჯორჯ კენანმა ტელეგრამა გააგზავნა ვაშინგტონში, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „George Kennan's Long Telegram" სახელით. ვაშინგტონში აღნიშნული ტელეგრაფიდან სწორი დასკვნების გამოტანისა და ადეკვატური ანალიზის შედეგად დასავლეთმა საბჭოთა კავშირის მიმართ სტრატეგია მთლიანად შეცვალა. კენანი განმარტავდა, რომ მიღწეულით კომუნისტური პარტია არ დაკმაყოფილდებოდა და უახლოეს ამოცანად ირანისა და თურქეთის „გაწითლებას" ისახავდა მიზნად, ხოლო დასავლეთთან თვალთმაქცურად იქცეოდა. ამ მოვლენებს დასავლეთმა მალევე უპასუხა ცნობილი „თრუმენის დოქტრინით", რომელიც ითვალისწინებდა ისეთი ქვეყნების ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სახელმწიფო მოწყობას, რომლებიც ჩამოყალიბების პროცესში იყო და საბჭოთა კავშირს მთლიანად არ ჰქონდა ამ ქვეყნებზე თავსმოხვეული კომუნისტური რეჟიმი. ამ მიდგომამ გაამართლა და ბევრი ევროპული სახელმწიფო აღმოჩნდა დასავლეთის ბანაკში. ამგვარად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირებამ იდეოლოგიური ხასიათი მიიღო, რომელიც **ცივი ომის** სახელით არის ცნობილი. მსოფლიო დადგა ისეთი რეალობის წინაშე, როდესაც ორ უძლიერეს სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს უნდა „ეპატრონა" მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის და დაემყარებინა **მსოფლიო წესრიგი**. ორმა სახელმწიფომ შეძლო სამხედრო წონასწორობის აღდგენა, შექმნა გავლენის სფეროები და დაამყარა კავშირები, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოხდინა ზეწოლა შედარებით სუსტ სახელმწიფოებზე, რომლებიც „არღვევდნენ წესრიგს". სწორედ ასეთი მოვლენების შედეგად წარმოქმნილ მდგომარეობას უწოდებს „რეალიზმის კონცეფციას" ალექსანდრე რონდელი [2. 61].

ცივმა ომმა პოლიტიკურ ლანდშაფტზე მაქსიმალურად გააჩაღა იდეოლოგიური დაპირისპირება, საბჭოთა კავშირი მცდელობას არ აკლებდა კომუნიზმის ექსპორტის განხორციელებას. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გამოჩდნენ კომუნისტური იდეის მიმდევარი ენთუზიასტები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ფარული მხარდაჭერა მოსკოვიდან ჰქონდათ. შედარებით გართულდა კომუნიზმის გავრცელება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რიგ ქვეყნებში, სადაც

წითელი არმიის გამოყენება გახდა საჭირო, რომ კომუნისტური სისტემა ჩამოყალიბებულიყო. ცივი ომის შედეგად, მსოფლიო ბიპოლარული გახდა, ან ამერიკის მოკავშირეობა ან საბჭოთა კავშირის, სხვა არჩევანი ამ დროის მსოფლიოში უბრალოდ აღარ არსებობდა. ცივი ომის კონფრონტაცია ყველა ფრონტზე აქტიურად მიმდინარეობდა, შეიარაღება, ტექნოლოგიური განვითარება, მეცნიერება, კოსმოსში გასვლა და სპორტი, ყველაფერს პოლიტიკური ელფერი ჰქონდა [3. 314].

ცივი ომი ახლა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა მისი შედეგები დღესაც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე. თომას ჰობსმა თავის ნაშრომში „ლევიათანი", რომელიც რეალიზმის თეორიას ასახავს და სადაც სახელმწიფოს საზღვრები და სუვერენიტეტი პიროვნების უსაფრთხოების გარანტიად არის წარმოჩენილი ნათლად განმარტა, რომ სახელმწიფოები მიისწრაფვიან ძალაუფლებისკენ და მოქმედებენ თავიანთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა შორის ეროვნული ინტერესების სხვადასხვაობა იწვევს უთანხმოებას და რადგან არ არსებობს ზესახელმწიფო, რომელიც ამ უთანხმოებას მოაგვარებს წარმოიქმნება ომები [4. 184].*

მშვიდობიანობის დროსაც კი სახელმწიფო უნდა ემზადებოდეს ომისთვის, ეს არის ჰობსის მიერ ასახული პოლიტიკური რეალიზმი, რამაც ძალიან სწრაფად მოიკიდა ფეხი საერთაშორისო ურთიერთობებში. ჰობსის ეს თეორია ეფუძნება რეალურ ფაქტებს და ამის მაგალითია ცივი ომი და მისი დასასრულის ის შედეგი რომელიც დადგა 90 იანი წლების დასაწყისში.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისციპლინის განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა აქტუალური. ჰანს მორგენთაუს 1948 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „Politics among Nations" დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ და არა მარტო იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ჩართულ საზოგადოებრივ წრეებში. მორგენთაუ ვრცლად განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებს და რეალიზმის არსს. „ინტერესები გამოიხატება ძლიერებაში, ძალაუფლებაში და პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ სუვერენული სახელმწიფო და მისი ინტერესები ისტორიული პროცესის შედეგია, თუ სუვერენული სახელმწიფოების სამყარო აღარ იქნება, მაშინ ეროვნული ინტერესებიც აზრს დაკარგავს" [2. 66].

ცივი ომის დროს იმდენად რეალურ ფაქტებზე იყო დაყრდნობილი საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო წესრიგიც ე.წ. Realpolitic-ის საფუძვლებით იმართებოდა, რომ ცივი ომის პერიოდში დაიწყო აქტუალური მსჯელობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის გადახედვაზე, კერძოდ რეალიზმის თეორიაზე მსჯელობამ ბიჰევიორისტებსა და პოზიტივისტებს შორის პრაქტიკულად ნეორეალიზმს დაუდო სათავე. ცივი ომის ზეგავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე იმდენად დიდი იყო, რომ ნეორეალიზმის განვითარების ახალ საფეხურზე აყვანას შეუწყო ხელი. ქენეთ უოლცი, რომელიც ითვლება ნეორეალიზმის მთავარ არქიტექტორად თავის ნაშრომში (საერთაშორისო პოლიტიკის თეორია 1979) ავითარებს ყველასგან განსხვავებულ რეალიზმს, მისი გადმოცემით საერთაშორისო ურთიერთობები სამეცნიერო დისციპლინა უნდა გამხდარიყო და ის უნდა დაფუძნებოდა კანონზომიერებათა მსგავს წესებს (law like statements), მორგენთაუსგან განსხვავებით, უოლცი საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურაზე და მის ზეგავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობებში ახდენს კონცენტრირებას, მაშინ, როცა მორგენთაუ მორალურ დილემაზე, მართვის ეთიკასა და ადამიანურ ბუნებაზე აკეთებს აქცენტაბს. ასე, რომ ცივმა ომმა დიდი როლი ითამაშა სხვადასხვა თეორიების განვითარებაში.

ცივი ომის „სასახლეს" ბოლო ლურსმანი ამერიკის პრეზიდენტმა როლანდ რეიგანმა დაჭედა, მისმა გამჭრიახობამ და პოლიტიკურმა ალღომ შესაძლო გახადა დაეკავშირებინა ამერიკის ძლიერი და სუსტი მხარეები. თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება, ძლიერი ეკონომიკა, განსხვავებული ფენების ერთობლიობა და ამ ყველაფრის თავმოყრით იდეალიზმის ჩამოყალიბება გახდა ის იარაღი რომლითაც ამერიკამ შეძლო საბჭოთა კავშირის უომრად დამარცხება და **ცივი ომის** დასრულება. როგორც ჰენრი კისინჯერი თავის წიგნში [5. 443] აღწერს რეიგანის ოპტიმიზმი ერთი ორად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა **კავშირის სათავეში მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა, რეიგანმა სწორად შეარჩია დრო, როდესაც გადამწყვეტი მომენტი იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც მან „ბოროტების იმპერია" უწოდა,**

გამოეყენებინა ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე, დემოკრატიული სისტემა, ძლიერი ერთობა და რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის სისუსტეების ზუსტი ანალიზი, რათა საბოლოოდ დაემარცხებინა იგი. ეს მოვლენაც ჯდება ჰანს მორგენთაუს მიერ განსაზღვრულ რეალიზმის თეორიის ჩარჩოში, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების სფერო განსაზღვრავს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ნეორეალიზმის თეორიის მიხედვით, სუვერენული სახელმწიფოების გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები და მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციებიც არიან ჩართული, თუმცა, ნეორეალიზმის თეორიიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემა განსაზღვრავს ამ სისტემაში შემავალი სახელმწიფოების მოქმედებას საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო შიდა საკითხები თავად ამ ქვეყნებისთვის არის მინდობილი. დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების პროცესი იმდენად დიდი არის, რომ ნეორეალიზმის თეორიას ბევრი ეჭვის თვალით უყურებს [2. 97-98].

მსოფლიო წესრიგის სისტემა განიცდის გარდაქმნას. გასაზიარებელია ერნსტ-ოტო ჩემპილის მოსაზრება, რომ **ცივი ომის** პოლიტიკური ზემოქმედება ბევრად დიდი და გლობალური იყო მსოფლიოზე, ვიდრე თუნდაც მეორე მსოფლიო ომი [6].

ცივი ომის დასრულებამ **გლობალურ ცვლილებებს** დაუდო საფუძველი, თუ მანამდე დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთს შეიარაღებაში ეჯიბრებოდნენ და პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა კომპონენტები მეორე პლანზე იყო გადაწეული, **ცივი ომის** დასრულებამ შეაჩერა გამალებული შეიარაღება და წინა პლანზე ეკონომიკამ გადმოინაცვლა. ჩემპელისვე განმარტებით, ახალ **მსოფლიო წესრიგში** წინა პლანზე გადმოინაცვლა ადამიანის უფლებებმა და დემოკრატიულმა ღირებულებებმა, რამაც დიდი გავლენა იქონია ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგზე, საზოგადოების ფენებს უფრო აქტიურად სურდათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება და ქვეყნის მართვის მოდელებმა მთლიანად განიცადეს რეფორმირება, რომელმაც ჯაჭვური რეაქციით ადრე თუ გვიან თითქმის ყველა ცივილურ ქვეყანას მიუკაკუნა კარზე.

ცივი ომის დასრულებამ და საბჭოთა კავშირის ჰეგემონიის დასასრულმა მთლიანად შეცვალა **მსოფლიო წესრიგი.** გაჩნდნენ ახალი სახელმწიფოები და შესაბამისად არსებული **მსოფლიო წესრიგი**, რომელიც ორ ჰეგემონ სახელმწიფოს შორის არსებობდა, დაირღვა. 15 ახალი სახელმწიფო შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ყველა მათგანმა დაიწყო ზრუნვა თავისი ქვეყნის უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, ზოგმა სახელმწიფომ სწრაფად მოახდინა ადაპტირება ახალ რეალობასთან, დასავლეთმაც ხელი შეუწყო მათ დროულ და ადეკვატურ განვითარებას და მანამ, სანამ რუსეთის ფედერაცია მოიშუშებდა საბჭოთა კავშირის დაშლით მიღებულ ჭრილობებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოახერხეს დემოკრატიული მთავრობების ჩამოყალიბება, თანამედროვე სამხედრო ძალების შექმნა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსშიც გაწევრიანდენ. თავისი ლიბერალური დემოკრატიითა და ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობით აშშ-მ პრაქტიკულად უბრძოლველად დაამარცხა საბჭოთა კავშირი. ექსპერტთა მოსაზრებებისა და იდეების მიუხედავად, ზუსტად არავინ იცოდა რა განვითარება მოყვებოდა საბჭოთა ჰეგემონიის დასრულებას, თუმცა, ერთი რამ ცხადი იყო, რომ ახალი სახელმწიფოები ახლებურ მიდგომებსა და ხედვებს შემოიტანდნენ მსოფლიო პოლიტიკაში და **მსოფლიო წესრიგის** არსებული სიტუაცია შეიცვლებოდა. ბიპოლარული სისტემის ნგრევას მოყვა ახალი შესაძლებლობების გაჩენა ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. განსაკუთრებით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება მათი ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი, მოსახლეობის რაოდენობა და საერთაშორისო ჩართულობა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნაში ეს ქვეყნები თავიანთ სიტყვას აუცილებლად იტყვიან. „საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით, აშშ ლიდერობის უკანასკნელ წუთებს ითვლის და სულ მცირე დროში მსოფლიოში ჩამოყალიბდება მულტიპოლარული სისტემა, სადაც არა ერთი ან ორი, არამედ რამდენიმე ურთიერთდამაბალანსებელი პოლუსი გაჩნდება“ [7].

სსრკ-ს დაშლის შედეგად წარმოქმნილ თხუთმეტ ახალ სახელმწიფოს შორის იყვნენ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიც - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. სამხრეთი კავკასია ევრაზიის კონტინენტის სტრატეგიულ გზაგასაყარსზეა და წარმოადგენს სტრატეგიულ ადგილს რომლის წყალობითაც ეს რეგიონი მსოფლიო პოლიტიკის ფოკუსშია. ეს ინტერესი

განსაკუთრებულად აქტუალურია ამ ეტაპზე, როდესაც გეოპოლიტიკური გადანაწილების ახალ ფაზაში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ცდილობენ რაც შეიძლება მეტად გაზარდონ თავიანთი გავლენის სფეროები და ამით მოიპოვონ უპირატესობა საერთაშორისო ასპარეზზე. სამხრეთი კავკასია სწორედ ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, რომელიც ყოველთვის იყო გეოპოლიტიკური გავლენების გადანაწილების საგანი და ასეა დღესაც. ასეთ ტურბურენტულ მდგომარეობაში მყოფი სამხრეთი კავკასიის სამივე ქვეყანა ცდილობს იპოვოს ის ოქროს შუალედი, სადაც ისინი შეძლებენ როგორც თავიანთი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, ასევე, რეგიონული ლიდერი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებას, რაც ერთი ორად ართულებს პოლიტიკური მიზნების ბოლომდე განხორციელებას. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წინ წამოწევასთან ერთად, რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ხდება ამ ქვეყნების საეთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელსაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის პროცესში.

როდესაც სიტყვა წესრიგს საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში ვახსენებთ, აქ იგულისხმება გარკვეული სახის დაწერილი და დაუწერელი წესების ერთობლიობა, რომლებსაც საერთაშორისო დონის აქტორები აღიარებენ და იცავენ. საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები პოლიტიკური მეცნიერების დარგთაგანია და საგარეო პოლიტიკისა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს შეისწავლის. ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები ერთმანეთთან ურთიერთობებით ქმნიან საერთაშორისო სისტემას, სწორედ ასე ყალიბდება საერთშორისო ურთიერთობები. როგორც აინშტაინი ამბობს „პოლიტიკა ფიზიკაზე ბევრად უფრო რთულია“ და ამ გამონათქვამის ჭეშმარიტება ვლინდება საერთაშორისო პოლიტიკის დღევანდელობაში.

მსოფლიო წესრიგი დედამიწაზე მუდმივად იცვლებოდა ეპოქების ცვლილებებთან ერთად. ამ წესრიგის დამყარების უკანასკნელ გამოსავლად ომი მიიჩნეოდა, როდესაც სხვა ყველა შესაძლებლობა ამოწურავდა თავს. ჯერ ინდუსტრიულმა, ხოლო შემდეგ ტექნოლოგიურმა რევოლუციებმა ცვლილებების ტემპები საგრძნობლად დააჩქარა. ცივი ომიდან გამოყოლილი ბირთვული ზესახელმწიფოს იმიჯის ჩამოშორება მტკივნეული აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რადგანაც მოწინააღმდეგე ანუ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა, რუსეთი კი მის საპირწონე ძალას არ წარმოადგენდა ახალი **მსოფლიო წესრიგის** დამყარების პროცესში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე სამხედრო კამპანია აწარმოა ჯერ კორეაში, შემდეგ ვიეტნამში, ერაყსა და ამ ბოლო დროს ავღანეთში. თუმცა, მიუხედავად უზარმაზარი უპირატესობისა აშშ-ს მხრიდან, როგორც ბირთვული, აგრეთვე, შეიარაღებისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით, აღნიშნულ სამხედრო კამპანიებში დროის გაწელვისა და ადგილობრივი არაკონვენციური ძალების მხრიდან პარტიზანული ომის წარმოებამ ეს კონფლიქტები აშშ-ს მხრიდან ბევრად აღმატებული ძალების უკან დახევისა და საბოლოოდ, ამ ტერიტორიებიდან მათი გამოყვანით დასრულდა. სწორედ ეს ფაქტები აქვს **განმარტებული ჰენრი კისინჯერს, როგორც ტექნოლოგიური უპირატესობის გეოპოლიტიკურ უსუსურობად გადაქცევის პროცესი. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ახალი მსოფლიოს წესრიგის დამყარება ახალ რეალობებთან არის დაკავშირებული, ტექნოლოგიური ან რაოდენობრივი სიმძლავრე არ შეიძლება ყოველთვის აღქმული იყოს, როგორც უპირობო სიძლიერე. ამის ერთ-ერთი მაგალითი კიბერ შესაძლებლობების განზომილებაა, რომელმაც კიდევ უფრო კომპლექსური გახადა მსოფლიო წესრიგის განზომილება დღევანდელ რეალობაში. ინფორმაციული ტექნოლოგიები დღევანდელობის ერთ-ერთ ძირითად სიახლეს წარმოადგენს, კიბერსივრცემ მოიცვა თითქმის ყველა სფერო, ვაჭრობა, განათლება, ინდუსტრიული და სამეცნიერო კვლევები, სტატისტიკა, ფინანსები, სამხედრო თუ ბიზნეს სტრატეგიები, თვალთვალი და მიყურადება, მეგობრობა და ინფორმაციის გაზიარება, სოციალური ქსელები, სტრატეგიული ინფრასტრუქტურის მართვა და კონტროლი და ეს სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს**, ეს ყველაფერი დღეს კიბერსივრცეში ხორციელდება [5. 478].

შესაბამისად გაზრდილია მოწყვლადობა, ეგრეთ წოდებული ჰაკერები ტეხავენ ქსელებს, იჭრებიან ამა თუ იმ კომპანიის ან სახელმწიფოს სერვერებზე, იპარავენ ან საჯაროზე გამოაქვთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია და განუზომელ ზიანს აყენებენ მეორე მხარეს. არის შემ-

თხვევები, როდესაც სახელმწიფოებიც ახორციელებენ იგივეს მეორე სახელმწიფოს მიმართ და მწყობრიდან გამოჰყავთ სტრატეგიული ინფრასტრუქტურა, სამხედრო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტები და ზოგირთ შემთხვევაში ატომური სადგურები, ან ბირთვული დანიშნულების დაწესებულებები. მაგალითად 2021 წლის აპრილში ირანის მიწისქვეშა ბირთვულ ობიექტზე მოხდა კიბერთავდასხმა, რის შედეგადაც ელექტროენერგია გაითიშა და გამოწვეული ზარალის აღდგენას ექსპერტთა მონაცემებით, დაახლოებით ცხრა თვე დაჭირდა. ირანი აღნიშნულ თავდასხმაში ისრაელს ადანაშაულებს, თუმცა, ამის დამადასტურებელი ფაქტების მოპოვება თითქმის შეუძლებელია. კიბერსივრცე სტრატეგიული მოქმედების განუყოფელი ნაწილია, აშშ-ს სამხედრო უწყების - United States Cyber Command-ის ხელმძღვანელის აზრით: „შემდეგი ომი კიბერსივრცეში დაიწყება“ [5. 492].

ხშირია კიბერ თავდასხმები სახელმწიფო ვებგვერდების წინააღმდეგ, ასეთი შეტევები ცნობილია საქართველოს, უკრაინის, ესტონეთის და სხვა მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის დროსაც თავდამსხმელის დასახელება პრაქტიკულად ვარაუდის დონეზე ხდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ აშშ-ს სენატის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის მხრიდან 50-ე შტატში მოხდა საარჩევნო სისტემაში შეღწევა, რის შედეგადაც ხაკერებმა მოახდინეს ინფორმაციის სკანირება, ამომრჩეველთა პირადი მონაცემებისა და საარჩევნო სისტემის სოფტვერისა და სხვა მრავალი ინფორმაციის დაუფლება, მეტყველებს რამდენად მოწყვლადია დღევანდელი სისტემები ტექნოლოგიის მიმართ. ამრიგად, მხოლოდ სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერე არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც გარდამტეხი ფაქტორი, სიმძიმის ცენტრმა ფიზიკურიდან საინფორმაციო სივრცეში გადაინაცვლა, დეზინფორმაცია საზოგადოებაზე და მასებზე ზეგავლენის წყაროდ იქცა. დეზინფორმაციის მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში 2020 წლის მარტის შუა რიცხვებში, ამერიკის მოსახლეობის ტელეფონზე მიღებული მესიჯი, სადაც ეწერა, რომ პანდემიიდან გამომდინარე, ტრამპის ადმინისტრაცია აცხადებდა საგანგებო მდგომარეობას და მთავრობა განათავსებდა შეიარაღებულ ძალებს ქვეყნის დიდი ქალაქების ქუჩებში, რათა თავიდან აეცილებინა კარანტინის პერიოდში ძარცვის, მოროდიორობისა და ქურდობის ფაქტები. მესიჯის ავტორად კი აშს-ს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი (The US Department of Homeland Security) იკითხებოდა. ეს ინფორმაცია მაშინვე უარყო თეთრმა სახლმა და მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ: „შეერთებული შტატების სადაზვერვო სააგენტოებმა საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ჩინეთის სამთავრობო ოპერატორებმა ამერიკელებს გადაუგზავნეს ტექსტები მობილური ტელეფონებით და აქვეყნებდნენ ცრუ ინფორმაციას სოციალურ მედია პლატფორმებზე.“ [8].

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საჭირო იქნება საერთშორისო მიდგომა და გარკვეული წესებისა და სისტემების დანერგვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კრიზისების მასშტაბები და რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება მომავალში.

მსოფლიო წესრიგს, როგორც წესი, ძლიერი სახელმწიფოები ამყარებენ. სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი ერთ-ერთი კომპონენტი მორგენთაუს შეფასებით, ქვეყნის გეოგრაფიული მახასიათებელია, მისი სიდიდე, მდებარეობა და გეოგრაფიული თავისებურებებია, მაგრამ ამ მოსაზრებას არ იზიარებს ამერიკელი საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის მეცნიერი ჯონ ჰერცი და მისი განმარტებით ტექნოლოგიურ სამყაროში ეს განზომილებები აღარაა გადამწყვეტი ფაქტორი, რასაც დღევანდელობაც ადასტურებს, როდესაც ჰიბრიდული ომის წარმოების უამრავი მეთოდი არსებობს. ძლიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ბუნებრივ რესურსებსაც ასახელებენ, თუმცა აქაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეცვალა წონასწორობა, რადგანაც ამ რესურსების ათვისების ტექნოლოგიები არანაკლებ მნიშვნელოვანია. თითქმის ყველა თანხმდება, რომ ქვეყნის ძლიერების მნიშვნელოვან კომპონენტად მრეწველობა მიიჩნევა. ქვეყნები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებით ახორციელებს ქვეყნის მრეწველობას, განსაკუთრებით კი სამხედრო მრეწველობას, უდავოდ ძლიერი ქვეყნების რიგში იქნება, თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატები. თუმცა სულაც არაა სავალდებულო სამხედრო მრეწველობაზე აქცენტის გაკეთება, მაგალითად გერმანია და იაპონია ეკონომიკური მრეწველობით ახდენენ გავლენას საერთაშორისო პოლიტკაზე. ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ქვეყნის მთავრობა, რომელსაც უნდა შეეძლოს აწარმოოს მოქნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, შეკრას ძლიერი სახელმწიფო, გამართოს სტრუქ-

ტურები და დაიცვას ქვეყანა საგარეო საფრთხეებისგან წარმატებული დიპლომატიითა და სამეზობლო პოლიტიკის წყალობით. თუმცა ისტორიულად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება სადაც ძლიერ მთავრობად ითვლებოდა, როგორც დემოკრატიული ხელისუფლება, ასევე დიქტატორული რეჟიმები, იმისდა მიუხედავად, რომ საერთაშორისო აღიარებულად წარმატებულ მთავრობად დემოკრატიული მმართველობა ითვლება, არის მაგალითები, როდესაც დიქტატორული რეჟიმი გამოსულა ომის დროს გამარჯვებული. „ძლიერება არის ძალა, მისი ეფექტურად და მოქნილად გამოყენების, ახალ ვითარებასთან სწრაფი შეგუების უნარი. ძლიერების კომპონენტების გამოყენების დროს მოქნილობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საკუთრივ ფიზიკური თუ სამხედრო ძალა". და მაინც, ქვეყნის ძლიერების უპირველესი მაჩვენებელი სამხედრო სიძლიერეა. თუ გადავხედავთ ძლიერი ქვეყნების ტენდენციებს, აშკარაა სამხედრო ტექნოლოგიებში გაღებული ხარჯები, სამხედრო ბიუჯეტის მუდმივი ზრდა და იარაღით ვაჭრობა წამყვან ადგილს იკავებს ამ ქვეყნების სამხედრო მიმართულებებში [2. 79-81].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბიპოლარული სისტემა საბჭოთა კავშირის დემონტაჟთან ერთად ისტორიულ წარსულს ჩაბარდა და ახლა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პროცესში იმყოფება მთელი სამყარო. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაში თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს თურქეთი, რომელიც ცივი ომის პერიოდში დასავლეთის ბანაკს წარმოადგენდა და ამის წყალობით ჯანსაღი ეკონომიკა, ძლიერი და კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალა და გამართული ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა შექმნა. სახელმწიფოები როგორც პოლიტიკური აქტორები, თავიანთ გეოპოლიტიკურ გარემოში გარკვეულ აქტუალურობას ყოველთვის ინარჩუნებენ. არის შემთხვევები, როდესაც წარმოადგენენ დიდ და გავლენიან აქტორებს, ასევე, შეიძლება ისტორიის რაღაც მონაკვეთში მათი როლი შედარებით მცირე იყოს. სწორედ ასეთი აქტორი არის თურქეთი, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ფლობს ბევრ უპირატეობას, როგორიცაა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გასასვლელები, რომლებითაც ერთმანეთს უკავშირდება ხმელთაშუა, ეგეოსის, მარმარილოს და შავი ზღვები. ამასთან ერთად თურქეთი ესაზღვრება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რეგიონში ახლად ჩამოყალიბებულ სამივე ქვეყანას: საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს (ნახიჩევანის სახმელეთო საზღვარით). ამ შესაძლებლობების გამოყენებით თურქეთი არ აკლებს მცდელობას ზედმიწევნით ზუსტად მოირგოს რეგიონული ლიდერის როლი და შესაბამისად ის თავისი ინტერესების შესაბამისობაში აერთიანებს ყველა ამ კომპონენტს. თურქი პოლიტიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი აჰმეთ დავითოღლუ თავის წიგნში „პოლიტიკური სიღრმე" მკაფიოდ აყალიბებს მისი თვალთახედვით თურქეთის სამომავლო საგარეო პოლიტიკის დოქტრინას, სადაც ის ნათლად განმარტავს თურქეთის რესპუბლიკის იმ დადებით ფაქტორებს, როგორიცაა ძლიერი ისტორიული წარსული და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა [9].

ნაშრომის თანამხად, რომელიც 2002 წლიდან ითვლება თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად გზამკვლევად, **დავითოღლუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თურქეთი არ უნდა დაჯერდეს რეგიონული ლიდერის პოზიციას და მისი ამბიციაა თურქეთმა შეასრულოს თავისი „ისტორიული" როლი და იყოს წამყვანი მოთამაშე როგორც ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის, შუა აზიის, შავი, ხმელთაშუა და კასპიის ზღვების გარკვეული კონტროლის განმახორციელებელი და იყოს დამოუკიდებელი მოთამაშე გლობალური პოლიტიკის არეალზე.** თუმცა, თურქეთს მხოლოდ საკუთარი ძალებით ამის მიღწევა არ შეუძლია, ეს უნდა მოხდეს მსოფლიო პოლიტიკის ცვლილებების კვალდაკვალ, სწორედ ასეთ პროცესთან გვაქვს საქმე ბოლო ათწლეულების განმავლობაში, **ცივი ომის** დროს მთელი მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ეს იყო გლობალური ორპოლუსიანი სისტემა სადაც მთელი მსოფლიო იყო გაერთიანებული, ნეიტრალური ქვეყნების ბედსაც კი დასავლეთი და აღმოსავლეთი წყვეტდნენ, რაც კარგად არის აღწერილი ერნსტ-ოტო ჩემპილის „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პერიოდში". ხოლო ცივი ომის დასრულების შემდეგ, ჩემპილისვე განმარტებით, მსოფლიომ მოიხსნა გლობალური კონტროლის ბორკილები, გაუქმდა ზედამხედველობის მეთოდები და ამან მისცა შესაძლებლობა რეგიონული სიძლიერის ქვეყნებს თავიანთი სიტყვა ეთქვათ მსოფლიო წესრიგის დამყარების კუთხით, ერთ-ერთი ასეთი რეგიონული სიძლიერის ქვეყანა სწორედ თურქეთია [6].

აჰმეთ დავითოღლუს „პოლიტიკური სიღრმის“ თანახმად, **თურქეთის საგარეო პოლიტიკა და მისი პრინციპები თანხვედრაშია რეგიონულ პოლიტიკურ ტრანსფორმაციასთან, რაც ჩემი აზრით, ასევე, თანხვედრაშია თომას ჰობსის „ლევიათანში“, აღწერილ რეალიზმის თეორიასთან, სახელმწიფო და მისი საზღვრები, ისევე როგორც სუვერენიტეტი არის უსაფრთხოების გარანტი.** თურქეთი რეალურად აფასებს მსოფლიოში და რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, ახდენს თავისი პოლიტიკური მიზნების კორექტირებებს და ამ მიზნებისკენ მისასვლელი გზების ძიებაში ცდილობს მიაღწიოს მაქსიმუმს. „პოლიტიკური სიღრმის“ მიხედვით, ამ ყველაფერს მყარ საფუძვლად უდევს თურქეთის მდიდარი ისტორია, თანამედროვე და სტაბილური შიდა წესრიგი და კეთილმეზობლური და მჭიდრო კავშირები მეზობლებთან, რაც მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების საწინდარია [9].

ისტორიულად თურქეთი პოლიტიკური რეალიზმის გამტარებელი იყო, რადგანაც ამ გზიდან როდესაც სცადა გადასვლა, უკუშედეგი მიიღო, ასე მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის მწარე გაკვეთილიდან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთმა თავშეკავებული პოზიცია აჩვენა, იმისდა მიუხედავად, რომ 1941-42 წლებში საბჭოთა კავშირის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო, ხოლო თურქეთს თავისი არმიის ძირითადი ნაწილები მობილიზებული ჰყავდა კავკასიის სიახლოვეს, მაინც არ დაიჭირა გერმანიის მხარე, არ დაარტყა სსრკ-ს და ეგრეთ წოდებული ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, მანამ სანამ აშკარა არ გახდა, რომ გერმანიის წაგება გარდაუვალი იყო, სწორედ ამ დროს თურქეთმა მოკავშირეების მხარე დაიჭირა და ბრძოლებში მონაწილეობის გარეშე აღმოჩნდა გამარჯვებულთა ბანაკში, სწორედ ამ მოთმინებისა და ნეიტრალიტეიტს წყალობით თურქეთი გაეროს დამაარსებელი ქვეყანების სიაში აღმოჩნდა, დიდი ეკონომიკური დახმარებაც მიიღო დასავლეთიდან და სსრკ-ს თავდასხმისგანაც გაინეიტრალა საფრთხე, **სწორედ ეს არის რეალპოლიტიკის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითი. ამ გზით განაგრძო თურქეთის პოლიტიკურმა ესტაბლიშმენტმა შემდგომი სვლაც,** ამერიკისგან დახმარებასთან ერთად სამხედრო ბაზები და პოლიტიკური მხარდაჭერაც მიიღო და საგრძნობლად გაძლიერდა ყველა მიმართულებით [3. 324].

თუმცა, გამოწვევებიც საკმაოდ აქვს თურქეთს, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში, ეს აისახება რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა კვეთაში, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე სამხრეთ კავკასიის კორიდორის კონტროლის მოპოვებასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე ზეგავლენაში, სადაც ბუნებრივი რესურსების მართვის შესაძლებლობა გლობალური მასშტაბისაა. სოციალურ სივრცეში ხშირია რუსული სამთავრობო წყაროების მიერ ერდოღანის კრიტიკა, გამომცემლობა Военно-Промышленный Курьер-ის ერთ-ერთ სტატიაში ერდოღანის „მადაზე“ საუბრობს ავტორი და უარყოფით კონტექტსში მოიხენიებს, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში. „ასე რომ, დღეს უკვე აშკარაა, რომ რეჯეფ ერდოღანი, რომელიც იყო რუსეთში აკრძალული მუსლიმთა საძმოს მხარდამჭერი, საბოლოოდ იღებს პანთურქიზმის კონცეფციას, რომელიც მანამდე უარყო, აშკარა რასისტული ნიშნებით და აშკარა თეზისებით უპირატესობის შესახებ, თურქი რასა და თურქი ერი.“ [10].

ამ მხრივ, თვალშისაცემია „ძმური ქვეყნების სინდრომი“, რომელიც ჰ. გრინევის თანახმად, ცვლის პოლიტიკურ იდეოლოგიასა და ძალთა ბალანისის შენარჩუნების ტრადიციულ მოსაზრებებს როგორც თანამშრომლობისა და კოალიციების ძირითად პრინციპს. მაგალითად, სომხების სამხედრო წარმატებებმა თურქეთს უბიძგა რელიგიურად, ეთნიკურად და ენობრივად მონათესავე აზერბაიჯანის მხარდაჭერისკენ. „თურქეთის ხალხი იგივეს გრძნობს, რასაც აზერბაიჯანელები - განაცხადა 1992 წ. ერთმა ჩინოსანმა თურქმა მოხელემ... ჩვენ გვეკითხებიან: ნუთუ ჩვენ სერიოზულად ვაპირებთ მომავალშიც ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებას? ალბათ, ჩვენ უნდა აჩვენოთ სომხებს, რომ ამ რეგიონში არსებობს დიდი თურქეთი“. ამას დაეთანხმა თურქეთის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი, რომელმაც აღნიშნა, რომ სომხეთს არ აწყენდა ჭკუის სწავლება. 1993 წ. კი მუქარა გაიმეორა: „თურქეთი კვლავ გამოაჩენს ბრჭყალებს“. თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალები დაზვრევით გაფრენებს აწყობდა სომხეთის საზღვრის გასწვრივ. თურქეთი აბრკოლებდა სურსათის მიწოდებასა და საჰაერო რეისებს სომხეთში. თურქეთმა და ირანმა განაცხადეს, რომ ისინი არ დაუშვებენ აზერბაიჯანის დანაწევრებას. საბჭოთა კავშირის მთავრობა მხარს უჭერდა აზერბაიჯანს, სადაც ხელისუფლების სათავეში კვლავ კომუნისტები

იყვნენ. მაგრამ სსრკ-ს დაშლასთან ერთად პოლიტიკური მოტივები რელიგიურით შეიცვალა. 90-იანების ომის დროს აზერბაჯანი ბრალს დებდა რუსეთს ქრისტიანული სომხეთის მხარდაჭერაში, ხოლო 2021 წლის ომში სურათი რადიკალურად შეიცვალა, რუსეთმა აზერბაიჯანს მხარი დაუჭირა [11. 21].

ვფიქრობ, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ს. ჰანთიგტონის მოსაზრებით, არსებობს შინაგანდ გათიშული ქვეყნები, რომელთა ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს დასავლეთთან არავითარი საერთო არ აქვს. ასეთი ტიპიური მაგალითი სწორედ თურქეთია. მე-20 საუკუნის მიწურულს თურქეთი ათა თურქის ტრადიციათა ერთგული რჩება და თავის ქვეყანას დასავლური ტიპის თანამედროვე სეკულარიზებულ ერ-სახელწიფოათა რიცხვს მიაკუთვნებს, რამაც თურქეთი ნატოს ხაზით დასავლეთის მოკავშირედ აქცია და სპარსეთის ყურეში ომის დროს ევროპულ თანამეგობრობაში თურქეთის მიღებას ცდილობდა. იმავდროულად თურქეთის საზოგადოების ნაწილი მხარს უჭერს ისლამური ტრადიციების აღორძინებას და თვლის, რომ თურქეთი ახლო აღმოსავლეთის მუსლიმური სახელმწიფოა. არც დასავლეთი ცნობს მას თავის ნაწილად, არ იღებენ ევროპულ თანამეგობრობაში ორი მიზეზი პრეზიდენტ ოზალის სიტყვით „ისაა, რომ ჩვენ მუსლიმები ვართ, ისინი კი ქრისტიანები, მაგრამ ისინი ამას აშკარად არ ამბობენ. სად წავიდეს თურქეთი, რომელმაც უარყო მექა და თავად უარყოფილია ბრიუსელის მიერ“? (პასუხი ტაშკენტში) [11. 27].

სსრკ-ს კრახით თურქეთს მიეცა შესაძლებლობა გახდეს ლიდერი აღორძინებული ცივილიზაციისა, რომელიც მოიცავს 7 სახელმწიფოს საბერძნეთის ნაპირებიდან ჩინეთამდე, რისკენაც ის დაუცხრომლად მიისწრაფვის.

საქართველომაც, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნებმა, თავის თავზე გამოსცადა ყველა ის გამოწვევა და სირთულე, რაც საბჭოთა კავშირის დაშლასა და ცივი ომის დასასრულს გასდევდა მკვეთრ ხაზად. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ ქვეყნად და დატოვა საბჭოთა კავშირის რიგები. იმ დროისთვის სსრკ-ს თითქმის ყველა რესპუბლიკაში დაახლოებით ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა, მსოფლიოსთვის თავბრუდამხვევი აღმოჩნდა ზესახელმწიფოს ასე ერთიანად ჩამოშლა, ძალაზე და ერთპარტიულ იერარქიაზე დამყარებული წესრიგი მოიშალა და არეულობამ და ქაოსმა მოიცვა პოსტსაბჭოთა სივრცე. ეულად დარჩენილი რუსეთი, რომელსაც შიდა არეულობების გამკლავებასთან ჰქონდა პრობლემები, მაინც ახერხებდა თავისი საგარეო მიზნებისთვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. სამხრეთი კავკასია ისტორიულად შედიოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესებში და ახლა, როდესაც ამ რეგიონის სამივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და იყო შესაძლებლობა დასავლეთს გაეძლიერებინა თავისი გავლენები და ფეხი მოეკიდა რეგიონში, რუსეთი ცდილობდა არ დაეშვა შესაძლებლობა და კასპიის ზღვის აუზის კონტროლი არ დაეკარგა, იქიდან მომავალი ენერგორესურსებისა და შავ ზღვაზე გასასვლელი კორიდორის გასწვრივ. სწორედ ამ მიზნებისთვის მიმართა რუსეთმა ნაცად ხერხს, ბიძგი მისცა საქართველოში შიდა არეულობასა და ეთნიკურ დაპირისპირებას, წამოიწყო ლოკალური კონფლიქტები და კონფლიქტებისა და სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების ოკუპაციის ფასად შექმნა ეგრეთწოდებული „არაღიარებული სახელმწიფოები“, ჩვენს შემთხვევაში აფხაზეთსა და ცხინვლის რეგიონში, რითაც დაიტოვა საცეცები რეგიონში და თავისი პოლიტიკური შეხედულებებისამებრ ახდენს რეგიონში სიტუაციის დაძაბვას ან „დამშვიდებას“. თითქმის ანალოგიური პოლიტიკა გაატარა აზერბაიჯანსა და სომხეთში და ყარაბაღის კონფლიქტით დღესაც მანიპულირებს რეგიონში.

სამხრეთ კავკასიისგან განსხვავებით, წარმატებით დაუსხლტნენ ამ კლანჭებს ვარშავის პაქტის ქვეყნები, დასავლეთ ევროპის დახმარებითა და წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ხარჯზე შეძლეს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ თავის შეფარება. სამხრეთ კავკასიაში პრაქტიკულად პოლიტიკური ელიტის კრიზისს ჰქონდა ადგილი, „ელიტებს ჰქონდათ შესაძლებლობა რკინის ფარდის დაშვების შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად გაცნობოდნენ ფარდის მიღმა მდებარე განვითარებული სამყაროს მიღწევებს და მოეხდინათ მათი ექსპორტი საქართველოში.“ ეს ისტორიული-პოლიტიკური რაკურსი ნათლად აქვს აღწერილი მიხეილ სარჯველაძეს თავის სტატიაში [12].

მძიმე პოსტსაბჭოთა პერიოდის მიუხედავად, საქართველოს მეზობელი თურქეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან, ამის ერთ-ერთი ფაქტორი ისიც არის, რომ საქართველო-თურქეთის საზღვრის მონაკვეთი საბჭოთა კავშირის დროს წარმოადგენდა საზღვარს ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის, საზღვრის დემარკაცია აღიარებული იყო საერთშორისო დონეზე. სსრკ-ს დაშლის შემდეგ თურქეთისთვის საქართველოს ბაზარი გაიხსნა და ორივე ქვეყნის ინტერესებში იყო მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის განვითრება. თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა გახდა, ის ყოველთვის ხაზგასმით გამოხატავს თავის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. საერთაშორისო არენაზე თურქეთი ყოველთვის აფიქსირებს თავის აზრს, რომ საქართველო უნდა იყოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო და მოუწოდებს ალიანსის წევრებს დროულად მოხდეს ამ გადაწყვეტილების მიღება. თურქეთი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს თავდაცვის სფეროში [3. 605].

შესაბამისად, საქართველოს ინტერესებში შედის მის გვერდით ძლიერი და სტაბილური თურქეთის არსებობა. ნატოს წევრი სახელმწიფოს მეზობლად ყოფნამ დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის განვითარებასა და ევროატლანტიკური ინსტიტუტებისკენ მიმავალ გზაზე გადადგმულ ნაბიჯებში. თურქული კაპიტალის შემოდინებამ მაღალ საფეხურზე აიყვანა ქვეყნის ეკონომიკა და გახსნა გზა ქართული წარმოების ევროპაში ექსპორტისთვის.

მიუხედავად 1990 წლების სირთულეებისა და რუსეთიდან ინსპირირებული კონფლიქტებისა, საქართველომ მოახერხა და დაიმკვიდრა თავისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში, რაც დიდწილად განპირობებულია ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და სახელმწიფოს მხრიდან ამ უპირატესობის საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭებით, რაც კასპიის ზღის აუზის ენერგორესურსების აღმოსავლეთიდან დასავლეთით ინფრასტრუქტურული კორიდორის მოწყობასა და ამ რესურსების გატარებას გულისხმობს ისეთი ქვეყნების გვერდის ავლით, როგორებიცაა რუსეთი და ირანი. ამ წამოწყებას საფუძველი 1998 წლის სტამბულის სამიტზე ჩაეყარა, სადაც თურქეთის, აზერბაიჯანის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყაზახეთის პრეზიდენტებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტიც მონაწილეობდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს მხარდაჭერა და ამას მალევე მოყვა აღმოსავლეთ-დასავლეთის ორი ძირითადი პროექტის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ენერგომატარებლების მშენებლობა. ქართული დიპლომატიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გარდა რეგიონული მნიშვნელობისა, ქვეყანამ პარტნიორებთან ერთად პოლიტიკურად და ეკონომიკურად მომგებიანი გარიგებები განახორციელა. ამ პროექტების განხორციელებით აზერბაიჯანმა შეძლო თავისი ენერგორესურსების საერთაშორისო ბაზარზე ირანისა და რუსეთის გვერდის ავლით გაეტანა, თურქეთმა მოირგო საერთაშორისო ბაზრების ენერგორესურსებით მომარაგების როლი და თვითონაც გახდა დამატებითი სარგებელის მიმღები ქვეყანა, ხოლო საქართველომ დაიმკვიდრა თავი, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყანამ საერთაშორისო ბაზარზე [13].

დღევანდელ რეალობაში მსოფლიო წესრიგი ურთულესი გამოწვევების წინაშე იმყოფება, მსოფლიო დიდი ყურადღებით აკვირდება უკრაინის გარშემო მიმდინარე მოვლენებს და რამდენადაც ტრაგიკული არ უნდა იყოს, მსოფლიო თანამეგობრობა ერთი კაცის გადაწყვეტილებას (ვ. პუტინი) ელოდება. რა თქმა უნდა, ამ პროცესში ჩართული არიან ისეთი ძლიერი სახელმწიფოები როგორებიცაა: აშშ, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა მრავალი ქვეყანა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა პუტინისგან ელოდება. თუ მოკლე ანალიზს გავაკეთებთ, 2008 წლიდან დღემდე, ვნახავთ, რომ რუსეთი დასავლეთთან შედარებით ბევრად მომგებიან პოზიციაშია, ბელორუსია აშკარა მოკავშირედ გაიხადა, შექმნა ბუფერული ზონები დონბასსა და ლუგანსკში, გააძლიერა სამხედრო ძალები და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს მკაცრად სთხოვს უარი თქვას ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაზე აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში ახალი რეალობა შექმნა ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, სადაც დააყენა რუსული სამხედრო ბაზები, ასევე შექმნა ახალი სავაჭრო გზების პერსპექტივები რუსეთიდან აზერბაიჯანსა და სომხეთში, ხოლო სომხეთიდან ნახჩევანში, რაც შესაძლებელს ხდის ირანი პირდა-

პირ დაუკავშირდეს რუსეთს სახმელეთო (სარკინიგზო) გზით. რუსეთს, ასევე, აქვს შორს მიმავალი გეგმები საქართველოს გავლით ალტერნატიულ სარკინიგზო მონაკვეთზე, თუმცა, აფხაზეთის მონაკვეთი, რომელიც ოკუპირებული აქვს, საქართველოსთან მიმართებაში დაბრკოლებას წარმოადგენს [14].

VEPKHVIA CHALABASHVILI

THE END OF THE COLD WAR AND THE THEORY OF THE NEW WORLD ORDER

Those theories of international relations are selected for research, in the prism of which the relations of states are conducted in the international arena, in particular, foreign policy is carried out in the vacuum of state morals and law (Machiavelli). The Kantian or universal vision implies that in the field of international relations there are moral imperatives that limit the actions of states. Grotius, i.e. internationalist tradition, describes international politics in the aspect of the society of states, i.e. international society. According to Hobbes, sovereigns and states are the main reality of international politics, and the direct members of international societies are states, not individual people. According to Grotius' view, international activity is not war between states and sharp horizontal conflict of borders, but trade, or more generally, economic and public relations of one country with another. In this context, the end of the Cold War and the paradigms of the formation of the new world order are explained. Turkey, which was a camp of the West during the Cold War, is trying to establish its place in the establishment of the new world order, and thanks to this, it has created a healthy economy, a strong and well-armed military force, and an organized industry and agriculture. Turkey actively supports and provides significant assistance to Georgia in the field of defense.

Keywords: *international relations, world order, world politics, foreign policy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბული ჰ., „არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში“, საერთაშორისო ურთიერთობების ქრესტომათია, თბ., 2004.
2. რონდელი ა., „საერთაშორისო ურთიერთობები, მესამე განახლებული გამოცემა“. გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2006.
3. გაჩეჩილაძე რ., „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“,თბ., 2013.
4. H. Bull, The Anarchical Society, 1977.
5. რონდელი ა., „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა. გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2006.
6. კისინჯერი ჰ., „მსოფლიო წესრიგი“, თბ., 2020..
7. ჩემპილი ერნსტ-ოტო, „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“, თბ., 2003.
8. რაზმაძე ა., „ერთპოლუსიანობიდან მრავალპოლარულ მსოფლიო სისტემამდე“, intermedia.ge, 28.01.2015, https://intermedia.ge/
9. Seth G. Jones, “The new weapons of war: Disinformation, Economic Coercion, and Online Disruption”, lithub.com, 28.09.2021, https://lithub.com/the-new-weapons-of-war-disinformation-economic-coercion-and-online-disruption/
10. დავითოღლუ ა, „პოლიტიკური სიღრმე“, თბ., 2001.
11. ერანოსიანი ვ., „Дымовая завеса экспансии“, Военно-Промышленный Курьер, 25.01.2022, https://vpk-news.ru/articles/65511
12. ჰანთიგტონი ს., „ცივილიზაციათა შეჯახება“, თბ., 1997.
13. სარჯველაძე მ., „პოლიტიკური კულტურის კრიზისი საქართველოში“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), 04.11.2016. https://gip.ge/ka/
14. გოჩიტაშვილი თ., „TANAP-ის ამოქმედების შედეგად საქართველო საერთაშორისო მასშტაბის მოთამაშედ ჩამოყალიბდა“, საქართველოსა და ნავთობის კორპორაცია, 11 დეკემბერი, 2019.
15. ავდალიანი ე., „ახალი გეოპოლიტიკური რეალიები სამხრეთ კავკასიაში“, https://geocase.ge06.04.2021

✍ მიხეილ ჩოხელი
*წარმოადგინა პროფ. **ედიშერ გვენეტაძემ***

გერმანიის გაერთიანების გეოპოლიტიკური შედეგები

გერმანიის გაერთიანების მთავარი შედეგი იყო ევროპაში ფუნდამენტური გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება. ერთი მხრივ, გაიზარდა რუსეთის მოძრაობა მის ეთნიკურ საზღვრებში, სსრკ-ს დაშლა და მეორე მხრივ, გფრდ-ის „მოულოდნელი“ გაძლიერება, რომელმაც გააფართოვა მისი საზღვრები. მისმა ადამიანურმა და ეკონომიკურმა პოტენციალმა და, როგორც სრულად სუვერენულმა სახელმწიფომ, გამოაცხადა თავისი პრეტენზია მონაწილეობა მიიღოს გლობალური პრობლემების მოგვარებაში. გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებამ გამოიწვია სტრატეგიული კონცეფციების გადახედვა. სახელდობრ:

1. იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების უარყოფა, მათ შორის ოთხი სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების გადაცემა ბერლინისა და მთლიანად გერმანიისთვის, მას შესაძლებლობას აძლევდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებს სრული ხაზის უარყოფას რაიმე ხელშეკრულების გარეშე.

2. ვარშავის პაქტის დაშლამ სსრკ-ს დააკარგვინა მოკავშირეები ევროპაში, ხოლო ჯარების გამოყვანამ ცენტრალური ევროპიდან შექმნა სულ სხვანაირი სტრატეგიული სივრცე სხვა სახელმწიფოებისადმი, მათ შორის გერმანიისათვის;

3. საკავშირო რესპუბლიკებში წარმოქმნილმა ცენტრიდანულმა ტენდენციებმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა სსრკ-დან და ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის დაშლა;

4. რუსეთის სტრატეგიული პოზიციის კარდინალური ცვლილება ნიშნავდა ომის პოტენციურ თეატრში გადასვლას ნატოს ყოფილი საზღვრებიდან 800 კმ-ში მოახლოებას;

5. რუსეთის სამხედრო პოტენციალის შემცირებამ პრაქტიკულად ცალმხრივი განიარაღების შედეგად, საშუალო რადიუსის რაკეტების, ტანკების, თვითმფრინავების და წყალქვეშა ნავების უზარმაზარი მასის აღმოფხვრა ახალი ტექნოლოგიების ადეკვატური კომპენსაციის გარეშე, შეცვალა ძალთა ბალანსი მსოფლიოში.

6. ტერიტორიის გაფართოებამ და გფრგ-ის ეკონომიკური პოტენციალის ზრდამ მას საფუძველი მისცა გლობალური ხასიათის პრეტენზიების გამოტანისთვის, როგორიცაა გაეროს წესდების გადახედვა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება, მსოფლიო პოლიტიკის პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა. და შეიარაღებული ძალების გამოყენებაც კი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

საკვანძო სიტყვები: *გერმანია, რუსეთი, საბჭოთა კავშირი, გაერო, მოლაპარაკებები.*

გერმანიის გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით 1990 წლის 10 თებერვალს მოსკოვში გაიმართა სკკპ გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვის შეხვედრა ჰ. კოლთან. ასეთი ცვლილება საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ არა მ. გორბაჩოვის გარემოცვისთვის.

შეხვედრა შუადღისას დაიწყო და ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველში, რომელიც გაიმართა ერთი-ერთზე ფორმატში, გერმანიის მხრიდან მიიღო მონაწილეობა. ჰ. კოლის მრჩეველმა ჰ. ტელჩიკმა, საბჭოთა მხრიდან კი გენმდივნის თანაშემწემ ა. ჩერნიაევმა, მეორეში - გერმანიის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ-დ. გენშერმა ხოლო საბჭოთა კავშირიდან ე. შევარდნაძემ. ცნობილია საუბრის ჩანაწერი, რომელიც ინახება „გორბაჩოვის ფონდში“ [1. 339-360].

ეს შეხვედრა, თუმცა არა მთლიანად, აისახა ფედერალური დეპარტამენტის სახელმწიფო მდივნის ჰ. ტელჩიკის დღიურის ჩანაწერებში, მოგვიანებით კი გენშერის მოგონებებში [2. 137-143]; [3].

რა იძლევა საფუძველს, რომ ეს მოვლენა გარდამტეხ მომენტად მივიჩნიოთ გერმანული საკითხის გადაწყვეტაში, უფრო სწორედ, გერმანიის გაერთიანების საქმეში? ეს შეხვედრა, მხა-რეებმა მიიჩნიეს ბონში 1989 წლის ივნისში

გამართული დიალოგის გაგრძელებად. მ. გორ-ბაჩოვმა გერმანიის გაერთიანებაში წამყვანი როლი გერმანიის ფედერალურ კანცლერს ჰ. კოლს გადასცა. გდრ-ში ვითარების დეტალური მოხსენების შემდეგ, საიდანაც 380 000 მოქალაქე, ძირითადად ახალგაზრდა, ერთი წლის განმავლობაში გდრ-ში გადავიდა საცხოვრებლად, ჰ. კოლმა დაასახელა ზუსტი თარიღი, როდესაც გდრ-ის, როგორც სახელმწიფოს ავტორიტეტი

„დაინგრა“ ეს იყო 20 იანვარი. მ. გორბაჩოვმა აქ განაცხადა: „შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირს, გდრ-ს და გფრ-ს შორის არ არსებობს უთანხმოება გერმანელი ერის ერთიანობის საკითხზე და რომ გერმანელები თავად წყვეტენ ამ საკითხს. მოკლედ, მთავარი ამოსავალი წერტილი არის იმის გაგება, რომ თავად გერმანელებმა უნდა გააკეთონ არჩევანი. და მათ უნდა იცოდნენ ჩვენი ეს პოზიცია“ [1. 348].

ჰ. ტელჩიკი ამტკიცებს, რომ მაშინვე მიხვდა მ. გორბაჩოვის სიტყვების აზრს: „ეს არის გარღვევა! გორბაჩოვი ეთანხმება გერმანიის გაერთიანებას. ეს არის კანცლერ ჰ. კოლის ტრიუმფი. ის ისტორიაში შევა, როგორც გერმანიის ერთიანობის კანცლერი“ [2. 140].

ჰ. ტელჩიკი დარწმუნებულია, რომ კოლმა მაშინვე ვერ გაიგო მ. გორბაჩოვის სიტყვების არსი, მაგრამ როცა მას ახსნა-განმარტება მისცეს, ბუნდესკანცლერმა წარმოთქვა ისტორიული ფრაზა: „მწვანე შუქი აინთო. გერმანიის ერთიანობის მატარებელი დაიძრა ადგილიდან და წინ წავიდა!“ მართალია, დიპლომატებს და ზოგიერთ პოლიტიკოსს ესმოდათ, რომ ერთიანობამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილის გადალახვა იყო საჭირო. უპირველეს ყოვლისა კი მრავალი კვანძის გახსნა ან გაჭრა პანეევროპული და მსოფლიო მასშტაბით. ამ მანძილზე ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების სერიოზული გარანტიების მიღება და იმ ზარალის ანაზღაურება, რაც ქვეყანამ განიცადა „პერესტროიკის“ არქიტექტორების მიერ ნაჩქარევი დათმობების შედეგად. მთავარ პრობლემად რჩებოდა გაერთიანებული გერმა ნიის მონაწილეობა ნატოს სამხედრო ბლოკში, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ომისშემდგომი მოგვარების პირობებს.

კრემლში გამართულ შეხვედრაზე კანცლერმა ჰ. კოლმა თქვა: „ჩვენ არ გვინდა ნეიტრალიტეტი. ეს იქნება ისტორიული სიბრიყვე“. ეტყობა შეერთებული შტატების ლიდერებთან შეთანხმებით, გერმანიის კანცლერმა გააცნობიერა, რომ გაერთიანებული გერმანიის მონაწილეობით ნატოში უნდა გამორიცხულიყო ამ სამხედრო ალიანსის მოქმედების გაფართოების შესაძლებლობა აღმოსავლეთის მიმართულებით, სსრკ-ს საზღვრამდე. „ჩვენ გვჯერა“, - თქვა მან, - რომ ნატომ არ უნდა გააფართოოს თავისი ფარგლები. აქ უნდა ვიპოვოთ გონივრული გადაწყვეტა. მე სწორად მესმის საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ინტერესები და ვიცი, რომ თქვენ, ბატონო გენერალურ მდივანო, და საბჭოთა ხელმძღვანელობას მოგიწევთ მკაფიოდ აუხსნათ ხალხს რა მოუვა სსრკ-ს მოსახლეობას“ [2. 345].

გერმანიის კანცლერს სწორად ესმოდა სსრკ-ს უსაფრთხოების ინტერესები და მზად იყო გაეთვალისწინებინა ისინი საბოლოო გადაწყვეტისას, მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რატომღაც უგულებელყო ეს.

შემდგომმა მოვლენებმა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლამ და ნატოს მოქმედების გაფართოებამ, გაათავისუფლა გენერალური მდივანი მოსახლეობისთვის მომხდარის ახსნის ვალდებულებისგან.

მოსკოვში ჯ. ბეიკერთან და ჰ-დ. გენშერის საუბრის შემდეგ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე გაემგზავრა ოტავაში „ღია ცის“ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ინსტრუქციების შესაბამისად, მას უნდა შეეთანხმებინა ყოფილ მოკავშირე ძალებთან გერმანიის დარეგულირების საკითხი ფორმულაზე „ოთხს პლუს ორი“. თუმცა, კანადიდან დაბრუნებისთანავე მან შესთავაზა პრესას, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი დათანხმდა „ორს პლუს ოთხი“ ფორმულას, რომელიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა გერმანულ მხარეს. უფრო სწორად, გფრ-ის დიპლომატიას მოგვარების პროცესის ორგანიზებაში. კომპეტენტური ექსპერტების შენიშვნის საპასუხოდ, რომ ინსტრუქციაში სხვა რამ იყო მითითებული, ე.ა.შევარდნაძემ თქვა რომ მინისტრმა ჰ-დ. გენშერმა მას ძალიან თხოვა, ხოლო „გენშერი კარგი კაცია“.

ფაქტობრივად ამით, საბჭოთა მინისტრმა შეასრულა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის სურვილი, როგორც ჩანს, თავისი ნაბიჯი მას შეთანხმებული ჰქონდა გენერალურ მდივანთან.

„ორს პლუს ოთხი“ ფორმულის მიღება და გერმანიის კანცლერისთვის „კარტ ბლანშის“ მინიჭება შიდაგერმანული საკითხების გადაწყვეტისას ექსკლუზიურად ფედერალური მთავ-

რობის ინტერესებში იყო, რათა თავიდანვე უარეყო სამხედრო ბლოკში მონაწილეობის არარსებობის პირობა, მტკიცედ უარეყო სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების იდეა გერმანიისთვის სამშვიდობო ხელშეკრულების შესამუშავებლად, მასში ტერიტორიული რეალობის დაფიქსირებით, ე. ი. მათი სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც იმ დროს არსებობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ რეპარაციაზე - გერმანული აგრესიით მიყენებული ზარალის კომპენსაცია. „ორს პლუს ოთხი“ ფორმულის საფუძველზე გერმანელი დიპლომატები თამამად შეუდგნენ გდრ-სთან ურთიერთობის პრობლემების მოგვარებას. ფორმალურად, ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს უფლებები და მოვალეობები კვლავ ძალაში რჩებოდა, მაგრამ სინამდვილეში გადამწყვეტი სიტყვა გერმანიის საკითხის გადაწყვეტაში გადაეცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც უპირველეს ყოვლისა გამოაცხადა, რომ გდრ-ის მთავრობა გ. მოდროვის მეთაურობით ვერ ახერხებდა და წამოიწყო „პირველი თავისუფალი“ არჩევნების ჩატარება სხვა - მეორე გერმანიის (გდრ-ის) სახელმწიფოში.

ნაჩქარევად შექმნილმა „ალიანსმა გერმანიისთვის“ 1990 წლის 18 მარტის არჩევნებში მიიღო შედარებითი უმრავლესობა და ჩამოაყალიბა გდრ-ის კოალიციური მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა „გარდამავალი პერიოდის“ პოლიტიკოსი ლოთარ დე მეზიერი. გდრ-ში მმართველი პარტიას ეწოდა „დემოკრატიული სოციალიზმის პარტია“. სწორედ ახალ მთავრობასთან შევიდნენ დასავლელ გერმანელი დიპლომატები საქმიან მოლაპარაკებებში. 1990 წლის მაისში ხელი მოეწერა მთავრობათაშორის შეთანხმებას სოციალური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის შესახებ. აგვისტოში დაიდო ხელშეკრულება გერმანიის ერთიანობის დამყარების შესახებ (ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 23-ე მუხლის მითითებით). შიდაგერმანული მორიგება ოთხი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე წინ უძღოდა და წინასწარ განსაზღვრავდა მოლაპარაკებების მსვლელობას ერთიანი გერმანიის საერთაშორისო სტატუსის დასამყარებლად. ოთხმა ძალამ ჯერ სრული სუვერენიტეტი მიანიჭა გფრ-ს, შემდეგ კი ხელშეკრულებით გააფორმა იგი.

1990 წლის 1 ივლისიდან გერმანიის მარკისშემოღებას გდრ-ის ტერიტორიაზე როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ეფექტი ჰქონდა. უძველესი დროიდან ცნობილია, რომ სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა ფულადი სისტემის რეგულირება, ამიტომ ეს მოვლენა რეალურად ნიშნავდა გდრ-ის სუვერენიტეტის დაკარგვას. ამასთან, ამ ქმედებას პირდაპირი შედეგები მოჰყვა საბჭოთა კავშირზე, რომელმაც გდრ-ის ტერიტორიაზე შეინარჩუნა დასავლეთის ძალების ჯგუფი, რომელიც შედგებოდა დაახლოებით 400 ათასი ადამიანისგან, მათ შორის იყვნენ ოფიცრების ოჯახის წევრები. საბჭოთა ოფიცრებისა და ჯარისკაცების ხელფასებს გდრ-ს ნიშნით იხდიდნენ. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლებას დიდი პრობლემა შეექმნა. რაც გამოიხატებოდა იმით, რომ სამხედრო მოსამსახურეების „შენახვის“ გადახდა გათვალისწინებული იყო გდრ-ის ვალუტაში, რაც არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტით. სსრკ-ში მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა ვერ განჭვრიტა გერმანელების გაერთიანების მთლიანად გერმანიის კანცლერის ხელში გადაცემის შესაძლო შედეგები. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მან სათანადო ინფორმირება არ გაუკეთა თავისი ქვეყნის მთავრობის მეთაურს გადადგმული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების შესახებ. თორემ როგორ შეიძლება გავიგოთ ის ფაქტი, რომ 1990 წლის აპრილიდან მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს გდრ ახლად შექმნილ მთავრობასთან არსებული შეთანხმებების შესრულებაზე? გერმანულმა მხარემ დიპლომატიურად განმარტა, რომ იგი შეასრულებდა გდრ-ს ვალდებულებებს, მაგრამ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის საფუძველზე. დოკუმენტის ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ იმ მომენტში საბჭოთა ხელისუფლებას უფრო მეტად აწუხებდა გდრ-ში გერმანული მარკის შემოღებასთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემები, ვიდრე გდრ-ის მოკავშირე სახელმწიფოს ლიკვიდაციის გრძელვადიანი სტრატეგიული შედეგები. უფრო სწორად, არ ითვალისწინებდა მის გარდაუვალ გაქრობას. მინისტრთა საბჭო იქიდან გამოდიოდა, რომ გდრ-ის საწარმოებთან თანამშრომლობა გაგრძელდებოდა. ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს, როდესაც მოსკოვში იმყოფებოდა აღმოსავლეთ გერმანიის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ლოთარ დე მეზიერის ხელმძღვანელობით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეიქმნებოდა 7 სამუშაო ჯგუფი წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად. გფრ-სა

და გდრ-ს შორის სოციალური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ბერლინში გაგზავნეს სსრკ-ს ვიცე-პრემიერი ს. სიტარიანი გდრ-სთან ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად. შედეგად, ივნისში მიღწეული იქნა შეთანხმება გდრ-ის მარკების ფულადი სახსრების (სამხედრო პერსონალის დანაზოგის) გაცვლაზე გერმანულ მარკებზე შეღავათიანი პირობებით - 1:1. თუმცა, დიდ პრობლემად დარჩა - არმიის დაფინანსება წლის მეორე ნახევარში. ამისათვის საჭირო იყო დაახლოებით 250 მილიონი ეგრეთ წოდებული გადასატანი რუბ- ლის, ანუ 1 მილიარდ 250 მილიონი გერმანული მარკის პოვნა. მშველელად დასავლეთ გერმანია გაჩნდა. მოსკოვს გერმანიის საელჩომ თავისი თანამშრომლის მეშვეობით აცნობა, რომ საჭირო თანხა გამოიყოფოდა. 29 ივნისს, იმ დღეს, როცა მინისტრთა საბჭომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ე. ობმინსკიმ ხელი მოაწერა ბერლინში გდრ-ს ხელისუფლებასთან შეთანხმებას დასავლეთის დაჯგუფების ფინანსირების შესახებ. მ. გორბაჩოვმა და ე. შევარდნაძემ კი ეს განიხილეს, როგორც გერმანიის პროცესის საკითხის მოგვარების შეფერხება. რამაც ყველა გააკვირვა.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რიჟკოვმა შემოიტანა შეთავაზება გერმანიის უშუალოდ მოგვარების პროცესთან განხილულიყო ეკონომიკური და ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. ჩანაწერში მან პირდაპირ დაწერა ამის შესახებ, მაგრამ ბოლო მომენტში გამოკვეთა ეს პუნქტი. იმისათვის, რათა გავიგოთ განსხვავებები მ. გორბაჩოვის და ნ. რიჟკოვის მიდგომები გერმანიის საკითხის გადაწყვეტისთვის, ვფიქრობთ, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, აუცილებელია ამ მონაკვეთის წარმოჩენა. ნ. რიჟკოვმა, როგორც სახელმწიფო მოხელემ, შესთავაზა საბჭოთა კავშირის ერთიანი პოზიციის შემუშავება, თავდაცვის სამინისტროს, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიდგომებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით. „ძალიან მნიშვნელოვანია, - წერს პრემიერ-მინისტრი და გამოკვეთს, - სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გერმანიის გაერთიანების სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებზე მოლაპარაკებების დროს, მათ შორის 2 + 4 ჯგუფის ფარგლებში. ერთმანეთთან უნდა დაკავშირდეს 1991 წელს გდრ-ში დასავლეთის შეიარაღებული ძალების ჯგუფის ყოფნის ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების შემდეგროინდელი პერიოდი. ასეთი ურთიერთობების არსებობა ობიექტურად და ტაქტიკურად სასარგებლოა ჩვენთვის, რაც აძლიერებს ჩვენს პოზიციებს გერმანიის გაერთიანების საკითხების მთელ სპექტრზე“ [4]; [6]; [7].

1990 წლის ივნისის ბოლოს სსრკ მინისტრთა საბჭომ სერიოზულად განიხილა გდრ-სთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები რამდენიმე მიმართულებით:

1. 1991 წ. სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, ანგარიშსწორების ახალი პირობები „მსოფლიო ფასებში“გათვალისწინებით, ვალის გადაანგარიშების კოეფიციენტი სავაჭრო ოპერაციებზე და ა. შ.;

2. ახალი სავაჭრო ხელშეკრულების მომზადება საქონლის გაცვლაში სსრკ და გდრ ინტერესთა ურთიერთგაგების გათვალისწინებით;

3. სსრკ-ის ტერიტორიაზე ერთობლივი პროექტების განხორციელება: იამბურგის გაზის მოპოვებითი სამუშაოები, გაზსადენი იამბურგი - დასავლეთ საზღვარი, კრივოი როგის სამთო-გადამამუშავებელი ქარხანა, ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა და ა.შ.;

4. გდრ-ს მიწების რეკულტივაცია ურანის მოპოვების სააქციო საზოგადოება „ვისმუთის“ სამუშაოების შეწყვეტის გამო;

5. გდრ-ის ტერიტორიაზე დასავლეთის სამხედრო ძალების ყოფნასთან დაკავშირებული ქონებრივი საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

როგორც ამ სიიდან ჩანს, საბჭოთა მთავრობა 1990 წლის შუა პერიოდში გდრ-ის ლიკვიდაციას არ ითვალისწინებდა. პირიქით, გეგმავდა ერთობლივი პროექტების განხორციელებას. მკვლევარებს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ გასაკეთებელი გერმანიის საკითხის მოგვარების პროცესის დაჩქარების მიზეზებისა და ინიციატორების იდენტიფიცირებისთვის, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალტერნატიული თვალსაზრისი გერმანიის გაერთიანებაზე მწიფდებოდა (ან უკვე მომწიფებული) ალტერნატიული აზრი გერმანიის საკითხის დარეგულირების. მ. გორბაჩოვი კი ჩქარობდა შეესრულებინა თავისი „ისტორიული მისია“ – „საუკეთესო გერმანელის“ (როგორც გერმანული მედია წერს) ტიტულისათვის.

„საბოლოო დარეგულირების“ შემუშავებისას გერმანია წამყვან როლს ასრულებდა ფორმულის „ორი პლუსი ოთხი“ მიხედვით. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ-დ. გენშერმა წარმოადგენდა თავისი ქვეყნის ინტერესებს. მან ოსტატურად გამოიყენა შესაძლებლობა. ფაქტობრივად, მოლაპარაკებები ამ საკითხზე სათანადო გაგებით არ ყოფილა.

1990 წლის 13 თებერვლის „ორს პლუს ოთხი“ ფორმულის შესახებ ოტავაში შეთანხმების თანახმად, 5 მაისს ბონში ადგილი ჰქონდა ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მრგვალ მაგიდასთან ერთდღიან შეხვედრას. სადაც, ბუნებრივია წამყვანი იყო ჰ-დ. გენშერი. 1990 წლის 17 ივლისს პარიზში გამართულ შეხვედრაზე, პირველი ვიოლინოს ისევ გფრ-ს მინისტრის ხელში იყო. მხოლოდ ერთი ცვლილებას ჰქონდა ადგილი, სახელდობრ, როგორც ჩანს, აქ საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, მიიწვიეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ფაქტობრივად, ასეთ შეხვედრებზე გფრ-ს სურვილები იყო გათვალისწინებული და დრო იყო უკვე მათ ქაღალდზე გადასატანად. გერმანული დიპლომატია ჩქარობდა ხელშეკრულების ხელმოწერას და მათთან ერთად რატომღაც ე. შევარდნაძე და მ. გორბაჩოვი. პროცესის მონაწილეებმა არ მიიჩნიეს საჭიროდ შეხვედრების გამართვა ლონდონსა და ნიუ-იორკში. მოსკოვი სიამოვნებით დათანხმდა ექვსი სახელმწიფოს დელეგაციის დაუყოვნებლივ მოწვევას, რათა ხელი მოეწერათ ძირითად ხელშეკრულებაზე, არ დაეცადათ „დიდი ხელშეკრულებისათვის“ შემუშავებისათვის სსრკ-სა და გფრ-ს შორის და სხვა ორმხრივი შეთანხმებებისათვის, რომლებიც, რა თქმა უნდა, დიპლომატიის ყველა წესის მიხედვით, უნდა გაფორმებულიყო, ერთ პაკეტად თუ არა, ერთდროულად მაინც.

1990 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში სასტუმრო „ოქტიაბრსკაიაში“, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა სასტუმრო „პრეზიდენტი“. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასთან დაკავშირებით საბოლოო მოგვარების შესახებ. მას მოაწერეს ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა (გფრ-ს და გდრ-ს, დიდი ბრიტა- ნეთი და საფრანგეთი, სსრკ და აშშ).

ამ ისტორიული დოკუმენტის პრეზენტაციითა და ანალიზით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მის ზოგიერთ გადაწყვეტილებას აქვს არა მხოლოდ მყისიერი, არამედ შორეული, შორს მიმავალი შედეგები მსოფლიოსათვის.

გერმანიის საკითხთან ხელშეკრულების პირდაპირი შედეგები დაკავშირებით გადაწყვეტილებები იყო: იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებისა და შეთანხმებების ლიკვიდაცია, მათ შორის ოთხი სახელმწიფოს უფლებები და პასუხისმგებლობა ბერლინისა და მთლიანად გერმანიის სტატუსზე (სრულფასოვანი სამშვიდობო ხელშეკრულების დადების გარეშე); საბჭოთა ჯარების გაყვანა გერმანიის ტერიტორიიდან 1994 წლის ბოლომდე, შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების ჯარების შენარჩუნებით. გაერთიანებულ გერმანიას დაუწესდა გარკვეული სამხედრო შეზღუდვები, მათ შორის ABC კლასის იარაღზე უარის თქმა, შეიარაღებული ძალების მოცულობის შემცირება და ა. შ. ამ ხელშეკრულების თავისებურება, როგორც მოსკოვში სამეცნიერო კონფერენციაზე აღინიშნა გდრ-ის ბოლო პრემიერ მინისტრი ლ. დე მეზერმა იმაში მდგომარეობდა, რომ მას პირველად და უკანასკნელად მოაწერეს ხელი გერმანიის ორმა სახელმწიფომ - გდრ დაგფრ.

ისმის კითხვა: რატომ არ შედიოდა ხელშეკრულებაში გფრ-ისა და აშშ-ის (ისინი მზად იყვნენ ეს საკუთარ თავზე აეღოთ) ვალდებულება არ გაეფართოებინათ ნატოს მოქმედების სფერო აღმოსავლეთით „არც ერთი დიუმით?“ ხელშეკრულების მე-6 მუხლში მოკლედ (სამ სტრიქონში) ნათქვამია: „ერთიანი გერმანიის უფლებაა მონაწილეობა მიიღოს კავშირებში. ყველა უფლება და მოვალეობა, რომელიც გამომდინარეობს აქედან, არ იზღუდება ამ ხელშეკრულებით“ [5. 11-17; 6].

ამერიკულ ჟურნალისტიკაში და თუნდაც დიპლომატიურ პრაქტიკაში, მოლაპარაკებები ხშირად განიხილება, როგორც ჭადრაკის ან კარტის თამაში. 1990 წლის დასაწყისში ჯ. ბეიკერმა გერმანიის წარმომადგენლებს აცნობა, რომ რუსებმა დაიწყეს თამაში, რომლის ფინალურ ეტაპზე ისინი დანებდებოდნენ. როგორც ჩანს, მას ასეთი პროგნოზის საფუძველი ჰქონდა.

მას შემდეგ რაც მ. გორბაჩოვმა, რაც რამდენჯერმე განაცხადა გერმანიის სამხედრო ბლოკებში გაწევრიანების მიუღებლობის შესახებ. აბსოლუტურად გაუგებარი გახდა მის მიერ პოზიციების უცბად დათმობა. 1990 წლის მაისის ბოლოს საბჭოთა კავშირის დიდი დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენე-

რალური მდივნის მეთაურობით ვაშინგტონში გაფრინდა ოფიციალური მოლაპარაკებებისთვის, რომლის დროსაც ჯერ კიდევ არ იყო დაგვიანებული საკითხის დაყენება მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკების დაშლის ან კიდევ უკიდურეს შემთხვევაში გაერთიანებული ტერიტორიიდან ყველა უცხოური ჯარის გაყვანაზე. მანამდე ჯერ კიდევ განიხილებოდა საბჭოთა მხარის წინადადება გერმანული სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ ერთდროულად ორ ბლოკში - ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. დასავლელმა პარტნიორებმა გორბაჩოვის და ე. შევარდნაძის ეს წინადადება შეაფასეს, როგორც „აბსურდი“ (ჯ. ბუში) და „შიზოფრენული“ (ჯ. ბეიკერი).

მაისის ბოლოს - ივნისის დასაწყისში, მ. გორბაჩოვმა დააფიქსირა ოფიციალური პოზიცია მოწინააღმდეგე ბლოკში ერთიანი გერმანიის მონაწილეობის მიუღებლობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი, ფინჯან ყავაზე თეთრ სახლში, პრეზიდენტის ოვალურ კაბინეტში, ყველა დამსწრესთვის მოულოდნელად, თქვა, რომ თუგერმანელებს უნდათ ნატოში ყოფნა და ასე იყოს. გაოგნებულმა ჯორჯ ბუშმა ორჯერ სთხოვა მ. გორბაჩოვს გაიმეოროს ის, რაც ახლა თქვა, ვინაიდან ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამის შესახებ ამერიკის პრეზიდენტმა მაშინვე აცნობა ფედერალურ კანცლერს, რომელმაც მაშინვე გამოთქვა სურვილი სწვეოდა მ. გორბაჩოვს მის სამშობლოში სტავროპოლის მახლობლად. გერმანელი პუბლიცისტები მიიჩნევენ, რომ მ. გორბაჩოვის და ჰ. კოლის შეხვედრა 1990 წლის ზაფხულში დაბა არხიზში იყო ისტორიული მოვლენა და გერმანული დიპლომატიის გამარჯვება.

უფრო სწორად, ეს იყო აშშ-ის დიპლომატიის და პირადად ჯორჯ ბუშის წარმატება, რომელმაც ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგა გერმანიის გაერთიანებამდე ექვსი წლით ადრე.

ფედერალური კანცლერის თვალში, ეს იყო მისი ტრიუმფი იალტასა და პოტსდამთან შედარებით, რადგან გასროლის გარეშე, ექსკლუზიურად მშვიდობიანი საშუალებებით, ერთი პფენიგის წინასწარი გადახდის გარეშე, მან გაათავისუფლა გფრ მეორე მსოფლიო მძიმე მემკვიდრეობისგან.

არხიზში განიხილეს ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, რომელიც ორ თვეში სასწრაფოდ შედგა და ამ დოკუმენტში არა მხოლოდ უახლოესი მეზობლის - საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის, არამედ

„რკინის ქალბატონის“ მარგარიტ ტეტჩერის ინტერესებიც მეორე პლანზე იქნა წარმოჩენილი. მ. გორბაჩოვმა საერთო ენა გამონახა ჰ. კოლთან. ერთი სიტყვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის წარმატება, რომელიც სტალინმა მიაღწია მეორე მსოფლიო ომში, გორბაჩოვმა ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა.

რა არის მისი რეალური შედეგები? მედიაში მიკერძოებული პუბლიცისტები მარტივ პასუხს იძლევიან: რუსეთმა მოიგო გერმანიის გაერთიანებით, „ცივი ომის“ დასრულებით და მისი არმია გაიყვანა არა მხოლოდ გდრ-დან, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. გერმანიის გაერთიანება გარდაუვალი იყო და მოულოდნელად მოხდა „ყველასთვის“. როგორც ფაქტებიდან და დოკუმენტებიდან ჩანს, შეერთებული შტატებისა და გერმანიის ლიდერებმა გულდასმით მოამზადეს „ბოროტების იმპერიის“ ლიკვიდაცია დაგდრ-ის სხვა გერმანული სახელმწიფოს შთანთქმა. მათთვის ეს ღონისძიება შორსმიმავალი გეგმის ნაწილი იყო და არავითარ შემთხვევაში არ იყო მოულოდნელი.

მეცნიერული თვალსაზრისით, გერმანიის გაერთიანება ისტორიული აუცილებლობა იყო. თუმცა, განხორციელების ტემპი და რაც მთავარია, ამ მოვლენის გეოპოლიტიკური შედეგები სულაც არ იყო ფატალურად წინასწარ განსაზღვრული. ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებდა საბჭოთა კავშირი. რეალურად, დიდი ძალაუფლების სათავეში აღმოჩდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ იცავდნენ მის სახელმწიფო ინტერესებს.

გერმანიის გაერთიანების მთავარი შედეგი იყო ევროპაში ფუნდამენტური გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილება. ერთი მხრივ, რუსეთის გადაადგილება მის ეთნიკურ საზღვრებში, სსრკ-ს დაშლა და მეორე მხრივ, გფრ-ის „მოულოდნელი“ გაძლიერება, რომელმაც გააფართოვა მისი საზღვრები, გაიზარდა. მის ადამიანური და ეკონომიკური პოტენციალი და, როგორც სრულად სუვერენულმა სახელმწიფომ, განაცხადა თავისი პრეტენზია მონაწილეობამიიღოს გლობალური პრობლემების მოგვარებაში. გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებამ გამოიწვია სტრატეგიული კონცეფციების გადახედვა. დასავლურმა ძალებმა ისარგებლეს ახალი პირობებით და გააფართოვეს

არა მხოლოდ მისი გავლენის, არამედ ნატოს მოქმედებისსფეროც.

ათი წლის განმავლობაში, 1999 წლიდან 2009 წლამდე, ამ სამხედრო ბლოკში აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 12 სახელმწიფო იქნა მიღებული. ამ რიგში პირველები იყვნენ: ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საზღვრები გაფართოვდა და 800 კმ-ით კმ-ით სსრკ-ს ისტორიულ საზღვრებს. ნატოს ჯარები შეიძლება განლაგდნენ ბრესტის ციხესიმაგრის მოპირდაპირედ მდინარე ბუგთან, სადაც 1941 წელს იყო კონცენტრირებული ნაცისტების არმია. „ფრონტის ხაზის“ გასასწორებლად საჭირო იყო „წითელი ხაზის“ (სსრკ ისტორიული საზღვარი) გადალახვა. და ნატოს სტრატეგებმა თამამად გადალახეს ეს ხაზი, მათ შორის 2004 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების - ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის გავლენისა და სარდლობის სფეროში. იმავე წელს ნატოში გაწევრიანება სთხოვეს არა მხოლოდ დუნაის ხეობის რუმინეთსა და ბულგარეთის მცველებს, არამედ სლოვაკეთსა და სლოვენიას და კიდევაც მიიღეს. 2009 წელს ალბანეთისა და ხორვატიის საზეიმო დაშვებით ალიანსის წევრთა საერთო რაოდენობამ 28-ს მიაღწია. და ეს ყველაფერი მოხდა ნატოს აღმოსავლეთისკენ არ გაფართოების დაპირების შემდეგ. ამერიკელ დიპლომატებს უნდა ეღიარებინათ: „ჩვენ მოვატყუეთ რუსები“ [7].

მართალია, პოლიტკორექტულობის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ურჩიეს სხვა სიტყვის გამოყენება, მაგრამ მოტყუება დარჩება მოტყუებად, რაც არ უნდა უწოდონ.

2008 წლის სექტემბერში გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ფონ ვაიცზეკეერი მოსკოვში ჩავიდა. მან გერმანიის ისტორიის ინსტიტუტში ისაუბრა ფართო საჯარო შეხვედრაზე. მოხსენების კომენტატორად მოწვეული იყო მ. გორბაჩოვი. სსრკ-ს ყოფილ პრეზიდენტს დაუსვეს შეკითხვა: „რამ შეგიშალათ ხელი, პროფესიით იურისტს, გერმანიის მიმართ საბოლოო მოგვარების ხელშეკრულებაში მოგეთხოვათ, რომ ჩაეწერათ დასავლური ძალების ვალდებულება. ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომ ნატოს მოქმედების სფერო აღმოსავლეთში არ გადაეტანა?“ პასუხი ასეთი იყო: „ბოლოს და ბოლოს, ვარშავის ბლოკი ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა და დასავლეთის უმაღლესი წარმომადგენლების სიტყვაზე ნდობა შეიძლებოდა“. შემდეგ იყო კიდევ ერთი კითხვა: დასავლელმა პოლიტიკოსებმა თავიანთი წინადადების წარმოდგენისას არ იცოდნენ, რომ ვარშავის პაქტი არსებობდა? და ვინ გასცა ბრძანება ვარშავის ორგანიზაციის დაშლის? პასუხი დუმილი.

გერმანიის ნაჩქარევი გაერთიანების შედეგები, იყო ვარშავის თავდაცვის ორგანიზაციის დაშლა, სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ორმხრივად მომგებიანი ხელშეკრულებების მთელი სისტემის გაუქმება, შეზღუდვა. ეკონომიკური კავშირების, სამზარეულოს ჭურჭლის წარმოებიდან ატომური ელექტროსადგურების ექსპლუატაციამდე, კულტურული კავშირების გაწყვეტა. საბჭოთა ჯარების გაყვანამ გააქტიურა ცენტრიდანული ტენდენციები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათში სსრკ-დან გამოყოფისკენ მოძრაობების გააქტიურება მიიღო დიპლომატიური მხარდაჭერა გფრ-ისგან. გერმანიის მთავრობა იყო პირველი, ვინც გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარება, შემდეგ კი რუსეთის ფედერაცია სსრკ-ს „მემკვიდრედ“ აღიარა.

იმავდროულად, ორი გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანების შედეგად გაიზარდა გფრ-ს სამხედრო პოტენციალი, მათ შორის გდრ-ს არმიის შეიარაღებით. საბჭოთა წარმოების იარაღი, რომელიც ერთ დროს შეღავათიანი პირობებით იყო მიწოდებული, ბუნდესვერის გენერლების ხელში აღმოჩნდა. „ნადავლს“ შეადგენდა იარაღის ძალიან მნიშვნელოვანი არსენალი: 2300 ტანკი, 9000 ჯავშანტექნიკა, 5000 საარტილერიო ცალი, 700 საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი და ვერტმფრენი, მათ შორის რამდენიმე უახლესი MIG-29 მანქანა, დაახლოებით 200 სამდინარო და საზღვაო ხომალდი, 85,000 სატვირთო და მისამბმელიანი ტრანსპორტი და ბოლოს, 295,000 ტონა საბრძოლო მასალა და 4,500 ტონა სარაკეტო საწვავი და, რაც მთავარია, 1 200 000 მცირე ზომის იარაღი [8].

საერთო ჯამში ეს იარაღი შეფასდა 90 მლრდ მარკად. ამას უნდა დაემატოს სამხედრო გარნიზონების ქონების ღირებულება, რომელიც საბჭოთა კავშირის წასვლის შემდეგ დარჩა. იარაღის ნაწილი, რომელიც გერმანიის მთავრობამ უბრალოდ გადაიტანა სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ალბათ, ცხელ წერტილებში. ამას უნდა დაემატოს, რომ სავაჭრო ბალანსზე თანამშრომლობის წლების განმავლობაში დაგრო-

ვილი სსრკ-ის ვალები გდრ-ს წინაშე, რუსეთს უნდა გადაეხადა. სახელმწიფოებრივი მიდგომაავალდებულებდა ლიდერებს საბოლოო მოგვარების მოლაპარაკებების დროს ხელში დაეჭირათ წითელი ფანქარი და გადაეხაზათ „ყოფილი მტერი სახელმწიფოს“ გადაჭარბებული მოთხოვნები.

საბჭოთა კავშირის ყოფილი ხელმძღვანელი მ. გორბაჩოვი დიდად აფასებდა გერმანიის საკითხის გადაწყვეტაში საკუთარ საქმიანობას:

„მჯერა, რომ ეს კვანძი იდეალურად გავხსენით“[9. 14].

გერმანული მხარისთვის ეს გამოსავალი, მართლაც, შეიძლება, იდეალურად ჩანდეს (თუმცა ყველა გერმანელი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს). გერმანიის ზოგიერთ მასმედიაში მ.. გორბაჩოვს მიენიჭა „წლის საუკეთესო გერმანელის“ წოდება. უნდა ვაღიაროთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები დამაშინაც კი, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გამოკლებით, აღფრთოვანებული იყვნენ გერმანიის პრობლემის გადაჭრის მეთოდებითა და ტემპებით. შემთხვევითი არ არის, რომ მათიინიციატივით გახდა მ. გორბაჩოვს ნობელის პრემიის ლაურეატი. გერმანიის მთავრობამ მიიჩნია, რომ ე. შევარდნაძე იმსახურებდა ი. კანტის პრემიას. მაგრამ რა მიიღეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებმაც ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადეს მეორე მსოფლიო ომში? ევროპაში სტრატეგიული ცვლილებები, რომელთაც ტექტონიკური მასშტაბები ჰქონდა.

სახელდობრ:

1. იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების უარყოფა, მათ შორის ოთხი სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების გადაცემა ბერლინისა და მთლიანად გერმანიისთვის, მას შესაძლებლობას აძლევდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებს სრული ხაზის უარყოფას რაიმე ხელშეკრულების გარეშე;

2. ვარშავის პაქტის დაშლამ სსრკ-ს დაუკარგვინა მოკავშირეები ევროპაში, ხოლო ჯარების გამოყვანამ ცენტრალური ევროპიდან შექმნა სულ სხვანაირი სტრატეგიული სივრცე სხვა სახელმწიფოებისადმი, მათ შორის გერმანიისათვის;

3. საკავშირო რესპუბლიკებში წარმოქმნილმა ცენტრიდანულმა ტენდენციებმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა სსრკ-დან და ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის დაშლა;

4. რუსეთის სტრატეგიული პოზიციის კარდინალური ცვლილება ნიშნავდა ომის პოტენციურ თეატრში გადასვლას ნატოს ყოფილი საზღვრებიდან 800 კმ-ში მოახლოებას;

5. რუსეთის სამხედრო პოტენციალის შემცირებამ პრაქტიკულად ცალმხრივი განიარაღების შედეგად, საშუალო რადიუსის რაკეტების, ტანკების, თვითმფრინავების და წყალქვეშა ნავების უზარმაზარი მასის აღმოფხვრა ახალი ტექნოლოგიების ადეკვატური კომპენსაციის გარეშე, შეცვალა ძალთა ბალანსი მსოფლიოში.

6. ტერიტორიის გაფართოებამ და გფრგის ეკონომიკური პოტენციალის ზრდამ მას საფუძველი მისცა გლობალური ხასიათის პრეტენზიების გამოტანისთვის, როგორიცაა გაეროს წესდების გადახედვა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება, მსოფლიო პოლიტიკის პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა. და შეიარაღებული ძალების გამოყენებაც კი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

ყველა ეს ცვლილება, ჩვენი აზრით, შედეგია მ. გორბაჩოვის და მის თანამოაზრეთა დიპლომატიური მოღვაწეობის, უდავოა მათ არ აქვთ სერიოზული საფუძველი, უწოდონ ამას წარმატება და, მით უმეტეს, პრობლემის „იდეალური“ გადაწყვეტა.

MIKHEIL CHOKHELI

GEOPOLITICAL CONSEQUENCES OF GERMAN UNIFICATION

Summary

The main result of German reunification was a change in the fundamental geopolitical situation in Europe. On the one hand, the movement of Russia in its ethnic borders, the collapse of the USSR, and on the other hand, the "unexpected" strengthening of the FRG, which expanded its borders, increased. Its human and economic potential and, as a fully sovereign state, declared its claim to

participate in solving global problems. The change in the geopolitical situation led to a review of strategic concepts.

Strategic changes in Europe that had a tectonic scale.

Namely:

1. The rejection of the Yalta and Potsdam agreements and negotiations, including the transfer of the rights and duties of the four powers to Berlin and Germany as a whole, gave Germany the opportunity to reject the full line of the results of the Second World War without any treaty.

2. The collapse of the Warsaw Pact made the USSR lose its allies in Europe, and the withdrawal of troops from Central Europe created a completely different strategic space for other states, including Germany;

3. The centripetal tendencies emerging in the Union republics led to the disintegration of the Soviet Union from the USSR and the disintegration of the unified political and economic space;

4. The cardinal change of Russia's strategic position meant the transition to the potential theater of war, approaching 800 km from the former borders of NATO;

5. The reduction of Russia's military potential as a result of virtually unilateral disarmament, the elimination of a huge mass of medium-range missiles, tanks, aircraft and submarines without adequate compensation for new technologies, has changed the balance of power in the world.

6. The expansion of the territory and the growth of the economic potential of the GFR gave it a reason to make claims of a global nature, such as the revision of the UN Charter, obtaining the status of a permanent member of the UN Security Council, participation in solving world political problems. and even the use of armed forces outside national territory.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Михаил Горбачев и германский вопрос: Сборник документов. 1986-1991 / Предисл. и сост. А. Галкин, А. Черняев. М., 2006
2. *Teltschik H*. 329 Tage. Berlin, 1991.
3. *Genscher H.D*. Erinnerungen. München, 1997.
4. Российский Центр хранения современной документации (ЦХСД). Ф. 89. Оп. 8. Д. 77.
5. Германо-советские договоры. Бонн, б.г
6. *Плато Александр фон*. Объединение Германии — борьба за Европу. М., 2007
7. Независимая газета. 22.01.1997.
8. Weissbuch der Bundesregierung. 1994
9. Deutschland. 1996. № 5

ნინო კობახიძე

*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

ბირთვული ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება ბირთვული უსაფრთხოების პრობლემის წინაშე დადგა ბირთვული ტექნოლოგიების განვითარების პერიოდიდან, რაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, თანდათან გაიზარდა მისი მოთხოვნილება საწვავზე. მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ მე-19 და განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში განაპირობა წიაღისეული საწვავის უზარმაზარი მოხმარება, რომელიც არაგანახლებად რესურსად განიხილება. ენერგიის ახალი წყაროების ხანგრძლივმა ძიებამ განაპირობა წარმატებები ენერგიის შესწავლასა და განვითარებაში, რომელიც გამოიყოფა მძიმე ბირთვების დაშლისა და მსუბუქი ბირთვების შერწყმის შედეგად. ეს იყო გარღვევა მეცნიერებაში, რომელიც, მოგვიანებით, მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში ახალ ეტაპად იქცა და ბირთვული საფრთხის პრობლემამ თითქმის მაშინვე დიდი ყურადღება მიიპყრო. ამასთან აქტუალური გახდა ბირთვული უსაფრთხოების საკითხი ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი ეს არის ბირთვული უსაფრთხოება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების თვალსაზრისით (სამოქალაქო ბირთვული უსაფრთხოება) და მეორე - მისი სამხედრო თვალსაზრისით გამოყენება (სამხედრო ბირთვული უსაფრთხოება).

ბირთვული იარაღის საფრთხე განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური ბომბის გამოჩენასთან ერთად და, განსაკუთრებით, იაპონიის წინააღმდეგ მსოფლიოში ატომური იარაღის პირველი სამხედრო გამოყენების შემდეგ, რის შემდეგაც საგრძნობლად შეიცვალა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა. პირველად ისტორიაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგარეო პოლიტიკაში იარაღის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც თანდათან 1940-იანი წლების ბოლოს დაწყებული „ცივი ომის“ ერთ-ერთ ძირითად ელემენტად იქცა.

სამხედრო ბირთვული პროგრამების განვითარებამ მკვეთრად იმოქმედა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე, რამაც ხელი შეუწყო ბიპოლარული სამყაროს ჩამოყალიბებას. თითქმის ამავე დროს დაიწყო კვლევები ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სფეროში. მაგრამ პირველი სამოქალაქო ატომური ელექტროსადგურები მსოფლიოს ქვეყნებში, ძირითადად, 50-იანი წლების ბოლოს - 60-იანი წლების პირველ ნახევარში გამოჩნდა.

საკვანძო სიტყვები: *ბირთვული იარაღი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ბირთვული საფრთხე, ეროვნული უსაფრთხოება.*

1945 წელს ჰიროსიმასა და ნაგასაკის განადგურების შემდეგ, ინგლისის პრემიერ-მინისტრი კლემენტ ეტლიმ პოტსდამის კონფერენციის შემდეგ, რომელშიც მიიღო მონაწილეობა, მემორანდუმი შეადგინა თავისი კაბინეტისთვის და მათ ბრიტანეთის პოლიტიკისა და სტრატეგიის გადახედვა შესთავაზა. 25 სექტემბერს ეტლიმ თავისი შეშფოთების გასაზიარებლად პრეზიდენტ ტრუმენს მიწერა და ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა შესთავაზა: „წინათ ჩვენ არ ვიცოდით ისეთი იარაღის არსებობის შესახებ, რომელსაც შეუძლია სრულიად, უცბად, გაფრთხილების გარეშე, ერის სასიცოცხლო ცენტრის განადგურება. ამ ახალი იარაღის გამოჩენამ ომის ხასიათი შეცვალა, რადგან ამიერიდან შეუძლებელი გახდება სტრატოსფეროში მფრინავი თვითმფრინავებისა ან რაკეტებისგან თავდაცვა, რომლებიც დიდ ქალაქებზე ატომურ ბომბებს ჩამოაგდებენ. თავდაცვისთვის მხოლოდ მსგავსი იერიშის მუქარა იარსებებს. თუკი კაცობრიობა სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათის შეცვლის გარეშე ატომური ბომბების წარმოებას განაგრძობს, ეს ბომბები უცილობლად საერთო ნგრევისთვის იქნება გამოყენებული“.

მალევე დაიწყო ამ იარაღის ეტაპობრივი გავრცელება სახელმწიფოებში, რომელთაც ის წინათ არ გააჩნდათ. დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველი ატომური ბომბის შექმნასთან, საკუთარი ბირთვული პროგრამა ლეობორისტული მთავრობის ეგიდით ჩამოაყალიბა. 1952 წელს მან პირველი

ატომური ბომბი გამოსცადა. საფრანგეთიც იგივე გზას დაადგა.

გენერალ დე გოლის აზრით, ატომური ბომბი საფრანგეთს სხვა ძლიერ სახელმწიფოთა შორის „საკუთარი სტატუსის აღდგენის“ შესაძლებლობას მისცემდა. საფრანგეთის მომდევნო პრეზიდენტებმა დე გოლის პოლიტიკა გააგრძელეს.

1964 წელს ჩინეთმა, საფრანგეთზე ორი წლის დაგვიანებით, ატომური ბომბი გამოსცადა, ხოლო ინდოეთმა იგივე 1974 წელს განახორციელა. ისრაელი ანალოგიური იარაღით შეიარაღდა, თუმცა ე. წ. ჩუმი გავრცელების სტრატეგიის ჩარჩოში. პაკისტანმა და ირანმაც ასევე მნიშვნელოვანი ბირთვული შეიარაღების პროგრამები აამოქმედეს. ამ სახელმწიფოებისთვის ატომური ბომბის ფლობა ერთდროულად სამხედრო მუქარის ინსტრუმენტია კონფლიქტურ რეგიონულ გარემოში და ასევე პოლიტიკური ძალაუფლების ატრიბუტიც. თუმცა, რეგიონულ ომში აღნიშნული იარაღის გამოყენება ძლიერი სახელმწიფოების ჩარევას გამოიწვევს და მსოფლიოს მშვიდობას საფრთხის წინაშე დააყენებს [1].

ბირთვული იარაღი და რისკები

1946 წელს ინგლისელმა პოეტმა W. H. Auden-მა დაწერა The Age of Anxiety (შფოთვის ხანა), სადაც ის გლოვობდა უიმედობასა და საყოველთაო აშლილობას სამყაროში. ავტორი ეხმაურებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოსალოდნელ ხოცვა-ჟლეტვას, რაც, შესაძლოა, დაკავშირებული ყოფილყო მასობრივი განადგურების იარაღთან, რომლის ჩრდილშიც ცხოვრება გაურკვეველი და საშიში იყო.

დღეს, ბირთვული ეპოქის გარიჟრაჟიდან, შვიდ ათწლეულზე მეტი ხნის შემდეგ, ჩვენ კვლავ ვცხოვრობთ შფოთვის ეპოქაში. და ამის მთავარი მიზეზი ბირთვული იარაღის გავრცელებაა. საშიშროება ის არის, რომ ბევრმა ქვეყანამ, შესაძლოა, ბირთვული იარაღი მიიჩნიოს როგორც სასარგებლო, თუნდაც აუცილებელი ინსტრუმენტი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ეს უბიძგებს ქვეყნებს, ჰქონდეთ ბირთვული იარაღი, როგორც შემაკავებელი საშუალება.

თუ ბირთვული იარაღის ამჟამინდელი გავრცელების ტენდენციები გაგრძელდება, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში კიდევ უფრო მეტი სახელმწიფო გამოცხადდება ბირთვული იარაღის მქონედ.

მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი ფილოსოფოსი და პაციფისტი ბერტრან რასელი, იმდენად შეაშფოთა ბირთვულმა საფრთხემ, რომ მან 1946 წელს რეკომენდაციით მიმართა შეერთებულ შტატებს ატომური შეტევა განეხორციელებინა საბჭოთა კავშირზე, თუ მოსკოვი უარს იტყოდა მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებაზე.

საბჭოთა კავშირმა 1949 წელს გამოსცადა ბირთვული იარაღი. მომდევნო წელს ათობით მილიონმა ადამიანმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მიმართვას - პეტიციას, სადაც ითხოვდნენ ატომური იარაღის, როგორც ტერორის და მთელი მოსახლეობის მასობრივი განადგურების იარაღის აკრძალვას [2. 3-5].

სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, ბირთვული იარაღის მფლობელ 9 სახელმწიფოში დაახლოებით ოციათასზე მეტი ბირთვული იარაღია, რომელთაგან ექსპერტების ვარაუდით, ხუთი ათასი ერთეული გამოყენებისთვის მზადაა, ხოლო ორი ათასი მაღალი ოპერატიული მზადყოფნის მდგომარეობაშია.

ზემოთ ხსენებული ქვეყნების გარდა, ნატოს სამხედრო ბლოკში შემავალ ისეთ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, როგორებიცაა: გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, თურქეთი, კანადა, იაპონია და სამხრეთ კორეა, განლაგებულია ამერიკული ბირთვული იარაღი.

ბირთვული საფრთხე იზრდება, თუ მასობრივი განადგურების იარაღი აღმოჩნდება, რომელიმე „რისკ“ სახელმწიფოს ან ტერიტორიული დაჯგუფების ხელში. „რისკ ქვეყნებში“ იგულისხმება სახელმწიფოები, სადაც არაა დაცული დემოკრატიული პრინციპები, ან კიდევ პოლიტიკა კომუნიზმს და დიქტატურას ემყარება. შესაბამისად საფრთხე უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ბირთვული იარაღის მფლობელთა რიცხვს შეუერთდა ინდოეთი, პაკისტანი, ისრაელი და ჩრდილოეთ კორეა, რომლებსაც საკუთარი ავტონომიისათვის მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტი აქვთ.

„ბირთვული კლუბი“ ეს არის არაოფიციალური სახელწოდება სახელმწიფოთა იმ ჯგუფისა, რომლებიც ფლობენ ბირთვულ იარაღს. აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი

და ჩინეთი (ე.წ. ბირთვული ხუთეული) ითვლებიან ლეგიტიმურ ბირთვულ სახელმწიფოებად, ვინაიდან არიან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების წევრი ქვეყნები. ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა და ისრაელი - „ახალგაზრდა“ ბირთვული ქვეყნები, რომელთა ბირთვული პროგრამები დღემდე საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების საგნად რჩება [3].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის გაჩენის გამო, განიარაღება თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად იქცა. ამასთან, გაეროს მუდმივი ყურადღების საგანი გახდა, რამდენადაც მისი წესდება, განიარაღების პრინციპს, თანამშრომლობის ზოგად საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპად მიიჩნევს, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში.

თუმცა, XXI საუკუნეში განიარაღება საყოველთაოდ შეუქცევადი პროცესი არგამხდარა. მთელი რიგი სახელმწიფოები არათუ უარს არ ამბობენ იარაღზე, არამედ მნიშვნელოვან ძალისხმევასაც მიმართავენ მისი სრულყოფისა და მარაგის ზრდისათვის. შედეგად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლს, რაც მიმართულია ჯარების და შეიარაღების რაოდენობის შემცირებისკენ, შეთანხმების, ნდობის ამაღლებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობის განმტკიცებისკენ [4].

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება

1968 წელს გაეროს განიარაღების კომიტეტმა შეიმუშავა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა 1968 წლის 12 იანვარს. 1969 წლის 24 ნოემბერს აშშ-მ და სსრკ-მ ხელი მოაწერეს აღნიშნულ ხელშეკრულებას [5].

დოკუმენტის მიზანია, ბირთვული იარაღის შემდგომი გავრცელების პრევენცია და ამგვარი იარაღის მქონე სახელმწიფოების წრის შემოსაზღვრა.

აღნიშნული ხელშეკრულება, ბირთვულ სახელმწიფოს უკრძალავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბირთვული იარაღისა და მასზე კონტროლის სხვისთვის გადაცემას, ავალებს არ წაახალისოს ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფო ბირთვული იარაღის საწარმოებლად, შესაძენად თუ მასზე კონტროლის მოსაპოვებლად.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თერთმეტი მუხლისგან. სხვადასხვა სახის ლიტერატურაში, ხელშეკრულება ხშირად მოხსენიებულია, როგორც სამსაყრდენიანი სისტემა, სადაც ეს სამი საყრდენი ურთიერთბალანსშია. გაუვრცელებლობა (non-proliferation), განიარაღება (disarmament) და ბირთვული ტექნოლოგიების მშვიდობიანი გამოყენების უფლება (the right to peacefully use nuclear technology).

როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად, პუნქტები ურთიერთგანმამტკიცებელია. თუკი წევრი სახელმწიფოები ასრულებენ ნაკისრ მოვალეობებს, ეფექტიანი გაუვრცელებლობის რეჟიმი, ქმნის მნიშვნელოვან ფუნდამეტს განიარაღების მიღწევისთვის და უზრუნველყოფს მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას ბირთვული ენერგიის გამოყენების საქმეში. ბირთვული ტექნოლოგიის მშვიდობიანი მოხმარების ბენეფიტებს კი, სანაცვლოდ გაუვრცელებლობის პასუხისმგებლობა მოჰყვება. ხოლო, განიარაღებისკენ მიღწეული პროგრესი აძლიერებს გაუვრცელებლობის ძალისხმევასა და ვალდებულებების დაცვის იძულებით, ხელს უწყობს მშვიდობიანი ბირთვული თანამშრომლობის განვითარებას.

ხელშეკრულების I მუხლის თანახმად, ბირთვულ სახელმწიფოს ეკრძალება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბირთვული იარაღისა და მასზე კონტროლის სხვისთვის გადაცემა, ვალდებულია არ წაახალისოს ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფო ბირთვული იარაღის საწარმოებლად, შესაძენად თუ მასზე კონტროლის მოსაპოვებლად.

ხელშეკრულების II მუხლის თანახმად, ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოები კისრულობენ ვარლდებულებას არ შეიძინონ ან აწარმოონ ბირთვული იარაღი ან სხვა ბირთვული ფეთქებადი მოწყობილობები.

ხელშეკრულების III მუხლის თანახმად, ბირთვული იარაღის ქვეყნები დებენ პირობას, მიიღონ ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გარანტიები, რომ მათი ბირთვული საქმიანობა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს მოემსახურება [4].

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე, იგივე NPT-ზე მოლაპარაკებების დროს ძალიან ცოტა ქვეყანას გააჩნდა ბირთვული ბომბის წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიური ცოდნა და აღჭურვილობა/მატერიალური საშუალებები.

დღეს, ხელშეკრულების დადებიდან თითქმის ხუთი ათწლეულის შემდეგ, ორმოცდაათამდე სახელმწიფო ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიურ ბაზას და საკმარის ფინანსურ რესურსებს „ატომური იარაღისთვის" [6. 8].

2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 191 სახელმწიფო გახდა ხელშეკრულების ხელმომწერი, თუმცა ჩრდილოეთ კორეა, რომელიც ხელშეკრულებას შეუერთდა 1985 წელს, არ გაიზიარა მისი შინაარსობრივი ვალდებულებები და 2003 წელს გამოაცხადა NPT-დან გასვლის შესახებ. ასევე გაეროს წევრი სამი ქვეყანა ინდოეთი, ისრაელი და პაკისტანი, რომლებიც ფლობენ ბირთვულ იარაღს, არასდროს ყოფილან NPT-ის ხელმომწერები.

ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება თავდაპირველად შემუშავებული იყო 25 წლის ვადით, 1995 წლის 11 მაისს, ნიუ-იორკში ხელშეკრულების განხილვის დროს ხელმომწერმა მხარეებმა გადაწყვიტეს ხელშეკრულება გაგრძელებულიყო უვადოდ [7].

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება უთანასწოროდ მიიჩნევა, რადგან ის ავალდებულებს ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ბირთვული იარაღის ფლობისგან, ხოლო ბირთვული სახელმწიფოს სტატუსის მქონე ქვეყნებს, თავიანთი ბირთვული ძალების შენარჩუნების შესაძლებობას უტოვებს.

მიუხედავად ამისა, დადგენილება მიიღეს, რამდენადაც ხელმოწერის დროს ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოების უმეტესობას არ ჰქონდათ უნარი და არც მიდრეკილება გამხდარიყვნენ ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა, ამასთან, მათ კარგად ესმოდათ გავრცელების საფრთხის მნიშვნელობა.

გარდა ამისა, 1968 წელსვე დადგინდა, რომ სპეციალური სტატუსის სანაცვლოდ ბირთვული სახელმწიფოები დაეხმარებოდნენ ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოებს ბირთვული ენერგიის განვითარებაში.

ასევე, შეთანხმდნენ, რომ ბირთვული ქვეყნები ყველაფერს გააკეთებენ, სამომავლო განიარაღების მისაღწევად. თუმცა, 2005 წლის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ გამართულ კონფერენციაზე, გლობალურ ბირთვულ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად არსებული უთანასწორობა განსჯის მთავარ თემად იქცა.

ხელშეკრულების მე-10 მუხლი საშუალებას აძლევს ხელმომწერ სახელმწიფოს დატოვოს ხელშეკრულება, თუ გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების თემასთან, საფრთხე შეუქმნეს „ქვეყნის უზენაესი ინტერესების დაცვას". დატოვების კანდიდატი სახელმწიფო ვალდებულია სამი თვის (ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში) განმავლობაში დაასახელოს ბირთვული იარაღის არგავრცობის ხელშეკრულების დატოვების მიზეზები.

ნატოს სახელმწიფოები შეთანხმდენენ, რომ როდესაც „საერთო ომის" საფრთხე არსებობს, ხელშეკრულება აღარ იქნება ვალიდური, რაც ფაქტობრივად მონაწილე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს გაფრთხილების გარეშე დატოვონ კონვენცია. ნატოს ბირთვული იარაღის პოლიტიკის ეს მხარდამჭერი არგუმენტი, წარმოადგენს ხელშეკრულების წინააღმდეგობრივ ლოგიკას. ნატოს არგუმენტი ემყარება ფრაზას: „შესაბამისად უნდა მივმართოთ ყველანაირ ძალისხმევას, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი ომის საშიშროება"; ხელშეკრულების პრეამბულა, რომელიც შეერთებული შტატების დიპლომატების დავალებით იქნა ჩასმული, ირწმუნება, რომ დოკუმენტი მსგავს ვითარებაში ვერ შეასრულებდა „საერთო ომის" თავიდან არიდების ვალდებულებას და, შესაბამისად, აღარ წარმოადგენს იმპერატივს. ბევრი სახელმწიფო არ იზიარებს ამ არგუმენტს [4].

ბირთვული იარაღი და უსაფრთხოება

ახალი ბირთვული სახელმწიფოების წარმოქმნა გეოპოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით დიდ საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას. ბირთვული ტექნოლოგიების და ამ სფეროში ექსპერტული ცოდნის გავრცელება შეშფოთებას იწვევს. რადგან ეს

ტექნოლოგიები და არსებული საექსპერტო ცოდნა შეიძლება ჩაუვარდეთ ხელში ტერორისტებს. მათ სურთ ბირთვული მასალების და მასობრივი განადგურების იარაღის სხვა კომპონენტების ხელში ჩაგდება.

ბირთვული იარაღის გამოყენება მომავალში აუცილებლად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს.

მაშინ, როდესაც თანამედროვე პერიოდში მრავალი სახელმწიფო ცდილობს გააძლიაროს კავშირები ბირთვული იარაღის მფლობელ სახელმწიფოებთან. გლობალური განიარაღებისთვის ბრძოლის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საერთაშორისო პოლიტიკაში. ბირთვულ სახელმწიფოებს არსებული ბითვული არსენალის დათმობა და ლიკვიდაცია არ სურთ. ისინი პირიქით არსებული სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების კომპონენტების დახვეწას და გაუმჯობესებას ეწევიან, რაც მსოფლიოს უფრო დიდი საფრთხის წინაშე აყენებს.

2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარმა ტერორისტულმა თავდასხმებმა და შემდგომმა დაბომბებმა მოსკოვში, მადრიდში, სტამბულში, ბალიში, ლონდონში და სხვაგან, ნათლად აჩვენა ტერორისტული ჯგუფებს რამდენად დიდი ზიანის მიყენება შუძლიათ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. მით უმეტეს, თუ მათი თავდასხმები თვითმკვლელ ტერორისტებს უკავშირდება.

იმ შემთხვევაში თუ ტერორისტების ხელში აღმოჩნდება ბირთვული იარაღი, ასეთმა ბირთვულმა ტერორიზმმა შეიძლება მოკლას ან დასახიჩრდეს ასობით ათასი ქალაქის მცხოვრები, რადიოაქტიური გამონაბოლქვით, რომელიც ვრცელდება ასობით მილის მანძილზე აფეთქების ადგილიდან.

თანამედროვე ეტაპზე, როცა ბირთვულმა იარაღმა მსოფლიოს უძლიერესი (და არა მხოლოდ უძლიერესი!) სახელმწიფოების შეიარაღებაში წამყვანი ადგილი დაიკავა, ძალის გამოყენება, ე.ი. ომის წარმოება ბევრის მიერ განიხილება როგორც უაზრობა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, თუ ყველა სახელმწიფო დაეპატრონა ბირთვულ იარაღს, ომის საშიშროებაც გაქრება.

მართალია, ბირთვული იარაღი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მხოლოდ ორჯერ იქნა 1945 წლის აგვისტოში, გამოყენებული, ბირთვული ომის აჩრდილი მაინც კაცობრიობას 1945 წლიდან 90-იან წლებამდე თავს დასტრიალებდა და მისი საშიშროება აღმოფხვრილი არც ამჟამად არის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ათობით საერთაშორისო კონფლიქტი, ისეთებიც კი, რომლებშიც უშუალოდ იყო ჩათრეული ბირთვული იარაღის მფლობელი ესა სუ ის სახელმწიფო (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ისრაელი), ამ საშინელი იარაღის გამოყენების გარეშე წარიმართა. ბევრი ექსპერტის აზრით, სწორედ ბირთვული იარაღის არსებობას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო მასშტაბის ომი დედამიწაზე არ მომხდარა. „ცივ ომს“ ამის გამო „ხანგრძლივი მშვიდობაც“ კი უწოდეს.

მართალია, ბირთვული იარაღის არსებობის პირობებში მრავალი ლოკალური და რეგიონული ომი მოხდა, ამ იარაღმა გარკვეული და, ალბათ, მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მთელ საერთაშორისო სისტემას, საერთაშორისო ურთიერთობებს, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიას. მან მკვეთრად გაზარდა არა მხოლოდ პოტენციური აგრესორის სამხედრო ძლიერება, შესაძლებლობები, არამედ ასევე მკვეთრად გაზარდა მისი შეკავების შესაძლებლობებიც. სწორედ „ბირთვული შეკავება“ აღმოჩნდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც დიდი ომის შესაძლებლობა შესამჩნევად შეამცირა.

ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, ომი საერთაშორისო სისტემის ხასიათის მთავარ დეტერმინანტად რჩება, მაგრამ ბირთვული იარაღის მქონე უძლიერესი სახელმწიფოების ურთიერთობებს ომის საფრთხე უფრო განსაზღვრავს, ვიდრე თავად ომი [8].

ბირთვული იარაღის აკრძალვის პოლიტიკა

მსოფლიოში ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე იზრდება, ამის შესახებ 2018 წელს გაეროს წარმომადგემელმა განიარაღების საკითხებში, იზუმი ნაკამიცუმ ჟენევაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა 2020-ის შეთანხმების ფარგლებში, მეორე მოსამზადებელი კონფერენციის გახსნისას განაცხადა.

„დღეს მსოფლიოში მსგავსი გამოწვევების წინაშე დგას, რომელმაც მიგვიყვანა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების

შექმნის აუცილებლობამდე. ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე იზრდება, საერთაშორისო და სხვა დონეზე. ეს საფრთხე, რომელიც აშფოთებს მთელ კაცობრიობას დარჩება მანამ, ვიდერე ეროვნულ არსენალში იარსებებს ბირთვული იარაღი“ - განაცხადა მან.

„რიტორიკა, აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ ქიმიური იარაღის მიმართ იზრდება. ბირთვული პროგრამების მოდერნიზებას სახელმწიფოები მიყავს იქამდე, რომ ზოგიერთი ამას აფასებს როგორც რბოლას შეიარაღების საკითხში და თუკი არ გაგრძელდება მოლაპარაკებები შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების საკითხში, მსოფლიო მალე დარჩება ბირთვული არსენალის შექმნისა და მოხმარების შეზღუდვების გარეშე“ [9].

აშშ-მა, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჩინეთმა და რუსეთმა უარი თქვეს ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე. ამით ისინი ბირთვული იარაღისაგან მსოფლიოს გასათავისუფლებლად საუკეთესო გზად მიიჩნევენ ეტაპობრივ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს ვითარებას საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. ხელისმომწერი ქვეყნები ასევე აღნიშნავენ, რომ ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ძირითად პრობლემებს, რომლებიც უნდა მოგვარდეს ბირთვული იარაღის მსოფლიო არსენალის სტაბილურად შესაკვეცად [10].

2017 წლის 7 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ის ძალაში შევიდოდა მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას 50-ე სახელმწიფო მოაწერდა ხელს [11].

ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც ამ ტიპის იარაღის შემუშავებას, ტესტირებას, შენახვას, შეძენას, ტრანსპორტირებასა და გამოყენებას კრძალავს. დოკუმენტი მიღებულია მსოფლიოს 122 სახელმწიფოს მხარდაჭერით.

ჰონდურასი მსოფლიოს 50-ე ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა [12].

ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება 2021 წლის იანვარში შევიდა ძალაში. დოკუმენტი კრძალავს ბირთვული იარაღის შექმნას, გამოცდას, შენახვას, შეძენას, ტრანსპორტირებასა და გამოყენებას. ხელშეკრულებას უკვე შეუერთდა 65-ზე მეტი ქვეყანა, მაგრამ მათ შორის არ არიან „ბირთვული კლუბის“ წევრები: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, პაკისტანი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და ისრაელი (ამ ქვეყნის ხელისუფლებას ოფიციალურად არ უღიარებია, რომ ბირთვულ იარაღს ფლობს) [13].

ბირთვული ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში

დღეს, როდესაც ჰიროსიმასა და ნაგასაკის ბირთვული დაბომბვიდან თითქმის რვა ათეული წელია გასული და ამასთან, მსოფლიო ამჟამადაც, უდიდესი საფრთხის, შეიძლება ითქვას, თითქმის მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ბირთვული იარაღის როლზე თანამედროვე სამყაროში, ბირთვული არსენალის გავლენის შესახებ ცალკეული სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და მთლიანად მიწიერ ცივილიზაციაზე.

ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შედეგად გამოწვეული უბედურების მასშტაბებმა კაცობრიობას უკვე ნათლად დაანახა ბირთვული იარაღის გამოყენების დესტრუქციული და გრძელვადიანი შედეგები და როგორც წესი, დღეს ადამიანებს ბირთვული ბირთვული საფრთხე უფრო ღრმად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული.

თუმცა მიუხედავად ამ რისკებისა და საფრთხეებისა, პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის პოპულარობით სარგებლობს მოსაზრება ბირთვული იარაღის შემაკავებელი როლის შესახებ. ამ იდეის მომხრეები, სხვა საკითხებთან ერთად, ამტკიცებენ, რომ „ცივი ომი“, ძირითადად, ზესახელმწიფოების ორმხრივი ბირთვული შეკავების გამო არ გადაიზარდა ცხელ ომში. თუმცა, პრაქტიკაში იმის მტკიცება, რომ ბირთვულ იარაღს შეუძლია კონფლიქტის თავიდან აცილება გაუმართლებელი რისკების შექმნის გარეშე, სულაც არ არის ადვილი.

შესაძლებელია თუ არა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ბოლო 7-8 ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ომის არარსებობასა და მსოფლიოს დიდი ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის ფლობას შორის? გასული 70-80 წლის განმავლობაში, ნამდვილად სწორედ ამ იარაღმა შეაჩერა ის პოლიტიკოსები, რომლებიც განიხილავდნენ აგრესიული ომის ვარიანტებს მოწინააღმდეგე ძალების წინააღმდეგ. მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა უარყო საბჭოთა კავშირზე ბირთვული დარტყმის მიყენების იდეა 1950-იანი წლების დასაწყისში („ცივი ომის" ყველაზე მწვავე პერიოდი), როდესაც სსრკ-ს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკმარისი სახსრები მასიური შურისძიებისთვის, ამიტომ ვაშინგტონს ჰქონდა კარგი შანსი ერთი დარტყმით გაენადგურებინა თავისი მთავარი გეოპოლიტიკური მეტოქე. ათი წლის შემდეგ მოსკოვმა ვერ გაბედა „მოწყვლადობის ფანჯრის" გამოყენება და ჩინეთზე თავდასხმა, რომელიც ახლოს იყო ბირთვული იარაღის შექმნასთან, მაგრამ ჯერ არ გააჩნდა. ორივე შემთხვევაში, მსხვილმა მსოფლიო ძალებმა თავი შეიკავეს სამხედრო უპირატესობის გამოყენებისაგან არა ბირთვული შურისძიების შიშის გამო.

მაშინაც კი, თუ ზოგიერთ შემთხვევაში ბირთვული საფრთხის ფაქტორმა შეასრულა ძირითადი შემაკავებელი როლი, მხარეები იმდენად უახლოვდებოდნენ ბირთვული ომის ზღვარს, რომ რთულია ამ კონფლიქტების შედეგებს ბირთვული შეკავების წარმატება ვუწოდოთ. მაგალითად, დასაფიქრებელია, ბირთვული ომის საშიშროებამ განაპირობა თუ არა სსრკ-სა და აშშ-ს მიერ ესკალაციის განმუხტვა 1962 წლის კარიბის სარაკეტო კრიზისის დროს?

შესაძლოა, აშშ-ს პრეზიდენტმა კენედიმ და CPSU-ს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ერთი ნაბიჯით შეაჩერეს პირდაპირი დაპირისპირება ზუსტად ბირთვული ომის შიშის გამო. თუმცა, ასეთი ბედნიერი დასასრული არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ განსაზღვრულად. „წითელ ხაზთან" მიდგომამ მკვეთრად გაზარდა „ომის ნისლის" ან ტექნიკური გაუმართაობის გამო ბირთვული დარტყმების გაცვლის ალბათობა. ამიტომ, ვფიქრობთ, კარიბის ზღვის კრიზისის შედარებით ხელსაყრელი შედეგი ძნელად შეიძლება ჩაითვალოს ბირთვული შეკავების ეფექტურობის დადასტურებად.

ასევე მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ბირთვული ძალები „განკითხვის დღის იარაღი" გამოგონებისთანავე არ შეთანხმებულან მის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე.

მაგალითად, 1954 წლის სექტემბერში სსრკ-მ ჩაატარა სამხედრო წვრთნები ორენბურგის რეგიონში მდებარე ტოცკის საწვრთნელ მოედანზე, რომელშიც განხორციელდა მტრის ტერიტორიის ბირთვული დაბომბვის სცენარი, რასაც მოჰყვა სახმელეთო ძალების მიერ ამ ტერიტორიის შეტევა. არაერთი ექსპერტის აზრით, ბირთვული ძალების თანამედროვე სამხედრო დოქტრინებში (რომელთაც შეიძლება ჰქონდეს დახურული სექციები) გათვალისწინებულია ბირთვული იარაღის გამოყენება სახელმწიფოს გადარჩენისთვის აშკარა საფრთხის არარსებობის შემთხვევაშიც კი.

გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ფლობს ბირთვული იარაღი ან მისი სწრაფი განვითარების უნარს, გარკვეულწილად დაუცველობის განცდები აქვს, რაც ბირთვული იარაღის გამოყენებით კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვან რისკებს ქმნის. მაგალითად, პაკისტანმა არაერთხელ ღიად გამოაცხადა თავისი მზადყოფნა გამოიყენოს ბირთვული იარაღი, იმ ქმედებების საპასუხოდაც, რომლებიც არ შეიცავდა კლასიკური შეიარაღებული აგრესიის ნიშნებს - ანუ პაკისტანის ტერიტორიაზე პირდაპირი სამხედრო შეჭრის ნიშნებს.

რიგი სხვა გარემოებები ასევე ბადებს ეჭვებს ბირთვული შეკავების ფუნდამენტურ ეფექტურობასთან დაკავშირებით. ამრიგად, ლონდონის ხელში არსებულმა ბირთვულმა იარაღმა არ გადაარჩინა ბრიტანეთის იმპერია საბოლოო კოლაფსისგან და პარიზს არ მიეცა უფლება აღეკვეთა ალჟირის გამოყოფა (სადაც მდებარეობდა საფრანგეთის პირველი ბირთვული საცდელი ადგილი). 1973 წელს არაბული სახელმწიფოების კოალიციამ შეუტია ისრაელს, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროსაც კი არსებობდა სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისრაელს ჰქონდა ბირთვული შეკავების შესაძლებლობა. უზარმაზარი ბირთვული არსენალის არსებობას ხელი არ შეუშლია საბჭოთა კავშირისათვის მოკავშირეების დაკაგვისა და შემდეგ მისი დაშლისათვის.

ასეთი მაგალითების ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ბირთვული იარაღის ფლობას ხშირად აქვს პოტენციური ოპონენტე-

ბის თავშეკავებისა და ბირთვული სახელმწიფოს თავშეკავების საპირისპირო ფსიქოლოგიური შედეგები.

დიდ სახელმწიფოებში ბირთვული იარაღის არსებობამ შესაძლებელია მათ შორის კონფლიქტური ურთიერთობები ჩამოაყალიბოს. ამ ფენომენის ბუნება დაახლოებით ასეთია: ხელჩართული ბრძოლის ოსტატები გეტყვიან, რომ შიშველი ხელებით დანით შეიარაღებული აგრესორის დამარცხების ალბათობა არც თუ ისე დიდია. მართალია, ოსტატურად გამოყენების შემთხვევაში, დანა მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს თავდამსხმელს, თუმცა, აგრესორის შიშმა დანის დაკარგვის შესახებ შეიძლება გადაარჩინოს უიარაღო ადამიანი ასეთ ბრძოლაში. დანა იქცევს თავდამსხმელის მთელ ყურადღებას, რაც მცველს აძლევს შანსს, მოულოდნელი დარტყმების სერია. ანალოგიურად, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს შესაძლებელია, გაუჩნდეს ეჭვი მისი პოტენციური ოპონენტების მიერ ამ იარაღის წართმევის სურვილის შესახებ და, პრაქტიკულად, სხვა მოთამაშეების ნებისმიერი ქმედება შესაძლებელია გაგებული იქნას როგორც ბირთვული ფარის ჩამორთმევის ეშმაკური მცდელობად.

ამ კუთხით დანახული, ნებისმიერი შეიარაღების კონტროლის, ურთიერთშემოწმების შესახებ წინადადებებისა ანდა ბირთვული ელემენტების მარაგის შემცირების შეთავაზება გარე ძალების მიერ ადვილად შეიძლება იქნეს აღქმული ეშმაკურ მცდელობებად. და თუ ვინმე აკეთებს ასეთ მცდელობებს - მაგალითად, აკეთებს წინადადებებს ბირთვული არსენალის შემცირების შესახებ - მაშინ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მოწინააღმდეგე, რომელიც აგრესიას გეგმავს პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში დამისი ქმედებები კიდევ ერთხელ ადასტურებს მნიშვნელოვანი ბირთვული არსენალის შენარჩუნების მნიშვნელობას.

ამრიგად, წრე იკეტება. ბირთვული იარაღის ქონა იმდენად არ ზრდის თქვენს თავდაჯერებულობას და თვითშეფასებას, რამდენადაც ზრდის თქვენს ეჭვს სხვა მოთამაშეების მიმართ, რითაც კონფლიქტის ესკალაციის წინაპირობებს ქმნის. ეს დინამიკას კარგად ესმით და ოსტატურად იყენებენ, მაგალითად, მსხვილი ბირთვული სახელმწიფოების სამხედრო-ინდუსტრიული ლობები.

ამრიგად, ნათელია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მსოფლიოში იქნება ბირთვული იარაღის მინიმალური რაოდენობა, დღევანდელი სამყარო ვეღარ გახდება „მსოფლიო მინუს ბირთვული იარაღი“-ს მსგავსი, ვინაიდან ბირთვული არსენალის საგრძნობლად შემცირებამდე, ძალიან ბევრი რეალურად არსებული და პოტენციური კონფლიქტის მოგვარებაა საჭირო.

თუმცა, ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბირთვული განიარაღების პროცესის წინა პლანზე დგომა უმსხვილესი ბირთვული სახელმწიფოებისთვის, უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე მათ მიერ ბირთვული იარაღის ფლობის თავიანთი ექსკლუზიური უფლების დაჟინებითი მოთხოვნა. ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა ამ ქვეყნების ავტორიტეტს განვითარებადი არაბირთვული სახელმწიფოების თვალში, რომლებთან პარტნიორობისკენ ისწრაფვის.

შესაძლოა, მშვიდობიან ბირთვულ ენერგიას ალტერნატივა არ გააჩნია, იმ შემთხვევაში, თუ კაცობრიობაა სერიოზულად მოინდომებდა ატმოსფეროში ნახშირწყალბადების ემისიების შემცირებას. თუმცა სამხედრო ბირთვულ ტექნოლოგიებს ჯერ არავინ არაფრისაგან არ უხსნია და არც რაიმე ისეთი სარგებელი შეუქმნია, რომელიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა რისკებს.

NINO KOBAKHIDZE

THE NUCLEAR FACTOR IN WORLD POLITICS

Summary

The modern world society has faced the problem of nuclear safety since the development of nuclear technologies, which happened not so long ago. Along with the development of humanity, its need for fuel gradually increased. Rapid population growth in the 19th and especially the 20th century led to a huge consumption of fossil fuels, which are considered non-renewable resources. The long-term search for new sources of energy has led to successes in the study and development of energy released by the fission of heavy nuclei and the fusion of light nuclei. It was a breakthrough in

science, which later became a new stage in the life of all mankind, and the problem of the nuclear threat almost immediately attracted a lot of attention.

At the same time, the issue of nuclear safety has become relevant in two main directions: the first is nuclear safety from the point of view of peaceful use of atomic energy (civil nuclear safety) and the second - its use from a military point of view (military nuclear safety).

The danger of nuclear weapons became especially visible after the appearance of the atomic bomb in the United States of America and, especially, after the first military use of nuclear weapons in the world against Japan, after which the foreign policy of the world's leading countries changed significantly.

For the first time in history, significant attention was paid to one of the types of weapons in foreign policy, which gradually became one of the main elements of the "Cold War" that began in the late 1940s.

The development of military nuclear programs had a sharp impact on the system of international relations, which contributed to the formation of a bipolar world. Almost at the same time, research was started in the field of peaceful use of atomic energy. But the first civilian nuclear power plants appeared in the countries of the world, mainly in the late 50s - the first half of the 60s.

Key words: ***N****uclear weapons, Non-proliferation of nuclear weapons, Nuclear threat, National security.*

გამოყენებული ლიტერატურა

1. პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი - საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები ამოცანები. გვ. 58,66. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.
2. Campbell, Kurt M., Einhorn, Robert J., Reiss, Mitchell - The Nuclear Tipping Point : Why States Reconsider Their Nuclear Choices. გვ. 3-5. 2004
3. სახელმძღვანელო ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოაქტიურ და ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის, 2020 წელი - https://www.rs.ge/LegalEntityNonTariffControl?cat=2&tab=2#Toc29563790 (ბოლოს ნანახია 06.07.2022 წელს)
4. https://ka.wikipedia.org/wiki/ბირთვული_იარაღის_გაუვრცელებლობი_ხელშეკრულება (ბოლოს ნანახია 24.06.2022 წელს)
5. http://historyproject.ge/ge/dailyfact/view/51 (ბოლოს ნანახია 24.06.2022 წელს)
6. Sverre Lodgaard, Bremer Maerli - Nuclear Proliferation and International Security, გვ. 8, 2007
7. https://hmn.wiki/ka/Non-Proliferation_Treaty (ბოლოს ნანახია 24.06.2022 წელს)
8. ალექსანდრე რონდელი - საერთაშორისო ურთიერთობები. http://www.bu.org.ge/x1834?lang=geo (ბოლოს ნანახია 05.07.2022 წელს)
9. https://www.ghn.ge/news/201758 (ბოლოს ნანახია 05.07.2022 წელს)
10. https://www.radiotavisupleba.ge/a/29570283.html/ (ბოლოს ნანახია 05.07.2022 წელს)
11. https://hmn.wiki/ka/Treaty_on_the_Prohibition_of_Nuclear_Weapons (ბოლოს ნანახია 05.07.2022 წელს)
12. https://report.ge/world/birtvuli-iaraghis-akrdzalvis-khelshekruleba-dzalashi-shedis/?fbclid=IwAR0Sst2JJP5ocHHBSH9n6KUTA0B5moVEQiu2kH-AZXZPgRyqhTGSznXnGF8 (ბოლოს ნანახია 05.07.2022 წელს)
13. https://www.radiotavisupleba.ge/a/31910388.html (ბოლოს ნანახია 05.07.2022 წელს).

ნატო ჯიაძე
წარმოადგინა პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა

რეალიზმის თეორია და კიბერუსაფრთხოება

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სწრაფ განვითარებასთან ერთად მსოფლიოში იზრდება კიბერშეტევების და კიბერისკების რიცხვი. კიბერუსაფრთხოება ეროვნული უშიშროების და ეკონომიკის გლობალური გამოწვევაა: იქნება ეს კიბერ კრიმინალების მიერ ბიზნესის სფეროზე მიყენებული ფინანსური ზარალი, ქვეყნის საიდუმლო მონაცემების მოპარვა, თუ კიბერ იერიშის მიტანა ქვეყნის სასიცოცხლო კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე. დღეისათვის კიბერ საფრთხეები ეროვნული უშიშროების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. კიბერსივრცეს განიხილავენ როგორც ომის წარმოების მე-5 სფეროდ: სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსის შემდგომ. კიბერუსაფრთხოების, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმის გასაგებად, მკვლევარები რეალიზმის თეორიის ტრადიციულ ჩარჩოს უსადაგებენ მისი ანარქიული ბუნებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: *რეალიზმი, კოლექტიური უსაფრთხოება, უსაფრთხოების დილემა, კიბერუსაფრთხოება.*

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სწრაფ განვითარებასთან ერთად, იზრდება კიბერშეტევების და კიბერისკების რიცხვი მსოფლიოში, რაც პოლიტიკოსთა წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევს. ამავდროულად, საერთაშორისო ურთიერთობის მეცნიერთა და მკვლევართა დიდ ინტერესს წარმოადგენს. კიბერუსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი გლობალური გამოწვევაა: იქნება ეს კიბერ კრიმინალების მიერ ბიზნესის სფეროზე მიყენებული ფინანსური ზარალი, ქვეყნის საიდუმლო მონაცემების მოპარვა, თუ კიბერიერიშის მიტანა ქვეყნის სასიცოცხლო კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე [1].

დღევანდელი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქა მკვეთრად განსხვავდება XVIII-XIX საუკუნეების ეპოქებისაგან, როდესაც პოლიტიკურ ძალთა ბალანსი აყვავების ხანაში იყო. დღეისათვის სახელმწიფო საზღვარი არ წარმოადგენს ბარიერს მავნე კრიმინალური შეტევების საწარმოებლად.

სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიერ დაქირავებულ კიბერ კრიმინალებს შეუძლიათ მწყობრიდან გამოიყვანონ ქვეყნის სასიცოცხლო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა, მაგალითად, მსხვილი ენერგო ქსელი, წყლის გამწმენდი ნაგებობები, საჰაერო მიმოსვლის საშუალებების მაკონტროლებელი სისტემა, ჯანდაცვის სიტემა, ტელეკომუნიკაციების ქსელი და ნებისმიერი სხვა სამსახურები, რომელიც მოიხმარს ინტერნეტ ქსელს (ე.წ. IoT-ინტერნეტ საგნები).

უფრო მეტიც, დღევანდელ სოციალურ ქსელებს და მედია საშუალებებს შეუძლიათ უნდობლობის დათესვა, პოლიტიკური განხეთქილების შემოტანა, ყალბი ბრალდებებით და კონსპირაციული შეთქმულების თეორიის წარმოებით დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტება. დღეისათვის ქვეყნის სუვერენიტეტი ფაქტიურად ჩიხშია მოქცეული, ვინაიდან დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ხანაში, არც ერთ სახელმწიფოს არ შესწევს ძალა აკონტროლოს ქვეყნის შიდა პოლიტიკა, ისე, როგორც ეს მათ წინამორბედ ხელისუფალთ შეეძლოთ.

ეროვნულ უშიშროებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს კიბერ ომით გამოწვეული შედეგები. უფრო მეტიც, ხელოვნური ინტელექტის, რობოტოტექნიკის, სენსორული სისტემის განვითარებით მიღწეული პროგრესი, ციფრული ომის წარმოების რისკის შემცველია, რომელსაც ანალოგიური დამანგრეველი შედეგი ექნება, როგორც კიბერ ომს. უფრო მეტიც საჰაერო დრონები, წყალქვეშა და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილია ლეტალური საბრძოლო იარაღით, რომელსაც შეუძლია ოპერაციული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით მიზანში ამოიღოს და გაანადგუროს მოწინააღმდეგე. გამოცდილ ჰაკერს შეუძლია ციფრული საბრძოლო იარაღის განეიტრალება

ოპერაციულ მეხსიერებაში შეღწევის შედეგად; მეტიც, მათ ერთ დღესაც შეეძლებათ ადამიანის ჩარევის გარეშე აწარმოონ კიბერ ომი. კვანტური კომპიუტერები, რომლებიც ჩვეულებრივ კომპიუტერებთან შედარებით წამში ახდენენ ისეთ ალგორითმულ გათვლებს, რომელთაც თანამედროვე კომპიუტერებით საუკუნეები დასჭირდებოდა, კიდევ უფრო აძლიერებს კიბერრისკებს. კიბერკრიმინალების მიერ მთლიანად შესაძლებელია სამიზნე ქვეყნის მთელი ციფრული ქსელის გაკონტროლება [1].

დღეისათვის კიბერსაფრთხეები ეროვნული უშიშროების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ქვეყნის ყველაზე მოწყვლად სფეროს კრიტიკული ინფრასტრუქტურა მიეკუთვნება, რომელიც კიბერკრიმინალების მთავარი სამიზნეა. ამის მაგალითია მასშტაბური კიბერშეტევა, ე.წ კიბერ „Pearl Harbor"-ი, რომელიც განხორციელდა 2012 წელს ამერიკის მთავარ ენერგო და საფინანსო სისტემებზე.

2016 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ამერიკელთა 73 %-ს სჯეროდა, რომ კიბერტერორიზმი ამერიკის ეროვნული უშიშროებისათვის წარმოადგენდა კრიტიკულ საფრთხეს, თუმცა რამდენიმე მეცნიერი ამ საფრთხეს გადაჭარბებულად მიიჩნევდა და ამტკიცებდა რომ კლაუზევიცის თეორიის თანახმად, კიბერ ომი არ წარმოადგენდა რეალურ ძალადობას. ისინი კიბერ ომს განიხილავდნენ როგორც იშვიათ და დაბალი სიმძიმის კიბერკონფლიქტებს კონკურენტ სახელმწიფოებს შორის. სხვა მკვლევარები კი (კაველტი 200, ჰანზენი 2009) კიბერ ომს განიხილავდნენ ისეთ რეალურ მზარდ საფრთხეს, რომლის მოწმენიც ვართ დღეისათვის [2].

გლობალურმა პანდემიამ, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა და მსოფლიო პარალიზება გამოიწვია, კიდევ უფრო გააძლიერა კიბერშეტევის მასშტაბები. არაერთი ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა განხორციელდა ისეთ დიდი ქვეყნების: ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების როგორც სამთავრობო, ასევე ბიზნესის სფეროებზე, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მათ ეკონომიკას. მთავარი მიზეზი, რის გამოც ცალკე აღებული ქვეყნები ვერ უმკლავდებიან მასიურ კიბერშეტევებს, რომლის რიცხვიც მკვეთრად იზრდება თანამდედროვე (ჭკვიანი) ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის სწრაფ განვითარებასთან ერთად, არის ის რომ არ არსებობს ერთიანი კოლექტიური ძალისხმევა.

მსოფლიოში არ არსებობს ავტორიტეტული ორგანო, რომელიც გააკონტროლებდა კიბერსივრცეს და დასჯიდა იმ სახელმწიფოებს, ინდივიდებს, ორგანიზაციებს, რომლებიც კიბერ თავდასხმებს ახორციელებენ. სწორედ ასეთი ანარქიული ვითარება კიბერსივრცეში იწვევს კიბერტორირიზმის, კიბერკრიმინალის წახალისებას.

რეალისტები კიბერ სივრცეს ხშირად ანარქიულ საერთაშორისო სისტემას ადარებენ. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები დაცულად არ გრძნობენ თავს და მუდმივად თავდასხმის მოლოდონში არიან. ასეთ სისტემაში თითოეული სახელმწიფო იძულებულია თავის უსაფრთხოების განმტკიცებაზე თავად იზრუნოს. ანალოგიური ვითარებაა კივერ სივრცეშიც, სადაც ნებისმიერ დროს შესაძლოა განხორციელდეს კიბერთავდასხმა. ისეთი უძლიერესი სახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, დაუცველია კიბერ შეტევებისაგან. რასაც ადასტურებს 2020 წლის 17 დეკემბერს Google-ზე განხორციელებული, ისტორიაში ყველაზე მასშტაბური 2TB/წმ-ში სიმძლავრის DDoS კიბერშეტევა; ეს იყო პროგრამული მართვის კომპანია „Solar Wind"-ზე განხორციელებული კიბერშეტევა, რომელმაც მოიცვა კომპანიის 18 000 მომხმარებელი, როგორიცაა: ამერიკის სამთავრობო სააგენტოები და კერძო კომპანიები მსოფლიოს მასშტაბით; კიბერშეტევა თვეების განმავლობაში გრძელდებოდა და შოკისმომგვრელი ზარალი მიაყენა როგორც სამთავრობო უწყებებს ასევე კერძო კომპანიებს. გარდა ამისა, დავირუსებული ქსელების აღდგენა რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც დიდ დროს და რესურსებს მოითხოვს. როგორც ამერიკის თავდაცვის მდივანმა განაცხადა მასიური კიბერ შეტევის უკან რუსეთი იდგა, თუმცა კიბერექსპერტები არ გამორიცხავდნენ ჩინეთის როლს აღნიშნული თავდასხმის განხორციელებაში [3].

როგორც ვხედავთ თვით ამერიკამაც ვერ შეძლო კიბერშეტევებთან გამკლავება. მეტიც, კიბერ შეტევა შეუმჩნეველი იყო რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ არ შეაღწია პენტაგონის დაცულ ფაილებში.

გამომდინარე იქიდან, რომ კიბერშეტევებს არ აქვს საზღვრები, რთული გახდა ატრიბუცია, თუ ვინ იდგა განხორციელებული მასიური კიბერშეტევის უკან. პირველად, ექსპერტები არ

გამორიცხავდნენ ჩინეთის როლს, სანამ საბოლოოდ არ დადასტურდა, რომ აღნიშნული კიბერშეტევა კრემლის მიერ მხარდაჭერილმა კიბერაქტორებმა განახორციელა.

კიბერ საფრთხეების განეიტრალება ეროვნულ დონეზე ვერ ხერხდება, ვინაიდან სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ადეკვატური ტექნოლოგია, რომ კიბერთავდასხმების და კიბერდანაშაულის განეიტრალება დროულად შეძლონ. სწორედ ამიტომ საჭიროა კოლექტიური მიდგომა და კოლექტიურ თავდაცვაზე ფიქრი, რომ დაცული იყოს კრიტიკული ინფრასტრუქტურა. კიბერსივრცეში გამეფებული ანარქია ხელსაყრელ პირობებს უქმნის კიბერაქტორებს, წარმატებით განახორციელონ მავნე კიბერშეტევები. კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა შექმნილი მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის სფეროებში. ისინი ხშირად ფინანსურად მოტივირებული კიბერკრიმინალების სამიზნე ხდებიან და განიცდიან უზარმაზარ ფინანსურ ზარალს.

ნათელი მაგალითია ამერიკულ კომპანია „მაიკროსოფტი“, რომელმაც დიდი ფინანსური ზარალი განიცადა მასშტაბური კიბერ დაჯგუფებების მხრიდან, რომელიც განახორციელა რუსეთის საგარეო დაზვერვის რუსულმა კიბერდაჯგუფებამ.

ამერიკის კიბერუსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების სააგენტომ (CISA) გამოაქვეყნა საგანგაშო ინფორმაცია რუსული მხრიდან (Advanced Percictent Threat (APT)) მავნე კომპრომატირებული პროგრამების შესახებ, რომელიც აღმოჩენილი იქნა ე.წ. ღრუბლოვან სივრცეში (claud) და დაადასტურა რუსი ჰაკერების წვდომა კერძო და საჯარო სექტორების ქსელებზე, რომელიც გრძელდებოდა კომპანია SolarWinds Orion-ის ჰაკერული თავდასხმის შემდგომაც. მკვლევარების მიერ წინასწარი გათვლა ადასტურებს, რომ 2021 წლისათვის კიბერშეტევების შედეგად მიყენებულმა ზარალმა 6 ტრილიონ დოლარს მიაღწია [4].

წინარე მაგალითი ნათლად გვაჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, რომელსაც დღეისათვის კიბერთავდაცვის უდიდესი მექანიზმები გააჩნია და დიდ თანხას ხარჯავს კიბეუსაფრთხოების გასაძლიერებლად, მარტო ვერ უმკლავდება კიბერ გამოწვევებს. იქმნება პარადოქსული სიტუაცია, ვინაიდან რაც უფრო ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მოწყვლადი ხდება კიბერშეტევების მიმართ, ვინაიდან კრიტიკული ინფრასტრუქტურის ყველა სფერო თანამედროვე ჭკვიანი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი და შესაბამისად კიბერაქტორების მთავარ სამიზნეს წარმოადგენს; როდესაც კიბერდანაშაულზე და კიბერტერორიზმზე ვსაუბრობთ, საჭიროა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: რატომ ვერ თანამშრომლობენ სახელმწიფოები კიბერუსაფრთხოების სფეროში გლობალურ დონეზე და რა უშლის ხელს კიბერკრიმინალური ეკოსისტემის გასანადგურებლად ქვეყნების კოლაბორაციას? არსებობს უამრავი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც ხელს უშლის სახლემწიფოებს შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასა და კოლექტიური თავდაცვის მექანიზმის განვითარებას. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - რატომ ვერ შექმნეს სახელმწიფოებმა დღემდე უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც კიბერდანაშაულის აღმოფხვრით იქნებოდა დაკავებული? ეს პრობლემა შეიძლება ავხსნათ პოლიტიკური რეალიზმის თეორიით.

პოლიტიკური რეალიზმის მეთოდოლოგიას დიდი ადგილი უჭირავს 21-ე საუკუნის კიბერპოლიტიკაში. ზოგიერთი მკვლევარი და მეცნიერი რეალიზმს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან ჩარჩოდ კიბერსივრცის გასაგებად. მკვლევარები რეარდონი და ჩოურჩი (Reardon and Choucri 2012) განმარტავენ რომ: „შეკავების, კრიზისის მართვის და კონფლიქტის დარეგულირების რეალისტური თეორიები შეიძლება გამოყენებულ იქნას, იმის დასადგენად ხდება თუ არა კიბერსისვრცის სტაბილიზაცია ან დესტაბილიზაცია, იქნება თუ არა კიბერ ტექნოლოგიები, როგორც კონფლიქტის თუ მშვიდობის წარმოშობის ახალი წყარო, ან შეეჯიბრებიან თუ არა სახელმწიფოები ერთმანეთს გამალებულ კიბერ შეიარაღებაში“.

ზოგადად ითვლება, რომ კიბერკონფლიქტის შესწავლა დაიწყო მაშინ, როდესაც არქუილამ და რონფელდმა (Arquilla and Ronfeldt 1993) შეიმუშავეს „კიბერ ომის“ და ,,ინტერნეტ ომის“ (netwar) ცნებები. მათ იწინასწარმეტყველებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად ომის წარმოების ტრანსფორმაცია. ხოლო ვალერიანო და მანეზი (Valeriano and Maness 2015) განმარტავენ, რომ კონფლიქტის ეს ფორმა კიბერსივრცეში ითვალისწინებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მავნე და დესტრუქციული ქმედებების გასახორციელებას, რომელიც გამიზნულია შეცვალოს და გავლენა მოახდინოს ქვეყ-

ნებს შორის დიპლომატიურ და სამხედრო ურთიერთანამშრომლობაზე.

პოლიტიკური რეალიზმის თეორიის საფუძვლები შეიძლება მივუსადაგოთ ძველი საბერძნეთის ისტორიკოსის **თუკიდიდეს** მიერ პელოპონესის ომის აღწერილობას ნაშრომში „ისტორია“ (ძვ. წ. V საუკუნე), სადაც მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო პოლიტიკის ამორალურ ხასიათს და ძალაუფლების მნიშვნელობას გადარჩენისათვის. სახელმწიფოთა შორის უთანასწორობას განიხილავდა როგორც გარდაუალ და ბუნებრივ პროცესს [2].

პოლიტიკური რეალიზმის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს **ჰანს** მორგენთაუ (1904-1980), რომელმაც რეალიზმი საერთაშორსო ურთიერთობის თეორიად განავითარა თავის მთავარ ნაშრომში „ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისთვის“ (1948) „საერთაშორისო პოლიტიკა, ისევე როგორც ყველა პოლიტიკა, არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის“ [5].

ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები თანამშრომლობენ ეკონომიკურ, იურიდიულ, სამხედრო, ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროებში. არაერთგვაროვანია საერთაშორისო პოლიტიკაში სხვადასხვა სახელმწიფოს ჩართულობა სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მიხედვით. იგი გამოყოფს სახელმწიფოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის სამ მოდელს: ძალაუფლების შენარჩუნებაზე ორიენტირებული, ძალის გაფართოებაზე და ძალის დემონსტრირებაზე ორიენტირებული პოლიტიკა [6].

პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრები **პაულ დ.სენეზი და ჯონ ა. ვასქეზის** თეორიით: სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები, კოლაბორაციები, საფრთხედ აღიქმება სხვა სახელმწიფოების მიერ, რომლების პარალელურად იწყებენ თავიანთი უსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდას. ამ პროცესს **ჩარლზ გლასერი** (Glaser, 2004) სპირალურ მოდელს უწოდებს, სპირალური მოდელი იწვევს გამალებული შეიარაღების ესკალაციას და ძალთა ბალანსის სწრაფ ცვლილებას, რაც ზრდის დაძაბულობას საერთაშორისო არენაზე და კონფლიქტების წარმოშობის დიდ რისკს.

პოლიტიკური რეალიზმის თეორია სახელმწიფოებს აღწერს, როგორც ეგოისტურ, რაციონალურ აქტორებს, რომლებიც ძალაუფლების მოყვარეობით გამოირჩევიან და მიისწრაფვიან ძალაუფლების მაქსიმალიზაციისაკენ. პოლიტიკური რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების სევდიან სურათს გვიხატავს. საერთაშორისო ურთიერთობები დანახულია, როგორც მკაცრი კონკურენცია სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები გააჩნიათ და თავიანთი ეგოისტური მისწრაფებების გამო, არანაირი საფუძველი არ აქვთ რომ ერთმანეთს ნდობა გამოუცხადონ.

ანარქიულ საერთaშორისო სისტემაში სრული უნდობლობაა გამეფებული. ასეთ სისტემაში სახელმწიფოები მუდმივად საფრთხის მოლოდინში არიან. მირშაიმერი სამართლიანად მიიჩნევს, რომ „სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში ნდობის ადგილი თითქმის არ არის. რა თქმა უნდა შიშის მასშტაბი იცვლება დროსა და სივრცეში, მაგრამ უმნიშვნელო ვერ იქნება. ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს თვალთახედვით, ყველა სხვა დიდი სახელმწიფო პოტენციური მტერია... სახელმწიფოები ერთმანეთს არ მხოლოდ მეტოქეებად, არამედ პოტენციურ მოსისხლე მტრებად განიხილავენ. ერთი სიტყვით პოლიტიკური ანტაგონიზმი დიდია, როგორ წესი, მძაფრია, რადგან ფსონები დიდია“ [7. 59].

ვინაიდან თითოეული სუვერენული სახელმწიფო საკუთარ უსაფრთხოებას აყენებს წინა პლანზე, ამიტომ არ არსებობს კოლექტიური უსაფრთხოება. ამის გამო მსოფლიოში იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც „უსაფრთხოების დილემის“ სახელწოდებით არის ცნობილი [8].

ანალოგიური ვითარებაა კიბერსივრცეშიც: თითოეული სახელმწიფო საკუთარ კიბერუსაფრთხოებას ანიჭებს უპირატესობას და დიდ ყურაღდებას არ უთმობს კოლექტიურ უსაფრთხოებას. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში გამეფებულია საყოველთაო უნდობლობა, რაც აიძულებს სახელმწიფოს თავად იზრუნოს საკუთარ კიბერუსართხობაზე და საკუთარი რესურსებით დაიცვას კიბერსივრცე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სრულიად დაუცველად გრნობს თავს და იძულებულია გაამლიეროს საკუთარი კიბერთავდაცვის მექანიზმები და ეროვნული რესურსების მეშვეობით განამტკიცოს საკუთარი უსაფრთხოება. სახელმწიფო არ არის დარწმუნებული, რომ მასზე კიბერთავდასხმას სხვა სახელმწიფო არ განახორციელებს. ნეორეალიზმის მიმდევარი **ჯეიმს ადამ-**

სი კიბერსივრცეს უწოდებს ახალ საერთაშორისო ბრძოლის ველს [9. 98-112].

ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში როდესაც ერთი ქვეყანა ზრდის საკუთარ კიბერშესაძლებლობებს, ამას მისი კონკურენტი სახელმწიფო საფრთხედ აღიქვამს, რაც აიძულებს მას რომ მსგავსი ნაბიჯები გადადგას და თავადაც იზრუნოს საკუთარი კიბერპოტენციალის და უსაფრთხოების გაზრდაზე. „უსაფრთხოების დილემა“ უფრო მწვავეა, როდესაც ძნელია განასხვავო ერთმანეთისაგან ქვეყნის მიერ თავდასხმითი და თავდაცვითი კიბერ შესაძლებლობების განვითარება. მაგალითისათვის, ამერიკის კიბერსარდლობას აქვს, როგორც თავდაცვითი ასევე თავდასხმითი ფუნქცია. მაგალითისათვის, გაურკვევლობას იწვევს გამოყოფილი რესურსი მოხმარდა თავდაცვითი თუ თავდასხმითი კიბერ პოტენციალის გაზარდას. რაც დაბნეულობას იწვევს და ზრდის კონკურენციას სახელმწიფოებს შორის კიბერსივრცეში.

სახელმწიფოებს შორის კონკურეციას უსაფრთხების სფეროში დასასრული არ უჩანს და ამიტომაც ვერც ერთი ქვეყანა ბოლომდე დაცულად ვერ გრძნობს თავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსაფრთხოების დილემა“ ნიშნავს იმას, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე საერთაშორისო არენაზე, შენი უსაფრთხება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი. კიბერთავდაცვის მექანიზმების განვითარებასთან ერთად. იხვეწება და ვითარდება კიბერდანაშაული და კიბერსივრცეში წარმოების ბრძოლის მეთოდები. სწორედ ასეთი რთული ვითარების გამო, ვერც ერთი სახელმწიფო ბოლომდე დაცულად ვერ გრძნობს თავს.

რეალიზმის თეორიის თანახმად სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არსებობს ავტორიტეტული ორგანო, რომელიც სახელმწიფოების ქმედებებს გააკონტროლებს და მათ რეგულაციებს დაუწესებს და დასჯის ისეთ ქვეყნებს, რომლებიც უხეშად არღვევენ საერთაშორისო კონვენციებს და ნორმებს. სახელმწიფოები დამოუკიდებლად მოქმედებენ და თავიანთ უშიშროებაზე თავად ზრუნავენ (მათ შორის კიბერ უშიშროებაზე). ბევრ შემთხვევაში კიბერ დომეინი (კიბერსივრცე) შეიძლება გავაიგივოთ რეალისტურ სამყაროსთან თავისი ანარქიული ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც აიხსნება ინსტიტუციური მმართველობის არარსებობით; სადაც როგორც ზემოთ ვახსენეთ, ასევე გამეფებულია ანარქია. ანარქიული საერთაშორისო სისტემა „თვითდახმარების“ სისტემაა, რასაც ინგლისურად „self-help system“ ჰქვია [10].

რატომ იყენებენ ამ ტერმინს რეალისტები, რისი თქმა სურთ მათ?

ამით ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები მუდმივად საფრთხის მოლოდინში არიან და ასეთ სისტემაში საყოველთაო უნდობლობაა გამეფებული. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოები არიან სუვერენული ერთეულები და არ არსებობს მათზე მაღლა მდგომი ავტორიტეტული ორგანო, ისინი იძულებული არიან თავად იზრუნონ საკუთარ გადარჩენაზე (მათ შორის საკუთარ კიბერუშიშრობაზე) და არ დაეყრდნონ სხვა სახელმწიფოებს. ამ მიდგომის თანახმად სახელმწიფოები ცხოვრობენ „თვითდახმარების სისტემაში“.

სისტემის ყველა ერთეულის მიზანია საკუთარი უსაფრთხოების გარანტირება და სუვერენიტეტის შენარჩუნება. საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფობს შორის არსებული მუდმივი უნდობლობა აიძულებს მათ იფიქრონ ძალაუფლების მაქსიმალიზაციისაკენ. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები ერთმანეთს როგორც მოსისხლე მტრებს და კონკურენტებს ისე აღიქვამენ.

ანალოგიური ვითარებაა კიბერსივრცეშიც, ვინაიდან ავტორიტეტული ორგანოს არარსებობა აიძულებს თითოეულ სახელმწიფოს თავის კიბერუშიშროებაზე თავად იზრუნოს. სახელმწიფოები არ ენდობიან ერთმანეთს და საპასუხოდ ზრდიან თავიანთ კიბერ პოტენციალს. რეალიზმის თეორია სვამს კითხვას თუ ვის ხელშია კიბერ ძალა და როგორ აისახება ის საერთაშორისო ურთიერთობების სტაბულურობაზე. საჭიროა ქვეყნებმა სიფრთხილე გამოიჩინონ კიბერსივრცეში და შექმნან მდგრადი კიბერთავდაცვის სისტემა.

სახელმწიფოები ერთმანეთს არ ენდობიან და თითოეული სახელმწიფო ცდილობს საკუთარი ძალებით და რესურსებით კიბერსივრცის დაცვას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს საკმარისი რესურსი რომ ეროვნულ დონეზე გაუმკლავდეს კიბერსაფრთხეებს. სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული კიბერშეტევები ნებისმიერი წერტილიდან შეიძლება განხორციელდეს, დაუდგენელი დარჩეს თუ ვინ იდგა რეალურად ამ შეტევის უკან, ზოგჯერ

კვალის არევის მიზნით კიბერაქტორები მცდარ კვალს ტოვებენ. ნათელი მაგალითია ზემოთ ხსენებული მასშტაბური კიბერშეტევა „Solar Wind-ზე“, როდესაც არსებობდა ეჭვი რომ შეტევა განახორციელა ჩინეთის მიერ დაფინანსებულმა კიბერ აქტორებმა, თუმცა შემდგომ დადგინდა, რომ აღნიშნული მასშტაბური კიბერშეტევა კრემლის მიერ მხარდაჭერილი კიბერკრიმინალების მიერ იყო ინიცირებული. ეს მაგალითიც ნათლად მოწმობს, რომ კიბერსაფრთხეებთან და კიბერრისკებთან გასამკლავებლად, საჭიროა კოლექტიური ძალისხმევა და გლობალურ დონეზე პრობლემის მოგვარება. ანარქიული საერთაშორისო „გარემო“ ხელს უშლის კოლექტიური კიბერთავდაცვის მექანიზმის განვითარებას და უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმირებას, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოებას დააყენებს წინა პლანზე რომ მსოფლიოს თავიდან აარიდოს კიბერტორირიზმი და კიბერდანაშაული.

კიბერუსაფრთხოების წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყნები დამოუკიდებლად ახორციელებენ, რაც მნიშვნელოვან შედეგს ვერ იძლევა ვინაიდან კიბერ შეტევებს საზღვრები არ გააჩნია. არც ერთ სახელმწიფოს არ შესწევს ძალა მარტომ გააკონტროლოს ვირტუალური სივრცე, სახელმწიფოები, რომლებიც დგანან კიბერ გამოწვევების წინაშე მოითხოვენ ახლებურ მიდგომას კიბერ რისკების გასამკლავებლად.

კიბერსაფრთხეებთან და კიბერრისკებთან გასამკლავებლად, საჭიროა კოლექტიური ძალისხმევა და გლობალურ დონეზე პრობლემის მოგვარება.

ანარქიული საერთაშორისო „გარემო“ ხელს უშლის კოლექტიური კიბერთავდაცვის მექანიზმის განვითარებას და უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმირებას, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოებას დააყენებს წინა პლანზე რომ მსოფლიოს თავიდან აარიდოს კიბერტორირიზმი და კიბერდანაშაული. კიბერშეტევებთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული უსაფრთხოების არქიტექტურა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსხვილმასშტაბიანი და მულტივექტორული მეგა შეტევები.

NATO JIADZE

REALISM AND CYBERSECURITY

Summary

With the proliferation of Information and Communication Technologies (ICTs), cyber security has become both a major source of concern for policy-makers and of great interest to scholars of international relations. From the financial loss to businesses through cybercrime, the theft of classified government data, or the targeting of critical infrastructure, cyber security poses a significant challenge to the economic and national security of countries globally. Cyberspace is now considered the fifth domain of warfare after land, sea, air, and space, and traditional frameworks can help us understand this relatively new form of conflict.

Based on analysis and research realism remain a relevant framework for identifying important security-related issues in the cyber domain and can provide useful insights about some enduring characteristics of international relations.

This article analyses cyber domain which resembles a realist world with its anarchical nature and lack of institutional governance where states fear one another and develop their capabilities in response.

Key words: *realism, collective security, security dilemma, cyber-security.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Charles W. Kegley and Gregory A.- Raymond Realism in the Age of Cyber Warfare - April 26, 2021- Realism in the Age of Cyber Warfare - Ethics & International Affairs : Ethics & International Affairs (ethicsandinternationalaffairs.org)

2. Graig A, Valeriano B- Realism and CyberConflict: Security in the Digital Age, Feb 2018 - Realism and Cyber Conflict: Security in the Digital Age (e-ir.info) -ნანახია 8.03.2022
3. https://news.yahoo.com/secretary-state-pompeo-says-hack-065008748.html?guccounter=1&guce_referrer=aHR0cHM6Ly9pbnQuc2VhcmNoLm15d2F5LmNvbS8&guce_referrer_sig=AQAAAEEiek0aJzB6ZBzZbP8RCr7EeXVzvU9r70yKwRYygpxiJst8QNCkeeG5gSdtlKD3Odq-gVtXV49lqYCQ_fdBizdBQh10lLGs6AjS3IqP2daENbIUI8aLp2H_Ln5g28RmmO_HFxuiUCafkZ-O33bRhISfCxC6TaOOJj2vj5Pdahnt ნანახია 12.11.2020.
4. https://www.meritalk.com/articles/cisa-alert-flags-post-hack-apt-threat-in-microsoft-cloud-environment/ ნანახია 3.01.2021.
5. Stanford Encyclopedia of Philosophy, “Political Realism in International Relations”,First published Mon Jul 26, 2010; substantive revision Wed May 24, 2017Political Realism in International Relations (Stanford Encyclopedia of Philosophy)
6. *Morgenthau H. J.* Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace“. Second Edition, Alfred A. Knopf: New York, 1955
7. არტი რ, ჯევრისი რ - საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2011. გვ.59 საერთაშორი- სო_პოლიტიკა_არტი.pdf (iliauni.edu.ge)
8. რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები -მესამე გამოცემა-ალექსანდრე რონდელი - საერთაშორისო ურთიერთობები PDF - EON.GE
9. Adams J. "Virtual Defense" Foreign Affairs Vol. 80, No. 3 (May - Jun., 2001).
10. Political Realism in International Relations, published Mon Jul 26, 2010; substantive revision Wed May 24, 2017 https://plato.stanford.edu/entries/realism-intl-relations/ ნანახია 9.02.2021

ნათია მამალაძე
წარმოადგინა პროფ. ნატო სონღულაშვილმა

კულტურული ასპექტები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში

ცივი ომის დასრულებისა და გლობალიზაციის პროცესების განვითარებასთან ერთად, კულტურამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში და ამასთან ერთად გაიზარდა მისი გავლენა სახელმწიფოთა ურთიერთქმედებებზე. დღევანდელ მსოფლიოში მიზნების მისაღწევად მძიმე ძალის გამოყენება კვლავ აქტუალურია, თუმცა „რბილი ძალა“ და მისი მექანიზმები სულ უფრო პოპულარული და აქტიური ხდება.

ჯოზეფ ნაის განმარტებით, „რბილ ძალას“ ხშირად „მიმზიდველ ძალას“ უწოდებენ. მისი მიმზიდველობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებითა და მახასიათებლებით. რაც მთავარია, ეს არის ფასეულობათა სისტემების თანხვედრა. „რბილი ძალის“ მოპოვება შესაძლებელია ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა დიპლომატია, ვაჭრობა, ტურიზმი, მედია, გაცვლითი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები, კატასტროფების დროს ჰუმანიტარული დახმარება და ა.შ.

რუსეთის დღევანდელი „რბილი ძალის“ პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება საბჭოთა კავშირის პოლიტიკისაგან. დღესაც ვაწყდებით აგიტაციას და პროპაგანდას, რომელიც მიმართულია ამერიკისა და ევროატლანტიკური სტრუქტურების დაკნინებისკენ. ამ ეტაპზე რუსეთი უფრო მეტ რესურსს ხარჯავს საგანმანათლებლო პროგრამებზე. რაც შეეხება რელიგიას, რუსეთი კვლავ წარმოაჩენს თავს ქრისტიანული ტრადიციებისა და ღირებულებების ერთადერთ დამცველად. „რბილი ძალა“ ყოველთვის თან ახლდა რუსეთის „მყარ ძალას“ საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. განსაკუთრებით ბოლო წლებში, ინტენსიურად ვლინდება „რბილი ძალის“ ის მექანიზმები, რომლებსაც რუსეთი იყენებს სხვადასხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოსაპოვებლად.

სახალხო დიპლომატია კიდევ ერთი ტერმინია, რომელიც დღეს აქტიურად გამოიყენება. ის ყურადღებას ამახვილებს ადამიანებზე და მუშაობს იმაზე, რომ სახელმწიფოს მოსახლეობამ გააცნობიეროს კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკა და გზავნილები. განათლების, ხელოვნებისა და კულტურის გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო მაუწყებლობა არის სახალხო დიპლომატიის წარმართვის ძირითადი ინსტრუმენტები. რომლის მიზანია დამოკიდებულებებისა და კულტურების ცნობიერების ამაღლება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთი ინტენსიურად იყენებს პროპაგანდას როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე საზღვრებს შიგნითაც. ამიტომ, ამ ფაქტორიდან გამომდინარე იზრდება სახალხო დიპლომატიის როლი. კულტურა და ღირებულებები ფესვგადგმულია სამოქალაქო საზოგადოებაში. შესაბამისად, შესაძლებელია მთლიანად შეიცვალოს და აღდგეს სამოქალაქო აზრი სწორი მექანიზმების შემუშავებით და სახალხო დიპლომატიაში აქტიური ჩართულობით.

რა თქმა უნდა მისაღებია კულტურული ურთიერთობების აღდგენა და შენარჩუნება ნებისმიერ საზოგადოებასთან და/ან ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს ამ ერთი შეხედვით უწყინარ კულტურული ურთიერთობებს, განსაკუთრებით დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ჩნდება „რბილი ძალის“ და „ჭკვიანი ძალის“ მექანიზმები. მოსკოვი ისტორიულად იყენებდა კულტურას და იდეოლოგიას, როგორც ექსპანსიის, ბატონობისა და ასიმილაციის იარაღს, განსაკუთრებით ისეთი პატარა ერების წინააღმდეგ, როგორიც საქართველოა.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების აღდგენით მოსკოვი აყალიბებს ახალ სტრატეგიას თბილისზე რუსული კულტურული გავლენის დასაბრუნებლად. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველომ არაერთი ნაბიჯი გადადგა ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციისკენ, მაგრამ ვერ შეძლო რუსული კულტურული თუ იდეოლოგიური ბორკილებისაგან თავის დაღწევა. ამის გამო ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრა რუსეთთან კულტურული ურთიერთობის კონტექსტში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძალიან მჭიდრო კულტურული კავშირები ჰქონდა რუსეთთან და რუსულ საზოგადოებასთან მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავ-

შირის დროსაც კი, ამ კულტურულმა კავშირებმა ხელი არ შეუშალა რუსეთს 1990-იან წლებში აფხაზ და ოს სეპარატისტთა დახმარებაში ან თუნდაც ომის დაწყებაში 2008 წელს. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: რამდენად მომგებიანი იქნება რუსეთთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა საქართველოსთვის.

საკვანძო სიტყვები: *რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, კულტურა, რბილი ძალა, მართლმადიდებლობა, ღირებულებები.*

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მანძილზე კულტურა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. კულტურის მრავალი განსაზღვრება არსებობს, რაც თავის მხრივ კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული. ანთროპოლოგი ედუარდ ტეილორი კულტურას განმარტავს, როგორც „მთლიან კომპლექსს, რომელიც მოიცავს ცოდნას, კანონებს, ჩვეულებებს და სხვა უნარებს, რომელსაც ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი ეუფლება“ [1].

ცივი ომის დასრულების და გლობალიზაციის პროცესების განვითარების შედეგად ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პირობებში კულტურის მნიშვნელობა ახალი კუთხით წარმოჩინდა და გაიზარდა მისი გავლენა სახელმწიფოთა ურთიერთობებში.

დღევანდელ მსოფლიოში ხისტი ძალისმიერი მეთოდების გამოყენება მიზნის მისაღწევად აქტუალურია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სულ უფრო ძლიერდება „რბილი ძალა“ და მისი მექანიზმები. ტერმინი „რბილი ძალა“ ჯოზეფ ნაიმ პირველად გამოიყენა 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, შემდგომ კი 2004 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რბილი ძალა-მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“. „რბილი ძალა“ ეს არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატენების ან გადახდის, არამედ დარწმუნების და მიმზიდველობის მეშვეობით“. რბილი ძალის თეორია ეფუძნება თანამშრომლობას და იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ რესურსებს ანიჭებს უპერატესობას. ნაის მტკიცებით, თუ სახელმწიფოს დადებით იმიჯის შექმნაზე კულტურული, სამეცნიერო, დიპლომატიური და საგანმანათლებლო ფაქტორები მუშაობენ, აუცილებლობას არ წარმოადგენს სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება მიზნის მისაღწევად [2. 208].

უნდა აღინიშნოს, რომ „რბილი ძალა“ არა მხოლოდ სახელმწიფოს დონეზე, არამედ შიდა საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც ხშირად გამოიყენება გარკვეული ჯგუფის აზრთა სამართვად ან სრულიად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური ფონის შესაქმნელად. „რბილი ძალის“ მექანიზმების წარმატებულობა გამოიხატება იმაში, რომ აღიარებულ და დაცულ იქნას კულტურული მემკვიდრეობა და შემდგომ ეს მემკვიდრეობა გამოყენებულ იქნას საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, მიმზიდველობის შესაქმნელად, იმიჯის ასამაღლებლად, კონკრეტული საგარეო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის რბილი ძალის რესურსები მიმართული იყო იმისკენ, რომ დაერწმუნებინა მსოფლიო კომუნისტური სისტემის მიმზიდველობაში. საკმაოდ ბევრი ფულადი რესურსი იხარჯებოდა სახალხო დიპლომატიის, რადიო-მაუწყებლობების, კულტურის განვითარებაზე. დიდი თანხა იხარჯებოდა ცეკვის ანსამბლებზე, სახელმწიფო თეატრებზე, საბალეტო დასებზე, სპორტსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამერწმუნებით, რომ არც რუსული კულტურული მემკვიდრეობა ჩამოუვარდება ამერიკულს. თუმცა აქ განსხვავება ვფიქრობ, მაინც ისტორიაშია. რუსეთისათვის ძირითადად მიზნის მიღწევის საშუალებას ყოველთვის ხისტი, სამხედრო ძალა წარმოადგენდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, „რბილი ძალის“ ფენომენი რუსეთისთვის საკმაოდ ახალია და ჯერ კიდევ გამორკვევის პროცესშია, თუ რა რესურსები გააჩნია მას და როგორ მართოს ეს რესურსები სწორად.

2012 წლიდან „რბილი ძალის“ გამოყენება აქტუალური გახდა რუსეთის პოლიტიკაში. პუტინის წინასაარჩევნო სტატიაში „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“, რომელიც 2012 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, მკაფიოდ არის დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი გავლენის სფეროების გასაფართოვებლად იყენებს „რბილ ძალას“. ეს ყველაფერი კი, როგორც სტატიაშია ნახსენები ემსახურება ტერიტორიების გაკონტროლებას, პოლიტიკურ დამონებას და სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ექსპლუატაციას. ვლადიმერ პუტინის თქმით, „რბილი ძალის“ მექანიზმების

მთავარი მიზნებია ექსტრიმიზმისა და სეპარატიზმის პროვოცირება, მასების მანიპულაცია, სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში ჩარევა და ა.შ

2012 წლის ივლისში გამოსვლის დროს კი უკვე რუსეთის პრეზიდენტმა, პუტინმა განსაზღვრა „რბილი ძალა“ არა მხოლოდ, როგორც უარყოფითი ფენომენი, არამედ ისაუბრა მის დადებით გამოვლინებებზე და აღნიშნა, რომ „რბილი ძალის“ მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საკუთარი ინტერესების გასატარებლად. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, რუსეთის დიპლომატიური კორპუსის აქტივობებსა და ჩართულობაზე. 2013 წელს ტერმინი „რბილი ძალა“ გამოჩნდა დოქტრინის ახალ ვერსიაში და განისაზღვრა როგორც- „საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება საინფორმაციო, კულტურული, და ტრადიციული დიპლომატიის ალტერნატიული საშუალებებით“.

ცხადია, რუსეთისათვის გავლენის მოხდენის უმთავრესი არეალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიაა. რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი კი სწორედ რელიგიაა. რელიგია, რომელიც კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და რომლის მიმართაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა ფრიად სენსიტიურია, განსაკუთრებით კი საქართველო. რუსეთის მხრიდან მუდმივად ხდება აპელირება იმ ფაქტზე, რომ ევროპასთან ინტეგრაცია „გახრწნის“ ქართველ ერს და რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც იზიარებს ოჯახის, სიწმინდის ფასეულობებსა და კულტს არის რუსეთი. მუდმივად ხდება იმ აზრის დაფიქსირება, რომ ლიბერალური დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენას, ტრადიციებს და კულტურულ ფასეულობებს [3. 122].

ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც ერთნაირი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური პრორუსული მედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ მითის განვრცობით საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები გამოირჩევიან.

დანამდვილებით რთულია იმის თქმა, კლერიკალების რა ნაწილს შეადგენენ ისინი, არიან უმრავლესობაში თუ უმცირესობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ბევრი მაღალი რანგის სასულიერო პირები ქადაგებებში ავითარებენ თეზისს რუსეთთან ერთობისა და დასავლეთთან მსოფლმხედველური და მორალური შეუთავსებლობის შესახებ. რელიგია და კულტურული მეხსიერება რუსეთის რბილი ძალის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. მართლმადიდებლური ქრისტიანული ღირებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობის უმთავრესი ნაწილისათვის, შესაბამისად ხშირად სწორედ რელიგია, კულტურული და ისტორიული ასპექტები განსაზღვრავს მოსახლეობის არჩევანს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში.

ვფიქრობ, რუსეთის ახლანდელი პოლიტიკა „რბილი ძალის“ გამოვლინებასთან დაკავშირებით დიდად არ განსხვავდება საბჭოთა კავშირის მექანიზმებისგან. დღესაც ვხვდებით აგიტაციას, პროპაგანდას, რომელიც მიმართულია ამერიკისა და ევროატლანტიკური სტრუქტურების დაკნინებისკენ. ამ ეტაპისთვის რუსეთის მხრიდან მეტი რესურსი იხარჯება საგანმანათლებლო პროგრამებზე. რელიგიური კუთხით რუსეთი კვლავ წარმოაჩენს თავს მსოფლიოში, როგორც ქრისტიანული ტრადიციებისა და ფასეულობების ერთადერთ დამცველად.

„რბილი ძალა“ ყოველთვის იყო რუსეთის „ხისტი ძალის“ საგარეო პოლიტიკის თანმდევი. განსაკუთრებით ბოლო წლებში სულ უფრო მეტად იკვეთება „რბილი ძალის“ ის მექანიზმები, რასაც რუსეთი ინტენსიურად იყენებს. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ კულტურის როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, აუცილებელია განვმარტოთ რას წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. თავის მხრივ ეს არის დოკუმენტი, სადაც გაწერილია ის პრიორიტეტები და მიმართულებები რაზეც უნდა მოხდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს ყურადღების ფოკუსირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. თავისთავად კონცეფცია იცვლება იმის მიხედვით თუ რა მიმართულებას ირჩევს კონკრეტული სახელმწიფო და რა ინტერესები გააჩნია მას.

2013 წლის კონცეფციის მახასიათებლების განხილვისას დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებდა იმ გაზრდილ პასუხისმგებლობაზე, რომელიც რუსეთს გააჩნდა საერთაშორისო არენაზე. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა კოლექტიური უსაფრთხოების საკითხებს. მნიშვნელოვან მიმართულებად დოკუმენტში მოცემულია „რუსეთის პოზიციების გამყარება

გლობალურ სამეურნეო ქსელში. რუსეთის საქონელის, ინვესტიციების და პროდუქციის დაცვა დისკრიმინაციისგან“. ასევე ცალკე არის განხილული უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვეთის საკითხი. „დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას უკრაინის საშინაო კონფლიქტების დარეგულირებისთვის“ [4. 26].

აღნიშნულ კონცეფციაში ნათლად არის დაფიქსირებული, რომ რუსეთი რუსეთი „ნეგატიურად უყურებს ალიანსის (ნატოს) გაფართოებას, მისი სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მიახლოებას და მისი სამხედრო აქტივობებს რუსეთის საზღვრის სიახლოვეს“. რაც შეეხება უკვე 2016 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, აქ რამდენიმე ცვლილება შეინიშნება. მაგალითად, საქართველოსთან მიმართებაში საგულისხმოა რუსეთის ფაქიზი დამოკიდებულება. ამაზე მიუთითებს 59-მუხლში გამოხატული დაინტერესება, რომ თბილისთან მიმართებაში ყველა იმ სფეროში მოხდეს ურთიერთობების ნორმალიზება, რომლებთან დაკავშირებითაც მზაობა ქართულ მხარესაც აქვს [5. 32-40].

როგორც ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. საბჭოთა კავშირი კი მისთვის აღიქმება არა როგორც გარკვეული იდეოლოგიის მატარებელი ტერიტორია, არამედ როგორც ტერიტორია, რომელიც არის რუსული იმპერიის შთამომავალი. აქედან გამომდინარე პუტინი თვლის, რომ პოსტ-საბჭოთა ტერიტორიები არის რუსული სახელმწიფო ინტერესების ობიექტი და არც ერთი სახელმწიფოს თუ სტრუქტურულ გაერთიანებას არ აქვს უფლება ჩაერიოს ამ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებში, გარდა რუსეთისა. ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს დემოკრატიის განვითარებასა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, ის მაინც გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, რაც იძლევა დესტაბილიზაციის შექმნის შანსს. ამას თან ერთვის ოკუპირებული ტერიტორიები. ნამდვილად ყურადსაღებია, რომ საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში დიდი როლი ენიჭება „რბილი ძალის“ ფენომენს. ფაქტია, რუსეთი საკუთარი ინტერესების დაცვას არა მხოლოდ დიპლომატიის, არამედ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ჰუმანიტარული, კულტურული, საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით აპირებს.

რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული ასექტების წარმოსაჩენად, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანია „მოსკოვი- მესამე რომი“-ს იდეის ახსნა, რომელიც XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა. ეს კონცეფცია უკავშირდება რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელიც თავიდან ექვემდებარებოდა ბიზანტიას, მაგრამ ვითარება შეიცვალა ბიზანტიის დასუსტებასა და მოსკოვის ამაღლებასთან ერთად. მესამე რომის თეორია მკაფიოდ ჩამოაყალიბა იღუმენმა ფილოფეიმ, რომლის თანახმადაც „ორი რომი დაეცა, მესამე დგას, მეოთხე აღარ იქნება“. ფილოფეის აზრით, მართლმადიდებლური სახელმწიფოების პოლიტიკური დაცემა განპირობებული იყო მართმადიდებლობის ღალატით. ფილოფეი ამბობდა, რომ მოსკოვის პოლიტიკური ბატონობა შედეგი იყო რელიგიური ურყევობისა. ნიშანდობლივია, ის ფაქტი, რომ „მესამე რომის“ იდეა გეოპოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს, რაც რუსეთის სახელმწიფოს მართმადიდებლური სამყაროს გამაერთიანებლად წარმოადგენს [6].

XIX საუკუნეში რუსეთში განვითარდა ორი იდეურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლებიც რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრას ცდილობდნენ. ერთნი იყვნენ მედასავლეთეები, რომლებიც განვითარების დასავლურ გზას მიიჩნევდნენ უნივერსალურად. მეორენი, სლავიანოფილები. ეს იყო პატრიოტული მოძრაობა. სლავიანოფილებმა პირველებმა ჩამოაყალიბეს მკაფიოდ დებულება, იმის შესახებ რომ რუსეთი განსხვავდება ევროპისაგან ძირითადი კულტურული, რელიგიური თუ სოციალური პარამეტრებით. სლავიანოფილების აზრით, რუსული საზოგადოების არსი მდგომარეობდა თემური საწყისების შენარჩუნებაში. ასევე აუცილებელია პანსლავიზმის ხსენება, რომელიც იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა იყო. პანსლავისტები მხარს უჭერდნენ სლავი ხალხების ერთიანობას და მათი კავშირის აუცილებლობას მწვავე საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. ეს მიმდინარეობა აქტიურად გვხვდებოდა ჩეხეთში, ხორვატიაში, სერბეთსა და ჩერნოგორიაში.

რუსეთის ცნობიერებაში „მესამე რომის“ იდეა საკმაოდ ღრმად არის ჩაბეჭდილი. შესაბამისად, რუსეთი, რომელსაც სურს აღადგინოს იმპერია, ყველა ბერკეტს გამოიყენებს პოსტსაბ-

ჭოთა ქვეყნებში გავლენის აღსადგენად, განსაკუთრებით კი რელიგიას. მართმადიდებლური ერთიანობის იდეა რუსეთის უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკას უკავშირდება.

ფრიად საყურადებოა, საქართველოში 2019 წლის, ივნისში მიმდინარე პროცესები. კონფლიქტებმა სწორედ მაშინ იჩინა თავი, როდესაც ტარდებოდა მართლმადიდებლური საპარლამენტთაშორისო ასამბლეის რიგით 26-ე სესია. ასამბლეის პრეზიდენტი, რუსეთის კომუნისტური პარტიის დეპუტატი სერგეი გავრილოვი საქართველოს პარლამენტში, სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. მის გამოსვლას კი მოჰყვა საპროტესტო აქციები „რუსეთი ოკუპანტიას“ ლოზუნგებით. შემდგომში მოვლენები საკმაოდ დაძაბულად ვითარდებოდა. საპროტესტო აქციებს მოჰყვა შეტაკება მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიას რუსეთი „რბილი ძალის“ მექანიზმად იყენებს, საქართველოს მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ამგვარი გამოვლინება „რბილი ძალისა“ საკმაოდ მომგებიანია რუსეთისათვის. ამ უკანასკნელს შეუძლია მარტივად წარმართოს თუნდაც საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოვლენები საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ.

რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული ინტერაქციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, 2013 წელს ანსამბლ „ერისიონის“ გამგზავრება რუსეთში საგასტროლოდ, რომელიც დასრულდა კრემლში გრანდიოზული კონცერტების სერიით. იმ დროინდელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მტკიცედ დაუჭირა მხარი კულტურული ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენდა აუცილებელობას მისი ქვეყნის რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების ნორმალიზებისთვის [7].

2012 წლის ნოემბერში, საქართველოს ახალი მთავრობის ნებართვით, რუსულ, მეტწილად კრემლის სატელევიზიო არხებს საშუალება მიეცათ ხელახლა გასულიყვნენ საკაბელო მაუწყებლობით საქართველოში. საქართველოს მთავრობამ დაბლოკა რუსული ტელეარხების მაუწყებლობა საკაბელო საშუალებით 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რათა შეეჩერებინა კრემლის მიერ წარმოებული პროპაგანდა. რუსული სატელევიზიო მაუწყებლობის განახლება მოსკოვს საშუალებას აძლევს, გავლენა მოახდინოს ქართულ საზოგადოებრივ აზრზე უამრავ პოლიტიკურ საკითხზე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე.

2021 წელს რუსთაველის თეატრის დასი მოსკოვში გაემგზავრა და მიიღო მონაწილეობა ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში. ზემო აღნიშნულს საქართველოს საზოგადოების ნაწილში მკვეთრი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ერთმანეთისაგან მიჯნავს პოლიტიკასა და კულტურას, უნდა აღინიშნოს რომ დღევანდელ საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოები ყველანაირ რესურსს მიმართავენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე გავლენის მოსახდენად. ზემოქმედების ერთ-ერთ წყაროდ კი კულტურა სახელდება. ამიტომ ისეთი სახელმწიფოსთვის როგორიც საქართველოა, საკმაოდ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ კულტურით და კულტურული ურთიერთობების აღდგენით დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ, თუმცა შევძლებთ რუსული მოსახლეობისათვის ქართული პოზიციის დაფიქსირებას რიგ საკითხებთან მიმართებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის, ისევე როგორც უამრავი სხვა სახელმწიფოსთვის „რბილი ძალის“ ცნება ახალი და უცხოა, შესაბამისად კარგად უნდა იქნას ჩამოყალიბებული კონკრეტულად რისი მიღწევა გვსურს რუსეთთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით და მოსალოდნელია თუ არა სწორედ ამ ურთიერთობების გამოყენება რუსეთის მხრიდან პრორუსული მასების გაზრდისთვის ან პირიქით საქართველოს მიერ რუსული მოსახლეობისათვის საკუთარი „სიმართლის გაზიარებისთვის“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იმართება კრემლის ლიდერების და რუსული ელიტის წარმომადგენლების მიერ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება რომ რუსული პროპაგანდა არა მარტო სხვა ქვეყნებთან მიმართულებებით მოქმედებს, არამედ საკუთარ საზღვრებშიც. შესაბამისად, არსებობს შანსი რომ რუსეთის მთავრობა იყენებს პროპაგანდასა და დეზინფორმაციას, რათა გაამართლოს მისი ძალისმიერი ნაბიჯები საქართველოს ან თუნდაც უკრაინის შემთხვევაში.

რუსეთის ტურისტული ინდუსტრია და სოციალური მედიის ინდივიდუალური მომხმარებლები ქმნიან საკუთარ ქართულ ნარატივებს. რუსი მოგზაურების, ბლოგერების და ტუ-

რისტული კომპანიების მიერ მომზადებული მრავალი ვიდეო წარმოაჩენს საქართველოს, როგორც მშვიდობიან, მეგობრულ და სტუმართმოყვარე ქვეყანას. ამგვარი დახასიათება კი განსხვავდება მოსკოვის ოფიციალური პროპაგანდისგან. რუსმა ტურისტულმა ბლოგერებმა აღნიშნეს საქართველოს სახმელეთო საზღვრების გახსნა 2021 წლის ივნისში, პანდემიასთან დაკავშირებული ჩაკეტვის შემდეგ და ინტენსიურად იყენებდნენ YouTube არხებს საქართველოში ფასების, მარშრუტებისა და Covid-თან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.

საკმაოდ ხშირად ხდება, რომ რუსეთის მთავრობა ცალსახად ან ირიბად ახდენს ტურიზმის გეოპოლიტიზებას და იყენებს სეზონურ ტურიზმს, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთა ბიუჯეტები დიდად არის დამოკიდებული სტუმართმოყვარეობისა და დასვენების ინდუსტრიებზე. ვინაიდან რუსი ტურისტების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია შედარებით იაფი ჩარტერული ფრენების ხელმისაწვდომობაზე, რუსეთის მთავრობას ხელთ აქვს მანიპულაციური ინსტრუმენტების ნაკრები, მათ შორისაა რუსული დაბალბიუჯეტიანი ფრენების უარყოფა უცხოურ კურორტებზე. ამ შემზღუდავი ზომების გამო, 2021 წლის ზაფხულში მკვეთრად შემცირდა რუსი ტურისტების შემოდინება საბერძნეთსა და ბულგარეთში. გავრილოვის ინციდენტის შემდეგ, 2019 წელს, მსგავსი განმეორდა საქართველოშიც. პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც კრძალავდა რუსულ ავიაკომპანიებს საქართველოში ფრენას 2019 წლის 8 ივლისიდან „რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რუსეთის მოქალაქეების დანაშაულებრივი ქმედებებისგან დასაცავად“ [8].

მაშინ როდესაც ვსაუბრობთ კულტურულ ურთიერთობებზე აუცილებლად უნდა შევეხოთ სახალხო დიპლომატიის ცნებას, რომელიც, თავის მხრივ, კულტურულ დიპლომატიადაც აღიქმება. კულტურული დიპლომატია საუკეთესოდ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქმედებების კურსი, რომელიც ეფუძნება და იყენებს იდეების, ღირებულებების, ტრადიციების და კულტურისა თუ იდენტობის სხვადასხვა ასპექტების გაცვლას, იქნება ეს ურთიერთობების, სოციალურ-კულტურული თანამშრომლობის გაძლიერების, თუ ეროვნული ინტერესების ხელშეწყობისათვის; კულტურული დიპლომატია შეიძლება გამოიყენოს როგორც საჯარო სექტორმა, ასევე კერძო სექტორმა ან სამოქალაქო საზოგადოებამ. მზარდად გლობალიზებულ, ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, სადაც მასობრივი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავრცელება უზრუნველყოფს, ერთმანეთთან გაცილებით დიდ წვდომას, ვიდრე ოდესმე, კულტურული დიპლომატია გადამწყვეტია მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის მთელ მსოფლიოში.

სახალხო დიპლომატია ფოკუსირებულია იმაზე, რომ კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკა და გზავნილები გაიგონ სხვა ქვეყნების ხალხებმა და არა მხოლოდ მთავრობებმა. განათლების, ხელოვნებისა და კულტურის გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო მაუწყებლობა წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტებს საჯარო დიპლომატიის წარმართვისთვის. საზოგადოებრივი დიპლომატიის მიზანია დამოკიდებულებებისა და კულტურების ცნობიერების ამაღლება. სახალხო დიპლომატია განისაზღვრება, როგორც დიალოგში ჩართულობა ადამიანებს, ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის, რის შემდეგაც საზოგადოებრივ აზრს სხვადასხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გააჩნია გავლენის მოხდენის უნარი [9].

პატარა ქვეყნებს „რბილი ძალის“ გამოყენება ეხმარება საერთაშორისო არენაზე თავის დამკვიდრებაში. სახალხო დიპლომატია გამოხატავს მთავრობის ძალისმხევას, პირდაპირი კომუნიკაცია დაამყაროს უცხოურ საზოგადოებებთან; შესაბამისად, მისი ეფექტურობა იზომება სამიზნე ჯგუფის შეცვლილი შეხედულებებით. ხშირად სწორედ მოსახლეობის აზრი და შეხედულებები განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები აკონტროლებენ პოლიტიკას, „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები მთლიან კონტროლს არ ექვემდებარებიან, რადგან კულტურა და ღირებულებები სამოქალაქო საზოგადოებაშია ფესვგადგმული. შესაბამისად, შესაძლებელია, სამოქალაქო აზრის მთლიანად შეცვლა და ახლიდან ჩამოყალიბება სწორი მექანიზმების ამუშავებით და სახალხო დიპლომატიაში აქტიური ჩართულობით.

კულტურული ურთიერთობების აღდგენა და შენარჩუნება ნებისმიერ საზოგადოებასთან და ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან მისაღებია. თუმცა ეს ერთი შეხედვით უვნებელი

კულტურული ურთიერთობები მეტად საყურადღებოა, განსაკუთრებით დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც თავს იჩენს „რბილი ძალისა“ და „ჭკვიანი ძალის“ მექანიზმები. მოსკოვი ისტორიულად იყენებდა კულტურას და იდეოლოგიას, როგორც ექსპანსიის, ბატონობისა და ასიმილაციის იარაღს, განსაკუთრებით ისეთი მცირე ერების წინააღმდეგ, როგორიც საქართველოა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰქონდა ძალიან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა რუსეთთან და რუსულ საზოგადოებასთან, მეფის რუსეთის და თუნდაც საბჭოთა კავშირის დროს, ამ კულტურულმა კავშირებმა ხელი არ შეუშალა რუსეთს 1990-იან წლებში აფხაზი და ოსი სეპარატისტებისთვის დახმარების გაწევაში, ან თუნდაც 2008 წელს აგვისტოს ომის წარმოებაში. ამიტომ მთავარი კითხვა რაც უნდა დაისვას არის შემდეგ: რამდენად დაეხმარება საქართველოს კულტურული ურთიერთობები გაღრმავება რუსეთთან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების აღდგენით მოსკოვი აყალიბებს ახალ სტრატეგიას, რათა თბილისი დააბრუნოს რუსეთის კულტურული გავლენის ქვეშ. საქართველომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა დასავლეთთან ინტეგრაციის მიმართულებით, თუმცა საბოლოოდ თავი ვერ დაიხსნა რუსული კულტურული თუ იდეოლოგიური მარწუხებისაგან. ამის გამო, ფრიად მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს საქართველოს პრიორიტეტები რუსეთთან კულტურული ურთიერთობების ჭრილიდან გამომდინარე.

კონკრეტული სახელმწიფოს ანალიზი მისი კულტურული ისტორიიდან გამომდინარე გვეხმარება შესაძლო სცენარების განსაზღვრაში სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, ისევე როგორც კონკრეტული კონფლიქტების პრევენციასა და თავიდან არიდებაში, რაც სწორედ კულტურის გავლენით არის განპირობებული. კულტურის მნიშვნელობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ გაზრდილია. უკვე ვისაუბრეთ, კულტურის, როგორც „რბილი ძალის“ ერთ-ერთი ინსტრუმენტის შესახებ. უგულებელყოფა იმისა, თუ რაოდენ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია კულტურას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების აზრთა ფორმირებაზე ყოვლად დაუშვებელია. შესაბამისად, ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის როგორიც საქართველოა, ფრიად მნიშვნელოვანია ზემო აღნიშნული ფენომენის შესწავლა და სწორი ნაბიჯების გადადგმა რბილი ძალის ყოველი რესურსის გამოსაყენებლად, განსაკუთრებით ეს ეხება კულტურას, რადგან ვფიქრობ რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა სწორედ კულტურა გახდეს მიზეზი შემრიგებლური პოლიტიკის გატარებისა, თუნდაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში.

NATIA MAMALADZE

CULTURAL ASPECTS IN RUSSIAN-GEORGIAN RELATIONS

Summary

With the end of the Cold War and the development of the processes of globalization, the importance of culture in the formation of a new world order has emerged from a new perspective and its influence in states' interactions has increased. In today's world, the use of hard power to achieve the goals is still relevant, however "soft power" and its mechanisms are becoming more and more popular and active.

As Josef Nye states "soft power" is often called "attractive power". Its attractiveness is due to different factors and characteristics. Most importantly, this is the match of systems of values. The "soft power" can be obtained through mechanisms such as diplomacy, trade, tourism, media, exchange educational and scientific programs, assistance in disasters, etc.

Russia's current policy of "soft power" is not much different from that of the Soviet Union. Even today we encounter agitation and propaganda aimed at weakening America and Euro-Atlantic structures. At this stage, more resources are being spent by Russia on educational programs. Religiously, Russia continues to present itself to the world as the sole defender of Christian traditions and values. "Soft power" has always been accompanying Russia's "hard power" in foreign policy. Especially in recent years, the mechanisms of "soft power" that Russia uses are intensively becoming more apparent.

Public diplomacy is another term that is actively used nowadays. It focuses on making people, and not just governments, understand the policies and messages of a particular state. Education, arts and culture exchange programs and international broadcasting are key tools for conducting public diplomacy. The goal of which is to raise awareness of attitudes and cultures. As already mentioned, Russia intensively uses propaganda not only outside the country, but also inside within the citizens. Therefore, the role of public diplomacy is increasing due to this factor. Culture and values are rooted in civil society. Consequently, it is possible to completely change and re-establish civic opinion by developing the right mechanisms and being actively involved in public diplomacy.

Restoring and maintaining cultural relations with any society and/or country, including Russia, is acceptable. However, attention should be drawn to these seemingly harmless cultural relations, especially in today's international relations, where the mechanisms of "soft power" and "smart power" appear. Moscow has historically used culture and ideology as a weapon of expansion, domination and assimilation, especially against small nations like Georgia.

Clearly, by restoring Russian-Georgian cultural relations, Moscow is formulating a new strategy to return Tbilisi to Russian cultural influence. Georgia has taken a number of steps towards western-European integration in recent decades, but has not been able to break free from Russian cultural or ideological shackles. Due to this, it is very important to accurately define Georgia's priorities in the context of cultural relations with Russia.

It has to be noted that even though Georgia had very close cultural ties with Russia and Russian society during Tsarist Russia and even the Soviet Union, these cultural ties did not prevent Russia from assisting Abkhaz and Ossetian separatists in the 1990s, or even starting a war in 2008. Therefore, the main question to be asked is the following: To what extent the tight cultural relationships with Russia will be profitable for Georgia.

Key words: *Russia-Georgia relations, culture, soft power, orthodoxy, values.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Тэйлор Э. Б. Антропология: Введение к изучению человека и цивилизации. — Издание И. И. Билибина и Ко, 1882.
2. Nye, J Soft Power, 2004, pg 208- 5
3. Казанцев А.А., Меркушев В.Н. Россия и постсоветское пространство: перспективы использования «мягкой силы» // Полис. 2008. № 2. С. 122. http://www.politstudies.ru/index.php?id=3968&page_id=453https://www.politstudies.ru/index.php?id=3968&page_id=453 (16.01.2015),
4. Указ Президента Российской Федерации от 30.11.2016 № 640 "Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации", 2016, стр. 26, http://publication.pravo.gov.ru/Document/View/0001201612010045?index=1&rangeSize=1http://publication.pravo.gov.ru/Document/View/0001201612010045?index=1&rangeSize=1 ,
5. Указ Президента Российской Федерации от 30.11.2016 № 640 "Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации", 2016,стр.32-40, http://publication.pravo.gov.ru/Document/View/0001201612010045?index=1&rangeSize=1,
6. ნაცვლაძე მ., რატომ იყო რიურიკთათვის მოსკოვი- მესამე რომის თეორია მიუღებელი, 2017, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=41308,
7. რუხაძე. ვ. 'Cultural Ties': Russia's New War Tool with Georgia, Publication: Eurasia Daily Monitor Volume: 10 Issue: 47, 2013, https://jamestown.org/program/cultural-ties-russias-new-war-tool-with-georgia/
8. Cooper, Rosalind (2019) Pastoral Power and Algorithmic Governmentality, Theory, Culture & Society. https://doi.org/10.1177%2F0263276419860576,
9. Hayden, Craig. 2012. The Rhetoric of Soft Power: Public Diplomacy in Global Contexts. Lanham, MD: Lexington Books, 2012

სოსო კიკნაძე
წარმოადგინა პროფ. ვაჟა შუბითიძემ

პოლიტიკური პარტიები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ევროპასთან ინტეგრაციის პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღეს საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე საუბარს, რა თქმა უნდა არსებობს ისეთი მოვლენები, რაც დღევანდელი ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ან სულაც არ არის ცნობილი. დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი მსოფლმხედველობით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდნენ, მათ შორის მაინც არსებობდა ცალკეული განსხვავებები. ამ პარტიების უმეტესობა ჩემი აზრით თუ არ ჩავთვლით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ჩემი აზრით, არ იყო მზად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. უფრო მეტიც ისინი საერთოდ არ იბრძოდნენ ამისათვის და ალბათ არც სჯეროდათ, რომ საქართველო ოდესმე დამოუკიდებლი გახდებოდა.

თუ განვიხილავთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც რუსეთის მენშევიკური პარტიის განაყარს წარმოადგენდა, მათი უარყოფითი როლი საქართველოს ისტორიაში მკვეთრად არსადაა ხაზგასმული. ნოე ჟორდანია და მისი მენშევიკური პარტია, ხშირ შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობის წინაამღდეგები იყვნენ.

თუ დავაკვირდებით მაშინდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ქვეყანა პირველ რიგში დაასუსტა სეპარატისტულმა ტენდეციებმა. სამწუხაროდ, როგორც დღეს ასევე მაშინაც ოსებს და აფხაზებს ჰქონდათ სურვილი ერთიანი საქართველოსგან გამოყოფისა, მაგრამ საბედნიეროდ, მაშინ საქართველოს შეიარაღებულმა ჯარებმა შეძლეს ამ გამოსვლების შეჩერება და საქართველოს ტერიტორიუული მთლიანობის შენარჩუნება.

საქართველოს ევროპისაკენ მიმავალ გზაზე არსებობდა რამოდენიმე შემაფერხებელი ფაქტორი. მაგალითად ევროპელები აღნიშნავდნენ, რომ საქართველო იმყოფებოდა, საკმაოდ რთულ გეოგრაფიულ რეგიონში და ევროპას უჭირდა მისი დახმარება ტერიტორიული სიშორის გამო. ასევე ხაზგასასმელია, რომ მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ევროპელების საქართველოთი დაინტერესება. ევროპისაკენ მიმავალ გზაზე ყველაზე გადამწყვეტი ფაქტორი იყო რუსეთი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს განვითარების პროცესი და არ მისცა საქართველოს ევროპული დემოკრატიის პრინციპებით სრულფასოვანი წინსვლის საშუალება.

საკვანძო სიტყვები: *დამოუკიდებელი საქართველო, პოლიტიკური პარტიები, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სეპარატიზმი.*

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს მთავრობას მხარს უჭერდა გერმანიის მთავრობა. ქართველი სოციალ-დემოკრატების მოთხოვნა იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება, ისინი ხვდებოდნენ, რომ რუსეთთან კავშირი უკვე შეუძლებელი იყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობდნენ.

ამ პერიოდში საქართველოს ირგვლივ მტრულად განწყობილი მეზობლები ჰყავდა. არსებობდა სეპარატისტული კერებიც. ამავდროულად, ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. თუმცა სოციალ-დემოკრატების საგარეო პოლიტიკური კურსი არ აღმოჩნდა წარმატებული, რადგან გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა, რამაც მეტად გაართულა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა [1. 71-72].

იმ პერიოდში არსებული პარტიები საკუთარი მსოფლმხედველობით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

1919 წელს გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა სტატია, რომლის მიზანი სხვა პარტიე-

ბის დისკრედიტაცია და სოციალ-ფედერალისტების პარტიის იდეის პროპაგანდა იყო. ავტორი ამ სტატიაში მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ აუცილებლად გამოცხადნენ არჩევნებზე. ამ სტატიაში გაკრიტიკებულები არიან სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები და ისინი რუსეთთან თანამშრომლობაში არიან დადანაშაულებულები. სტატიის მიზანი იყო არჩევნებში მონაწილე პარტიების სრული დისკრედიტაცია და ამ ფონზე სოციალ-ფედერალისტების უპირატესობის წარმოჩენა ამომრჩევლების თვალში. სტატია მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით „მაშ, მოქალაქენო, ხმა მიეცით მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-ფედერალისტთა სიას“ [2. 60-61].

ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო საქართველოში მოქმედ და უცხოეთში არსებულ ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია. ამ მიზნით გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით საქართველოში ჩამოვიდა ეროვნული კომიტეტის წევრი გიორგი მაჩაბელი.

სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა ანტანტის ქვეყნების პოზიციას იზიარებდა.

გერმანიასთან კავშირის დამყარებას მხარს უჭერდნენ: ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და ევგენი გეგეჭკორი. რაც შეეხება სოციალ-ფედერალისტებს, მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი თვასაზრისი. ეროვნულ-დემოკრატებმა კი ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ბლოკთან თანამშრომლობას. მათ შექმნეს საქართველოს ხსნის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგნენ სპირიდონ კედია და რევაზ გაბაშვილი [3. 60].

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველი აქტი იყო თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმება, ეს ზავი განხორციელებული იქნა გერმანიის შუამავლობით. მართალია, ეს ზავი მეტისმეტად მძიმე იყო საქართველოსათვის - საქართველომ დაკარგა: ბათუმის ახალქალაქი-ახალციხის მაზრები, მაგრამ საქართველომ აიცილა აგრესიული მეზობლი თავდასხმა.

1918 წლის მაისის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ფოთში გერმანიის წარმომადგენელთან გააფორმა ხელშეკრულება. მხარეებმა რამდენიმე დოკუმენტს მოაწერეს ხელი. საქართველო პასუხისმგებლობას იღებდა, რომ ოთხთა კავშირის წევრებს ესარგებლათ ამ რკინიგზით. ეს დროებითი შეთანხმება მალევე უნდა შეცვლილიყო, სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით [4. 102].

ამ პერიოდში არსებული პარტიებიდან აღსანიშნავია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ამ პარტიის მხარდამჭერებს ძირითადად შეადგენდნენ, რუსეთის არმიის კავკასიის გარნიზონის ჯარისკაცები. ეს პარტია საზოგადოებაში არ გამოირჩეოდა დიდი პოპულარობით, მკვეთრად გამოხატული რუსოფილური დამოკიდებულების გამო. ისინი ხშირად სოციალ-ფედერალისტებთან ბლოკში ერთიანდებოდნენ. ამ პერიოდში არსებული პარტიებიდან მნიშვნელოვანია ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობა.

ბოლშევიკური, როგორც სოციალისტ-რევოლუციონერები რუსოფილური კურსის გამტარებლები იყვნენ. ქართველი ბოლშევიკები რუსი ბოლშევიკების გვერდით მოქმედებდნენ და აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინაამღდეგ, ისინი აწყობდნენ აჯანყებებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინაამღდეგ [5. 17].

რაც შეეხება ქართველ მენშევიკებს, იგივე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მათ რუსეთი მენშევიკურ პარტიასთან იდეური ორგანიზებული ერთიანობა აკავშირებდა, თუმცა რუსეთის მენშევიკური პარტია კომუნისტებთან ბრძოლაში სულს ღაფავდა, მაშინ, როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფა, მენშევიკური პარტიის მხრიდან კარგა ხანს არ ყოფილა იურიდიულად გაფორმებული, რის გამოც, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქტიურად აკრიტიკებდნენ ეროვნული იდეოლოგიის მქონე პარტიები, საბოლოოდ კი, ამ კრიტიკამ დააჩქარა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცალკე პარტიად ჩამოყალიბება [6. 137].

სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მენშევიკური პარტიის წარმომადგენლები საკუთარი ქვეყნის წინაშე ერთნაირად სცოდავდნენ.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს პარტიები არ გამოირჩეოდნენ ეროვნული იდეის ცნებით და ყველაფერს კლასობრივი ბრძოლის ჩარჩოში ათავსებდნენ. სოციალ-დემოკრატები ისევე, როგორც ბოლშევიკები საქართველოში აწყობდნენ ტერორს მსხვილი მემამულეების

წინაამღდეგ. მათი მხრიდან იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა ტერორისტული აქტებიც. ცარიზმის დამხობისათვის ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიარაღებული აჯანყება გამოაცხადა. სოციალ-დემოკრატები ხშირად ინდივიდუალურ ტერორსაც მიმართავდნენ. ხშირი იყო სოფლებში მდიდარი თანასოფლელების ძარცვა [7. 149-150].

მაგრამ მიუხედავად ასეთი განწყობებისა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ხელისუფლებაში სრული უმრავლესობით მოვიდა სრულიად შეცვალა თავისი დამოკიდებულება და აქტიურად დაიწყო სახელმწიფო ინტერესებზე ზრუნვა, სოციალ-დემოკრატიული შემდეგში კი უკვე საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობდა საერთაშორსო აღიარების მოპოვებას [8. 96].

ცნობილი ქართველი მეცნიერი და ემიგრანტი ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა, რომ საქართველო არ იყო აზია. ნოზაძის აზრით, ქართული კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აზიური კულტურისაგან. მისი აზრით, საქართველოს და აზიას შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც თავად ევროპასა და აზიას შორის. საქართველო გარკვეულ მომენტში რუსეთისაკენ იმიტომ გადაიხარა, რომ რუსეთის სახით ცდილობდა ევროპაში შესულიყო. ქართველმა მეფეებმაც სწორედ აქეთკენ მიმართეს თავიანთი ყურადღება რუსეთთან დაახლოებისათვის, რასაც ერთიანი მართლმადიდებლური რწმენაც უწყობდა ხელს. მართალია, რუსეთის სახით საქართველო ევროპას დაუახლოვდა, მაგრამ ამასთანავე ქართველმა ხალხმა დაკარგა სამეფო ტახტი ავტოკეფალია და, რაც მთავარია, თავისუფლება. ეს გაგრძელდა 1918 წლის მაისამდე მანამ სანამ ქართველმა ხალხმა არ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა [9. 13-14].

ევროპისაკენ მიმავალ გზაზე, რა თქმა უნდა, მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი რუსეთი იყო. საქართველო 1921 წლის რუსული ოკუპაციის შემდეგ თითქმის მთლიანად მოწყდა დასავლეთ ევროპას. ევროპული ქვეყნები მხოლოდ სიტყვიერ თანაგრძნობას გამოხატავდნენ საქართველოს მიმართ, ხოლო სინამდვილეში კი საქართველოს რუსეთის იმპერიის ნაწილად აღიქვამდნენ.

1921 წელს დაიდო დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულება. ამას შემდეგში მოჰყვა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულება. ანტანტის ქვეყნებმა დიდი ფული შეალიეს ბოლშევიკური ხელისუფლების წინაამღდეგ ბრძოლას, სამოქალაქო ომის პერიოდში ისინი თეთრგვარდიელებს უჭერდნენ მხარს. 1920 წელს საქართველოში შემოსაჭრელად საბჭოთა რუსეთის რამდენიმე არმია იყო მზად. თუმცა საქართველოში არსებობდა აზრი, რომ ევროპა საქართველოს რუსეთის პირისპირ არ დატოვებდა [10. 39-41].

დემოკრატიული რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ევროპის დემოკრატიულ ოჯახში დამკვიდრება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაშინაც და დღესაც ევროპულ ოჯახში შესვლის უმთავრესი წინაპირობა იყო დასავლური დემოკრატიის დამყარება, თუმცა მაშინდელ პერიოდში დემოკრატიული ღირებულებების ფორმულირება ისეთი ნათელი არ იყო, როგორც დღეს. თუმცა მაშინდელ რესპუბლიკაში ნამდვილად დაცული იყო დემოკრატიული ღირებულებები.

ვინაიდან ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ საგარეო კურსს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს, დასახული მიზნის მიღწევაში თავისი წვლილი შეიძლება საისტორიო მეცნიერებამაც შეიტანოს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ობიექტურად იქნას აღწერილი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება, რადგან მაშინდელი საქართველოს პირველი რესპუბლიკა წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც ძალიან ახლოს იყო ევროპასთან და წარმატებით მიდიოდა ევროპული სივრცისაკენ [11. 108].

საქართველოს რესპუბლიკისათვის ძალიან უარყოფითი მოვლენა იყო 1920 წლის დეკემბერი, როდესაც ერთა ლიგამ უარი უთხრა საქართველოს ამ ორგანიზაციაში მიღებაზე, ეს, რა თქმა უნდა, დიდი დარტყმა იყო საქართველოსთვის, რომელიც რუსეთის წინაშე სრულიად მარტოდმარტო რჩებოდა. 32-მა სახელმწიფომ ხმა არ მისცა საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, მაგრამ მიუხედავდ ყველაფრისა, საქართველომ მაინც შეძლო წარმატების მიღწევა და საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ მაინც ცნეს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დე-იურედ აღიარება ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოსთვის, ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სრული წარმატება.

დე-იურე აღიარებამ ვერ დაიცვა საქართველო რუსეთისა და, ასევე, თურქეთის შემოჭრისაგან. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში საქართველო ევროპისათვის არ იყო

მნიშვნელოვანი ქვეყანა და ბევრი, სამწუხაროდ, მას კვლავ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად თვლიდა [12. 371-372].

ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ საგარეო პოლიტიკას პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში უფრო დიდი ყურადღება ენიჭებოდა, ვიდრე საშინაოს. ის აღნიშნავდა, რომ სწორედ საგარეო მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული საშინაო ვითარება, მაგრამ ეს ასე არ იყო. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ მას იმედი ჰქონდა პარიზის კონფერენციისა, რომ ისინი გაგებით მოეკიდებოდნენ საქართველოს საკითხს.

ნოე ჟორდანია თვლიდა, რომ ქვეყნის საგარეო იმიჯი დამოკიდებული იყო ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე. ამიტომ, მისი აზრით, მთავარი ყურადღება უნდა გადაეტანათ საშინაო მდგომარეობაზე.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არასოდეს შეუწყვეტია ევროპისაკენ სვლა დამუდმივად აგზავნიდა დელეგაციებს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. იმ პერიოდში ქართული დელეგაცია იმყოფებოდა შვეიცარიაში და იტალიაში.

იტალიური გაზეთები ქართული დელეგაციის მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდნენ, მაგრამ ასეთი დელეგაციის ვიზიტი იყო მარტოოდენ საქართველოს პროპაგანდა. ნოე ჟორდანიას აზრით, დემოკრატიული რესპუბლიკის უმთავრესი ამოცანა იყო საქართველოს მეზობლებთან ყველა პრობლემის გადაჭრა [13. 187-188].

ძალიან საიტერესოა რა მოხდებოდა საქართველოს ისტორიაში რუსეთის აგრესია, რომ არ ყოფილიყო 1921 წელს. საბჭოთა კავშირის პერიოდში საბჭოთა მეცნიერები ცდილობდნენ ხაზი გაესვათ იმისათვის, რომ მაშინდელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არასიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნი იყო, რაც ნამდვილად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და პირიქით სწორედ საბჭოთა კავშირი იყო ნაკლებსიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნი. რომ არ მომხდარიყო რუსული ოკუპაცია, საქართველო აქტიურად გააგრძელებდა გზას ევროპული სივრცისაკენ, მით უმეტეს, რომ მას იმ პერიოდში უკვე მოპოვებული ჰქონდა ევროპისაგან დე-იურე აღიარება.

ფაქტია, რომ საქართველო იმ პერიოდში ერთიანი და განუყოფელი შემდგარი სახელმწიფო იყო, მიუხედავად ბევრი ხარვეზისა. როდესაც საქართველოში ზეიმით აღნიშნეს საქართველოს დე-იურე აღიარება, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამის შემდეგ საქართველოს ოკუპაცია მოხდებოდა. ზუსტად ძალიან ძნელია იმისი თქმა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ ის შედეგი, რაც ოკუპაციის შემდეგ საქართველომ მიიღო სრულიად სავალალო იყო [14. 122].

1918 წლის 26 მაისს მაშინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა ეს იყო მართლაც უდიდესი მონაპოვარი იმ დროისათვის და მაშინდელი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო ქვაკუთხედი საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრიობისა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელმა საქართველომ მცირე ხნით იარსება, ეს მაინც მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი იარსება, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი პოლიტიკური სისტემით იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპის მოწინავე ქვეყნებს. დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად მიისწრაფვოდა ევროპული თავისუფლებისა და ღირებულებებისაკენ. ეს კი სრულიად განსხვავებული იყო მაშინდელი რუსული პოლიტიკური სისტემისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ეს ყველაფერი ქართველი ხალხის გონებაში დიდი ხანი ცარისტული რუსეთის პერიოდში მზადდებოდა და ელოდა შესაბამის მომენტს, რომ მიეღწია რუსეთისაგან სრულ დამოუკიდებლობას [15. 164].

იმ პერიოდის საქართველოს მმართველი ელიტა ხვდებოდა, რომ ევროპული სახლმწიფოების მხარდაჭერის გარეშე კარსმომდგარი რუსული საფრთხისაგან თავის არიდება საქართველოს არ შეეძლო. იმ პერიოდის დიპლომატიურმა სამსახურმა საკმაოდ წარმატებით იმუშავა. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საქართველომ მოახერხა ორი სრულფასოვანი საელჩოს გახსნა ბერლინსა და სტოკჰოლმსში. ამ ორ საელჩოს ჰქონდა აღიარება მასპინძელი სახელმწიფოებისაგან. სამწუხაროდ, სხვა ქვეყნებში მოქმედმა საქართველოს საელჩოებმა აღიარება მასპინძელი სახელმწიფოებისაგან ვერ მიიღეს. 1921 წელს საქართველოს საელჩო დაარსდა პარიზშიც. თუმცა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა რწმუნების სიგელი საფრანგეთის პრეზიდენტს გადასცა მაშინ, როდესაც თბილისს ბოლშევიკები იპყრობდნენ [16].

მიუხედავად ყველა წარმატებისა, რაც საქართველოს ევროპისაკენ მიმავალ გზაზე ჰქონდა, საქართველოს მთავრობა, როგორც ჩანს, მაინც დიდ იმედებს არ ამყარებდა დასავლეთიდან მომდინარე სავარაუდო დახმარებაზე, ხოლო მას შემდეგ, რაც უკვე საბჭოურმა ჯარმა გაანადგურა დენიკინის არმია, დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან სულ უფრო და უფრო ნაკლები კრიტიკა ისმოდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ. იგრძნობოდა, რომ მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება, რუსეთისაგან ელოდა დიდ საშიშროებას.

საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი თავდაცვის საჭიროებისათვის დამატებით 300 მანეთის გამოყოფის თაობაზე. ეს იყო ერთგვარი წინასწარი სამზადისი, ვინაიდან საქართველოს მთავრობა კარგად ხვდებოდა იმას, თუ რა დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ბოლშევიკური რუსეთი. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა პარტია ერთსულოვანი იყო. დამფუძნებელ კრებაში რუსეთისადმი ყველაზე შეურიგებელ პოზიციას ეროვნულ დემოკრატიული პარტია და მისი ლიდერი სპირიდონ კედია გამოხატავდნენ. სპირიდონ კედია აღნიშნავდა, რომ საქართველოს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადაეხვია დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პრინციპებიდან და უნდა დაეცვა საკუთარი სუვერენიტეტი [17. 306,307].

თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად შეეცადა, რომ რომელიმე ძლიერ ევროპულ ქვეყანასთან რაიმე სამოკავშირე ხელშეკრულება გაეფორმებინა. ასეთ ქვეყნად მაშინდელი საქართველოს მესვეურები გერმანიას ხედავდნენ. ეს კავშირი უნდა ყოფილიყო ძალიან მჭიდრო, სადაც არ უნდა შელახულიყო საქართველოს ეროვნული განვითარების პირობები. თუმცა აქ მთავარი დაბრკოლება იყო საქართველოსა და გერმანიას შორის სიშორე ტერიტორიული დაშორება დიდ წინაღობებს ქმნიდა ამ ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

საქართველოს მთავრობას გერმანია სჭირდებოდა იმისათვის, რომ მას დაეცვა საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტი, თავის მხრივ, გერმანიას კი შეეძლო საქართველოსაგან დიდი ეკონომიკური სარგებლის ნახვა. აქვე არსებობდა ერთი გამოსავალი საქართველოს ნეიტრალიზაცია, თუმცა ეს იმ შემთხვევაში საკმაოდ რთულად განსახორციელებელი ჩანდა [18. 105].

დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ევროპაში უარეყოთ საბჭოთა იმპერიის აღდგენა და მის შემადგენლობაში საქართველოს შესვლა. ევროპელები სიტყვიერად საქართველოს დიდ მხარდაჭერას უცხადებდნენ, მაგრამ იმდროინდელ ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტიური მხარდამჭერი ძალიან ცოტა იყო და ევროპელების უმეტესობა მას დამოუკიდებელ ქვეყნად არც განიხილავდა.

ევროპელები განსაკუთრებით დამთმობები გახდნენ რუსეთის მიმართ, მაშინ როდესაც კოლჩაკი-დენიკინის რაზმებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, რასაც მომავალში აშკარად მოყვებოდა რუსეთის გაძლიერება. ამიტომ ევროპელები საქართველოს წარმომადგენლებს პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ ქართველების მხრიდან რუსეთის გამოყოფის მოთხოვნა არ იყო სწორი გადაწყვეტილება. მაგრამ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას რუსეთთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესებიც ჰქონდა. მაგალითად, საფრანგეთის მესვეურები ფიქრობდნენ, რომ რუსეთში სესხის დაბანდებით ოქროს უკან დაიბრუნებდნენ. და მეორე გერმანიის დასუსტებით რუსეთში ძლიერ მოკავშირეს ხედავდნენ [19. 21].

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართული სახელმწიფო სხვა პრობლემის წინაშეც იდგა. ამ პერიოდში საქართველოს წინაშე იდგა სხვა საფრთხე და ეს იყო ქემალისტური თურქეთი. იმ პერიოდში თურქებმა სამცხეში აჯანყება მოაწყვეს და ფაქტიურად მთელი მესხეთი ხელში ჩაიგდეს. შემდეგში კი უკვე თურქებმა მიიღეს დადგენილება მესხეთის თურქეთთან შეერთების თაობაზე. თურქი ექსტრემისტები ძალიან აქტიურობდნენ ახალციხის რეგიონში, იმ პერიოდში მუსლიმური ეროვნული საბჭო ცდილობდა, რომ მთელი ძალაუფლება ხელში ჩაეგდო. ოსმალეთი საქართველოს სამხრეთში მიმდინარე მოვლენებს ერთი შეხედვით გულგრილად ეკიდებოდა, თუმცა ცხადი იყო, რომ ეს ყველაფერი ოსმალეთის წაქეზებით ხდებოდა.

საქართველოს მთავრობამ ამ პერიოდში ახალგაზრდები სრული მობილიზაცია გამოაცხადა. ცხადი იყო, რომ ეს პრობლემა ძალიან მგრძნობიარე იყო ახალგაზრდა ქვეყნისათვის, რომლისთვისაც ძალიან ძნელი იყო ასეთ მძიმე პრობლემებთან ბრძოლა. ამ პერიოდში მღელვარებები მიმდინარეობდა საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ეს არეულობები ხდებოდა

ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების წაქეზებით. ასეთი ვითარება კი კიდევ უფრო ართულებდა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებას და უფრო მეტიც დიდ საფრთხეს უქმნიდა მის სუვერენიტეტს.

ზოგადად, მეფის რუსეთის პერიოდში საქართველოს მდგომარეობა უმძიმესი იყო და, ფაქტობრივად, არ ჩანდა გამოსავალი, რომ საქართველოს ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი რუსეთი გარკვეულწილად აღიქმებოდა, როგორც ევროპისკენ გამავალი ერთგვარი ფანჯარა, მაინც ევროპასა და რუსეთს შორის არსებობდა საკმაოდ დიდი ბარიერი. ქართველი პროგრესული ახალგაზრდების უმრავლესობას იმ პერიოდში განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული, თუმცა არსებობდნენ ისეთი ხალხიც, რომლებიც ევროპის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ. მეფის რუსეთის პერიოდში არსებობდა საკმაოდ მკაცრი ცენზურა, მიუხედავად ამისა, თერგდალეულები მაინც ახერხებდნენ გაზეთებში ქართული ინტერესების დაცვას.

იმ პერიოდში ქართულ ინტელიგენციასა და ევროპელებს ჰქონდათ საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა ბევრი ევროპელი მეგობარი, რომლებმაც უკეთ გააცნეს საქართველო თავის თანამემამულეებს. აღსანიშნავია მარჯორი და ოლივერ ურდროპების დამსახურება საქართველოს წინაშე. ეს ორი ადამიანი იყო ერთგვარი ხიდი საქართველოს და მაშინდელ ევროპას შორის. უამრავი ქართული ნაწარმოები ნათარგმნი იქნა ევროპულ ენებზე და ეს ყველაფერი ძირითადად ამ პერიოდში განხორციელდა. თერგდალეულების მთელი მოღვაწეობა ეროვნული იდენტობის დაცვა და ევროპული განათლებისა და იდეალებსიკენ დამკვიდრების სწრაფვა იყო საქართველოში, თუმცა ისეთ შეზღუდულ ვითარებაში, როგორშიც ისინი იმყოფებოდნენ ძალიან ძნელი იყო უფრო მეტი სიახლოვე ევროპასთან.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში არსებობდნენ საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მიმართ მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ არსებობდა რაღაც საკითხები, სადაც ეს პარტიები მსგავსს დამოკიდებულებას ავლენდნენ. შედარების სახით, რომ ავიღოთ მაგალითად, ორი მაშინდელი წამყვანი პარტია სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ დემოკრატიული პარტია, ერთმანეთთან იდეურად დაპირისპირებული პარტიები იყვნენ და არ ერიდებოდნენ ერთმანეთის კრიტიკას. მანამ, სანამ სოციალ-დემოკრატები ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ ისინი უფრო რუსეთისაკენ იხრებოდნენ და არ აღიქვამდნენ მაშინდელ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თუმცა, როდესაც ისინი ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მკვეთრად გამოხატული ევროპული კურსი აირჩიეს და აქტიურად შეეცადნენ ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას. საქართველოს პირველი რესპუბლიკა იმ დროისთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს, სადაც იმ დროისთვის კარგად იყო განვითარებული დემოკრატიის პრინციპები და მაშინდელი საქართველო ევროპის რიგ ქვეყნებს ამ კუთხით არც ჩამოუვარდებოდა. იმდროინდელი პარტიების საგარეო ხედვებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი სამწუხაროდ ვერ აცნობიერებდნენ საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას ძირეულად და მხოლოდ რუსეთი იმპერიის ნაწილად თვლიდნენ თავს. მაგრამ, მიუხედავდ ამისა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა მაშინდელი პარტიების უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში, ევროპას თვლიდა, როგორც განვითარების ერთადერთ წყაროდ და ამ თემაზე დამფუძნებელ კრებაში არ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მაშინდელი პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერდა ევროპის სახელმწიფოებთან ახლო ურთიერთობების დამყარებას.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. რთული იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, რადგან საქართველოს თითქმის ყველა მეზობელს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა მასთან. რთული იყო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც. იმ პერიოდის საქართველოს მთავარი პრობლემა მისი ორი დიდი მეზობელი ქემალისტური თურქეთი და ბოლშევიკური რუსეთი იყვნენ თურქების წინაამღდეგ ქართულ სამხედრო ნაწილებს რამდენჯერმე შეტაკებაც კი მოუწიათ. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მალე საქართველოს ჰქონდა ომი სომხეთთან. ქვეყანაში არსებობდა საკმაოდ აქტიური სეპარატისტული კერები, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სუვერენიტეტს.

ევროპისაკენ მიმავალ გზაზე საქართველოს პირველ რიგში მისი გეოგრაფიული მდებარეობა უშლიდა ხელს, ისევე, როგორც დღეს, მაშინაც ევროპელებისათვის რთული იყო იმ ქვეყანასთან რაიმე კავშირში ერთად ყოფნა, რომელსაც ამდენი პრობლემა აქვს. სწორედ საქართველოში არსებული მდგომარეობა და ამ ქვეყნის მაშინდელი ბუნდოვანი მომავლის გამო საქართველოს უარი ეთქვა ერთა ლიგაში მიღებაზე, თუმცა, ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლება დიდ აქტიურობას იჩენდა და ყველანაირად ცდილობდა ევროპაში ეპოვა მისი გადარჩენის გასაღები.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში არსებობდნენ საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები. რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მიმართ მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ არსებობდა რაღაც საკითხები სადაც ამ პარტიებს შორის სრული თანხმობა იყო. იმდროინდელი პარტიების საგარეო ხედვებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი სამწუხაროდ ვერ აცნობიერებდნენ საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას და მხოლოდ რუსეთს იმპერიის ნაწილად თვლიდნენ თავს. მაგრამ მიუხედავად ამისა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა მაშინდელი პარტიების უმრავლესობა ევროპას თვლიდა განვითარების ერთადერთ წყაროდ და ამ თემასთან დაკავშირებით დამფუძნებელ კრებაში არ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ევროპისაკენ მიმავალ გზაზე საქართველოს პირველ რიგში მისი გეოგრაფიული მდებარეობა უშლიდა ხელს, ევროპელებისათვის რთული იყო იმ ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რომელსაც ამდენი პრობლემა ჰქონდა. მაშინდელი საქართველოს ბუნდოვანი მომავლის გამო უარი ეთქვა ერთა ლიგაში მიღებაზე, თუმცა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ევროპაში ეპოვა ქვეყნის გადარჩენის გასაღები.

SOSO KIKNADZE

POLITICAL PARTIES OF GEORGIA IN THE DEMOCRATIC REPUBLIC AND WITH EUROPE INTEGRATION PROBLEM

Summary

Despite the fact that considerable attention is paid today to talk about the first democratic republic of Georgia, there are certain events that are little or not known to the general public today. Although the political parties in the Democratic Republic did not differ significantly in their worldviews, there were still some discrepancies between them. In my opinion, most of these parties, except for the National Democratic Party, were not ready for Georgia's independence. Moreover, they did not fight for independence at all and probably did not believe that Georgia would ever become independent.

Upon consideration of the Social-Democratic Party, which was the division of the Menshevik Party of Russia, their negative role is not sharply emphasized anywhere in the history of Georgia. Noe Zhordania and his Menshevik party were often opposed to Georgia's independence.

If we keep an eye on the current events in Georgia at that time, the country was first of all weakened by separatist tendencies. Unfortunately, like the current situation, Ossetians and Abkhazians wanted to secede from a united Georgia, but fortunately, former Georgian armed forces were able to stop these demonstrations and maintain the territorial integrity of Georgia.

There were several obstacles to Georgia's path to Europe. The Europeans, for example, stated that Georgia was placed in a rather difficult geographical region and Europe found it difficult to provide assistance because of its territorial distance. It is also noteworthy that the former Georgian government failed to interest Europeans in Georgia. The most decisive factor on the road to Europe was Russia, which significantly hampered Georgia's development process and did not allow Georgia to make full progress on the principles of European democracy.

Keywords: *independent Georgia, political parties, social-democratic party, separatism.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯონსი ს., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921“, ჟურნალი „ჩემი სამყარო“.
2. კეჭერაშვილი შ., „1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები“. https://openscience.ge/bitstream/1/696/1/samagistro%20kezherashvili.pdf ნანახია [29.01.2021]
3. ლეკაშვილი თ., „აფხაზეთი 1918-1921 წლებში“ (სადისერტაციო ნაშრომი) https://www.ug.edu.ge/storage/disertations/October2019/OHlvvsTZeedcb72y0aUP.pdf ნანახია[29.01.2021]
4. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, დროებითი პარლამენტი და დროებითი მთავრობა. თავი 3. https://archive.gov.ge/storage/old_files/doc/2/2982.pdf ნანახია [29.01.2021]
5. მურუსიძე შ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ენციკლოპედია, ტომი 4, გამომ-ცემლობა პალიტრა L.
6. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მრავალპარტიული დემოკრატიის მოღვაწეობა, ეროვნული სახელმწიფოს აშენებისა და სრულყოფისათვის, თავი 4 https://archive.gov.ge/storage/old_files/doc/2/2983.pdf ნანახია [29.01.2021].
7. შარაძე გ., „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“. თბ., 2003.
8. შველიძე დ., „საქართველოს დასავლური ორიენტაცია წარსულის ეპიზოდები“, თბ., 2010.
9. ჯანელიძე ო., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბ., 2018.
10. ანდერსენი ე., „საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებანი 1918-1921“. თბ., 2019.
11. ჟორდანია ნ., „საქართველოს სახელმწიფო სახელმძღვანელოები, ოფიციალური დოკუმენტები სიტყვები და გამოსვლები“. თბ., 2018.
12. მაცაბერიძე მ., „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Malkhaz%20Matsaberidze%20-%20Saqartvelos%20Politikuri%20Sistema%20-%20bolo.pdf ნანახია[29.01.2021].
13. დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე რესპუბლიკის 100 წელი. http://eprints.iliauni.edu.ge/8451/1/26%20ESE_2018_100.pdf
14. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და შვედეთის სამეფოს დიპლომატიური ურთიერთობები შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცული დოკუმენტების მიხედვით“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
15. https://idfi.ge/ge/diplomatic_relations_betweenthe_democratic_republic_of_georgia_and_the_kingdom_of_sweden ნანახია [29.01.2021].
16. ბენდიანიშვილი ა., „საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921“ თბ., 2001.
17. ავალიშვილი ზ., „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. თბ., 2011.
18. საითიძე გ., „პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1918-1921“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.
19. გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული „მეისტორიე“, გამომცემლობა „არტანუჯი“ თბ., 2019.

ანა ბეჟაშვილი
წარმოადგინა ასოც. პროფ. ლიკა ქათამაძემ

კულტურის გლობალიზაცია - საფრთხეები და სარგებელი

დღესდღეობით ეს საკითხი საკმაოდ მწვავე და აქტუალურია. არსებობს მრავალგვარი მოსაზრება და დამოკიდებულება, აზრთა სხვადასხვაობა. ეს ჯერ კიდევ შეუსწავლელი მოვლენა საქართველოში საკმაოდ მძაფრად და მტკივნეულად აღიქმება. ხდება დაპირისპირებისა და პოლემიკის საგანი. ადამიანებს, შესაძლოა ითქვას, ეშინიათ სიტყვა „გლობალიზაციის“. ვინაიდან, ის ჯერ კიდევ ახალი და რთულად გასაგები მოვლენაა. ადამიანებმა არ იციან რას გვიქადის გლობალური პროცესები, რა სიკეთესა და საფრთხეს მოგვიტნს. ამიტომ, გადავწყვიტეთ გლობალიზაციის საფრთხეებსა და სარგებელზე გვესაუბრა.

დასაწყისში განვიხილავთ გლობალიზაციის ზოგად არსს, ვსაუბრობთ საიდან იღებს ის სათავეს და რა არის მისი მიზანი. ვინაიდან, გლობალიზაციის პროცესის მთავარი ამოცანა ქვეყნების კულტურული ნიშან-თვისებების შესუსტებაა, მაჯელობა სწორედ ამ კუთხით მიგვყავს.

ვსაუბრობთ რამდენად დიდი საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული, კულტურული და ტრადიციული ნიშან-თვისებების გაქრობამ და სხვადასხვა კულტურის აღრევამ.

განვიხილავთ ტექნილოგიური რევულუციის შედეგებსაც. ინტერნეტის შექმნის როლს გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებაში. ვსაუბრობთ იმ მექანიზმებზეც, რომლითაც ტრადიციული ერები „თავს იცავენ“ გლოგალიზაციის უკონტროლო პროცესისგან.

ბოლოს, განვიხილავთ საქართველოს მაგალითს. ვახდენთ შეპირისპირებით შედარებას საბჭოთა კავშირის პერიოდთან. ვსაუბრობთ, როგორ განვითარდა ქართული საზოგადოება საბჭოთა იმპერიისგან თავის დაღწევის შემდეგ, როგორ გაეცნო ის აქამდე აკრძალულ დასავლურ კულტურას და რა ეტაპზე ვართ დღეს. ვავლებთ პარალელს ამ ორ რადიკალურდ განსხვავებულ რეალობას შორის და ხაზს ვუსვამთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიდ მნიშვნელობას.

საბოლოოდ ვასკვნით, რომ ერის, ქვეყნის სიძლიერე აუცილებლად კულტურული იდენტობის შენარჩუნებაშია, მით უმეტეს საქართველოსთვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა გააჩნია. ბოლოს კი ვსაუბრობთ გამოსავალზე, რომელსაც სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევაში ვხედავთ.

***საკვანძო სიტყვები**: გლობალიზაცია, კულტურა, კულტურული ღირებულებები, მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია.*

ტერმინი „კულტურის გლოგალიზაცია“ დასავლეთის პირმშოა. უკვე დიდი ხანია ცნობილია დასავლეთის როლი ე.წ. კულტურის იმპერიების შექმნაში. ეს იმპერიები აუცილებლად კომსმოპოლიტური და ინტერნაციონალურია და წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოობრიობასა და ეროვნულ იდენტობასთან.

განიხილება თეორიაც, რომ კულტურის გლობალიზაცია მიზნად რელიგიური, ეროვნული, კულტურული და ეთნიკური განმასხვავებლების წაშლას ისახავს. ამ პროცესის საბოლოო შედეგი კი ერთიანი გლობალური კულტურის ფორმირება იქნება [1].

კულტურის ცნება ძალიან ფართო და ყოვლისმომცველია. ის მოიაზრება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ღერძი და ასევე აღნიშნავს ტრადიციების, ღირებულებების, ეროვნული მსოფლმხედველობის ერთიანობას. კულტურა მოიცავს ყველა ხელოვნების დარგს, ქცევის ნორმასა და ცხოვრების წესს. ანუ, შეიძლება ითქვას, კულტურა არის ყველაფერი, ყველანაირი და ყოვლისმომცველი.

ბუნერივია, ეროვნული იდენტობის მქონე ქვეყნებში კულტურის გლოგალიზაცია საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით სავსე იქნება. თითოეული ქვეყანა საკუთარი სპეციფი-

კით და უნიკალურობით გამოირჩევა. გააჩნია საკუთარი ისტორია, რომელიც კულტურის ჩამოყალიბებაში უმთავრეს როლს თამაშობს.

აქედან გამომდინარე, იდენტობის წაშლა რთულდება. ქვეყანას, ერს, ბუნებრივად გააჩნია თავდაცვითი მექანიზმები. ამ მექანიზმებს აყალიბებს, როგორც უკვე ვთქვით, ისტორია, გეორაფიული მდებარეობა, ტრადიციები, ეროვნულობის აღქმა, რელიგია და სხვ.

გლობალიზაციის ეპოქაში კულტურული იდენტობის შენარჩუნება დამოკიდეულია ერის, ქვეყნის. ეროვნული თვითშეგნების დონეზე. რამდენად ერთნიანია ის, რამდენად შენარჩუნებულია ტრადიციული მახასიათებლები. რამდენად ეთავსება ამა თუ იმ ერის კულტურა სხვა ქვეყნების კულტურასა და ღირებულებებს.

გლობალური პროცესები ძალიან მძლავრად და მკაფიოდ მიმდინარეობს. ერებისთვის მეტად საჭირბოროტო საკითხია, ჩაერთვებიან თუ არა ამ მასობრივ და ყოვლისმომცველ პროცესში.

გლობალიზაციის პროცესი დიდწილად დააჩქარა ტექნოლოგიურმა რევოლუციამაც. ინტერნეტის შექმნა კი საბოლოო და ყველაზე ეფექტური ნაბიჯი აღმოჩნდა. სოციალური ქსელი ერთ დიდ და გლობალურ ვირტუალურ ქალაქად იქცა, სადაც ყველანაირი კულტურის, ტრადიციის და რელიგიური მრწამსის ადამიანი გაერთიანდა და მათმა ეროვნულმა მახასიათებლებმა მნიშვნელობა დაკარგა. სოციალურ ქსელში ყველა თანასწორია და ერთ ენაზე ლაპარაკობს, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

კოსმოპოლიტური კულტურა ყველა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით ვითარდება, ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, გლობალური კულტურა მრავალმხრივი და ჰიბრიდულია. ის საერთაშორისო მასკომუნიკაციურ სისტემებს ეფუძნება. ამ პროცესში უდიდეს როლს თამაშობს ინფორმაციული ტექნოლოგიები.

საბჭოთა კავშირის მაგალითი რომ განვიხილოთ, ნათლად დავინახავთ, თუ როგორ ცდილობდა კომუნისტური მმართველობა ადამიანების ინფორმაციულ ვაკუუმში მოთავსებას. აკრძალული იყო ამერიკული და ევროპული ტელეარხები, იკრძალებოდა დასავლური ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ცენზურა კრძალავდა ამერიკულ კინოსაც. საბჭოთა ხელისუფლების ეს მეთოდი კომუნის შესაქმნელად საკმაოდ ეფექტური იყო. კომუნაში ვერ აღწევდა სხვა ქვეყნების კულტურა, შესაბამისად ვერ ხდებოდა საზოგადოების აზროვნებისა და ღირებულებათა სისტემის ცვლა.

ეს მეთოდი სრულიად საპირისპირო გზით მუშაობდა, თუმცა ისეთივე შეუქცევადი და ძლიერი იყო, როგორც გლოგალიზაციის უკონტროლო პროცესი. საბჭოთა კავშირმა მრავალი ერი მოაქცია ინფორმაციულ ვაკუუმში და ცენზურის ქვეშ ატარებდა ყველასა და ყველაფერ განსხვავებულს. დევნიდა საბჭოთა იდეოლოგიის მოწინააღმდეგეებს, ავიწროვებდა, ასახლებდა და ხვრეტდა.

1983 წელს, რეიგანმა საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა. როდესაც სსრკ მმართველობამ თვითმფირნავის გამტაცებელი ქართველი ახალგაზრდები, ამერიკაში გაქცევის მცდელობისათვის დახვრიტა. თვითმფირნავის ბიჭების ამბავში მთავარი ის არის, რომ ისინი არა პილოტებისა და მგზავრების დაღუპვის გამო, არამედ პროტესტის გამო დაიხვრიტნენ. საბჭოთა კავშირისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს წარმოადგენდა.

ბოროტების იმპერიას საქართველომ 1991 წელს დააღწია თავი და შეეჩეხა მეორე, უკიდურეს რეალობას, თავისუფლებისა და ლიბერალიზმის სახელით შემოჭრილ ჯერ კიდევ გაურკვეველ და უცნობ მოვლენას.

საბჭოთა იმპერიიდან გამოყოფილ პატარა ქვეყანას, ბუნებრივია ძალიან დიდი ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს. 90-იანი წლები ეკონომიკურად ყველზე რთული აღმოჩნდა საქართველოსათვის. ამ პერიოდში ადამიანები მხოლოდ გადარჩენისათვის იბრძოდნენ.

2003 წლიდან საქართველოში რელობა შეიცვალა და იმ პერიოდისთვის ვარდების რევოლუცია ხსნად და გადარჩენად ესახებოდა ქართველ ხალხს.

დაარსდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და ლათინოამერიკული სერიალებიც ამერიკულით ჩანაცვლდა. ნელ-ნელა ვეზიარეთ დასავლურ კულტურას, გაკეთდა ამერიკული შოუების ქართული ანალოგები, რეალითი შოუები. უცბად მოიხსნა ყველა ზღვარი და წესი. უცბად შევიგრძენით თავისუფლება.

გლობალიზაციის პროცესში მედია უმთავრესი იარაღი რომ არის, ეს უკვე ვთქვით. საქართველოს შემთხვევაშიც მედიამ გვასწავლა როგორც ცხოვრობენ იქ, დასავლეთში, საოცნებო ამერიკაში.

დღეს, 2022 წელია და საქართველო თითქმის არაფრით განსხვავება სხვა ევროპული ქვეყნებისაგან. ქართველი თინეიჯერი უსმენს და უყურებს იმას, რასაც ამერიკელი, აცვია ზუსტად ისე, როგორც ამერიკელს, ფრანგს ან გერმანელს. თაობა „ზეტი“ თითქმის თავისუფალია „ეროვნული ჩარჩოებისგან“.

ამ კუთხით დიდი როლი ითამაშა თავისუფლების ინსტიტუტმაც, რომელიც 25 წლის წინ დაარსდა და პირველად იმ პერიოდში დაიწყო ნელი და შეფარვითი საუბარი ლიბერალიზმზე, სიტყვაზე, რომლის მნიშვნელობაც ქართველებისთვის ნაცნობი იყო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ დღევანდელი ლიბერალიზმი მკაფიოდ განსხვავებოდა ილია ჭავჭავაძის ლიბერალიზმისგან.

საზოგადოებაში და განსაკუთრებით განსხვავებულ თაობებში, დაპირისპირება ეროვნული ღირებულებების შესახებ დღესაც არსებობს. სოციალურ ქსელში საზოგადოების დიდ აგრესიას იწვევს საკითხები, რომლებსაც ქართული მედიასაშუალებები აშუქებენ და შეფარვით მხარსაც უჭერენ. ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ლგბტქი პრაიდის გამართვა, პროსტიტუციის ლეგალიზება თუ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია. ეს ის თემებია, რომლებსაც ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი არ და ვერ იღებს. ვერ ეგუება. ამის მაგალითი 2013 წლის 17 მაისია, როდესაც სექსუალურ უმცირესობათა მცირერიცხვოვანი აქცია ათიათასობით ადამიანმა დაარბია. მას შემდეგ ლგბტქი ადამიანების მარში სქართველოში არ შემდგარა. იყო მცდელობები, თუმცა ვერასოდეს შედგა. ქართულმა და უცხოურმა მედიასაშუალებებმა ეს ფაქტი დაგმეს და აქციის დარბევა ძალადობად შეფასდა. ძალადობად და დისკრიმინაციად ფასდება ყველა განცხადება, რომელიც ეწინააღმდეგება ან არ უჭერს მხარს სექსუალურ უმცირესობებს. ევროპული კონვენცია სწორი და არასწორი ქცევის ინდიკატორად იქცა.

ძალადობა, რა თქმა უნდა დასაგმობია და ვერავინ გაამართლებს, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, ამ მოვლენის მიღმა, ქართული ეროვნული იდენტობა და ტრადიცული ღირებულებები ის ფაქტორებია, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგაც არ შეცვლილა.

აქვე იბადება კითხვა, თუ კი ევროპული კანონმდებლობა სრულ თავისუფლებას გვპირდება, რატომ არის ის ორმაგი სტანდარტების მატარებელი? რატომ იზღუდება ეროვნული მახასიათებლებსა და ტრადიციების დაცვა, თუნდაც მხოლოდ სიტყვიერად? რატომ არავის აქვს უფლება თქვას რა მოსწონს და რა არა ? სწორედ ეს საკითხებია მუდმივი განხილვის საგანი ქართულ მედიასივრცეში. საზოგადოება არ ეთანხმება არასამთავრობო ორგანიზაციების იდეოლოგიას. ტელევიზიაბისთვის კი ეს უთანხმოება რეიტინგის მომტანი და მომგებიანია.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, პატარა, ეროვნული და ტრადიციული ქვეყნები გლობალიზაციასა და და კომუნისტურ წყობას შორის გაიჩხირნენ. გარდამავალი ეტაპი საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა. საქართველოსთვის ეს გარდაქმნა ქაოსის მომტანი გახდა და ჯერ კიდევ შორს არის საბოლოო დალაგებისა და სტაბილურობისგან.

დღეს მსოფლიოს ამერიკული ანუ გლობალური კულტურა კვებავს და ამას ვერც ჩვენი ქვეყანა გაექცევა. მიიღებენ კი ერთმანეთს გლობალური და ქართული კულტურა? ეს არის მთავარი კითხვა, და კიდევ ის, რას ნიშნავს თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა. რატომ მიისწრაფვის საქართველო იყოს ყოველთვის სხვისი მფარველობის ქვეშ, იქნება ეს საბჭოთა თუ ევროკავშირი?

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, გამოსავალი საკუთარი ტრადიციების შენარჩუნებასა და სხვისი ტრადიციების დაფასებაშია. ისინი ვერ გაერთიანდებიან, რადგან, ფაქტობრივად შეუძლებელია რომელიმე კონკრეტული ღირებულება, ყველა ერისთვის მისაღები იყოს. შეუძლებელია მრავალსაუკუნავანი ისტორიის გაქრობა, გენეტიკური მახასიათებლების წაშლა, ადამიანებისთვის ძალადობრივი გზებით არასასურველი და მიუღებელი კანონების თავსმოხვევა. ძალადობრივი გზებით საბჭოთა კავშირი მუშაობდა. ალბათ, ამიტომაც ეწოდა ბოროტების იმპერია. გლობალიზაციის პროცესს კი ლიბერალურ ფაშიზმს ეძახიან.

გამოსავალი კი, ალბათ, სრული ეროვნული დამოუკიდებლობაა. ეს არის ის გასაღები, რომელიც ბალანსის დაცვაში დაგვეხმარება და გვასწავლის, როგორ შევუსაბამოდ ჩვენი მკაფიო ეროვნულობა გარდაუვალ გლობალურ პროცესებს.

ANNA BEZHASHVILI

GLOBALIZATION OF CULTURE - DANGERS AND BENEFITS

Summary

Our article deals with a very important topic, the globalization of culture. Nowadays, this issue is actual and topical. There are many different opinions and attitudes. This still unexplored event is perceived quite strongly and painfully in Georgia. People, might say t are afraid of the word "globalization". Whereas it is still a new and difficult-to-understand phenomenon. People do not know what global processes are doing to us, what goodness and danger they will bring us.

Therefore, we decided to talk about the dangers and benefits of globalization.

In the beginning we will discuss the general essence of globalization, we will talk about where it originates from and what its purpose is. Since the main task of the globalization process is to weaken the cultural characteristics of the countries, this process leads us in this direction.

We are also talking about how great the danger can be of the disappearance of national, cultural and traditional features and the confusion of different cultures. We will also discuss the consequences of the technological revolution. The role of the creation of the Internet in accelerating the process of globalization.

We are also talking about the mechanisms by which traditional nations "protect themselves" from the uncontrolled process of globalization.

We consider the example of Georgia, make a contrasting comparison with the Soviet period. We talk about how Georgian society developed after its escape from the Soviet Empire, how it became acquainted with the banned Western culture, and what stage we are at today. We draw a parallel between these two radically different realities and emphasize the great importance of freedom and independence.

Finally, we conclude, that the strength of a nation, a country , is necessarily in the preservation of cultural identity, especially for Georgia, which has a centuries-old history and culture. Finally, we talk about the solution, which exists in achieving full national independence.

***Key words**: globalization, culture, cultural values, scientific-technological revolution.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკოლაიშვილი ნ., „გლობალიზაცია და კულტურა“, „ახალი აზრი“, თბ., 2004.

✍ გიგა გუბელაძე
*წარმოადგინა ასოც. პროფ. **თამარ კუპრეიშვილმა***

ყარაბაღის კონფლიქტი და რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკა

2020 წელი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა მსოფლიოსთვის, რადგან საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა კაცობრიობა, ეს კი გამოწვეულ იქნა პანდემიით (კორონა ვირუსით) რომლის მძიმე შედეგებსაც დღემდე ვიმკით 2021 წელს, ფაქტებმა კი გვიჩვენა, რომ მსოფლიო მზად არ იყო პანდემიასთან ეფექტური განმკლავებისთვის, ეს კი რიგი ქვეყნებისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, როგორც ეკონომიკურად ისე ჯანდაცვის არაეფექტიანობის კუთხით და სხვა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო და აქტუალური სამხრეთ კავკასიის რეგიონია, რომელშიც პანდემიისგან მოყენებული ზარალის გარდა არის აქტიური საგარეო უსაფრთხოების საკითხებიც,

***საკვანძო სიტყვები**: ეკონომიკა, უსაფრთხოება, ჯანდაცვა, სამხრეთ კავკასია, ყარაბაღი.*

მსოფლიოში პანდემიის დაფიქსირებიბის შემდეგ დაახლოებით წელიწად ნახევარია გასული, ამ მძიმე გამოწვევის გარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონს საკმაოდ დაძაბული ვითარება დაერთო და ეს გახლდათ სომხეთ აზერბაიჯანის ომი, გარდა იმ დიდი დანაკარგისა რომელიც პანდემიამ მოუტანა რეგიონს, როგორც ეკონომიკური ისე ადამიანთა გარდაცვალებისა თუ ჯანმრთელობის გაუარესების კუთხით, ამ ომმა უბედურებას უბედურება დაამატა და უამრავი ახალგაზრდა შეეწირა, როგორც სომხეთის ისე აზერბაიჯანის მხრიდან, ჩვენ კვლევამ აშკარად გვაჩვენა, რომ ეუთოს მინსკის ჯგუფმა, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზებს იძიებს, სათანადო როლი ვერ შეასრულა კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში და რეგიონში სიტუაციაზე კონტროლი რუსეთმა აიღო, ასევე გამოიკვეთა თურქეთის შესაძლო ინტერესებიც, და ვნახეთ ისიც, რომ თურქეთი არა როგორც ნატოს წევრის ეგიდით მოქმედებდა რეგიონში, არამედ პირადი მოტივებით.

პანდემიამ სომხეთსა და აზერბაიჯანსაც დაატყო მძიმე კვალი, როგორც ადამიანური დანაკარგის კუთხით, ისე ეკონომიკურად, თუმცა ყველაზე საყურადღებო და სამწუხარო პროცესი მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირების გაღვივება გახდა, რაც წლების განმავლობაში მწიფდებოდა.

ამ ორიქვეყნიდან რომელიმემ მოიგო ამ ომით? ვფიქრობ, არა, რადგან სამხრეთ კავკასიის რეგიონზე საკმაოდ დიდი ხანია გავლენების გაძლიერებას ცდილობს რუსეთი, და სანამ სომხეთ აზერბაიჯანის კონფლიქტის ინტერესებში განვიხილავთ რუსეთს, ისიც საკმარისი ფაქტია რაც მან საქართველოს დამართა თავისი მტაცებლობით და ტერიტორიები წაართვა, რეგიონში მშვიდობის მყოფელის მანტიით.

2020 წლის 10 ნოემბერს რუსეთის ჩართულობით კონფლიქტი გაჩერდა სომხეთ აზერბაიჯანს შორის და ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას:

1. 2020 წლის 10 ნოემბრის 00:00 საათიდან, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში ცხადდება სრული ცეცხლის შეწყვეტა და ყველა საომარი მოქმედების დასრულება - აზერბაიჯანი და სომხეთი რჩებიან მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე;
2. 2020 წლის 20 ნოემბრამდე აზერბაიჯანს დაუბრუნდება აღდამის მხარე და სომხეთის მიერ დაკავებული აზერბაიჯანის ტერიტორიები გაზახის რაიონში;
3. მთიანი ყარაბაღის გამყოფი ხაზისა და ლაჩინის დერეფნის გასწვრივ განლაგდება რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტი - 1 960 სამხედრო მოსამსახურე მცირე შეიარაღებით, 90 ჯავშანტექნიკითა და 380 ერთეული საავტომობილო და სპეციალური ტექნიკით;
4. რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტი სომხეთის შეიარაღებული ძალების გასვლის პარალელურად განლაგდება. რუსეთის კონტიგენტის ამ ტერიტორიაზე განლაგების ხანგრძლივობა 5 წლით განისაზღვრა. ამ ვადის გასვლამდე 6

თვით ადრე მხარეები თუ არ განაცხადებენ ამ მოცემულობის შეწყვეტის შესახებ, კონტიგენტის განლაგების ვადა კიდევ 5 წლით ავტომატურად გახანგრძლივდება;

5. კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ შეთანხმებების შესრულებაზე კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, შეიქმნება სამშვიდობო ცენტრი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტას გააკონტროლებს;
6. სომხეთის 2020 წლის 15 ნოემბრამდე აზერბაიჯანს დაუბრუნებს ქელბაჯარის რაიონსა და 2020 წლის 1 დეკემბრამდე ლაჩინის რაიონს. თუმცა სომხეთი დატოვებს ლაჩინის დერეფანს (5 კმ სიგანე), რაც უზრუნველყოფს მთიანი ყარაბაღის სომხეთთან დაკავშირებას და არ შეეხება ქალაქ შუშას.

მხარეთა შეთანხმებით, მომდევნო სამ წელიწადში განისაზღვრება ლაჩინის დერეფნის გასწვრივ ახალი სატრანსპორტო მარშრუტის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სტეპანაკერტსა და სომხეთს შორის, სადაც რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის განლაგდება ამ მარშრუტის დასაცავად.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გარანტიას

7. იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები ბრუნდებიან მთიანი ყარაბაღისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისის კონტროლის ქვეშ;
8. მხარეებს შორის სამხედრო ტყვეების, სხვა დაკავებული პირებისა და გარდაცვლილთა ცხედრების გაცვლა მოხდება;
9. რეგიონში ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი განიბლოკება. სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს სატრანსპორტო კავშირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონებსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, რათა ორგანიზება გაუწიოს მოქალაქეების, მანქანებისა და ტვირთების შეუფერხებელ გადაადგილებას ორივე მიმართულებით. ტრანსპორტის კონტროლს განაახორციელებენ რუსეთის უსაფრთხოების სამსახურის ორგანოები.

აღნიშნული შეთანხმებით კი ჩანს, რომ რუსეთი კონფლიქტის ტერიტორიაზე მშვიდობის მყოფელის როლს ითამაშებს, ხოლო რეალურად მას გავლენები გაეზარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, და ახლა უკვე ოფიციალური საბაბი აქვს რეგიონიდან სულ მცირე 5 წელი არ გავიდეს, ამას ზემოთ ხსენებული სამშვიდობო შეთანხმების მე-4 მუხლიც მოწმობს იმ აზრს, რომ სომხეთ აზერბაიჯანის ომით რუსეთმა იხეირა ოფიციალური ინფორმაციები თუ ექსპერტთა ნააზრებიც ამყარებს: „მეტ-ნაკლებად ყველამ თავისი პოზიციები შეინარჩუნა. ამ ომში ძირითადად მოგებული რუსეთი და თურქეთი დარჩნენ. თავიანთი პოზიციები კავკასიის რეგიონში გააძლიერეს", - ასე აფასებს „რეზონანსთან“ საერთაშორისო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ყარაბაღის სამშვიდობო შეთანხმებას. რუსეთი და თურქეთი უკვე გახდნენ რეგიონული ჰეგემონები. მანამდე ეს ახლო აღმოსავლეთში გააკეთეს - სირიის ომი შედეგად. ხოლო ახლა მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად რუსეთ-თურქეთი კავკასიის რეგიონული ჰეგემონი გახდა. ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი.

„აზერბაიჯანი პრინციპში მოგებულია. ახლა სერიოზული ანალიზი დაიწყება. სავარაუდოდ, ბოლომდე არ მიაყვანინეს აზერბაიჯანს მოგებული მდგომარეობა. მას შეეძლო მთიანი ყარაბაღი სულ აეღო და ტერიორიული მთლიანობის საკითხი სამუდამოდ ამით დაესრულებინა. „ფაქტიურად, სომხეთმა მოიგო ის, რომ ლაჩინის კორიდორი შეინარჩუნა. ასევე მთიანი ყარაბაღის 70%-ზე შეინარჩნა კონტროლი. ეს კონტროლი მისი სტრატეგიული მოკავშირის რუსეთის სამხედრო კონტიგენტის მეშვეობით განხორციელდება. საკმაოდ სერიოზულია. ჩემი აზრით, ეს სომხებისათვის ბევრად მომგებიანია.

„დღევანდელი რეგიონალური უსაფრთხოების მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდა მოიცავს ფორმულას 2+2=4. 2 არის აზერბაიჯანი-სომხეთი, პლუს 2 თურქეთი და რუსეთი. აქ ამოვარდა - ირანის რესპუბლიკა, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია არ გამორიცხავს, რომ თურქეთ-რუსეთის მთავრობის მინისტრების შეთანხმება დახურული ტიპის იყოს და მისი დეტალები საზოგადოებას არც გააცნონ. როგორც ვახტანგ მაისაიამ „ჯორჯიან თაიმს-

თან“ განაცხადა რუსეთმა და თურქეთმა თავისი გავლენის სფეროები გაინაწილა.

„რონდელის ფონდის“ მკვლევარის ზურა ბატიაშვილის შეფასებით, ყარაბაღში სომხეთ-აზერბაიჯანის ომში მთავარი გამარჯვებული რუსეთი გამოვიდა. მისი თქმით, რუსეთმა ყარაბაღის სტატუსი ღიად დატოვა, რათა მომავალში მხარეებზე ზეგავლენის საშუალება ჰქონდეს. „ყარაბაღის მეორე ომს, აზერბაიჯანის გარდა, რომელიც იბრუნებს კონტროლს ათწლეულების წინ დაკარგული ტერიტორიების დაახლოებით 2/3-ზე (რუკაზე აღნიშნულია ყვითელი ფერით) ყავს მთავარი მოგებული მხარე რუსეთის სახით, რომელიც საქართველოსა და სომხეთის გარდა უკვე, აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც განათავსებს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს მინიმუმ 5 წლის ვადით (დამატებით კიდევ 5 წლით გახანგრძლივების პერსპექტივით) რითაც გაიზრდება მისი გავლენა მთელ რეგიონში; - ღიად ტოვებს ყარაბაღის სტატუსის საკითხს, რითაც ყოველთვის ექნება მხარეებზე მანიპულაციისა და გავლენის საშუალება; - მისი „სამშვიდობოები” გააკონტროლებენ სიტუაციას ყარაბაღსა და სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელ ლაჩინის გზაზე, რითაც ყოველთვის ექნება სომხეთსა და აზერბაიჯანზე ზემოქმედების ბერკეტი; - მოსკოვის „კეთილ ნებაზე” იქნება დამოკიდებული თურქეთ (თურქეთზე ცალკეც დავწერ)-ნახჩევან-დანარჩენ აზერბაიჯანს შორის დამაკავშირებელი გზის ფუნქციონირების საკითხი, რაც კიდევ ერთი დამატებითი ბერკეტია მის ხელში;

უკვე ყველასთვის კარგად ცნობილია რუსეთის პოლიტიკური ინტერესები და მავნებლური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რის შესახებვე ეჭვს საკმაოდ მყარი არგუმენტები ამყარებს, თუმცა რუსეთის გარდა აქტიურად შეინიშნება თურქეთის კვალი სომხეთ აზერბაიჯანის მიმდინარე კონფლიქტის დროსა თუ დამთავრების შემდეგაც, კითხვა შემდეგშია, რა ინტერესები აქვს თურქეთს სამხრეთ კავკასიაში? რონდელის ფონდის“ მკვლევარის ზურა ბატიაშვილის შეფასებით, აზერბაიჯანისა და რუსეთის გარდა, ყარაბაღის ომით თურქეთმაც ისარგებლა. ექსპერტი იმ მოვლენებს ასახელებს, რომლებიც თურქეთისთვის სასიკეთოდ განვითარდა. „ყარაბაღის ომს, აზერბაიჯანისა და რუსეთის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებული ჰყავს თურქეთის სახით.ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს 3 ქვეყანა ყარაბაღის მეორე ომის ბედზე წინასწარ იყო შეთანხმებული.

რუსეთმა წაუყრუა ომს. აზერბაიჯანმა კი მეტწილად თურქული დახმარებით (დრონები, სამხედროების მომზადება და ა.შ.) შეძლო 27 წლიანი სტატუს-კვოს დარღვევა და გამარჯვების მოპოვება. ანკარამ შესაძლოა 100%-ით ვერ მიაღწია აქ თავის მიზნებს, მაგრამ მას მაინც აქვს რამდენიმე ხელშესახები წარმატება:

1. მოძმე აზერბაიჯანის წარმატება ამ ომში ანკარის წარმატებაცაა. ეს მისი პრესტიჟის საქმეცაა. შესაბამისად, მოიმატებს მისი გავლენა აზერბაიჯანში და მთლიანად რეგიონში;
2. ანკარამ დასავლეთთან დაპირისპირების ფონზე ამ უკანასკნელთ სიგნალი გაუგზავნა, რომ მას შეუძლია რუსეთთან საერთო ენის გამონახვა;
3. თურქი სამხედროები უკვე ოფიციალურადაც დამკვიდრდებიან კავკასიაში და რაც საგულისხმოა, ახლა უკვე რუსეთის თანხმობით (მართალია ისინი იქნებიან არა სამშვიდობო ძალებში, არამედ სადამკვირვებლო ცენტრში);
4. იხსნება ნახჩევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის დამაკავშირებელი სახმელეთო გზა (რუკაზე აღნიშნულია ლურჯი რგოლით), რომელმაც შესაძლოა ასევე დააკავშიროს ერთმანეთს თურქეთი და დანარჩენი თურქული სამყარო (თუმცა ამ გზაზე კონტროლიც რუსების ხელში რჩება);
5. წარმატებით გამოსცადა საკუთარი დრონები სრულმასშტაბიან ომში, რითაც მოიმატა თურქული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პრესტიჟმა. არაერთმა ქვეყანამ უკვე გამოთქვა თურქულ მხარესთან ამ მიმართულებით თანამშრომლობის სურვილი“, - აღნიშნავს მკვლევარი.

ზურა ბატიაშვილის აზრით, ომის შედეგის მიუხედავად, თურქეთსა და რუსეთს შორის სტრატეგიული კავშირის ჩამოყალიბება მარტივი არ იქნება. „მაინც მგონია, რომ რუსეთი და თურქეთი ასე ადვილად ვერ გახდებიან სტრატეგიული მოკავშირეები, რადგან მათი გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ სირიასა და ლიბიის შემდეგ ახლა უკვე აზერბაიჯანსა და მთლიანად კავკასიაშიც შეიძლება ვიხი-

ლოთ მათი დაპირისპირება“, - აცხადებს ზურა ბატიაშვილი.

საკმაოდ არგუმენტული შეფასება აქვს თურქეთის როლზე ბატონ ზურა ბატიაშვილს, თუმცა თურქეთ რუსეთის ერთობლივ მისიაზე სახმრეთ კავკასიასა და სირიაში განსხვავებულ წინადადებებს ვაწყდებით ოფიციალური თურქეთის მხრიდან, საყურადღებოდა ის ფაქტიც, რომ სომხეთ აზერბაიჯანის საკითხთან დაკავშირებით რუსული მხარე თურქეთის ჩართულობას გამორიცხავდა, თუმცა ყველაფერი პირიქით აეწყო:

ლავროვმა თქვა, რომ ყარაბაღში თურქი სამშვიდობოები აღარ იქნებიან მოსკოვი, 12 ნოემბერი - რია ნოვოსტი. „რაც შეეხება პარლამენტში გაკეთებულ განცხადებებს (თურქეთის რედაქტორი. - რედ.) იმის შესახებ, რომ ისინი იმუშავებენ იმავე საფუძველზე, როგორც რუსები, ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ იმ ცენტრზე, რომელიც მუდმივად განთავსდება, ყოველგვარი ვიზიტის გარეშე. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე“, - თქვა მინისტრმა რუსულ და უცხოურ მედიასთან ინტერვიუში. სამშაბათს დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ასევე თქვა, რომ თურქებს სამშვიდობო ოპერაციასთან საერთო არაფერი აქვთ.

ამავე დროს, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ ანკარა მონაწილეობას მიიღებს „ერთობლივი სამშვიდობო მისიაში“. თურქეთი და რუსეთი შექმნიან ერთობლივ ცენტრს მთიან ყარაბაღში მშვიდობის მონიტორინგისთვის. თურქეთმა და რუსეთმა 11 ნოემბერს ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რათა შეიქმნას ერთობლივი ცენტრი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმების მონიტორინგისთვის განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა და გამოთქვა იმედი, რომ ანალოგიური თანამშრომლობა იქნება ანკარასა და მოსკოვს შორის სირიაში მიმდინარე კონფლიქტში. როგორც ვხედავთ, რუსეთთან ერთად თურქეთმაც ნახა სარგებელი სომხეთ აზერბაიჯანის ომით და იგი კავკასიის რეგიონში მონიტორინგს ახორციელებს, ასევე საყურადღებო გახლდათ თურქეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებები კონფლიქტის მინდინარე პროცესი თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა რეჯეფ ერდოღანმა და ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ქვეყნებს შორის მოკავშირეთა ურთიერთობების შესახებ შუშაში, იუწყება საგენტო Trend. დოკუმენტში აღნიშნულ დებულებებს შორის არის ზანგეზურის დერეფნის გახსნა, რომელიც თეორიულად უნდა აკავშირებდეს აზერბაიჯანის ნახჭევანის რეგიონს დანარჩენ ქვეყანასთან (სომხეთის სიუნიკის რეგიონის გავლით). გარდა ამისა, ერდოღანმა განაცხადა, რომ აპირებს შუშაში თურქეთის გენერალური საკონსულოს გახსნას. დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ მისი დებულებები ასახავს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ერთობლივი თავდაცვისა და ორმხრივი სამხედრო დახმარების საკითხებს. მან თავად დოკუმენტი აღწერა, როგორც „მსოფლიოში ალიანსის უნიკალური მაგალითი“.

ზემოთ ხსენებული ინტერესების გარდა თურქეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში კიდევ ერთი საკითხია მიმზიდველი: ბაქო, ნახიჩევანი და თურქეთის რკინიგზა, რომელიც სტრატეგიულია მისთვის მრავალ ასპექტში. (GBC) - სარკინიგზო პროექტს „თურქეთის კარიბჭე“ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის გავლით, უდიდეს სტრატეგიულ უპირატესობას ფლობს. ამის შესახებ, აზერბაიჯანულ სააგენტო რეპორტს მსოფლიო ენერგეტიკული საბჭოს თურქეთის ნაციონალური კომიტეტის ენერგეტიკული დიპლომატიის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, ახლოაღმოსავლეთის უნივერსიტეტის პროფესორმა ოქთაი ტანრისევერმა განუცხადა. მისი თქმით, პროექტი, უპირველესად, თურქეთ-აზერბაიჯანს შორის უმოკლეს სტრატეგიულ დერეფანს შექმნის და მჭიდროდ დააკავშირებს ავტონომიურ რესპუბლიკას აზერბაიჯანის დანარჩენ რეგიონებთან. მეორეს მხრივ, თურქეთი და აზერბაიჯანი, დაამყარებენ რა მჭიდრო კავშირებს ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან, მნიშვნელოვან სავაჭრო დერეფანს გახსნიან ჩინეთთან. ტანრისევერმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს თურქეთ-აზერბაიჯანს შორის ორმხრივ ვაჭრობასა და გადაზიდვების ტარიფების შემცირებაში. ექსპერტი მიიჩნევს, რომ პროექტი „თურქეთის კარიბჭე“ გარკვეულ გავლენას მოახდენს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პერსპექტივებზე, თუმცა ეს უმნივშნელო იქნება. მისივე თქმით, ბაქო-თბილისი-ყარსი შეინარჩუნებს თავის სტრატეგიულ დანიშნულებას, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რეგიონებისთვის. ექსპერტი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაქო-

თბილისი-ყარსისა და ბაქო-ნახჭევანი-თურქეთის რკინიგზების ინტეგრირების წინადადებითაც გამოდის. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის საზეიმო ცერემონია ბაქოში 2017 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა. ეს ხაზი აზიისა და ევროპის სარკინიგზო ქსელებს აერთიანებს, რუსეთის გვერდის ავლით. ეს აზია-ევროპას შორის უმოკლესი სარკინიგზო მარშრუტია. 10 ნოემბრის ღამეს მთიან ყარაბაღში სომხურ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის საბძოლო მოქმედებების დასრულების სამმხრივი შეთანხმება შედგა, რომლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის სატრანსპორტო დერეფნით დაკავშირებას დანარჩენ აზერბაიჯანთან, რასაც რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო ძალები გააკონტროლებენ.

ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა აზერბაიჯანის სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისგან იზოლირებულია და მდებარეობს სომხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ნახიჩევანს ორი მხრიდან ირანის ისლამური რესპუბლიკა ესაზღვრება, ასევე მცირე საზღვარი აქვს თურქეთთანაც, საიდანაც მარაგდება კიდეც. ე.წ. ნახიჩევანის კორიდორი, რომელიც შეიძლება სომხეთის სამხრეთ ნაწილში შეიქმნას, თეორიულად ორ მარშრუტს მოიაზრებს. პირველი იწყება სომხეთის სოფელ სიუნიქში, შემდგომ კი კაპანი-მეღრის გზით, ნახიჩევანის საზღვრამდე მიდის. მეორე მარშრუტი აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრის უკიდურესი სამხრეთი წერტილიდან იწყება და მდინარე არაქსს მიუყვება, შემდგომ კი იმავე კაპანი-მეღრის გზით უკავშირდება ნახიჩევანს. ორივე მარშრუტი მთიან გეოგრაფიულ არეალშია.

ნახიჩევანის კორიდორის არსებობით, აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის დაშლისა და ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ პირველად, მართალია, მეორე ქვეყნის გავლით, თუმცა უმოკლესი გზით დაუკავშირდება ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას, შესაბამისად, თურქეთსაც, სწორედ მოყვანილი ინფორმაციები ამყარებენ ვარაუდს, რომ თურქეთისთვის ეს დიდად საინტერესო და მიმზიდველი პროექტია, რომელიც მის სტრატეგიულ ინტერესებში ჯდება, კითხვა შემდგომშია, მიადგება ზარალი აღნიშნული სატრანსპორტო ხიდის ამუშავების შემთხვევაში საქართველოს? ჩემი აზრით ნაწილობრივ, ვინაიდან ალტერნატიული ტვირთგამტარი ხაზი გაჩნდება რეგიონში რომელიც ნაწილობრივ კონკურენციას გაუწევს საქართველოს ტვირთგამტარიანობას, ამ საკითხზე ექსპერტების აზრი განსხვავებულია და მრავალფეროვანიც:

მსოფლიო ენერგეტიკული საბჭოს თურქეთის ნაციონალური კომიტეტის ენერგეტიკული დიპლომატიის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, ახლოაღმოსავლეთის უნივერსიტეტის პროფესორმი ოქთაი ტანრისევერი მიიჩნევს, რომ პროექტი „თურქეთის კარიბჭე“ გარკვეულ გავლენას მოახდენს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პერსპექტივებზე, თუმცა ეს უმნიშვნელო იქნება. მისივე თქმით, ბაქო-თბილისი-ყარსი შეინარჩუნებს თავის სტრატეგიულ დანიშნულებას, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რეგიონებისთვის. ექსპერტი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაქო-თბილისი-ყარსისა და ბაქო-ნახჭევანი-თურქეთის რკინიგზების ინტეგრირების წინადადებითაც გამოდის.

გიორგი ბადრიძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ნახიჩევანის დერეფნის გახსნის შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველომ დაკარგოს გარკვეული ტვირთები, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას საფრთხე არ ემუქრება, ხოლო ის ეკონომიკური სარგებელი, რასაც საქართველოც მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ რეგიონი დასტაბილურდება, გაცილებით ძვირფასია, ვიდრე ტვირთების გატარებით მიღებული შემოსავალი. „დერეფანმა რომ შეიძინოს სტრატეგიული დანიშნულება, რათა გატარდეს მილსადენები და რკინიგზა, ამას დასჭირდება სამარადჟამო მეგობრული შეთანხმება. ეს რამდენად შესაძლებელია, ძნელი სათქმელია. ამ მომენტში ეს შეთანხმება უფრო ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებაა, ვიდრე სამშვიდობო წინადადება. ასევე გამოვრიცხავ იმას, რომ სომხეთისკენ გადაინაცვლებს ყველა სატრანზიტო მარშრუტი, რაც ახლა საქართველოზე გადის, მაგრამ ეს ასეც რომ მოხდეს, ამაზე არავინ უნდა იდარდოს, რადგან ეს ნიშნავს ისეთ სერიოზულ გარღვევას რეგიონის სტაბილურობის ჩამოყალიბებაში, რომლითაც საქართველო მხოლოდ ისარგებლებს. საქართველო ზარალდება მაშინ, როცა რეგიონში არასტაბილურობაა, ხოლო თუ აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობები გაუმჯობესდება, ეს საქართველოს მხოლოდ წაადგება. ეს თუ მოხდა, საქართველოსთვის ბევრად მეტია, ვიდრე სატრანზიტო დანაკარ-

გები, რადგან სტაბილურობის პირობებში საქართველო გახდება უფრო მიმზიდველი ინვესტიციებისა და ტურიზმისთვის“, – მიაჩნია ბადრიძეს.

რუსეთმა რეგიონში მოიპოვა კონტროლი და მისი გავლენა რამოდენიმეჯერ ძლიერია სამხრეთ კავკასიაში, ახლა მისი ჯარი ყარაბაღში დგას და სიტოაციას ეგრედ წოდებულ სამშვიდობო კონტროლს უწევს, ეს კი მისთვის სტრატეგიულად მომგებიანია, ასევე ევროპიდან აზიის მიმართულებით და პირიქით აზიიდან ევროპის მომართულებით ტვირთგამტარიანობის (ტვირთგადაზიდვა, ვაჭრობა) კუთხით დაგეგმილია ყარაბაღის რეგიონში ტვირთგამტარი გზის მშენებლობა, რომელზეც კონტროლს თავისთავად რუსეთი აიღებს მისი სამშვიდობო ეგიდიდან გამომდინარე, ხოლო აღნიშნული ხაზით თურქეთიც ისარგებლებს, მისთვის რეგიონულად ხელსაყრელი გზით.

ყავს ყარაბაღის ომს გამარჯვებული? მოიგო სომხეთმა? ცხადია არა, მოიგო აზერბაიჯანმა? ცხადია არა, ვინაიდან ჩემი აზრით იმ სავალალო მსხვერპლად არაფერი ღირს, რომელიც ამ ორმა ქვეყანამ ახალგაზრდების დანაკარგით განიცადა, ხოლო რეგიონს გავლენები მოახვია რუსეთმა და ხელსაყრელი პირობები მოიგო თავისი გავლენის გაძლიერებისთვის. კვლევა გვაჩვენებს, რომ სომხეთ აზერბაიჯანის კონფლიქტით მოიგო რუსეთმა და ასევე სარგებელი ნახა თურქეთმა.

ვინაიდან რეგიონში ახალი რეალობა დგას, ვფიქრობ საქართველოს კიდევ უფრო მართებს მისი საგარეო პოლიტიკის ჭკვიანურად დაგეგმვა, რადგან სამხრეთ კავკასიაში ევროპასა და ამერიკისთვის სტაბილურ დასაყრდენად ვრჩებით, რომლის პოლიტიკური კურსიც მრავალი წელია დასავლეთისკენაა მიმართული, მით უმეტეს, რომ 2024 წელს საქართველო ემზადება ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანისთვის, რაც შეეხება პოლიტიკას სომხეთ აზერბაიჯანთან მიმართებაში, აუცილებელია მეზობლებთან კეთილგონიერი და კეთილ განწყობილი ურთიერთკავშირები, რაც, ვიმედოვნებ, მომავლისთვის ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ძლიერ ურთიერთთანამშრომლობას და როგორც რეგიონის მის გაძლიერებას, ეს პერსპექტივა მართალია რთული მისაღწევია, თუმცა ჩვენ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ პოზიტიური როლის შესრულებისთვის ორივე ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი) ურთიერთობის გასაჯანსაღებლად.

GIGA GUBELADZE

KARABAKH CONFLICT AND REGIONAL SECURITY POLICY

Summary

2020 turned out to be quite a difficult year for the world, as humanity faced quite difficult challenges, which were caused by a pandemic (Corona virus), the severe consequences of which we still see in 2021, and the facts showed that the world was not ready to deal effectively with the pandemic. It turned out to be difficult, both economically and in terms of health inefficiency, and so on. In this case, the South Caucasus region is interesting and relevant for us, in which, in addition to the damage caused by the pandemic, there are also active foreign security issues.

***Key words**: economy, security, healthcare, South Caucasus.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხორავა მ., „ვინ დარჩა მოგებული და წაგებული ყარაბაღის სამშვიდობო შეთანხმებით“. 2020. https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=8&id_artc=110654
2. მენაღარიშვილი ზ. ., „ნახიჩევანის კორიდორი - რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის“. 2020. https://netgazeti.ge/news/497984/
3. გონგლაძე შ.., 2021. https://for.ge/view/210893/baidenis-administracias-rogorc-Cans-absolutu-rad-swori-xedva-aqvs-da-is-brundeba-kavkasiaSi.html?fbclid=IwAR1wuY2ilUS3C4UunKlctS0UYn9cptz9d-gA0Uj2qu2v51KMWIuV5gqmID4

4. International Monetary fund (2021). Policy responses to Covid-19. Retrieved from https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19
5. Hurriyet Dayly News (2020). Turkey, Russia to set up joint center to watch Nagorno-Karabakh peace. Retrieved from https://www.hurriyetdailynews.com/turkey-russia-to-set-up-joint-center-to-watch-nagorno-karabakh-peace-159920
6. Georgian Bussines Consulting (2020). ბაქო–ნახიჩევანი–თურქეთის რკინიგზა და საქართველოს სატრანზიტო პერსპექტივები. http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=117422&lang=geo
7. The Georgian times (2020). https://m.geotimes.com.ge/news.php?news_id=84389&lang=geo
8. PIA.GE (2020). https://pia.ge/ka/news/analitaka/zura-batiashvili-kremlma-sakmarisad-dasaja-dasvletisken-motskirali-phashiniani
9. https://www.interpressnews.ge/ka/article/604883-samxret-kavkasiis-kveqnebma-covid-19-is-pandemiis-sakitxze-imsjeles
10. https://ghn.ge/news/254004-raze-shetankhmdnen-somkheti-da-azerbaijani-shetankhmebis-teksti
11. https://ria.ru/20201112/mirotvortsy-1584260513.html?fbclid=IwAR2cM4gsQ0taVxOycRDpiEBZuX-pPA05FE6266-m9tVBfCZh7XasTNeNBWQ
12. https://www.rbc.ru/rbcfreenews/60c8ba359a79471ef5ae67e7?fbclid=IwAR0Qz0r1fGpILlKLku2vGFQE-qmKcwJeHGKLtn1tTMC6qFtdlfApJazR29c
13. https://civil.ge/ka/archives/427277

✍ გიორგი გახარია
*წარმოადგინა პროფ. **სალომე ხიზანიშვილმა***

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმების ეკონომიკური პარადიგმა

საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულება, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ ის საწყის ეტაპზე, თავისთავად, არ გულისხმობს ევროკავშირში წევრობას ან თუნდაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი პრივილეგიებით სარგებლობას.

ცნობილია, რომ საქართველომ დიდი გზა განვლო მისულიყო მინიმუმ იმ ეტაპამდე, რომ მოხვედრილიყო ევროკავშირის ინტერესის სფეროში იმ აზრითა და გარანტიით, რომ როგორც წევრობის პრეტენდენტ კანდიდატ ქვეყანას გაეხსნება კარი იმ პრივილეგიებით ისარგებლოს, რითიც ევროკავშირის წევრი ქვეყნები სარგებლობენ. ევროკავშირ-საქართველოს შორის 2014 წ. დადებული ასოცირების ხელშეკრულება მომავალზე სწორად გათვლილი რეფორმების გეგმაა. საქართველო-ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება მოიაზრებს ორი აქტორის ურთიერთობას. მეცნიერული ტერმინებით რომ ჩამოვაყალიბოთ, ეს არის ჰიბრიდული და დემოკრატიული ღირებულებების კონტრაქტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ დემოკრატიულ სტანდარტებთან დასაახლოვებლად პირველის რეფორმირებას.

საქართველოს საკუთარი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე გააჩნია როგორც პერსპექტივა, აგრეთვე სტიმულები, რომ ევროპული პოლიტიკური სტანდარტები გადმოიღოს და მაქსიმალურად ეფექტიანად შეუერთდეს საერთაშორის ეკონომიკურ ბაზარს, ხოლო ცენტრალურ თემად ჩვენ მივიჩნევთ ინკლუზიური ინსტიტუტის განვითარების პოლიტიკას.

საკვანძო სიტყვები: *ხელშეკრულება, პარადიგმა, შეთანხმება, ეკონომიკა, ინსტიტუტები.*

საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულება, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ ის საწყის ეტაპზე, თავისთავად, არ გულისხმობს ევროკავშირში წევრობას ან თუნდაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი პრივილეგიებით სარგებლობას.

ცნობილია, რომ საქართველომ დიდი გზა განვლო მისულიყო მინიმუმ იმ ეტაპამდე, რომ მოხვედრილიყო ევროკავშირის ინტერესის სფეროში იმ აზრითა და გარანტიით, რომ როგორც წევრობის პრეტენდენტ კანდიდატ ქვეყანას გაეხსნება კარი იმ პრივილეგიებით ისარგებლოს, რითიც ევროკავშირის წევრი ქვეყნები სარგებლობენ. ევროკავშირ-საქართველოს შორის 2014 წ. დადებული ასოცირების ხელშეკრულება მომავალზე სწორად გათვლილი რეფორმების გეგმაა. საქართველო-ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება მოიაზრებს ორი აქტორის ურთიერთობას. მეცნიერული ტერმინებით რომ ჩამოვაყალიბოთ, ეს არის ჰიბრიდული და დემოკრატიული ღირებულებების კონტრაქტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ დემოკრატიულ სტანდარტებთან დასაახლოვლებლად პირველის რეფორმირებას.

საქართველოს საკუთარი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე გააჩნია როგორც პერსპექტივა, აგრეთვე სტიმულები, რომ ევროპული პოლიტიკური სტანდარტები გადმოიღოს და მაქსიმალურად ეფექტიანად შეუერთდეს საერთაშორის ეკონომიკურ ბაზარს, ხოლო ცენტრალურ თემად ჩვენ მივიჩნევთ ინკლუზიური ინსტიტუტის განვითარების პოლიტიკას.

2014 წლის ასოცირების ხელშეკრულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო სავიზო რეჟიმის რეფორმის განხორციელებისათვის. სავიზო რეჟიმის შემსუბუქებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან საქართველოს გაუჩნდა განვითარების უფრო მეტი პერსპექტივა რაც იმაში გამოიხატა, რომ ჩვენს მოქალაქეებს მიეცათ 90 დღით უვიზოთ შესვლის და გადაადგილების საშუალება წევრ ქვეყნებთან. აღნიშნულით, ერთი მხრივ გამოიხატა ევროკავშირის მხრიდან უდიდესი მზაობა, რომ საქარ-

თველო უფრო მეტად დაუახლოვდეს წევრობისკენ მიმავალ გზას და ამავდროულად, ქვეყანამ უშუალოდ დაინახა ევროკავშირის მხრიდან ქმედითი ნაბიჯები, რომ იგი მხოლოდ დოკუმენტებითა და დაპირებებით არ შემოიფარგლა ქვეყნის მიმართ, რომელსაც სწორი გეზი აქვს აღებული გახდეს ევროპის სრულუფლებიანი ოჯახის წევრი.

2017 წლის 8 მარტს, ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. შესაბამისად, აღნიშნული დღიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს შეუძლიათ ვიზის გარეშე შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრება. ევროკავშირმა განახორციელა ვიზის ლიბერალიზაცია, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანასთან: მოლდოვასთან, უკრაინასთან და საქართველოსთან [1].

ევროკავშირმა აღნიშნულით გადადგა ეტაპობრივი ნაბიჯები გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, იმ პირობით, რომ შეიქმნება უსაფრთხო პირობები მიმოსვლისთვის. აღნიშნული პირობები მოიცავდა 4 ბლოკს: ბიომეტრიული პასპორტები, საზღვრის მართვა, მიგრაცია და თავშესაფარი. ნიშნულები ეხებოდა როგორც პოლიტიკისა და ინსტიტუციონალურ ჩარჩოს ასევე, ამ ჩარჩოს ეფექტურ და მდგრად განხორციელებას [1].

ევროკავშირ-საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგი დაიწყო 2012 წლის 4 ივნისს. ასოცირების შეთანხემების მუხლი 16.2 ავალდებულებს, ქვეყნებს იმუშაონ მოქალაქეების გადაადგილების გამარტივებაზე რაც გულისხმობს უვიზო რეჟიმის შემოღებას, აღნიშნულის მიუხედავად ევროკავშირმა ჯერ კიდევ 2013 წლის დასაწყისში გადასცა საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოლდოვამ მიიღო 2011 წელს [2. 22].

სამი წლის გამნავლობაში საქართველომ განახორციელა 60-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება 9 ეროვნული სტრატეგია და მოხდა 7 საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება [3].

2017 წლის მარტიდან ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ, ევროკავშირის შენგენის მონაწილე ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტების განხორციელების საშუალება უვიზოდ. აღნიშნუმლა პროცესმა საქართველოს მოქალეებისთვის მნიშვნელოვნად გაამარტივა თავისუფლად მიმოსვლა ევროპის მნიშვნელოვან ქვეყნებთან, რაც პირველ რიგში ყველაზე მეტად წაადგათ მცირე მეწარმეებს, დამწყებ ბიზნესმენებს, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა დაბრკოლების გარეშე ჩასულიყვნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და უფრო მარტივად და სწრაფად ეწარმოებინათ მოლაპარაკებები, მეორე მხრივ ევროკავშირმა გზა გაუხსნა საქართველოს მჭიდროდ დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს და მიეცეს კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საშუალება ევროკავშირის წევრობის გზაზე. ვიზალიბერალიზაციამ დიდი გავლენა იქონია საქართველოს ინტეგრაციის პროცესის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერაზეც, რომელიც 8 პროცენტით გაიზარდა [4].

ვიზის გამარტივების სამი წლის შემდგომ ნახევარმა მილიონმა ქართველმა ისარგებლა შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით [5].

ვიზის გამარტივების შემდგომ ორ წლის განმავლობაში დაახლოებით 20000 ათაზე მეტი განაცხადი იქნა შეტანილი თავშესაფრის მოთხოვნით, რაც, ერთი მხრივ, ცუდია ქვეყნისთვის და ახდენს მასობივ გადინებას მოქალაქეების და, მეორე მხრივ, მიანიშნებს ეკონომიკური ცხოვრების დაბალ დონეზე. ამათან აღნიშნულ პროცესს შედეგად მოჰყვა გაზრდილი ორგანიზებული დანაშაულები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, რაც უარყოფითდ აიხასა საქართველოზე, თუმცა მიუხედავად ამისა, ვიზა-ლიბერალიცაზიის საკითხი შეჩერების მხრივ არ გადახედილა. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზებულმა დანაშულებმა ევროპის ქვეყნებში შედარებით გაამკაცრა საქართველოს მოქალაქეების მიმოსვლა შენგენის ქვეყნებში ზონაში, რაც, ერთი მხრივ, მოსალოდნელიც იყო, მიმაჩნია, რომ ქვეყანა მენტალურად არ იყო მზად მსგავსი საფრთხეებისთვის თავი აერიდებინა.

ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეებისთბის უვიზო მიმოსვლამ აჩვენა საყურადღებო ვალდებულება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ არალეგალური მიგრაციის ზეწოლის შემცირების საქმეში [5].

კარლ ჰარცელი აგრევე აღნიშნავს, რომ საქართველო აგრძელებს სავიზო მოთხოვნების დაკმაყოფილებას მაგრამ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა გამგზავრებამდე გამშვებ პუნქტებში შემოწმებებსა და ოპერაციულ თანამშრომ-

ლობაზე, უკანონო მიგრაციისა და ორგანიზებულ დანაშულებთან საბრძოლველად.

2018-2019 წლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზოდ სარგებლობაზე უარის თქმის რაოდენობა გაიზარდა 17%, ხოლო იმ პირთა რიცხვი, რომლებიც უკანონოდ დარჩნენ გაიზარდა 26% შესაბამისად, მსგავსი გართულებების თავიდან ასაცილებლად, საქართველომ უფრო მეტი ზომები უნდა გაატაროს, იმისთვის, რათა მცირე ნაწილის უპასუხისმგებლობის გამო არ დაზარალდეს ქვეყნის ინტერესები და საქართველომ წარმატებულად გააგრძელოს გზა ევროკავშირთან თანამშრომლობის მიმართულებით. 90 დღის გამნავლობაში საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შემდეგი მიზნებისთვის შეუძლიათ სარგებლობა: ტურიზმის, ესტუმრონ ოჯახის წევრებს, და მეგობრებს, ბიზნესს საქმიანობისთვის, საერთაშორისო სემინარებში და კონფრენციებში მონაწილეობის მისაღებად, მოკლევადიან ტრენინგ-კურსებში მონაწილეობის მისაღებად და გაცვლითი სტაჟირების პროგრამებისთვის და, ასევე, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სამედიცინო სერვიზით. ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციით საქართველომ ფაქტობრივად მოიპოვა უზრუნველყოს პროდუქტების, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ევროპაში. უზივო მიმოსვლის შემდგომ საქართველოს ბაზარზე შემოვიდა სხვადასხვა ავიაკომპანია, რამაც კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად გაუადვილა მოქალაქეებს მიმოსვლის საშუალება. ევროპასთან უვიზო მიმოსვლა ამავდროულად წარმოადგენს, რბილ ძალას ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით. ეს შესაძლოა გამოდგეს ეფექტური იარაღი სამომავლოდ მოლაპარაკებების საწარმოებლად ოკუპირებულ რეგიონებში დარჩენილ მოქალაქეებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და 2020 წლის 17 იანვარს დაიდო შეთანხმება საქართველოს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოსა და გერმანიის ფედერალური დასაქმების სააგენტოს (BA) შორის.

აღნიშნული გულისხმობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სეზონ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმებას, რაც ნიშნავს საქართველოს მოქალაქეების ლეგალურ დასაქმებას გერმანიაში. დასაქმების ხანგრძლივობა ერთიდან სამ თვემდე განისაზღვრა, მსურველი კანდიდატი კი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, 18 წლიდან 60 წლამდე, გერმანიაში გამგზავრება არ უმოგზაურია შენგენის ქვეყნებში, ფიზიკური ჯანმრთელობა ხელს უნდა უწყობდეს, მოსავლის აღების სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია, არ უნდა არსებობდეს რაიმე ნებისმიერი მიზეზი, რაც იწვევს ქვეყანაში შესვლის პრობლემას. დასაქმება ძირითადად მოიცავს სოფლის მეურნეობის სფეროს და ანაზღაურება განისაზღვრება 9.5 ევროთი საათში, რასაც გამოაკლდება კვებისა და საცხოვრებლის ხარჯები დაახლოებით 4.5 ევრო საათში, შესაბამისად, გამოდის, რომ 5 ევრო რჩება მოგება საათში აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ ადამიანს.

აღნიშნულ სამუშაოებზე რეგისტრაცია ხორცილდება შესაბამის ვებ-გვერდზე ელექტრონულად, თუმცა პირველ ჯერზე დასაქმების მსურველთა რაოდენობა დაახლოებით 100 000 მეტი აღმოჩნდა, რაც იმაზე მინანიშნებს, რომ ქვეყანა შესულია მძიმე ეკონომიკურ კრიზისში და ხდება მოქალაქეების მასობრივი გადინება ქვეყნიდან. იმის მიუხედავად, რომ კონკრეტული პირველი ოფიციალური შეთანხმებაა გერმანიასთან ლეგალურად დასაქმების, ჩვენ ვიცით უამრავი ფაქტი, ვიზა-ლიბერალიზაციის შემდგომ სტუდენტური დასაქმებების შესახებ, რომელიც აგრეთვე მოიცავს სამ თვეს, თუმცა ამ შემთხვევაში გერმანული ენის ცოდნის მინიმალურ დონეზე მოთხოვნაა. ამ შემთხვევაში გერმანიის დასაქმების სააგენტო უგზავნის სტუდენტს სამუშო ვიზას, რის შემდგომაც სტუდენტს შეუძლია თავისუფლად და ლეგალურად იმუშაოს გერმანიაში. შესაბამისად მიმაჩნია, რომ ლეგალურად დასაქმების პროცესი დაიძრა უკვე 2017 წლიდან ვიზა-ლიბერალიზაციის მიღების შემდგომ. კონკრეტულ საკითხზე მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ჩართულობა უნდა იყოს უფრო მეტად ეფექტური, რათა მოქალაქეებს არ უწევდეთ მხოლოდ სოფლის მეურნეობის ან თუნდაც სხვა შავ სამუშაოებზე დასაქმება. უახლოეს ხანში მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება იმის შესახებაც, რომ სტუდენტებს და, აგრეთვე, უკვე დასაქმებულ საჯარო სფეროში თუ კერძო სფეროში მოქალაქეებს შეეძლოთ სამი თვით კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სტაჟირების გასასვლელად წასვლა ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანაში, რითიც გარკვეულწილად დავარეგულირებთ მასიური გადინების პროცესს ქვეყნიდან. ყოველივე, თავისთავად გულისხმობს, რომ გერმანული თუ

სხვა ქვეყნის ენა სადაც მოქალაქე კვალიფიკაციის ასამაღლებლად წავა უნდა იცოდეს და ამისთვის სახელმწიფომ განათლების სისტემის რეფორმირებაში უნდა გადადგას ეფექტური ნაბიჯები.

თავისუფალი ბაზრის პრინციპი მომხმარებლების მიერ თავისუფალი ვაჭრობაა - განსაკუთრებით დაბალი ფასებითა და სარგებლობა მეტი პროდუქტით. მაგრამ მისი დოკუმენტირება და სხვა ეკონომიკური ფაქტორებისგან განცალკევება როგორც კვლევის, ასევე, ინდივიდუალური მომხმარებლის თვალსაზრისითაც რთულია. ემპირიულ საფუძველზე კვლევა ტარიფის დაკლების თვალსაზრისით სამომხმარებლო სარგებელზე ევროკავშირში კვლავ მწირია [6].

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს უმაღლესი ხარისხის პროდუქტების მიღებას. გარდა ამისა, მესამე ქვეყნების მიერ ტარიფების ლიბერალიზაცია, შესაძლოა, დადებითი გავლენის მატარებელი აღმოჩნდეს ფასებზე. 2017 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ აშშ-ს წარმოების ფასები შემცირდა 7.6 პროცენტით 2000-2006 წლებში ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების გამო. ჩვენ რაოდენობრივად განვსაზღვრავთ სამომხმარებლო შემოსავლების ზომას, რაც გამოწვეულია გადადხდილი იმპორტის გადასახადის შემცირებით, ევროკავშირის ოჯახებისა და მომხმარებლების მიერ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებებით. მეცნიერმა გაანალიზა ბოლო 300 წლის მანძილზე ქვეყნებში მშპ-ს მაჩვენებლის ცვლილებები. ამ სტატიტიკაში აშკარად გამოკვეთილია დემოკრaტიების სტაბილური წინსვლა, რომლებსაც მედიისონმა „Western Offshoots“ დაარქვა [7].

დემოკრატიული ინსტიტუტების მთავარი პოსტულატი ლიბერალური ბაზარია, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, დემოკრატიული სისტემის აუცილებელი მახასიათებელია ღია ლიბერალური ბაზარი, რომელიც ,თავის მხრივ, სტაბილურ და პროგნოზირებად ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს.

ლიბერალური ეკონომიკა, სხვა ეკონომიკური სისტემისგან განსხვავებით, მრავალი აქტორის ურთიერთობებისა და კონკურენციის შედეგად ყველაზე ეფექტიანად ერგება ახალ ეკონომიკურ გარემოს. ისტორიამ აჩვენა, რომ ეკონომიკური ფასეულობების ცვლა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, იქნება ეს ტექნოლოგიური რევოლუცია (მაგ: ინდუსტრიალიზაცია), თუ სოციალური ფასეულობათა ცვლა (მაგ., მონობის მიუღბლობა). ასეთი ფუნდამენტური ცვლილებების დროს მაღალი კონკურენცია აძლევს საშუალებას, ახალ, უფრო პროგრესულად მოაზროვნე ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტორებს გაიმარჯვონ და დანერგონ ახალი ინსტიტუტები. ლიბერალური ეკონომიკა უმთავრესად საზრდოობს მოსახლეობის ბაზარზე თავისუფალი წვდომით და მაღალი კონკურენციით, რაც გვაძლევს სოციალური დარვინიზმის თეორიის ეფექტიანობას [8. 67].

ლიბერალურმა ეკონომიკურმა სისტემამ ყველაზე შთამბეჭდავი მორგებადობა აჩვენა არაპროგნოზირებადი ეკონომიკური მომავლის პირობებში და დღევანდელი ეკონომიკური მაჩვენებლებით სტაბილურად ყველაზე მაღლა დგას. აგრეთვე, ლიბერალური ეკონომიკა აძლევს ქვეყანას იმის გარანტიებს, რომ აუცილებელი ტრანსფორმაცია ამ სისტემაში ყველაზე უმტკივნეულოდ და თავისუფლად მოხდება. ამის მაგალითია მეოცე საუკუნის სოციალიზმის იდეოლოგიის აღზევება და დაცემა. ორი მსოფლიო ომის ეპოქაში წამოიწია ადამიანთა უფლებების დაცვისა და ხელოვნურად ეკონომიკის გადანაწილების იდეამ. ევროპა იყო ერთადერთი კონტინენტი, სადაც მრავალმა ქვეყანამ სოციალიზმის იდეები დანერგა არა რევოლუციის გზით, არამედ მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებებით და, რაც ყველაზე შთამბეჭდავია, სოციალიზმის იდეები დაინერგა როგორც დემოკრატიულ-მონარქიული რეჟიმების მქონე (სკანდინავიის ქვეყნები), აგრეთვე საპარლამენტო და საპრეზიდენტო ქვეყნებში. ავტორიტარულ და ტოტალიტარულ ქვეყნებში ეკონომიკური ცვლილებები ყოველთვის ძალიან მტკივნეულად ხორციელდება, ხოლო აუცილებელი ცვლილებების უარყოფა და არ მიღება, ახლო მომავალში ჯერ ეკონომიკის სტაგნაციას, ხოლო შემდგომ რეგრესსაც იწვევს. ამის მშვენიერი მაგალითია მეცხრამეტე საუკუნის ბოლო და მეოცესს დასაწყისში არგენტინის ისტორია. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში არგენტინა იყო ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც სამომავლო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ყველაზე მეტი ეკონომიკური ბერკეტები გააჩნდა.

საქართველოს პირობებში ლიბერალური ეკონომიკა განსაკუთრებით მიმზიდველია, რადგან ქვეყანა მაქსიმალურად სწრაფად ცდი-

ლობს ახალი ეკონომიკური სისტემები დანერგოს და მაქსიმალურად სწრაფად გაიაროს ეკონომიკური განვითარების გზა. აღნიშნულ პროცესში კი ევროკავშირთან უფრო მეტი დაახლოება მნიშვნელოვნად დაეხმარა ქვეყანას გაევლო სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაშიც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ასოცირების ხელშეკრულებამ და შემდგომ უკვე ვიზა-ლიბერალიზაციის შემოღებამ, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას გაეხსნა საკუთარი ბაზარი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ზოგადად, ევროპული რეგიონალური განვითარების პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპზე: მდიდარმა ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნ სოლიდარობა შედარებით ღარიბ ქვეყნებთან. აგრეთვე, ღარიბ წევრ თუ პარტნიორ ქვეყნებსა და რეგიონებში წარმოების შედარებით დაბალი მოცულობა და უმუშევრობის მაღალი დონე კავშირისათვის მთლიანი პოტენციალისა და შესაძლებლობების დანაკარგს იწვევს [9].

საქართველომ ბოლო 25 წლის მანძილზე გაიარა 3 პოლიტიკური სისტემა, ესენია: არშემდგარი სახელმწიფო, „ლევიათანი“ და ჰიბრიდული სახელმწიფო რეჟიმი. ამ ყველა პოლიტიკურ რეჟიმს ახასიათებს თავისი ეკონომიკური სისტემა, რომლის ცვლილებაც საკმაოდ ძვირად უჯდებოდა სახელმწიფოს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს არშემდგარიდან „ლევიათანის“ რეჟიმზე გადასვლილას. ხოლო „ლევიათანის“ პირობებში უკვე დანერგილი იყო პირველი ლიბერალური ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც მომდევნო პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლისას ახალი ძალით ამოქმედნენ და უფრო მარტივად/უმტკივნეულოდ დანერგეს ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმი. ჩვენი აზრით, ამ გადასვლების სიმარტივეს, უმთავრესად განსაზღვრავენ ეკონომიკური ინსტიტუტები. ეკონომიკური რევოლუცია, რომელმაც ბოლო 300 წლის მანძილზე სრულიად შეცვალა სამყაროს სახე, უმთავრესად ლიბერალური იდეოლოგიის მიღწევაა. ეკონომიკური მეცნიერების დაბადება და მომდევნო ეკონომიკის ეფექტიანი მმართვის თეორიები, უმთავრესად ლიბერალ კლასიკოსებს ეკუთვნით. აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის სათავე ყოველთვის არის ლიბერალიზმის ფუნდამენტური ფასეულობებში [10. 26].

დემოკრატიულ ქვეყნებში, უფრო სწორედ მედისონის მიერ დარქმეულ „western offshoots“-ის ქვეყნებში, ძალიან იშვიათია საგრძნობი ეკონომიკური ვარდნები, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საშუალოდ ამ ქვეყნებს 2 და მეტჯერ უფრო დიდი მშპ-ს მაჩვენებლები გააჩნიათ ერთ სულ მოსახლეზე, რის შედეგადაც 1-2% ვარდნა კრიტიკულ გავლენას ვერ მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ამის დამადასტურებელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლიანი ეკონომიკური ისტორია, სტაბილურად სწრაფ ზრდასთან ერთად, 3 და მეტ პროცენტზე ვარდნას თვალს ვადევნებთ მხოლოდ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ვიეტნამის ომის დასასრულსა და 2008 წელს. ეს ვარდნა აშშ-ში დიდი ხანი არ გაგრძელებულა და 30-იანი წლების დეპრესიას თუ არ ჩავთვლით, 1-2 წელიწადში ისევ სტაბილურ ზრდაზე გადავიდა [11]. ეკონომიკის ზრდაში ინსტიტუტების როლზე ა. აუზანმა განაცხადა: დემოკრატიული ინსტიტუტები არ აძლევენ ეკონომიკის სწრაფი ზრდის გარანტიებს, მაგრამ ისინი არიან უსაფრთხოების ბალიში კრიზისების დროს [12. 135].

არაპოგნოზირებად ეკონომიკური მომავლის პირობებში ასეთი უსაფრთხოების აქტორები თამაშობენ გადამწყვეტ როლს და, რაც მთავარია, სახელმწიფოს გრძელვადიანი ეკონომიკური დაგეგმარების საშუალებებს აძლევენ, რაც სამომავლოდ განვითარების ალტერნატივებს აფართოვებს და აძლევს ეკონომიკას პრობლემების გადაჭრისა და ლავირების ბერკეტებს სატაზობს. ეს ყველაფერი, ჩვენი აზრით, უმთავრესად ლიბერალური ეკონომიკური იდეების დამსახურებაა, რომლებიც გადაიზარდა პოლიტიკურ დემოკრატიულ ღირებულებებში.

ლიბერალური იდეოლოგიის 300 წლიანი აღზევების ისტორიამ საქართველოს ინსტიტუტებისთვის პატარა როლი ითამაშა, რადგან სუვერენული სახელმწიფოს არ არსებობის გამო, ქვეყანას არ გააჩნდა სტიმულები, რომ ქვეყნის შიგნით განევითარებინა თავისუფალი ეკონომიკური კონკურენცია, რომ შიდა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში კონკურენტუნარიანი ყოფილიყო, ასევე, საქართველოში არ გაჩნდა კაპიტალიზმის კულტურა, რამაც ძლიერი გავლენა იქონია 90-იანი წლების სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. იგივე მიზეზმა განაპირობა ის ფაქტიც, რომ საქართველოში კერძო სექტორი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, რომ საქართველოს არ გააჩნია ოფიციალური, ვალიდური ინფორმაცია ისეთ გადამწყვეტ ეკონომიკურ ფაქტორებზე, როგორიცაა მიწის ფლობა. ეკონომისტ ვეფხია გიორგაძეს,

იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, დათვლილი აქვს, რომ კერძო სექტორს დაახლოებით 30% მიწა ეკუთვნის, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. აგრეთვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა არ არის მიმართული საჯარო სექტორის ეფექტიან ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან პოლიტიკურ ელიტებს აწყობთ, რომ ეს სექტორი გამოყენებულ იქნას პოლიტიკური ინტერესების დასაცავად [13].

აქედან გამომდინარე, რთულია ვილაპარაკოთ კერძო სექტორის მიერ ეკონომიკის ზემოქმედებაზე, რადგან დამოუკიდებელ ეკონომიკურ აქტორებს არ გააჩნიათ ბერკეტები უფრო სერიოზულად ჩაერთონ ეკონომიკურ ურთიერთობებში. ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში განსაზღვრულია ინსტიტუტებით, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ქვეყანაში მოქმედებს უნიკალური ინდივიდუალური, ბუნებრივი და გეოგრაფიული კაპიტალის ურთიერთქმედება, ამიტომ ეკონომიკური ინსტიტუტებიც ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, რაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკასაც ეხება. საქართველოსთვის ეფექტიანი ლიბერალური ეკონომიკური სისტემის აღწერა ძალიან დიდი და შრომატევადი საქმეა, რომელიც ისტორიული გამოცდილების არქონის გამო ნებისმიერ შემთხვევაში მრავალი შეცდომით გაჯერდა.

დემოკრატიული ინსტიტუტების მრავალფეროვნებისა და იდეოლოგიის მორგებადობის გამო საქართველოს გააჩნია პოტენციალი დანერგოს დემოკრატიული პოლიტიკური ღირებულებები, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნება საკუთარ ტრადიციებთან, რასაც, თავის მხრივ, ევროკავშირი მაქსიმალურად ხელს უწყობს. პირველ რიგში, რაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ლიბერალური ბაზრის დანერგვის პოლიტიკაში, ეს არის სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა, რომ ეკონომიკურ აქტორებს შორის მაქსიმალურად შემცირდეს ტრანსაქციული ხარჯები. ჩვენ ვხვდებით, რომ ეს ყოვლისმომცველი საკითხია, მაგრამ დეტალებში რომ არ ჩავეძიოთ, დავასახელებთ სახელმწიფოს იმ მოვალეობებს, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური კაპიტალის თავისუფალი და უსაფრთხო გაცვლის ბაზისს. უპირველეს ყოვლისა, ტრანსაქციული ხარჯები მიბმულია სამართლის ინსტიტუტს, სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტალის გაცვლის თავისუფლების სიმარტივეს ყველაზე ძლიერად განსაზღვრავს ლეგიტიმური კანონდებლობა. ტრანსაქციულ ხარჯებს ყოველთვის აძვირებენ არაპროგნოზირებადი შედეგები [2].

ეკონომიკურ აქტორებს ყოველთვის უწევთ სამომავლო ეკონომიკურ პერსპექტივებში ჩართონ მოულოდნელობის მომენტი, ხოლო ყველაზე მარტივი და მომგებიანი მოულოდნელობა ორ მხარეს შორის დადებული კონტრაქტის დაუსჯელად დარღვევაა. კანონდებლობა ამ საკითხში გადამწყვეტ როლს თამაშობს. სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობებში აუცილებლად უნდა კისრულობდეს შუამავალი დამკვირვებლის როლს, რომელიც კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენებს საკუთარ ძალაუფლებას და დასჯის დამნაშავეს. ზუსტად ეს დასჯის პერსპექტივა ამცირებს ტრანსაქციულ ხარჯებს და ორ აქტორს შორის ამცირებს საბოლოო შედეგების ალტერნატივებს. აგრეთვე, უნდა ავღნიშნოთ, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელი კანონდებლობა აუცილებლად უნდა იყოს ლეგიტიმური, რადგან სოციუმის მიერ კანონდებლბის მიუღებლობა იწვევს ალტერნატიული გზების ძიებებს და ხშირ შემთხვევებში სახელმწიფოს მიღმა მარეგულირებელი აქტორების პოვნა ხდება [14]..

ამის მაგალითია საქართველოში, ერთი პერიოდი, „ქურდული სამყაროს“ მიერ ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება და, აგრეთვე, რუსეთის მაგალითი, ბარტერული ეკონომიკური ურთიერთობების სახით.

ყველა ქვეყანას გააჩნია სპეციფიური ეკონომიკური გარემო, ეს გამომდინარეობს გეოგრაფიულ მდებარეობისა და ადამიანისა და ბუნებრივი რესურსების სხვაობაში, ამიტომ ყველა განვითარებული და პროგნოზირებადი ეკონომიკები დიდი დროის მანძილზე ერგებოდნენ და ცდილობდნენ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოეყენებინათ საკუთარი რესურსები, რაც ისტორიულ მეხსიერებაში გადაიზარდა. ასეთი მორგებადობა განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობს დემოკრატიულ-კაპიტალისტურ სისტემაში. საქართველოში ასეთი ისტორიული გამოცდილების არქონის გამო, სახელმწიფოს უწევს მაქსიმალურად ეფექტიანი და ისტორიულ მეხსიერებაზე დამოკიდებელი ინსტიტუტების დანერგვა. ჩვენი აზრით, ევროკავშირ-საქართველოს შორის დიალოგის ერთადერთი გამოსავალი ამბიციური და ინოვაციური გზაა, რათა დაგეგმილი შედეგი წარმატებით დასრულდეს. საქართველოს ინსტიტუტების შესწავლა და მათთან მუშაობა უკვე წარმოადგენს უნიკალურ

მაგალითს, რათა ნებისმიერმა მიღებულმა გადაწყვეტილებამ და ინსტიტუტების რეფორმირებამ მოიტანოს ახალი პრეცენდენტი.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესში მყოფი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების განხორციელება და ამასთან სავაჭრო ბაზრის ლიბერალიზაცია, რომელიც გულისხმობს ფართო ბაზრის გახსნას და სავაჭრო ურთიერთობები გაღრმავებას.

GIORGI GAKHARIA

THE ECONOMIC PARADIGM OF THE ASSOCIATION AGREEMENT BETWEEN GEORGIA AND THE EUROPEAN UNION

Summary

The Association Agreement between Georgia and the European Union is, of course, of great importance. But this does not mean from the very beginning membership in the EU or even the enjoyment of similar privileges in the EU member states.

It is known that Georgia has come a long way, at least to the point of entering the field of interest of the European Union with the idea and guarantee that the door will be opened to a candidate country for membership. To enjoy the privileges enjoyed by the Member States of the European Union. The EU-Georgia Association Agreement is a well-planned reform plan for the future. The Association Agreement between Georgia and the European Union envisages the relationship between the two actors. Scientifically speaking, this is a contract of hybrid and democratic values, aimed at reforming the former to bring it closer to European democratic standards.

Key words: *contract, paradigm, agreement, economy, institutions.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Visa liberalisation with Moldova, Ukraine and Georgia https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/international-affairs/eastern-partnership/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en
2. პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები, თბ., 2017.
3. ევროკომისიის საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 18 დეკემბერი, 2015 წელი.
4. NDI Poll: Georgians Increasingly Support EU and Euro-Atlantic Aspirations, View Russia as a Theat, National Democratic Institute press release, 12 May 2017.
5. A stronger partnership for a stronger neighbourhood. https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/news/results-eu-georgia-visa-liberalisation-agreement-three-years
6. Consumer benefits from EU trade liberalisation: How much did we save since the Uruguay Round? https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2018/february/tradoc_156619.pdf
7. Maddison A. Development Centre Studies The World Economy: Volume 1: A Millennial Perspective and Volume 2: Historical Statistics. USA: OECD Publishing, 2001, 654 p.
8. Timasheff N. S. Sociological theory: its nature and growth, N. Y., 1955.
9. https://ec.europa.eu/regional_policy/sources/international/pdf/external_ka.pdf
10. Rothbard M.N. For a New Liberty: The Libertarian Manifesto. Second Edition. Auburn: Ludwig von Mises Institute, 1973.
11. World Bank Open Data. Washington: THE WORLD BANK, 2018.
12. Аузан А. Экономика всего: Как институты определяют нашу жизнь. Москва: Манн, Иванов и Фербер, 2013.
13. International Monetary Fund, World Economic Outlook October 2020.
14. Official journal of the European Union 30.8.2014.

ანა ნუცუბიძე
წარმოადგინა პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა

საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები

საქართველო, ისევე როგორც სხვა პატარა სახელმწიფოები რეგიონში, ცდილობს მრავალმხრივი კავშირების დამყარებას. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობა და თანამშრომლობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან, ჩინეთთან ურთიერთობების განვითარება. მრავალმხრივი თანამშრომლობის ტენდენცია საკვანძო საკითხად რჩება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამავდროულად, საქართველოში შეიძლება მოვიდნენ პოლიტიკური ძალები, რომელთა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები შეიძლება იყოს მიმართული როგორც მოსკოვთან უფრო დიდი ურთიერთქმედებისკენ, ასევე თანამშრომლობის შემცირებისკენ.

ევროკავშირი არის პოლიტიკური რეფორმების ფართო სპექტრის მთავარი დონორი, მათ შორის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის, გამჭვირვალე საარჩევნო სისტემის, მმართველობის საპარლამენტო ფორმაზე გადასვლის, სახელმწიფო ფინანსების მართვის და ა.შ. კუთხით. რუსეთთან ურთიერთგაგების არარსებობის პირობებში, რეგიონის ფრაგმენტაცია და მისი კონფლიქტური პოტენციალი ძლიერდება.

საქართველოს მეზობელი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი - ასე თუ ისე აქტიურად ინარჩუნებენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს როგორც რუსეთთან, ასევე ევროკავშირთან. ისინი რეალურად იცავენ ბალანსირების პოლიტიკას. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ამ გარემოში, რომელიც სისტემატურად მიიწევს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, თანდათან შორდება რუსეთს, მულტივექტორული მიდგომის ზოგადი რეგიონული ტენდენციის საწინააღმდეგოდ.

საკვანძო სიტყვები: *ეროვნული უშიშროება, კონცეფცია, საქართველო, უშიშროების პოლიტიკა, უშიშროება.*

საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კონცეფცია არის ფუნდამენტური დოკუმენტი, რომელიც ასახავს სახელმწიფოს უსაფრთხო განვითარების გზების ხედვას, ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს, აღწერს საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს ეროვნული უშიშროების წინაშე და განსაზღვრავს უშიშროების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს [7].

ეს კონცეფცია ხაზს უსვამს ქართველი ხალხის მისწრაფებას, ქვეყნის სრული ინტეგრაციისაკენ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) და ევროკავშირში, რათა წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონის უშიშროების განმტკიცებაში, როგორც ჩრდილოატლანტიკური უშიშროების სისტემის ნაწილი.

საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა;
- ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო ჰარმონიის უზრუნველყოფა;
- რეგიონული სტაბილურობა;
- თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში;
- სახელმწიფოს სატრანზიტო ფუნქციისა და ენერგეტიკული უშიშროების გაძლიერება;
- ეკოლოგიური უშიშროება ქვეყანაში და რეგიონში;
- ეროვნული და კულტურული იდენტობის უზრუნველყოფა.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული დახმარების პროგრამის შედეგად. საქართველოს მომზადებისა და აღჭურვილობის პროგრამა (GTEP), რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინიცირებული იყო, მნიშვნელოვანი წარმატებაა თანამედროვე ქართული არმიის შექმნის პროცესში. სტაბილურობისა და უშიშროების

შენარჩუნების ოპერაციების ახალი პროგრამა (SSOP) ამაღლებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას თვისობრივად ახალ დონეზე. ამ პროგრამების ფარგლებში მომზადებული სამხედრო ნაწილები ქართული არმიის ბირთვს ქმნიან. საქართველო აგრძელებს აშშ-ს მიერ ინიცირებული ანტიტერორისტული კოალიციის აქტიურ მხარდაჭერას პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. აშშ-ის დახმარების პროგრამების ფარგლებში მომზადებული საქართველოს სამხედრო ნაწილები წარმატებით მონაწილეობენ ანტიტერორისტულ და სამშვიდობო მისიებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ [4].

სტრატეგიული პარტნიორობა უკრაინასთან - საქართველოს და უკრაინის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც გამოხატა საერთო რწმენა დემოკრატიისა და თავისუფლების ღირებულებების მიმართ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ახალი ერა დაიწყო. საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული პარტნიორობა ეფუძნება ორ ხალხს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ინსტიტუციონალიზებული იქნა 1993 წლის უპრეცედენტო ხელშეკრულებით „საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“. საქართველომ და უკრაინამ დაამყარეს პარტნიორობა სხვადასხვა სფეროში: თავისუფალი ვაჭრობა, სამრეწველო თანამშრომლობა, სამხედრო მომზადება და სამხედრო დახმარება. საქართველო ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები [1].

საქართველო და უკრაინა თანამშრომლობენ საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უშიშროების სფეროში, არა მხოლოდ ორმხრივ ფორმატში, არამედ ისეთ მრავალმხრივ ფორმატებში, როგორიცაა გაერო, ეუთო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და სუამი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა).

სტრატეგიული პარტნიორობა თურქეთთან - თურქეთი საქართველოსთვის წამყვანი რეგიონალური პარტნიორია, რომელიც მხარს უჭერს მის ძალისხმევას სტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტების ასაშენებლად. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან თურქეთი მისი მნიშვნელოვანი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია. ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და ერთობლივი რეგიონალური სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების წარმატებით განხორციელება, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზრუმი ორივე ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთთან თანამშრომლობის გაღრმავება შავი ზღვის რეგიონში [2].

თურქეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სამხედრო პარტნიორია. თურქეთის დახმარებამ სამხედრო ნაწილების მომზადებაში, ტექნიკური და ლოგისტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში მნიშვნელოვნად გააძლიერა ქართული შეიარაღებული ძალები. თურქეთი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხედრო პერსონალის მომზადებაში, ეროვნული სამხედრო აკადემიის განვითარებასა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში [4].

პარტნიორობა აზერბაიჯანთან და სომხეთთან - საქართველოს ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან და სომხეთთან. საქართველოს მიაჩნია, რომ რეგიონის სამომავლო განვითარების მიმართ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა და ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბება დიდად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი საფრთხეს უქმნის რეგიონის ქვეყნების სტაბილურობას. საქართველო მხარს უჭერს ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას და საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიურ ჩართულობას სამშვიდობო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას და თანამშრომლობის გაღრმავებას [4].

პარტნიორობა რუსეთის ფედერაციასთან - საქართველო ესწრაფვის რუსეთთან თანამშრომლობას კეთილმეზობლობის, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით. საქართველო მიესალმება რუსეთის ტრანსფორმაციას სტაბილურ დემოკრატიულ ქვეყნად მოქმედი საბაზრო ეკონომიკით და ევროპული ღირებულებების პატივისცემით. რუსეთის ფედერაციის დემოკრატიზაცია და მისი

პროგნოზირებადი საგარეო პოლიტიკა დადებითად აისახება საქართველოსა და მთელი რეგიონის უშიშროებაზე. 2005 წლის კონცეფციის თანახმად, საქართველო მზად იყო გაეაქტიურებინა პოლიტიკური დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან, გააღრმავებინა სავაჭრო, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობები, ეთანამშრომლა რეგიონული კონფლიქტების მოგვარებისა და ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს მიაჩნია, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. საქართველო კიდევ ერთხელ გამოხატავს მზადყოფნას ხელი მოაწეროს მსგავს შეთანხმებას.

თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონში - შავი ზღვის რეგიონი ევროპის განუყოფელი ნაწილია. ევროპის უშიშროების ახალი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ტრანსფორმირებულ ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებზე, ვერ განვითარდება შავი ზღვის უშიშროების სისტემის, როგორც უშიშროების მნიშვნელოვანი ელემენტის ჩამოყალიბების გარეშე. ნატო-სა და ევროკავშირს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, თანამშრომლობის გზით, მხარი დაუჭირონ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ძალისხმევას რეგიონალური სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად [5].

სუამი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა). საქართველო განიხილავს სუამს, როგორც პარტნიორ სახელმწიფოთა რეგიონულ ორგანიზაციას, რომელიც გაერთიანებულია საერთო ინტერესების საფუძველზე დემოკრატიის, კეთილდღეობისა და უშიშროების განვითარებისთვის.

საქართველო უკიდურესად დაინტერესებულია სუამ-ის გარდაქმნით სრულფასოვან ორგანიზაციად, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, დემოკრატიულ სტაბილურობასა და უშიშროებას. ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა ვაჭრობისა და ტრანსპორტის განვითარების მხარდაჭერა, ვირტუალური ცენტრი აშშ-სუამის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, ეხმარება წევრ ქვეყნებს თანამშრომლობის გაღრმავებაში ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC): საქართველო განიხილავს BSEC-ს, როგორც ორგანიზაციას, რომელიც თავისი დიდი ეკონომიკური პოტენციალითა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკასა და უშიშროებაზე. საქართველო ცდილობს BSEC-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, ეკონომიკა, კომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტრანსპორტი, ტურიზმი და ინფრასტრუქტურის განვითარება [9].

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში ცალკე იყო მითითებული უშიშროების პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებები:

- ეკონომიკური უშიშროების პოლიტიკა - საქართველოს ეკონომიკური უშიშროების პოლიტიკის მიზანია საქართველოს განვითარებისა და ეროვნული უშიშროებისთვის აუცილებელი ეკონომიკური პირობების შექმნა. ეკონომიკის გამოჯანმრთელება არის მიმდინარე პოლიტიკის შედეგი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მიმართულია საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე;
- სოციალური დაცვის პოლიტიკა - საქართველო ახორციელებს სოციალური დაცვის პოლიტიკას საქართველოს მოსახლეობის სოციალური უშიშროების უზრუნველყოფისა და სოციალური ერთიანობის განმტკიცების მიზნით;
- ენერგეტიკული უშიშროების პოლიტიკა - საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნების ნაწილია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და მისი ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოს ხელმძღვანელობამ იცის საქართველოს როლი კასპიის და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსთვის ენერგორესურსების მიწოდების პროცესში. ბაქო-სუფსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები უკვე ექსპლუატაციაშია, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი კი 2006 წლიდან დაიწყებს მუშაობას. საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ უზრუნველყოს ამ პროექტების ეფექტიანი ფუნქციონირება;

- ინფორმაციული უშიშროების პოლიტიკა - საქართველომ იცის, რომ ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკისა და სანდო ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემის არსებობა ეფექტური ხელისუფლების შეუცვლელი პირობაა. სახელმწიფო პოზიციის თანმიმდევრული და დამაჯერებელი წარმოდგენა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ნებისმიერი ქვეყნის უშიშროების სისტემის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საიდუმლო ინფორმაციის უშიშროებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების უშიშროების მარეგულირებელ კანონმდებლობას და მთავრობის კრიტიკული საინფორმაციო სისტემების დაცვას. საგანგებო სიტუაციებში სანდო და უსაფრთხო ინფორმაციის ფლობა კრიზისის ეფექტური პრევენციისა და მართვის წინაპირობაა.

2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ეროვნული უშიშროების ახალი კონცეფცია, რომელმაც ჩაანაცვლა 2005 წლის ივლისში მიღებული კონცეფცია [8].

ახალ კონცეფციაში ძირითადი ცვლილებები რუსეთს უკავშირდება, რათა, როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ დეპუტატებს განუცხადა, აისახოს ის „შეცვლილი რეალობა“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოჩნდა. ქუთელიამ ასევე განაცხადა, რომ წინა კონცეფციისგან განსხვავებით, ახალი დოკუმენტი პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ფართო დისკუსიის შედეგია; მისივე თქმით, კონცეფციაზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა ის პასუხებიც, რაც ქვეყანამ მიიღო დასავლელი პარტნიორებისგან [11].

საქართველოსთვის მთავარ საფრთხეებსა და გამოწვევებს შორისაა რუსეთის მიერ „საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია“, „რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი“ და „რუსეთის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან“ [10].

წინა კონცეფციაში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე სამი წლით ადრე იქნა მიღებული, ნათქვამია, რომ „საქართველოს წინააღმდეგ ღია სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა მცირეა, მაგრამ საზღვრის შეიარაღებული დარღვევა და სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა რეალურია“.

ახალი კონცეფციის სამუშაო ვერსიაში, რომელიც პირველად გამოქვეყნდა წლის დასაწყისში, არ იყო ნახსენები „რუსეთის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან“. გასული წლის ბოლოს საქართველომ განაცხადა, რომ 2010 წლის შემოდგომაზე თბილისში მომხდარი ტერაქტების უკან სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი რუსი სამხედრო ოფიცერი იდგა.

ეროვნული უშიშროების ახალი კონცეფციის მიხედვით, ასეთი შემთხვევები ადასტურებს, რომ „რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ, ამ ტერიტორიებს რუსეთის ფედერაცია იყენებს ტერორისტების შერჩევისა და მომზადებისთვის, რათა განხორციელდეს ტერორისტული აქტები საქართველოს ტერიტორიაზე“.

კონცეფციაში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის „მთავარი მიზანი“ არის „საქართველოს წარუმატებელ სახელმწიფოდ გადაქცევა“, დაბრკოლებების შექმნა მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის განხორციელებაში და „საქართველოს ძალით დაბრუნება რუსეთის ორბიტაზე“ [12].

„2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის საბოლოო მიზანი იყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და/ან მარიონეტული რეჟიმების საერთაშორისო აღიარება, არამედ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეცვლა ან/და ძალადობრივი ცვლილება. დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, ვინაიდან დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე რუსეთის ფედერაციის მმართველი პოლიტიკური ელიტასთვის“.

თუმცა, დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს მიმართ გამოთქმული „საერთაშორისო მხარდაჭერა“, ისევე როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, „ამ რისკის მნიშვნელოვანი შემაკავებელია“ [13].

საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან განხილულია კონცეფციის „საქართველოს უშიშროების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ ცალკე თავში. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს სურს რუსეთთან ურთიერთობა „კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით“.

თუმცა, დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ეს „არ მოხდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის გარეშე და დეოკუპაციის პროცესის დაწყების გარეშე“.

„საქართველო მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციას, რომ გახდეს სტაბილური დემოკრატიული ქვეყანა“, - ნათქვამია კონცეფციაში.

დოკუმენტში ასევე საუბარია ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობაზე იმ ნაწილში, სადაც საუბარია რუსეთთან ურთიერთობებზე. მასში ნათქვამია, რომ „საქართველოსთვის რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობისა და მშვიდობის გარემოს ფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“.

„საქართველომ იცის ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს იქ მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას საქართველოს მიზნებისა და პოლიტიკური კურსის შესახებ“, - ნათქვამია დოკუმენტში.

გარდა რუსული ფაქტორისა, დოკუმენტში საუბარია მეზობელი ქვეყნებიდან კონფლიქტების შესაძლო გავრცელებაზეც, რაც „საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეა“. ამ კონტექსტში დოკუმენტში ნახსენებია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის და მას „გამოწვევას“ უწოდებს. „ამ ქვეყნებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის უშიშროებას და ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის ზრდას მთელ რეგიონში“, - ნათქვამია კონცეფციაში. იმ ნაწილში, რომელიც კავკასიის კონფლიქტებს ეხება, დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი ცდილობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობაში ნეგატიური განწყობების გაღვივებას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე რუსეთთან კონტროლის არარსებობა საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე აფერხებს ტრანსნაციონალური დანაშაულის პრობლემის მოგვარებას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით დევნილი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა დოკუმენტში „მნიშვნელოვან გამოწვევად“ არის შეფასებული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ მოსახლეობის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა, საკუთრების უფლების აღდგენა ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ეროვნული უშიშროების გამოწვევებს შორის დოკუმენტი ასევე ასახელებს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ტერორიზმს, კიბერუშიშროებას, ენერგეტიკულ უშიშროებას, ეკოლოგიას, ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულს, დემოგრაფიას, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას. კონცეფციის მიხედვით, ეს არის ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უშიშროების „ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი“.

კონცეფციაში ნათქვამია, რომ აგვისტოს ომმა ვერ შეცვალა ქვეყნის სწრაფვა ნატოში გაწევრიანებისკენ და 2004 წლის შემდეგ ქვეყანამ ამ გზაზე „დიდი პროგრესი“ მიაღწია.

2011 წლის კონცეფციის თანახმად, საქართველოს ევროკავშირში „ეტაპობრივი ინტეგრაცია“ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა“. საქართველო მიესალმება ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკას რუსეთის მიმართ, მაგრამ ასევე აღნიშნავს, რომ „ასეთი პოლიტიკა მხოლოდ წარმატებული იქნება“, თუ იგი ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის ისეთი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანიც იქნება. მეზობლების სუვერენიტეტის პატივისცემა. კონცეფცია ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ ევროკავშირმა, როგორც 2008 წლის აგვისტოში ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შუამავალი, ეფექტიანი გავლენა მოახდინა რუსეთის ფედერაციაზე, რათა სრულად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები.

საქართველოს ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის მეზობლებთან ცალკე თავშია მოცემული „საქართველოს უშიშროების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. წინა კონცეფციის მსგავსად, ახალ დოკუმენტში აზერბაიჯანთან ურთიერთობასაც „სტრატეგიული“ უწოდა. სომხეთთან ურთიერთობა დოკუმენტში შეფასებულია, როგორც „მჭიდრო პარტნიორობა“.

„საქართველოს ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან და სომხეთთან“, - ნათქვამია კონცეფციაში, „საქართველოს მიაჩნია, რომ რეგიონის სამომავ-

ლო განვითარებასთან დაკავშირებით საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება, საერთო ეკონომიკური სივრცის განვითარება და საერთო ბაზრის განვითარება დიდად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას“.

დოკუმენტის მიხედვით, „საქართველო აძლიერებს სტრატეგიულ პარტნიორობას“ ამერიკის შეერთებულ შტატებთან აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში ასახული პრინციპების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოეწერა 2009 წლის იანვარში. კონცეფცია აღნიშნავს აშშ-ს მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს ტერიტორიების „დეოკუპაციის“ საკითხში, ასევე აშშ-ს დახმარების მნიშვნელობას საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში. „საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდა შეერთებული შტატების მიერ გაწეული დახმარების პროგრამებით“, - ნათქვამია დოკუმენტში. „საქართველო დაინტერესებულია ამ სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებით. უკრაინასთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია, რომ „საქართველო ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები“. თურქეთი დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც „საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორი“. კონცეფციის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან თურქეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ასევე „ენერგეტიკისა და ტრანსპორტის თუ სხვა პროექტების განხორციელება ორივე სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა“. „თურქეთი, როგორც ნატოს წევრი და ერთ-ერთი ლიდერი რეგიონში, ასევე მნიშვნელოვანი სამხედრო პარტნიორია. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან ურთიერთობის შემდგომ განვითარებას თავდაცვისა და უშიშროების სფეროში“, - ნათქვამია კონცეფციაში. კონცეფცია კონკრეტულად აღნიშნავს „აქტიურ თანამშრომლობას“ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან და გარდა ამისა, სკანდინავიის ქვეყნებთან თანამშრომლობის „დიდი მნიშვნელობა“ [3].

საქართველო „დიდ მნიშვნელობას“ ანიჭებს მოლდოვასთან და ბელორუსთან თანამშრომლობას და მიესალმება მათ მონაწილეობას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობაში.

საქართველო „დიდ ყურადღებას აქცევს“ ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან, უზბეკეთთან და ტაჯიკეთთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას, განსაკუთრებით ეკონომიკის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში. საქართველო „დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკური და ეკონომიკური დიალოგის გაფართოებას“ ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, ყურის ქვეყნებთან, კანადასთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან და ავსტრალიასთან. დოკუმენტში ხაზგასმულია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესის გაგრძელების მნიშვნელობა.

გაერომ უნდა შეასრულოს „წამყვანი როლი“ კონფლიქტების მოგვარების საქმეში და ამისთვის საქართველო მნიშვნელოვნად მიიჩნევს გაეროს ეფექტურობის გაძლიერებას. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია ეუთოსა და ევროპის საბჭოს მნიშვნელობა. სუამი (საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის ასოციაცია) დოკუმენტში ნახსენებია საქართველოს აზერბაიჯანთან და უკრაინასთან ურთიერთობის კონტექსტში. 2005 წლის კონცეფციაში სუამი იყო ნახსენები შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის კონტექსტში [6].

საქართველოს მნიშვნელობა რეგიონში, უპირველეს ყოვლისა, მისი გეოგრაფიული პოზიციით განისაზღვრება, რაც ქვეყანას სატრანსპორტო კომუნიკაციების ცენტრალურ რგოლად აქცევს. ამ მხრივ, სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის მიღწევა მნიშვნელოვანი ამოცანაა საერთაშორისო პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილისთვის, რომელიც აცნობიერებს მათ ინტერესებს ამ რეგიონში. ამ კუთხით, უშიშროების ახალი სტრუქტურის მშენებლობა უნდა გახდეს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობიანი განვითარების პირობა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციულმა პროცესებმა, იმ პირობით, რომ ისინი არ იქნება ბლოკის დაპირისპირების შედეგი. ინტეგრაციის სტრატეგიები უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული ინტერესების განხორციელების პრაგმატულ პოლიტიკას. ზოგადად, ძირითადი ამოცანები, რაც შეიძლება ყველა თანამედროვე სახელმწიფოსთვის იდენტიფიცირდეს, არის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, უშიშროების შენარჩუნება და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

ANA NUTSUBIDZE

THE MAIN DIRECTIONS OF ENSURING THE NATIONAL SECURITY POLICY OF GEORGIA

Summary

Georgia, like other small states in the region, is trying to establish multilateral ties. It is important for the country to participate in regional energy projects and cooperate in developing relations with Azerbaijan and Turkey, China. The tendency for multilateral cooperation will remain key in the long run. At the same time, political forces may come to Georgia, whose foreign policy priorities may be aimed at greater interaction with Moscow, as well as reduced cooperation.

The EU is a major donor to a wide range of political reforms, including the rule of law, a transparent electoral system, a transition to a parliamentary form of government, public finance management, and more. In terms of. In the absence of mutual understanding with Russia, the fragmentation of the region and its potential for conflict is intensifying.

Georgia's neighbors - Armenia, Azerbaijan, Turkey - more or less actively maintain economic and political ties with both Russia and the EU. They actually follow a balancing policy. Georgia is the only country in this environment that has been systematically advancing on the path of Euro-Atlantic integration for more than ten years, gradually moving away from Russia, contrary to the general regional trend of a multi-vector approach.

Keywords: *national security, concept, Georgia, security policy, security*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბადალიანი ა. ბ., „საქართველო ევრაზიაში – მითი თუ გადადებული რეალობა?“. 2012.
2. ბარციცი ო. მ., „აშშ-ის რეგიონული პოლიტიკის პრინციპები და მოდელები პოსტსაბჭოთა სივრცეში: სამხრეთ კავკასიის მაგალითი“. 2009.
3. ბახტურიძე ზ. ზ., „საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულება პრეზიდენტ სააკაშვილის დროს“, სოციალური პრობლემების თანამედროვე კვლევები. No 3. 2011.
4. ბეჟანიშვილი ზ. რ., „კონფლიქტებსა და პარტნიორობას შორის: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თანამედროვე განვითარება“. 2008.
5. ბერძენიშვილი დ., „პოლიტიკური პროცესის თავისებურებები საქართველოში“. შუა აზია და კავკასია. 2001.
6. ნოდია გ., „განსხვავებული ინტერესები: რა შეიძლება და არ შეიძლება მიღწეული იქნას საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში“. 2016.
7. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, 2005. ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0, ბოლო ნახვა 14.04.2022.
8. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, 2011, ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0, ბოლო ნახვა 14.04.2022.
9. სულაბერიძე ი. ს., „საქართველო რუსულ პოლიტიკაში“. ცენტრალური აზია და კავკასია. 2007.
10. სულაბერიძე ი. ს., „ვარდების რევოლუციის მახასიათებლების შესახებ: პოლიტიკური განხეთქილების ბუნება“ ცენტრალური აზია და კავკასია, 2007.
11. ხეცურიანი დ., „რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო სამართლის კონტექსტში: შეხედულება საქართველოდან“. კავკასია და გლობალიზაცია. 2008.
12. Todd E. After the Empire - the beginning of the end. International Relations. 2004.
13. Huntington S. Political Order in Changing Societies. 2004.

✍ გაიანე მკრტუმიანი
*წარმოადგინა პროფ. **ომარ ტაბუცაძემ***

შთო-ს თანამშრომლობის მიმართულებები და სფეროები

ვმო-სთვის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი დასაწყისი გახდა. ორგანიზაციის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისის გარეშე, ბოლო წლებში ის 6-8%-ია, ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს. ჩინეთი და ყაზახეთი მშპ-ს ზრდის მიხედვით ლიდერობენ, შემდეგ მოდის ტაჯიკეთი და უზბეკეთი. რუსეთი მშპ-ით ორგანიზაციაში ბოლო ადგილზეა, რაც, სხვათა შორის, არ ამცირებს მის მნიშვნელობას ვმო-ში. დიახ, სწორედ რუსეთი და ჩინეთი არიან ორგანიზაციის ნამდვილი ლიდერები და დე ფაქტო ლიდერები. ბევრი ექსპერტი განიხილავს შთო-ს, როგორც ამ ორ „სვეტს“ შორის თანამშრომლობის მექანიზმს. გარდა ამისა, ორგანიზაცია წარმოადგენს ცენტრალური აზიის „რეგულირების“ მექანიზმს, რომელიც ჯერ კიდევ ოკუპირებულია რუსეთისა და ჩინეთის მიერ და ამით ცდილობს შეცვალოს შეერთებული შტატები.

მშვიდობა და განვითარება რჩება გადამწყვეტი ფაქტორი ჩვენს დროში მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გადალახა ახალი საუკუნის ზღვარი. ამ ფონზე, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც ერთგულია მშვიდობის, თანამშრომლობისა და განვითარების სულისკვეთებით, პლანეტაზე საყოველთაოდ აღიარებულ და აქტიურ ძალად იქცა და მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ორგანიზაციები, შთო, მსოფლიო პოლიტიკა, მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

შთო-სთვის ეკონომიკური ზრდა გახდა მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი დასაწყისი. ორგანიზაციის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისის გარეშე ბოლო წლების განმავლობაში ის 6-8% შეადგენს, ეს ციფრები მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიოში მიღებულ საშუალო მაჩვენებლებს. ჩინეთი და ყაზახეთი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლით ლიდერები არიან, შემდეგ მოდის ტაჯიკეთი და უზბეკეთი. ორგანიზაციაში მშპ-ს კრიტერიუმში რუსეთი ბოლო ადგილზეა, რაც, სხვათა შორის არ ამცირებს მის მნიშვნელობას შთო-ში. დიახ, რომ ზუსტად რუსეთი და ჩინეთი არიან ორგანიზაციის ნამდვილი ლიდერები და ფაქტიური ხელმძღვანელები არიან. ბევრი ექსპერტი განიხილავს შთო-ს როგორც ამ ორი „საყრდენის“ თანამშრომლობის მექანიზმს. გარდა ამისა, ორგანიზაცია არის ცენტრალური აზიის „მოწესრიგების“ მექანიზმი, რითაც ისევ რუსეთი და ჩინეთია დაკავებული და ამით აშშ-ს ჩანაცვლებას ცდილობენ.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის თემა დაუმსახურებლად რჩება ჩრდილში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ექსტრემიზმის, სეპარატიზმის და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ორგანიზაციის ექვს წევრ ქვეყანასთან თანამშრომლობისადმი მიძღვნილ ყურადღების ფონზე. ეს არ არის გამართლებული, ვინაიდან არ გადასცემს შთო-ს არსის სრულ სურათს, ის სხვადასხვა სპეკულაციებსა და ვარაუდების ვარირების საბაბს აძლევს შთო-ს ძლიერი პროფილის შესახებ საკითხების დროს.

შთო-ს ეკონომიკური კომპონენტის მნიშვნელობაზე თავდაპირველად გაკეთდა აქცენტი ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. დეკლარაციაში ორგანიზაციის შექმნის შესახებ, მის საბაზისო დოკუმენტში - ქარტია ნათლად ჩანს, რომ შთო-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა მოგვარებაც მოუწოდებდა ის - არის რეგიონში ყოვლისმომცველი და დაბალანსებული ზრდის, სოციალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა [11. 3]

ამჟამად, ეკონომიკურ დონეზე, შთო-ში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და მიზნები განისაზღვრება მთავრობათაშორისი მემორანდუმის ფარგლებში რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითად მიზნებსა და მიმართულებებზე, დაწყების

პროცესში, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში. დოკუმენტი მიღებული იყო 2001 წლის სექტემბერში წევრი სახელმწიფოების მთავრობის ხელმძღვანელთა პირველ შეხვედრაზე. 2003 წლის სექტემბერში მთავრობის მეთაურების (პრემიერ-მინისტრების) სხდომაზე დამტკიცდა ექვსი ქვეყნის მრავალმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა.

შთო-ს ფარგლებში სრულმასშტაბიანი ეკონომიკური თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებელია წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორის ჩართვის გარეშე. აქ იგულისხმება, რომ ეკონომიკური სტრუქტურების დენაციონალიზაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება და მერყეობს. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია სავაჭრო და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობის აქტიური ფორმები. კერძოდ, შთო-ს წევრი ქვეყნების მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამაში პირდაპირ წერია, რომ მისი დებულებები განხორციელდება როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე ეკონომიკური სუბიექტების მიერ დადებული კონტრაქტებისა და შეთანხმებების საფუძველზე. მოქნილი მიდგომა ასევე გათვალისწინებულია ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკური პროექტების დასაფინანსებლად. იგი ასევე ითვალისწინებს როგორც სახელმწიფო, ასევე არა სახელმწიფო არხებსაც.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. შთო არის ღია ორგანიზაცია, ამიტომ ეკონომიკური პარტნიორობა ითვალისწინებს სხვა ქვეყნების და ასოციაციების მონაწილეობას. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ დამკვირვებლების სტატუსი მქონე ქვეყნები, არამედ სხვა ქვეყნებიც [9. 1].

ეკონომიკური თანამშრომლობა შთო-ში უკვე მნიშვნელოვან შედეგებს გვიჩვენებს - თანამშრომლობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და ინფორმაციის სფეროებში. თუმცა, შთო-ს სუსტი რგოლი ეფექტური განხორციელების მექანიზმის დეფიციტია. შთო-ს თავისუფალი ვაჭრობის სფეროს შექმნის პროცესში დააჩქარებს ამ საკითხის მოგვარების გზას. ამ სფეროში მნიშვნელოვანი შეთანხმებები მიღწეული იქნა შთო-ს წევრი ქვეყნების პრემიერ-მინისტრების შეხვედრებზე 2003 წლიდან 2004 წლამდე, სადაც შთო-ს ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა წარმოიქმნა.

შთო-ს თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზონის იდეა შემდეგია: წევრ ქვეყნებს შეუმცირონ საქონელბრუნვის თვითღირებულება საერთო ინტერესების გათვალისწინებით: რეგიონალური ინვესტიციების სტიმულირება; შრომის განაწილების ჩამოყალიბება სუბრეგიონალურ დონეზე, რეგიონული ინდუსტრიის მრეწველობისა და რესურსების გაერთიანება. შრომის სამრეწველო განაწილების ახალი სისტემის გლობალურ სისტემაში ინტეგრირება და გააერთიანოს რეგიონის მოსახლეობა, რომელიც შედგება 2.8 მილიარდი ადამიანისაგან ერთი ევრაზიული ბაზრით.

ამ იდეის აქტუალობა ასევე უკავშირდება იმას, რომ ევრაზიული კონტინენტის პოლიტიკური და ეკონომიკური რუკა არის დეფრაგმეტირებული და დანაწევრებული, რომლის მიზეზებია რეგიონალური კონფლიქტები და არასტაბილურობა. ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად საჭიროა ევრაზიის კონტინენტის სტაბილურობის კომპლექსური სტრუქტურის მოპოვება და რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის პირველი ნაბიჯი გახდება. თუმცა, მონაწილე ქვეყნებს შორის ობიექტური განსხვავებების გამო, თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების იდეა შესუსტდა და მონაწილე ქვეყნებმა თავიანთი ყურადღება მხოლოდ ფართომასშტაბიან თანამშრომლობის პროექტებზე გაამახვილეს. ამასობაში ეკონომიკური თანამშრომლობის ფუნქციონირების მექანიზმის მშენებლობა გადაიდო.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის მშენებლობა ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, ვინაიდან ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და რუსეთის აქვთ ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა ევრაზესი (ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანება). რუსეთ-ჩინური ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების პრიორიტეტი არის შორეულ აღმოსავლეთში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა - შთო-ს სფეროს ფარგლებს გარეთ. ცენტრალური აზიის რეგიონში, უდავოდ, ყაზახეთი ლიდერია. რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალია, მიმდინარეობს ეკონომიკური ღიაობის გაფართოების პროცესი. ყაზახეთმა ხაზგასმით აღინიშნა რეგიონალური თანამშრომლობის იდეისადმი ძლიერი ერთგულება და ამავე

დროს ჩინეთთან საერთო საზღვარი აქვს, რომლის სიგრძე 1782 კმ. ყაზახეთი არის ერთგვარი ხიდი ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს შორის ევრაზიულ კონტინენტზე. ამიტომ, როგორც კი ჩინეთ-ყაზახეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა ჩამოყალიბდა, ეს გახდება ის ელემენტი, რომელიც ხელს შეუწყობს შთო-ს თავისუფალი სავაჭრო ზონის მშენებლობის განხორციელებას.

2006 წლის მაისში შთო-მ და ევრაზეს-მა შეთანხმდნენ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის თანამშრომლობაზე ვაჭრობის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის სფეროებში, მათ შორის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნების, ინფორმირებისა და კომუნიკაციების განვითარება, საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის მოძრაობის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა, ინვესტიციების წახალისება და დაცვა, ტურიზმი.

შთო-ს ფარგლებში, ორასზე მეტ დოკუმენტს მოეწერა ხელი, რომელთა დიდი ნაწილი მიზნად ისახავს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. კერძოდ, 2003 წელს შთო-ს წევრ სახელმწიფოთა მრავალმხრივი ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა მიღებულ იქნა 2028 წლამდე, ხოლო 2004 წელს ძალაში შევიდა მისი განხორციელების გეგმა.

ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს შთო-ს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მოცულობამ 50 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ეს გარემოება ადასტურებს საგანგებო ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის დიდ პოტენციალს.

შთო-ს ფარგლებში ეკონომიკური და საინვესტიციო თანამშრომლობის ინტენსიური განვითარების მაჩვენებელია უზბეკეთისა და ამ ორგანიზაციის სხვა წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის ინდიკატორების მუდმივი ზრდა. თუ 2001 წელს აღნიშნული მიმართულებით საერთო მაჩვენებელი 1 მლრდ 781,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2006 წელს - 4 მლრდ 541,8 მლნ.

განსაკუთრებული ადგილი უკავია უზბეკეთის ურთიერთობებს შთო-ს ერთ-ერთ ლიდერ წევრთან, როგორიც ჩინეთია. დღეს, უზბეკეთის ურთიერთქმედება ეკონომიკურ სფეროში ამ სტრატეგიულ პარტნიორთან განსაკუთრებით წარმატებით ვითარდება, სადაც ორივე მხარისთვის ყველაზე მომხიბვლელი რეჟიმი მოქმედებს. 2006 წელს ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ 698 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. უზბეკეთში 136 ერთობლივი საწარმო მოქმედებს ჩინეთის ინვესტიციებით შექმნილი, ჩინური კომპანიების 26 წარმომადგენლობითი ოფისის მონაწილეობით შეიქმნა 136 ერთობლივი საწარმო. მათი საქმიანობის სფერო - მსუბუქი ოფისი. მათი საქმიანობის სფეროებია - მსუბუქი მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, ინფორმაციული ტექნოლოგიები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია უზბეკურ-რუსული ურთიერთობები. 2006 წელს ამ ქვეყნებს შორის ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 42%-ით გაიზარდა და 3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. უზბეკეთში რუსული ინვესტიციებით ჩამოყალიბებულია 450-ზე მეტი ერთობლივი საწარმო. თავის მხრივ, უზბეკეთის ინვესტიციების მონაწილეობით თითქმის 300 ერთობლივი საწარმოა რუსეთში.

ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა. ენერგეტიკულ კომპონენტს დიდი ადგილი უკავია ეკონომიკურ პროცესებში. ენერგეტიკის თემა გლობალიზირდება, ხდება ცალკეული ქვეყნებისა და მათი კავშირების დავის საგანი. რეგიონალური ასოციაციების დონეზე, როგორიცაა შთო ენერგეტიკული კომპონენტის უპირატესობის საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანია [7. 2].

შთო-ს ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობა საკმაოდ მაღალი ტემპებით ვითარდება. შეიქმნა ბიზნეს საბჭო და შთო-ს ბანკთაშორისი ასოციაცია, ფუნქციონირებს სამეცნიერო ექსპერტების ფორუმი. შთო აერთიანებს ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ენერგორესურსების უმსხვილესი მწარმოებლები არიან, ასევე ის ქვეყნები, რომლებიც გამოდიან როგორც იმპორტიორი ქვეყნები. ზუსტად ეს ფაქტი განსაზღვრავს შთო-ს ფარგლებში მრავალმხრივი ენერგეტიკის თანამშრომლობის პერსპექტივებს.

შთო-ს სამიტის ფარგლებში 2006 წლის ივნისის შუა რიცხვებში შანხაიში ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა შთო-ს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის ძირითად სფეროებს, რომელთა შორის მან ენერგეტიკა პირველ რიგში დააყენა. მან ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიკური პროექტების აქტიური ხელშეწყობისთვის საკმარისი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები არსებობს. უფრო მეტიც, ორგანიზაციის ქვეყნების მეთაურების შეხვედრისას, პუტინი გამოვიდა შთო-ს ენერგეტიკის კლუბის შექმნისა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფერო-

ში ურთიერთქმედების გაფართოების ინიციატივით. ამავდროულად, პუტინი არ გამორიცხავს, რომ შთო-ს ფარგლებში გარკვეული ეკონომიკური პროექტების დაკრედიტება განხორციელდება. რუსეთის პრეზიდენტ მხარი დაუჭირა ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა, რომელიც გამოვიდა შთო-ს ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრის ინიციატივით თეირანში რეგიონალური თანამშრომლობის შესაძლებლობების ნავთობისა და გაზის განვითარების, წარმოების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების სფეროების შესწავლისათვის. მაშასადამე, ეს არის შთო-ს გეგმები, რათა შეიქმნას ე.წ. „აზიის რეგიონის ახალი ენერგეტიკული კონფიგურაცია“ [7. 3].

2007 წლის 29 ივნისს მოსკოვში შთო-ს წევრი ქვეყნების მინისტრების სხდომაზე, რომელიც პასუხისმგებელია საწვავის და ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაზე, დამტკიცდა ორგანიზაციის ენერგეტიკის კლუბის დებულება. შეხვედრის მონაწილეებმა გაცვალეს მოსაზრებები და შეთანხმდნენ ენერგეტიკულ სექტორში თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდის მიზანშეწონილობის შესახებ, რათა უზრუნველყონ შთო-ს წევრი ქვეყნების ენერგოუსაფრთხოება და შთო-ს წევრი ქვეყნების ეროვნული სტრატეგიების შედარება მათი შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით. ლიდერებმა მხარი დაუჭირეს შთო-ს ენერგეტიკის კლუბის შექმნას, როგორც ენერგეტიკის საკითხებში არასამთავრობო ორგანიზაციულ ორგანოდ და დაეთანხმნენ მის დებულებას.

დამტკიცებული დებულების თანახმად, კლუბი აერთიანებს როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს და ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საინფორმაციო და ანალიტიკურ ცენტრებს. კლუბის უმაღლესი ორგანოა მაღალი დონის ჯგუფი (მდჯ). გარდა ამისა, კლუბში შეიძლება გაწევრიანდეს დამკვირვებელთა ორი წარმომადგენელი დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებიდან. ენერგეტიკის კლუბის თავმჯდომარე იქნება დანიშნული როტაციის პრინციპით ეროვნული კოორდინატორი და რომელიც რანგით არ უნდა იყოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეზე დაბალი, რომელიც თავმჯდომარეობს შთო-ს მიმდინარე წელს. კლუბის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციისა და დისკუსიის პლატფორმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს შთო-ს წევრი ქვეყნების ენერგეტიკული სტრატეგიის სრულ განხილვას მათი ჰარმონიზაციის თვალსაზრისით და ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით წინადადებების შემუშავებას.

ენერგეტიკული კლუბის შექმნის იდეას აქვს რეალიზაციის მაღალი პოტენციალი. აშკარაა, რომ თავის განვითარებაში შთო სულ უფრო მეტად გადადის პოლიტიკურიდან ეკონომიკური ურთიერმოქმედებისკენ. ასეთი მიდგომა ნაკარნახევია მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრებისა და შთო-ს წევრ ქვეყნებში დაგროვილი პრობლემებით. როგორც რუსეთში, ასევე ყაზახეთში, ჩინეთსა და სხვა წევრ ქვეყნებში ესმით, რომ: მხოლოდ დაგროვილი სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების დროული მოგვარება უზრუნველყოფს მთელი რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. ნაყოფიერია ასევე ურთიერთქმედება გაზის სფეროში. „გაზპრომ“-მა და ჩინეთის ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორ გაზსადენის მშენებლობის შესახებ. მიღწეულია შეთანხმება ჩინეთში რუსეთის ელექტროენერგიის მიწოდების ტექნიკურ-ეკონომიკური გადამუშავების განვითარების შესახებ.

ენერგეტიკის სექტორში სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთს და ჩინეთს საშუალებას მისცემს, ამგვარი ბუნებრივი უპირატესობის მიღება გეოგრაფიული სიახლოვე და ეკონომიკური დანამატი იყოს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას სირთულეები, ძირითადად, გარემოსდაცვითი, ენერგეტიკისა და სურსათის უვნებლობის სფეროშია. ჩინეთის ბუნება ვერ გაუძლებს იმ ზეწოლას წარმოქმნილი სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად.

ნავთობსა და გაზზე მზარდმა მოთხოვნამ ზრდის ჩინეთის ინტერესს რუსეთის აზიის ნაწილისადმი, რომელიც მდიდარია აღნიშნული ბუნებრივი რესურსებით. ამრიგად, რუსეთმა არ უნდა გამორიცხოს ჩინეთის ექსპანსიის შესაძლებლობა.

2002 წელს ნახშირწყალბადის ორმა მსხვილმა მწარმოებელმა ეროვნულმა კომპანიამ „გაზპრომმა“ და „ყაზმუნაიგაზმა“ გააერთიანეს თავიანთი სამრეწველო შესაძლებლობები, შეიმუშავეს და ერთობლივი საწარმო „ყაზროსგაზი“ შექმნეს. კომპანიას დაევალა ყაზახური ბუნებრივი გაზის ოპერაციები, რომელიც მოიპოვება ყაზახეთში ყველაზე დიდი ყარაჩაგანაკის გაზის საბადოდან და რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების მახლობლად მდებარეობს. „ყაზროსგაზი“ ყარაჩაგანა-

კის საველედან ნედლი აირის შეძენის შემდეგ, ამუშავებს მას მეზობელი რუსეთის ორენბურგის გაზის გადამამუშავებელ ქარხანაში. აღნიშნული სამრეწველო ჯაჭვი მოიცავს მარკეტინგს, ტრანსპორტირებას, გაზის გაყიდვას და, შესაბამისად, თანაბარი მოგების მიღებას.

დღეს, ყაზახური გაზი და მისი გადამამუშავების პროდუქტები წარმატებით იყიდება შიდა და უცხოურ ბაზრებზე. თუ შევადარებთ ციფრებს, ისინი შთამბეჭდავია. ბოლო წლებში გადამამუშავების მოცულობამ წელიწადში 7,5 მლრდ კუბურ მეტრს მიაღწია. 2008 წლისთვის ხელშეკრულება გაფორმდა 8.05 მლრდ კუბური მეტრის ნედლი გაზის გადამუშავებისათვის. გაზის გადამუშავების მაქსიმალური რაოდენობა - მინიმუმ 16 მლრდ კუბური მეტრი უკვე სამ წელიწადში 2012 წელს მიიღწევა.

შთო-ს ფარგლებში ენერგეტიკული კომპონენტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ეკონომიკურ პროცესებში. ენერგეტიკის თემა გლობალიზირდება, ხდება ცალკეული ქვეყნებისა და მათი კავშირების დავის საგანი. შთო აერთიანებს ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ენერგორესურსების უმსხვილესი მწარმოებლები არიან და ასევე ისეთ ქვეყნებს რომლებიც იმპორტიორი ქვეყნები არიან. ზუსტად აღნიშნული ფაქტი განსაზღვრავს შთო-ს ფარგლებში მრავალმხრივი ენერგეტიკის თანამშრომლობის პერსპექტივებს.

სამხედრო თანამშრომლობა შთო-ს ფარგლებში. 2007 წლის 26-27 ივნისს ყირგიზეთის დედაქალაქში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტები გამოვლინდა. მათი გზავნილი იყო წვლილის შეტანა ორგანიზაციის საერთო სტრატეგიის ფორმირებასა და განხორციელებაში, რათა უზრუნველყონ რეგიონალური უსაფრთხოება და ეფექტურად დაუპირისპირდნენ თანამედროვე დროის გამოწვევებს - ტერორიზმს, ექსტრემიზმს, სეპარატიზმს, ტრანსნაციონალურ დანაშაულს, კერძოდ, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის საფრთხეს.

რეგიონში მათი გამოვლინებების საფრთხე დღესაც არ მცირდება. ამასთან დაკავშირებით, დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მთავარი წყარო ავღანეთია. წლების განმავლობაში ოპიუმის ყაყაჩოს გამოყვანის მოცულობები რეკორდული მასშტაბებისაა. წამალი უკანონოდ გადაჰყავთ ე.წ. ჩრდილოეთის მარშრუტით ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, შემდეგ კი მთელს მსოფლიოში. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მოცულობა ისეთია, რომ უზბეკეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის თანახმად, ისინი პირდაპირ ემუქრებიან ამ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. თვალსაჩინოა, რომ ავღანეთში ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ჯგუფების საქმიანობას წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით. მათ შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობით და, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო სახელმწიფო საზღვრების გაძლიერებითა და საიმედო დაცვით.

2007 წლის ივნისში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას ერთობლივი სამხედრო წვრთნებისა და დამტკიცდა მანევრირების მიზანი „მშვიდობის მისია 2007“, რომელიც ტარდებოდა რუსეთში. შეთანხმება ითვალისწინებს ტერორისტების, ატომური მრეწველობის, სატრანსპორტო, ენერგეტიკის, ქიმიური წარმოებისა და ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი საფრთხის სხვა ობიექტებს, კომპლექსური დიზაინის ასაფეთქებელი და სხვა დამანგრეველი მოწყობილობების ნეიტრალიზებას და ტერორისტების საქმიანობას.

შეთანხმების მიზანია ძალისხმევის გაერთიანება, რათა უზრუნველყოს სიტუაციისადმი ეფექტური რეაგირება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან შთო-ს სივრცეში, თავდაცვის სამინისტროების კოორდინირებულ ქმედებებს და ერთობლივი სამხედრო წვრთნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების განსაზღვრას.

2008 წლის 28 აგვისტოს დუშანბეში გაიმართა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელმწიფო მეთაურების საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ.ა. ნაზარბაევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ცზინტაო, ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კ.ს. ბაკიევი და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დ.ა. მედვედევი, ტაჯიკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ე. რახმონი და უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ი.ა. კარიმოვი [4. 2]

შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას ორგანიზაციასა და შთო-ს წევრ ქვეყნებს შორის ერთობლივი ანტიტერორისტული წვრთნების ჩატარების, შანხაის თანამშრომლობის ორგანი-

ზაციის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის იარაღის, საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ბანკთაშორისი ასოციაციასა და ევრაზიის განვითარების ბანკს შორის პარტნიორული ურთიერთობების შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.

სახელმწიფო მეთაურებმა ხაზგასმით აღნიშნეს ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით 2007 წლის აგვისტოში ხელმოწერილი საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობის გრძელვადიანი კეთილდღეობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობა ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების ერთობლიობაში, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, გლობალური და რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით. ხელშეკრულების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შთო-ს სივრცეში ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებას. შეხვედრაზე შეშფოთება გამოთქვეს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შთო-ს წევრი ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფის წარმატებული მუშაობა 2007 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საერთაშორისო საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ერთდროულად ამ სფეროში თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის მიზნით, ორგანიზაციის წევრებმა განიხილეს საერთაშორისო საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში შთო-ს ფარგლებში სამთავრობათაშორისო შეთანხმების შემუშავება.

სახელმწიფოს მეთაურებმა ისაუბრეს ორგანიზაციის საერთაშორისო კონტაქტების შემდგომ გაფართოებაზე. შთო-ში ინდოეთის, ირანის, მონღოლეთისა და პაკისტანის დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებთან მუშაობა გადასულია ხარისხობრივად ახალ დონეზე და შენდება მათი მოსაზრებების მიხედვით.

სახელმწიფო მეთაურები მიესალმებიან ვაჭრობისა და ინვესტიციების, სატრანსპორტო კავშირების და სატრანზიტო პოტენციალის განვითარებას, თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალი სფეროს განვითარებად პოზიტიურ დინამიკას. ყურადღება გამახვილებულია ბიზნეს საბჭოსა და შთო-ს ბანკთაშორისი ასოციაციის პოტენციალის უფრო აქტიურად გამოყენებაზე ორგანიზაციაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს გაძლიერებისა და ბიზნესის ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების მიზნით. ორგანიზაციის ფარგლებში ბიზნეს პარტნიორობის ხელშეწყობის კონტექსტში ხაზგასმით აღინიშნა საბაჟო სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობა.

სხდომაზე ხაზი გაუსვა ჰუმანიტარულ სფეროში ურთიერთქმედების მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის მეგობრობის, სოციალური ბაზის სტაბილური გაძლიერების და გაფართოების მიზნით, შთო-ს წევრი ქვეყნების ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ურთიერთგაგების შესახებ. აღსანიშნავია კონტაქტების დამყარების განზრახვა ორგანიზაციის დაინტერესებული წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს შორის.

ერთობლივი სამხედრო წვრთნები მნიშვნელოვნად გააძლიერეს შთო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო სფეროში ურთიერთნდობა და ასევე დაეხმარა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გაძლიერებას. შთო-ს შექმნის დასაწყისში ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებმა განსაზღვრეს თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობა, როგორც ძირითადი ამოცანები.

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გადაკვეთა ახალი საუკუნის ზღვარი მშვიდობა და განვითარება ჩვენი დროის გადამწყვეტ ფაქტორებად რჩება. ამ ფონზე, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობის, თანამშრომლობისა და განვითარების სულისკვეთების ერთგულია, პლანეტაზე საყოველთაოდ აღიარებული და აქტიური ძალა გახდა და მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს.

GAIANE MKRTUMIANI

DIRECTIONS AND SPHERES OF COOPERATION OF THE SCO

Summary

For the WTO, economic growth has become an important unifying start. In all countries of the organization, without exception, in recent years it is 6-8%, these figures are significantly higher than the world average. China and Kazakhstan are the leaders in terms of GDP growth, followed by Tajikistan and Uzbekistan. Russia ranks last in the organization in terms of GDP, which, by the way, does not diminish its importance in the WTO. Yes, that's Russia and China are the real leaders and de facto leaders of the organization. Many experts view the STO as a mechanism for cooperation between these two "pillars". In addition, the organization is a mechanism for "regulating" Central Asia, which is still occupied by Russia and China, and thus trying to replace the United States.

Peace and development have remained crucial factors in our time since humanity crossed the line of the new century. Against this background, the Shanghai Cooperation Organization, which is committed to the spirit of peace, cooperation and development, has become a universally recognized and active force on the planet and is attracting the attention of the whole world.

Keywords: *international organizations, international relations, world politics, world economy, international relations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Соглашение между правительством СССР и правительством КНР о руководящих принципах взаимного сокращения вооруженных сил и укрепления доверия в военной области в районе советско-китайской границы http://docs.cntd.ru,
2. Соглашение между РФ, Республикой Казахстан, Киргизской республикой, Республикой Таджикистан и КНР о взаимном сокращении вооруженных сил в районе границы http://docs.cntd.ru
3. Совместное Заявление участников Алма-атинской встречи – Республики Казахстан, КНР, Кыргызской Республики, РФ и Республики Таджикистан http://russian.china.org.cn
4. Душанбинская Декларация глав государств Республики Казахстан, КНР, Кыргызской Республики, РФ и Республики Таджикистанhttp://cbd.minjust.gov.kg
5. Декларация о создании Шанхайской Организации Сотрудничества http://www.kremlin.ru
6. Официальный сайт Шанхайской Организации Сотрудничества// http: http://sectsco.org/
7. Положение об Энергетическом клубе, http://rus.sectsco.org/structure, ШОС
8. Шанхайская Конвенция о борьбе с терроризмом, сепаратизмом и экстремизмом//http://kremlin.ru
9. Временное Положение о порядке деятельности Совета Национальных координаторов государств Шанхайской Организации Сотрудничества// http://rus.sectsco.org
10. Соглашение между государствами-членами ШОС о Региональной антитеррористической структуре http://base.spinform.ru
11. Хартия ШОС http://kremlin.ru
12. Приложение к Соглашению о порядке формирования и исполнения бюджета ШОС. Размеры ежегодных долевых взносов государств-членов ШОС в бюджет http://docs.cntd.ru
13. Гусев Л. Индийские аналитики о ШОС//Агентство политических новостей Казахстана//http:www.apn.kz
14. Джусупов Б. Гуманитарное сотрудничество в рамках ШОС // https://kg.akipress.org
15. Уровень отношений Китая и России//www.sco-ec.gov.cn/

ლევან კურცხალია
წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა

ოსმალეთის იმპერიის სამხედრო დიპლომატია, ოსმალეთის და პრუსიის სამხედრო თანამშრომლობის მაგალითზე

საუკუნეების განმავლობაში სამხედრო დიპლომატიას ქვეყნებს შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სამხედრო დიპლომატიის, როგორც ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ინსტრუმენტის განხორციელების პროცესის შესწავლისას, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ოსმალეთის იმპერიასა და პრუსიას შორის თანამშრომლობა, ვინაიდან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა, როგორც განგრძობითობის, ასევე შედეგიანობის თვალსაზრისით გამოკვეთილად აღსანიშნავია. ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების პოლიტიკური, ადამიანური და ორგანიზაციული ფართო ქსელი მოწოდებული იყო კოორდინაციისთვის და ურთიერთობისთვის ხელისუფლების მრავალ დონეზე, ამავდროულად, მათ ხელთ არსებული რესურსები დიდი მოქნილობასა და შესაძლებლობას იძლეოდა.

ნაშრომში მოყვანილი ისტორიული ფაქტების განხილვა, კიდევ უფრო მეტად ამყარებს ჩვენი არგუმენტის ჭეშმარიტებას, რომ სამხედრო დიპლომატია წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს, ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების მიღწევისთვის.

საკვანძო სიტყვები: *სამხედრო დიპლომატია; სამხედრო თანამშრომლობა; „საფრთხის ბალანსის“ თეორია; „ძალთა ბალანსი“ მრავალვექტორული ალიანსი და თანამშრომლობა; ოსმალეთის არმიის რეფორმირება; გერმანული სამხედრო დელეგაციის ვიზიტი სტამბოლში; სადაზვერვო ინფორმაცია; სამხედრო ატაშე.*

XVI საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვან სტაგნაციას განიცდიდა, რომლის ძირითადი მიზეზიც როგორც ფ. ბროუდელი აღნიშნავს გახდა ის, რომ ხმელთაშუა ზღვის არეალში დაიწყო ეკონომიკური აქტივობების შემცირება და სანაცვლოდ ატლანტიკის ოკეანე გადაიქცა პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლისა და მოვლენების ეპიცენტრად. ატლანტიკის ოკეანეს მიენიჭა უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა, ამიტომ დიდმა ბრიტანეთმა, ნიდერლანდების სამეფომ და საფრანგეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ძირითადი ხაზი ატლანტიკის ფლანგზე გადაიტანეს, რამაც ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი დარტყმა მიაყენა ოსმალეთს, ამავდროულად რუსეთთან და ავსტრიასთან ხანგრძლივი და დამქანცველი ომების წარმოებამ იმპერიის შესაძლებლობები კიდევ უფრო დაასუსტა.

იმპერიის უსაფრთხოების პოლიტიკური ლანდშაპტი არ გამოირჩეოდა მდგრადი სტაბილურობით, რის მიზეზსაც იმპერიის წინააღმდეგ დაპყრობილი ქვეყნების მხრიდან მცირე და საშუალო მასშტაბების ამბოხებები წარმოადგენდა, ეს კი თავისთავად დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებას. ევროპულ ქვეყნებში ახალი თავდაცვითი სახის სამხედრო ტექნოლოგიების დანერგვამ და განვითარებამ შესაძლებელი გახადა უზრუნველეყოთ დიდი ხნის განმავლობაში ალყაში მოქცეული გამაგრებული ქალაქების დაცვა, მათთვის ეს საკითხი ეკონომიკური თვალსაზრისით უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენდა და მათ შესაძლებლობას აძლევდა მოეგერიებინათ თავდასხმები, ასეთი ვითარება კი ოსმალეთისგან დამატებით ეკონომიკურ და სამხედრო ძალისხმევას მოითხოვდა, ამიტომ იმპერიას უფრო და უფრო ურთულებდა ახალი ტერიტორიების დაპყრობა ან აჯანყებული ქალაქების დამორჩილება. თუკი ისტორიულ ჭრილში დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიის დასასრული შეუქცევად ხასიათს იძენდა. ოსმალეთის მონარქები კარგად ხვდებოდნენ, რომ

ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით და გარე ზეწოლიდან გამომდინარე, ისინი მარტო ვერ შეძლებდნენ იმპერიის ტერიტორიის დაცვას და ყველა შემთხვევაში გარკვეულ დათმობაზე მოუწევდათ წასვლა.

როგორც ჯონ მერშეიმერი აღნიშნავს, ნაპოლეონის მარცხმა და მასთან თანხმლებმა გეოპოლიტიკურმა რყევებმა და მოვლენებმა განაპირობა ახალი მსოფლიო რეალობა და ხელი შეუწყო ხუთი დიდი იმპერიის წარმოქმნას [1. 348].

ასეთ მოცემულობაში ოსმალეთის იმპერიის მონარქები იძულებულები ხდებოდნენ სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა დაემყარებინათ რომელიმე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი შესაძლებლობების მქონე ქრისტიანულ იმპერიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს ქრისტიანულ საფრანგეთთან თანამშრომლობის ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიცია გააჩნდა, XVIII საუკუნეში უკვე განსხვავებული მსოფლიო წესრიგი და რეალობა იყო, რაც თავისთავად ართულებდა იმპერიის სუვერენული არჩევანის შესაძლებლობას.

„საფრთხის ბალანსის“ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოებს შორის სამოკავშირეო შეთანხმებას განსაზღვრავს საფრთხე, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს სხვა სახელმწიფოსგან. ს. უოლტი განმარტავს, რომ „საკუთარი თავის დასაცავად უფრო სუსტი სახელმწიფოები ცდილობენ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით დაუახლოვდნენ იმ ქვეყანას, რომლისგანაც რეალური საფრთხის ალბათობა მნიშვნელოვნად მაღალია“ [2. 6].

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი XVIII-XIX საუკუნეებში ევროპის ძლიერ სახელმწიფოებთან შედარებით საკმაოდ სუსტი იყო, იგი კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩებოდა და იმპერიის სამოკავშირეო შეთანხმება რომელიმე ქვეყანასთან ნაკარნახევი იყო იმ მოტივით, რომ არსებულ „ძალთა ბალანსის“ პირობებში ოსმალეთის იმპერიას კიდევ უფრო განემტკიცებინა დაცულობა და უსაფრთხოება. ოსმალეთის იმპერიის წინაშე არ იდგა არსებობის საფრთხე, საფრთხე ძირითადად ვასალი ქვეყნებიდან მომდინარეობდა, რომელთაც იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი ამოძრავებდათ და მათ ამ სურვილის განხორციელებას მხარს სხვა იმპერიები უჭერდნენ, ეს კი ოსმალეთის მმართველებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა და შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთისათვის მისაღები გახდა პრუსიასთან მრავალვექტორული ალიანსი და თანამშრომლობა. თუ რამ განაპირობა არსებული მდგომარეობა, ამისათვის საჭიროა, რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე ყურადღების გამახვილება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პრუსიას პოლიტიკურად ნეიტრალური დამოკიდებულება გააჩნდა ოსმალეთის იმპერიის მიმართ, ასევე სავარაუდოა, რომ იმპერიის მმართველების მიერ პრუსიასთან თანამშრომლობაზე მიღებულ გადაწყვეტილებისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი საკითხები: სახელმწიფოები არ ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის იდეოლოგიური კვეთა არ არსებობდა და მნიშვნელოვან საკითხებში ერთმანეთის კონკურენტები ვერ გახდებოდნენ, ეს კი შემდგომში გამორიცხავდა ძირითადი საკითხების ირგვლივ უთანხმოებას[3], ასევე პრუსია რელიგიური მრწამსით წარმოადგენდა პროტესტანტულ სახელმწიფოს, ამიტომ შემდგომში ოსმალეთის იმპერიას შედარებით გაუადვილდებოდა მასთან ურთერთობა.

1718 წლის 14 იანვარს პრუსიის მეფე ფრიდრიხ I-ისადმი გაგზავნილი წერილით, საფუძველი ჩაეყარა პრუსიასა და ოსმალეთს შორის თანამშრომლობას. ოსმალეთის დიდი ვეზირი ნიშანჯი მეჰმედ ფაშა პოჟარევეცის საზავო მოლაპარაკებების ფარგლებში ცდილობდა პოლონეთის, რუსეთის და პრუსიის მხარდაჭერის მოპოვებას. ეს ფაქტი შესაძლებელია ჩაითვალოს პრუსიასთან დიპლომატიური ურთიერთობების საწყის ეტაპად და შეფასდეს მათ შორის სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობის პირველ მცდელობად [3. 5].

1768-1789 წლებში ოსმალეთის იმპერიის მიერ წარმოებულმა ომებმა კიდევ უფრო აშკარა გახადა, რომ იმპერიის სამხედრო შესაძლებლობები ევროპული ქვეყნებისას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. 1798 წელს ოსმალეთის სულთნის სელიმ III-მ მიზნად იმპერიის დიპლომატიური იზოლაციიდან გამოყვანა დაისახა, მისი ინიციატივით ძირითად ევროპული სახელმწიფოების დედაქალაქებში დაფუძნდა საელჩოები, რომლის საშუალებითაც ცდილობდა ევროპული ქვეყნებიდან მიეღო მაქსიმალური ინ-

[3] როგორც ს.უოლტი ამტკიცებს სახელმწიფოები, რომლებიც იზიარებენ იდეოლოგიებს, უფრო მეტ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ვიდრე მტკიცე ალიანსების შექმნისას.

ფორმაცია უსაფრთხოებისა და მრეწველობის კუთხით არსებული თანამედროვე მიდგომების შესახებ, ასევე მათი სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერ და სუსტ მხარეებზე. პრუსიაში ოსმალეთის ელჩის თანამდებობაზე დაინიშნა ალი ეფენდი, რომელიც სულთანს აწვდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციას ევროპასა და აზიაში ნაპოლეონის ომების დინამიკის შესახებ.

1836 წელს სულთანმა მაჰმუდ II-მ, პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ III-ს სთხოვა სამხედრო მისიის გაგზავნა, მისი ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და პრუსიის ჯარების კაპიტანი ჰელმუდ ფონ მოლტკე წარიგზავნა ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო მრჩევლად [4. 36]..

1839 წელს ჰ. ფ. მოლტკეს მისია დასრულდა, რაც გამოწვეული იყო ოსმალეთის არმიის ნეზიბეს ბრძოლაში მარცხით და სულთან მაჰმუდ II-ის გარდაცვალებით.

გერმანიის იმპერიის შექმნის შემდეგ, ოტო ფონ ბისმარკმა გერმანიის შემდგომი განვითარების ახალი დღის წესრიგი შეიმუშავა, მისი პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საფრანგეთის იზოლაცია, რის გამოც დაიწყო ავსტრიასთან და რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ო. ფ. ბისმარკი სულ უფრო და უფრო მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ანვითარებდა ოსმალეთის იმპერიასთან, ის მაინც ითვალისწინებდა ევროპის ძირითადი მოთამაშეების შეხედულებებს ოსმალეთთან თანამშრომლობის საკითხში. პრუსიის ხელმძღვანელობა მოზომილი პოლიტიკით და მიდგომით მაქსიმალურად ცდილობდა არ გაემწვავებინა ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობა. მას არ სურდა ორ ფრონტზე ბრძოლა საფრანგეთის და რუსეთის კავშირის წინააღმდეგ [5. 168].

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში განცდილმა მარცხმა ოსმალეთის სახელმწიფოს დღის წესრიგში კვლავ დააყენა არმიის რეორგანიზაციის საჭიროება. ოსმალეთის არმია არ იყო აღჭურვილი სათანადო დონეზე და განიცდიდა კვალიფიციური ოფიცრების დეფიციტს. სულთანმა 1880 წელს დახმარების ანალოგიური თხოვნით მიმართა გერმანიას [3. 41].

თავის მხრივ ბისმარკმა კაიზერ ვილჰელმ I-ს მიმართა წერილით, რომელშიც ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია აბდულჰამიდ II-ის თხოვნის თაობაზე. წერილში ბისმარკი აღნიშნავდა, რომ გერმანიამ უნდა დააკმაყოფილოს ოსმალეთის თხოვნა, შემდეგი 5 მიზეზის გამო:

1. უმჯობესი ეს მისია შეასრულონ გერმანელმა სამხედროებმა, ვიდრე ფრანგმა და ბრიტანელმა სამხედროებმა;
2. გერმანელი სამხედროები შეიძენენ ოსმალეთის იმპერიაში მუშაობის გამოცდილებას;
3. გერმანიას მიეცემა საშუალება ოსმალეთის იმპერიიდან შეაღწიოს აღმოსავლეთში;
4. გერმანია მიიღებს შესაძლებლობას მოიპოვოს სადაზვერვო ინფორმაცია აღმოსავლეთთან მიმართებით;
5. ოსმალეთის არმია სასარგებლო იქნება პანსლავიზმის შეჩერების კუთხით [6. 151-152].

აღსანიშნავია გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწის, გრაფ ფონ ვალდერსეს განცხადება, რომლის თანახმადაც გერმანიას და რუსეთს შორის ომი გარდაუვალია და გერმანია უნდა დაეხმაროს ოსმალეთს, რათა გააძლიეროს მათი არმია და ომის შემთხვევაში გაიხადოს ოსმალეთი მოკავშირედ [7. 31].

1881 წელს, საბერძნეთისთვის და მონტენეგროსთვის ტერიტორიების დათმობის შემდეგ, ოსმალეთმა დახმარების საკითხი კვლავ დააყენა დღის წესრიგში და ბერლინში მიავლინა დელეგაცია [6. 155-156].

გერმანული სამხედრო მრეწველობის კომპანიების, განსაკუთრებით „Krupp“ და „Mauser“ ახდენდნენ ზეწოლას გერმანიის მთავრობაზე, რათა მათ დროულად მიეღოთ გადაწყვეტილება და ოსმალეთის არმიისთვის გაეგზავნათ მათ მიერ წარმოებული შეიარაღება [3. 43].

გერმანიის ოსმალეთთან სამხედრო დიპლომატიის და თანამშრომლობის ძირითად მიზნებად შეიძლება მიჩნეული იქნას შემდეგი საკითხები:

- გერმანიის მიერ ოსმალეთში პოლიტიკური და სამხედრო გავლენების მოპოვების სურვილი;
- გერმანიის მიერ სადაზვერვო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობების გაზრდა. ასევე, სტამბოლში მყოფი უცხო ქვეყნების დიპლომატიური მისიების, განსაკუთრებით სამხედრო ატაშეების მოქმედებების გაკონტროლება;
- გერმანული სამხედრო წარმოებისთვის ახალი გასაღების ბაზრის მოპოვება;

- რუსეთის შეკავებისთვის საჭირო ზომების გატარება.

1882 წელს სტამბოლში ჩავიდა პოლკოვნიკი ოტტო ფონ კეჰლერის ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ კაპიტანი კამპჰოვენერი (ქვეითი), კაპიტანი ჰობე (კავალერისტი) და კაპიტანი რისტოუ (არტილერისტი) [3. 4].

აღსანიშნავია, რომ გერმანელ სამხედროებს მიენიჭათ ოსმალეთის არმიის უფრო მაღალი სამხედრო წოდებები [8. 33].

პოლკოვნიკი ოტტო ფონ კეჰლერის ჯგუფი მუშაობას შეუდგა 1882 წლის ივლისში. ეს უკანასკნელი დაინიშნა ოსმალეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ [8. 52].

გერმანელმა სამხედროებმა პირველ ეტაპზე შეისწავლეს ოსმალეთის არმიაში არსებული ვითარება [3. 44] და ანალიზის შედეგად სულთან აბდულჰამიდ II-ს წარუდგინეს ანგარიში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ოსმალეთის არმიის რეორგანიზაციას. მომზადებული ანგარიშის მიხედვით ნიმუშად აღებული იქნა 1813-1860 წლებში გერმანიის არმიის ორგანიზაციული სტრუქტურა. ანგარიში შეიცავდა 10 ძირითად მიმართულებას:

- საარმიო კორპუსებში რეზერვის ქვედანაყოფების შექმნა და სასწავლო და სამობილიზაციო ქვედანაყოფების რეორგანიზაცია;
- რეგულარული არმიის ოფიცრების მომზადების სისტემის შექმნა;
- სამობილიზაციო და ომის გეგმების შექმნა;
- გენერალური შტაბის თეორიული და პრაქტიკული მომზადება მმართველობის ყველა დონეზე;
- სამხედრო აკადემიების სასწავლო გეგმების შეცვლა, კურსანტთა საველე სწავლებების ინტენსიფიკაცია და კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა;
- მშვიდობის და ომის პერიოდში არმიის მომარაგების სისტემის შექმნა;
- ომისთვის ვარგისი ყველა ცხოველის აღწერა;
- კავშირგაბმულობის გამართული სისტემის შექმნა;
- ტაქტიკური მომზადების და მანევრის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- სტამბოლში, გერმანულ მაგალითზე, სამხედრო ქვედანაყოფის ფორმირება, სადაც მოხდებოდა ოფიცრების გადამზადება ახალი ტაქტიკური და საორგანიზაციო სისტემების შესაბამისად [3. 45].

1885 წელს ოსმალეთში გერმანელი სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა ბარონი კოლმარ ფონ დერ გოლცი, რომლის სახელსაც უკავშირდება ოსმალეთის არმიის ძირითადი რეფორმირების პროცესი, რის შედეგადაც მან ოსმალეთში დიდი პოპულარობა და გავლენები მოიპოვა [9. 18].

აღნიშნულ პერიოდში გერმანიას და ოსმალეთს შორის სამხედრო თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ოსმალეთის არმიის შესაძლებლობები, რის შედეგადაც „ოსმალეთის განახლებულმა არმიამ“ 1897 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში შეძლო რუსეთის დამარცხება. სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობის ფარგლებში ოსმალეთის არმიის ტრანსფორმაცია განხორციელდა სამი ძირითადი მიმართულებით: ახალგაზრდა ოფიცრების მომზადება; არმიის სტრუქტურული რეორგანიზაცია; ოსმალეთის არმიის გერმანული იარაღით აღჭურვა.

ახალგაზრდა ოფიცრების მომზადება. გერმანელი სპეციალისტების და უშუალოდ ფონ დერ გოლცის მონაწილეობით ოსმალეთის სამხედრო სასწავლებლების სასწავლო პროგრამა შესაბამისობაში მოვიდა გერმანული აკადემიების პროგრამასთან. მან ყურადღება გაამახვილა სამხედრო საგნებზე (ომის ისტორია, ომის ხელოვნება, უცხო ქვეყნების არმიების ორგანიზაცია, სამხედრო გეოგრაფია) და საველე სწავლებებზე [8. 46].

- **არმიის სტრუქტურის რეორგანიზაცია.** გერმანელი სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავებული იქნა ახალი სავალდებულო სამხედრო გაწვევის სისტემა, რომელიც ყველა 20 წლის მუსლიმ მამაკაცს ავალდებულებდა სამხედრო სამსახურის გავლას [8. 90].
- **ოსმალეთის არმიის გერმანული იარაღით აღჭურვა.** 1885-1905 წლებში ოსმალეთის არმიამ გერმანიიდან მიიღო 1800-მდე ქვემეხი და 900 000-მდე შაშხანა. ფონ დერ გოლცმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანული იარაღის კომპანიებს და ოსმალეთს შორის თანამშრომლობის განვითარებაში. კომპანიამ „Mauser“ ოსმალეთს 1887-1893 წლებში მიაწოდა 700 000 ერთეული შაშხანა [3. 6]. 1895 წელიდან ოსმალეთ-გერმანიის სამხედრო ურთიერთობებში ძირითადი დატვირთვა გადავიდა

გერმანიის სამხედრო ატაშეებზე, რომლებიც ამზადებდნენ ანგარიშებს ოსმალეთის არმიის შესახებ და იღებდნენ გერმანული კომპანიებისთვის სამხედრო შეკვეთებს [3. 5].

ხსენებულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი გეოპოლიტიკურ, სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკურ კავშირებს ეჭირათ [3. 3].

ცხადია, როგორც პრუსიის, ისე ოსმალეთის პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის სათანადოდ მომზადებული შეიარაღებული ძალები კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო. პრუსია ცდილობდა სამხედრო დიპლომატიის შესაძლებლობების გამოყენებით მიეღწია თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის, რაც გულისხმობდა, ერთი მხრივ, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ოსმალეთის იმპერიის პრუსიაზე დამოკიდებულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, ოსმალეთთან სამხედრო თანამშრომლობით მას შეეძინა მნიშვნელოვან მოკავშირე, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო დაპირისპირებაში მისი მოკავშირე გახდებოდა.

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო დიპლომატიას ქვეყნებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. თანამედროვე ეპოქაშიც სამხედრო დიპლომატია ქვეყნებს შორის საგარეო პოლიტიკის ფორმირების ჩამოყალიბების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

LEVAN KURTSKHALIA

MILITARY DIPLOMACY OF THE OTTOMAN EMPIRE, ON THE EXAMPLE OF OTTOMAN AND PRUSSIAN MILITARY COOPERATION

Summary

For centuries, Military Diplomacy has played an important role in ensuring and maintaining security between countries. When studying the process of implementing Military Diplomacy as a tool in international relations, one of the most prominent examples that should indefinitely be observed is the cooperation between the Ottoman Empire and Prussia, since the relation between the two countries is clearly remarkable in terms of both continuity and effectiveness. The broad political, human and organizational networks of the states mentioned above provided for coordination and interaction across multiple levels of government, while the resources at their disposal allowed great flexibility and opportunity. The discussion of historical facts presented in the paper further supports the truth of our argument that Military Diplomacy is an integral part of achieving the country's long-term strategic goals and objectives.

Key words: *Military Diplomacy; Military Cooperation; "Balance of Threat" theory; "Balance of Power" Multi-Vector Alliance and Cooperation; Reorganization the Ottoman Army; Visit of the German Military Delegation to Istanbul; Intelligence Information; Military Attache.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mearsheimer J., The Tragedy of Great Power by Politics; US, 2009
2. Walt, S.M., 5. Alliance Formation and the Balance of World Power ; US; 2009
3. Taşdemir A; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); US;
4. Helmuth Von. Moltke, Moltkenin Türkiye Mektupları, İstanbul: Remzi Kitabevi, 1995.
5. Karal E.; Osmanlı Tarihi; VIII. Cilt; Birinci Meşrutiyet ve İstibdat Devirleri (1876-1907); 2007.
6. Alkan N.; Abülhamid II Devrinde İstihdam Edilen İlk Alman Askeri Heyetinin Komutanı Otto von Kahler ve Her İki Tarafın Beklentileri; İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi; 2006.
7. Özyüksel M.; Osmanlı İmparatorluğu'nda Nüfuz Mücadelesi; Anadolu Ve Bağdat Demiryolları, Türkiye İş Bankası Kültür Yayınları; 2008.
8. Wallach J. L.; Bir Askeri Yardımın Anatomisi: Türkiye'de Prusya-Almanya Askeri Heyetleri (1835-1919); Ankara; Genelkurmay Basımevi, 1985.
9. Akcan E.; "Colmar Von der Goltz Paşanın Osmanlı Ordusu ve Asker Sivil Aydınlar Üzerindeki Etkisi" Atatürk Dergisi; Vol. 4; 2015.

ხატია ვასაძე
*წარმოადგინა პროფ. **მარიამ ჯიქია***

აფხაზეთის კონფლიქტი - გენეზისი, დინამიკა, შედეგები

აღნიშნულ სტატიაში განხილულია აფხაზეთის ისტორია. აფხაზეთის კონფლიქტის გენეზი მისი დინამიკა და კონფლიქტის შედეგები. სტატიაში მოცემულია აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები ადამიანების შესახებ ისტორიული ცნობები, ძვ. წ VI საუკინიდან მოყოლებული დღემდე. ასევე ყურადღება ეთმობა ეთნო კონფლიქტის გაღვივების წინაპირობებს და შედეგებს რამაც საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხე კონფლიქტურ სიტუაციაში ჩააყემა.

ყურადღება გამახბილებულია რუსეთის ფაქტორზე, როგორც კონფლიქტის წამქეზებელ და მონაწილე მხარედ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში. სტატიაში საუბარია საბჭოთა კავშირის პერიოდში დაწყებული სეპარატიზმზე, რომელიც რუსეთის წაქეზებით აქტიურად მიმდინარეობდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაც საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992-1993 წლებში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საკვანძო სიტყვები: *აფხაზეთი; ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი; რუსეთი; ოკუპაცია.*

ძვ. წ. VI საუკუნეში ისტორიკოსის და გეოგრაფის, ჰეკატეოს მილეთელის ნაშრომებში, ვაწყდებით ცნობებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები კოლების და კორაქსების ტომების შესახებ, რომელსაც კოლხურ ტომებად მოიხსენიებდა [1. 48].

სქილაქს კარიანდელი იხსენიებს, რომ კოლების და კორაქსების სამხრეთით, დიოსკურიიდან (ახლანდელი სოხუმი) აფსაროსამდე (მდ. ჭოროხი) კოლხები ცხოვრობნენ [2. 24].

ძველი წელთაღრიცხვით VI-IV საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია კოლხური ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ახალი წელთაღრიცხვით II-VI საუკენეებში აფხაზეთის ტერიტორია ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში მოიხსენიებოდა [1. 49].

საუკუნეების მანძილზე აფხაზეთის ტერიტორია სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენებოდა. ეგრისის სამეფოს დასასუსტებლად, ბიზანტიის იმპერიამ, აბაზგიის მთავრები წააქეზა, რის შემდეგაც ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ჩამოაცილა აბაზგია-აფხაზეთის სამეფო და თავის დაქვემდებარებაში გადაიყვანა [3. 4].

VIII საუკუნის ბოლოს ლეონ II-მ შექმნა ახალი დასავლეთ ქართული სახელმწიფო გაერთიანება - აფხაზთა სამეფო [4. 225], რომელიც დაყოფილი იყო საერისთაოებად: ცხუმის საერისთაო (ამჟამინდელი გულრიფშის და აფხაზეთის რაიონები), აფხაზეთის საერისთაო ანაკოფიიდან-ნიკოფსიამდე (დღევანდელი სოჭის ოლქი-ტუაფსე), რომელსაც სათავეში ედგა შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენელი [5. 154] და ბედიის სამთავრო (ახლანდელი გალის და ოჩამჩირის რაიონები). შემდგომ საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა პოლიტიკური ძვრები მიმდინარეობდა, თუმცა, აფხაზები მონაწილეობდნენ ერთიანი საქართველოს ბრძოლებში, განსაკუთრებით ლაშა-გიორგისა (1207-1222 წწ. ლაშქრობა განძაზე) [6. 152-153] და რუსუდანის მეფობის (1222-1245 წწ.) დროს ჯალ-ალ-ედინის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონღოლების ლაშქრობების შემდეგ, საქართველო დაიყო დუმენად (სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული). აფხაზეთი შედიოდა დუმენში, რომელსაც მართავდა ცოტნე დადიანი [6. 82].

საქართველოს დაშლამ სამეფო სამთავროებად ხელი შეუწყო აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური მდგომარეობის შეცვლა-გაუარესებას, შეინიშნებოდა კავკასიონიდან აბაზა-ადიღიური ტომების ინტენსიური ჩამოსახლება [2. 44].

ამ პერიოდში საგარეო ფაქტორებმაც გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადეს, კერძოდ, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გაბატონდა ოსმალეთის იმპერია. ოსმალებმა პირველად მიიტანეს იერიში სოხუმის რაიონზე [2. 82-83]. მათ წინააღმდეგობა გაუწია ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი VIII-

მ, თუმცა უშედეგოდ. საგარეო პრობლემასთან ერთად, საქართველო დაიშალა სამეფო სამთავროებად. იმერეთის სამეფოში შედიოდა გურიისა და ოდიშის სამთავრო, ხოლო ამ უკანასკნელში კი აფხაზეთის სამთავრო. მათ შორის დაუსრულებელი დაპირისპირების ნიადაგზე (დადიანების და შერვაშიძეებს შორის დაძაბული ურთიერთობა), ქვეყანა უფრო სუსტდებოდა. საბოლოოდ ვითარება XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად შეიცვალა, როდესაც კავკასიის რეგიონში, გეოპოლიტიკურ აქტორად ოსმალეთთან ერთად რუსეთის იმპერია გამოჩნდა. ანტიოსმალურად განწყობილმა აფხაზეთის მთავარმა გიორგი შერვაშიძემ ოსმალური გავლენისგან განთავისუფლებად დახმარება რუსეთისგან ითხოვა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დახმარება არ დააყოვნა და აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფარველობის ქვეშ მიიღო [2. 124].

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი კავკასიაში უკვე გეოპოლიტიკურ ამინდს ქმნიდა და, ცხადია, მისი ინტერესები მხოლოდ აფხაზეთის სამეფოს „პროტექტორატით“ არ შემოიფარგლებოდა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები მოიცავს საუკუნოვან ისტორიას, რომელიც ორ მიმართულებად იყოფა: პირველი, ორ სახელმწიფოს შორის არსებულ დაპირისპირებად, რაც მრავალგზის გამოიხატა სხვადასხვა კონფლიქტებში, და მეორე, როდესაც რუსეთის „წაქეზებით“ მოხდა შიდა კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რომელიც დღემდე მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულის თანახმად, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გართულების პირველ ეპიზოდად XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ითვლება, როდესაც სპარსეთის და ოსმალების თავდასხმებისგან განადგურებულმა საქართველომ „საშველად“ რუსეთს სთხოვა დახმარება. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატს მოეწერა ხელი, სადაც აღმოსავლეთ საქართველო (იგივე ქართლ-კახეთის სამეფო) რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. ოდნავ მოგვიანებით, 1801 წელს კი რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა. 1811 წელს კი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა [7. 7-9].

ცარიზმის რეჟიმის გავლენა საქართველოზე რამდენიმე ეტაპად იყოფა:

- 1801-1844 წწ - საქართველო რუსეთის გუბერნია გახდა;
- 1844-1881 წწ. - საქართველოს მართავდა მეფისნაცვლის ხელისუფლება;
- 1881-1917 წწ. - ქვეყნის სრულად რუსიფიკაცია მოხდა [8. 17-19].

რუსეთის მხრიდან გაწეულ „ჰუმანიტარულ დახმარებას“, ერთმორწმუნე, მოძმე ერის გადასარჩენად „ისლამური სამყაროდან“, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მოჰყვა.

1918-1921 წლებში საქართველოს ჰქონდა მცდელობა აღედგინა დამოუკიდებლობა, რუსეთის იმპერიის შესუსტების ფონზე, თუმცაღა ქვეყნის დამოუკიდებლობა მალევე დაიკარგა, რადგან 1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკების მიერ შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში შედიოდა.

საბჭოთა საქართველოს რთული ტერიტორიული მოწყობა გააჩნდა: მის საზღვრებში შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს მოსახლეობას მიაჩნდა, რომ აღნიშნული ერთეულები განზრახ შექმნა საბჭოთა რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, საქართველოს ტერიტორიაზე იურისდიქციის შეზღუდვის მიზნით [8. 20].

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ - რუსეთმა განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების სერია საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე. რუსეთის იმჟამინდელი ხელისუფლება მუდმივად აწვდიდა იარაღს სეპარატისტებს, უწევდა მათ სამხედრო, ფინანსურ, პოლიტიკურ მხარდაჭერას, რამაც საქართველო იძულებული გახადა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულიყო, რომელიც ფორმალურად საქართველოსა და სეპარატისტებს შორის მიმდინარეობდა, თუმცა რეალურად აღნიშნული წარმოადგენდა რუსეთისა და საქართველოს შორის სამხედრო დაპირისპირებას. ასევე საგულისხმოა, რომ რუსეთი ძალებს არ იშურებდა იმისათვის, რათა მოეხდინა „კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებულ სამშვიდობო ოპერაციებში“ მონაწილეობა. „მშვიდობის მყოფელის“ სახელს ამოფარებული რუსეთი ცდილობდა სრული კონტროლი ჰქონოდა მიმდინარე პროცესებზე და არ დაეშვა საერთაშორისო ორგანიზაციების

აქტიური ჩარევა სამშვიდობო საქმიანობაში. ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ 2008 წელს მომხდარი სამხედრო აგრესიისგან განსხვავებით, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების წარმოება 1992-1993 წლებში სრულიად განსხვავებული სამართლებლივი შეფასებით დასრულდა. თუ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ - სამაჩაბლოს ძირძველი ისტორიული კუთხე და გორის რაიონის რამდენიმე სოფელი, საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულია როგორც ოკუპირებული ტერიტორია, აფხაზეთის შემთხვევაში აღნიშნულის პირდაპირი აღიარება საერთაშორისო დონეზე არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის პროცესი, რომელიც გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს. მოძრაობა დაიწყო ასევე ქუთაისის გუბერნიის შემადგენელ სოხუმის ოლქშიც. აფხაზეთის სათავეში მოსულმა სახალხო საბჭომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ოლქის ავტონომიური სტატუსის აღიარების თხოვნით (1918 წლის თებერვალი). მიღწეულ იქნა შეთანხმება და შემდეგ დაიდო ხელშეკრულება (1918 წლის ივნისი), რომელიც ანიჭებდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს ფართო შიდა თვითმმართველობას, ხოლო 1919 წლის 20 მარტს იგივე ორგანომ განაცხადა იმის შესახებ, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მისმა ფაქტობრივმა სამართალმემკვიდრემ - საბჭოთა რუსეთმა - აღიარა დამოუკიდებელი საქართველო მდინარე ფსოუს საზღვრებამდე (ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიის ჩათვლით). ეს უკანასკნელი განმტკიცებული იყო რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებითაც [9].

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, 1924 წლიდან გვხვდება ტერმინი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, რომელსაც განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, რაც გულისხმობდა იმას, რომ ავტონომიური წარმონაქმნები შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და ამავდროულად აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენდა ერთადერთ გამონაკლისს, სადაც, აფხაზურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ენიჭებოდა. რუსეთის მხრიდან ასეთმა პოლიტიკამ ნიადაგი მოამზადა, რომ აფხაზ სეპარატისტებს 1980-ანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში დაეწყოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების ფარგლებში მოქმედებები, რაც საბოლოოდ შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე იურისდიქციის დაკარგვით დასრულდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, 1961 წელს გაკეთებული მოხსენება კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე, სადაც ერთ-ერთმა მომხსენებელმა ვალენტინა სუსლოვამ გააჟღერა [10. 101], რომ მოვიდოდა დრო როცა, საქართველო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას დაიწყებდა. მან საქართველოსთან ბრძოლის საუკეთესო იარაღად აფხაზეთი დაასახელა [10. 101].

ასევე გაჟღერდა სამეგრელოსა და სვანეთის ავტონომიურ ერთეულებად დაყოფა [10. 119], რაც გააღვიძებდა კუთხურ-სეპარატისტულ გრძნობას, რის შემდეგაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა. შესაბამისად, რუსეთს ერთადერთი გზა დარჩებოდა - მოერგო მომრიგებლის როლი, საქართველოში მშვიდობის შესანარჩუნებლად [11. 32-33].

საგულისხმოა ნიკიტა ხრუშოვის სიტყვები „თუ ჭკუით არ იქნებიან ქართველები აფხაზებს მივუსევთ მათ“ [11. 32].

1921 წლის რუსეთის ანექსიის შემდეგ აფხაზეთში ძალაუფლება ხელთ იგდო საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მიერ დანიშნულმა აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომმა) და აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა [12. 83].

აღნიშნული წარმოადგენდა კრემლის პოლიტიკის ნაწილს, რადგან მსგავსი „რესპუბლიკების“ შექმნას რუსეთი ყოველთვის უწყობდა ხელს, რაც ერთგვარი ბერკეტი იყო დაპყრობილი ტერიტორიების იოლად სამართავად. ავტონომიების შექმნით ეს უკანასკნელი ფაქტიურად ახერხებდა მის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების კიდევ უფრო დანაწევრებას და დასუსტებას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნამ რუსეთს გრძელვადიან პერსპექტივაში მისცა ის ბერკეტი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საკმაოდ „ეფექტურად“ აამოქმედა.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში წარმოშობილმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ გამოიწვია ნაციონალური უმცირესობების სუვერენიტეტისკენ სწრაფვა [13. 220], რაც საბოლოოდ გადაიზარდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. 1988 წელს შეიქმნა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“, უკიდურესად ანტიქართული განწყობით გამსჭვალული მოძრაობა, რომლის ორგანიზებით, 1989 წელს სოფელ ლინხში მოწვეული ყრილობის მონაწილეები უკვე აქტიურად მოითხოვდნენ აფხაზეთის რესპუბლიკად გამოცხადებას. მათ მიაჩნდათ, რომ აფხაზი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის პირობით [13. 238].

აფხაზური სეპარატისტული ძალების მიზანმიმართულ მოქმედებებს მოჰყვა 1990 წლის 25 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის სტატუსის მინიჭების შესახებ.

დეკლარაციის საგულისხმო დებულებებში გადმოცემული იყო შემდეგი შინაარსი: აფხაზეთის სსრ იყო სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა აფხაზი ერის თვითგამორკვევის ხელშეუვალი უფლების განხორციელების, თავისი ბედის განსაზღვრაში ხალხის ნების უზენაესობის საფუძველზე. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდებოდა მის მთელს ტერიტორიაზე [14. 1].

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების მოქმედება, რომლებიც არღვევდა აფხაზეთის სსრ სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგებოდა მის უფლებებს, ჩერდებოდა აფხაზეთის სსრ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ [14. 7].

აფხაზეთის სსრ-ს შეეძლო გაეხსნა თავისი წარმომადგენლობები სსრ კავშირში, საბჭოთა რესპუბლიკებში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში [14. 10].

აფხაზეთის სსრ აწესებდა აფხაზეთის მოქალაქეობას და ყველა მოქალაქეს აძლევდა სსრკ მოქალაქეობის შენარჩუნების გარანტიას [14. 12], დეკლარაცია იყო აფხაზეთის სსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველი და განსაზღვრავდა რესპუბლიკის პოზიციას სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და საქართველოს სსრ-თან ხელშეკრულების დადების დროს [14. 15].

აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, უდავოა რომ, აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრკ-ში მოკლებული იყო სამართლებლივ საფუძველს. შესაბამისად, აფხაზეთის სახელმწიფო კანონიერ ფორმას ინარჩუნებდა აფხაზი ხალხის თავისუფალი ნებით შექმნილი, 1921 წლის 31 მარტს გამოცხადებული აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით. მართალია, 1990 წლის 25 აგვისტოს მიღებული დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა, თუმცა რეალური მოქმედებები არ განხორციელებულა დოკუმენტის გასაბათილებლად [13. 248].

1990 წლის აგვისტოში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი არჩევნების შესახებ [15. 179].

ამ მოვლენების პარალელურად ვითარება საქართველოშიც დაიძაბა, მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეთნიკური კონფლიქტის დაწყებას. 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება [16. 24-26].

ამავე დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1991 წლის 31 მარტს საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული დადგენილების მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ-ს უზენაესმა საბჭომ არ გაითვალისწინა ქართული მხარის მიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და მონაწილეობა მიიღო 1991 წლის მარტში გამოცხადებულ რეფერენდუმში საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე. ამის საპასუხოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, დადგენილებით აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმი და N669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები გააბათილა [16].

ბუნებრივია, ამ მოქმედებას თავისებური განმარტება მოჰყვა რუსეთის მხრიდან. მათი

აზრით, დადგენილება შეიცავდა პუნქტს, რომელიც კრძალავდა რეგიონული პარტიების მონაწილეობას რესპუბლიკური პარლამენტის არჩევნებში. რუსი პოლიტოლოგის კ. გაჯიევის აზრით, აღნიშნული დადგენილების მიღების მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ არ დაეშვათ აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ კანდიდატების მოხვედრა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში [17. 159].

რა თქმა უნდა, რუსეთმა ეს მოვლენები სათავისოდ ძალიან კარგად გამოიყენა და ისედაც დაძაბული ქართულ-აფხაზური ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა, რაც 1992 წლის შეიარაღებულ კონფლიქტში გამოიხატა.

1991 წლის 2 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვლადისლავ არძინბას მეთაურობით, მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის - ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“ და მიიღო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების დაწესებულებათა დისლოკაციისა და მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ [18].

აღნიშნული, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელ კონსტიტუციასთან. მითითებული მოვლენების პარალელურად, საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა და ხელისუფლება ხელში ჩაიგდო სამხედრო საბჭომ. საბჭოს სათავეში ჩაუდგა ედუარდ შევარდნაძე. საბჭომ გააუქმა მოქმედი კონსტიტუცია, მათ შორის, 1990 წლის ცვლილებებიც და აამოქმედა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. ეს ფაქტი სათავისოდ გამოიყენა აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ და განაცხადა, რომ 1921 წლის კონსტიტუცია არ განსაზღვრავდა აფხაზეთის ავტონომიის სტატუსს. სწორედ ამიტომ, აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ 1992 წელს მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც აფხაზეთის საბჭოთა სოციალურ რესპუბლიკას ეწოდა „აფხაზეთის რესპუბლიკა“. აფხაზური მხარის განმარტებით, 1921 წლის კონსტიტუციის მიღებით მათ უფლება ჰქონდათ, არ დამორჩილებოდნენ 1978 წლის კონსტიტუციის დებულებას, რომელშიც საუბარი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, კერძოდ, „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი და მისი ურთიერთმიმართება საქართველოს სსრ-თან და სსრკ-თან განისაზღვრებოდა და რეგულირდებოდა აფხაზეთის ასსრ და საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციებით, აგრეთვე, სსრკ-ს 1977 წლის კონსტიტუციით [19. 18].

მიუხედავად აფხაზი მთავრობის ამ განცხადებისა, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში არ წერია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 107-ე მუხლში ნათლად არის ასახული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. ბ. „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთის სოხუმის ოლქი, სამუსლიმნო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას ოლქი, ენიჭებათ ავტონომიური მმართველობა“ [20].

მიუხედავად მითითებული ჩანაწერის არსებობისა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში პოლიტიკურ-სამართლებლივი ვაკუუმი მაინც გაჩნდა.

ცხადია, კრემლის პოლიტიკური ლიდერები ამ გაუგებრობას არა თუ ხელიდან არ გაუშვებდნენ, არამედ მის გაღრმავებას შეუწყობდნენ ხელს, რადგან რუსულ პოლიტიკურ ნარატივებში არაერთხელ გაჟღერებულა, რომ „თუ ქართველები ჭკუით არ მოიქცევიან აფხაზებით ვასწავლით ჭკუასო“ და სწორედ ამ „ჭკუის სასწავლებელ“ მომენტს ელოდნენ კიდეც.

1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ (რომელსც ე. შევარდნაძე ხელმძღვანელობდა) გადაწვიტა, აფხაზეთში შესულიყო შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების შემადგენლობაში მყოფი სამხედრო ძალები, მხოლოდ იმ მიზნით, რომ კონტროლი დაემყარებინა აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალზე, რადგან იმ პერიოდში აღნიშნული სარკინიგზო მაგისტრალი რუსეთის ფედერაციას და სომხეთის რესპუბლიკას აკავშირებდა ერთმანეთთან, საქართველოს ტერიტორიის გავლით. ქართული მხარის ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალზე აღეკვეთათ მარადიორობა, ყაჩაღობა და კრიმინალი, რადგან სარკინიგზო მაგისტრალს საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აფხაზეთში გადასვლის პირველი დღიდან მცირე ეთნიკურმა დაჯგუფებამ

აფხაზეთის ტერიტორიაზე ცეცხლი გაუხსნა ქართულ მხარეს. ეჭვგარეშეა, რომ ეს ქმედება წახალისებული იყო რუსი და აფხაზი დეფაქტო მთავრობის მიერ. დაპირისპირებამ კულმინაციას 14 აგვისტოს მიაღწია, როდესაც აფხაზეთის მხარესთან შეთანხმების მიუხედავად, ქართულ საჯარისო შენაერთებს ცეცხლი გაუხსნა აფხაზეთის „გვარდიამ“ [19. 19].

აღნიშნული პერიოდისთვის საქართველოს ურთიერთობა უკვე დაძაბული ჰქონდა ე.წ „სამხრეთ ოსეთთან“, ხოლო აფხაზეთთან წინასაომარი ვითარებაში იმყოფებოდა. ეს კარგ შანსს აძლევდა რუსეთის მხარეს, რათა საქართველოსთვის ბრალი დაედო აგრესიულ სამხედრო მოქმედებებში. შესაბამისად, 1992 წლის აგვისტოში რუსეთმა მთელ მსოფლიოს აუწყა საქართველო-აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე, რაშიც ცხადია საქართველო დაადანაშაულა, თავად კი, თითქოს მხარეების შორის კონფლიქტის დარეგულირებას შეეცდებოდა, როგორც შუამავალი [21. 121].

1993 წელს სოჭში, რუსეთის შუამავლობით ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის შემუშავების შესახებ“ [22].

ქართულმა მხარემ ხელშეკრულების პირობები შეასრულა და მძიმე ტექნიკა გაიყვანა აფხაზეთიდან. მეორე მხარემ, რომელსაც რუსეთის რეგულარული არმია, ადგილობრივი სეპარატისტები და ჩრდილო კავკასიური დაჯგუფებები წარმოადგენდნენ, იერიში მიიტანეს და სოხუმი აიღეს. სოხუმის დაცემის შემდეგ ეთნიკური წმენდის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა და აფხაზეთიდან განდევნილი იქნა მოსახლეობის 70% [12. 130-132].

1994 წელს 13 იანვარს გაეროს და ეუთოს ეგიდით გამართულ შეხვედრაზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოლაპარაკების თაობაზე, რომელიც ქ. ჟენევაში გაიმართა, აღიარებული იქნა ქართლ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის შედეგები [23].

ასევე, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ“ [24].

აღნიშნულ პერიოდში დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს თხოვნით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების გამოყენების თაობაზე მოჰყვა 1994 წლის 22 აგვისტოს შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა მოსკოვში. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ მიზნად ისახავდა შემდეგს: განლაგებულიყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის წევრი, დაინტერესებული, სახელმწიფოების სამხედრო კონტინგენტებისაგან შემდგარი კოლექტიური სამშვიდობო ძალები 2500-3000 კაცის ოდენობით, აგრეთვე, სამხედრო მეთვალყურენი. ამასთან, უნდა ეხელმძღვანელათ იმით, რომ კოლექტიური სამშვიდობო ძალების საფუძველი იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონფლიქტის ზონაში უკვე არსებული რუსეთის სამხედრო კონტინგენტი [25].

ამავე დოკუმენტით განისაზღვრა დროებითი გაერთიანებული სარდლობის შექმნა, რომელიც კონფლიქტურ ზონაში გააგზავნიდა შეიარაღებულ კონტიგენტს [25].

მითითებულ ნაწილში ყველაზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლად უნდა დანიშნულიყო რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი [25].

ასეთ პირობზე თანხმობა თავისთავად ზრდიდა საფრთხეს რუსეთის მხრიდან. მართალია, ის მშვიდობისმყოფელის სახელს იყო ამოფარებული, თუმცა 2008 წელს მისი აგრესიული პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის წინააღმდეგ კვლავ განახლდა.

2008 წლის შეიაღაღებული კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის გახდა ერთგვარი კატალიზატორი აფხაზეთის საკითხთან მიმართებითაც. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ე.წ „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე სამხედრო ოპერაციის პარალელურად რუსეთმა საჯარისო შენაერთები და სამხედრო აღჭურვილობა გააგზავნა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - კოდორის ხეობის დაცვის მიზნით, აფხაზ სეპარატისტების დასახმარებლად.

რუსეთის მიერ აფხაზეთში გაგზავნილი შეიარაღება მოიცავდა 30-მდე ანტისარაკეტო დანადგარს, 120-მდე ტანკსაწინააღმდეგო რაკეტას, 180-მდე გადამზადებულ რუს სამხედრო სპეციალისტს და რამდენიმე ერთეულ საჯარისო დანაყოფს [26. 69].

ეს ყველაფერი ბუნებრივია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რუსეთის ინტერესს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. 2008 წლის შეიარაღე-

ბულ კონფლიქტში რუსეთმა თავისი მონაწილეობა გაამართლა იმით, რომ იცავდა თავის მოქალაქეებს საქართველოს მხრიდან განხორციელებული აგრესიისგან. აფხაზეთის შემთხვევაში წინასწარი მზადყოფნა გამოხატა აფხაზეთის დასახმარებლად. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რეგიონში არსებული კონფლიქტების მიმართ მის ინტერესს. აღნიშნულს ემატება 2009 წლის 15 სექტემბერს რუსი პოლიტოლოგის კოლოსოვის გამოსვლა, სადაც ის აცხადებდა, რომ რუსეთმა და *de facto* აფხაზეთის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთის მხარეს საშუალებას აძლევდა სამხედროები გამოეყენებინათ, აეშენებინათ და განეახლებინათ სამხედრო ინფრასტრუქტურა და ბაზები აფხაზეთში [26. 66].

თუ 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე ჟღერდებოდა 1992-1993 წლებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საკითხი, კონფლიქტის შემდეგ, ამ საკითხზეც გართულდა, უფრო სწორად შეწყდა საუბარი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო. აფხაზეთში ჩატარებული კვლევების თანახმად, აღიარების პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა მზად არ იყო მიეღო დევნილები, სადაც 80% ეთნიკურად აფხაზი და სომეხი ხალხი წინააღმდეგნი იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების.

ხსენებულს ემატებოდა ადგილზე მაცხოვრებელი ეთნიკურად რუსი მოსახლეობის წინააღმდეგობაც. დევნილების დაბრუნების საკითხთან ერთად, ჩატარდა გამოკითხვა, სადაც ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის 79%-მა მხარი დაუჭირა აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ხოლო აფხაზეთში მცხოვრებმა ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის 51%-მა განაცხადა, რომ ერჩივნათ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ყოფნა [26. 65].

2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ ცნო. დღევანდელი მდგომარეობით აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ აღიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხოლოდ ხუთი წევრი სახელმწიფო – რუსეთი, ვენესუელა, სირია, ნიკარაგუა, ნაურუ. გარდა ამ ხუთი სახელმწიფოსი ვანუატუსა და ტუვალუს სახელმწიფოებმა თავდაპირველად (2011 წელს) აღიარეს თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ხოლო შემდეგ უარყვეს მათი გადაწყვეტილება.

აფხაზეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოს სტატუსს“ მხარს უჭერს სამი არაღიარებული, გაერო-ს არაწევრი ტერიტორიული ერთეული – ე.წ. „სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა და მთიანი ყარაბაღი.

KHATIA VASADZE

THE CONFLICT IN ABKHAZIA - GENESIS, DYNAMICS, CONSEQUENCES

Summary

The article discusses the history of Abkhazia. The genesis of the conflict in Abkhazia, its dynamics and the consequences of the conflict. Also The article provides historical information about people living in the region of Abkhazia From the VI BC century to the present day. Attention is also drawn to the prerequisites and consequences of the instigation of the ethnic conflict, which put the Afxazia in a conflict situation.

Attention is drawn to the Russian factor as an instigator of the Georgian-Abkhaz conflict. The article talks about the separatism that started during the Soviet Union, which was active in the Autonomous Republic of Abkhazia during instigation of Russia, which eventually, after the collapse of the Soviet Union, turned into an armed conflict in 1992-1993

Keywords: ***Abkhazia; Georgian-Abkhaz armed conflict; Russia; occupation.***

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყალიჩავა კ., კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, 2019.

2. პაპასკირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. უძველესი დროიდან 1917 წლამდე, 2003.
3. ლორთქიფანიძე მ., აფხაზეთი და აფხაზეთი, 1990.
4. მემატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, თბ., 1955.
5. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1895.
6. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959.
7. მერკვილაძე დ., რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის მიზეები, 2021.
8. მატერსკი ვ., „საქართველო“, ვარშავა, 2000.
9. გურული ვ., საქართველო-რუსეთის მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება, იხ., http://dl.sangu.edu.ge/pdf/vguruli_georus.pdf [30.05.2022].
10. Колесникова М. Е., Крючков И. В., Колосовская Т. А., Шафранова О. И., Зозуля И. В., История народов Кавказа: диалог культур, языков и религий, Материалы международной научно-практической конференции, 2019.
11. ნადარეიშვილი თ., შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, თბილისი, 2000.
12. მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია, სტამბა „ფორმა“, თბ., 2011.
13. კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2004.
14. დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“, 25/08/1990, პუნქტები, 1, 7, 10, 12, 15.
15. გურგენიძე ე., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, გამომცემლობა „ივერთა მხარე“, 1990.
16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ჩატარებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების N669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების შესახებ, თბილისი, 1991 წლის 22 მარტი, უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, 24-26.
17. Гаджиев К.С., Геополитика Кавказа, Международные отношения, 2001.
18. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების დაწესებულებათა დისლოკაციისა და მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.
19. ჩიტაძე ნ., ჯებისაშვილი ქ., საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე, 2019.
20. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, 21/02/1921, მუხლი 107, იხ., https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0
21. პიპინაშვილი დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები, თბ., 2008.
22. შეთანხმება „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის შემუშავების შესახებ“, 27/07/1993, იხ., http://abkhazia.gov.ge/page/conflictCronology [30.05.2022].
23. კომუნიკე ჟენევაში ქართველთა და აფხაზთა მოლაპარაკების მეორე რაუნდის შესახებ, 13.01.1994
24. შეთანხმება „ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორების შესახებ“, 03/09/1992, იხ., http://abkhazia.gov.ge/page/conflictCronology [31.05.2022].
25. კომუნიკე „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ“ პუნქტი 1, იხ., https://bit.ly/3AKISVR [31.05.2022].
26. Matsaberidze D., Conflict over Abkhazia- to be continued? Journal of Regional Security Vol 8, N 3, 2013.

ნათია გოგალაძე
*წარმოადგინა პროფ. **მაია გურამიშვილმა***

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და ტერიტორიული მთლიანობა (დეფინიცია და კავშირი)

სტატია ეხება და აანალიზებს თვთგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, ასევე აღწერს თვითგამორკვევის კავშირს ისეთ ცნებებთან, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა და სეპარატიზმი.

თვითგამორკვევა ნიშნავს ადამიანთა კანონიერ უფლებას, გადაწყვიტონ საკუთარი ბედი საერთაშორისო წესრიგში. თვითგამორკვევა არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპი, რომელიც მომდინარეობს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან, მაგრამ ასევე აღიარებულია სამართლის ზოგად პრინციპად და გათვალისწინებულია მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ის ასახულია გაეროს წესდების I მუხლში, როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი. საერთაშორისო დოკუმენტებში მის ზოგადი განმარტების მიუხედავად, თვითგამორკვევის უფლებას არ აქვს ზუსტი განმარტება. თვითგამორკვევის უფლება გვხვდება არა ერთ საერთაშორისო დოკუმენტში, მათგან უმნიშვნელოვანესია: გაეროს ქარტია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენცია, რომელშიც განზოგადებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რაც ერთა თვითგამორკვევის უფლების ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

სეპარატისტებს უმეტეს შემთხვევაში არგუმენტად მოჰყავთ საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპები, როგორიც არის ერთა თვითგამორკვევის უფლება. საერთაშორისო დოკუმენტებში არსებობს განმარტება, რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობს „ხალხი", მაგრამ არ არის მითითებული, რომელ ხალხს აქვს უფლება ამ პრინციპით სარგებლობის, ამიტომ ეთნიკური უმცირესობები ამგვარ გაურკვევლობას იყენებენ თავისთვის ხელსაყრელად და მოითხოვენ, აღნიშნული უფლება მათ სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული. ასეთი ზოგადი მიდგომა და ცალკეული დიდი ქვეყნების არცთუ უანგარო დახმარება მათ აძლევს სასურველი ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ისეთ ძირითად პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა.

საკვანძო სიტყვები: *ერთა თვითგამხაჩორკვევა, ტერიტორიული მთლიანობა, საერთაშორისო სამართლის პრინციპები, საერთაშორისო ხელშეკრულებები.*

საერთაშორისო სამართლის გაჩენა მჭიდრო კავშირშია დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან. საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიზანია დამოუკიდებელი სახელმწიფოების ქცევით ერთმანეთთან ურთიერთობა ნორმებითა და ძირითადი პრინციპებით. ერთა თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანო პრინციპი საერთაშორისო სამართლის ორი პრინციპია, რომელიც იწვევს კამათს მათ შორის სავარაუდო წინააღმდეგობაზე.

თვითგამორკვევის იდეა და მისი პრობლემა „ტერიტორიული მთლიანობის: კონცეფციასთან განიხილება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე - სსრკს-ს,იუგოსლავიის დაშლა, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და ა.შ. სეპარატისტები საკუთარი ქმედებების გასამართლებლად მუდმივად იშველიებენ ისეთ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, როგორიცაა მაგალითად ერთა თვითგამორკვევა.

იმის მიუხედავად, რომ თვითგამორკვევის ცნებას დაახლოებით ორას წელზე მეტი ისტორია აქვს, ამავე დროს მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტშია გამოყენებული, აქვს დიდი თეორიული შინაარსი და შესაძლებლობა, დღეს მისი პრაქტიკურლი გამოყენების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და დღეს ეს იმდენად სადავოა ვიდრე ოდესმე იყო.

თვითგამორკვევას ორი ასპექტი აქვს: შიდა, რომელიც სახელმწიფოს ხალხის უფლე-

ბებს გულისხმობს, რომელთაც შეუძლიათ მართონ საკუთარი თავი გარე ჩარევის გარეშე და გარე თვითგამორკვევა, რომელიც ხალხის უფლებას გულისხმობს, განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტსტუსი და გათავისუფლდნენ უცხოელთა ბატონობისგან (მათ შორის შექმნან საკუთარი დამპუკიდებელი სახელმწიფო)

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები ყველაზე ზოგადი და საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმებია, რომელსაც უზენაესი იურიდიული ძალა აქვს და სახელმწიფოებს მათი აღიარების ვალდებულებას აკისრებს. საბჭოთა სახელმწიფოების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ გამოიწვია საერთაშორისო სამართალში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის განვითარებასთან ერთად ევროპის პოლიტიკურ დღის წესრიგში დგება ერების დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების მინიჭების საკითხი. საერთო პოლიტიკურმა კლიმატმა მოამზადა ნიადაგი ახალიპოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის. თვითგამორკვევის, უფლება, როგორც პოლიტიკური პრინციპი XIX საუკუნეში განავითარეს ამერიკისა და საფანგეთის რევოლუციის თეორიტიკოსებმა. ამ პერიოდისათვის ეროვნული თვითგამორკვევის უფლება განიხილებოდა, როგორც ეროვნულ-სახელმწიფო ერთიანობისა და ძველი წესრიგის დამხობისკენ მიმართული ლოზუნგი. თანამედროვე იდეოლოგიას ერების თანასწორუფლებიანობის შესახებ საფუძველი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, ამერიკის პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა ჩაუყარა ცნობილ 14- პუნქტიან დებულებაში, რაც შემდგომში უკვე გაეროს დოკუმენტებშიც იქნა ასახული. ზემოთ თქმული დოკუმენტები პატარა ერებს არსებობის, გავითარების და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობასაც კი აძლევს. როგორც უკვე ავღნიშნეთ სეპარატისტული კონფლიქტები და ზოგადად ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უმრავლესობის უმთავრესი პრობლემა სწორედ რომ ე.წ. „ერთა თვითგამორკვევას“ უკავშირდება, იგი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია [1. 43].

ერთა თვითგამორკვევის უფლების ზუსტად როდის ჩამოყალიბდა დღემდე არ არის დადგენილი, მაგრამ ისტორიულად ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ცალკეული ადამიანების თვითგამორკვევას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდე, რომ მასაქვს ადამიანის ინდივიდუალური უფლებათა ასპექტები. ისიც უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად თვითგამორკვევის უფლება რელიგიურ საკითხებში პიროვნების თვითგამორკვევით შემოიფარგლებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს 3500 ეთნოსიდან ერთდროულად ყველამ შეიძლება მოითხოვოს საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მსგავს მოცემულობამდე მივყავართ იმ მოსაზრებას თუ თვითგამორკვევის გაგება მოხდება ისე, რომ ყველა ხალხს აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უფლება. იმის მიუხედავად, რომ შეუძლებელია ამ რაოდენობის ასეულობით პატარა სახელმწიფოს წარმოშობა სასურველიც არაა. ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ფონზე სეპარატიზმის სპექტრი განაგრძობს ზრდას.

ერთა თვითგამორკვევის საკითხის განხილვა თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს. საერთაშორისო მართლწესრიგის ათ ძირითად პრინციპს, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთია „ერთა თვითგამორკვევის პრინციპია“, რაც ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს პატივი სცეს იმ ხალხს,რომელიც საფუძვლიანად მოითხოვენ თვითგამორკვევის უფლებას. ეს უფლება თანამედროვე სიტუაციისთვის საკმაოდ რთულ და პრობლემურ საკითხებს წარმოშობს, რადგან რეალურად წინააღმდეგობაში მოდის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან. იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით სეპარატიზმი მომძლავრებულია საერთაშორისო სამართლის ამ პრინციპის ირგვლივ წარმოიშვება მრავალი კითხვა.

თვითგამორკვევის პრობლემის აქტუალობა იკვეთება ბევრ ისეთ საერთაშორისო დოკუმენტში, როგორიცაა გაერთიანებული ერების ქარტია და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები. იმის მიუხედავად, რომ არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში ვხვდებით ერთა თვითგამორკვევის უფლებას, არცერთ დოკუმენტში არ არის განმარტებული მკაფიოდ თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ხალხი, რომელსაც სურს თვითგამორკვევის უფლების განხორციელება ან როგორ უნდა მოიქცეს ეს ხალხი.

იმ მომენტიდან, როდესაც ცნება „თვითგამორკვევა“ პირველად ჩაიწერა გაეროს წესდებაში, მას შემდეგ მან გავრცელება ჰპოვა მრავალ დეკლარაციაში, ასევე ტერმინი ზოგ შემთხვევაში სლოგანის ხასიათსაც კი ატარებდა, სწორედ ამან გაართულა ტერმინის რეალური მნიშვნელობის გარჩევა.

ტერმინის განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, ასევე ის ფაქტი რომ მკაფიო განმარტებებს ვერ ვხვდებით ვერც ერთ საერთაშორისო დოკუმენტში ეს ყველაფერი ქმნის საკმაოდ დიდ საფრთხეს, რადგან მსოფლიოში არსებობს არაერთი ერი, რომელსაც არ აქვს საკუთარი სუვერენული სახელმწიფო და მათში გარკვეულ პროტესტს ეს უფლება ვფიქრობ, რომ უფრო მეტად აძლიერებს.

საერთაშორისო სამართლის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს თვითგამორკვევის უფლების რეალური განსაზღვრა. უფლების განვითარების თანმხლები ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით მისი ინტერპრეტაციის ორიენტირები შეიცვალა.

1960 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა რეზოლუცია, რომელიც ცნობილია კოლონიური ტერიტორიებისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის სახელით,რომელშიც ნათქვამია „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, ამ უფლების ძალით ისინი თავიან პოლიტიკურ სტატუსს თავისუფლად აწესებენ და უზრუნველყოფენ თავის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“ [2].

1960-იან წლებში ერთა თვითგამორკვევის უფლება დეკოლონალიზაციური პროცესების დასაბუთების ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა, მაგრამ ამ განსაზღვრებით თვითგამორკვევის უფლებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან მეტროპოლიურ-კოლონიური რეჟიმები აღარ არსებობს.

ნაციონალიზმმა უდიდესი როლი ითამაშა თვითგამორკვევის ცნების სუბსტანციის შექმნაში, თვითგამორკვევა ინტენსიური დებატებისა და აქტიური პოლიტიკის ნაწილი გახდა ინტერნაციონალისტური შრომის მოძრაობის ძალისხმევით. თვითგამორკვევის ცნებას მისი წარმოშობიდან პირველ მსოფლიო ომამდე, ერთი მხრივ, ჰქონდა ნაციონალისტურ-დეცენტრალისტური, ხოლო მეორე მხრივ, კლასობრივი მნიშვნელობა. პირველ მსოფლიო ომამდე ევროპელი ნაციონალისტები მწვავედ აყენებდნენ ერთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საკითხს, ასევე რუსი და ავსტრიელი სოციოლოგებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი თვითგამორკვევის საკითხის გადაწყვეტაში, სწორედ მათმა ასეთმა ჩართულობამ განაპირობა თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებული კონცეფციების განვითარება და წინაპირობა წარმოშვეს, რომ ერთა თვითგამორკვევის საკითხი XX საუკუნეში გამხდარიყო აქტუალური პოლიტიკური და სამართლებრივი კონცეფცია. პირველი მსოფლიო ომის შემდგომაც არ შეწყვეტილა დისკუსია თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირდებით და აქტიურად მიმდინარეობდა მის ირგვლივ მსჯელობა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მოკავშირეებმა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, როგორც სამშვიდობო მიზანი ისე მიიღეს. თვითგამორკვევის პრინციპმა გავრცელება ჰპოვა ერთა ლიგაში, თუმცა განმტკიცდა შემდგომ გაეროს წესდებით.

ერთა თვითგამორკვევის უფლება, როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპი პირველად 1945 წელს გამოიყენეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლი 1, პუნქტი 2 და 55-ე მუხლში, [3] თუმცა მხოლოდ ერთა მეგობრული დამოუკიდებლობის კონტექსტში. ზემოთ როგორც უკვე ავღნიშნეთ თვითგამორკვევის სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსი უფრო მეტად 1960 წელს გაფართოვდა გაეროს ასამბლეის დეკლარაციით, ხოლო 1966 წელს მოხდა მისი რეგლამენტირება, როგორც ადამიანის კოლექტიური უფლება, რომელიც ადამიანს ყველა დროსა და ადგილზე გააჩნია. გაეროს მიერ 1960 წელს გამოცემული 1514 (XV) რეზეზოლურიით, რომელიც ერთა თვითგამორკვევის უფლებას ეხება. არსებული დებულებით:

- თვითგამორკვევის უფლება მიენიჭა ყველა ხალხს და მისი შეზღუდვის მიზნით არ დაწესებულა გამონაკლისები;
- ამ უფლების საფუძველზე, ხალხს შეუძლია მისთვის სასურველი სახელმწიფოებრივი მოწყობა, მმართველობის ფორმა და ა. შ აირჩიოს.
- ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით ხალხი თვითონვე ირჩევს და უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული განვითარების გზებს [4].

ერთა თვითგამორკვევის უფლება გარდა გაეროს დებულებისა სხვა საერთაშორისო დოკუმენტშიცაა განხილული და მის არსს გარკ-

ვეულწილად განმარტავს მას. ასე მაგალითად ჰელსინკის დასკვნითი აქტის თანახმად, თვითგამორკვევის უფლება არის მუდმივი და არა ერთჯერადი. თვითგამორკვევის უფლებისამ ფორმულირებას ყველა „ხალხი“ იყენებს [5. 16].

ჰერსტ ჰანუმის სტატიაში, რომელიც თვითგამორკვევას ეძღვნება ვეცნობით ინფორმაციას, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც შექმნილიიყო რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ზედამხედველობის მიზნით თვითგამორკვევასთან დაკავშირებით 1996 წელს კვლავ მიიღეს ახალი კომენტარი, რომელიც უფრო ზოგადი იყო. მიღებულ კომენტარში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არც ერთი მისი ქმედება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პრინციპებთან შეუსაბამოდ. კომიტეტის მოსაზრებით „საერთაშორისო სამართალი არცნობს ხალხთა ზოგად უფლებას, ცალმხრივად გამოაცხადონ სახელმწიფოსგან გამოყოფა“.

აფრიკული ქარტია ადამიანისა და ხალხის უფლებების შესახებ, რომელიც 1981 წელს იქნა მიღებული შიცავს სტატიას, რომელიც თვითგამორკვევას ეხება. ქარტიაში აღნიშნული სტატია მხოლოდ ადრინდელ ფორმულირებას იმეორებს. ქარტიის 20-ე მუხლის მიხედვით:

1. ყველა ხალხს აქვს არსებობის უფლება, აქვთ თვითგამორკვევის უდავოდა განუყოფელი უფლება. ისინი განსაზღვრავენ თავის პოლიტიკურ სტატუსს და განაგრძნობენ იმ სახის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც მათ აირჩიეს;

2. კოლონიზებულ ან ჩგრულ ხალხ აქვს უფლება განთავისუფლდნენ ბატონობის ბორკილებისგან საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ნებისმიერი საშუალების გამოყენებით;

3. ყველა ხალხს აქვს უფლება, დაეხმარონ წინამდებარე ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებს მათ განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოური ბატონობის წინააღმდეგ, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული.

ვფიქრობ, გაეროს ქარტიაში ერთა თვითგამორკვევის ცნების განმარტება ქმნის გარკვეულწილად გაუგებრობას. „1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლებების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავის პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას; 2. ყველა ხალხს შეუძლია საკუთარი მიზნებისთვის თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები, ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე ვალდებულებების მიმართ, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპებსა და საერთაშორისო კანონმდებლობაზე წარმოშვება; 3. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის ის ვინც პასუხისმგებელია არათვითმმართველი ტერიტორიების ადმინისტრირებაზე დებულების შესაბამისად ხელს უწყობენ თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას და პატივს სცემენ ამ უფლებას. ერთა თვითგამორკვევის პრინციპს გააჩნია თავისი კომპონენტები, რომლისგანაც იგი შედგება. ქვემოთ ჩამოთვლილი განმარტებები გამომდინარეობს 1966 წლის პაქტიდან ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებათა შესახებ.

- ხალხის დამოუკიდებლობისა და საკუთარი საერთაშორისო სტატუსის დადგენის უფლება;
- სახელმწიფოს მოსახლეობის უფლება, განსაზღვროს მთავრობის ფორმა და მონაწილეობა მიიღოს ამგვარი მთავრობის მუშაობაში;
- ეროვნულ უმცირესობათა უფლება იქონიონ სპეციალური უფლებები მათ შორის ეკონომიკური და კულტურული ავტონომიის უფლება;
- სახელმწიფოს კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უფლება;
- სახელმწიფოს უფლება ტერიტორიულ მთლიანობასთან და საკუთარი საზღვრების დაურღვევლობასთნ, ასევე საშინაო საქმეებში ჩაურევლობასთან დაკავშირებული [4].

ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებთან ერთად, თვითგამორკვევი უფლება რამდენიმე სახით შეიძლება იქნას გამოხატული, მაგალითად პოლიტიკური ან ეკონომიკური თვითგამორკვევა.

პოლიტიკური თვითგამორკვევა - გულისხმობს მმართველობის ფორმას, პოლიტიკური რეჟიმის, სახელისუფლებო ძალების არჩევის თავისუფალ შესაძლებლობას, რომლის მაგალითადაც შეგვიძლია განვიხილოთ კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სათავეში მოსული მთავრო-

ბები ატარებდნენ რეფერენდუმებს, სადაც ხალხის მიერ პოლიტიკური ნება ფიქსირდებოდა.

ეკონომიკური თვითგამორკვევა - აღიარებულია 1966 წლის აქტით, რაც გულისხმობს ხალხის საბინაო ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობას. ეკონომიკური თვითგამორკვევა გარკვეულწილად სახელმწიფოს მხრიდან რესურსების განკარგვაში ჩურევლობას გულისხმობს, მაშინ როდესაც რეგიონი მდიდარია ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს ტერიტორიის მიმართ ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას [6].

ერთა თვითგამორკვევასთან დაკავშირებით აუცილებელია დავახასიათოთ და განვასხვაოთ ერთმანეთისგან შიდა და გარე თვითგამორკვევის უფლება.

- შიდა თვითგამორკვევის უფლება-გულისხმობს სახელმწიფოს ფარგლებში „ხალხისთვის“ ფართო ავტონომიის მინიჭებას, რის ფარგლებშიც თავისუფლად და დამოუკიდებლად სარგებლობენ პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებით, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში და ა.შ.;
- გარე თვითგამორკვევის უფლება - გამოიხატება ტერიტორიის გაყოფით და ახალი სახელმწიფოს შექმნით, ხალხი ითხოვს გამოყოფას და ეს გამოყოფა კანონიერად ჩაითვლება თუ დაკმაყოფილებს გარკვეული ტიპის სტანდარტებს, ასე მაგალითად: - მომთხოვნ მხარეს უნდა გააჩნდეს განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც შესაძლებელია გამოიყოს ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისგან; - ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს გარკვეული რაოდენობის მოსახლეობა და მათი ძირითადი ნაწილი მხარს უნდა უჭერდეს გამოყოფის ინიციატივას; - მომთხოვნ ჯგუფზე უნდა ხორციელდებოდეს სისტემატური პოლიტიკური ან ეკონომიკური დისკრიმინაცია; - ჯგუფის მოთხოვნა ავტონომიის მინიჭებასა და უმცირესობათა უფლების დაცვა უარყოფილი უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს დავა „თვითგამორკვევის“ ცნებასა და „ტერიტორიული მთლიანობის“ თანაარსებობაზე. თვითგამორკვევის იდია, როგორც ცნება, უფლება ან/და საერთაშორისო სამართლის პრინციპი სულ უფრო და უფრო უპირისპირდება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, უფრო მეტიც რეალურადაც წინააღმდეგობაშია ტერიტორიულ მთლიანობასთან. ორივე პრინციპი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და სარგებლობს თანაბარი იურიდიული ძალით, ამავე დროს მათ ყავთ თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის მოსაზრებით თვითგამორკვევის ცნება არ ჯდება სამართლებრივ ჩარჩოებში და ამას ხსნიან იმ ფაქტით, რომ იგი იწვევს სერიოზულ ეთნიკურ კონფლიქტებსა და სეპარატიზმს. ექსპერტების უმეტესობის მოსაზრებით თვითგამორკვევის უფლებით უნდა სარგებლობდნენ გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა, სადავო საკითხს ექსპერტთა შორის წარმოადგენს: ეროვნული უმცირესობების“ თვითგამორკვევის საკითხიც. ორივე ცნების განსხვავებების საკითხის სუსტი განვითარება კოფლიქტის გაჩენას უწყობს ხელს.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი წინააღმდეგობაში მოდის და ეჭვქვეშ აყენებს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, რადგან თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით ხალხი უნდა იყოს თავისუფალი, აირჩიოს საკუთარი სახელმწიფო და მისი ტერიტორიული საზღვრები, მაგრამ აქ არის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, მსოფლიოში იმაზე მეტი თვითიდენტიფიცირებული ერია ვიდრე არსებული სახელმწიფოები, ასევე არ არსებობს ამ ხალხების შესაბამისად სახელმწიფო საზღვრების გადაჭრის სამართლებრივი პროცესი.

Vita Gudeleviciute მოსაზრებით, არათვითმმართველი ხალხებისა და უცხოური სამხედროების ოკუპაციის შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე უკეთესი თვითგამორკვევის პრინციპია. მისი აზრით თუ ადამიანებს სახელმწიფო მთავრობის მიერ არ ყავს წარმომადგენლობა ისინი შეიძლება ჩაითვალონ ცალკეულ ხალხად, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა არ შეუძლათ. ამასთანავე ნაშრომში იგი დასძენს, რომ სახელმწიფოს ფარგლებში ზოგადად სეცესია წარმოადგენს შიდა საკითხს [7].

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის თანამედროვე მიდგომის დაბადებად შეიძლება ჩაითვალოს 1648 წლის ვესტფალიის ზავი. სა-

ხელმწიფოს ტერიტორია სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სიმდიდრის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად ითვლება, ხოლო მისი დაცვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის იმპულსია. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ერთა ლიგის შეთანხმების მე-10 მუხლში გვხვდება. I მსოფლიო ომის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მითითება მოხდა არაერთ დეკლარაციასა და ხელშეკრულებაში.

მუხლი მე-10: „ლიგის წევრები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ და დაიცვან გარე აგრესიისგან ლიგის ყველა წევრის ტერიტორიული მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა“ [8].

ისტორიული თვალსაზრისით თუ შევხედავთ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, იგი შეიქმნა დიდი სახელმწიფოების მიერ მსოფლიო წესრიგში სტატუს კვოს შენარჩუნების აუცილებლობისთვის. აღნიშნული პრინციპი ეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას და არა სახელმწიფოსა და ხალხს შორის, ანუ ტერიტორიული მთლიანობის დაცვას საგარეო აგრესიისგან. იგი, ისევე როგორც ერთა თვითგამორკვევის პრინციპი გაეროს წესდებაში ხაზგასმითაა ჩამოყალიბებული (მუხლი 2, პუნქტი 4-ში). გაეროს 1960 წლის დეკლარაციაში ნათქვამია: „ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეროვნული ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივან მთლიანად დარღვევას შეუთავსებელია გაეროს წესდების მიზნებთან და პრინციპებთან.“ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ჩანაწერს ვხვდებით 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტშიც, რომელიც გულისხმობს, რომ საზღვრების შეცვლა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად უნდა მოხდეს და ეს აუცილებლად მშვიდობიანი გზითა და შეთანხმებით უნდა მიიღწეს [9].

შემდგომში, უკვე 1990-იან წლებში ევროკავშირისა და ნატოს წევრებიც ფართოვებენ შეთანხმებებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რათა ბოლო მოღებოდა წევრ ქვეყნებს შორის ტერიტორიულ მისწრაფებებს. თვითგამორკვევის პრობლემის აქტუალობა იკვეთება ბევრ ისეთ საერთაშორისო დოკუმენტში, როგორიცაა გაერთიანებული ერების ქარტია და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები. იმის მიუხედავად, რომ არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში ვხვდებით ერთა თვითგამორკვევის უფლებას, არცერთ დოკუმენტში არ არის განმარტებული მკაფიოდ თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ხალხი, რომელსაც სურს თვითგამორკვევის უფლების განხორციელება ან როგორ უნდა მოიქცეს ეს ხალხი.

ვფიქრობ, ზოგადად დეფინიციიდან იწყება ერთა თვითგამორკვევის პრობლემა და სწორედ ამიტომ ხდება ამ ორი საერთაშორისო პრინციპის ერთმანეთთან შეჯახება. ვემხრობი მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომლებიც მიიჩნევენ რომ აუცილებელია საერთაშორისო დოკუმენტებში მკაფიოდ იქნას ხაზგასმული თუ რომელ „ხალხს“ ენიჭება თვითგამორკვევის უფლება, ამავე დროს ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს „ხალხი“-სა და „ეთნიკური უმცირესობები“-ს ცნებები. ჩემი აზრით, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც დასახლებულია ეთნიკური უმცირესობებით, საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპი, როგორიც ერთა თვითგამორკვევაა წარმოადგენს „ნაღმს“, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებში აღწერილია თუ რა ტიპის დარღვევებს უნდა ჰქონდეს ადგილი სახელმწიფოს მხრიდან იმისთვის, რომ „ხალხმა“ მოითხოვოს ერთა თვითგამორკვევა მაინც ხდება თანამედროვე მსოფლიოში სეპარატისტების მხრიდან მისი გამოყენება. შეიძლება ითქვას სეპარატისტების მხრიდან საკუთარი ქმედებების გასამართლებლად ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობაა.

NATIA GOGALADZE

THE PRINCIPLE OF NATIONAL SELF-DETERMINATION AND TERRITORIAL INTEGRITY (DEFINITION AND INTERCONNECTION)

Summary

The article adresses and analyzes the principle of self-determination and territorial integrity, also describes the self-determination interrelation with such concepts as territorial integrity and separatism. Self-determination denotes the legal right of people to decide their own destiny in the international order. Self-determination is a core principle of international law, arising from customary

international law, but also recognized as a general principle of law, and enshrined in a number of international treaties. It features in Article 1 of the UN Charter as one of the purposes of the organization. despite a general description in international instruments, the right self-determination of has no exact definition.

The separatists in most cases argue the principles of international law, such as the right to self-determination of nations. In international documents there is an explanation that the "people" has right of self-determination, but it is not indicated which people have the right to use this principle, and therefore ethnic minorities use such uncertainties for themselves and demand that the right to be used in their favor. Such general approach and disinterested help of individual countries provide them with the possibility of interpretation. These principle are totally at variance with the modern international system, such as territorial integrity.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1998, გვ.322
2. United Nations, https://search.un.org/results.php?ie=utf8HYPERLINK
3. https://www.britannica.com/topic/self-determination
4. გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL4.3&d=HASH8e99600bfc68f621e01af8.1.13
5. მიდელაშვილი ს. ტერიტორიული მთლიანობისა და სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში. 2014, გვ.189
6. ქარჩავა ზ, ჩხეტიანი ლ, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე სამართალში, http://yata.ge/ge/?p=1574
7. Vita Gudeleviciute, ჭარბობს თუ არა თვითგამორკვევის პრინციპი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე? , ბალტიის სამართლის საერთაშორისო ჟურნალი , ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, ტომი 2, No2 (2005 წლის აპრილი).
8. https://www.icj-cij.org/docket/index.php?sum=323&code=sa&p1=3&p2=4&case=61&k=69&p3=5
9. http://www.hri.org/docs/Helsinki75.html#H4.4

ნათელა ხაჩიძე
წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა

გლობალური კორპორაციების ჩართულობა სირიის კრიზისში

სირიის კრიზისი - მიმდინარე კონფლიქტია, რომელიც 2011 წლიდან დაიწყო და რომლის დროსაც გაჟღერდა პოლიტიკური ლიბერალიზაციის მოთხოვნები და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. დროთა განმავლობაში ეს კონფლიქტი გადაიქცა დაპირისპირების ცენტრად, სხვადასხვა გლობალურ თუ რეგიონალურ მოთამაშეებს შორის: რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი, ირანი, ყატარი, ევროკავშირის ქვეყნები და სხვ.

მსოფლიო წესრიგის განვითარების ამჟამინდელი ნიშანი, რომელმაც უშუალო გავლენა მოახდინა სირიის კონფლიქტის მსვლელობაზე იყო - რეგიონის ქვეყნების პოლიტიკისა და მათი პოზიციების გამყარება, დამკვიდრება ამ რეგიონში. ეს სწრაფვა გამოვლინდა სირიის კონფლიქტში, როდესაც რეგიონის ქვეყნები ცდილობდნენ კრიზისის „მართვას“, რითაც ანტისამთავრობო ჯგუფებს ფინანსურად და ჰუმანიტარულად ეხმარებოდნენ. (მაგალითად: საუდის არაბეთი - „ჯეიშ ალ-ისლამს, ყატარი - „ფეილაკ არ-რახმანს, თურქეთი - „აჰრარ აშ - შამის“ და სხვ.) აქვე აღსანიშნავია, ირანი და მისი დახმარება არა მხოლოდ სირიის ხელისუფლებისთვის, არამედ არასამთავრობო დაჯგუფებისთვისაც, რომლებიც ეხმარებოდნენ დამასკოს შეიარაღებულ დაჯგუფებებს. რის შედეგად, კონფლიქტი უნდა განვიხილოთ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის, მიმდინარე პროცესების, ტრანსფორმაციისა და რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში, ხოლო თუ გლობალურ ასპექტს შევეხებით, შეიძლება ვთქვათ, რომ კრიზისის დასაწყისში (2011-2014) მსოფლიო საზოგადოების ურთიერთქმედება გარკვეულწილად „დუალისტურ“ ხასიათს ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ სირიის კრიზისის დარეგულირებაში თავისი წვლილი შეიტანა ტრადიციულმა მექანიზმებმა, რომლებიც შექმნილი იყო ჯერ კიდევ ომის შემდგომ პერიოდში. პირველ რიგში ვსაუბრობთ ისეთ მექანიზმებზე, როგორიცაა: გაეროს უსაფრთხოების საბჭო, გაეროს გენერალური ასამბლეა და ა.შ., თუმცა კონფლიქტის განვითარების პარალელურად გამოჩნდა უსაფრთხოების საბჭოს პოტენციალის შეზღუდვები. უპირველეს ყოვლისა - რეგიონის სახელმწიფოების მიერ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებისადმი მხარდაჭერის ნაკლებობა, რომელიც უშუალო გავლენას ახდენდა სირიის კრიზისის მსვლელობაზე, რამაც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების განხორციელება შეუძლებელი გახადა (თუნდაც ხუთი მუდმივი წევრის თანხმობა ყოფილიყო), რამაც განაპირობა ის, რომ 2015 წლიდან სირიის კრიზისის „სიმძიმის ცენტრმა“ თანდათანობით გადაინაცვლა იმ მექანიზმების ძიებისკენ, რომლებიც ასახავდნენ მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის ტენდენციას, რაც დაკავშირებულია რეგიონალური მოთამაშეების გაზრდილ როლთან.

საკვანძო სიტყვები: *სირიის კრიზისი, შეიარაღებული კონფლიქტი, უსაფრთხოება, გაეროს უსაფრთხოების საბჭო, კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმები.*

სირიის კრიზისი ან სირიის კონფლიქტი, რომელიც 2011 წლიდან დაიწყო და რომელიც დღემდე გრძელდება, მოიცავს შეიარაღებული კონფლიქტების ყველა ძირითადი მახასიათებელს: კრიზისი დაიწყო როგორც „ფერადი რევოლუცია“ (სასახლის გადატრიალების მცდელობა) და გადაიზარდა სამოქალაქო ომში.

კონფლიქტმა სწრაფად აჩვენა საერთაშორისო ჩართულობა, ანუ გლობალური და რეგიონალური მასშტაბის გეოპოლიტიკური აქტორების დაპირისპირების ორივე მხარეს ყოფნა (გაერო რეალურად გახდა კონფლიქტის მხარე); სირიის კრიზისის დროს სირიის არაბთა რესპუბლიკის ლეგიტიმური სახელმწიფო სტრუქტურების მოწინააღმდეგე ძალები მუდმივად მიმართავენ „ორმაგ სტანდარტებს“ და არღვევენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს; დასავლეთის ქვეყნები და

ყურის მონარქიები აწარმოებენ ექსკლუზიურად აგრესიულ, მტაცებლურ საინფორმაციო ომს პრეზიდენტ ასადის მომხრეების წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, სირიის კონფლიქტი არის ომი ახლო აღმოსავლეთის რესურსებისთვის (მტკნარი წყალი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, მილსადენის ტრანსპორტირებისთვის მოსახერხებელი ტერიტორია და სხვა კომუნიკაცია), რომელსაც ხელმძღვანელობს ორი ეკონომიკური ძალა, რომელიც ამოფარებულია შესაბამისი სახელმწიფოების უკან: ეს არის „ძველი“ გლობალური და ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მე-19-მე-20 საუკუნეებში და „ახალი“ კორპორაციები, რომლებიც წარმოიქმნა სოციალიზმის სისტემის დაშლის შემდეგ.

სირიის კონფლიქტი არის დაპირისპირება „ძველ“ და „ახალ“ გლობალურ/ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის. სირიის წიაღისეული შეიცავს მინერალურ რესურსებს, რომელთა ნაწილი ექსპორტზე გადის: ნავთობი, გაზი, ფოსფატები, ფოსფორიტები, ქრომი, ურანი, რკინა, მანგანუმი, ტყვია, გოგირდი, აზბესტი, სპილენძი, დოლომიტი, კირქვა, ტუფი, ბაზალტი, ქვის მარილი. საექსპორტო სამი პრიორიტეტია: ნავთობი, გაზი (ძირითადი საბადოები მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით), ფოსფორიტები (სირია ფოსფორიტების უდიდესი ექსპორტიორია, მთავარი საბადო არის ქალაქ ხნეიფისის ტერიტორია პალმირასთან ახლოს). ყველაზე დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები მდებარეობს ქალაქ ბანიასსა და ჰომსში.

სირიაში, დასავლური კომპანიები ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტებს ნავთობისა და გაზის სექტორში: Pecten, Marathon, American (ტეხასი, დაარსდა 1897 წელს), Devon Energy (აშშ, ოკლაჰომა). სირიამ 1974 წლიდან დაიწყო უცხოური კომპანიების მოზიდვა ნავთობის წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, მას შემდეგ, რაც 1970 წელს სამხედრო გადატრიალების გზით გენერალი ჰაფეზ ალ-ასადი მოვიდა ხელისუფლებაში. მანამდე სირიის მინერალური სიმდიდრის ძიებაში უცხოური კომპანიები, კერძოდ, ამერიკულ-კანადური კომპანია „კონკორდია“ (1959) მონაწილეობდა, მაგრამ არა ასეთი რაოდენობით და მასშტაბებით. 1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის Pecten-მა და Marathon-მა მნიშვნელოვანი განვითარება მიიღო.

სირიის რეგიონის დიდი ნაწილი დასავლურმა კომპანიების უმეტესობამ დატოვა 2005-2011 წლებში, ძირითადად ევროკავშირის მიერ თანმიმდევრულად შემოღებული სანქციების ათი პაკეტის გამო. სანქციები დაწესდა ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ გამოვლენილი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო სირიაში, ასევე აკრძალული იყო თანამშრომლობა სირიულ ნავთობკომპანიებთან Syria Trading Oil (Sytrol), General Petroleum Corporation (GPC) და Al Furat ნავთობკომპანია. დასავლური **კომპანიები 2005–2010 წლებში** ჩაანაცვლა **ხორვატულმა INA და რამდენიმე რუსულმა კომპანიამ:** Gazprom (Stroytransgaz, Gazpromneft), Soyuzneftegaz, Tatneft, Eastmedgroup, Pipe Metallurgical.

რუსული კომპანიების ნავთობისა და გაზის ძირითადი პროექტების „ადგილობრივ კომპანიებთან ერთად“ მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. პალმირა, სირიის მთავარი ნავთობისა და გაზის რეგიონი, მისი ეკონომიკის საფუძველია გაზის გადამამუშავებელი ქარხნის (GPP) მშენებლობა 2 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი ციკლით;
2. რაქა — გაზის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომლის წლიური სიმძლავრე 1 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტია და 40 ათას ტონაზე მეტი თხევადი ბუნებრივი აირი;
3. ნავთობის მოძიება და ბურღვა ქალაქ ლატაკიის რაიონში;
4. ჰომსი — გაზის წარმოება, საექსპორტო მილსადენის მშენებლობა (2011 წლის დასაწყისში აღმოაჩინეს ახალი გაზის საბადო 400 ათასი კუბური მეტრი დღეში, ბურღვა დაიწყო 2013 წელს), 2009 წელს გაზის მძლავრი გადამამუშავებელი ქარხანა (Stroytransgaz) აშენდა ჰომსიდან 50 კმ-ში;
5. პროექტის **„ოთხი ზღვის კონცეფციის“** განხორციელება (შემოთავაზებული ასადის მიერ 2011 წელს), **ე.ი. კასპიის (აზერბაიჯანი), არაბეთის ზღვის სპარსეთის ყურის (ირანი), შავი და ხმელთაშუა ზღვების (თურქეთი, სირია) საბადოების მილსადენის დაკავშირება;** ამ პროექტის მილსადენები, რომლებიც რუსულ კომპანიებს უნდა აეშენებინათ, სირიის გავლით უნდა გაევლო ალეპოს, ჰომსისა და დამასკოს გავლით;

6. 2014 წლის მაისიდან რუსული კომპანია Eastmedgroup ახორციელებს ხელშეკრულებას სირიის ტერიტორიულ წყლებში, ქალაქ ტარტუსის მახლობლად, ნავთობის მოპოვებისა და წარმოების შესახებ, საინვესტიციო მოცულობით დაახლოებით $90 მილიონი 2019 წლამდე (ტარტუსის დებულებაში არის ლოგისტიკური ცენტრი რუსეთის საზღვაო ძალებით).

2016 წლის აპრილის შუა რიცხვებში, სირიის პრეზიდენტი ასადი დაჰპირდა, რომ რუსეთის კომპანიებს მაქსიმალურ პრეფერენციებს მიანიჭებდა სამშენებლო და ნავთობისა და გაზის სექტორებში. ძნელი არ იქნება ზუსტად გავიხსენოთ, სად მიმდინარეობდა 2011-2016 წლების სირიის კონფლიქტის მთავარი ბრძოლები - სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიის ზემოაღნიშნული ადგილების აბსოლუტურ უმრავლესობაში.

საინტერესოა, რომ რუსული კომპანიების ძირითადი ნაწილის (2005-2006) სირიაში „შესვლის“ დრო და ასადის „ოთხი ზღვის კონცეფცია“ (2011) დაემთხვა შემდეგ მოვლენებს:

- 2006 წელს სირიაში დაიწყო ძლიერი გვალვა და გაგრძელდა 2011 წლამდე, ზოგიერთი წყარო მას აკვალიპიცირებს, როგორც „უპრეცედენტო“ და „სრულიად არადამახასიათებელი“ ამ რეგიონისთვის. ამ გვალვის შედეგად დაიღუპა მოსავლის 75% და პირუტყვის 85%, ხოლო დაახლოებით 800 000-მა ადამიანმა დაკარგა საარსებო წყარო. „შედეგად ფერმერებმა, მესაქონლეებმა და სოფლის მოსახლეობამ მიატოვეს სასოფლო-სამეურნეო მიწები და გადავიდნენ ქალაქებში. მოქალაქეების თითქმის 20% სამუშაოს გარეშე დარჩა. მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება იმ ფაქტორებს შორის იყო, რამაც გამოიწვია არეულობა და სამოქალაქო ომის დაწყება;
- 2011 წელს დეირ ეზ-ზორის პროვინციაში დაიწყო ოპოზიციის პირველი პროტესტი „პრეზიდენტ ასადის კრიმინალური რეჟიმის“ წინააღმდეგ ერთადერთი „პროგრამული ლოზუნგით“ - „ასადი უნდა წავიდეს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად იგივე ლოზუნგებით იყო წარმოდგენილი სახელმწიფოს მეთაურების გადაყენების საკითხი „არაბული გაზაფხულის“ ყველა „ფერადი რევოლუციის“ დროს, მათ შორის ეგვიპტეში, ლიბიაში, ერაყსა და სირიაში. ეგვიპტეში, ლიბიაში, ერაყში, სირიაში ნავთობი და გაზი იმყოფებოდა (სირიაში ჯერ კიდევ არის) სახელმწიფოს მეთაურებისა და მათი კლანების კონტროლის ქვეშ. ამრიგად, ასადის გადადგომა არის წიაღის გარდაუვალი შემდგომი დენაციონალიზაცია და ნავთობისა და გაზის სამ ძირითად კომპანიაზე - სირიის ეკონომიკის „სვეტებზე“ კონტროლის დამყარება - სხვა სირიული კლანების და პირველ რიგში, დასავლური კომპანიების მიერ კონტროლის დამყარება.

ბოლო წლებში სირიაში უკვე არსებულის გარდა ნავთობისა და გაზის დიდი მარაგები აღმოაჩინეს. რა თქმა უნდა, ასადის კლანი არის ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ფაქტობრივი მენეჯერი და, ამ მხრივ, გრძელვადიანი მთავარი ბარიერი იყო სირიაში ეკონომიკური უპირატესობების პოლიტიკური უფლებების გადანაწილებისთვის.

შეერთებულ შტატებს სურს შეინარჩუნოს და გააძლიეროს კონტროლი დიდ ახლო აღმოსავლეთზე, მაშინ როცა რუსეთს აქვს მიზანი ამ რეგიონში დაბრუნება და შემდგომში ძლიერად გაიმყაროს ფესვები.

სირიის კრიზისის ეს მახასიათებლები წინასწარ განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ სიმძიმეს, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო უსაფრთხოებას.

NATELA KHACHIDZE

INVOLVEMENT OF GLOBAL CORPORATIONS IN THE SYRIAN CRISIS

Summary

The Syrian crisis is an ongoing conflict that began in 2011, during which demands for political liberalization and improvement of the socio-economic condition of the population were voiced. Over time, this conflict has turned into a center of conflict between various global and regional players: Russia, the United States of America, Saudi Arabia, Iran, Qatar, EU countries and others.

The current sign of the development of the world order, which had a direct impact on the course of the Syrian conflict, was the strengthening of the policies of the countries of the region and their positions in the region. This drive was manifested in the Syrian conflict, when countries in the region tried to "manage" the crisis by providing financial and humanitarian aid to anti-government groups. (For example: Saudi Arabia - "Jaish al-Islam", Qatar - "Feilak Ar-Rahman, Turkey - "Ahrar al-Sham, etc.) It should be noted here that Iran and its assistance not only to the Syrian government, but also to non-governmental units that helped Damascus armed groups.

It should be noted that traditional mechanisms, which were created even after the war, contributed to the settlement of the Syrian crisis. First of all, we are talking about such mechanisms as: the UN Security Council, the UN General Assembly, etc., however, parallel to the development of the conflict, the limitations of the potential of the Security Council appeared. First of all, the lack of support for the decisions of the Security Council by the states of the region, which had a direct impact on the course of the Syrian crisis, which made it impossible to implement the resolutions adopted by the UN Security Council (even if the "five" permanent members agreed), which led to the fact that since 2015, the Syrian crisis The "center of gravity" gradually shifted towards the search for mechanisms that reflected the trend of transformation of the world order, which is related to the increased role of regional players.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დევისი ჯ., „არაბული გაზაფხული და არაბული სიცხე დაუმთავრებელი რევოლუციები და დამოკრატიის საკითხი“, ნიუ იორკი, 2013.
2. პოლაკი კ., „არაბების გამოვლინება, ამერიკა და ახლო აღმოსავლეთის ტრანსფორმაცია“, ვაშინ-გტონი, 2011.
3. Syrian Regime Will Deploy Chemical Weapons as Last Resort // The Telegraph. – 2012, 19 Septembe
4. Комментарий Департамента информации и печати МИД России в связи с появившимися в СМИ высказываниями Министра иностранных дел Польши Р. Сикорского относительно сирийского химоружия. 3 сентября 2013.
   http://www.mid.ru/foreign_policy/news//asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/98150

ანა გეთია
წარმოადგინა პროფ. ვალერი მოდებაძემ

ჭკვიანი ძალა საერთაშორისო ურთიერთობაში და ხელოვნური ინტელექტი, როგორც მისი ძირათადი რესურსი

21-ე საუკუნეში მსოფლიო განიცდის სწრაფ და სერიოზულ ტრანსფორმაციას, რაც აისახება ყველა სფეროზე და, მათ შორის, საერთაშორისო პილიტიკაზე, სადაც ზეგავლენის გუშინდელი ინსტრუმენტები დღეს უკვე მოძველებულია.

მოცემული სტატიის მიზანია პირველ რიგში საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის კონცეფციის და მისი ძირითადი ფორმების - ხისტი და რბილი ძალის დადებითი და უარყოფითი ასპექტების მიმოხილვა; ამის ფონზე ჭკვიანი ძალის პოტენციალის წარმოჩენა და ბოლოს, თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ინოვაცია - ტექნოლოგიის, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის, როგორც ჭკვიანი ძალის ძირითადი ინსტრუმენტის შეფასება.

საკვანძო სიტყვები: *რბილი, ხისტი და ჭკვიანი ძალა; ინოვაცია-ტექნოლოგია; ხელოვნური ინტელექტი.*

ძალა საერთაშორისო ურთიერთობაში

მართალია ძალა, ძალაუფლება, დღემდე ამოუხსნელი ფენომენია, თუმცა როგორც ჰობსი[4] [4. 75], ასევე ნიცშე[5] [1. 386] მას განიხილავს ადამიანის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად, რომელიც, ბუნებრივია, გამოვლინებას პოულობს მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში და განსაკუთრებით პოლიტიკაში, მათ შორის საერთაშორისო დონეზე; იმდენად რამდენადაც, როგორც საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ფუძემდებელი მორგენთჰაუ აღნიშნავს: „საერთაშორისო პოლიტიკა, ისევე როგორც ნებისმიერი პოლიტიკა ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის. რაც არ უნდა იყოს საბოლოო მიზანი საერთაშორისო პოლიტიკის, მისი უახლოესი მიზანი ყოველთვის არის ძალაუფლება“ [9. 18]. უფრო ზუსტად, „პოლიტიკა ცდილობს ან შეინარჩუნოს ძალა, ან გაზარდოს ძალა, ან გამოავლინოს ძალა“ [10. 344].

მართალია, საერთაშორისო ურთიერთობა ძირითადად გულისხმობს სახელმწიფოთა შორის ინტერაქციას, რომლის მიზანს წარმოადგენს ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და კეთილდღეობას, მაგრამ სახელმწიფოც თავისთავად არის „ძალაუფლების მოყვარული ადამიანის“ ერთგვარი კოლექტიური სიმბიოზი, რომელიც ისწრაფვის საერთაშორისო არენაზე მეტი ძალის დემონსტრირებისკენ, როგორც მთავარ ბერკეტზე საკუთარი ღირებულებების და წესრიგის დასამყარებლად. შესაბამისად, რაც მეტად მრავალფეროვანი და ძლიერია „ძალა“, მით მეტია სახელმწიფოს ზემოქმედების ამპლიტუდა საერთაშორისო არენაზე.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ძალა არის საერთაშორისო ურთიერთობაში უმთავრესი გასაღები. თუმცა, მიუხედავად ძალის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მისი დოგმატური დეფინიცია. მორგენთჰაუს განმარტებით „ძალა მოიცავს ყველაფერს რაც იწვევს და უზრუნველყოფს ერთი ადამიანის მეორეზე ბატონობას. ტერმინ ძალის ქვეშ მოიაზრება ყველა სოციალური ურთიერთობა, რომელიც ემსახურება ამ მიზანს ფიზიკური ძალიდან დაწყებული ფსიქიკური კავშირებით დამთავრებული, რომლის საშუალებითაც ერთ გონიერ ნებას შეუძლია სხვაზე ბატონობა“ [9. 18].

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი განმარტების მიხედვით, რომელიც მაქს ვებერმა წარმოადგინა „ძალა ნიშნავს ნებისმიერ შესაძლებლობას, სოციალურ ურთიერთობაში საკუთარი ნების აღსასრულებლად წინააღმდეგობის პირობებშიც, იმისდა მიუხედავად, თუ რას ეფუძნება ეს საშუალება“ [18. 263].

[4] „ასე რომ პირველ ადგილას დავაყენებდი მუდმივ და დაუღალავ სურვილს ახალი ძალაუფლებისადმი, როგორც მთელი კაცობრიობის ზოგად მამოძრავებელ ძალას, რომელიც წყდება მხოლოდ სიკვდილით“.

[5] „რაც ადამიანს, რაც ყოველ უმცირეს ნაწილს ცოცხალი ორგანიზმისა სურს, არის პლიუსი ძალისა“.

რბილი ძალის კონცეფციის ავტორის ჯ. ნაის განმარტებით კი „ძალა არის შესაძლებლობა სხვათა ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად, შენთვის სასურველის მისაღწევად“ [11. 2].

ნებისმიერ შემთხვევაში როგორიც არ უნდა იყოს დეფინიცია, „ძალა“ საერთაშორისო ურთიერთობაში გულისხმობს საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე ერთი სახელმწიფოს ზემოქმედებას მეორეზე, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. ძირითადად, ერთმანეთისგან განასხვავებენ „ხისტ“, და „რბილ“ ძალას. თუმცა, ბოლო პერიოდში აქტუალობა შეიძინა ე.წ. „ჭკვიანმა“ ძალამ, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული სტატიის განსაკუთრებული ინტერესის საგანსაც.

ხისტი და რბილი ძალა, მათი დადებითი და უარყოფითი ასპექტები

ხისტი და რბილი ძალა წარმოადგენს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ კონცეფციას, განსხვავებული იდეით, სტრატეგიითა და რესურსით. ხისტი ძალა ეს არის ტრადიციული ფორმა ძალისა, რომლის სტრატეგია ფოკუსირებულია სამხედრო ინტერვენციაზე, იძულებით დიპლომატიასა და ეკონომიკურ სანქციებზე [17. 2]. მის წყაროს წარმოადგენს დიდი ტერიტორია მდიდარი ბუნებრივი რესურსით, მძლავრი სამრეწველო ინდუსტრია და რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რაც ერთობლიობაში იძლევა ხისტი ძალის - იქნება ეს სამხედრო ინტერვეცია, თუ ეკონომიკური სანქციის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ხისტ ძალას არაერთი უარყოფითი ასპექტი გააჩნია, ის იყო, არის და დარჩება ყველაზე მნიშვნელოვან ძალის ფორმად საერთაშორისო ურთიერთობაში საკუთარი ეროვნული ინტერესების რეალიზირებისთვის, როგორც „ძალაუფლების ეგზისტენციალური მონეტა“ [5]. ვინაიდან ხისტი ძალის რესურსების არქონის და საჭიროების შემთხვევაში მისი გამოუყენებლობის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია სახელმწიფოს ჰქონდეს პრეტენზია იყოს ანგარიშგასაწევი საერთაშორისო არენაზე. თუმცა, მიუხედავად ხისტი ძალის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, მას აქვს არაერთი უარყოფითი ასპექტიც.

უპირველეს ყოვლისა, ხისტი ძალის გამოყენება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ადამიანური რესურსის დანაკარგთან, თუ უზარმაზარ ფინანსური რესურსის საჭიროებასთან, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს მის გამოყენებას. უფრო მეტიც, ხისტი ძალის – სამხედრო რესურსის, ეკონომიკური სანქციების გამოყენება არა თუ უფრო რთულია, არამედ ნაის თქმით, ის ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ შედეგს და ზემოქმედების შესაძლებლობას [2. 6]. მაგალითად, აშშ გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ვიეტნამი, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვა ამ უკანასკნელზე გამარჯვება; ასევე მიუხედავად იმისა, რომ იყო ზესახელმწიფო თავიდან ვერ აიცდინა 2001 წლის სექტემბრის ტერაქტი [11. 3].

გარდა ამისა, ძველი დროისგან განსხვავებით, თანამედროვე რეალობაში ძნელი წარმოსადგენია აშშ-მ სამხედრო ძალა გამოიყენოს კანადის, ევროპის წინააღმდეგ საკუთარი მიზნის მისაღწევად [11. 20].

ხისტი ძალა, ბუნებრივია გულისხმობს კონფრონტაციულ პოლიტიკას, რომლის გამოყენება ყოველდღიურ რეალობაში პრაქტიკულად შეუძლებელია. გარდა ამისა, მართალია ძალაუფლების წყურვილი არის ადამიანის ეგზისტენციალური მოთხოვნილება, მისი ყოფიერების არსი და ამ წყურვილის დასაკმაყოფილებლად ის „ნებისმიერ“ ხერხეს მიმართავს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ადამიანი ევოლუციური ბუნებისაა და დროის დინებასთან ერთად კაცობრიობა უფრო „ცივილიზებული“ ხდება, რაც ბადებს მასში მოთხოვნილებას გარკვეულწილად „გაემიჯნოს ძალადობას“ და ძალაუფლების სურვილი დაიკმაყოფილოს უფრო „ცივილიზებეული ძალის“ გამოყენებით. ასეთ ვითარებაში, ცხადია, თვალსაჩინო ხდება ახალ, უფრო „ცივილიზებული“, „ჰუმანური“ ძალის საჭიროება საერთაშორისო სათამაშო არენაზე, რომლის გამოყენება ყოველდღიურად იქნება შესაძლებელი. ასეთად კი გვეველინება სწორედ რბილი ძალა. რბილი ძალის კონცეფცია განვითარდა აშშ-ში 90-იან წლების დასაწყისში და უკავშირდება ამერიკელი მეცნიერის, ჰარვარდის უნივერსიტეტში კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანის, ჯ. ნაის სახელს, რომელიც მას განმარტავს როგორც შესაძლებლობას „სხვას მოანდომო ის, რაც თავად გსურს“ [11. 5].

ჯ. ნაის თქმით, მართალია ხისტი ძალა „შაქარლამის“ (აღზნების) და „მათრახის“ (დასჯის) საშუალებით აძლევს ქვეყანას შესაძლებლობას ზეგავლენა მოახდინოს სხვათა ქცევაზე

და მიიღოს სასურველი, თუმცა სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელია ასეთი პირდაპირი, თვალსაჩინო მუქარისა, თუ დაჯილდოვების გარეშე, ირიბი გზით, საკუთარი ღირებულების, ცხოვრების დონის მიმზიდველობით, რომელიც ნებაყოფლობით უჩენს სურვილს სხვას გადააფასოს საკუთარი უპირატესობები, რაც გაცილებით ადვილია, ვიდრე აიძულო ის [11. 5].

გამომდინარე იქიდან, რომ რბილი ძალა „გამორიცხავს იძულებას“, ბუნებრივია, მისი რესურსიც განსხვავებულია, რომელსაც ნაის თქმით წარმოადგენს: კულტურა (თუ ის მიმზიდველია სხვებისთვის), პოლიტიკური ღირებულებები, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები (თუ სახელმწიფო იცავს მას საშინაო და საგარეო პოლიტიკაში) და საგარეო პოლიტიკა (თუ იგი სხვა სახელმწიფოთა მხრიდან აღიქმება როგორც ლეგიტიმური და აქვს მორალური ავტორიტეტი) [13. 84].

რბილი ძალის რესურსები ცხადყოფს, რომ ხისტი ძალისგან განსხვავებით, მის სამიზნე ობიექტს წარმოადგენს არა სახელმწიფო, არამედ საზოგადოება, რომლის შეხედულებათა, ინტერესთა ფორმირება ხდება „საკუთარის ხატად და მსგავსად“. იდენტური ღირებულებების მქონე საზოგადოება კი შეიძლება უფრო „მყარი მოკავშირეც“ აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რბილი ძალა არის ერთგვარი პრევენცია ხისტი ძალის გამოყენებისა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად.

რბილ ძალას იყენებს თითქმის ყველა სახელმწიფო, ზოგი მეტად, ზოგი კი ნაკლებად წარმატებულად. ბუნებრივია, დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს რბილი ძალის გამოყენების მეტი რესურსი გააჩნიათ და შესაბამისად, ისინი არიან ამ ძალის ძირითადი „გამომყენებელნი“. თუმცა, განსხვავებით ხისტი ძალისგან, უნდა ითქვას, რომ რბილი ძალით სარგებლობის „ფუფუნება“ პატარა სახელმწიფოებსაც გააჩნიათ და ბევრი მათგანი აქტიურად იყენებს კიდევაც მას, რაც თითქოს ქმნის ძალთა ბალანსის ერთგვარ ილუზიას. ამასთანავე, ხისტ ძალასთან შედარებით რბილი ძალა, გარდა იმისა, რომ უფრო იაფი და მოქნილია, ერთი შეხედვით, უფრო „კეთილშობილურ“ ფორმადაც გამოიყურება და ხშირ შემთხვევაშიც, ხისტ ძალაზე მეტად ეფექტურადაც. თუმცა, ამ ერთი შეხედვით „ჰუმანურ“ ძალასაც აქვს თავისი კრიტიკული პუნქტები.

შეიძლება თითქოს რბილი ძალის საბოლოო მიზნად განისაზღვროს „მშვიდობის დამყარება იარაღის გარეშე“, აქტიორების მხრიდან პრობლემების არა შეიარაღების, არამედ თანამეგობრობის ფორუმების დონეზე გადაწყვეტის გზით, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს არ შეესაბამება რბილი ძალის კონცეფციას და მის შესაძლებლობას. თეორიული კონცეფცია ძირითადად საუბრობს ზოგადად შესაძლებლობაზე და არ იძლევა მისი გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს, არ გააჩნია კონტროლის მექანიზმები, და ასევე არ საუბრობს მის ზეგავლენაზე საერთაშორისო წესრიგზე [15. 15].

შესაბამისად, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ნამდვილად ფასეული, არამედ მავნე ღირებულებების იმპორტირებისთვის, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო წესრიგზე და ეჭვქვეშ აყენებს რბილი ძალის დადებით ეფექტებს.

როგორც თავად კონცეფციიდანაც იკვეთება, რბილი ძალა არის იდეოლოგიური ბრძოლა, რომლის სამიზნე არის ადამიანის ცნობიერება, მისი ღირებულებების ჩამოყალიბება, თუ გადაფასება, შესაბამისად აქ აშკარად იკვეთება ამ ძალის ეთიკურობის პრობლემა. გარდა ამისა, საკუთარი ღირებულებების პროპაგანდირებამ და იმპორტირებამ სამიზნე სუბიექტის ეროვნული ინტერესების, მისი რელიგიური, კულტურული ღირებულებების გათვალისწინების გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დისონანსი და მნიშვნელოვანი რეპუტაციული და შესაბამისად, პოლიტიკური ზიანი მიაყენოს გამავრცელებელს, რომ არაფერი ვთქვათ წარუმატებლობის შემთხვევაში დაკარგულ დროზე, ენერგიაზე და ფინანსებზე. არადა წარუმატებლობის ალბათობა გაცილებით მეტია, ვიდრე წარმატებისა, განსაკუთრებით მაშინ როცა სამიზნე საზოგადოება არის სრულიად განსხვავებული კულტურული, თუ რელიგიური ღირებულებების მატარებელი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რბილი ძალის, როგორც ღირებულებების პროპაგანდირებაზე ორიენტირებულის, უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ინფორმაციის გავრცელება, რაც თანამედროვე ეპოქაში ძირითადად ვირტუალურ სივრცეში ხორციელდება, სადაც მას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ერთის მხრივ დახურული სივრცე ზოგიერთი სამიზნე სუბიექტისა (მაგ. ჩინეთი, სამხრეთ კორეა..) და მეორე

მხრივ თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში ამოქმედებული დეზინფორმაციული მანქანა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სანდო და ღირებული იდეების გავრცელებას, რასაც ადასტურებს ბრექსიტთან დაკავშირებული სკანდალიც [შეად 15. 10-12], არადა, სანდოობა არის ნაისეული რბილი ძალის კონცეფციის უმთავრესი კომპონენტი.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ როგორც ხისტ, ისე რბილ ძალას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რაც დღის წესრიგში აყენებს ძალის კონცეფციის გადასინჯვის საკითხს და უფრო რაციონალურ, გონიერ, დაბალანსებულ ძალაზე ორიენტირების საჭიროებას, რომელიც გაითვალისწინებს როგორც ზემოაღნიშნულ დადებით და უარყოფით ასპექტებს, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური ეპოქის მოცემულობას. ასეთი პოტენციალი კი იკვეთება „ჭკვიანი ძალის“ კონცეფციაში.

ჭკვიანი ძალის კონცეფცია და ინოვაცია-ტექნოლოგია, როგორც მისი პოტენციალის რეალიზირების უნიკალური ბერკეტი

როგორც ზემოაღნიშნულდან ჩანს, ვერც ხისტი და ვერც რბილი ძალა ცალ-ცალკე ვერ და არ იქნება ეფექტური და უნიკალური ძალაუფლების ბერკეტი, თუმცა ორივე მათგანი მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთს ავსებენ - ერთი განაპირობებს მეორის ეფექტურობას და პირიქით. ასე მაგალითად, ხისტი ძალა - ძლიერი სამხედრო, თუ ეკონომიკური რესურსი იზიდავს და შთააგონებს სხვას, რაც უკვე ირიბად თავისთავად არის რბილი ძალის ბერკეტი. თავის მხრივ, რბილი ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ხისტი ძალის გამოყენების ლეგიტიმაციის საშუალებად. გარდა ამისა, სამხედრო ინტერვეციით, მართალია, ადვილია გამარჯვების მოპოვება, თუმცა გაცილებით რთულია ამ გამარჯვების შენარჩუნება და ამ უკანასკნელ საქმეში შეიძლება ითქვას, რომ უფრო ეფექტურია სწორედ რბილი ძალა. თუმცა, ეფექტური საერთაშორისო პოლიტიკის საწარმოებლად მნიშვნელოვანია ბალანისის დაცვა და თითოეული მათგანის გამოყენება საჭირო დროს და საჭირო ადგილას, ამისთვის კი აუცილებელია თითოეულის უარყოფითი და დადებითი ასპექტების ანალიზი და ეფექტურობის შეფასება კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. სწორედ ამას გულისხმობს ჭკვიანი, გონიერი ძალა. (smart Power)

პირველად ტერმინი „ჭკვიანი ძალა“ გააჟღერა ს. ნოსელმა 2004 წელს ჟურნალ „Foreign Affairs“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც მან შედარებით მოკრძალებულად, რეკომენდაცია გაუწია აშშ-ის ხელმძღვანელობას ყურადღება გაემახვილებინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვაზე და ლიბერალური ინტერნაციონალიზმის დოქტრინის განახლებაზე ახალი მოდელის – ჭკვიანი ძალის საფუძველზე, რომელიც „ემიჯნება“ ხისტ ძალას და აქცენტს აკეთებს ძირითადად დიპლომატიაზე [3]; [7. 12] მის განაცხადს უკვალოდ არ ჩაუვლია და ძალის ამ ახალ ფორმას კონცეფციის სახე მისცა რბილი ძალის კონცეფციის ავტორმა ჯოზეფ ნაიმ, რომელმაც პრაქტიკულად პირველმა წარმოადგინა ჭკვიანი ძალის კონკრეტული დეფინაცია, რომლის თანახმადაც ის „არ არის არც ხისტი და არც რბილი ძალა, ის არის ორივე“ [11. XIII]. უფრო ზუსტად, მისი თქმით „ჭკვიანი ძალა არის ხისტი და რბილი ძალის ეფექტურ სტრატეგიად გაერთიანების უნარი“ და ამაში ხედავს ის სახელმწიფოს ლიდერობის პოტენციალსაც და მისი თვალსაზრისით ამერიკის არჩევანიც უნდა იყოს სწორედ ეს კომბინაცია. [2. 7]; [12. 43]; [14] „ამერიკა უნდა გახდეს ჭკვიანი ძალა“ [2. 5] - სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჯოზეფ ნაის და ჯ. არმიტაჯის (კოლინ პაუელის მოადგილე სახელმწიფო დეპარტამენტში) ხელმძღვანელობით შექმნილი „ჭკვიანი ძალის კომისიაც“, რომლის ფარგლებში მათ მოამზადეს მოხსენება „უფრო ჭკვიანი, უფრო უსაფრთხო ამერიკა“, სადაც დეტალურადაა აღწერილი ჭკვიანი ძალა, მისი მნიშვნელობა, უპირატესობები და წარმოდგენილია ამ ძალის რესურსების და ელემენტების საკმაოდ ფართო სპექტრიც, დაწყებული სამხედრო ძალით, გაგრძელებული ალიანსებით, გლობალური განვითარებით, ეკონომიკური ინტეგრაციით, სახალხო დიპლომატიით, დამთავრებული ტექნოლოგიებით და ინოვაციებით [2. 1-69].

სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ჭკვიანი ძალის პოლიტიკის გატარების, ანუ ხისტი და რბილი ძალის კომბინირების მცდელობისა, არის ჩინეთი და ეს ჯ. ნაიმაც აღნიშნა „ჰარვარდის პოლიტიკურ მიმოხილვასთან“ ინტერვიუს დროს [14]; [16].

ჩინეთის მაგალითის გაზიარებას ურჩევს საკუთარ ქვეყანას ამერიკელი მეცნიერი ე. ვილსონიც, რომელმაც თავის ნაშრომში „ხისტი, რბილი და ჭკვიანი ძალა," განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჭკვიანი ძალის გამოყენების მნიშვნელობას [19. 110-111]. მისი აზრით, ვერც ხისტი და ვერც რბილი ძალა ცალ-ცალკე ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევს და ასეთ ვითარებში ჭკვიანი, გონიერი ძალა გულისხმობს სწორედ თითოეული მათგანის ელემენტების ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნას და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად უფრო ეფექტური ელემენტის გამოყენებას. ვილსონის თქმით, სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. სამიზნე საზოგადოება გახდა უფრო „ჭკვიანი/გონიერი", შეიცვალა ომის სამყაროც, გახდა რა უფრო მოქნილი და ციფრული, ამიტომაც ნებისმიერმა აქტორმა, რომელიც ისწრაფვის მსოფლიო არენაზე საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად, საკუთარი სტრატეგია უნდა დააფუძნოს სწორედ „ჭკუაზე/გონიერებაზე" (Smartness), [19. 110-116] და აქ მოიაზრება, თავისთავად ინოვაციები და ტექნოლოგია, მათ შორის ციფრული სივრცე და, ასევე ხელოვნური ინტელექტი - ჭკვიანი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, თუ სხვა სახის ტექნიკის სახით. ეს პასაჟი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ აქ ვილსონი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ციფრული ეპოქის განსხვავებულ მოცემულობაზე.

ზოგადად, ჭკვიანი ძალა, იმდენად რამდენადაც წარმოადგენს ხისტი და რბილი ძალის ჰიბრიდულ მოდელს, შესაბამისად, მისი წყაროც არის ამ ორი ძალის რესურსების - იქნება ეს სამხედრო, ეკონომიკური, დიპლომატიური, თუ იდეოლოგიური ელემენტების ერთობლიობა. უფრო ზუსტად, მათი გონივრული ნაზავი კონტექსტის გათვალსიწინებით. თუმცა, განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. თანამედროვე ციფრულმა ეპოქამ რბილი და ხისტი ძალის რესურსების ფართო სპექტრს შემატა კიდევ ერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ძალის რესურსი - ინოვაციები და ტექნოლოგია და ცხადია, აქ პირველ რიგში მოიაზრება ხელოვნური ინტელექტი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ არის ჭკვიანი ძალის უმთავრესი რესურსიც. უფრო მეტიც, ის თანამედროვე „ჭკვიანი ტექნოლოგიების" ეპოქაში წარმოადგენს როგორც რბილი, ისე ხისტი ძალის რესურსების ფუნდამეტს, ვინაიდან დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ინოვაციების და ტექნოლოგიის, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის გარეშე მძლავრი სამხედრო ინფრასტრუქტურის, თუ ეკონომიკური დოვლათის შექმნა და ისეთი გლობალური საკითხების გადაჭრა როგორიცაა გლობალური დათბობა, ეკოლოგია, თუ გლობალურ ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, რომ არაფერი ვთქვათ მის „იდეოლოგიურ" შესაძლებლობაზე. ვინაიდან ციფრული სივრცე და ხელოვნური ინტელექტი არის მონაცემების შეგროვება-დამუშავების გზით საკუთარი ღირებულებების გავრცელებს ძალიან ეფექტური და სწრაფი საშუალება. და ბოლოს, თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში ყველაზე მეტ მიზიდულობის ეფექტს ქმნის სწორედ ინოვაციები და მძლავრი ტექნოლოგიური მიღწევები. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო არენაზე ლიდერობა პირდაპირ დაკავშირებულია ძალის ამ რესურსთან.

სხვათა შორის, ჩინეთმა დროულად და კარგად შეაფასა ტექნოლოგიური ეპოქის დადებითი და უარყოფითი ასპექტებიც და მისთვის დამახასიათებლი „გონიერებით" გამოიყენა ის. გარდა იმისა, რომ ის სამხედრო და ეკონომიკური მიზნით უზარმაზარ ფიანანსურ რესურსებს დებს ინოვაცია-ტექნოლოგიაში განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტში, ასევე ამ უკანასკნელის მეშვეობით უფრო ეფექტურად ახორციელებს საკუთარი საზოგადოების ტოტალურ კონტროლსაც. გარდა ამისა, მან, ერთი მხრივ, ჩაკეტა საკუთარი ინტერნეტ-ვირტუალური სივრცე სხვების რბილი ძალისთვის, მეორე მხრივ, აქტიურად იყენებს დანარჩენი მსოფლიოს ღია ვირტუალურ პლატფორმას – ტვიტერს, იუთუბს, ფეისბუქს პროპაგანდისთვის [6], უფრო მეტიც, მან თავადაც შექმნა ღია პლატფორმა ტიკ-ტოკი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით აგროვებს თანამედროვე ეპოქის როგორც ხისტი, ასევე რბილი ძალის უმნიშვნელოვანეს რესურსს, ციფრულ ოქროს – პერსონალურ მონაცემებს, რაც უკვე გახდა დასავლეთის სერიოზული შეშფოთების საგანიც [8].

ბუნებრივია, ციფრული პლატფორმის და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პერსონალური მონაცემების შეგროვების და ტოტალური კონტროლის მიზნით არ და ვერ იქნება სამაგალითო და უნდა გახდეს დროული რეაგირების საგანი. თუმცა, ინოვაცია და ტექნოლოგია ცალსახად უმნიშვნელოვანესი რესურსია ძალისა და მის ჭკვიან ძალად ფორმირების-

თვის მნიშვნელოვანია სწორედ მის დადებით პოტენციალზე ორიენტირება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როგორც ზემოთაც არა ერთხელ აღინიშნა, ცალ-ცალკე ვერც ხისტი და ვერც რბილი ძალა ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ინტერესების გატარებას და, შესაბამისად, ლიდერობას საერთაშორისო არენაზე. აქედან გამომდინარე, ჭკვიანი ძალა უალტერნატივია, რომელსაც აქვს პოტენციალი სახელმწიფოს მისცეს შესაძლებლობა ეფექტურად გაატაროს საკუთარი ინტერესები, ისე რომ ეს არ დავიდეს კონფრონტაციულ და აგრესიულ პოლიტიკამდე. თუმცა, ამ პოტენციალის რეალიზირებისთვის აუცილებელია ხისტი და რბილი ძალის რესურსების სწორი კომბინაცია და, რაც ყველაზე რთულია, ბალანსის დაცვა. ამისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკოსებთან ერთად მეცნიერების და ექსპერტების მონაწილეობა, რომ ჭკვიანი ძალა გასცდეს უბრალოდ მშრალი კონცეფციის ფარგლებს და დადგინდეს საერთაშორისო წესრიგისა და ნორმების ფარგლებში მისი გამოყენების კონკრეტული გზები და მეთოდები.

აგრეთვე, როგორც ჭკვიანი ძალაა უალტერნატივო ბერკეტი ლიდერობისა საერთაშორისო არენაზე, ასევე უალტერნატივოა ინოვაციები და ტექნოლოგიები, როგორც ამ ძალის მთავარი რესურსი, ვინაიდან სხვა რესურსი ვერ იქნება ტექნოლოგიურ ეპოქაში უფრო ეფექტური წყარო ძალისა. უფრო ზუსტად, ტექნოლოგიურმა ეპოქამ სადაც განსაკუთრებით საჭიროა ხისტი და რბილი ძალის კომბინირება, ფაქტობრივად თავადვე წარმოშვა უნიკალური ძალის რესურსი - ტექნოლოგიების სახით, რომელიც უზარმაზარი შესაძლებლობის წყალობით თავის თავში გააერთიანა „შიში“ და „მიმზიდველობა“ - ხისტი და რბილი ძალა.

ANA GETIA

SMART POWER IN INTERNATIONAL RELATIONSHIPS AND ARTIFICIAL INTELLECT AS ITS MAIN SOURCE

Summary

In the 21st century, the world is undergoing a rapid and serious transformation, which is reflected in every sphere, including international politics, in which yesterday's tools of influence seem to be outdated.

The purpose of the presented paper, first and foremost, is to discuss power conception in international relationships and its main forms-positive and negative aspects of hard and soft power; to present Smart power on its background and eventually, assessment of technology-innovation in the modern digital era, especially artificial intellect as the main tool of smart power.

Keywords: *soft, hard, and smart power; innovation-technology; artificial intellect.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ницше, Ф., воля к власти, опыт переоценки всех ценностей, Пер. с нем. Е.Герцык и др. М.: Культурная Революция, 2005.
2. Armitage, R.L., Nye, J.S., CSIS Comission on Smart Power: a smarter, more secure America, 2007
3. Hertzberg, H., Smart Power, The New Yorker, Jun. 19. 2009, https://www.newyorker.com/magazine/2009/01/26/smart-power [ხელ. 12.06.2020]
4. Hobbs, Th., Leviathan (1951), Oxford Univetsity press, ely House. London, 1965
5. Joffe, J., "How America does it," Foreign Affairs, Vol. 76, Issue, 5, New York, Sep/Oct 1997
6. Kaufmann, L., Hess, D., Verschwörungstheorien und Pandas: So verbreitet sich chinesische Staatspropaganda auf den sozialen Netzwerken., Neue Züricher Zeitung, June, 15, 2020 https://www.nzz.ch/international/china-staatliche-propaganda-auf-twitter-youtube-und-facebook-ld.1560937?reduced=true [ხელ. 12.06.2020]
7. Lecoutre, S., The US Shift towards ‘Smart Power’ and its Impact on the Transatlantic Security Partnership , EU Diplomacy Papers, 2010

8. Macias. A., Trump administration wants to see 'untrusted' Chinese apps like TikTok and WeChat removed from U.S. app stores, Pompeo says., Aug. 5. 2020 https://www.cnbc.com/2020/08/05/pompeo-untrusted-chinese-apps-should-be-removed-from-us-stores.html [ხელ. 12.06.2020]
9. Morgenthau. H.J., Macht und Frieden : Grundlegung einer Theorie der internationalen Politik, Hrsg. Gütersloh, Bertelsmann, 1963.s. 69 in List,M., Berens, M., Reichardt, W.,Simonis, G., Internationale Politik. Probleme und Grundbegriffe, leske-burdich, Opladen, 1995
10. Morgenthau. H.J., Macht und Frieden : Grundlegung einer Theorie der internationalen Politik, Hrsg. Gütersloh, Bertelsmann, 1963. s. 81 in Rosenhalt, C., Zur Legitimation von Außenpolitik durch politische Theorie, Lit-Verl., Münster, 2001
11. Nye J.S., Soft Power the Means to Success in World Politics, Pub. Public Affairs, USA, 2004
12. Nye, J. S. The Powers to lead, Oxford University Press, New York 2008, 43;
13. Nye, J. S., The future of power. Public Affairs, New York, 2011
14. Nye, J.S., on Smart Power, Harvard Kennedy School Insight Interview, (Aut: Gavel. D) 03.07.2008 https://www.belfercenter.org/publication/joseph-nye-smart-power [ხელ. 12.06.2020]
15. Roggenkamp. K., Koncepte von Soft Power, GRIN Verlag, , Norderstad Germany, 2000
16. The Chinese Smart Power Strategy, Harvard political review. 31.01.2015 https://harvardpolitics.com/chinese-smart-power-strategy/ [ხელ. 12.06.2020]
17. Wagner, Ch., From Hard Power to Soft Power? Ideas, Interaction, Institutions, and Images in India's South Asia Policy, Heidelberg Papers in South Asian and Comparative Politics, Working Paper No. 26, South Asia Institute Department of Political Science University of Heidelberg, Germany. 2005,
18. Weber, M. Wirtschaft und Gesellschaft – Grundriss der verstehenden Soziologie Tübingen, 1922,s. 28 in Abels,H., Einführung in die Soziologie Springe Fachmedien, Wiesbaden 2004
19. Wilson, E.J., Hard Power, Soft Power, Smart Power, Annals of the American Academy of Political and Social Science, Publ by Sage Publication, 2008

გიორგი კაკულია
*წარმოადგინა პროფ. **კარლო კოპალიანმა***

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საერთაშორისო - სამართლებრივ-პოლიტიკური რეგულირების თავისებურებები

ნაშრომში განხილულია ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკური რეგულირების თავისებურებები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების კოორდინირებულ ურთიერთთანამშრომლობაზე. ასევე თანამედროვე მსოფლიოში ტრეფიკინგთან დაკავშირებით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ერთობლივი ღონისძიებების გატარებაზე.

ბოლოს სტატიაში ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე მოცემულია ავტორის ხედვა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი სრულყოფასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *მონობა, მონათვაჭრობა, მონობის მსგავსი მდგომარეობა, ადამიანებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი.*

მე-20-ე საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო თანამეგობრობების, ასევე ცალკეული ქვეყნების მიერ, სახელმწიფოების განვითარების ხელისშემშლელი და საზოგადოებისათვის უდიდესი საფრთხის შემცველი, ადამიანებით ვაჭრობის ფენომენის წინააღმდეგ გამოცემული და შემუშავებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური აქტი.

აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება ცივილიზებული სამყაროს ერთსულოვნება და მონდომება, შექმნას და დახვეწოს საჭირო ბერკეტები და სამართლებრივ-პოლიტიკური ინსტრუმენტები, რაც საშუალებას მისცემს მსოფლიოს დაძლიოს ისეთი მრავალსაუკუნოვანი პრობლემა, რასაც მონობა, ადამიანით (ადამიანებით) ვაჭრობა - ტრეფიკინგი წარმოადგენს.

ტრეფიკინგი სულ უფრო მეტად ძლიერდება და ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს. იგი ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია. უფრო მეტიც, მისი მასშტაბები მუდმივად ფართოვდება და შეუძლია არა მხოლოდ აითვისოს ახალი ბაზრები, არამედ თუ სახელმწიფო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებადი ქვეყანაა, შეარყიოს მისი ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება. სწორედ ზემოაღნიშნულით არის განპირობებული, რომ ტრეფიკინგმა, როგორც გლობალურმა საფრთხემ, მსოფლიოს ყველა ქვეყანას გააცნო თავი. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ საფრთხის შესწავლა უნდა დავიწყოთ მონობის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვით, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შექმნის საწყის ეტაპს. როდესაც საუბარია მონობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დოკუმენტებზე, პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ გასული საუკუნის დასაწყისში, 1904 და 1910 წელს მიღებულ ორ საერთაშორისო დოკუმენტზე, კერძოდ: „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ 1904 წლის 18 მაისის ხელშეკრულება და 1910 წლის კონვენციას „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ [1]; [2].

1904 წლის ხელშეკრულებაში საუბარი იყო ევროპის ქვეყნებში სექსუალური ექსპლუატაციისაგან მხოლოდ ქალთა და ისიც თეთრკანიანთა დაცულობაზე. მისი ინიციატორები იყვნენ ევროპის ქვეყნები, რადგან მსხვერპლთა წარმოშობისა და ექსპლუატაციის რეგიონად სწორედ ევროპა ითვლებოდა და ექსპლუატაციაც ძირითადად სექსუალური ფორმით გამოიხატებოდა. რაც შეეხება 1910 წლის კონვენციაც „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“, 1904 წლის შეთანხმების მსგავსად, ასევე ევროპის ქვეყნებსა და მათ კოლონიებს შეეხებოდა. აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული იყო ქვეყნების ვალდებულება, ქალის სექსუალური ექსპლუატაციისათვის დაესაჯათ მისი ჩამდენი პირი, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რა ხერ-

ხითა და საშუალებების გამოყენებით იქნებოდა აღნიშნული ქმედება ჩადენილი. ქვეყნები ასევე იღებდნენ ვალდებულებას კანონმდებლობაში შეეტანათ შესაბამისი ცვლილებები (მუხლი 3) [2].

მორიგი საერთაშორისო დოკუმენტით „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც 1921 წელს იქნა მიღებული ერთა ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ, კიდევ უფრო გაფართოვდა მასში მონაწილე ქვეყნების არეალი, რომელმაც მოიცვა თითქმის ევროპის ყველა ქვეყანა. არც ეს კონვენცია იცავდა სქესის და ასაკის მიუხედავად ყველა ადამიანს, არამედ იცავდა მხოლოდ უფროსი თაობის ქალებს და 22 წლამდე ორივე სქესის წარმომადგენლებს.

ვინაიდან ერთა ლიგა უდიდეს პრობლემას ხედავდა აფრიკელი მონებით დაუსრულებელ ვაჭრობაში, ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია მის მიერ 1926 წელს მიღებული საერთაშორისო კონვენცია „მონობის შესახებ“. კონვენციის თანახმად, ხელმომწერი ქვეყნები თანხმდებოდნენ ყველა სახის მონობის აღმოფხვრაზე. აღნიშნული კონვენცია იმ მხრივაც არის ძალზედ აქტუალური, რომ ის არის სწორედ პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც იძლევა მონობის განმარტებას, კერძოდ, „მონობა არის ადამიანის სტატუსი ან მდგომარეობა და მის ყველა ან რომელიმე უფლებას მასზე მესაკუთრის უფლების მქონე პირი განაგებს (მუხლი I) [3].

ამავე მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, მონებით ვაჭრობა განმარტებულია როგორც ყოველგვარი მოქმედება, დაკავშირებული ადამიანის შეძენასთან ან განკარგვასთან, ასევე ყოველგვარი მოქმედება: გადაყვანა, მოტყუება, გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა ითვლება მონებით ვაჭრობად. ამავე კონვენციის თანახმად, ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება „თანმიმდევრობით, დროის უმოკლეს ვადაში განახორციელონ მონობის აბსოლუტურად ყველა ფორმის გაუქმება“ (მუხლი „ბ“) [3].

კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტია 1933 წლის საერთაშორისო კონვენცია „სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ“, რომელმაც მოიცვა მდედრობითი სქესი სრულად. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა ქმედების დასჯადობის შეფასების დროს საზღვრის კვეთის ფაქტის მნიშვნელობაზე და მსხვერპლის თანხმობის არქონის მნიშვნელობაზე, უფრო მეტიც, დასჯად ქმედებად ტრეფიკინგის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და მცდელობაც აღიარა [4].

ასევე აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - გაერო) მიერ, 1956 წელს მიღებული დამატებითი კონვენცია მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ [5]. მასში ნათქვამია, რომ 1926 წლის კონვენციის მოთხოვნის მიუხედავად, მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული მონობა, მონათვაჭრობა, მონობის მსგავსი მდგომარეობა. აღნიშნული დოკუმენტი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში ჩამოთვლილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ელემენტები [6], მოგვიანებით მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში იქნა აღიარებული, რაც ასევე განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობაშიც.

კონვენცია საყურადღებოა, ასევე, იმ გარემოების გამოც, რომ მისი დანიშნულება იყო სავალო კაბალის, ნების საწინააღმდეგო ქორწინების და ბავშვთა შრომის გარკვეული ფორმების უკანონოდ გამოცხადება. კონვენციის პირველი მუხლის თანახმად [5], „ყველა წევრმა სახელმწიფომ, რომელიც მიერთებულია კონვენციას, უნდა გაატაროს პრაქტიკული და საჭირო სამართლებრივი ქმედებები, რათა თანმიმდევრულად და დროის უმოკლეს ვადაში გააუქმოს მონობა ან უარი თქვას მონობის მსგავს ინსტიტუტებზე დასაქმიანობაზე“.

როდესაც საუბარია მონობის განმარტებაზე, აუცილებლად უნდა დასახელდეს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის 1993 წლის წესდება, სადაც ჩამოთვლილია კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები, რომელთა შორის მითითებულია დამონება. მიუხედავად იმისა, რომ „დამონება“ ტრიბუნალის იურისდიქციაში შედის, დოკუმენტი არ ახდენს მის განმარტებას. „დამონების“ განმარტების დროს ტრიბუნალი ეყრდნობა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კოდექსით მოცემულ „დამონების“ განმარტებას [7. 29], რომელიც 1996 წელს საერთშორისო სამართლის კომისიამ მიიღო.

როგორც ზევით აღინიშნა, ტრეფიკინგი გლობალური პრობლემაა, ტრეფიკინგი ადამიანებით არალეგალური ვაჭრობაა, რომელიც გამოიხატება სექსუალურ ექსპლუატაციაში, იძულებით შრომაში და მათი ნების საწინააღმდეგო ქმედებებში. მას სხვანაირად XX საუკუნის მონობასაც უწოდებენ (მუხლი 2) [3].

2000 წელს გაერომ შეადგინა ტრეფიკინგის სპეციალური პროტოკოლი, რომელშიც ადამიანით ვაჭრობა განხილულია როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული [8]. ეს პროტოკოლი პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა „ტრეფიკინგის“ მნიშვნელობა.

ამრიგად, ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტურობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, 2000 წლის 15 ნოემბერს, პალერმოში მიღებულ კონვენციას „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და მის დამატებით ოქმს „ადამიანების, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ [9], რომელიც მიღებული იქნა 2000 წლის 12 დეკემბერს და რომელზე ხელის მოწერით საქართველომ თავის თავზე აიღო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან, არალეგალურ მიგრაციასთან და ადამიანის ტრეფიკინგთან ბრძოლის ვალდებულება.

მსოფლიო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს, რომ მიმდინარეობს ამ კატეგორიის კრიმინალური საქმიანობის ინტენსიური განვითარება, ტრანსფორმირება და სრულყოფა, იგი აღწევს საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს ამ ტენდენციის რეალიზაცია ადამიანებთან მიმართებაში მართლსაწინააღმდეგო გარიგებების განხორციელებით მათი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით [10. 216].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა მოსაზრება დომინირებს იმის შესახებ, თუ რა არის ტრეფიკინგი, „ადამიანების კონტრაბანდა“ თუ „ადამიანებით ვაჭრობა“ [11. 125].

მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მიდიან იმ საერთო მოსაზრებამდე, რომ ეს მოვლენა თავის თავში შემდეგ აუცილებელ ელემენტებს მოიცავს: ადამიანების შეკრებას, საზღვარზე გადაყვანას და მათ კრიმინალურ ექსპლუატაციას. მიგრანტების საზღვარზე გადაყვანასა და გადაყვანის მიზანს შორის კავშირი განასხვავებს სწორედ ერთმანეთისგან ადამიანების „კონტრაბანდას“ და არაკანონიერი მიგრაციის ცნებებს, რაც შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული კონტრაბანდა განვიხილოთ როგორც, „მონობის თანამედროვე ნაირსახეობა“ [12. 183].

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართებით, მნიშვნელოვანი დოკუმენტია „რომის სტატუსის“ სახელით ცნობილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება. რომლის თანახმად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება ისეთი დანაშაულობები, როგორიცაა: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სამხედრო დანაშაულები და აგრესიის დანაშაული [13].

მე-7 მუხლში კი მოცემულია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამონათვალი, მათ შორის არის „დამონება“ (მუხლი 7 (2)[c]), რაც განმარტებულია როგორც ადამიანის მიმართ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ან ყველა უფლების განხორციელება და „მოიცავს ასეთი უფლებამოსილების განხორციელებას ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის დროს“ [14]. ადამიანების უფლებების დაცვის მიმართებით, ასევე ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტია - მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში ევროპული კონვენცია). აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლის მიხედვით: „არავინ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში“ [15].

რაც შეეხება „თეთრი მონობის“ სახელით ცნობილ მონობის თანამედროვე ფორმას - ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ასეთ დროს ადამიანით მოვაჭრე ძირითადად მსხვერპლის მოსაპოვებლად მოტყუებას და იძულებას იყენებს, როგორც ადამიანის დამონება-დამორჩილების თანამედროვე საშუალებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პერიოდში ადამიანით მოვაჭრეთათვის თითქმის არ წარმოიშობა მსხვერპლის მოვლის ვალდებულება.

ძალზე საინტერესოა ამერიკელი მეცნიერის ბეილისის მოსაზრება, რომ თანამედროვე პირობებში მსხვერპლთა გამოყენება ხდება თითქმის მათი სიცოცხლის ბოლომდე და მსხვერპლის გარდაცვალება ადამიანით მოვაჭრისათვის დიდ დანაკარგს არ წარმოშობს, გარდაცვლილის სანაცვლოდ ახალი მსხვერპლის იოლად ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე [16. 37]. მან ტრეფიკინგის მსხვერპლებს უწოდა „ერთჯერადი ადამიანები“ (Disposabe People).

აღსანიშნავია, რომ მსხვერპლი შემოსავლის წყაროდ მისი ორგანოების გამოყენების შე-

დეგად გარდაცვალების შემდეგაც შეიძლება იქცეს. მონობის კლასიკური ფორმისგან განსხვავებით, როდესაც მონობა ძირითადად სხვა სახელმწიფოში გაყვანით და ექსპლუატაციით ხდებოდა, თანამედროვე, თეთრი მონობის პერიოდში ადამიანებით ვაჭრობა შიდასახელმწიფოებრივად, ერთი რეგიონიდან მეორეში გადაყვანა ხდება, სადაც შეიძლება სახელმწიფო კონტროლი შედარებით ძნელად ხორციელდებოდეს, ამ მხრივ კი კონფლიქტის ზონების გამოყენება განსაკუთრებით მიმზიდველია. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზმა ცხადჰყო, რომ მოცემული მომენტისთვის ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული შესაბამისი ცნება, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას სრულყოფილად მოგვეცვა ადამიანების ტრანსნაციონალურ ყიდვა-გაყიდვასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სისტემის ფუნქციონირების ყველა დეტალი და მაჩვენებელი. მთავარია, რომ ამ მოვლენის ობიექტური გამოვლინებები ძალზე მრავალფეროვანია და არ ექვემდებარება მარტივ სისტემატიზაციას, ისინი გაწელილია დროში და არ თავსდება ცალკეული სახელმწიფოს ან რეგიონის საზღვრებში. თუმცა, ამ ქმედებებს მოტივაციის ერთიანი საფუძველი გააჩნიათ და შეუძლიათ გაერთიანდნენ უნივერსალურ დეფინიციაში. ასეთ საფუძველს განეკუთვნება დანაშაულობის მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების სახელმწიფო საზღვრებზე გადაყვანასთან მათი (ან მათი ორგანოების) გაყიდვის, მსხვერპლთა ფიზიკური თუ ფიზიოლოგიური შესაძლებლობების არაკანონიერი ექსპლუატაციისა და მატერიალური მოგების მიღების მიზნით.

რაც შეეხება მიგრაციის ორგანიზაციის საერთაშორისო ექსპერტებს, მათ რამდენიმე საგულისხმო მოსაზრება აქვთ და მიაჩნიათ, რომ ადამიანით ვაჭრობას ადგილი აქვს „ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში ან სხვა სახელმწიფოში გადაყვანილი ადამიანის (საქმეზე დაქირავებულის, მოტაცებულის, გაყიდულის და ა.შ.) უკანონოდ გაჩერების შემთხვევაში, რომლის დროსაც ამ ქმედებების ჩამდენი პირები ყველა ეტაპზე ღებულობენ ეკონომიკურ ან სხვა შემოსავლებს მოტყუების, იძულების ან ადამიანის უფლებების შემლახავი ექსპლუატაციის სხვა ფორმების გამოყენებით“ [17. 4-5].

თავის მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის სრულყოფის სპეციალური კომიტეტის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც ადამიანთა არალეგალური გადაყვანის პროფილაქტიკის, მისი აღკვეთისა და შესაბამისი სასჯელის შესახებ ოქმში დამოუკიდებელი შეფასებები მისცა ცნებებს: „არაკანონიერი გადაადგილება“ და „ექსპლუატაცია“ და განმარტა, რომ ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან არაკანონიერი მიზნებით ან დანაშაულებრივი ორგანიზაციების ზრახვებით [18].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პირველ საერთაშორისო დეფინიციად ითვლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წ. 15 ნოემბერს მიღებული კონვენციისა (მუხლი 2) [19] (შემდგომში - „პალერმოს კონვენცია“) და 2000 წლის 12 დეკემბერს მიღებული მისი დამატებითი ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ (შემდგომში „პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი“) შესაბამისი მუხლებით ჩამოყალიბებული დეფინიცია (მუხლი 3 (ა)) [20].

ფაქტიურად, სწორედ ეს ორი დოკუმენტი გახდა სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შექმნის საფუძველი, რისთვისაც პალერმოს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ბევრი დებულება იქნა გამოყენებული [7. 41-42].

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, რომელიც კონვენციაშიარის მოცემული და გაზიარებული, ასევე ასახულია სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობებში.

მართალია, პალერმოს კონვენცია გამოკვეთილად არ მსჯელობს ადამიანით ვაჭრობაზე (ტრეფიკინგი), თუმცა ცხადია, რომ იგი განეკუთვნება ორგანიზებულ დანაშაულთა კატეგორიას. აქედან გამომდინარე, პალერმოს კონვენცია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია, სადაც განსაზღვრულია, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა. კონვენციაში განმარტებულია გარკვევით, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაული ტრანსნაციონალურ დანაშაულად, კერძოდ: 1. ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში; 2. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის

ძირითადი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში; 3. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ისეთი ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; 4. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში (მუხლი 2) [19].

ადამიანის უფლებების დაცვის მიმართებით ასევე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (შემდგომში „ევროპის საბჭოს კონვენცია“), რომელიც მიღებული იქნა 2005 წელს [21]. მასში მოცემული დეფინიცია თითქმის პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიერ მოცემული დეფინიციის იდენტურია.ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანს წარმოადგენს ადამიანის ექსპლუატაცია [7. 56].

ცალკე შესწავლას და განხილვას საჭიროებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მიერ უკანონო ქმედებათა ჩადენა და სასჯელისაგან მისი გათავისუფლების საკითხი. დაუშვებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დასჯა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ყალბი პასპორტის მოხმარებისათვის, ასევე კრიმინალურ გაერთიანებაში მისი მონაწილეობისათვის, თუ ეს ქმედებები ჩადენილი იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ანუ მოქმედებს მთავარი პრინციპი, რომ დაისაჯოს ბრალდებული და არა მსხვერპლი და ყოველივე ეს სახელმწიფოების მიერ ეროვნულ კანონმდებლობებში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ამრიგად, საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ფაქტიურად სახელმწიფოთა მიერ აღიარებული იქნა, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესში შესაძლოა დამნაშავეთა სამყაროსთან ერთად ჩართული იყვნენ პოლიტიკური თანამდებობის პირებიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, რომ სახელმწიფოებმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრობლემა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად განიხილონ და გლობალიზებული მსოფლიოს წინაშე მდგომი უდიდესი პრობლემის რეალურად აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან [22. 63].

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემატიკის სერიოზულმა ხასიათმა, მისმა თანდათანობითმა და შეუქცევადად მზარდმა განვრცობამ, განაპირობა სწორედ ის, რომ თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო და უფრო მეტ აქტიურობას იჩენს და ცდილობს ერთობლივი ძალისხმევის გამოყენებით დაამარცხოს კაცობრიობისთვის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა. თუმცა, ცალკეული, თუნდაც მაღალგანვითარებული სახელმწიფოების მისწრაფება და რესურსები არ არის საკმარისი ტრეფიკინგის პრობლემის წარმატებით დასაძლევად. ამიტომაც, აუცილებელი გახდა საერთაშორისო თუ რეგიონული მასშტაბის ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობა, რაც დღემდე უწყვეტად ხორციელდება. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოში ტრეფიკინგთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, ცალსახად მიუთითებს მის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ინტენსივირებისადა ახალი ერთობლივი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ზოგადი რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას მეტი გამჭვირვალობა და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება სჭირდება საზოგადოებრივ დონეზე, რადგან მის გარეშე ეფექტურობის მიღწევა შეუძლებელია, აღნიშნულს კი თავის მხრივ შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობა სჭირდება.

GIORGI KAKULIA

THE PROBLEM OF SLAVERY–TRAFFICKING IN GEORGIA

In the present paper, the problem of slavery-trafficking in Georgia, is discussed about the condition of slavery and human trafficking. There is stated that the phenomenon of trafficking is more-less characteristic of all social political groups, religions and cultures.

In the article, there is focused on the issues of active struggle against this problem, in particular: the establishment of relations based on the trust of the state and society, the study and generalization of international practice.

Keywords: *slave labor, trafficking, human trafficking, human rights.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეთრი ადამიანებით მონობასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება. 18.05.1904. http://www1.umn.edu/humanrights/instree/whiteslavetraffic1904.html
2. თეთრი ადამიანებით მონობასთან ბრძოლის კონვენცია, 4.05.1910. http://www1.umn.edu/humanrights/instree/whiteslavetraffic1910.html
3. საერთაშორისოკონვენცია მონობის შესახებ, 25.09.1926.
4. 1933 International Convention for the Suppression of the traffic in women of full age, www.oas.org/Juridico/MLA/en/traites/en_traites-inter-women_1933.pdf (24.10.2010).
5. მონობის, მონური შრომისა და მონობის მსგავსი მდგომარეობის გაუქმების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენცია. http://www.ohchr.org/english/law/slavery.html (ნანახია:25.11.2021).
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის შენიშვნა.
7. მესხი მ., „ადამიანით ვაჭრობა(ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები და მასთან ბრძოლის მეთოდები“, თბ., 2016.
8. Convenction on Transnational Organized Crime, 15 November 2000, by resolution 55/25 https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html (ნანახია:05.11.21.)
9. Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime.
10. ავტორთა კოლექტივი: გ. ლობჟანიძე, მ. კვაჭაძე და სხვები, კრიმინოლოგია, თბ., 2008.
11. Gallagher, A.T., „The International Law of Human Trafficking“, Cambridge University Press, 2010.
12. ლობჟანიძე გ., „ტრეფიკინგის კრიმინოლოგიური ასპექტები, ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში“, ავტორთა კრებული,თბ., 2005.
13. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მე-5 (1) [a-d]) მუხლი. http://www.icc-cpr.int/library/about/officialjournal/Rome_Statute_English.pdf
14. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მე-7 (1) (c) მუხლი. http://www.icc-cpr.int/library/about/officialjournal/Rome_Statute_English.pdf
15. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-4 (1) მუხლი. http://www.conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=005&CM=8&DF= 24/05/2014 &CL=ENG
16. Bales K., „Disposable People: New Slavery in the Global Economy“, 1999.
17. Treffiking of Migrants IOM Policy and Responses, 1999.
18. Draft protocol to suppress and punish trafficking in persons espessially women and children supp.Vienna October 1999.
19. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. მე-2 მუხლი. http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf
20. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ დამატებითი ოქმი, მე-3 (ა) მუხლი. http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf
21. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ(ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სერია. (CETS N 197) www.coe.int/trafficking.
22. Todres J., „Widening our lens: Incorporating Essential Perspectives in the Fight Against Human Trafficking“, Michigan Journal of International Law, Vol.53, 2011-2012.

ლევან ბერია
*წარმოადგინა პროფ. **ავთანდილ სონღულაშვილმა***

რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ცენტრალურ აზიაში

დაინტერესება ცენტრალური აზიის ქვეყნებისადმი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაძლიერდა. რეგიონის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეტაპობრივად გადავიდნენ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. ცენტრალური აზია განთქმულია თავისი ბუნებრივი რესურსებით, რაც ძალზედ მიმზიდველია მეზობელი ძლიერი სახელმწიფოებისათვის. აღნიშნულ რეგიონში ინტერესები გააჩნიათ რუსეთს, თურქეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს, ირანს და ჩინეთს, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტ ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოებთან დაამყარონ კონტაქტები. აქედან გამომდინარე, გაზრდილია ზემოხსენებული რეგიონის ქვეყნების ინტერესები სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენეს თურქეთი, რომელიც აპელირებს საერთო ისტორიას, ენასა და კულტურაზე, აგრეთვე რუსეთი, რომელსაც რეგიონი საკუთარი გავლენის სფეროდ მიაჩნია. მიუხედავად რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებისა, რომლებსაც ისინი სტრატეგიულს უწოდებენ, რუსეთი მტკივნეულად აღიქვამს თურქეთის აქტიურობას რეგიონში. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ რუსეთი რეგიონს თავის გავლენის სფეროდ აღიქვამს, არამედ აქ გარკვეულ როლს თამაშობს ამ სახელმწიფოთა დაპირისპირებების ისტორია. რუსეთისა და თურქეთის გარდა, ცენტრალურ აზიაში საკმაოდ გამოკვეთილია მესამე დიდი მოთამაშის, ჩინეთის მზარდი ინტერესები და ეკონომიკური გააქტიურება, რაც პრობლემატურია, როგორც რუსეთისათვის, ისე თურქეთისათვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა იოლად დათმონ რეგიონის „მმართველის“ პოზიციები სხვის სასარგებლოდ. მათ ისე უნდა წარმართონ პოლიტიკა, რომ მინიმუმ მიღწეულ იქნას რეგიონში ძალაუფლების გადანაწილება სხვა სახელმწიფოს ჰეგემონიის საწინააღმდეგოდ.

ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ ცენტრალური აზიის რეგიონთან ურთიერთობაში თურქეთის მიერ მთავარი აქცენტები კეთდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა: კულტურა, განათლება და ეკონომიკა. რუსეთი კი გავლენის გასაზრდელად ბერკეტად იყენებს სამხედრო კომპონენტს. მაგალითისათვის გამოდგება ყაზახეთში, 2022 წ. იანვრის მოვლენებისას, „კუხო“-ს ორგანიზაციის „სამშვიდობო“ კონტინგენტის განთავსება, რომლის დიდი ნაწილი დაკომპლექტებული იყო რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეებით. აგრეთვე იგი წარმოდგენილია სამხედრო კონტინგენტით ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. გამომდინარე აქედან რუსეთი ყოველთვის შეეცდება გამოიყენოს კრიზისები და სოციალური ბზარები, რათა მიიღოს გეოპოლიტიკური სარგებელი რეგიონში.

ამგვარად, რუსეთი და თურქეთი ცენტრალურ აზიაში უფრო მეტად კონკურენტებად რჩებიან, ვიდრე პარტნიორებად, თუმცა რეგიონში სტაბილურობა ორივეს ინტერესებშია.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ურთიერთობები, რეგიონული პოლიტიკა, თურქეთი, რუსეთი, ცენტრალური აზია, საბაზო ეკონომიკა.*

თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ცენტრალური აზია მრავალი სახელმწიფოს ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მაღალი დაინტერესება რეგიონის ქვეყნებისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც ცენტრალური აზიის რესპუბლიკები ეტაპობრივად გადავიდნენ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. რეგიონი განთქმულია თავისი ბუნებრივი რესურსებით, რაც ძალზედ მიმზიდველია მეზობელი ძლიერი სახელმწიფოებისათვის. აქ ინტერესები გააჩნიათ რუსეთს, თურქეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს, ირანს, ჩინეთს და რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაც მიმართულია იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტ ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოებთან დაამყარონ კონტაქ-

ტები. აქედან გამომდინარე, გაზრდილია რეგიონის ქვეყნების ინტერესებიც სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ. ისტორიულად, ცენტრალური აზიისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ თურქეთი, რომელიც აპელირებს საერთო ისტორიაზე, ენასა და კულტურაზე და რუსეთი, რომელსაც რეგიონი საკუთარი გავლენის სფეროდ მიაჩნია. მიუხედავად რუსეთ-თურქეთის „თბილი“ ურთიერთობებისა, რომლებსაც ისინი სტრატეგიულს უწოდებენ, რუსეთი მტკივნეულად აღიქვამს თურქეთის აქტიურობას რეგიონში. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ რუსეთი რეგიონს თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს, არამედ აქ გარკვეულ როლს თამაშობს ამ სახელმწიფოთა დაპირისპირების ისტორია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა პირველმა აღიარა ცენტრალური აზიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. რეგიონის სახელმწიფოები, გარდა ტაჯიკეთისა, თურქულენოვანია და, რა თქმა უნდა, თურქეთს ჰქონდა ამბიცია დაემყარებინა მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ამ ქვეყნებთან, რაც მისცემდა მას დომინირების საშუალებას რეგიონში. გარდა ამისა, თურქეთში კარგად ხედავდნენ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში დასუსტებული და კრიზისში მყოფი რუსეთი ნაკლებად კონკურენტუნარიანი იყო. „თურქეთს მშვენივრად ესმოდა, რა ხდებოდა რუსეთში, უფრო მეტიც - იგი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს სახელმწიფოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში, აშკარად იმედოვნებდა, რომ მიიღებდა თავის წილ „ავადმყოფი ადამიანის“ მემკვიდრეობას და თურქეთის რესპუბლიკამ მოქმედება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგრძნო - საბჭოთა კავშირის ისტორიული დრო წავიდა, მოდის ახალი საუკუნე, რომელშიც თურქებს აქვთ შანსი გააფართოონ თავიანთი გავლენის სფერო და მიაღწიონ გაზისა და ნავთობის საბადოებთან - იმ წყაროსთან, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“ [1].

თუმცა თურქეთი შეხვდა წინააღმდეგობებს დამოუკიდებელი სახელმწიფოებისაგან, რომელთაც ვერ წარმოედგინათ, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში მოხვედრილიყვნენ რომელიმე ქვეყნის ზეგავლენის ქვეშ. „თურქეთმა არ გაითვალისწინა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ცენტრალურ აზიაში დომინანტი პოზიციის დაკავების მცდელობისას იგი შეეჯახა „სუვერენიტეტების აღლუმს“, რა დროსაც რეგიონის სახელმწიფოების მმართველი ელიტა უარყოფდა ახალი იდეოლოგიური დომინაციის ნებისმიერ მცდელობას. შედეგად თურგუთ ოზალისა და სულეიმან დემირელის მმართველობის დროს რეგიონში დაწყებული სწრაფი სტარტი დასრულდა თურქეთის პოზიციების გამყარებით მხოლოდ ეკონომიკურ სფეროში“ [2]. „თურქეთი შეეცადა „თურქული სამყაროს“ მოდელის გაშლას, ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩართულობით. ამასთან, ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ სასარგებლო წიაღისეულის დიდ მარაგს, შეეჯახნენ ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირების პრობლემას. ენერგორესურსების ტრანსპორტირების მარშრუტები დამოკიდებულნი გახდნენ მეტწილად არა ტექნიკურ შესაძლებლობებზე, არამედ სატრანზიტო ქვეყნების მთელი ჯგუფისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე. სხვა ქვეყნებთან ერთად თურქეთი, საკუთარი სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენებით, ცდილობს მიიღოს არა მხოლოდ ტრანსპორტირების გადასახადი, არამედ სულ უფრო ფართოდ აკავშირებს ამას თავის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესებთან“ [3].

გარდა ამისა თურქეთი ცდილობს „რბილი ძალის“ გამოყენებით გაზარდოს გავლენა რეგიონში. ჯერ კიდევ 1992 წ. ჩამოყალიბდა თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სამთავრობო სააგენტო, რომლის მიზანია სიღარიბის დაძლევა და მდგრადი განვითარების მიღწევა თურქეთის დახმარების მიმღებ ქვეყნებში. სააგენტო ოპერირებს დაახლოებით 30 სახელმწიფოში, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებში, სადაც გახსნილია თურქული სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, მიმდინარეობს გაცვლითი პროგრამები. მიუხედავად ამისა რეგიონის სახელმწიფოებთან თურქეთის ურთიერთობები სხვადასხვაგვარია. „თურქეთის გავლენა რეგიონში არათანაბარია. ყველაზე უფრო კარგად ანკარას ურთიერთობები განვითარებული აქვს ყაზახეთთან, რეგიონის ეკონომიკურ ლიდერთან, რომლისთვისაც თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. უზბეკეთსა და ტაჯიკეთში ეს შესამჩნევად სუსტია. უზბეკეთის პოლიტიკური ელიტა ძალზე ფრთხილად ეკიდება ნებისმიერ ინიციატივასა და პროექტებს, რომლებიც მომდინარეობს ანკარადან, თავის გარშემო თურქი ხალხების ინტეგრაციის მიზ-

ნით, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს უზბეკეთის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს სეკულარულობის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით. ტაჯიკები კი არ მიეკუთვნიან თურქულენოვან ხალხებს, რაც თურქულ მხარეს ართმევს შესაძლებლობას ტაჯიკეთთან ურთიერთობებში აპელირებდეს საერთო კულტურით, ენითა და ისტორიით“ [4].

მეორე მხარეს კი არის რუსეთი, რომელიც ცენტრალურ აზიას თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს და სულაც არ აპირებს რეგიონში სხვა მოთამაშეების გავლენების გაძლიერებასთან შეგუებას. ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ცენტრალური აზია რუსეთისათვის მნიშვნელოვანი რეგიონია. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში შიდაპოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე რუსეთი უფრო მეტად ორიენტირებული იყო შიდა პრობლემებზე. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან კი იცვლება რუსეთის მიდგომები რეგიონის მიმართ და ის მეტ ინტერესს იჩენს ცენტრალური აზიისადმი. 2003 წ. ანატოლი ჩუბაისის მიერ გაჟღერებულ იქნა „ლიბერალური იმპერიის“ კონცეფცია - „ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ რუსეთს არ ააქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ გააფართოოს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში. თუმცა რუსეთი არ უნდა იყოს ტირანი ან ჰეგემონი, არამედ პირიქით, პროგრესის წყარო და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი“ [5. 5].

ამ დროიდან იწყება რუსეთისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობის ახალი ერა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური აზიის საექსპერტო და პოლიტიკურ წრეებში საუბრობდნენ, რომ რუსეთს არ აქვს სტრატეგია რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში. მას შემდეგ, რაც 2007 წ. ევროკავშირმა ცენტრალური აზიის მიმართებაში მიიღო სტრატეგია, ამ თეზისმა შეიძინა დამატებითი ელფერი: დაიწყეს საუბარი - „ევროკავშირსაც კი აქვს სტრატეგია ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში, და რუსეთი...“. ამ ფრაზას სხვადასხვაგვარად აგრძელებდნენ, მაგრამ აზრი არ იცვლებოდა, რუსეთს არ აქვს გრძელვადიანი პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმა რეგიონისათვის.“ [5. 16].

მიუხედავად ასეთი პესიმიზმისა 2009 წ. შეიქმნა „საბაჟო კავშირი“, სადაც წევრიანდება ყაზახეთი, ხოლო 2015 წ. შეიქმნა „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“ და კავშირის წევრი სახელმწიფოები ხდებიან ყაზახეთი და ყირგიზეთი, ხოლო 2020 წლიდან უზბეკეთმა მიიღო კავშირში დამკვირვებლის სტატუსი. ამ პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში იზრდება კონკურენცია რუსეთსა და თურქეთს შორის, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მათ შორის დაიძაბა ურთიერთობა თვითმფრინავის ინცინდენტთან დაკავშირებთ და რუსეთმა სანქციები დაუწესა თურქეთს. „2016 წლის 21-22 იანვარს ანკარაში ჩატარებული ბიზნეს ფორუმის „ყირგიზეთი“ შედეგად, ყირგიზეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თურქული მოდელის მიხედვით ორი ინდუსტრიული ზონის მშენებლობის შესახებ, რომელთა განლაგება დაგეგმილია ქალაქების ტოკმაკისა და ყარა-ბალთას მახლობლად. ამჟამად, ყირგიზეთში, თურქული მხარე უკვე ახორციელებს მრავალ პროექტს მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოების შესაქმნელად (ტექსტილის ქარხნის მშენებლობა ქალაქ ყარა-ბალთაში, ხორცის კომბინატისა და რძის პროდუქტების ქარხანა ჩუის ოლქის ისიკ-კანტის რაიონის სოფელ კრასნაია რეჩკაში). ამ ინდუსტრიული ზონებისა და საწარმოების პროდუქციის ექსპორტირება თავისუფლად იქნება შესაძლებელი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებში, რაც თურქეთს მისცემს საშუალებას მშვიდად აუაროს გვერდი რუსეთის სანქციებს“ [4].

ბოლო პერიოდში თურქეთი ცდილობს გაზარდოს თავისი გავლენები ცენტრალურ აზიაში. 2019 წ. ერდოღანმა გააჟღერა, რომ მისი სურვილია იხილოს ერთი ნაცია ექვს სახელმწიფოში. ეს ქვეყნებია: თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზრთი, უზბეკეთი, რომლებიც შედიან 2009 წ. დაარსებულ თურქულ საბჭოში და თურქმენეთი, რომელიც საბჭოს წევრი ჯერ არ არის. 2020 წ. მარტში, ახალი კორონავირუსის გამო დაწესებული რეგულიაციებიდან გამომდინარე, ონლაინ რეჟიმში გამართულ სამიტზე, შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს თურქული საბჭოს „თურქულ სახელმწიფოთა კავშირად“ რეფორმირებას. სამიტზე აღინიშნა, რომ სახელმწიფოებმა გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს ეკონომიკურ თანამშრომლობაში. ექსპერტები თვლიან, რომ „თურქული საბჭოსგან სრულფასოვანი ორგანიზაციის შექმნის წინადადება ნამდვილად სერიოზული განაცხადია. მაგრამ სანამ იქ თურქმენეთი არ არის, ეს იდეა მოიკოჭლებს“ [6].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მუსირებს აზრი საბჭოში შემავალი ქვეყნების ერთიანი „თუ-

რანის არმიის“ შექმნის შესახებ, თუმცა ამ იდეის განხორციელებას ხელს უშლის ყაზახეთისა და ყირგიზეთის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (კუხო) წევრობა. 2021 წ. ივნისის ბოლოს თურქეთის თავდაცვის მინისტრი ჰულუსი აქარი იმყოფებოდა ვიზიტით ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში, სადაც განხილულ იქნა ურთიერთობების გაღრმავება სამხედრო - ტექნიკური, სამხედრო მრეწველობისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში. „რუსეთისათვის ყველაზე საგანგაშო ვარიანტი შეიძლება იყოს თურქული კონტინგენტის განლაგება ცენტრალური აზიის ქვეყნებში“ [7], მაგრამ ჯერჯერობით ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან როგორც ყირგიზეთში, ისე ტაჯიკეთში საკმაოდაა წარმოდგენილი რუსული სამხედრო ძალა. თალიბების წარმატებების ფონზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ტაჯიკეთის პრეზიდენტ ემომალი რაჰმონთან სატელეფონო საუბრისას „დაადასტურა მზადყოფნა ტაჯიკეთს გაუწიოს საჭირო მხარდაჭერა - როგორც ორმხრივ, ისე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში“ [8].

2021 წ. ნოემბერში ქ. სტამბულში ჩატარდა თურქულ საბჭოში შემავალი სახელმწიფოების ლიდერების სამიტი, სადაც მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად თურქულ საბჭოს გადაერქვა სახელი და ეწოდა თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია. „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს საბჭოს გადავარქვათ სახელი. ამიერიდან ის ატარებს თურქული სახელმწიფოთა ორგანიზაციის სახელს. ახალი სახელწოდებისა და სტრუქტურის წყალობით, თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია უფრო აქტიურად განვითარდება, გამყარდება და გაძლიერდება", - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა შემაჯამებელ განცხადებაში [9]. „თურქული ქვეყნები ათასწლეულობით რჩებოდნენ კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრად. დარწმუნებული ვარ, ასე გაგრძელდება. მზე ისევ „ამოვა“ აღმოსავლეთიდან. თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციამ არავინ არ უნდა შეაწუხოს. პირიქით, უნდა ეცადო გახდე ისტორიულ საზოგადოებაზე დაფუძნებული აღმავალი სტრუქტურის ნაწილი. ეს - პლატფორმაა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარებისთვის“, - განაცხადა თურქეთის ლიდერმა [10]. სამიტზე მიღებულ იქნა კონცეფცია „თურქული სამყაროს ხედვა 2040“, რომელიც აყალიბებს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ჩარჩოს 2040 წლამდე. „საბჭოს საპატიო თავმჯდომარის, ნურსულთან ნაზარბაევის მიერ ინიცირებული „თურქული სამყაროს ხედვა 2040“ მიღებულია, როგორც სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც წარმართავს სამომავლო თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, სადაც თურქულ სახელმწიფოებს აქვთ საერთო ინტერესები. აგრეთვე დოკუმენტის იმპლიმენტაციისათვის გაიცა დავალება მომზადდეს „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის 2022-2026 წლების სტრატეგიული საგზაო რუქა“ [11].

თუმცა რეგიონში გააქტიურების მიუხედავად „თურქეთი ჯერ არ წარმოადგენს პირდაპირ პოლიტიკურ საფრთხეს რუსეთის ინტერესებისთვის“ [6].

მიუხედავად გარკვეული უთანხმოებებისა რუსეთიც და თურქეთიც დაინტერესებულნი არიან რეგიონის პოლიტიკური სტაბილურობით. „ორივე ქვეყანა დაინტერესებულია რეგიონში ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოუწოდებს მის ქვეყნებს ებრძოლონ ნარკოტიკებით ვაჭრობას. ანკარასა და მოსკოვისათვის ღირს ფიქრი ერთობლივი პროექტების შემუშავებაზე რეგიონის განვითარების ხელშეწყობისათვის. ორივე ქვეყანა ამა თუ იმ ფორმით წარმოადგენს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დონორს. ძალისხმევის კოორდინაციას შეუძლია დაეხმაროს რუსეთსა და თურქეთს მეტად ეფექტური შედეგების მიღწევაში. რეგიონით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის რუსეთს, ალბათ შეუძლია გათვალოს ზოგიერთი უპირატესობის შენარჩუნებაზე „რბილი გავლენის“ წყალობით, რომლითაც ის ჯერ კიდევ სარგებლობს ცენტრალურ აზიაში. საუბარია მნიშვნელოვან შრომით მიგრაციაზე რუსეთში, ელიტის წარმომადგენლების მიერ რუსული ენის ცოდნასა და ცენტრალურ აზიაში რუსული უმცირესობების რაოდენობაზე. გარდა ამისა, მოსკოვს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს რეგიონის ბევრ რესპუბლიკასთან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისა და/ან საბაჟო და ევრაზიული კავშირების შექმნის ინიციატივებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, მოსკოვმა უნდა იზრუნოს მასზედ, რომ რეგიონში მისი ინიციატივები ემყარებოდეს ყველა მონაწილის თანასწორობას და არ განხორციელდეს სხვა დაინტერესებული მხარეების საზიანოდ“ [12].

მიუხედავად კონკურენციისა „ცენტრალური აზიის რეგიონი ფასეულია, როგორც რუ-

სეთისთვის, ასევე თურქეთისათვის. აქ მათ თანამშრომლობას ხელს უწყობს მრავალი ობიექტური ფაქტორი:

- თურქეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც აკონტროლებს შავი ზღვის სრუტეებს და ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს ევროპასა და აზიას შორის, რაც დამატებით შესაძლებლობებს უქმნის რუსეთსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის თვალსაზრისით;
- რუსეთი და თურქეთი, თითოეული მათგანი, რეგიონალური კოოპერაციის საკუთარი პროექტების წამოწევით და ინტეგრაციის პროცესების ყველა მონაწილისთვის ნდობის ატმოსფეროსა და ურთიერთდაინტერესებულობის შექმნით, ხელს უწყობენ რეგიონში დაძაბულობის შემცირებას;
- თურქეთს და რუსეთს, როგორც ევრაზიის დიდ სახელმწიფოებს საკმაოდ დიდი რაოდენობის მუსლიმი მოსახლეობით, შეუძლიათ ითამაშონ შუამავლის როლი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს, დასავლეთსა და ისლამური სამყაროს შორის ურთიერთობებში;
- ცენტრალური აზიის ყველა სახელმწიფოს მიერ აღებული მრავალვექტორული პოლიტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთისა და თურქეთს მიერ რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის ორმხრივ ფორმატში“ [13].

რუსეთისა და თურქეთის გარდა, მზარდია და საკმაოდ გამოკვეთილია ცენტრალურ აზიაში მესამე დიდი მოთამაშის, ჩინეთის ინტერესები და ეკონომიკური გააქტიურება, რასაც განსაკუთრებული ეფექტი შესძინა 2009 წელს გაშვებულმა მაგისტრალურმა გაზსადენმა „ცენტრალური აზია - ჩინეთი“, რომელიც ჩინეთს აკავშირებს რეგიონის საბადოებთან და ეკონომიკურმა პროექტმა „ერთი სარტყელი ერთი გზა“. ამასთანავე ჩინურმა სამომხმარებლო საქონელმა ეტაპობრივად დაიწყო თურქული საქონელის ჩანაცვლება. რეგიონში ჩინეთის გაზრდილი როლი პრობლემატურია, როგორც რუსეთისათვის, ისე თურქეთისათვის, თუმცა მათ არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ და შეაჩერონ ეს. მიუხედავად ამისა ნაკლებად სავარაუდოა რუსეთმა ან თურქეთმა, იოლად დათმონ რეგიონის „მმართველის“ პოზიციები სხვის სასარგებლოდ, რისთვისაც მათ ისე უნდა წარმართონ პოლიტიკა, რომ მინიმუმ მიღწეულ იქნას რეგიონში ძალაუფლების გადანაწილება ჩინეთის ექსკლუზიური ჰეგემონიის საწინააღმდეგოდ. „სინამდვილეში, თურქეთის მჭიდრო ისტორიული და ენობრივი კავშირები ცენტრალური აზიის ქვეყნებთან შეიძლება ხელსაყრელი იყოს მოსკოვისთვის, რაც პოტენციურად სთავაზობს მას პარტნიორს ჩინეთის გავლენის შეზღუდვაში“ [14].

ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ ცენტრალურ აზიიის ქვეყნებთან ურთიერთობაში თურქეთის მიერ მთავარი აქცენტები კეთდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა კულტურა, განათლება და ეკონომიკა. რუსეთი კი მეტწილად ძალისმიერ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას. მაგალითისათვის გამოდგება ყაზახეთში, 2022 წ. იანვრის მოვლენებისას, „კუხო“-ს ორგანიზაციის „სამშვიდობო“ კონტინგენტის განთავსება, რომლის დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყო რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეებით. აგრეთვე იგი წარმოდგენილია სამხედრო კონტინგენტით ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში და გამომდინარე აქედან რუსეთი ყოველთვის შეეცდება გამოიყენოს კრიზისები და სოციალური ბზარები, რათა მიიღოს გეოპოლიტიკური სარგებელი რეგიონში. ამგვარად, რუსეთი და თურქეთი ცენტრალურ აზიაში უფრო მეტად კონკურენტებად რჩებიან, ვიდრე პარტნიორებად, თუმცა რეგიონში სტაბილურობა ორივეს ინტერესებშია.

LEVAN BERIA

RUSSIAN AND TURKISH INTERESTS IN CENTRAL ASIA

Interest to Central Asia countries is increased after the dissolution of the Soviet Union. The former Soviet republics after gaining independence have gradually been moving from a state-controlled economy to a market economy. Central Asia is famous with its natural resources and it is very attractive for strong neighbor states. Russia, Turkey, The United States, The European Union, Iran, China have interests in the above mentioned region, but the Central Asian countries' interests are to have more contacts with

economically and politically strong states. So, the above mentioned region countries have increased interests towards various states. Special interest has Turkey, who appeals for common history language and culture. Russia believes that the region is under his influence. Despite Russia-Turkey so called strategic relationship Russia perceives painfully Turkey's activities in the region. This is caused not only because Russia considers the region as his influence sphere but the big role plays the controversy history of these states. Except Russia and Turkey there revealed third big player, China's increased economic interests and economic activities in the region, this is problematic for both Russia and Turkey. It is unlikely that above mentioned countries will easily give up ruler positions for somebody else profit. They should have conduct politics so that distribution of power should be reached in the region against other state's hegemony.

According to the latest events it was revealed that in the Central Asia region relations Turkey focuses on culture, education and economics. But Russia operates with military component to increase his influence. For example, in 2022, January Kazakhstan incident, the Collective Security Treaty Organization's peacekeeping contingent, manned more with Russian federation soldiers were sent to Kazakhstan. Russia is presented with military contingent in Kyrgyzstan and Tajikistan. According to this Russia will always use crises and social dissension to receive geopolitical profit in the region. So, Russia and Turkey stay more competitors than partners, though stability in the region is in both their interest.

Key words: *international relations, regional politics, Turkey, Russia, Central Asia, basic economy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Аватков В., „Перекресток геополитических интересов России и Турции — Кавказ и Центральная Азия“, Институт ближнего востока, 24. 04. 2009, http://www.iimes.ru/?p=8521, - 19. 01. 2022.
2. Еремеев Д.Е., Турция на рубеже XX и XXI веков (1991 – 2007). Гуманитарий Москва, М., 2007.
3. Мирзеханов В., „Восприятие Россией политики Турции в Центральной Азии и перспективы российско-турецкого сотрудничества в регионе“, Институт Всеобщей Истории РАН, 08. 05. 2015, http://www.mirnas.ru/vospriyatie_rossiey_politiki, გადამოწმებულია - 19. 01. 2022.
4. Дятленко П., „ВЛИЯНИЕ ОХЛАЖДЕНИЯ РОССИЙСКО-ТУРЕЦКИХ ОТНОШЕНИЙ НА СТРАНЫ ЦЕНТРАЛЬНОЙ АЗИИ“, Журн. Внешняя Политика, 25.02.2016, http://www.foreignpolicy.ru/analyses/vliyanie-ohlazhdeniya-rossiysko-turetskih-otnosheniy-na-strany-tsentralnoy-azii/, - 25.01.2022
5. Сафранчук И., „Российская политика в Центральной Азии. Стратегический контекст.“, Обсерво, №8, 2014, https://mgimo.ru/upload/iblock/d8b/d8be9a2679338e37315ca64bfdd064ad.pdf, - 28. 01. 2022.
6. Кулагин В., „«Великие тюрки»: как Турция объединяет Среднюю Азию“, Газета.Ru, 01. 04. 2021, https://www.gazeta.ru/politics/2021/04/01_a_13543670.shtml?updated, გადამოწმებულია - 9. 02. 2022.
7. Кулагин В., „«Выбить из-под влияния России»: как Турция укрепляет позиции в Центральной Азии“, https://www.gazeta.ru/politics/2021/07/05_a_13703324.shtml?updated, - 11. 02. 2022.
8. „РФ готова поддержать Таджикистан в непростой ситуации на границе с Афганистаном“, 5.07.2021, https://tass.ru/politika/11826731, გადამოწმებულია - 22. 02. 2022.
9. „Тюркский совет переименовали в Организацию тюркских государств“, ТАСС, 12 НОЯ. 2021, https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/12912505, გადამოწმებულია - 1. 03. 2022.
10. Abdullayev R., “Тюркский совет переименован в Организацию тюркских государств”,12.11.2021, https://www.aa.com.tr/ru/политика/тюркский-совет-переименован-в-организацию-тюркских-государств/2419294, გადამოწმებულია - 4. 03. 2022.
11. Sah Yilmaz M., „Turkic Council's name changed to Organization of Turkic States”, https://www.aa.com.tr/en/world/turkic-council-s-name-changed-to-organization-of-turkic-states/2419633, - 8. 03. 2022.
12. Тренин Д., Каракуллукчу М. „Перспективы сотрудничества России и Турции в неспокойном регионе“, Брошюра, Московский Центр Карнеги, https://carnegie.ru/2014/09/28/ru-pub-56914, - 12.03.2022
13. Малышева Д., „Россия и Турция в Центральной Азии: партнерство или соперничество?“, https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/rossiya-i-turtsiya-v-tsentralnoy-azii-partnerstvo-ili-opern/#detail, გადამოწმებულია - 22. 03. 2022.
14. Cengiz S., „Turkey's balancing act with Russia and China in Central Asia“, 14. 01. 2022, https://www.arabnews.com/node/2004631, გადამოწმებულია - 31. 03. 2022.

გიორგი გაბიტაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **ედიშერ გვენეტაძემ***

რუსეთის გეოსტრატეგია და 2008 წლის აგვისტოს ომი

ნაშრომში საუბარია, იმის შესახებ, რომ საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე, როგორც რუსეთის, ასევე, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის ობიექტი იყო.

XX საუკუნის 90-იან წლებში კომუნისტური ბანაკის დაშლისა და სოციალიზმის იდეოლოგიური დამარცხების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, მოიწადინა, რაღაც ფორმით მაინც მომხდარიყო მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების ძველ მდგომარეობაში შენარჩუნება, რისთვისაც საკუთარი იმპერიული მეთოდეები აამოქმედა. კერძოდ, გაამწვავა ვითარება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, რათა საქართველო, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესის მონაწილეა, ამით საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მთელი თავისი თავისი ექსპანსიური ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა საერთაშორისო საზოგადოებისგან, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეხვდა. კრემლი მაინც მიისწრაფოდა და მიისწრაფვის, რათა არ დაკარგოს კონტროლი ამიერკავკასიაზე და მის მნიშვნელოვან ნაწილზე - საქართველოზე.

საკვანძო სიტყვები: *რუსეთი, საქართველო, სამხრეთ კავკასია, 2008 წლის აგვისტოს ომი, დასავლეთი.*

საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე, როგორც რუსეთის, ასევე, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის ობიექტი იყო. „ცხინვალის რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობაც რუსეთისათვის, ასევე არსებითია და საგრძნობლად აღემატება ამ რეგიონის ძალიან მცირე გეოგრაფიულ მოცულობას. აქ გადის ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც რუსეთს აკავშირებს თავის მთავარ მოკავშირესთან - სომხეთთან. რეგიონთან უშუალო სიახლოვეს არის, ასევე, საქართველოს სამხედრო გზაც“ [1. 80].

XX საუკუნის 90-იან წლებში კომუნისტური ბანაკის დაშლისა და სოციალიზმის იდეოლოგიური დამარცხების შემდეგ, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ბევრი ახალი პოლიტიკური ერთეული, რომელთა უმრავლესობამ აღიდგინა დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა და გეზი, ბუნებრივია, დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოებისკენ აიღო. მათ შორის იყო საქართველო. საბჭოთა იმპერიის დაშლის მიუხედავად, მისმა სულისჩამდგმელმა – რუსეთის ხელისუფლებამ, მოიწადინა, რაღაც ფორმით მაინც მომხდარიყო მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების ძველ მდგომარეობაში შენარჩუნება, რისთვისაც საკუთარი იმპერიული მეთოდეები აამოქმედა. კერძოდ, გაამწვავა ვითარება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, რათა საქართველო, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესის მონაწილეა, ამით საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია.

საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევას - მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტები, შედეგად, 2008 წელს, ქართულ მიწა-წყალზე, რუსეთის მორიგი აგრესია მოჰყვა. რუსეთის ხელისუფლების სურვილზე, საკუთარ გავლენაში მოექცია საქართველო, 2008 წლის 16 აგვისტოს, ჟურნალი „The Economist“ წერდა: „ერთ დროს საქართველო მისი იმპერიის მარგალიტი იყო და რუსეთმა ფსიქოლოგიურად ვერასოდეს მიიღო იგი, როგორც სუვერენული სახელმწიფო. საბჭოთა იმპერიის ნოსტალგია, დიდი ხანია, რუსული იდეოლოგიის ლაიტმოტივია“.

2008 წლის აგვისტოს ომამდე 4 თვით ადრე, ქალაქ ბუქარესტში, „ნატო“-ს სამიტი ტარდებოდა, სადაც საქართველოსა და უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის, ე.წ. MAP-ის (Membership Action Plan) განხილვა უნდა.

რუსეთის ხელისუფლება მიისწრაფვის, რათა არ დაკარგოს კონტროლი ამიერკავკასიაზე და მის მნიშვნელოვან ნაწილზე - საქართველოზე. საქართველოზე კონტროლის დაკარგვით, ის მთელი კავკასიის რეგიონზე დაკარგავს

გავლენას. ამიტომ არის, რომ რუსეთის მთავრობა, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების იგნორირებით ცდილობდა და ცდილობს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ხელში ჩაგდებას.

რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ, ბევრმა ანალიტიკოსმა პირდაპირ იკითხა, ხომ არ იდგა მსოფლიო ახალი ცივი ომის ზღურბლზე. დასავლეთის მედია საშუალებებმა უმალვე დაიწყეს აგვისტოს ომის შედარება ბრეჟნევისეულ „პრაღის გაზაფხულთან“ და ჰიტლერის მიერ 1938 წელს განხორციელებულ ოპერაციებთან. რუსეთის ევრაზიანისტული პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი უახლოესი მეზობლების – უკრაინისა და საქართველოს მოქიშპე ბანაკში („ნატო“) გადასვლა კატასტროფად უნდა შეფასებულიყო.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს თავისი ექსპანსიური ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა საერთაშორისო საზოგადოებისგან, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

რუსეთის კავკასიური ექსპანსიის შანსებს და მის პოზიციებს რეგიონალურ და გლობალურ დონეზე სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ნატოში საქართველოს გაწევრიანება. ეს კი მისი ევრაზიანისტული პოლიტიკისთვის მიუღებელია. ანუ, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის ომით რუსეთმა მიაღწია იმას, რაც სურდა. 2008 წლის აგვისტოში, რუსული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ, ერთობლივად განხორციელებული აგრესიის მიზანი, ქართული მოსახლეობისგან ცხინვალის რეგიონის გაწმენდა იყო.

თუ XX საუკუმის 90-იან წლებში რუსეთის ხელისუფლება ახერხებდა შენიღბულად ემოქმედა და კონფლიქტი ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზურ სახელს ატარებდა, 2008 წელს აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პირისპირ რუსეთის შეიარაღებული ძალა იდგა, მხოლოდ ერთი სურვილით - კვლავ დაეჩოქებინა საქართველო და საკუთარი გავლენის სფეროში მოექცია იგი. რუსეთ-საქართველოს ომის უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია გახდა, რომელიც იმ დროისთვის მკვეთრად პროდასავლური იყო და დღემდე ასეა. საქართველოს უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზანი არის „ნატო“-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია. ფრანგი მკვლევარი - ჟან რადვანი თავის წიგნში სამართლიანად აღნიშნავს: „მოსკოვი კავკასიაში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ცდილობს მოახდინოს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, ვინაიდან ამ ქვეყანას ტრადიციულად, სტრატეგიული ადგილი უჭირავს ამიერკავკასიაში, თურქეთის საზღვართან და წარმოადგენს ერთადერთ გზას დანარჩენ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად“ [2. 145]

რუსეთი ამ ომისათვის მეთოდურად ემზადებოდა ომისათვის. 2004 წლის 4 სექტემბერს, თითქოს ტერორისტული საშიშროების მომიზეზებით, რუსებმა ლარსის გამშვები პუნქტი დაკეტეს. სამი კვირის შემდეგ, კი სოჭსა და სოხუმს შორის საავტობუსო მიმოსვლა გახსნეს. გამოძიების შედეგად, დადასტურდა, რომ ეს ტერორისტული აქტი ორგანიზებული და განხორციელებული იყო რუსეთის მთავარი სამხედრო სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) მიერ. იმავდროულად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - სერგეი ლავროვმა, თბილისში ოფიციალური ვიზიტის დროს, უარი თქვა პატივი მიეგო აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცებისთვის, ხოლო 2005 წლის აპრილში, მოსკოვში მიიღო აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საგარეო საქმეთა მინისტრები, ისე, თითქოს ისინი დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენდნენ.

2005 წლის 30 მაისს, რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ბაზების გაყვანა საქართველოდან, 2008 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო. ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსული ბაზების გაყვანის პარალელურად, რუსეთის ხელისუფლება იმავდროულად, აფხაზეთში და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ არსებული ბაზების ლეგალიზაციას და ახალი ბაზების შექმნას ახორციელებდა [3. 90-114].

ცხინვალის რეგიონში, უკვე არსებული ორი სამხედრო ბაზის მიუხედავად, 2006 წლის მაისში, ჯავადან ორ კილომეტრში, ელბაჩიტაში, რუსებმა ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყეს, რომელიც 2 500 სამხედროზე, ხოლო ოჩამჩირის სამხედრო სასაწყობო მეურნეობა კი 100 000 სამხედროსთვის იყო გათვალისწინებული, აღჭურვილობის, იარაღის და საწვავის მარაგის შესანახად. 2006 წლის 31 იანვარს, ჟურნალისტებთან საუბარში ვ. პუტინმა აღნიშნა, რომ „თუ ვინმე ფიქრობს, რომ კოსოვომ შეიძლება მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობას, მაშინ რატომ უნდა ვუთხრათ უარი

აფხაზებს და „სამხრეთ ოსეთს?“. იმავე დროს, პუტინმა დაავალა სერგეი ლავროვს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული უნივერსალური ფორმულა შეემუშავებინა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში სხვა ქვეყნებსაც მიუსადაგებდნენ. მოგვიანებით, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრემიერ მინისტრის მოადგილემ, ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ რეგიონის მოსახლეობის 98%-მა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. 2006 წლის ივლისში, საქართველოს ხელისუფლებამ კოდორის ხეობაზე, აფხაზეთის ერთადერთ ნაწილზე, რომელსაც ის 1993 წლიდან აკონტროლებდა, საკუთარი იურისდიქცია აღადგინა [4. 23].

კრემლმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით, რუსეთი ევროპაში ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღების ხელშეკრულებიდან გამოვიდა. ამან საშუალება მისცა პუტინს, რომ ჩრდილო კავკასიაში იმ რაოდენობის აღჭურვილობა და სამხედრო ძალა განელაგებინა, რამდენიც დასჭირდებოდა. არსებული ხელშეკრულება უკვე ვეღარ ზღუდავდა რუსეთის სამხედრო შენაერთების თავისუფალ გადაადგილებას და განლაგებას. რუსეთის ხელისუფლებამ, 2006 წელს განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციებით, ვერ შეძლო საქართველოს დასუსტება. იგივე საბაბით, რუსეთის მთავრობამ 2008 წელს, საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო [5. 145].

2008 წლის ადრეულ გაზაფხულზე რუსეთსა და საქართველოს შორის კონფრონტაციამ პიკს მიაღწია. 2008 წლის 6 მარტს, რუსეთი ცალმხრივად გამოვიდა დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებიდან „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“, რაც პრაქტიკულად კონფლიქტის შემდეგ, 2008 წლის 21 მარტს, რუსეთის დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, რათა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობა ეღიარებინა. 2008 წლის 16 აპრილს, ვ. პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“ პირდაპირი სამართლებრივი კავშირებისა და ურთიერთობების შესახებ. ამავე დეკრეტის შესაბამისად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა გაიხსნა ცხინვალსა და სოხუმში. დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლებამ თავისი დამოუკიდებლობის ირიბ დადასტურებად აღიქვა. გადაწყვეტილება დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის ევროკავშირმა, „ეუთო“-მ, „ნატო“-მ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ. საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთისაგან აღნიშნული დეკრეტის გაუქმება და ურთიერთობების ნორმალიზაცია, მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ [6. 150].

გაეროს მისიამ დასკვნაში ცალსახად მიუთითა, რომ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში ძალების დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მოსკოვის ხელშეკრულების შესაბამისად, „მხოლოდ დსთ-ს ძალებსა აქვთ მანდატი, განახორციელონ ღონისძიებები ძალების დაშორიშორებისათვის და მეტს არავის. მკაცრად განსაზღვრული სამშვიდობო მანდატის პრინციპების თანახმად, მისიას მიაჩნია, რომ მესამე მხარის – ამ შემთხვევაში რუსეთის მიერ, კონფლიქტის ზონაში განხორციელებული ქმედება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება მოსკოვის ხელშეკრულებას და არღვევს ძალების დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს“. იმავე დასკვნაში, „გაერო“-ს დამკვირვებელთა მისია ქართულ მხარესაც მიანიშნებს ხელშეკრულების დარღვევაზე: „რამდენად ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს ქართული მხარის მიზნები, ამგვარი ხასიათის სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია, აფხაზური მხარის მიერ განხილულ იქნას, როგორც სამხედრო ოპერაციის დაწყება, განსაკუთრებით ვითარების გამწვავების ფონზე. „ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმს აქვს თავისი პოზიტიური მხარე – ის აჩერებს ომს. თუმცა თან ახლავს შეზღუდვებიც, რაც გულისხმობს მხარეთა შეზღუდვას ისეთი ქმედებების განხორციელებაში, რომელიც მეორე მხარის მიერ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც საფრთხის მატარებელი“ [7] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ანგარიშში, „გაერო“-ს დამკვირვებელთა მისია, საქართველოს ხელისუფლებას შეახსენებდა, რომ საქართველოს მხრიდან კონფლიქტის ზონაში უპილოტო თვითმფრინავების გაგზავნა, შესაძლებელია, საერთაშორისო სამართლისათვის ჩაითვალოს სამხედრო ოპერაციად, რაც ეწინააღმდეგება მხარეთა შორის მოქმედი ხელშეკრულებების პრინციპებს. პარალელურად ხდებოდა კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის [7. 51].

კოსოვოს საკითხმა პიკს 2008 წელს მიაღწია, როდესაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 106 ქვეყნის მიერ იქნა აღიარებული. ამ ფაქტმა რუსი პოლიტიკოსების და ექსპერტების

გააქტიურება გამოიწვია. ისინი კოსოვოს კონ-ფლიქტს საქართველოში არსებულ კონფლიქტ-თან აიგივებდნენ,

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და ანა-ლიტიკოსი რონალდ ასმუსი 2008 წლის ომის წინ შექმნილ სიტუაციაზე წერს: „მოსკოვმა არა-ერთხელ გააფრთხილა საქართველო, რომ დასავლეთისკენ მის სწრაფვას სავალალო შე-დეგები მოჰყვებოდა და აფხაზეთსა თუ „სამხ-რეთ ოსეთში“ სეპარატიზმის პრობლემების მო-გვარებაც სწორედ, იმაზე იქნებოდა დამოკიდე-ბული, რამდენად გაითვალისწინებდა საქართ-ველო რუსეთის მოთხოვნებს, საქართველო, თავის მხრივ, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რუ-სეთის ამგვარ ზეწოლას, მაგრამ ამ დროისათ-ვის მოსკოვი, როგორც ჩანს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდა: დასავლეთის მიერ კოსოვოს აღია-რებასა და „ნატო“-ს მხრიდან საქართველოსთ-ვის გაწევრიანების პირობას მან სეპარატის-ტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა, რაც უკვე ძალიან წააგავდა ე. წ. მცო-ცავი ანექსიის სტრატეგიას: რუსეთს უკანონოდ შეჰყავდა იქ ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება და იმ ტიპის ინფრასტრუქტურასაც ქმნიდა, რომ ძა-ლაუნებურად გაფიქრებინებდა - სამხედრო თავდასხმისათვის ემზადებაო. ნუთუ ახლა იმ-პერია საპასუხო დარტყმას აპირებდა?“ [8. 29].

ამრიგად, საქართველო, თავისი გეოსტრა-ტეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მან-ძილზე, როგორც რუსეთის, ასევე, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის ობიექტი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მთელი თავისი თავისი ექსპანსიური ისტორიის მან-ძილზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წი-ნააღმდეგობა საერთაშორისო საზოგადოების-გან, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეხვდა. კრემლი მაინც მიისწრაფოდა და მიისწრაფვის, რათა არ დაკარგოს კონტროლი ამიერკავკასია-ზე და მის მნიშვნელოვან ნაწილზე - საქართ-ველოზე. ვინაიდან საქართველოზე კონტრო-ლის დაკარგვით, ის მთელი კავკასიის რეგიონ-ზე დაკარგავს გავლენას. ამიტომ არის, რომ რუ-სეთის მთავრობა, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების იგნორირებით ცდილობდა და ცდი-ლობს საქართველოს ისტორიული ტერიტორი-ების ხელში ჩაგდებას. რაც მან მოახერხა მიუ-ხედავად საერთასორისო საზოგადოების არნა-ხული წინააღმდეგობისა 2008 წლის აგვისტო-ში. ფაქტები თვალნათლივ მოწმობს, რომ რუ-სეთის ხელისუფლება, გაცილებით დიდი ხნით ადრე ემზადებოდა საქართველოში შემოსაჭრე-ლად.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართვე-ლოს ომი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის აპრიორი პირდაპირი დაპირისპირების შედე-გად ვერ ჩაითვლება და მას საერთაშორისო გან-ზომილება გააჩნია. თუმცა, ეს ომი მძიმე დარ-ტყმა იყო საქართველოსთვის, სეპარატისტული რეგიონებისადმი ახალი პოლიტიკის შემუშავე-ბის აუცილებლობა წარმოაჩინა და ცხადყო, რომ ისინი სეპარატისტულ ტერიტორიებად აღარ ჩაითვლებოდნენ.

GIORGI GABITASHVILI

RUSSIAN GEOSTRATEGY AND THE AUGUST 2008 WAR

Summary

he paper emphasizes that Georgia, due to its geostrategic location, has been the object of interest of both Russia and the leading Western countries for centuries.

That is why the Kremlin has been striving and trying not to lose control of the Transcaucasia and a significant part of it - Georgia. Because by losing control of Georgia, it will lose its influence over the entire Caucasus region. That is why the Russian government has tried to ignore any international norms and is trying to seize the historical territories of Georgia. Which he managed to do despite the unprecedented resistance of the international community.

If in the 1990s the Russian government managed to disguise itself and the conflict was called Georgian-Ossetian, Georgian-Abkhazian, in 2008 it became clear that Georgia was facing Russia's armed forces, with only one wish - to bring Georgia back to its sphere of influence. The main motivating factor in the Russia-Georgia war has become Georgia's foreign policy orientation, which was sharply pro-Western at the time and continues to be so today.

The facts clearly show that the Russian government was preparing to invade Georgia much earlier.

Key words: *Russia, Georgia, South Caucasus, August 2008 war, West.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოჯუა, დ. აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990 წწ., წიგნში: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი, თბ., 2007.
2. Radvanyi J., „les Etats postsoviétiques, identités en construction, transformations politiques, trajectoires économiques“, Paris, 2003. Armand Colin.
3. სარალიძე ლ., „საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან (2008 წლის ოქტომბერი - 2012 წწ.)“, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, #1 (11), თბ., 2012.
4. ალექსია ს., „აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი 2013.
5. გელაშვილი გ., „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება“, გორი, 2011.
6. მამუკელაშვილი ე., „ცივი აგვისტო (ასი უპასუხო კითხვა), წიგნი მეორე - ცხინვალი (2008), თბ., 2013.
7. მამუკელაშვილი ე., „ ცივი აგვისტო (წიგნი პირველი -აფხაზეთი (1992-1993 წწ.), თბ., 2013.
8. ასმუსი რ., „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“, თბ., 2010.

ვერიკო ბალუხაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

რუსეთის ევრაზიული ინტეგრაციის კონცეფცია და ევროკავშირი

თანამედროვე მსოფლიო სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო ისწრაფვის ინტეგრაციისაკენ, ვინაიდან თვლიან, რომ ეს არის ეფექტური მექანიზმი არა მხოლოდ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, არამედ გაერთიანების წევრ ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ხელშემწყობიც.

სტატიაში განხილულია რუსეთის ევრაზიული კავშირის კონცეფცია და მის მიმართ ევროკავშირის დამოკიდებულება.

საკვანძო სიტყვები: *ევრაზიული კავშირი, ევროკავშირი, ინტეგრაცია. რუსეთი. რუსეთის საგარეო პოლიტიკა.*

თანამედროვე გაგებით, ინტეგრაციის პროცესების აქტიური განვითარება დაიწყო 1945 წლიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) შექმნის შემდეგ.

მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში ჩამოყალიბდა მრავალი ინტეგრაციული გაერთიანება, რომლებიც, მოგვიანებით, მსოფლიო არენაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური წონის მქონე ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად, 1952 წელს ევროპაში დაარსდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული საზოგადოება, რომელიც შემდგომში ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა და დღეს ევროკავშირის (European Union) სახელით არის ცნობილი. ლათინოამერიკაში ასეთი იყო თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაცია (1960 წ.), ანდების საზოგადოება (Comunidad Andina - 1969 წ.), ლათინური ამერიკის ინტეგრაციის ასოციაცია (Treaty of Montevideo. Instrument Establishing the Latin American Integration Association (ALADI) - 1980).

ასევე, ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობდა სხვა გეოგრაფიულ რეგიონებშიც: აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია (1963 წ.), რომელმაც 2002 წლიდან აფრიკული კავშირის (African Union) სახელი მიიღო; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (1967 წ.) და ა.შ.

ინტეგრაციული პროცესების მეორე ტალღა უკვე მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო.

1989-დან 2000 წლამდე შეიქმნა:

- აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა (APEC, 1989);
- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ, 1991 წ.);
- ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ (NAFTA, 1994).

სანამ უშუალოდ ევრაზიული კავშირის ინტეგრაციული პროცესების განხილვას შევუდგებით, ვფიქრობთ, პირველ რიგში, საჭიროა მივმართოთ „ინტეგრაციისა“ და „ინტეგრაციული პროცესების“ განმარტებების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ინტეგრაციის განმარტების რამდენიმე კონცეპტუალური მიდგომა არსებობს. ინსტიტუციონალისტებს დ. ნორთს [1] და კ. არროუს [2] ინტეგრაციას ესმით, როგორც წარმოების ცენტრალიზებით ფართომასშტაბიანი ინტეგრირებული საწარმოო კომპლექსების შექმნა.

ფუნქციონალიზმის წარმომადგენლების დ. მიტრანისა და ლ. ლინდბერგის აზრით, ინტეგრაციის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობების თანასწორობა და ფუნქციონალური საჭიროებები უნდა იყოს, ხოლო შექმნილი საკომუნიკაციო სისტემა ასტიმულირებს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და სოციალური გაცვლის სურვილს.

გარდა ამისა, ფუნქციონალისტები თვლიან, რომ რეგიონული ინტეგრაცია ყოველთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ გეოგრაფიული პრინციპებით, ვინაიდან სახელმწიფოები, რომლებიც მას ქმნიან, წარმოადგენენ გარკვეულ

ფუნქციურ ზონებს, რომლებშიც ფუნქციონალური თანამშრომლობა ხორციელდება.

სტრუქტურალისტები - ა. მარშალი [3], ჯ. მიურდალი [4] და სხვები ინტეგრაციას განიხილავენ ეკონომიკური თვალსაზრისით და თვლიან, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია არის „სტრუქტურული გარდაქმნების კოორდინირებული პროცესი ინტეგრირებული სახელმწიფოების ეკონომიკაში, რომელიც მიზნად ისახავს ხარისხობრივად ახალი ინტეგრაციული სივრცის შექმნას“, რაც სარგებელს მოუტანს ინტეგრაციის პროცესის სხვა მონაწილეებს [5. 129].

ჯ. ტიმბერგენისა და ი. სტოლერის მოსაზრებებით „ინტეგრაციის სტრუქტურების ფუნქციონირება ეფუძნება საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას და შეთანხმებულ კანონმდებლობას“ და მათი განვითარება ხდება ეტაპობრივად (მარტივი ფორმებიდან უფრო რთულამდე, იწვევს ეროვნული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის შექმნას) [6. 31].

ჰოლანდიელმა ეკონომისტმა იან ტინბერგენმა თავის მონოგრაფიაში „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია“ შეიმუშავა ინტეგრაციის ორი ტიპი: დადებითი და უარყოფითი. „ნეგატიური“ ინტეგრაცია გულისხმობს ზომების მიღებას საბაზრო ინტეგრაციის გასაძლიერებლად ეროვნული შეზღუდვების (გადასახადების, გადასახადების და შემზღუდველი კანონმდებლობის გაუქმება) აღმოფხვრის გზით. „პოზიტიური“ ინტეგრაცია კი ორიენტირებულია ზენაციონალური ორგანოების შექმნაზე, საბაზრო პირობებისა და ინტეგრაციული ასოციაციის ჩამოყალიბების პოლიტიკაზე.

მაშასადამე, „ნეგატიური“ ინტეგრაცია განსხვავდება „პოზიტიურისგან“ იმით, რომ „ნეგატიური“ ინტეგრაცია დამოკიდებულია ეროვნულ მთავრობებზე, რომლებიც არეგულირებენ სხვა ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესს დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს ეკონომიკაში შემზღუდავი ზომების აღმოფხვრის შესახებ (მაგალითად, იმპორტის გადასახდელების გაუქმება). „პოზიტიური“ ინტეგრაციის შემთხვევაში, ზენაციონალური სტრუქტურები ქმნიან ასოციაციის ახალ ფორმებს და ატარებენ დამოუკიდებელ ინტეგრაციულ პოლიტიკას (მაგალითად, „პოზიტიური“ ინტეგრაცია შეიძლება მოიცავდეს ერთიანი ვალუტის შექმნას ან სტანდარტებისა და ნორმების ჰარმონიზაციას).

ნებისმიერი ინტეგრაციული ასოციაცია გადის განვითარების რამდენიმე ეტაპს, რაც დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციის ხარისხზე და შემზღუდავი ზომების არსებობა-არარსებობაზე.

ამერიკელმა მკვლევარმა ბ. ბალასმა შეიმუშავა ინტეგრაციის ასოციაციის განვითარების საკუთარი სქემა, რომელიც უკვე კლასიკად იქცა. ეს სქემა შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონული ინტეგრაციის ასოციაციის (კერძოდ, ეკონომიკური) განვითარების აღსაწერად:

- თავისუფალი სავაჭრო ზონის (თავისუფალი გაცვლის ზონის) შექმნა;
- საბაჟო კავშირის ფორმირება;
- საერთო ბაზრის ფორმირება;
- ეკონომიკური და სავალუტო კავშირი;
- პოლიტიკური გაერთიანება [7. 56].

პოლიტიკური გაერთიანება არის ინტეგრაციის პროცესის უმაღლესი ეტაპი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ და სავალუტო კავშირს საერთო საგარეო და საშინაო პოლიტიკის დამატებას, რაც უდავოდ აახლოებს ინტეგრაციის ასოციაციას კონფედერაციასთან/ფედერაციასთან [8. 22].

ინტეგრაციული პროცესების ძირითადი კონცეპტუალური დებულებების გაანალიზების შემდეგ, შეგვიძლია პირდაპირ გადავიდეთ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებზე.

ევრაზიის რეგიონის ქვეყნებს აერთიანებს გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო ისტორია, ერთ სახელმწიფოში ხანგრძლივი ყოფნა და ეთნიკური კომუნიკაციის საერთო ენის არსებობა და მოიცავს: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსიას, საქართველოს, ყირგიზეთს, ყაზახეთს, მოლდოვას, რუსეთს, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და უკრაინა, ანუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის გარდა [9].

თუმცა, შესაძლებელია ისიც, რომ ევრაზიის რეგიონის ყველა ქვეყანა არ იყოს დაინტერესებული ევრაზიული ინტეგრაციით, და პირიქით, აღნიშნულით დაინტერესებული იყოს ქვეყენა, რომელიც ტერიტორიულად არ მდებარეობს ევრაზიის რეგიონში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ევრაზიული სივრცის კონცეფციის შემოტანა.

თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „სივრცე არის სტრუქტურა, რომელიც ავსებს რეგიონს რეგიონალიზაციის პროცესში“, მაგრამ არ აქვს „მყარი კავშირი ტერიტორიასთან და შეუძ-

ლია რეგიონის ახალი მახასიათებლების ათვისება“ [10. 45].

შესაბამისად, ევრაზიული სივრცე შეიძლება მოიცავდეს როგორც ევრაზიის რეგიონის სახელმწიფოებს, ასევე ევრაზიული ინტეგრაციით დაინტერესებული სახელმწიფოებსაც, როგორიცაა, მაგალითად, (ვიეტნამი, ეგვიპტე, ისრაელი, ინდოეთი, ირანი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები). აქედან გამომდინარე, ევრაზიულ ინტეგრაციაში შეგვიძლია ვიგულიხსმოთ ევრაზიული სივრცის სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების პროცესები, რაც იწვევს „ინტეგრაციის ხელშეკრულებების მარეგულირებელ და სამართლებრივ კონსოლიდაციას და სახელმწიფოთაშორისი და ზესახელმწიფოებრივი ინტეგრაციის სტრუქტურების შექმნას“ [9. 34].

დღეისათვის, ასეთი გაერთიანება, რომელიც ევრაზიული ინტეგრაციის ბირთვს წარმოადგენს, არის ევრაზიის ეკონომიკური კავშირი. ევრაზიულობის იდეა ახალი არ არის რუსეთის ისტორიისათვის და ის ვესტერნიზმისა და სლავოფილიზმის ალტერნატივად გამოჩნდა.

21-ე საუკუნეში კი, გლობალიზაციის პროცესების გავლენით, ევრაზიულობის კონცეფციამ განსხვავებული სახე მიიღო. ევრაზიის თეორიისა და ინტეგრაციის თანამედროვე მკვლევარები ნ. ვასილიევი და მ. ლ. ლაგუტინი თავის ნაშრომში გვთავაზობენ გამოვიყენოთ ტერმინი „ნეო-ევრაზიული სივრცე“, რადგან „ევრაზიის თანამედროვე სივრცე არ ჯდება საბჭოთა წარსულის ისტორიულ ჩარჩოებში და ტრანსნაციონალური პროცესების გავლენით ახალ სივრცულ და დროულ მონახაზებს იძენს“. „ნეოევრაზიული სივრცე“ განიხილება როგორც გლობალური რეგიონალიზაციის კონცეფცია, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი და „შუა სივრცის“ გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიზანია არა მხოლოდ სახელმწიფოთა ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტეგრაცია ინტეგრაციული ასოციაციების ფარგლებში, არამედ კავშირი ევროკავშირსა და აქტიურად განვითარებად აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებს შორის [11. 79].

რუს მეცნიერს პ.ნ. სავიცკის ეკუთვნის „შუალედური სახელმწიფოს" იდეა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთი არის განსაკუთრებული ცივილიზაციური ერთეული, რომელიც განისაზღვრება „შუალედურობის“ ხარისხით. სავიცკისათვის რუსეთის „შუალედურობა“ მისი ისტორიული იდენტობის საფუძველია. ის არც ევროპის ნაწილია და არც აზიის გაგრძელება, არამედ არის დამოუკიდებელი და განსაკუთრებული სულიერი და ისტორიული გეოპოლიტიკური რეალობა. „ევრაზია“ ამ კონტექსტში არ ნიშნავს მატერიკს ან კონტინენტს, არამედ რუსულ სივრცესა და რუსულ კულტურაში ასახულ იდეას [12], ისტორიულ პარადიგმას, განსაკუთრებულ ცივილიზაციას [13. 88].

უკვე XXI საუკუნეში რუსეთმა გადახედა თავის პოზიციას გეოპოლიტიკურ სივრცეში და აღარ არის ორიენტირებული ევროპისკენ, როგორც ეს მე-20 საუკუნეში იყო, არამედ ცდილობს შექმნას საკუთარი მიმართულება მსოფლიო ასპარეზზე საგარეო პოლიტიკის განვითარებისა და გაძლიერებისთვის. ასეთ მიმართულებად შერჩეულ იქნა მე-19 საუკუნის ევრაზიულობის იდეის გადახედვა და გარკვეული „შუალედური სახელმწიფოს“ შექმნა ინტეგრაციის ასოციაციის ფორმატში, რომელიც დაკავშირებდა ევროპასა და აზიას ეკონომიკური თვალსაზრისით.

ტერმინი „დიდი ევრაზია“, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გაგებით, შემოგვთავაზა ინგლისელმა მეცნიერმა მ. ემერსონმა 2013 წელს. მისი კონცეფცია „დიდი ევრაზიის“ შესახებ მოიცავს ევროპისა და აზიის ყველა ქვეყანას ევრაზიის სუპერკონტინენტზე და ეხება ერთობლივი ძალისხმევის საკითხებს სტრატეგიული უსაფრთხოების სფეროში, პოლიტიკურ იდეოლოგიებს, გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და მათ შორის არსებულ კულტურულ ღირებულებებს.

დიდი ევრაზიის ქვეყნებს შორის კავშირების განმტკიცება ხელს უწყობს მათ შორის მიმდინარე სხვადასხვა, ისეთი პროცესების გაჩენას: ტურიზმი, ვაჭრობა, მიგრაცია და ა.შ. და, მისი აზრით, ამ პროცესების სამართავად აუცილებელია დიდი ევრაზიის ყველა ქვეყნის კოლექტიური მონაწილეობა, რაც მიიღწევა ევროპისა და აზიის სხვადასხვა ინტეგრაციული ასოციაციების მეშვეობით [14. 18].

მ. ემერსონი გამოვიდა არა ერთიანი ინტეგრაციის სტრუქტურის შექმნის, არამედ ევროპული და აზიური ორგანიზაციების გარდაქმნის შემოთავაზებით ევრაზიულობის მხარდაჭერისა და კიდევ უფრო დიდი ღიაობის თვალსაზრისით [14. 30-31].

„დიდი ევრაზიის“ კონცეფცია გულისხმობს ევრაზიის რეგიონის აქტორებს შორის

ურთიერთობების დამყარებას, რაც დიდი ევრაზიული პარტნიორობის სახეს იღებს. დიდი ევრაზიული პარტნიორობა კი, თავის მხრივ, ასე განიმარტება: თავისუფალი სავაჭრო ზონების ქსელის შექმნა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაერთიანება ევრაზიის კონტინენტზე, რომლის მიზანია ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა ეკონომიკური ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმატებისა და ხარისხით [15].

ვლ. პუტინის ინიციატივა დიდი ევრაზიის ქვეყნების „ინტეგრაციის ინტეგრაცია" შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების, არამედ რეგიონალური ინტეგრაციის ასოციაციების ინტეგრაციას, როგორიცაა ევროკავშირი, EAEU და SREB. ამრიგად, დიდი ევრაზიული პარტნიორობის პროექტის განხორციელებით ჩამოყალიბდება მრავალდონიანი ინტეგრაციის მოდელი [16. 21].

მ. ემერსონის კონცეფციის შემუშავება განაგრძეს რუსმა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მეცნიერებმა: ს. კარაგანოვმა, ა. ლუკინმა, დ. ნოვიკოვმა და სხვებმა.

დიდი ევრაზიული პარტნიორობის შესახებ დისკურსი შეიძლება გაიყოს ორ - პოლიტიკურ და ეკონომიკურ - მიმართულებად. დიდი ევრაზიული პარტნიორობის პროექტის განხორციელება პოლიტიკური თვალსაზრისით გულისხმობს გარკვეული პოლიტიკური სტრუქტურების შექმნას და ურთიერთქმედებას სახელმწიფოთაშორის დონეზე [17], რაც ზენაციონალური პოლიტიკური სისტემების კომპლექსის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

რუსი მკვლევარის ს. კარაგანოვის მოსაზრებით „დიდი ევრაზია" ან „დიდი ევრაზიული პარტნიორობა" ორგანიზაციული თვალსაზრისით შეიძლება ეფუძნებოდეს რამდენიმე ისეთი პროექტის კოორდინაციას, როგორიცაა: EAEU, ASEAN, SCO და ევრაზიის სხვა ორგანიზაციები ცენტრალურ მმართველ ორგანოსთან. მისი აზრით, SCO-ს შეუძლია იმოქმედოს როგორც ასეთი კავშირი მუდმივ კომიტეტებთან და მოლაპარაკებების ფორუმებთან, რომლებიც შექმნილია სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის, ტექნიკური სტანდარტების კოორდინაციის, ფინანსური და უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. იგი ავითარებს თავის მოსაზრებას, რომ დიდი ევრაზია არის არა მხოლოდ მომგებიანი ეკონომიკური პროექტი, არამედ ამ რეგიონში განვითარების, თანამშრომლობისა და უსაფრთხოებისთვის შექმნილი საზოგადოება [18].

კიდევ ერთი რუსი მკვლევარისთვის, დ. ეფრემენკოსთვის, დიდი ევრაზია არის „გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ცვლილებების ფუნდამენტური პროცესი" ევრაზიის კონტინენტზე და აფრიკის კონტინენტის მიმდებარე ტერიტორიებზე [19].

რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რომ დიდი ევრაზიის ფორმირების პროცესი გარკვეული რისკები და საფრთხეები მოჰყვეს, თუმცა, რუსეთი იმედს ამყარებს იმაზე, რომ იქნება დაბალანსებული სისტემა ძალაუფლების რამდენიმე ცენტრით, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი - რუსეთი უნდა გახდეს [19].

ზემოაღნიშნული მიდგომებისაგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ა. ლუკინას და დ. ნოვიკოვას, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „დიდი ევრაზიის" ფენომენი ორ მიდგომას აერთიანებს. პირველი მიდგომა არის ის, რომ ევრაზიის სახელმწიფოებსა და რეგიონებს შორის კავშირების გაძლიერება და ურთიერთქმედება არის ობიექტური პროცესი, რომელიც განპირობებულია პოლიტიკური და სტრატეგიული ლოგიკით და არა ეკონომიკური (მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კავშირები იზრდება ევროპულ და აზიურ ნაწილებს შორის). ამის მიზეზი დასავლური პოლიტიკის უარყოფითი შედეგებია და შესაბამისად, ევრაზიის ქვეყნებს პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა მოუწიათ.

მეორე მიდგომის მიხედვით კი, დიდი ევრაზიის კონცეფცია უნდა განიხილებოდეს „როგორც რუსეთ-ჩინეთის დაახლოების შედეგი და მათი არაფორმალური კავშირის ფორმალიზების გზა", რამაც გამოიწვია მრავალი ფართომასშტაბიანი ინიციატივის შექმნა [20. 62-63].

ეკონომიკური თვალსაზრისით, ასეთი პროექტის განხორციელება გულისხმობს ბაზრისა და ეკონომიკური მექანიზმების დაახლოებას, ეკონომიკური ბარიერების მოხსნას დიდი ევრაზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად [174].

დიდი ევრაზიის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას, ამიტომ რუსი ეკონომისტი ე. ვინოკუროვი თვლის, რომ პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებში განსხვავება შეიძლება გახდეს დაბრკოლება შემდგომი

განვითარებისთვის და გვთავაზობს ამ პრობლემის მოგვარებას ორმხრივი ხელშეკრულებების ქსელის მეშვეობით. დიდი ევრაზიის განვითარების სტიმული შეიძლება იყოს არა მხოლოდ თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნა, არამედ ხელსაყრელი საინვესტიციო რეჟიმების შემოღება, რომელიც უფრო მეტ ქვეყანას, განსაკუთრებით კი აზიის ქვეყნებს. ხელსაყრელი ეფექტი ექნება იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ჩინეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და სამომავლოდ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან წვდომის თვალსაზრისით [21].

ეკონომიკური კომპონენტი დიდი ევრაზიული პარტნიორობის პროექტის განხორციელების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბობროვა, რომლის აზრითაც, EAEU თავისი საწვავით და ენერგიით, ტრანსპორტით და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურით შეიძლება გახდეს დიდი ევრაზიის პროექტის მთავარი საყრდენი [22. 99].

ევრაზიული პარტნიორობის განვითარების უპირატესობად შეიძლება მიიჩნეულ იქნას: თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. აღნიშნულია, რომ ასეთი განვითარება აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიისკენ უნდა წავიდეს, ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა SREB-თან კავშირი. საბოლოო ჯამში, დიდი ევრაზიული პარტნიორობა გადაიქცევა თავისუფალი სავაჭრო ზონების ქსელად, რომელიც სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორობის ერთობლიობას წარმოადგენს.

წარმოვიდგინოთ ევროკავშირის თვალსაზრისი დიდი ევრაზიის ჩამოყალიბებაზე, რომელშიც ის უმეტესწილად ხედავს ეკონომიკურ კომპონენტს. იმისდა მიხედვით, თუ რა პოზიციას დაიკავებს ევროკავშირი, დიდი ევრაზია შეიძლება გახდეს მისი პარტნიორიც და საფრთხეც.

2018 წლის სექტემბერში ევროპის საგარეო ურთიერთობების სამსახურმა წარმოადგინა თავისი სტრატეგიული პოზიცია ევრაზიის კონტინენტზე მზარდი ინტეგრაციის პროცესების შესახებ დოკუმენტში სახელწოდებით „ევროპისა და აზიის გაერთიანება - ევროკავშირის სტრატეგიის ძირითადი კომპონენტები“), რომელიც 2019 წლის 20 მარტს ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის, რეგიონების კომიტეტისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ ერთობლივად იქნა მიღებული. წარმოდგენილ ანგარიშში ევროკავშირი სწრაფად მზარდ გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს, როგორც თანამშრომლობის გაფართოებისა და უფრო ძლიერი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობას, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება არა მხოლოდ ვაჭრობის განვითარებაზე, არამედ სატრანსპორტო და ლოგისტიკის მიმართულებაზე ერთიანი ევროპა-აზიის სივრცის შექმნის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირი მზადაა ხელი შეუწყოს ინვესტიციების უზრუნველყოფას ევრაზიულ ინტეგრაციაში, მათ შორის აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე რეგიონული ენერგეტიკული ბაზრების შექმნაზე, კულტურული და სამეცნიერო ბირჟების გაფართოებაზე, რეგიონების იზოლაციის დაძლევაზე და ა.შ. [23].

ეს დოკუმენტი ევროკავშირის მიერ განიხილება, როგორც აზიის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების საგზაო რუკა. თუმცა, 2019 წლის მარტში, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ლუკა ჟაიერმა გამოთქვა თავისი აზრი ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ სტრატეგიაზე „ევროპასა და აზიის დაკავშირება…“. მან გააკრიტიკა აღნიშნული დოკუმენტი იმის გამო, რომ მასში არ არის ნახსენები ჩინური სარტყელი და გზის ინიციატივა, რომელიც გავლენას ახდენს სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარებაზე ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის, ინვესტიციების სფეროებში ჩინეთსა და ევროკავშირს შორის და ასევე მასში არ არიან ნახსენები სხვა ძირითადი რეგიონული მოთამაშეები - ინდოეთი, რუსეთი, ირანი, თურქეთი - და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, რომელიც მოიცავს როგორც ევროპის, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნებს და რომელიც შემდგომ გაფართოებას ცდილობს [24].

ამ დოკუმენტის გაანალიზების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროკავშირის სტრატეგია ევრაზიის ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით ბოლომდე არ არის შემუშავებული, რადგან ბევრი ძირითადი სფერო აკლია: არ არის ნახსენები კონკრეტული პროექტები, მათ შორის ინტეგრაციის ასოციაციები, როგორიცაა EAEU, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სატრანსპორტო მიმართუ-

ლების განვითარებაში; ჩინეთთან დაკავშირებით, პოზიცია წარმოდგენილია მხოლოდ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ჩინეთის სარტყელი და გზის ინიციატივის ხსენების გარეშე; არ არსებობს ევროკავშირის პოზიცია რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროკავშირის პოზიცია წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, ევროკავშირი გამოთქვამს მზადყოფნას გააღრმავოს თანამშრომლობა აზიის რეგიონში, მეორე მხრივ, არ არის განსაზღვრული დამოკიდებულება EAEU-სა და ჩინეთის ინტეგრაციის პროექტების მიმართ, რომელთა გარეშე შეუძლებელია ყოვლისმომცველი ურთიერთქმედების განხორციელება.

არ არსებობს დიდი ევრაზიული პარტნიორობის აგების ერთი კონცეფცია, მაგრამ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ მისი ჩამოყალიბების რამდენიმე მიდგომა: დიდი ევრაზია არის რამდენიმე პროექტის კოორდინაცია (ASEAN, SCO, EAEU), რომელთა ცენტრალური რგოლი შეიძლება. იყოს SCO;

- დიდ ევრაზიას ექნება რამდენიმე ძალაუფლების ცენტრი, რომელთაგან ერთ-ერთი იქნება რუსეთი;
- დიდი ევრაზია რუსეთ-ჩინეთის დაახლოების შედეგია და საფუძველი იქნება მრავალი ინიციატივა, რომელიც განხორციელდება ევრაზიულ სივრცეში;
- დიდი ევრაზია არის ევრაზიული სივრცის ეკონომიკური ინტეგრაცია თავისუფალი სავაჭრო ზონების ქსელის შექმნით.
- ევრაზიული ინტეგრაცია, მათ შორის დიდი ევრაზიული პარტნიორობის შექმნის კონტექსტში, შეიძლება განიმარტოს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

VERIKO BALUKHASHVILI

THE CONCEPT OF EURASIAN INTEGRATION OF RUSSIA AND THE EUROPEAN UNION

Summary

In the conditions of the transformation of the modern world system, many states of the world strive for integration, as they believe that this is an effective mechanism not only for ensuring the stable economic development of the country, but also for promoting political and economic relations with the member states of the union.

The article discusses the concept of the Eurasian Union of Russia and the attitude of the European Union towards it.

Key words: *Eurasian Union, European Union, integration. Russia. Russian foreign policy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М.: Изд-во Фонд экономической книги «Начала», 1997.
2. Arrow K. Economic integration and the future of the nation state // Contemporary Economic Policy. № 11 (2). July, 2007.
3. Маршалл А. Принципы экономической науки: [пер. с англ.]. М.: Прогресс, 1993.
4. Мюрдаль Г. Современные проблемы «третьего мира»: [сокр. пер. с англ.] / общ. ред. д-ра экон. наук, проф. Р. А. Ульяновского. М.: Прогресс, 1972. 767 с.
5. Огнева В. В. Внешний вектор евразийской интеграции: траектории развития // Известия Юго-Западного государственного университета. Серия: История и право. 2020. Т. 10, № 5. С. 129
6. Лагутина М.Л. Глобальный регион как элемент мировой политической системы XXI века (на примере Евразийского Союза). Санкт-Петербург. 2016.
7. Liviu C. Andrei. The economic integration: concept and end of process // Theoretical and Applied Economics Volume XIX (2012), No. 10 (575).

8. Европейская интеграция: учебник / под ред. О.В. Буториной. – М.: Издательский Дом «Деловая литература», 2011.
9. Фролов В.Е. Политические аспекты интеграционных процессов в евразийском регионе // Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук, Санкт-Петербург. 2015
10. Васильева Н. А. Глобальный Евразийский регион: опыт теоретического осмысления социально–политической интеграции. СПб, 2012.
11. Васильева Н.А., Лагутина М.Л. Концепт «Евразийский экономический союз» как новая интеграционная парадигма // Управленческое консультирование. № 10. 2013.
12. Зеленева И. В. Специфические черты российской цивилизации // Проблемный анализ и государственноуправленческое проектирование. № 3. С. 115-123. 2013.
13. Дугин А.Г. Геополитика России: Учебное пособие для вузов. — М.: Академический Проект; Гаудеамус, 424 с. 2012.
14. Emerson M. Towards a Greater Eurasia: Who, Why, What and How? // Global Journal of Emerging Market Economies. Vol. 6. № 1. 2014.
15. Кофнер Ю. Большая Евразия: география и геополитика Большой Евразии // РСМД. 10 мая 2018 https://russiancouncil.ru/blogs/GreaterEurasia/geografiya-i-geopolitika-bolshoy-evrazii/
16. Аникин В.И. О роли и возможностях России, ЕАЭС, Китая в реализации проекта «Большого евразийского партнерства» // Большая Евразия: Развитие, безопасность, сотрудничество. Ежегодник. Вып. 2. Ч. 2. 2018.
17. Brou D.,Ruta M. Economic Integration, Political Integration or both? Journal of the European Economic Association. 2011. № 9(6).
18. Karaganov S. From East to West, or Greater Eurasia // Russia in Global Affairs. 25.10.2016 https://eng.globalaffairs.ru/articles/from-east-to-west-or-greater-eurasia
19. Efremenko D. The rise of the Greater Eurasia // Russia in Global Affairs. 2016. http://www.globalaffairs.ru/number/Rozhdenie-Bolshoi-Evrazii-18478
20. Лукин А.В., Новиков Д.П. От Большой Европы к Большой Евразии: что несет миру коренной геополитический сдвиг // Восток. Афро-азиатские общества: история и современность. № 5. 2019.
21. Vinokurov E. EAEU and ASIAN Countries: Plans, Prospects and Challenges // Valdai Discussion Club. 16.12.2016 https://valdaiclub.com/a/highlights/eaeu-and-asian-countries-plans-prospects/
22. Боброва В.В. Большое пространство Евразии: возможности, ограничения, риски // Азимут научных исследований: экономика и управление. Том 8. №3 (28). 2019. С. 99
23. Connecting Europe and Asia – Building blocks for an EU Strategy. Joint Communication to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee, the Committee of the Regions and the European Investment Bank, Brussels // EUR-Lex. 19.09.2018 https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52018JC0031&from=EN
24. Peel J. OPINION of the European Economic and Social Committee // European Economic and Social Committee. REX/505. March 20, 2019 https://www.eesc.europa.eu/en/our-work/opinions-informationreports/opinions/connecting-europe-and-asia-building-blocks-eu-strategy/timeline

მარიამ ჩივაძე

*წარმოადგინა პროფ. **ჰენრი კუპრაშვილმა***

რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენი

კრემლის წარმოებულ პოლიტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სამხედრო და ჰიბრიდული ომის მეთოდები განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და რეალურად მათი განცალკევება არ შეიძლება. რუსეთი წლების განმავლობაში ამზადებდა იდეოლოგიურ საფუძველს და შესაბამის ისტორიულ ნარატივს უკრაინაში შეჭრის ლეგიტიმაციისთვის. ამრიგად, ისტორიას რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და შესაბამისად უნდა აისახოს პოლიტიკურ ანალიზშიც. უკრაინის შემთხვევა კი, ბუნებრივია, განსაკუთრებით სამაგალითო და რელევანტურია დანარჩენი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლებმაც დემოკრატიული ტრანსფორმაცია და დასავლური ინტეგრაცია დაისახეს სტრატეგიულ მიზნად. საქართველოსთვის უკრაინაში აგრესიული შეჭრის შემთხვევა და ისტორიული ნარატივების ინსტრუმენტალიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე აკადემიისა და სახელისუფლებო ძალების მხრიდან.

საბოლოო ჯამში, რუსეთი კვლავ ცდილობს კონკურენცია გაუწიოს დასავლეთს და სხვადასხვა რეგიონში გააძლიეროს თავისი გავლენა. ამ კუთხით საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს თავისი გეოპოლიტიკიდან გამომდინარე. დასავლეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონის მილიტარიზაცია და აქ რუსეთის გავლენის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, თუმცა ამერიკა ვერ ახერხებს მოსკოვთან პირდაპირ კონფრონტაციაში შესვლას მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. შესაბამისად, ცდილობს გაატაროს პრაგმატული პოლიტიკა და არ გაამწვავოს ურთიერთობა, ხოლო ამის საპირისპიროდ განახორციელოს თავისი მიზნები და გაავრცელოს დემოკრატიული ღირებულებები.

საკვანძო სიტყვები: *ჰიბრიდული ომები, გეოპოლიტიკა, რუსეთის საგარეო პოლიტიკა, პოსტსაბჭოთა ქვეყნები.*

2013 წლის 27 თებერვალს ერთ-ერთ რუსულ თავდაცვის ჟურნალში გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვის სტატია სამეზობლოში რუსეთის ქცევის მოდელის კონცეფციის თაობაზე, რომელსაც ჩვენ „გერასიმოვის დოქტრინად“ მოვიხსენიებთ. სტატიის გამოქვეყნება დროში დაემთხვა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას [1].

ამ სტატიამ კარგად დაგვანახა სახეცვლილი რუსული ომის არსი. გერასიმოვი არაბული გაზაფხულის მაგალითზე განმარტავს, თუ როგორ შეიცვალა ომის წესები და როგორ არის შესაძლებელი „წარმატებული სახელმწიფოც კი, რამდენიმე თვეს ან დღეშიც კი, იქცეს კონფლიქტურ ზონად, უცხოური ინვესტიციების მსხვერპლად და აღმოჩნდეს ქაოსში, ჰუმანიტარულ კატასტროფასა და სამოქალაქო ომშიც კი“ [2]. ამ ყველაფრისთვის კი, სრულებით არ არის საჭირო უხეში ძალის გამოყენება, პოლიტიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ინსტიტუციების მობილიზებაც კი სავსებით საკმარისია მოსახლეობაში საპროტესტო სეგმენტთან კოორდინაციისთვის [2].

გერასიმოვი „არაბული გაზაფხულის“ მაგალითზე აღწერს უკრაინაში განხორციელებული ქმედებების თანმიმდევრობას და ამით ასაბუთებს ამ ტიპის ოპერაციის მიზნებს. რუსი გენერლის თანახმად, მსგავსი ოპერაციების მიზანს უნდა წარმოადგენდეს „მუდმივმოქმედი ფრონტის შექმნა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე“ [2]. ანუ ისეთი სახის ქაოსის შემქნა, რომელიც ოპონენტის სახელმწიფოებრიობის შერყევის გზით გახდის მას ქმედუუნაროს. აღნიშნული დოქტრინის არსი ძირითადი იდეა შემდეგია, თანამედროვე ომში ბრძოლის უმთავრესი სამიზნე ადამიანების გონებაა, შესაბამისად უნდა მოხდეს აქცენტის გაკეთება საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომზე, რაც გულისხმობს მტრის შეიარაღებული ძალებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ფსიქოლოგიურ გატეხვას, ამის შემდეგ ძალისმიერი მეთოდებისათვის მიმართვა აღარ არის საჭირო. ლატვიის ეროვნული სამხედრო

აკადემიის მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის თანახმადაც „მთავარი ამოცანა არის სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმამდე შემცირება იმით, რომ ოპონენტის სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობას უბიძგო, მხარი დაუჭიროს თავდამსხმელს საკუთარი ხელისუფლების და ქვეყნის საზიანოდ“ ამის საუკეთესო მაგალითი კი არის, რუსეთის სამხედრო ოპერაცია ყირიმში. მათ მოახერხეს გაეტეხათ მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების მორალური სული ისე, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო აღარ გახდა უხეში ძალის გამოყენება [3. 4].

რუსეთის ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელია ომსა და მშვიდობას შორის ზღვარის მიზანმიმართული წაშლა. ხოლო, ომის მდგომარეობასა და მშვიდობიანობას შორის ზღვარის გაბუნდოვანება შესაძლებლობას აძლევს რუსეთის ხელმძღვანელობას „შეარყიოს და გაანადგუროს სახელმწიფოები პირდაპირი, ღია და ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის გარეშე“ [2]. ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებულმა აგრესიამ მკაფიოდ აჩვენა, რომ სტრატეგიული ამოცანების განხორციელებაში მოსკოვი სულ უფრო აქტიურად იყენებს პოლიტიკურად ფოკუსირებული ოპერაციების ახალ ფორმებს [2].

ე.წ. გერასიმოვის დოქტრინაში არანაკლებ ყურადსაღები ელემენტია პერმანენტული ომის ცნება, რომელიც მუდმივი მტრის იდეას გამოხატავს. მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის ხელმძღვანელობისთვის კონკრეტულად არც საქართველო და არც უკრაინა არ არის ძირითადი მტერი, მიზანი უფრო გლობაურია, შეარყიოს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს მიღწევები იმით, რომ აშშ-ს როლის ევრო-ატლანტიკური გაფართოებული უსაფრთხოების არქიტექტურაში დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ. სწორედ ეს არის კრემლის უმთავრესი ამოცანა, რაც ხსნის იმ თანამედროვე ომის ბუნების ტრანსფორმაციას, რაზეც გერასიმოვი საუბრობს. გრძელვადიანი კონფლიქტები ომსა და მშვიდობას შორის ზღვარს თითქმის აქრობს, ეს ყოველივე კი რუსეთს ხელს უწყობს პირდაპირი ძალისმიერი შეტევის გარეშე დაამხოს მეზობელ არეალში მდებარე ქვეყნების პროდასავლური ხელმძღვანელობები [4].

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს სამხედრო აგრესია. სხვა ელემენტები მოიცავს:

1. პროპაგანდა, რომელიც ეფუძნება სიცრუესა და გაყალბებას;
2. სავაჭრო და ეკონომიკური ზეწოლა;
3. ენერგო ბლოკადა;
4. უკრაინის მოქალაქეების ტერორი და დაშინება;
5. კიბერშეტევები;
6. უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული საბრძოლო მოქმედებების მტკიცე უარყოფა მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით უტყუარი მტკიცებულებები ამტკიცებდა საწინააღმდეგოს ;
7. პრო-რუსული ძალების და სუსტი (მხოლოდ ფორმალურად დამოუკიდებელი) ქვეყნების საკუთარ ინტერესების შესაბამისად გამოყენება;
8. საკუთარი დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება.

არასამხედრო საშუალებების მნიშვნელოვანება სულ უფრო აძლევს რუსეთს იმის საშუალებას, ეჭვქვეშ დააყენოს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტების გადაწყვეტილების მიღების სისტემები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მზად ანონიმურ საფრთხეებს გაუმკლავდნენ. ფარული სახით შეტევების განხორციელების საშუალება, ხელს აძლევს რუსეთის მთავრობას აწარმოოს ისეთი კამპანია, რომელიც შენიღბავს სამხედრო ჩართულობის მასშტაბებს.

გერასიმოვს მაგალითად მოჰყავს ამერიკისა და ნატოს ეგიდით განხორციელებული ოპერაციები სხვადასხვა წერტილში (ერაყი, ლიბანი, სპარსეთის ყურე) და ამის საფუძველზე გამოაქვს დაკვნა, რომ ტრადიციული მეთოდების სიძლიერის საზომს გარდა, რაც მოიცავს სამხედრო დანაყოფების შეიარაღების, რაოდენობის და მომზადების დონის, ეკონომიკურ მაჩვენებლების და ა.შ გაზომვას, უნდა დაეთმოს ყურადრება ისეთ საკითხებს, როგორებიც არის კულტურული, დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორები, ჰუმანიტარული ინტერვენცია კი უნდა განიხილებოდეს არაკონვენციური ოპერაციების ჭრილში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერასიმოვი ხელს იშვერს ამერიკისა და ნატოსკენ, როგორც არაბული გაზაფხულის მიღმა მდგომი ძალებისკენ, თუმცა ამას ღიად არ აცხადებს. ის ამბობს, რომ ამ ძალების ჩარევამ მოიტანა შიდა არეულობა, ქაოსი და ჰუმანიტარული კატასტროფა [5].

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ინიციატივების გეოპოლიტიკის ჭრილში შეხედვის შემდეგ, რუსმა ნეოკონსერვანტებმა შეიმუშავეს აგრესიული საგარეო პოლიტიკა იმისათვის, რომ აღედგინათ საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული დანაკარგები, განსაკუთრებით რუსეთის საზღვრის პერიფერიებში.

იმისათვის, რომ რუსეთს უკან დაებრუნებინა თავისი გავლენა, (აღმოსავლეთის მიერ ხელყოფილი), ე.წ. სილოვიკების (ძალოვანი პირების) მოქმედ თაობას მეცნიერულ დონეზე შეასწავლა არაკონვენციური ომის წარმოება და დაახელოვნა მულტიდისციპლინარული ხელობით, მათ შორის: სარგებლის მიღება მოტყუებით ან დაფარვით, ფსიქოლოგიური მანიპულირებით, ინფორმაციის დომეინების კონტროლით, ეს მიდგომა კი მნიშვნელოვან საფრთხეს (უქმნის) წარმოადგენს დასავლეთის უსაფრთხოებისათვის. ჰიბრიდულ ომში მოწინააღმდეგის დამორჩილების არასამხედრო საშუალებები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სამხედრო საშუალებები, ან ზოგ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანიც კი. გერასიმოვის თანახმად, „პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში არასამხედრო საშუალებების როლი გაიზარდა და თავისი ეფექტურობით ამ საშუალებებმა, ბევრ შემთხვევაში, იარაღის ძალასაც კი გადააჭარბა“ [5].

ეს არის ის ძირეული ცვლილება, რომელსაც თანამედროვე ომის ტრანსფორმირებად ხასიათში ვხედავთ. რუსეთის თანამედროვე სტრატეგია ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მოწინააღმდეგის სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევა ყველაზე კარგად არასამხედრო საშუალებებით მიიღწევა. შედეგად, სამხედრო მეთოდების გამოყენება აღარ არის აუცილებელი. დღეს ვხედავთ, რომ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად რუსეთი აქტიურად იყენებს ეროვნული ძალის არასამხედრო იარაღს. ამასთან, ვხედავთ, რომ არალოიალური მეზობლების დასამორჩილებლად არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობა გაიზარდა, რისი ნათელი მაგალითია რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინაში.

რუსული ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებების გამოყენებაა. სწორედ ყირიმში, რუსული სამხედროები მოქმედებდნენ ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, „შენიღბული სახეებით, ფარული მართვითა და კონტროლით, ფარული ბრძანებებით, მაგრამ უდავოდ რუსეთის ფედერაციისათვის მიზნების მისაღწევად“ [6].

სამხედრო ოპერაციებში ისეთი ძალების გამოყენება, რომლებსაც ამოსაცნობი ნიშნები არა აქვთ, შესაძლებლობას აძლევს მოსკოვს, უარყოფის აქტიური კამპანია აწარმოოს, რომლის მიზანია, შენიღბოს მისი სამხედრო ჩარევის მასშტაბი. მაგალითად, 2015 წლის 16 აპრილს, ტელევიზიით გამოსვლისას, პუტინმა საჯაროდ უარყო რუსული სამხედრო შენაერთების ყოფნა უკრაინაში [7].

ფაქტებით ასეთი მანიპულირება რუსეთს შესაძლებლობას აძლევს, ნეიტრალური მედიატორის როლი ითამაშოს კონფლიქტისშემდგომ მოლაპარაკებებში. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ასეთი საშუალებების აქტიური გამოყენება კი ომის წარმოების ჩვეულ მოდელს ცვლის. ისტორიულად, არაკონვენციურ მეთოდებს კონფლიქტში მონაწილე სუსტი მხარე იყენებდა მოწინააღმდეგის დიდ უპირატესობასთან გასამკლავებლად და კონფლიქტიც ღვივდებოდა. რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში, იმის ნაცვლად, რომ არაკონვენციური მეთოდები სუსტმა მხარემ გამოიყენოს, მათ კონფლიქტში უპირატესობის მქონე მხარე იყენებს [8].

გერასიმოვის დოქტრინის თანახმად, „ახალი თაობის ომი“ გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

ა) სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიან პერიოდში, ანუ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის; ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ნაცვლად, კონფლიქტი ხასიათდება მცირე მასშტაბის, ლოკალური შეტაკებებით;

ბ) ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების და შეიარაღებული სამოქალაქოების გამოყენებას;

გ) ბრძოლა მიმდინარეობს არა სამ, არამედ ოთხ სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე.

„გერასიმოვის დოქტრინაში“ ნოვატორულია რამდენიმე ასპექტი: პირველ რიგში, ე.წ. ჰიბრიდული ომის მთავარ სამიზნედ არა მეორე მხარის შეიარაღებული ძალები, არამედ მისი მშვიდობიანი მოსახლეობა ხდება. ამ დოქტრინის მიხედვით, მომავალ ომებში აღარ იქნება არც ფრონტის ხაზი, არც ზურგი, საომარი თეატრი კი თვით საზოგადოება იქნება. გერასიმო-

ვის დოქტრინის მიხედვით, აგრესორი ქვეყნის მიზანი იქნება მტერი ქვეყნის ერის ერთიანობის დარღვევა, რათა მოახდინოს მოსახლეობის აქტიური ნაწილის ნების გატეხვა. ასე რომ, თუ წარსულში მნიშვნელოვანი იყო მტერი ქვეყნის ტერიტორიის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება, მომავლის კონფლიქტში მთავარი ხდება მტერი ქვეყნის მოსახლეობის „ტვინის რეცხვა“ და მისი ნების დამორჩილება [8].

ამ მიზნის მისაღწევად აქცენტი კეთდება ისეთ არასამხედრო არსენალზე, რომელიც საერთაშორისო კანონის „რადარის“ მიღმა რჩება: ვინაიდან ლეგალურ ზეწოლასა და არალეგალურ აგრესიას შორის ზღვარი წაშლილია, ბუნდოვანია სიტუაცია იმის შესახებ, არის თუ არა სახელმწიფო ომის მდგომარეობაში, დაარღვია მან თუ არა საერთაშორისო სამართალი... ამ სიტუაციაში, აგრესიის მსხვერპლი ქვეყანა სტრატეგიის გარეშე რჩება; იგი ვერ ხვდება, რომ ომი მიმდინარეობს და მშვიდობიან სტრატეგიას დროულად არ ცვლის ომის სტრატეგიით.

„ჰიბრიდული ომის“ წარმოებისას სამიზნე ქვეყნის გრავიტაციის ცენტრს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. შესაბამისად, თავდამსხმელმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. სხვა შემთხვევაში, „ჰიბრიდული ომის“ წარმოება ფაქტობრივად შეუძლებელია. პროპაგანდისა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებით, ხდება სამიზნე ქვეყნის ეთნიკურ ჯგუფებში, პოლიტიკურ ელიტასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დაპირისპირების გაღვივება [9]; [10].

პარალელურად, ხორციელდება საინფორმაციო სივრცის მომზადება შიდა და საერთაშორისო აუდიტორიისთვის: მაგალითად, 2013 წლის ბოლოს, კიევში დაწყებული საპროტესტო აქციების პარალელურად, რუსულმა მედიასაშუალებებმა გააააქტიურეს კამპანია უკრაინის ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. რუსული პროპაგანდა მათ წარმოაჩენდა ულტრა-რადიკალებად/ფაშისტებად/რუსოფობებად, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლით საფრთხე იქნებოდა უკრაინაში მცხოვრები რუსებისთვის. ამით რუსულმა პროპაგანდამ ანტი-უკრაინულად განაწყო საკუთარი მოსახლეობა და, რაც მთავარია, გააღვივა ახალი ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების მოსახლეობაში [11].

ერთ-ერთი ჟურნალისტის განცხადებით, რომელიც უკრაინაში იყო მივლინებული მიმდინარე პროცესების გასაშუქებლად ამბობს, რომ ის იყო შოკირებული როდესაც რუსულ არხებს უყურებდა, ვინაიდან რუსული მედია სავსე იყო ე.წ. „ფეიქ ნიუსებით“. რუსეთის არმიის გადაიარაღებისა და სამხედრო პოტენციალის გაზრდის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს ახალი თაობის ომის წარმოების მეთოდების ათვისება, რისი გამოცდისა და სრულყოფის ოპტიმალურ სივრცედაც იქცა უკრაინა. ტექნიკური საშუალებების განვითარება და არსებულის კონტროლი მინიმუმ სამი მიმართულებით ხდება:

- დაინსტერესების ქვეყანაში მართვადი საკომუნიკაციო სივრცის, სამაუწყებლო არხების შექმნა და სოციალურ ქსელებში დომინირება პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობის განცდის დათესვის მიზნით;
- პრორუსული პოლიტიკური პარტიების თუ ჯგუფების საინფორმაციო მხარდაჭერის კიბერარხების შექმნა პრორუსული ელიტის ჩამოყალიბების მიზნით; განწყობის დანერგვა, რომ პრორუსული ძალები შესაძლოა მოხვდნენ პარლამენტში ან მთავრობის ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობა;
- სოციალური ქსელებისა თუ კიბერსივრცის სხვა სეგმენტის გამოყენება ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, განსაკუთრებით მეზობლებთან ურთიერთობის კონტექსტში, რამაც შესაძლოა დააზიანოს სტრატეგიულ პარტნიორებთან ან მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა და აგრესიის შემთხვევაში გაართულოს პოლიტიკური თუ სხვა სახის მხარდაჭერის მიღება [9].

„ჰიბრიდული ომზე“ საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება, რუსეთის მიერ დამკვირდებულ ორ საინტერესო ტენდენციაზე. პირველი, ის რომ ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტებისთვის არც თუ მარტივია, დაუპირისპირდნენ ჰიბრიდული საფრთხეების მიერ გაჩენილ გამოწვევებს. ამ ინსტიტუციების მიერ საპასუხო გადაწყვეტილების მიღების სისტემა ძალიან ეფექტიანია, როცა საქმე ეხება ადვილად ამოსაცნობ საფრთხეებს. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს არასამხედრო ხასიათის გამოწვევებთან და შესაბამისად, რთულად ამოსაცნობ მოვლენასთან, ბევრად უფრო რთულია პასუხის შემუშავება და ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა. ბოლო ხანებში პრესა აქტიურად წერს, რომ თუ, „მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები

ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დაწესებულ ზღვარს გადალახავს". მოსკოვის სტრატეგია კი ზუსტად ამ სისუსტეების საკუთარ სიძლიერედ გამოყენებას გულისხმობს. მეორე, რუსებისთვის არასამხედრო საშუალებებით ბრძოლის მეთოდები უპირატეს მეთოდადაც იქცა თავიანთი სტრატეგიული ამოცანის განსახორციელებლად, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს საფუძვლის შერყევას გულისხმობს, რის შემდგომაც სამხედრო საშუალებების გამოყენება ან აღარ არის საჭირო ან ნაკლებ რელევანტურია.

MARIAM CHIVADZE

THE PHENOMENON OF RUSSIAN HYBRID WARFARE

Summary

Regarding the Kremlin's policy, it can be said that Russia's military and hybrid counter struggle are inseparably determined and in reality they cannot be separated.For years, Russia has been preparing an ideological basis and a corresponding historical narrative to legitimize its invasion of Ukraine. Thus, history has an important place in the production of Russia's foreign policy and should be reflected in the political analysis accordingly. The case of Ukraine is, naturally, particularly exemplary and relevant for the rest of the post-Soviet countries, which have set democratic transformation and Western integration as a strategic goal. For Georgia, the case of aggressive invasion of Ukraine and the instrumentalization of historical narratives deserve special attention from both civil society, academia and government forces.

Ultimately, Russia is still trying to compete with the West and strengthen its influence in various regions. In this regard, Georgia is one of the most important countries due to its geopolitics. For the West, the militarization of the South Caucasus region and the growth of Russia's influence here is a significant challenge, although America is unable to enter into a direct confrontation with Moscow due to many factors. Therefore, it tries to pursue a pragmatic policy and not to escalate the relationship, and instead to implement its goals and spread democratic values.

***Key words**: hybrid wars, geopolitics, Russian foreign policy, post-Soviet countries.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Coalson, R., Top Russian General Lays Bare Putin"s Plan for Ukraine, The World Post, September 2. 2014, https://www.huffpost.com/entry/valery-gerasimov-putin-ukraine, გადამოწმებულია - 11.10.2022.
2. Galeotti, M., The „Gerasimov Doctrine" and Russian Non-linear War, 2014, https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/ გადამოწმებულია - 11.10.2022.
3. Berzins, J., Russia"s New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014.
4. ჰიბრიდული ომი, როგორც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევა და ნატოს სტრატეგიული კონცეფცია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, https://openscience.ge/bitstream/1/1656/1/Ana%20Akhvlediani%20Samagistro.pdf გადამოწმებულია - 12.10.2022.
5. Gerasimov V., „The Value of Science is in the Foresight: New Challenges Demand Rethinking the Forms and Methods of Carrying Out Combat Operations", Voyenno-Promyshlennyy Kuryer Online. 2013.
6. Washington Post, March 9, 2014 (ბოლოს ნანახია 11.10.2022)
7. https://www.radiotavisupleba.ge/a/putinis-mimartva/26962015.html (ბოლოს ნანახია: 02.02.2022)
8. ნორვეგიის თავდაცვის მინისტრი, ინე ერიკსენ სორაიდე, მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2015. (ბოლოს ნანახია 11.10.2022)
9. გოცირიძე ა., „რუსეთის კიბერშეტევები - მზარდი საფრთხე საქართველოსათვის", (ექსპერტის აზრი) https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/95-expert-opinion-geo.pdf. - 11.10.2022.
10. საკანდელია თ., „რუსეთის ჰიბრიდული ომის საქართველოსა და პოლონეთის წინააღმდეგ", https://gsac.ge/wpcontent/uploads/2020/12/ გადამოწმებულია - 11.10.2022.
11. „ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში", 10.07.2017, http://eugeorgia.info/ru/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/ გადამოწმებულია - 02.10.2022.

თეონა ჩარკვიანი
წარმოადგინა ასოც. პროფ. ედიშერ ჯაფარიძე

ევროკავშირის ქვეყნების საემიგრაციო პოლიტიკა და ქართველთა შრომითი მიგრაცია

თანამედროვე მსოფლიო მრავალი გლობალური გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა შორის მასობრივი ემიგრაციაც მოიაზრება. აღნიშნულმა საკითხმა განსაკუთრებული აქტივობა შეიძინა ბოლო წლებში განვითარებული პანდემიის ფონზე, ვინაიდან ამ ახალმა რეალობამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა მრავალი ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკაზე. ზოგადად, მიგრაციული ნაკადები გავლენას ახდენს მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ეთნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ კუთხით იზრდება პოლიტიკური და მმართველობითი გადაწყვეტილებების როლი, რომლებიც მიმართულია პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნებაზე. მიგრაცია ხდება პოლიტიკური კონტროლისა და რეგულირების ობიექტი, მაგრამ მათი სათანადო ეფექტიანობის მიღწევა შეუძლებელია მეცნიერული ცოდნის შესაბამისი სფეროების განვითარების გარეშე.

ემიგრაციას ვერც ქართველები გადაურჩნენ და ქვეყნიდან მოსახლეობის ყველაზე ფართომასშტაბიანი გადინება მე-20 საუკუნეში დაფიქსირდა, ხოლო 2020 წლიდან მთავრობა აქტიურად უწყობს ხელს ემიგრაციაში წამსვლელთა საზღვარგარეთ ლეგალურად დასაქმებას. თანამედროვე საქართველოს ემიგრანტთა პრობლემა ქვეყანაში შექმნილი მწვავე ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც მათდა სავალალოდ დღითიდღე უარესდება და მძიმდება აქ დარჩენილი მათი ოჯახების ყოფაც. მასობრივი ემიგრაცია, რაც თანამედროვე ეტაპზე აღინიშნება საქართველოში, მთლიანად განპირობებულია უმუშევრობითა და სიღატაკით. შესაბამისად, ქართველთა ემიგრაციიის ძირითადი მახასიათებელია - შრომითი ემიგრაცია. სულ სხვაა, რამდენად მოქმედებს ქართულ ეკონომიკაზე ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი უცხოური ვალუტა და რამდენად სასიკეთოდ აისახება ამდენი ადამიანის გადინება დემოგრაფიულ სურათზე.

საკვანძო სიტყვები: *მიგრაცია, ევროკავშირის საემიგრაციო პოლიტიკა, ქართული ემიგრაციული პროცესები, შრომითი მიგრაცია.*

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც 1951 წელს დაარსდა და მისი წევრები არიან სახელმწიფოები და საერთაშორისო და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები. ორგანიზაციის საქმიანობაა: მიგრაციის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტა და ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა მიგრანტებისთვის, მათ შორის ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის [1].

ევროკავშირში განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური თანამშრომლობის წახალისების მიზნით, შეიქმნა ასოცირების ხელშეკრულება. იგი წარმოადგენს დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის ხელშემწყობ დოკუმენტს. ვაჭრობის გამარტივება და ევროპული ინვესტიციების ზრდა სამომავლოდ სასიკეთოდ აისახება ამ ქვეყნების განვითარებაზე. თუმცაღა, ევროკავშირი ვერ ახერხებდა ემიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებში ერთდროულად ეწარმოებინა ბიზნესის დაფინანსებაც და მიგრაციული პოლიტიკის მართვაც.

სამუშაო ძალის საჭიროებიდან გამომდინარე ევროპის სხვადასხვა ქვეყანა კანონმდებლობის ლიბერალიზაცის მეშვეობით ხელს უწყობს მათ დასაქმებას, რადგან ისინი მინიმალურ ხელფასზე დაბალ ფასად შრომობენ. საბოლოოდ, ევროკავშირის მიგრაციის მართვის პოლიტიკა მოიცავს რეგულარიზაციის პროგრამებსა და მექანიზმებს. ცალკეულ ქვეყნებში რეგულარიზაცია წარმოადგენს არალეგალური მიგრანტებისაგან თავის დაცვის საშუალებას, მისი ძირითადი მიზნებია:

- გააკონტროლოს მიგრაციული პროცესები და შეამციროს არალეგალური მიგრანტების რაოდენობა;
- გააუმჯობესონ მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც

აისახება ქვეყნის ზოგად მდგომარეობაზე, თუ მიგრანტების რიცხვი მნიშვნელოვნად მაღალია;

- გაზარდონ სამუშაო ბაზრის გამჭვირვალობა და ებრძოლონ უკანონო დასაქმების პრობლემას.

რეგულარიზაციას, შესაძლოა, ერთდროულად ჰქონდეს უარყოფითი და დადებითი შედეგიც. დადებით კონტექსტში ხელისუფლება მიგრანტთა შესახებ ინფორმაციებს მოიპოვებს. მისი მიზანია ქვეყანაში ჭარბი რაოდენობის არალეგალური მიგრანტების არსებობის შემთხვევაში მათთვის კანონიერის სტატუსის მინიჭება. ამ პროგრამის უარყოფითი გამოვლიება შესაძლოა იყოს ქვეყანაში არალეგალი მიგრანტების მომრავლება [2].

არალეგალური ემიგრაციის მასშტაბების ზრდას, ევროპის ისეთ ქვეყნებში როგორიც, მაგალითად, საფრანგეთი და გერმანიაა (რომლებსაც საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში ჰყავთ შეყვანილი) საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნის რიცხოვნობის ზრდით საქართველოც გამოირჩევა, მიგრაციის პროფილის კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ყველაზე მეტი არალეგალი გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში გამოვლინდა [3. 10].

მიგრაციის ხელშემწყობი პოლიტიკის გამტარებლები არიან სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნები. ასეთ მაგალითად, შესაძლებელია განხილულ იქნეს ფილიპინები, ქვეყანა, რომელიც ცნობილია ძალიან პრაქტიკული მიდგომით, რაც გამოიხატება რეკრუიტინგის სააგენტოების ლიცენზირებაში, მისი მუშაკების მარკეტინგში მთელ მსოფლიოს მასშტაბით და გამგზავრებამდე ორიენტაციის სემინარების უზრუნველყოფაში. ავტორების: ედმუნდო მურრუგარას, ჯენიკა ლარისსონისა და მარქინ სასინის მიერ შემოთავაზებული მიგრაციის მართვის პოლიტიკურად უსაფრთხო პოლიტიკის რამდენიმე მაგალითია: ხარჯების შემცირება და შესაძლებლობების გაფართოება, რომლის განხორციელებაც განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს შეუძლიათ დაიწყონ საერთაშორისო მიგრაციის სიღარიბის შემცირების ზემოქმედების გაზრდის მიზნით. ზემოთ განხილული ძირითადი პოლიტიკაა:

- ემიგრაციის ჩარჩოს გადაფასება და მთავრობების ემიგრაციის ბარიერების მოხსნა მათი მოქალაქეებისთვის (აქ იგულისხმება ისეთი ბარიერები, როგორიცაა პასპორტების მაღალი ფასი და სხვა შეზღუდვები);
- ამჟამინდელი მიგრანტების ფულადი გზავნილების სიღარიბის შემცირების სარგებლის გაზრდა ფულადი გზავნილების ხარჯების შემცირებით. ფულადი გზავნილები მიგრაციის ყველაზე ხელშესახები სარგებელია და გამგზავნი ქვეყანაში დარჩენილი მიგრანტების ნათესავების სიღარიბის შემცირების ყველაზე პირდაპირი გზა;
- ორმხრივი მიგრაციის ხელშეკრულებებში აქტიური ჩართვა ღარიბთათვის მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. ახალი სეზონური მუშაკთა პროგრამა, რომელიც წყნარი ოკეანის კუნძულებიდან ახალ ზელანდიაში მიჰყავს მუშებს ერთი მაგალითით [4].

საქართველოში, შრომითი ემიგრაციის მასშტაბებიდან გამომდინარე, საგულისხმოა ფულადი გზავილების ზრდის დადებითი დინამიკა, რაზეც ქვეყნის ეკონომიკური ზრდა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული, მით უფრო COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით: თუკი 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოში ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 137.2 მლნ აშშ დოლარი (365.0 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 11.6 პროცენტით (14.2 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე, იგივე გზავნილებმა 2018 წლის დეკემბერში 150.9 მლნ აშშ დოლარი (402.7 მლნ ლარი) შეადგინა.

ასევე, 2019 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 125.5 მლნ აშშ დოლარი (332.9 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 10.2 პროცენტით (11.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2018 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, 2019 წლის მარტში - 138.4 მლნ აშშ დოლარი (371.4 მლნ ლარი) შეადგინა, დეკემბერში - 172.3 მლნ აშშ დოლარი, 2020 წლის ივლისში 188.7 მლნ აშშ დოლარი, სექტემბერში 192.7 მლნ აშშ დოლარი, დეკემბერში 199.7 მლნ აშშ დოლარი, 2021 წლის მარტში 188.2 მლნ აშშ დოლარი, ივნისში 201.9 მლნ აშშ დოლარი, ივლისი 208.4 მლნ აშშ დოლარი,

აგვისტო 204.9, სექტემბერი 209.7, ოქტომბერი 209.7, ნოემბერი 207.3 [5].

2015 წლიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით ემიგრანტთათვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და პოპულარული ქვეყანა გახდა გერმანია. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში 12 მლნ უცხოელი ცხოვრობდა. ამავე წელს გახდა იგი, ასევე, პირველადი ინდივიდუალური თავშესაფრის მოთხოვნილების უმსხვილესი მიმღები ქვეყანა გლობალური მასშტაბით, რომელზეც წლის ბოლოსთვის 442,000 განცხადება იქნა შეტანილი [6].

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გერმანიაში დემოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე აღნიშნეს, რომ 2050 წლისათვის ეს ქვეყანა დაკარგავს 10 მილიონზე მეტ მოსახლეს, რაც განპირობებული იქნება იმიგრაციის შემცირებით და შობადობის მაჩვენებლების ნაკლებობით. მთავრობის 2017 წლის გათვლებით, გერმანიის მოსახლეობა 2060 წლის დადგომამდე შეიძლება გახდეს 8060 მილიონზე მეტი, ხოლო შრომითი ექსპორტის შემცირება შეიძლება არ იყოს ისეთი მკვეთრი, როგორც ადრე შიშობდნენ.

2015 წელს, გერმანიაში ნაყოფიერების მაჩვენებელი პირველად 30 წლის განმავლობაში გაიზარდა, ქალზე 1,5 ბავშვი შედის - ალბათ ოჯახის უფრო მეტად ორიენტირებული დახმარებისა და გაძლიერებული ეკონომიკის გამო, რამაც შეამცირა ოჯახის შექმნის ფინანსური რისკები. თუ გერმანია გააგრძელებს ეკონომიკის ზრდის ამჟამინდელ დონეს უახლოეს ათწლეულებში, მოსახლეობის ზრდის სამივე წამყვანი - იმიგრაცია, ნაყოფიერება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა - შეიძლება გაიზარდოს და მოსახლეობა დარჩეს შედარებით მუდმივი. ამ სცენარში, თუ გერმანიას შეუძლია ემიგრანტების ინტეგრირება შრომის ბაზარზე და გაზარდოს ძველი მუშაკთა შრომითი მონაწილეობის მაჩვენებელი, უკეთესი მდგომარეობაში იქნებოდა არსებული სოციალური კეთილდღეობის პროგრამების დაფინანსება.

დემოგრაფების პროგნოზით მოსახლეობის დაბერების გაანგარიშებით 2035 წლისთვის გერმანიას ეყოლება 21 მილიონზე მეტი მოსახლე 67 წელზე უფროსი ასაკის, ანუ პენსიონერი, უკვე 2050 წლისთვის მათი ნახევარი 80 წელზე მეტის იქნება.

ევროკავშირის საზღვრებს მიღმა ქვეყნებიდან ეკონომიკურად მოტივირებული ემიგრაციის მართვა შეიძლება ეროვნულ დონეზე, შესაბამისად, გერმანია უნდა დაინტერესდეს ემიგრაციით და მართოს ეს პროცესები. აქედან გამომდინარე, მასობრივი ემიგრაციის კარგად რეგულირებადი მიღება გერმანიისათვის სავსებით ხელსაყრელია, რადგან 2060 წლისთვისაც ვერ შეამცირებს პენსიონერი მოსახლეობის დიდ რაოდენობას [7].

შრომის ბაზარი ფაქტობრივად განუვითარებელი ინფრასტრუქტურით ვერ უზრუნველყოფს:

- შრომითი პოტენციალის რაციონალურ გამოყენებასა და განვითარებას;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას;
- დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას;
- სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას;
- სოციალური პარტნიორობის სისტემის განვითარებას;
- შრომაზე თანაბარი უფლებების რეალიზაციას;
- უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმირებას.

აღსანიშნავია, თავად ის ფაქტი, რომ გერმანიამ სწორედაც, რომ მიგრაციის ხარჯზე 2019 წელს განიცადა მოსახლეობის 2.1%-იანი ზრდა. მართალია, ეს რიცხვი 2011 წლის შემდგომ პერიოდებიდან ყველაზე დაბალი იყო, მაგრამ გერმანიაში მიგრანტული ფონის მქონე ადამიანების წილი გასულ წელს 21,2 მილიონამდე გაიზარდა და ეს ქვეყნის მოსახლეობის 26%-ს შეადგენს. გერმანიის ინტეგრაციისა და მიგრაციის საფუძვლების (SVR) საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე, პეტრა ბენდელი ამბობს, რომ გერმანია გააგრძელებს მიგრაციაზე დამოკიდებულებას, სავარაუდო მომავალში, თუნდაც კორონავირუსული პანდემიის გათვალისწინებით. იგი მიიჩნევს, რომ მიგრაცია „მოსახლეობის დემოგრაფიული შემცირების“ პრობლემის მოგვარების გასაღებია [8].

გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ მხარი დაუჭირა „ინტეგრაციის სამოქმედო გეგმას“, რაც ითვალისწინებს, სხვადასხვა წარმოშობის ქვეყანაში გერმანული ენის კურსების დაფინანსებას და „წინასწარი ინტერგაციისათვის“ საფუძვლის ჩაყრას. პოტენციური ემიგრანტების მომზადების მიზნით, საორიენტაციო კურსების გატარება ევალებათ სამუშაო ბაზარზე საკვალიფიკაციო და ინფორმაციული შეთა-

ვაზეებისათვის არსებულ რჩევის ცენტრებს, რომლებიც ფედერალური განვითარების სამინისტროს მიერ ფინასდება 10 პარტნიორ ქვეყანაში და იგი წარმოდგენილია, მათ შორის, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ავღანეთი, ალბანეთი, მაროკო და სხვ. საერთო ჯამში, ინტეგრაციის გეგმა ემყარება ემიგრაციისა და კოჰაბიტაციის ხუთ ფაზას, რაც მოიცავს იმიგრაციის მომზადებას გერმანიაში თავდაპირველ ინტეგრაციამდე და თანხვედრამდე. პროექტი, რომელშიც სხვადასხვა სამინისტრო და ფედერალური კომისარი მონაწილეობენ, მარტის დასაწყისში კანცელარიაში მე-11 ინტეგრაციის სამიტზე იქნება წარმოდგენილი. მსგავსადვე, ეროვნული ინტეგრაციის გეგმა უკვე იქნა მიღებული 2007 წელს მეორე ინტეგრაციის სამიტზე, 2012 წელს კი შემუშავდ ეროვნული ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა.

2020 წლის იანვრის თვეში გერმანიამ 14187 თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი მიიღო, თუმცა 15487 განაცხადის განხილვის შედეგად 5965 განაცხადი დაკმაყოფილდა, იანვრის ბოლოს მაინც დარჩა განსახილველი 58277 თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი. არავის დავობს იმაზე, რომ გერმანია შობადობის კუთხით 1972 წლიდან უარყოფითი სალდოთია გამოხატული, დაღუპულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება დაბადებულთა რაოდენობას (შობადობის დეფიციტი 13 000-დან 170 000-მდე). შესაბამისად, ქვეყანაში მოსახლეობის ზრდა მიგრაციით ხდება და 2018 წელს გერმანიის მოსახლეობა ამ გზით, დაახლოებით 200 000 ადამიანით გაიზარდა. შედეგად, 2019 წლის ბოლოს გერმანიის მოსახლეობამ 83,2 მილიონს მიაღწია. ევროპისა სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (ფრონტექსის) გაგზავნით, საგრძნობლად შემცირდა არალეგალ მიგრანტთა რიცხვი, 2019 წელს 139 000 უკანონო მიგრაციის ფაქტი აღიკვეთა, რაც 92%-ით ნაკლებია 2015 წლის მაჩვენებლებთან შედარებით [9].

რაც შეეხება საქართველოსთან მიმართებით გატარებულ საიმიგრაციო პოლიტიკას, უნდა დავსძინოთ, რომ გერმანიამ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მნიშვნელოვნად გართულდებოდა საქართველოდან ემიგრაცია გერმანიაში [10].

საგულისხმოა, რომ გერმანიამ საიმიგრაციო პოლიტიკა სავსებით ლოიალური გახადა, რითაც არაერთი ხელშეკრულება გააფორმა საქართველოსთან.

ვიდრე საქართველოს უახლეს მიგრაციის მართვის პოლიტიკას განვიხილავდეთ, უნდა ვთქვათ, რომ, მას შემდეგ, რაც გერმანიამ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების რიცხვში შეიყვანა და მასში დევნილის სტატუსით ვერ მოხვდებოდნენ საქართველოს მოქალაქეები. სწორედ ამ ვითარების შემდგომ, საქართველოს მთავრობამ COVID-19-ის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ხელშეკრულება გააფორმა გერმანიის მთავრობასთან, რის შედეგადაც 2021 წელს 500-მდე ქართველი სეზონური სამუშაო ხელშეკრულებით გერმანიაში დასაქმდა. მათ მნიშვნელოვნად შეუმცირდათ გზავნილების ხარჯი და იქ მიღებული შემოსავალი საქართველოში შრომის ანაზღაურებად ჩაეთვალათ. ამით ქვეყანამ ხელი შეუწყო ემიგრაციის მასშტაბების ზრდას და სპეციალურად ამ პროექტის ფარგლებში შექმნილ სარეგისტრაციო საიტზე მილიონამდე განაცხადი მიიღო გერმანიაში დასაქმების მსურველი საქართველოს მოქალაქე აპლიკანტებისაგან.

ასევე, თანამედროვე ეტაპზე არნახული მასშტაბები შეინიშნება აშშ-ში მწვანე ბარათის მისაღებად რეგისტრირებულთა რეკორდულ რაოდენობაშიც, რითაც ვლინდება ემიგრაციულად განწყობილი ხალხის რიცხოვნობა [11].

შესაბამისად, ამ ფონზე, კვლავაც ადამიანთა ემიგრაციაში წასვლის წახალისება სრულიად გაუმართლებელია, მით უფრო, რომ ამას გლობალიზაციას ვერ დავაბრალებთ, რამეთუ გლობალიზაციის ინდექსი KOF მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს (ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს აქვს 36%-ული წილი, სოციალური გლობალიზაციისას – 37%-ული, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს - 26%-ული) და 2021 წლის მიწურულს საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 53-ე ადგილზე იყო, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით – 125-ე ადგილზე [12]. ხოლო მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, 169 ქვეყნის შეფასების შედეგად 2020 წელს ემიგრანტების მიერ საქართველოში გადმორიცხულმა თანხამ მშპ-ის 13.3% შეადგინა და ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში მე-17 ადგილზეა. საქართველოზე მეტად ფულად გზავნილებზე მხოლოდ 16 ქვეყანაა დამოკიდებული [13].

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოში არალეგალური მიგრანტები გამოირჩევიან სხვადასხვა მახასიათებლებით მათ შორის სეზონურობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რომელიმე სეზონ-

ზე მიდიან სხვა ქვეყანაში სამუშაოდ და შემდგომ კვლავ ექსპორტიორ ქვეყანაში ბრუნდებიან. იტალია მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული 400000 სეზონურ არალეგალურ მიგრანტზე, რასაც ცხადჰყოფს მსოფლიოში COVID-19-ის ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცხადებული პანდემიის მართვა. იტალიის სოფლის მეურნეობის მინისტრი გაზაფხულის ხილის და ბოსტნეულის მოსავლის აღებისათვის არალეგალური მიგრანტების იმედად დარჩა. იმხანად უკვე დამწიფებული იყო მარწყვისა და სხვადასხვა კულტურა, ხილისა და ბოსტნეულის მოუვლელობის შემდგომ საფრთხე ექმნებოდა ვაზსაც.

ევროპაში ახალი მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებაზე დაიწყეს ზრუნვა, რათა სამუშაო ძალის დანაკლისი როგორმე აენაზღაურებინათ და შეევსოთ. იტალიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტერეზა ბელანოვამ, რომელიც თავადაც ყოფილი ფერმერია (14 წლის ასაკში სკოლა მიატოვა და ფერმერთა კავშირის ლიდერი გახდა), ხელისუფლებას შესთავაზა ახალი სამოქმედო გეგმა, რაც ითვალისწინებდა უკვე 2020 წლის 14 აპრილს, 600000 დაუსაბუთებელი არალეგალი მიგრანტისათვის სასწრაფოდ შრომის ნებართვის გაცემას და მათ შესაბამის იურიდიულ ბაზაში აღნუსხვას, რათა ხელი შეწყობოდა ეკონომიკის აღდგენას.

ასევე ქვეყნისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხე, განსაკუთრებით იმიგრანტთა დასახლების პუნქტებში.

„ილ ფოგლიოში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინტერვიუში ტერეზა ბელანოვა აღნიშნავდა, რომ „დაუშვებელია მინდვრებში მოსავალი ლპებოდეს და ქვეყანაში სულ უფრო მეტი ადამიანი იყოს მშიერი.“ მის წინადადებას ზოგიერთი პოლიტიკოსი სკეპტიკური განწყობით შეხვდა და მიგრაციის მასშტაბების ზრდაში საფრთხე დაინახა, რადგან აღნიშნული წინადადება არალეგალი მიგრანტებისათვისაც ხელსაყრელია [14].

გლობალიზაცია გახლავთ იმგვარი პროცესი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასაც მოიცავს, რასაც, ამ შემთხვევაში, მიგრაციის მართვის ახალი პოლიტიკის შედგენაც ახლდა. აღნიშნული ფაქტი საგულისხმოა, იმ ფონზე, რომ იტალია ყოველთვის გამოირჩეოდა ანტიმიგრაციული პოლიტიკის გატარებით. მეტიც, იტალიელი სამართალდამცავები არალეგალ მიგრანტებს კრიმინალის ბუდედ და საწყის კერად მოიხსენიებდნენ და არაერთი მიგრანტებით სავსე გემი იქნა მთავრობის მიერ უკან გაბრუნებული.

იტალია გახლდათ უარზე და ქვეყანა, რომელიც მკვეთრად გმობდა მიგრაციის პოლიტიკის ლოიალურობას და ხისტ პოლიტიკას მიმართავდა, მიგრანტთა თავშესაფრის ადგილებში ხშირ საპოლიციო რეიდებს აწყობდა და ა.შ. მაგრამ, როგორც გამოვლინდა, მოსახლეობის დაბერების ფონზე და COVID-19-ის პანდემიის მომძლავრების შედეგად, ქვეყანას მოუხდა საიმიგრაციო პოლიტიკის ლიბერალიზაცია. შესაბამისად, ეს ყოველივე გასათვალისწინებელია სხვა სახელმწიფოთა საიმიგრაციო პოლიტიკაში.

2020 წელს აშშ-ის კონგრესშიც აქტიურად მიმდინარეობდა საუბარი იმის შესახებ, რომ ვირუსის საფრთხის ფონზე, მათ უნდა ეზრუნათ არალეგალ და დოკუმენტაციის გარეშე მცხოვრებ მიგრანტებზე. ცხადია, მხოლოდ ეს არ გახლავთ მიგრანტებზე ზრუნვის მიზეზი და ისინიც, თავის მხრივ, უკვე სამუშაო ძალის შენარჩუნებაზე ფიქრობენ (მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ, 2020 წლის მარტის თვეში აშშ-ს უსაფრთხოების, საბაჟო და საზღვრის დაცვის სამსახურებმა 7000 მიგრანტი დააბრუნეს მექსიკაში) [15].

იმის გათალისწინებით, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართველი ემიგრანტები არალეგალურად იმყოფებიან (ვადაგასული პასპორტი, ვიზის არქონა, 3-თვიანი ვადის გადაცილება და ა.შ.) რთულია მათი რიცხოვნობის დადგენა მათ მიერ არჩეული ლოკაციების მიხედვით, თუმცაღა პანდემიამ, რომ არალეგალურ ემიგრანტთათვის მიმზიდველი გახადა იტალია, ამას სხვა განმაპირობებლებიც გააჩნია.

სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიისგან განსხვავებით, რომლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მცირდება ინდუსტრიული ქვეყნების უმეტეს ნაწილში, არალეგალი ემიგრანტები ძალიან არიან ჩართულები მომსახურების სექტორში, სადაც მათი ყოფნა ემთხვევა დასაქმების ზრდას. ზოგიერთ ქვეყანაში, ისინი უფრო და უფრო ხშირად ხვდებიან მოქალაქეების მიერ დაწუნებულ საქმიანობას: სანიტარული სამუშაოები, დასუფთავება და სასკოლო განათლება. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, საფრანგეთი და იტალია, დაუსაბუთებელი გამოცდილი უცხოელები მუშაობენ მეცნიერებასა და ენის სწავლების საქმეში, ასევე საავადმყოფო

მომსახურებაში, თუმცა, როგორც წესი, ანაზღაურების გაცილებით დაბალია, ვიდრე მოქალაქეები.

სეზონური ტურიზმი, საცალო ვაჭრობა და კვების ობიექტები, სადაც დიდი დრო უნდა მუშაობდეს, დასაქმების სხვა წყაროა. ბიზნესის განვითარებისთვის მომსახურება, როგორიცაა: მოწყობილობების მოვლა და მომსახურება, ზრუნვა და ოჯახებისთვის - ბავშვთა მოვლისა და სხვა საშინაო სერვისების ზრდა - ასევე ხელსაყრელი იყო უნებართვო მუშაკთათვის. უმეტეს შემთხვევაში, ისინი მუშაობენ მხოლოდ იმ ქვეკონტრაქტორისთვის, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად იღებენ აპარატებს და სხვა დახმარებას აუთსორსინგის კომპანიისგან, თავისუფალია დასაქმება, თუ ვის სურს. რაც ხშირად გულისხმობს არალეგალური უცხოელი მუშაკების დაქირავებას ხარჯების შემცირების მიზნით. არალეგალური დასაქმება გარკვეულწილად ასახავს შრომის ბაზარზე არსებულ სისუსტეებს [16].

მრავალი ავტორი კვლავაც მიუთითებს სხვადასხვა უცხოურ სახელმწიფოში ქართველი არალეგალურად დასაქმებულების შესახებ, თუმცაღა სახელმწიფო რატომღაც ვერ ადგენს მათ, ვერც ფულადი გზვანილების ბაზით და ვერც სხვა ქმედითი საშუალებით, შემდგომში აღრიცხვის მიზნით, რაც სერიოზული პრობლემაა და კვლავაც აქტუალურ საკითხად განიხილება მიგრაციის მართვის სტრატეგიაში. მხოლოდ ლეგალურად მაცხოვრებელ საქართველოს მოქალაქეების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, 2017 წლის შემდეგ უკვე 2018 წელს მათი რიცხვი 8.5%-ით გაიზარდა. მათგან ლეგალურ მაცხოვრებელთა 60% იმყოფება საბერძნეთში, გერმანიასა და იტალიაში, სწორედ იტალიიდან გადმოირიცხა 2021 წლის იანვარში 27 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ფულადი გზავნილი, ხოლო იგივე პერიოდში რუსეთიდან გზავნილის რაოდენობამ 23 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა [17].

თუმცა ფაქტია, რომ საქართველოდან შრომითი ემიგრაციის მასშტაბები ოფიციალურ მონაცემებზე ბევრად დიდია, შედეგად საქართველოდან მოქალაქეების მიგრაციული სალდო განგრძობითად უარყოფითია და 30-დან 15 ათასამდე მერყეობს. საქართველოს მოქალაქეთა გადინება წაახალისა უვიზო რეჟიმის შემოღებამ, 2017 წლის 28 მარტიდან ერთი წლის პერიოდში 240 ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ გამოიყენა ეს რეჟიმი.

სამწუხაროდ, ამჟამად ემიგრაცია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მიმართულებად არის ქცეული და რომ არა ემიგრანტების მიერ გადმორიცხული მილიარდები, ქვეყანა კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა [18].

2005 წელს ქეთევან მდინარაძე მიმოიხილავდა რა საქართველოს შრომითი ემიგრანტების შესახებ ინფორმაციებს და მათ პრობლემებს, რეკომენდაციის სახით დასძენდა, რომ სასურველი იყო შრომითი ემიგრანტების ნაკადების მართვა, რომელსაც ახორციელებდა, მაგალითად, აშშ, სადაც იუსტიციის სამინისტროში არსებობდა მიგრაციის სამსახური, რომელიც აკონტროლებდა სამართლებრივ რეჟიმს. ამას გარდა საიმიგრაციო სამსახურები აშშ-ში ემიგრანტებს ცხოვრების უფლებას აძლევდა, რამეთუ დასძენდნენ, რომ ემიგრანტები არ დაიკავებდენ ადგილობრივთა სამუშაო ადგილებს [19].

შესაბამისად, შრომითი მიგრაციის მართვა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამ მხრივ საყურადღებოა, საქართველოს მცდელობა გერმანიაში სეზონურ სამუშაოზე ლეგალურად დაასაქმოს ემიგრაციაში წასვლის მოსურნე ათასობით ადამიანი, რაც ქვეყანას მოუტანს შემოსავალს, მათი ხელფასის სახით.

გერმანიასთან თანამშრომლობის წადილი, შესაძლოა, საქართველოს წარსულიდან გამომდინარეც ვეძიოთ, როდესაც ჯერ კიდევ 1918-1924 წლებში ქართველი ემიგრანტები და სახელმწიფო მესვეურნი აქტიურად ცდილობდნენ გერმანიასთან საერთო ენის გამონახვას, რაც გერმანული ჯარების საქართველოში განთავსებით დასრულდა, არაერთი მნიშნელოვანი ღონისძიება გატარდა იმ წლებში საქართველოში, რაც დღესაც ჰპოვებს გამოძახილს ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმულ ნაბიჯებს შორის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მიგრაციის მართვის პოლიტიკა მიზანმიმართულად მიმართულია შრომითი ემირაციის ლეგალურობის ხელშეწყობაზე, რაც დასაქმებულთა ხელფასის სახით ანაზღაურებით საქართველოში უმუშევრობის დონის შემცირებასთან არის დაკავშირებული, თუმცაღა სრულად ვიზიარებთ ექსპერტთა მსჯელობას: არც ეს და არც ფულადი გზავნილები არ განიხილება უცხოურ ინვესტიციად და საქართველოს ეკონომიკის ზრდას ეს ყოველივე ვერ მოახეხებს. რადგან ვფიქრობთ, რომ არაეფექტურია ისედაც ემიგრაციის უარყოფი-

თი სალდოს მქონე ქვეყნიდან, კიდევ დამატებით ადამიანთა მოტივირება და წახალისება თუმდაც სეზონურად დატოვონ ქვეყანა, ეს არ შეცვლის რეალურ სურათს და არ მიგვაჩნია ქმედით და ეფექტურ ღონისძიებად.

TEONA CHARKVIANI

EMIGRATION POLICY OF EU COUNTRIES AND LABOR MIGRATION OF GEORGIANS

Summary

The modern world is facing many global challenges, one of which is mass emigration. This issue has gained special activity in the background of the developing pandemic in recent years, since this new reality has significantly affected the migration policy of many countries. In general, migration flows affect the political, demographic, ethnic, socio-economic situation of the countries of the world. In this regard, the role of political and governance decisions, which are aimed at the maintenance of the political order, is increasing. Migration becomes the object of political control and regulation, but it is impossible to achieve their proper effectiveness without the development of relevant fields of scientific knowledge.

Even Georgians did not escape emigration, and the largest population outflow from the country was recorded in the 20th century, and from 2020, the government actively supports the legal employment of emigrants abroad. The problem of the emigrants of modern Georgia is an acute economic problem created in the country, which is worsening day by day for them and for their families who remain here. Mass emigration, which is observed in Georgia at the modern stage, is completely determined by unemployment and poverty. Accordingly, the main feature of Georgian emigration is labor emigration. It is completely different how much the foreign currency sent by emigrants affects the Georgian economy and how beneficial the outflow of so many people is reflected in the demographic picture.

Key words: *migration, emigration policy of the European Union, Georgian emigration processes, labor migration.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) http://www.sps.gov.ge/ka/saerthashoriso-organizaciebi/article/21357-migraciis-saerthashoriso-organizacia-iom.html გადამოწმებულია - 24.12.2022
2. მაისურაძე მ., „ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკა და მიგრაციის მართვის მნიშვნელობა“. საერთაშოისო სამართლის ჟურნალი (2), გვ. 119-137, თბ., 2013.
3. წიკლაური ნ., „ქართველები ლუკმა-პურის ძიებაში ემიგრაციის მაჩვენებელი შემცირების ნაცვლად მუდმივად იზრება“, „ბანკები და ფინანსები“, N562,25.11.2019.
4. Murrugarra E., L. J. „*Migration and poverty: toward better opportunities for the poor“.* Washington: The World Bank, 2010.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფულადი გზავნილები, 2021, https://nbg.gov.ge/page/ - გადამოწმებულია - 25.12.2021
6. IOM Releases Global Migration Trends 2015 Factsheet. 2016,19 April. https://www.iom.int/news/iom-releases-global-migration-trends-2015-factsheet-დან
7. Heise M., „Population, ageing and immigration: Germany's demographic question“, 2017.27 April. https://www.weforum.org/agenda/2017/04/population-ageing-and-immigration-germanys-demographic-question
8. www.dw.com. German population of migrant background rises to 21 million, 2020, 28 July, https://www.dw.com/en/german-population-of-migrant-background-rises-to-21-million/a-54356773

9. Hanewinkel V. Migrationspolitik – Januar 2020. 2020,10 February, https://www.bpb.de/gesellschaft/migration/flucht/305022/migrationspolitik-januar-2020.
10. „ბუნდესტაგმა საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა, თავშესაფრის მიღება გართულდა“. 2019,18 იანვარი, https://www.tabula.ge/ge/story/143049-bundestagma-saqartvelo-usafrtxo-qveknebis-siashi-sheikvana-tavshesafris-migheba.
11. „ბოლო 10 წელში „მწვანე ბარათის“ მსურველი ქართველების რიცხვი თითქმის გასამმაგდა“, https://businessformula.ge/News/5398 - გადამოწმებულია - 25.12.2021
12. საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგში, "Forbes Georgia-ის სარედაქციო ბლოგპოსტების სერია.,ს 31.12.2021 https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-ekonomikuri-globalizatsiis-reitingshi-2/
13. ემიგრანტების გზავნილებით საქართველო მსოფლიოში მე-17 ადგილზეა, "Forbes Georgia-ის სარედაქციო ბლოგპოსტების სერია, 10.11.2020, https://forbes.ge/blogs/emigrantebis-gzavnilebith-saqarthvelo-msophlioshi-me-17-adgilzea/
14. Roberts H. Italy's coronavirus farmworker shortage fuels debate on illegal migration, 2020,15 April, https://www.politico.eu/article/italy-seasonal-migrant-farm-workers-coronavirus-covid-19.
15. Hoonhout T., Mexico Has Deported Nearly All Illegal Immigrants from Shelters to Contain Coronavirus, 27.04.2020, https://www.nationalreview.com/news/mexico-has-deported-nearly-all-illegal-immigrants-data-shows/ გადამოწმებულია - 22.11.2021.
16. Garson J.P., R. D. Where do illegal migrants work? 1999, December, https://www.oecdobserver.org/news/archivestory.php/aid/191/Where_do_illegal_migrants_work_.html.
17. ნოზაძე ე., „როცა სახელმწიფო რიცხვებშიც ვერ გხედავს - უკეთესი მომავლის ძიებაში დაკარგული მიგრანტები“, 31.03.21, https://borjomi.tv/axali-ambebi/multimedia-georgia-/article/13604-roca-sakhelmtsifo-rickhvebshic-ver-gkhedavs-ukethesi-momavlis-dziebashi-dakarguli-migrantebi
18. პირველი ს., „ემიგრანტებზე ჩამოკიდებული საქართელოს ეკონომიკა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები ქვეყნის გარეთ მყოფი მოქალაქეების იმედად დარჩა“, „ბანკები და ფინანსები“, N562, 25.11.2019.
19. მდინარაძე ქ., „სამუშაო ძალის საერთაშრისო ბაზარი და მიგრაციის პრობლემები“, მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა, თბ., 2005.

ლია შენგელია
წარმოადგინა პროფ. ავთანდილ კიკნაძემ

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები

სტატიაში განხილულია ჩინეთ-საქრთველოს ურთიერთობების ისტორიული ასპეტები, მიმდინარე ორმხრივი თანამშრობლობა ქვეყნებს შორის პოლიტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის, განათლების და კულტურის სფეროში. ორმხრივი ურთიერთობები ქვეყნებს შორის ყოველწლიურად სწრაფად ვითარდება და უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველო ჩინეთის ერთერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია კავკასიის რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, საქართველო, პროექტი, სავაჭრო, აბრეშუმის გზა.

ჩინეთი დღეს განიხილება თანამედროვე ტიპის, გლობალური ინტერესების და ვალდებულებების მქონე სახელმწიფოდ. ჩინეთის შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკა ჩინელი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის ინტერესებზე დაყრდნობით შემუშავებულ სახელმწიფო სტრატეგიას ეფუძნება. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთს აქვს არჩეული და ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის ხედვის მიმართულებები, რომლის ძირითად პრიორიტეტებია: მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოში; კაცობრიობის საერთო ინტერესების გაზიარება; სამართლიან და რაციონალარულ კრიტერიუმებზე აგებული ახალი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი; ღია პოლიტიკა გარე მსოფლიოსთან და აქტიური მონაწილეობა მრავალმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებში. ჩინეთმა მიმდინარე გლობალურ სამყაროში გააძლიერა ეკონომიკური ზრდის ტემპი, გაზარდა საგარეო პირდაპირი ინვესტიციები, რაც ჩინეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ სტაბილურობაზე აისახა. დღეს თანამედროვე სამყაროში ჩინეთი უკვე წარმოადგენს გლობალურ მოთამაშეს უდიდესი ეკონომიკური რესურსით და ყოველდღიურად მზარდი გავლენით. ჩინეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან მჭიდროდ თანამშრომლობს და მრავალ საინვესტიციო პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა საქართველოც. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მიმდინარე გლობალურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკური ცვლილებების ფონზე საგარეო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო ურთიერთობები. დღეს ჩინეთის შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკა ჩინელი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის ინტერესებზე დაყრდნობით შემუშავებულ სახელმწიფო სტრატეგიას ეფუძნება. ჩინეთი საკუთარ თავს წარმოაჩენს, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკით და მისი საგარეო პოლიტიკის მიზანი მსოფლიო მშვიდობის და განვითარების ხელშეწყობაა. ის სისტემატიურად მონაწილეობს მსოფლიო მშვიდობის, გლობალურ განვითარების და მსოფლიო წესრიგის უზრუველყოფაში. ამასთანავე ჩინეთი სისტემატიურად აფართოებს ურთიერთობებს საერთო ინტერესის მქონე სახელმწიფოებთან. მისი მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ახალი მოდელის, სახელმწიფოთა გაერთიანებების შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება ორმხრივ მომგებიან თანამშრომლობაზე და დაეფუძნება საერთო მომავლის იდეას და ინტერესებს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი უკვე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბდა, რადგნ ინვესტიციების დაბანდებით როგორც ევროპის რიგი სახელმწიფოები არიან დაინტერესებულნი ასევე, დიდია ამ მხრივ ამერიკის დაინტერესება. ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩინეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. 1992 წლის 9 ივნისს თბილისში ჩინეთის საელჩო გაიხსნა და საფუძველი ჩაეყარა ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებს. დღეს უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი ურთიერთობები ჩინეთ-საქართველოს შორის ჯანსაღად და მზარდი ტემპით ვითარდება.

საქართველო და ჩინეთი რიგ დიპლომატიურ საკითხებთან დაკავშირებით საერთო პოზიციას იზიარებენ. ერთმანეთთან ახლო კომუნიკაცია აქვთ და ორივე ქვეყანა მხარს უჭერეს ერთმანეთს ისეთ საკითხებში, რომლებიც ორი-

ვე ქვეყნის ძირითად ინტერესებს ეხება. აგრეთვე საქართველო იზიარებეს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის პოზიციებს, რომელიც 2001 წელს ჩინეთის ხელმძღვანელობით შეიქმნა, რომლის წევრიც არ არის საქართველო. ჩინეთი მხარს უჭერს საქრთველოს ისეთ მნიშვნელოვან დიპლომატიურ საკითხებში, როგორიცაა სახელმწიფო სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც , რომ 2008 წლის სექტემბერში ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეშფოთება გამოთქვა „სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე“ და ხაზი გაუსვა რუსეთის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას. ჩინეთი დღესაც იზიარებს და განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღიცხვამდე II-საუკუნეში დაიწყო და უკავშირდება „დიდი აბრეშუმის გზის“ ისტორიას. ეს იყო ტრანსკონტინეტურ სავაჭრო-საქარავნო გზა და ჩინეთს ხმელთაშუა და შავის ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა. ამ გზის მეშვეობით ჩამოყალიბდა ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები. სავაჭრო ქარავნები გადიოდნენ და კვეთდნენ ათასობით კმ-ს, რათა პროდუქცია გაეტანათ, გაეცნოთ და მიეწოდებინათ განსხვავებული ცივილიზაციის მქონე ქვეყნებისთვის. ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველო იყო ამ გზის თანამონაწილე და ჩვენი ქვეყანა ისტორიულად ამ გზით არის დაკავშირებული ჩინეთთან. აგრეთვე მნიშვნელოვანია საქართველოს როლი დღეს მიმდინარე პროექტში, რაც ეხება დიდი აბრეშუმის გზის განახლებას, ვინაიდან საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის და აქედან გამომდინარე, საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. აბრეშუმის დიდი გზა წარმოადგენდა საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალს ჩინეთიდან საქართველოს გავლით ბიზანტიამდე. აბრეშუმის გზა უაღრესად მნიშვნელოვანი გზა იყო, რადგან გარდა აბრეშუმისა შემოდიოდა სხვადსხვა ნივთების ხელოვნების ნიმუშები, სხვადსხვა ფორმით გამოხატული კულტურა. ვაჭრობის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის გარდა, ეს სამხედრო გზაც იყო. ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ორი დიდი სამყაროს, აღმოსავლეთისა და დასვლეთის, კულტურის შერწყმა და ეს გზა იყო ერთადერთი საშულაება ამ ორი სამყაროს ურთიერთობისთვის. სწორედ აღმოსავლეთისა და დასვლეთის შემაერთებელ გზაზე მდებარეობს საქრთველო. აბრეშუმის დიდი გზა, ისტორიული წყაროების მიხედვით, პეკინიდან და შანხაიდან აბრეშუმის გავრცელების ცენტრში, სიანში, იყრიდა თავს. სიანიდან ლანჯოუს გავლით ჩადიოდა ქ. დუნჰუანში, საიდანაც ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ. პირველი გზა, ლობრონის ჩრდილოეთით ქ. ტურფანის, მეორე გზა კი, იმავე ტბის სამხრეთით, ქალაქების ხოტანის და იარქენდის გავლით თავს იყრიდა ქ. კაშგარში და აქედან აბრეშუმის გზა კვლავ ორი მიმართულებით გრძელდებოდა: ჩრდილოეთის გზა სამარყანდის გავლით, მდ. ამუდარიით არალის ზღვამდე და იქიდან კასპიის ზღვისკენ და კასპიის ზღვიდან კი უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, მტკვრითა და სურამის უღელტეხილით, მდინარე ფაზისით (რიონ-ყვირილის მაგისტრალით) გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისთან (ფოთი) შავი ზღვით ბიზანტიონსა და რომამდე აღწევდა. მეორე მარშუტი მიემართებოდა კაშგარიდან ბალხისა და მარვის გზით ჩრდილო ირანზე და სირიის გავლით, ეკბატინისა და ქტესიფონის გზით მიემართებოდა ბაღდადისკენ, იქიდან ანტიოქიის, დამასკოს და ტვიროსის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადიოდა. ამ გზით ჩინეთიდან შუაზიაში, ირანსა და ბიზანტიაში მიემართებოდა ქარავნები, რომლებიც მთელი გზის გავლას 2-3 წელს უნდებოდნენ. ისტორიული წყაროების მიხედვით არის კიდევ რამდენიმე გზა, რომელიც ჩვენამდე მოდის – ერთი გზა შავი ზღვიდან მდ. ფასისის აყოლებით შემოდიოდა, მეორე კავკასიის ალბანეთიდან შემოდიოდა კავკასიის იბერიაში, მესამე სომხეთის საშუალებით მცხეთისკენ და მეოთხე - სამხრეთის მხრიდან მომავალი [1]. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, „დიდი აბრეშუმის გზამ“ ნელ-ნელა დაკარგა არსებული ფუნქცია, რაც განპირობებული იყო სახელწიფოებს შორის არსებული დაპირისპირებით და ეს გზაც უფრო და უფრო სახიფათო გახდა. ეს გზა წარმატებით ჩაანაცვლა საზღვაო სავაჭრო გზამ. საზღვაო ტრანზიტი დღემდე ლიდერობს საერთაშორისო გადაზიდვებში და ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ვაჭრობა ყველაზე ხშირად სწორედ საზღვაო გადაზიდვების მეშვეობით ხდება.

მე-20 ს-ის 90-იანი წლებიდან ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის არაერთი ინიციატივა გამოიკვეთა. ძველი აბრეშუმის გზის განახლებას საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მის ქვეშ მოიაზრებენ თითქმის ყველა პროექტს, რომლებიც ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აკავშირებს. ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა პროექტი TRACECA (სატრანსპორტო დერეფანი „ევროპა-კავკასია-აზია“), რომელიც 14 ქვეყანას აერთიანებს, ევროპისა და ცენტრალურის აზიის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო სისტემისა და ვაჭრობის განვითარებას ისახავს მიზნად რუსეთსა და ირანზე გამავალი მარშრუტების გვერდის ავლით. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ასევე გამოვიდა ინიციატივით, აღედგინა სავაჭრო ურთიერთობები აბრეშუმის გზის გასწვრივ, რომელის მიზანი იყო ავღანეთის როლის გაზრდა რეგიონალურ ურთიერთობებში. 2013 წ. 7 სექტემბერს კი ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა ყაზახეთში ვიზიტისას პირველად გაახმოვანა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის (Silk Road Economic Belt) კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან [9].

„სარტყელისა და გზის“ ინიაციტვა შედგება სახმელეთო აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელსა და საზღვაო აბრეშუმის გზის კომპონენტისაგან. აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მთავარი მიზანი ახალ და არსებულ სატრანსპორტო დერეფნებში ინვესტირებით, ჩინეთსა და ევროპას შორის არსებული მანძილის შემცირებაა. „ინიციატივა მოიცავს 6 დერეფანს, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს სხვადსხვა სახმელეთო გზით და საქართველო პირდაპირაა ჩართული ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში. ჩინეთი ახალი გლობალური პროექტით „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივა, რომელიც აერთიანებს: „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა, პრინციპულად ცვლის მსოფლიო ეკონომიკას განვითარების ძირითად მიმართულებებს და ქმნის ეკონომიკის არეალზე ახალ შესაძლებობებს. საქართველო კი მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს თანამედროვე საერთაშორისო სივრცეში და აქტიურად უწყობს ხელს რეგიონალური პროექტების განვითარებას და განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო აქტიურად განიხილება ევროკავშირსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის დამაკავშირებელ ცენტრად [8].

პროექტში „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ მოიაზრება კონსულტაციების გზით და ყველა მხარის ინტერესების დაცვით, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობა, ღია თანამშრომლობა, ჰარმონია და ჩართულობა, ბაზარზე ორიენტაცია, საერთო ინტერესები და სარგებელი. მისი მთავარი მიმართულებებია: პოლიტიკური კოორდინაცია, ვაჭრობა ბარიერების გარეშე და ფინანსური ინტეგრაცია. „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მიზანია ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სხვადსხვა სფეროში ხელი შეუწყოს ერთობლივ განვითარებას, საერთო ინტერესების, ვალდებულებების და ისეთი მომავლის შექმნას, სადაც იქნება პოლიტიკური ნდობა და ეკონომიკური ინტეგრაცია. საქართველო, მოიაზრება აღნიშნული ინიციატივის წევრად და თავის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წარმოადგენს აღნიშნული პროექტის სატრანზიტო კვანძს [10]. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სი ძინპინის (2016) მოსაზრებით, ინიციატივის სრულყოფილად რეალიზების შემთხვევაში, სარგებელს მიიღებს 4.4 მლრდ ადამიანი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 63%. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ინიციატივა საქართველოს ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება და საშუალებას მისცემს საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობა ეკონომიკურ ზრდაშიც გარდასახოს. „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას უკვე 100-ზე მეტმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი და 140-ზე მეტი თანამშრომლობის დოკუმენტი გაფორმდა. მათ შორის, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. ჩინური მხარე აღიარებს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მშენებლობის პროცესში საქართველოს დიდ პოტენციალს. 2015 წელს 15 ოქტომბერს გაიხსნა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“. ფორუმის ორგანიზატორი იყო საქართველოს მთავრობა და თანაორგანიზატორი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. ხოლო მხარდამჭერი აზიის განვითარების ბანკი. მასში მონაწილეობა მიიღო 30 ქვეყნის ოფიციალურმა წევრმა, მათ შორის, ჩინეთის მთავრობის ხელმძღვანელმა პირებმა და 300-მდე მსხვილი ჩინური კომპანიის წარმომადგენელმა

და 50 ქვეყნის ბიზნეს წარმომადგენელმა. აღნიშნულ ფორუმზე ჩინეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს მემორანდუმს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ“. 2017 წლის 28-29 ნოემბერს, „თბილისის აბრეშუმის გზის“ რიგით მეორე ფორუმი გაიმართა, თბილისში 34 ოფიციალური დელეგაცია, 60-ზე მეტი ქვეყნის 2000-მდე დელეგატი ჩამოვიდა. „აბრეშუმის გზის“ ფორუმის ფარგლებში საქრთველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმდა ეკონომიკური ზონების განვითარებისა და სამეწარმეო სიმძლავრეების ხელშეწყობის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი, რომლის მიზანია საწარმოებისთვის თანამშრომლობის პლატფორმის მშენებლობა და სამრეწველო მიმართულების განვითარება საქრთველოში. შეიძლება ითქვას, რომ ახალი აბრეშუმის გზის, ეკონომიკური სარტყელის კონცეფციამ შესაძლოა მიმდინარე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევრაზიის კონტინენტის განვითარებაზე. ჩინეთი უკვე წარმოადგენს გლობალურ მოთამაშეს უდიდესი ეკონომიკური რესურსით და ყოველდღიურად მზარდი გავლენით. აბრეშუმის გზის განვითარების ჩინურ პროექტს მხარს უჭერს არაერთი სახელმწიფო, რომელთაც სურთ, თვითონაც გახდნენ აღნიშნული პროექტის წარმომადგენლები. ბოლო წლებში ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები ძირითადად ეკონომიკის სფეროში, ღრმავდება და ჩინეთის დაინტერესება ჩვენი ქვეყნით საგრძნობლად იზრდება. XXI საუკუნის დასაწყისში ჩინური ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოიყენებოდა, ხოლო ბოლო წლებში კი ჩინეთი ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი ქვეყანაა საქართველოსთვის. კერძოდ, 2002 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ჩინურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში ნახევარ მილიარდს გადააჭარბა, 711,55 მლნ აშშ დოლარს მიაღწია [18].

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველ დარგებად ითვლება: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, უძრავი ქონება, მშენებლობა და გადამამუშავებელი მრეწველობა. პირველი დიდი ჩინური ინვესტიცია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 2001 წელს სიჩუანის კორპორაციამ ხადორის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში განახორციელა. აღნიშნული პროექტი 34 მლნ დოლარით დაფინანსდა და ექსპულატაციაში 2004 წელს შევიდა. 2007 წელს შემოდის ისეთი უმსხვილესი ჩინური კომპანია, როგორიც არის „ჰუალინგ ჯგუფი“ და 2007 წლიდან ლიდერობს საქართველოში საინვესტიციო პროექტებით. დღეს 25-მდე, ჩინური კომპანია წარმატებულად საქმიანობს საქართვლოში, ისეთ სექტორებში როგორებიცაა: მშენებლობა, გზები და ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, საბანკო სფერო, აგრეთვე ჩინური კომპანიები აქტუალურია საქართველოს მომსახურების სფეროშიც, განსაკუთრებით საფინანსო, ტელეკომუნიკაციისა და ტურიზმის სფეროში. ასევე საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტის წევრია, რომლებსაც ჩინეთი ხელმძღვანელობს. ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, რომლის ცნობით, საქართველო „სტრატეგიულად არის განთავსებული შავი ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, რაც მას რეგიონული სატრანზიტო ფუნქციას სძენს. სატრანსპორტო და სხვა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით, ბანკს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონული ვაჭრობის განვითარებაში დასავლეთ აზიისა და ევროპის უფრო მეტად დაკავშირებით [10].

ჩინეთ-საქართველოს საინვესტიციო ურთიერთობასათან ერთად მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც დღითიდღე აქტიური და უფრო ნაყოფიერი ხდება. ბოლო წლებში ნათლად ჩანს, რომ ჩინეთი საქართველოს მზარდი და საიმედო სავაჭრო პარტნიორია. ჩინური იმპორტის გააქტიურება საქართველოში 2011 წლიდან დაიწყო და 2017 წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში, თურქეთისა და რუსეთის შემდეგ, ჩინეთი მე-3 ადგილს იკავებს. რაც კიდევ უფრო მეტად განამტკიცა 2017 წლის მაისში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის იანვრიდან და ჩინეთში იმპორტისას, ქართული პროდუქციის 94% გათავისუფლდა ნებისმიერი საბაჟო გადასახადისგან. 2018 წელს სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ პირველად გადააჭარბა 1 მლრდ აშშ დოლარს და ყოველწლიურად იზრდება. 2021 წელს სავაჭრო ბრუნვამ ორ ქვეყანას შორის 1.48 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 24,7%-ით მეტია. საქართველოს ექსპორტმა 615,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 29%-ით მეტია, ხოლო იმპორტმა 864,9 მლნ აშშ დოლარი, რაც გასულ წელ-

თან შედარებით 21,8%-ით მეტია. 2021 წლის მონაცემებით ჩინეთი გახდა საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი, რომლის წილზეც მოდის ექსპორტის 14,5%. ბოლო სამი წელია ჩინეთი სტაბილურად ინარჩუნებს საქართველოს რიგით მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის პოზიციას. ბოლო დროს განსაკუთრებით ქართული ღვინო დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩინეთის ბაზარზე. ბოლო რამდენიმე წელია ჩინეთის სხვადასხვა პროვინციის ქალაქებში იმართება ღონისძიებები და გამოფენები, რომელიც ქართული ღვინის გაცნობას ემსახურება და ასევე ჩინელი ღვინის იმპორტიორები სტუმრობენ საქართველოს, რომლებიც ეცნობიან ქართულ ღვინის კულტურას და ტექნოლოგიებს, რაც აისახა შედეგზეც და დღეისთვის 40-ზე მეტი ქართული ღვინის სახლია გახსნილი ჩინეთში [19]; [13].

მნიშვნელოვნად ვითარდება ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობა ტურიზმის, კულტურისა და განათლების მიმართულებით. 2015 წელს ჩინეთისა და საქართველოს კულტურის სამინისტროებმა ხელი მოაწერეს „ოქმს კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ 2016-2019 წლებისათვის“, რომლის მიხედვითაც გადაწყდა შემოქმედებითი ანსამბლებისა და გამოფენების გაცვლა. ჩინეთით დაინტერესებულთა და ჩინური ენით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი ყოველწლიურად იმატებს საქართველოში, აგრეთვე იმ ადამიანების რაოდენობაც, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება ჩინეთში. აღინიშნება ქართული უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობაც და თანამშრომლობა ჩინეთთან, რაც აისახება ჩინური ენის შემსწავლელი და კვლევითი ცენტრების განვითარებით საქართველოში. ქართველ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა ჩინეთში, როგორც ენის შემსწავლელ კურსებზე ასევე საბაკლავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებზე, ამასთანავე ისარგებლონ ჩინეთის მთავრობის და კონუფცის ინსტიტუტის სასტიპენდიო პროგრამით [20].

საქართველო-ჩინეთს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას ხელი შეუწყო დიდ წილად პირდაპირი ავიაფრენების შემოღებამ (თბილისი-ურუმჩი-პეკინი). ასევე, მნიშვნელოვანი ხელმშემწყობი ფაქტორია ის, რომ 2012 წლის თებერვალს ჩინეთის მთავრობამ საქართველოს მიანიჭა „ტურიზმისთვის ხელსაყრელი ქვეყნის სტატუსი“ (Approved Destination Status), რაც აისახება საქართველოში ჩინელ ტურისტთა რაოდენობის ზრდაზე, ყოველდღიურად იზრდება საქართველოში: ჩინური კვების ობიექტები, ჩინურად მოლაპარაკე გიდები, ჩინური ინვესტიციები ტურიზმის სფეროში [17].

აქვე უნდა აღინიშნოს, ბოლო პერიოდში მსოფლიოს გლობალური პრობლემის კოვიდ - 19-ის პანდემიის შემაფერხებელი გავლენა ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე. პანდემიის დაწყების მომენტიდან ჩინეთი და საქართველო პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას ორმხრივი თანამშრომლობით ახორციელებენ. ორივე ქვეყანა ერთმანეთს ეხმარება და მხარს უჭერდა ერთმანეთს რთულ პერიოდში პრევენციის, კონტროლის, მატერიალური დახმარებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმით გამოცდილების გაზიარებით. კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია, როგორც პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ტურიზმის და სხვა სფეროებში. მაგრამ, დღეს ქვეყანებს შორის სტაბილური ურთიერთობები მყარად ნარჩუნდება და თანამშრომლობის პროექტები შეუფერხებლად ხორციელდება.

დღესდღეობით ჩინეთის ინტერესები ძირითად აქტიურ ფაზაში სავაჭრო-საინვესტიციო სფეროში მიმდინარეობს, რაც, რა თქმა უნდა, მყარ დიპლომატიური ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება არის გეოპოლიტიკური შედეგიც და ზრდის ჩინეთის ინტერესს საქართველოს სტაბილურობის და უსაფრთხოების მიმართ. ამ ინტერეს უფრო სტაბილურს ხდის „სარტყელისა და გზის“ პროექტში საქართველოს ჩართულობა. ჩინეთისთვის საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია კავკასიის რეგიონში. ამ ორ ქვეყანას ახლო კომუნიკაცია აქვთ და მხარს უჭერენ ერთმანეთს საერთო ინტერესების მქონე საკითხებში. ჩინეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობებიდან 30-ე წელს, უნდა აღინიშნოს, რომ aმ მოკლე დროში ორმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ცხადია, რომ მომავალში ეკონომიკური, საინვესტიციო და კულტურათშორისი თანამშრომლობის გაძლიერებით, ჩინელი და ქართველი ხალხი კიდევ უფრო განავითარებენ ორმხრივ ურთიერთობებს. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მიმდინარე გლობალურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკური ცვლილებების ფონზე საგარეო

პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყაროა. ჩინეთ-საქართველოს შორის არ არსებობს ინტერესთა კომფლიქტი, ორმხრივი ურთიერთობები სტაბილურად და ჯანსაღად ვითარდება, პოლიტიკური ნდობა მუდმივად ღრმავდება და საერთაშორისო საკითხებში ვინარჩუნებთ კორდინაციას. საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა, დამოკიდებულია რეგიონის წამყვანი აქტორების მოქმედებებზე. ამასთან რეგიონში ჩინეთს აქვს ძლიერი სახლმწიფოს სტატუსი, რაც კიდევ უფრო ზრდის მის, როგორც პარტნიორი ქვეყნის, მიმზიდველობას.

LIA SHENGELIA

CHINA-GEORGIA RELATIONS

The article discusses the historical aspects of China-Georgia relations, current bilateral cooperation between the countries in the fields of politics, economy, trade, education and culture. Bilateral relations between the countries are developing rapidly every year, and it should be noted that today Georgia is one of China's important partners in the Caucasus region.

Keywords: China, Georgia, Project, Trade, Silk Road.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. თბ., 1975.
2. ზვიადაძე გ., „აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზე გადიოდა“. თბ., 1989.
3. გოლიაძე ვ., „აბრეშუმის დიდი გზა სავაჭრო გზა და საქართველო“, თბ., 1997.
4. შევარდნაძე ე., „დიდ აბრეშუმის გზა“, თბ., 1999.
5. ლორთქიფანიძე ო., „ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა“, შავიზღვისპირეთის ძვ. ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ. , 1999.
6. საქართველოს სატრანსპორტო სისტემისა და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საპრეზიდენტო პროგრამა (2000-2005წ.წ.). თბ., 2000.
7. ჭარაია ვ., „საქართველოსა და ჩინეთის შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017.
8. პაპავა ვლ., „ერთი სარტყელი-ერთი გზის ინიციატივა“ და საქართველო“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017.
9. გოგოლაშვილი კ., „ახალი აბრეშუმის გზა: ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის ეტაპი“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017.
10. ლარსენი ჯ., „საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები: „სარტყელისა და გზის“ გეოპოლიტიკა“, პოლიტიკის დოკუმენტი, თბ., 2017, 17 ოქტომბერი
11. მამრაძე პ., „ჩინეთის პროექტი OBOR (One Belt — one Road), ანუ „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ („ესეგ“) და საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივა. გლობალური კვლევების ცენტრი. 9 ივლისი, 2017. იხ. http://globalresearch.ge,
12. სამეცნიერო შრომების კრებული, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016. გვ.4-9 https://unigeo.edu.ge/ge/attachments/UniGeo-s-samecniero-shromebis-krebuli.pdf
13. ჭარაია ვ., კურდღელია ლ., ანგურიძე ო., ლაშხი მ., გულბანი შ., შატაკიშვილი დ., „ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში“, თბ., 2020 https://sector3.ge/Libraries/Download/365
14. „ევრონიუსი“: საქართველო აბრეშუმის გზის სტრატეგიული ნაწილია http://www.newspress.ge /uckhouri-presa/104107-evroniusi-saqarthvelo-abreshumis-gzis-strategiuli-natsilia.html-
15. ჯანიაშვილი მ., „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელობა საქართველოსთვის“, https://1tv.ge/analytics/
16. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - http://mfa.gov.ge
17. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - https://gnta.ge/statistics
18. ტრასეკას ოფიციალური ვებ გვერდი - http://www.traceca-org.org/en/traceca/history-of-traceca/
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge/
20. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში - https://china.mfa.gov.ge/

რიმა გელენავა
*წარმოადგინა ასოც. პროფ. **მადლენა კოწოწაშვილმა***

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში

წინამდებარე სტატიაში არის აღწერილი საქართველოს ხელისფულბის პოლიტიკა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხივნვალის რეგიონებთან მიმართებაში. განხილულია საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ არაღიარების პოლიტიკასთან დაკავშირებით შემუშავებული კონკრეტული დოკუმენტები: სახელმწიფო სტრატეგია ოკუპურებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით [1]; ჩართულობის სამოქმედო გეგმა [2], რომლებიც რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტრომ შეიმუშავა. ხელისუფლება დებს გარკვეულ რესურსებს სახალხო დიპლომატიის განხორციელებისათვის კონფლიქტის ზონებთან მიმართებაში, თუმცაღა მათი ეფექტურობა საჭიროებს შესწავლას და გაანალიზებას რასაც განვიხილავთ ამ სტატიაში. ქვეყანაში სახალხო დიპლომატიის მიმართ არსებული ინსტიტუციური შესაძლბელობის ანალიზის მეშვეობით განისაზღვრება საქართელოს პოლიტიკის ძირითადი მიდგომები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში.

აგრეთვე სტატიაში შესწავლილია სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც საქართველოს მთავრობას აქვს განხორცილებული. სამშვიდობო პროცესების განვითარების ეტაპები მისი წარმატებები და ჩავარდნები. აგრეთე გაანალიზებულია სახალხო დიპლომატიის პერსპექტივები და გამოწვევები რაც ამ მიმართულებით საქართველოს ჰქონდა ან შეიძლება ჰქონდეს მომავალში. თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ სწორად იქნეს სახალხო დიპლომატიის პოტენციალი გამოყენებული გაყოფილი საზოგადოების ერთმანეთთან დასაახლობელად.

საკვანძო სიტყვები: *სახალხო დიპლომატია, მოლაპარაკება, კონფლიქტი, ტერიტორიული მთლიანობა.*

კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, დაწყებული 1990-იანი წლების დასაწყისში, თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე არის მოუგვარებელი. ორივე რეგიონი უკვე ოცდაათი წელია, რაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება და ამ რეგიონს მართავს სეპარატისტულად განწყობილი ე.წ. დე-ფაქტო ხელისუფლება, ოკუპანტი რუსეთის ზედამხედველობით. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ თვალნათლივ გახდა ამ რეგიონების რუსეთის მიერ ოკუპაცია, ხოლო იმას, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში ამ რეგიონებში, დაერქვა თავისი სახელი, რასაც ახლა ეწოდება რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და „ქართულ-აფხაზურ დაპირისპირება“ ჩაანაცვლა ტერმინმა „საქართველო რუსეთის ომმა“ [3].

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაძაბულობა მე-20 საუკუნის ადრეული წლებიდან იწყება. მინი სეპარატისტული აფეთქებების მოწყობის მექანიზმები, ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის დროს შეიქმნა და ითვალისწინებდა სსრკ-ის დაშლის შემდგომ ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული სახელმწიფოებისთვის პრობლემების შექმნას. ეთნიკური უმცირესობებისთვის ავტონომიურობის უფლების მინიჭება ამის პრერეკვიზიტი და 1991 წლიდან, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენება. რუსეთის მხრიდან სისტემატურად ხდებობდა სეპარატისტული მოძრაობების წახალისება, რათა დამოუკიდებელ საქართველოში არეულობა შემოეტანა.

კონფლიქტი საქართველოს მთავრობასა და ეთნიკურ ოსებს შორის 1920-იან წლებში დაიწყო დამოუკიდებლობის მომხრე ოსების არაერთი აჯანყების შემდეგ. რის შემდეგ მალე საქართველო საბჭოთა კავშირის ქვეშ მოექცა და სამხრეთ ოსეთს „ავტონომიური რესპუბლიკის“ სტატუსი მიენიჭა საქართველოს საბჭოთა სო-

ციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში. „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსი იყო სუვერენიტეტთან დაკავშირებული ორი საკითხიდან ერთ-ერთი, რომელიც აქტუალური გახდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისთანავე, 1991 წელს. მეორე ასეთი საკითხი უკავშირდებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე „აფხაზეთს“. სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა 1923 წელს და რომელიც 1990 წელს გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ცნობილია როგორც „ცხინვალის რეგიონი“ (ან არაოფიციალურად მისი ისტორიული სახელით, „სამაჩაბლო“) [4].

1991 წელს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს ადმინისტრაციამ წინააღმდეგობა გაუწია სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ყველა მცდელობას. სამხრეთ ოსური ეროვნული გვარდია მონაწილეობდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ქართულ ძალებთან და სრულმასშტაბიანმა ომმა 1991 წელს იფეთქა, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც პარტიზანული ძალები, ასევე რუსული ძალები ეხმარებოდნენ სამხრეთ ოსეთის აჯანყებულებს.

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ ხელი შეუწყვეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას 1992 წელს, რომელიც ცნობილია როგორც „სოჭის შეთანხმება“. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსული ჯარები უნდა განლაგებულიყვნენ სამხრეთ ოსეთში, როგორც გაერთიანებული სამშვიდობო ძალების ნაწილი. რუსეთის სარდლობდა 1500 ჯარისგან შედგებოდა, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ ქართველი და ოსი სამხედრო მოსამსახურეები. მომდევნო წლებში სამხრეთ ოსეთმა დააარსა დე-ფაქტო სახელმწიფო ინსტიტუტები (თვითგამოცხადებული პრეზიდენტობა, პარლამენტი და შეიარაღებული ძალები) [5].

ორწლიანი (1990-1992 წწ.) კონფლიქტი დასრულდა საქართველოსგან სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო გამოყოფით. 2004 წლის აგვისტოს სამხრეთ ოსეთში კვლავ მოხდა, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ სერიოზული შეტაკებები[6].

საქართველოს ეროვნული მთავრობის და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მთლიანად და სავსებით გამომდინარეობდა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის კონცეფციიდან. აფხაზეთისა და მის გარშემო შექმნილი ვითარება, როდესაც სეპარატისტული განწყობები სულ მეტად აქტიურდებოდა განსაკუთრებით კრემლის მიერ აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერის და ეთნოკრიზისის ინსპირირების რეალური საფრთხის არსებობა იყო რეალური. 1991 წელს აფხაზეთში იქმნებოდა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, მაგ., „სლავური სახლი“ [7], რომელიც აფხაზეთში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარებას ეწეოდა. შემდგომში იგი სამხედრო დახმარებასაც უწევდა აფხაზ სეპარატისტებს რუსულ-კაზაკური ფორმირების შექმნაში. ამგვარად 1992 წლის 14 აგვისტოს დაიყო აფხაზეთის ომი, რასაც წინ უძღოდა 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილება რკინიგზის ტრანპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზეც და სახელმწიფოს საბჭოს პრეზიდიუმის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებმა დაიწყეს გადაადგილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. რასაც ოჩამჩირის რაიონის, სოფ. ოხურიესთან მოჰყვა შეტაკება აფხაზ ბოევიკებთან [8], რაც შემდგომში გადაიზარდა ფართომასშტაბიან ომში. 1993 წლის 27 სექტემბერს მოწინააღმდეგემ რუსეთის და ბოევიკების მხარდაჭერით აიღო სოხუმი და შემდგომში მთლიანად აფხაზეთი. ომისა და ქართველების ეთნო-წმენდის შედეგად დაიღუპა 30 ათასი ეთნიკური ქართველი, და აფხაზეთში მცხოვრები 300000 მეტი ადამიანი გახდა აფხაზეთიდან ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირი [9].

მრავალწლიანი მშვიდობიანი თანაცხოვრების მეხსიერება აფხაზებსა, ოსებსა და ქართველებს შორის ნელ-ნელა გაქრა, ხოლო წინააღმდეგობრივი და რადიკალიზებული ნარატივები აფხაზებსა და ოსებში ნეგატიურად კვებავს მოსახლეობას. ყოველდღიური ურთიერთქმედების არარსებობამ, ხალხთა შორის კომუნიკაციის შეზღუდულმა შესაძლებლობამ და მცირე პოლიტიკური დიალოგის ფონზე, მოხდა ქართველების, აფხაზებისა და სამხრეთ ოსების დაშორება. ორივე რეგიონის დაყოფილი საზოგადოება სულ უფრო შორდებოდა ერთმანეთს. საჭირო იყო კონფლიქტის ზონაში როგორც ჰუმანიტარული ასევე ადამიანის უფლებების კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა, ასევე კონფლიქტის ესკლაციის თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის ჯგუფების ჩარ-

თვა. ცხინვალის რეიონში კონფლიქტის ზონაში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო) ევალებოდა ფართო პოლიტიკური ჩარჩოს შექმნა და ადგილობრივებთან კონტაქტის დამყარების მიზნით ხელისუფლების და მოსახლეობის წარმომადგენლებთან მუშაობა. ეუთო აქტიურად იყო ჩართული შერეული საკონტროლო კომისიის საქმიანობაში (JCC), დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში. დამატებით 1999 წლის დეკემბერიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე, ეუთოს ჰქონდა საზღვრის მონიტორინგის ოპერაციის (BMO) მანდატი თბილისმა მიიწვია ევროკავშირი ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის ოპერაციის (Border Monitoring Operation – BMO) ფუნქციების გასაგრძელებლად საქართველოში, მას შემდეგ, რაც 2004 წლის ბოლოს რუსეთმა ვეტო დაადო ეუთო-ს მისიის მიერ ამ ოპერაციის გაგრძელებას საქართველოში [10].

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოსში კონფლიქტების დარეგულირების საკითხში

1993 წლიდან 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში ცდილობდა სახალხო დიპლომატიის გამოყენებით კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. პროცესებში ჩართული იქნა გაერო, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებმა 1993 წლიდან საფუძველი ჩაუყარა გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში, აფხაზეთის რეგიონში – UNOMIG -ის მუშობას. 1994 წელს ე.წ ოთხმხრივი შეთანხმების ფარგლებში აფხაზური, ქართული და რუსული ძალები, ისევე როგორც, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი, შეთანხმდნენ დევნილთა ნაწილის დაბრუნების შესახებ [11].

საქართველოს ხელისუფლების მიერ იქნა შემუშავებული რამოდენიმე სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც როგორც აფხაზეთისთვის სტატუსის მინიჭებას, ასევე უსაფრთხოების გარანტიებს ითვალისწინებდა. გარდა ამისა, სამშვიდობო პროცესებში ჩართული იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

მიუხედავად სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებისა თუ პროექტებისა, კონფლიქტის დარეგულირების საკითხი წინ არ წაწეულა წლების განმავლობაში. 2008 წელს უკვე მოხდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია და საომარი მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. კონფლიქტი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის-ცხინვალის რეგიონი ოკუპაციამ ჩაანაცვლა რუსეთის მხრიდან. რუსეთს ოკუპაციის შემდგომ ამავე წლის აგვისტოს თვეში მოხდა რუსეთის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარება.

რუსეთის მხრიდან აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციამ, აბსოლუტურად შეცვალა სამშვიდობო პროცესი და ის მცირედი კონტაქტები და თანამშრომლობა, რომელიც იყო მანამდე გაყოფილ საზოგაოებას შორის დაკარგვის პირას დადგა. ძალიან გართულდა ყველანაირი კომუნიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან, შეიზღუდა გადაადგილება და ასევე გაეროს სადამკვირვლებლო მისიამ შეწყვიტა ფუნქიცონირება, რომელიც სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ახორციელებდა მოსახლეობის ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მუშაობას. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შემუშავებული და მიღებული იქნა კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელმაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სტატუსი განსაზღვრა. სადაც ამ ტერიტორიებს რუსეთის ფედერაციის მიერ „დროებით ოკუპირებული ტერიტორიები“ ეწოდება და არა როგორც მანამდე სეპარატისული რეგიონები ეწოდებოდა.

2008 წლის ომის შემდეგ შეიცვალა საქართველოს, როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. გაჩნდა ახალი ცნებები - დეოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიები, არაღიარების პოლიტიკა. 2008 წლის შემდგომი სამშვიდობო პოლიტიკამაც ამ მიმართლებით ჰპოვა განვითარება, რაც იქნა სამართლებრივადაც განმტკიცებული კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, ხელისუფლება იწყებს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას კონფლიქტური ტერიტორიებისადმი. 2008 წლის ომამდე რუსეთი მშვიდობისმყოფელის სტატუსით სარგებლობდა. 2008 წლის ომის შემდეგ ფაქტიურად იგი გახდა კონფლიქტის მხარე, რის საფუძველზეც ხელისუფლებამ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი, ჩაანაცვლა სხვა ტერმინით. კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე საქართველოს პოზიცია არის უცვლელი და კონფლიქტის მოგვარებას განიხილავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში, ასევე განსაზღვარავს აფხაზეთის სტატუსსაც. საქართველოს ხელისუფლებამ, სა-

მართლებრივ და პოლიტიკის დონეზე აღნიშნა, რომ რუსეთს აქვს ოკუპირებული ტერიტორიები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სახით. საერთაშორისო დონეზე ეს გაამყარა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებამ. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ რუსეთმა დაკარგა თავისი სტატუსი, რომელიც 1990-იანი წლებიდან ქონდა, როგორც მომლაპარაკებელს და მშვიდობისმყოფელს რეგიონში.

2008 წლიდან საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა სამშვიდობო წინადადებებით მიმართავდა დე-ფაქტო მთავრობას. საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის პროექტი განხილული იქნა, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ახალი მექანიზმი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოს ორი, მის მიერ ოკუპირებული რეგიონი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად გამოაცხადა, საქართველოს უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანა ამ ტერიტორიების „დამოუკიდებლობის“ არაღიარების მიღწევა იყო. საერთაშორისო საზოგადოებრიობა დადგა სამართლიანობის მხარეზე და რუსეთის მიერ აღიარებული „სუვერენული“ სახელმწიფოები, მიუხედავად მოსკოვის დიდი ძალისხმევისა, მხოლოდ რამდენიმე მარგინალურმა ქვეყანამ ცნო. „არაღიარების“ პოლიტიკის წარმატების შემდეგ საქართველოს მომდევნო ამოცანა იყო საერთაშორისო დონეზე რუსეთის მიერ საქართველოში დაკავებული ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის აღიარების მიღწევა. 2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა შავი ზღვის ქვეყნების შესახებ ახალი სტრატეგია დაამტკიცა. მას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა. ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელშიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ სიტყვა „ოკუპაცია“ ოფიციალურად ჩაიწერა. ქართველ ექსპერტთა განცხადებით, ამით კიდევ უფრო მყარდება სამართლებრივი ნიადაგი დეოკუპაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ, 2010 წლის 20 მაისს, როდესაც ევროპარლამენტმა სამხრეთ კავკასიაზე რეზოლუცია მიიღო, საბოლოო ტექსტში გაქრა რეზოლუციის პროექტში ნახსენები ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებით. 2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციის, რომელიც ევროპარლამენტის რუმინელი დეპუტატისა და ევროპის სახალხო პარტიის წევრ ტრაიან უნგურეანუს მოხსენებაზე დაყრდნობით მომზადდა, 32-ე მუხლში ნათქვამია, რომ „ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ყოველდღიურად ხდება ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში“ და მოუწოდებს ევროკავშირს, „აქტიური რეაგირება მოახდინოს შავი ზღვის რეგიონში მომხდარ ადამიანის უფლებათა თითოეულ დარღვევაზე“. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს (24-ე მუხლი) უსაფრთხოების პოლიტიკისა და საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ კეტრინ ეშტონს, „გააძლიეროს ზეწოლა რუსეთზე, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, საქართველოსთან კონფლიქტის მოგვარებისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით“ [12].

საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ არაღიარების პოლიტიკასთან მიმართულებით შემუშავებული კონკრეტული დოკუმენტები: სახელმწიფო სტრატეგია ოკუპურებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით [13]; ჩართულობის სამოქმედო გეგმა, რომლებიც რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტრომ შეიმუშავა. სამოქმედო გეგმის მიზანია - რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს გახლეჩილი საზოგადოების ურთიერთობების ჩამოყალიბებას, გაძლიერებას და გაფართოებას, ასევე თანამშრომლობას და პარტნიორობას, მათ შორის ნდობის აღდგენას[14].

სამოქმედო გეგმა მოიცავს აფხაზური და ოსური კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის შენარჩუნებას საქართველოში. ეს ასევე გულისხმობს ოსური ენის, როგორც ეროვნული უმცირესობის ენის და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად აფხაზური ენის, როგორც აფხაზეთში სახელმწიფო ენის დაცვას. გარდა ამისა მოიცავს კულტურულ, ეკონომიკურ, ხელოვნების და რელიგიის, სპორტის, სფეროში სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით მათ წარმოჩენას და დაცვას. ასევე, საქართველოსათვის განკუთვნილ ახალგაზრდულ საგრანტო პროგრამებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობას. თუმცაღა სრულფასოვნათ გეგმის განხორციელებაში ხელს უშლის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციის გაბატონებული მდგომარეობა რეგიონში, რაც აბრკოლებს ყველა აქტივობას.

კონფლიქტის მხარეებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად, ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას 2008 წლის აგვისტოში შეიქმნა „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი“, რომელიც გაეროს ევროსაბჭოსა და ეუთოს შეუამავლობით ტარდება. ჟენევის ფორმატს გააჩნია ნეიტრალური სტატუსი, და ამ ფორმატში ინდივიდულარური სტატუსით წარდგენილი არიან ფორმატის წევრები. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში 2008 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პირველი შეთანხმება [15] და, ასევე, იგი ითვალისწინებდა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანას. ამჟამად ეს არის ამ რანგის ერთადერთი მოლაპარაკებების ფორმატი.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგავრებაში ჩართოს „სახალხო დიპლომატია“-ც. 2017 წლის დეკემბრის თვეში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა არასამთავრობო ორგანზაიციებთან და ექსპერტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ „სამშვიდობო პროცესში საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დიპლომატიის როლი უნიკალურია და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ სეგმენტთან რეგულარული ინფორმაციის გაცვლა აუცილებელია [16].

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება განახორციელბს სხვადასხვა პროგრამებს „სახალხო დიპლომატიის“ მიმართლებით, კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობის მიზნით, როგორც ნაციონალურ, რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

2008 წლის შემდგომ შემუშვებული ახალი სამშვიდობო გეგმები კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტის დამყარებას და მათთვის სხვადასხვა ტიპის სარგებელის მიღებაზეა ორიენტირებული, როგორიცა პოლიტიკური, ეკონმიკური, ერთობლივი პროექტების განორციელება, სასაზღვრო ზონებში ერთობლივი ბიზნეს პროექტების განხორცილება, ე.წ. თავისუფალი ზონის შექმნა. ამით საქართველოს სახელმწიფო ცდილობს დაძლიოს საზოგაოდების დაყოფა და იზოლაცია.

2021 წლის 21 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ იქნა გადაწყვეტილება მიღებული სამთავრობო სხდომაზე. სამთავრობო კომისიის ფარგლებში, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2021 წლის ბოლომდე, საზოგადოების ფართო წრეების ჩართულობით, შეიმუშავებს ინკლუზიურ და ყოვლისმომცველ სახელმწიფო სტრატეგიას. კომისიასა და სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამთავრობო კომისიის ამოქმედების მიზანია საერთო ეროვნული პროცესის შექმნა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა და სტრატეგიული ხედვა ქვეყნის დეოკუპაციის, გამთლიანებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიმართულებით. პროცესში ჩართული იქნებიან, როგორც სახელმწიფო უწყებები და ინსტიტუციები, ისე სამოქალაქო საზოგადოება - კვლევითი ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანები და მოსახლეობის ფართო წრეები. 2021 წლის ბოლომდე გაიმართება არაერთი შეხვედრა, დიალოგი, დისკუსია, კონსულტაცია, როგორც უწყებათაშორის დონეზე, ისე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, რათა საერთო ეროვნული პროცესის ფარგლებში შემუშავდეს სახელმწიფოებრივი ხედვა ხვალინდელ მშვიდობიან და გამთლიანებულ საქართველოზე. პარალელურად, ინტენსიური სამუშაო პროცესი წარიმართება საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის პროაქტიული და ეფექტიანი ჩართულობით აქტიურ მოქმედებაში იყოს მოყვანილი ქვეყნის დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესი [17].

კონფლიქტების მიმართებაში საქართველოს სახელწიფოს დამოკიდებულება, მისი სამშვიდობო პოლიტიკა მნიშნელოვანია, თუმცაღა მშვიდობის მშენებლობის, შერიგების, ინტეგრაციის მეთოდები და პრაქტიკა მაინც შესწავლის საგნად რჩება, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ საქართველოს სამშიდობო პოლიტიკა შედგება ორი ძირითადი მიმართლებისგან ეს არის დეოკუპაცია და კონფლიქტის შედეგად გაყოფილი საზოგადოების ერთანეთთან დაახლოება.

შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით საქართველოში მკვეთრად სუსტია

ქართლ-აფხაზური თუ ქართულ-ოსური ინიციატივები, პროექტები, თუ პროგრმები, რომლებსაც სამოქალაქო საზოგადოება განახორციელებდა. ნაკლებად ხდება ფორმალური განათლებისა და ახალაზრდების სამშვიდობო პროცესებში ჩართვის აქტივობები ორივე მხარეს, რაც კიდევ უფრო რთულს ხდის კონფლიქტის შედეგად დაყოფილი საზოგადოებების დაახლოებას და საქართველოს, როგორც სასურველი და მიმზიდველი ქვეყნის წარმოჩენას. რაც შეეხება სახელწმიფოს მუშობას, რთულია სრულფასოვნად გაანალიზება მისი წარმატების თუ წარუმატებლობის შედეგი, პირველ რიგში გამომდინარე იქედან, რომ ფაქტობრივად ნაკლებად აფიშირებადია განხორციელებული აქტივობები და პროგრამები, საზოგადეობას არა აქვს სრული ინფორამცია თუ რამდენი ადამიანი სარგებლობს სერვისებით, რამდენს მოსწონს, რამდენია კმაყოფილი ან უკმაყოფილო ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პროგრამებით. რა თქმა უნდა, რუსეთის ფაქტორი არის ხელშემშლელი ყველა აქტივობების თუ პროგრამების ეფექტურად განხორციელებისათვის. დე-ფაქტო ხელისუფლებების პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური სრული დამოკიდებულა რუსეთისადმი ართულებს ხელისუფლების მუშაობას კონფლიქტის მიმართულებით.

ვფიქრობთ, ამ ვითარებაში აუცილებელია კონფლქიტის მშიდობიანი დარეგულირებისათვის მოქმედება უნდა გააქტიურდეს და გახდეს დინამიური, შემდეგი მიმართულებით:

- საქართველოს მთვარობამ დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში უფრო მეტად უნდა გაითვალისწინოს სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერა გამოყოს დაფინანსება მის განსახორცილებლად. სახალხო დიპლომატიის მხარდასაჭერი განცხადებები და მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან უნდა იყოს სისტემატიური;
- მიზანშეწონილია და შედეგის მომტანია, როგორც მშვიდობის ქართული მოდელის წარმოჩენა აკადემიური დიპლომატიის იდეის გამოყენების. სამეცნიერო დიპლომატია ხელს შეუწყობდა კონფლიქტის დონის შემცირებას, სახელმწიფო პოლიტიკის დასახული მიზნების მიღწევას. სამეცნიერო დიპლომატიური პრაქტიკა მიმართულია ურთიერთობების დასარეგულირებლად კონფლიქტის მხარეებს შორის მშვიდობიანი სამეცნიერო ურთიერთქმედების გზით.

აგრეთვე, ვფიქრობთ, რომ ეფექტური და შედეგიანი იქნება კულტურული დიპლომატიის გამოყენება კულტურული მემკვიდეობის დაცვის მიმართულებით, რაც დაახლოებს კონფლიქტის შედეგად დაყოფილ საზოგადოებას. კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება, რათა დაუპირისპირდეთ სიძულვილის პროპაგანდის გავრცელებას. მუშაობა უნდა მიდიოდეს არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის განადგურებისგან დაცვაზე, არამედ კულტურის წახალისებას და გამოყენებას, როგორც მშვიდობის წყაროსა და დიალოგის ფაქტორისა.

RIMA GELENAVA

GEORGIAN GOVERNMENT POLICY TOWARDS ABKHAZIA AND TSKHINVALI REGIONS OCCUPIED BY RUSSIA

Summary

The present article covers the essence of Georgian government policy towards Abkhazia and Tskhinvali regions occupied by Russia. The article overviews the specific documents elaborated by Georgian government in regards of non-recognition policy, such as: State Strategy of Occupied Territories: inclusion by cooperation; inclusion action plan, elaborated by Georgian State Ministry of Reintegration. Government allocates respective resources to implement and public diplomacy towards conflict zones, thus the effectiveness of actions requires studies and analysis, that will be presented in the article. The analysis of existing institutional opportunities on the way to public diplomacy creates a basis to elaborate major findings on Georgian policy regarding the regions of Abkhazia and Tskhinvali.

In addition, the article outlines the studies of peacebuilding initiatives implemented by Georgian government, highlights the stages of peacebuilding development process with respective achievements and failures. Also, perspectives and challenges of public diplomacy implemented by Georgia, identified in past and predicted in future are analyzed. The way foreword is discussed, and recommendations elaborated how can Georgia effectively benefit from public diplomacy potential and contribute to reconciliation of divided societies.

Key words: *public diplomacy, negotiation, conflict, territorial integrity.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობა, სახელწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, ჩართულობა თანამშრომლობის გზით. https://www.gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf (გადამოწმებული 5.04.2022) (ქართულ ენაზე)
2. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. https://www.gov.ge/files/224_31227_382248_action_plan_ge.pdf გადამოწმებულია - 15.04.22.
3. ბაძაღუა დ., „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და საერთაშორისო სივრცე". სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019.
4. ანგარიში: მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე ქართლ-რუსული კონფლიქტი. Amnesty International Publications. ანგარიში წარმოდგენილია Amnesty International-ის მიერ კონფლიქტის ზონაში ჩატარებული ფაქტების მოძიების რამდენიმე მისიის განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/eur04005 2008kat.pdf. გადამოწმებულია - 04.04.2022).
5. Agreement on Principles of Settlement of the Georgian – Ossetian Conflict. Sochi, 24 June 1992, Government of Georgia & Government of the Russian Federation. https://peacemaker.un.org/georgia-sochi-agreement92 გადამოწმებულია - 25.04.22) .
6. ანგარიში: მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე ქართლ-რუსული კონფლიქტი. Amnesty International Publications. ანგარიში წარმოდგენილია Amnesty International-ის მიერ კონფლიქტის ზონაში ჩატარებული ფაქტების მოძიების რამოდენიმე მისიის განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. 04.05.2008. (გადამოწმებული 1.04.22)(ქართულ ენაზე)
7. იზორია ლ., „აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945-1993 წწ." თბ., 2015.
8. http://yata.ge/ge/?p=1208 (გადამოწმებული 1.05.22)
9. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანგარიში 2009 წ. https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf (ქართულ ენაზე) (გადამოწმებული 1.05.22)
10. http://yata.ge/ge/?p=1208 (გადამოწმებული 1.05.22)
11. მაცაბერიძე მ., „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო პოლიტიკური და სასამართლო ორგანოების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიარების შესაძლებლობები და პერსპექტივები". საქართველოს პოლიტიკური სისტემა. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Malkhaz%20Matsaberidze%20-%20Saqartvelos%20Politikuri%20Sistema%20-%20bolo.pdf. გადამოწმებულია - 1.04.22.
12. საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, ჩართულობა თანამშრომლობის გზით. https://www.gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf. (გადამოწმებული 5.04.2022) (ქართულ ენაზე)
13. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. https://www.gov.ge/files/224_31227_382248_action_plan_ge.pdf. გადამოწმებულია -15.04.22.
14. Communique of the President of France. http://iccn.ge/files/6-point_plan_by_saakashvili_and_sarkozy.pdf გადამოწმებულია - 5.05.22.
15. https://smr.gov.ge/ge/news/read/1143/ (გადამოწმებულია 3.04.2022)
16. https://old.newposts.ge/?newsid=263587 (გადამოწმებული 2.04. 2022)

მალხაზ გულაშვილი
წარმოადგინა პროფ. ვაჟა შუბითიძემ

კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების მახასიათებლები და „რბილი ძალის“ ეფექტი რეგიონულ უსაფრთხოებაზე

ნაშრომში განხილულია თუ როგორ მოქმედებს „რბილი ძალა“ რეგიონულ უსაფრთხოების სისტემაზე ადგილობრივი აქტორების საგარეო პოლიტიკასთან ერთად. საგარეო პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავის რეგიონში თუ საერთაშორისო ასპარეზზე, წარმოუდგენელია სწორი საშინაო პოლიტიკის გარეშე და რაც ნიშნავს: განათლების ხარისხის ამაღლება, რიგი საკითხებისადმი პრაგმატული მიდგომა, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, იდეის ირგვლივ ხალხის გაერთიანება, სახელმწიფო განათლება, იდენტობის შენარჩუნება, კულტურის ამაღლება, ძლიერი ეკონომიკა, თავდაცვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და მიდგომები. საქართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, რადგან ეს საერთაშორისო პოლიტიკიდან გამომდინარეობს. საგარეო პოლიტიკა გარკვეულწილად ქვეყნების წრეს ჰგავს და თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო შუაშია, მან უნდა განსაზღვროს კვებითი ჯაჭვი, რომლითაც ქვეყნები ურთიერთდაკავშირებულია და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც საქართველომ დასავლურ კურსზე დაყრდნობით აირჩია, შეიძლება მას ვერც იცავს, მაგრამ საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ოქროს შუალედი, რაც ასე მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისთვის და სანამ ქვეყანა არ გაძლიერდება, შეძლებს გამოიყენოს დასავლური. პოლიტიკურ ელიტაზე ზეწოლა მოახდინოს მეზობელ სახელმწიფოებზე, თუნდაც მათ რეგიონში არეულ ქვეყნებზე, არ განახორციელონ თავიანთი ამბიციები საქართველოს მიმართ, რომელსაც ისინი ავრცელებენ შიგნით, რბილი ძალის ან სპეცსამსახურების მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: *რბილი ძალა, საგარეო პოლიტიკა, საქართველო, კავკასიის რეგიონი.*

სამხრეთ კავკასია მდებარეობს შავ ზღვას (დასავლეთით) და კასპიის ზღვას (აღმოსავლეთით) შორის და ესაზღვრება რუსეთს, თურქეთს და ირანს. ეს რეგიონი წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნოსის (ხალხთა) და კულტურათა გზაჯვარედინად. ამ რეგიონს მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში და აქვს დღემდე. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარეობს 3 სუვერენული სახელმწიფო: აზერბაიჯანი (უმეტესი ნაწილი), სომხეთი და საქართველო. რეგიონის არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა, მაგრამ აზერბაიჯანი მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ, გამიზნულ, სწორ პოლიტიკას ატარებს.

სომხეთი. სომხეთი მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში. ამ ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია. დასავლეთიდან ესაზღვრება თურქეთი, ჩრდილოეთიდან საქართველო, აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, ხოლო სამხრეთიდან ირანი.

რეგიონალური ორგანიზაციებიდან სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრია.

სომხეთის სახელმწიფო, ფორმალურად ცდილობს არ გადაუხვიოს დემოკრატიული ქვეყნის რელსებიდან. 2017 წლის ნოემბერში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის დროს სომხეთმა დადო ხელშეკრულება „ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაფართოებული პარტნიორობის შესახებ“, რომელიც არ გულისხმობს არც თავისუფალ ვაჭრობას და არც ასოცირებას ევროპულ კავშირთან, მაგრამ ევროპის მიმართულებით გადადგმულმა ამ პატარა ნაბიჯმაც კი რუსი ექსპერტებისა და რუსული მედიის დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის მთავრობამ კი ამჯობინა საჯაროდ ამის წინააღმდეგ არ წასულიყო: როგორც ჩანს, ამ ეტაპზე თავისთვის სერიოზულ პრობლემად არ მიიჩნია ეს ნაბიჯი.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, თუნდაც ნატოსთან ურთიერთობისას სომხეთი სიფრთხილეს იჩენს

და ცდილობს თავისი პოზიციის რუსეთთან შეთანხმებას.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა გააჩნია, ეს ქვეყანა ლავირებას მაინც ახერხებს და პარალელურად ძალზე თბილი დამოკიდებულება აქვს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ უკანასკნელის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს სომხეთის სტრატეგიული ორიენტაცია რუსეთზე, გაამყაროს თავისი პოლიტიკური გავლენა ამ ქვეყანაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებით გადაწყვიტოს ყარაბაღის პრობლემა. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთის ხელისუფლებისგან შემდეგი საკითხების გადაწყვეტას ცდილობს:

- ქვეყნიდან გაყვანილ იქნას რუსეთის სამხედრო ბაზა და არსებითად შეიცვალოს ურთიერთობა რუსეთთან;
- გაწყდეს სომხეთის ყოველგვარი კავშირი ირანთან;
- ყარაბაღი ფართო ავტონომიური უფლებებით დარჩეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

ვაშინგტონი, როგორც ჰუმანიტარული დონორი, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სომხურ-ამერიკული დიასპორის როლი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სომხეთის პოლიტიკურ ელიტაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სომხეთის „მილენიუმის“ პროგრამაში ჩართვა, რომელმაც პრაქტიკული განხორციელება 2006 წლიდან დაიწყო და სომხეთს ამ მიზნით დაახლოებით 235 მლნ აშშ დოლარი გამოეყოფა.

ნატო-ს და სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს შორის თანამშრომლობას ღრმა ისტორიული საფუძველი გააჩნია. სომხეთი(ასევე საქართველო და აზერბაიჯანიც) თავიდანვე მონაწილეობდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში - ფორუმში დიალოგისათვის, რომელიც შეიქმნა ნატო-ს მიერ 1991 წელს (დეკემბერის თვეში), როგორც პირველი ნაბიჯი ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრების ჩართვისაკენ, აღმოსავლეთის და დასავლეთის გამყოფი ზღუდის მიუხედავად, რომელსაც, მოგვიანებით, 1997 წელს, ჩაენაცვლა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო. სომხეთი, აზერბაიჯანისა და საქართველოს მსგავსად ჩართულია პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომლის განხორციელება დაიწყო 1994 წელს. პარტნიორული ურთიერთობა გულისხმობს თანამშრომლობაზე მეტს გულისხმობს - საუბარია ისევ და ისევ საერთო ფასეულობებსა და ღირებულებებზე. როცა პარტნიორი ქვეყნები უერთდებიან პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (pfp), ისინი ხელს აწერენ „პროგრამის“ ჩარჩოდოკუმენტს. რას გულისხმობს ეს ყოველივე? ამ დროს პარტნიორები (ერთის მხრივ ალიანსი და მეორეს მხრივ პარტნიორი ქვეყანა), კისრულობენ ვალდებულებას დაიცვან საერთაშორისო სამართალი, გაეროს ქარტია, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ასევე ჰელსინკის საბოლოო აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულებები განიარაღების და შეიარაღების კონტროლის შესახებ; მნიშვნელოვანია ასევე, თავის შეკავება სხვა ქვეყნების მიმართ მუქარის თუ ძალის გამოყენებისგან; უნდა დაიცვან არსებული საზღვრები; მშვიდობიანად მოაგვარონ დავები. ჩარჩო-დოკუმენტი პარალელურად ხაზს უსვამს მოკავშირეების ვალდებულებას აწარმოონ კონსულტაციები ნებისმიერ პარტნიორ სახელმწიფოსთან, რომელიც მიიჩნევს, რომ საფრთხეშია მისი ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება და სახელმწიფოს სუვერენიტეტი. და მაინც რა არის „პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამის მიზანი? ამაზე ერთადერთი კონკრეტული პასუხი არსებობს. ზემოთაღნიშნული ვალდებულებების და მთლიანობაში პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ნდობა და გამჭირვალობა, შეასუსტოს მშვიდობის დარღვევის საფრთხე, ხელი შეუწყოს შერიგების პროცესს, დაამყაროს უფრო ღრმა ურთიერთობები მოკავშირეებთან უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ეხლა, როდესაც განვიხილეთ პარტნიორი ქვეყნის მოვალეობები, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა უშუალოდ პროგრამაზეც. „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის არსს წარმოადგენს პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბება ალიანსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის. თანამშრომლობა ეფუძნება ცალკეული ქვეყნის საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს. პარტნიორებს საშუალება ეძლევათ შეარჩიონ ღონისძიებების ფართო სპექტრიდან ის ძირითადი მიმართულებები, რომლის საფუძველზეც დგება თანამშრომლობის ორწლიანი პროგრამები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც პარტნიორობის ინ-

დივიდუალური პროგრამები. „პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმით“ მაღლდება თანამშრომლობის დონე და მეტი ყურადღება ეთმობა მათი პერსპექტიული რეფორმების პრიორიტეტებს.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC), ის ფორუმში აერთიანებს 26 მოკავშირე და 23 პარტნიორ ქვეყანას, დიალოგისა და კონსულტაციისათვის. პარტნიორობის საბჭოს შეხვედრები იმართება ყოველთვიურად ელჩების დონეზე და ყოველწლიურად - საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე, ასევე, დროდადრო, სამიტების ფორმით.

რისთვისაა საბჭო საჭირო და რა დანიშნულება აქვს მას?

ევრო-ატლანტიკური საბჭოს წევრები რეგულარულად აჯამებენ შეხედულებებს უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხებზე. ამას გარდა, საბჭომ წამოიწყო ინიციატივა პრაქტიკული თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტერორიზმთან ბრძოლა, საზღვრების უსაფრთხოება და სხვა საკითხები. წლების განმავლობაში, ევრო-ატლანტიკური საბჭო ატარებდა სხვადასხვა სემინარებს და კონფერენციებს სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გამყარებისადმი პრაქტიკული მიდგომის საკითხებზე.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები ეხება ალიანსის საქმიანობის ყველა სფეროს:

1. თავდაცვისაკენ მიმართული სამუშაოები, თავდაცვის პოლიტიკა და დაგეგმვა;
2. სამხედრო სფეროს რეფორმა, სამხედროებს შორის თანამშრომლობა და ერთობლივი წვრთნები;
3. განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
4. საგანებო სიტუაციებში სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვა, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და თანამშრომლობის სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხები.

აზერბაიჯანი. აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთი აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე. აღმოსავლეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა, ჩრდილოეთით რუსეთი, ჩრდილო-დასავლეთით საქართველო, დასავლეთით სომხეთი და სამხრეთით ირანი.

ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისა და უცხოეთის ნავთობკომპანიებთან მრავალმილიარდიანი კონტრაქტების გაფორმების შედეგად ერთ სულ მოსახლეზე უცხოური ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი **დსთ-ის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა.** ქვეყანაში ყოველდღიურად დაახლოებით 20 მილიონი დოლარის მოცულობის უცხოური ინვესტიცია ხორციელდება, რაც თავისთავად იწვევს ეკონომიკის მაღალ დონეს, რაც პირდაპირპროპორციული ქვეყნის განვითარებასთან.

1996 წელს აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა - პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული შეთანხმების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენს. აგრეთვე, უდიდესი მნიშვნელოვანი ენიჭება აზერბაიჯანის ჩართვას ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში 2004 წლიდან, და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში 2009 წლიდან. ევროკავშირის ინტერესები ქვეყნის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ახალი გაზსადენის მშენებლობის შესახებ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა შემდგომში მოხდეს ევროპის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, ხოლო 2009 წლიდან ევროკავშირის **აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში** ჩართვა. საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება ავტომატურად ქვეყნის უსაფრთხოების საწინდარია. ევროკომისიის წინადადებაა, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობა წამოწყებული იქნეს 2009 წლის გაზაფხულზე გამართულ სამიტზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსა და პარტნიორთა მთავრობების ან სახელმწოფოს მეთაურები. ეს „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტი“ მიიღებს პოლიტიკურ დეკლარაციას, რომლის საფუძველზეც დაარსდება პარტნიორობა, სამიტზე საქვეყნოდ გაცხადდება აღმოსავლეთის პარტნიორობის ძირითადი მიზნები და პრინციპები და განისაზღვრება სამომავლო თანამშრომლობის პროცესის ზოგადი მხარეები.

აღმოსავლეთის პარტნიორობა ხელს შეუწყობს რეფორმების აქტიურად განხორციელე-

ბას, ბაზრებისა და საზოგადოებების ინტეგრაციას, სტაბილურობის დამყარებას, ეს პროგრამა ხელს შეუშლის ჩვენს კონტინენტზე ახალი საფრთხეების წარმოქმნას. ევროკომისია მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური დახმარება გაუწიონ აღმოსავლეთის პარტნიორობას.

აზერბაიჯანის ხელისუფლება გამუდმებით ცდილობს არ გადაუხვიოს დასახულ კურსს, რომლის ძირითად მიმართულებად რჩება კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში პოზიციების გამყარება, ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან, რაც გულისხმობს „ორმაგ თამაშში ჩართვას“, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკის განმტკიცება, ასევე ნავთობის და გაზის ერთობლივ დამუშავებაზე ახალი კონტრაქტების გაფორმება და განხორციელება, მათ შორის მნიშვნელოვანია ევროპის მიმართულებით ახალი მილსადენების მშენებლობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გავლით. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ მიღწეული შედეგები დადებით გავლენას ახდენს აზერბაიჯანი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებაზე. 2006-2007 წლებში აზერბაიჯანში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 30%-ს გადაამეტა.

საგარეო პოლიტიკის დეფინიცია: ღირებულებითი სისტემის ფარგლებში განხორციელებული იმ ამოცანების ფორმულირება და იმპლემენტაცია, რომლებიც წარმოაჩენს ერი-სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მიზნებს, მისწრაფებებს და ხელს უწყობს სახელმწიფოს წარმოჩენას საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. თუ ჩვენ გადავხედავთ აზერბაიჯანის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას ის შემდეგნაირად ფორმულირდება: ქვეყნის ბოლო წლების საგარეო პოლიტიკის ანალიზი, ერთის მხრივ, პროდასავლური კურსის განმტკიცებასა და საიმედო პარტნიორების რიცხვის ზრდაზე მიუთითებს, რაც ძირითადად სანავთობო სტრატეგიისა და რეალიზაციის გზით ხორციელდება და მეორეს მხრივ ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, რაზეც ნათლად მეტყველებს რუსეთის პრეზიდენტების, პუტინისა და შემდგომში მედვედევის ვიზიტები ბაქოში. თუმცა ამ ურთიერთობებს გარკვეული დაღი დაასვა რუსეთის მიერ აზერბაიჯანისადმი გაზის ექსპორტის შეწყვეტამ 2006 წელს მას შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა უარი განაცხადა რუსული გაზის იმპორტზე 230 დოლარად.

აზერბაიჯან-რუსეთს შორის ურთიერთობები როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიაში იმ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც **არ არსებობს რუსეთის სამხედრო ბაზები**. მართალია მოსკოვის ზეწოლის შედეგად აზერბაიჯანი 1993 წელს ოფიციალურად შევიდა დსთ-ში, მაგრამ რუსეთის სამხედრო ბაზები მას თავის ტერიტორიაზე არ დაუბრუნებია, თუმცა ქვეყანაში ისევ რუსეთის ზეწოლის შედეგად 2000 წლიდან ფუნქციონირებს რუსეთის საკუთრებაში მყოფი გაბალინის რადიო ლოკაციური სადგური. როგორც უკვე აღვნიშნე რუსეთი სომხეთის მოკავშირეა, მაგრამ პარალელურად ცდილობს აზერბაიჯანთან დაახლოებას, იმისთვის რომ კავკასიის რეგიონში არ მოხდეს რომელიმე ქვეყნის განვითარება. თუ აზერბაიჯანი შეძლებს ნატოსთან დაახლოებას, მაშინ რუსეთის სახელმწიფოს პრობლემები შეექმნება. და შესაბამისად, ყველანაირი გზით ცდილობს ამ ყველაფერში ხელის შეშლას. რაც შეეხება აზერბაიჯანული მხარისთვის პრობლემას წარმოადგენს კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსი, კასპიის ენერგორესურსების ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები, სომხეთისათვის იარაღის გადაცემა რუსეთის მიერ და რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობის საკითხები.

საქართველო. საქართველო წარმოადგენს სუვერენულ სახლმწიფოს კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესაზღვრება ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

საქართველოში წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, ორგანიზებული როგორც უნიტარული, ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ქვეყანა ამჟამად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს, სუამის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის. საქართველო ასევე მიისწრაფვის ევროპის კავშირში ინტეგრაციასა და ჩრდი-

ლოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას. საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მათი თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება. დროთა განმავლობაში ურთიერთობა გაღრმავდა და უკვე 2002 წელს პრაღაში საქართველომ გააჟღერა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი.

სამხრეთი კავკასია ესაა რეგიონი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვისა და კასპიის ზღვას შორის და მოიცავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს. წყაროში სამხრეთ კავკასიის სინონიმია ამიერკავკასია, შემდეგნაირად არის განმარტებული: ამიერკავკასია არის კავკასიონის ქედის სამხრეთი რეგიონი. კოლხეთისა და მტკვრის მთათაშორისი ბარი, ამიერკავკასიის მთიანეთი, თალაშის მთები და ლენქორანის დაბლობი. XX საუკუნის პოლიტიკური ტერმინოლოგიით „ამიერკავკასია“ (Закавказье) რუსულიდან მოდის და ნიშნავს კავკასიონის ქედს მიღმა არსებულს. დღეს გამოიყენება უფრო ნეიტრალური ტერმინი – სამხრეთი კავკასია. ამიერკავკასიას განეკუთვნება კავკასიონის სამხრეთ კალთის უმეტესი ნაწილი.

სამხრეთ კავკასია მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ესენია სომხეთი აზერბაიჯანსა და საქართველოს [1. 53].

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „კავკასია“, რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამ ადგილის ბერძნულ სახელს „კაუკასოს“ უკავშირდება. ბერძნული „კაუკასოს“ კი ძველი ირანული „კაპკაჰ“ სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დიდმთას“ ნიშნავს. სამხრეთ კავკასია არაა მხოლოდ ერთი სახელი, რომლითაც ეს ტერეტორია სახელდება, ასევე აქტიურად გამოიყენებოდა და დამკვიდრებული იყო ტერმინი „ტრანსკავკასია“. ქართველი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამიერკავკასიას“ დასავლურ ენებზე „ტრანსკავკასიას“ უწოდებენ, რაც რუსულ „Закавказье“-ს თარგმანს წარმოადგენს, ლათინური „ტრანს-“ თავსართის გამოყენებით რუსული „за-“ პრეფიქსის შესაბამისად. „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“, მაშასადამე, ნიშნავს „კავკასიის ქედის, კავკასიონის მიღმა ტერიტორიას“, ქართულად როგორც „იმიერკავკასია“ გადმოითარგმნება. სამხრეთ კავკასიის რეგიონი რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამ ქედის ბერძნულ „კაუკასოს“ სახელს უკავშირდება. თავად ბერძნული „კაუკასოს“ ტერმინი ძველი ირანული „კაპკაჰ“ სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დიდმთას“ ნიშნავს. შესაბამისად, „კავკასია“ გეოგრაფიულად წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიას შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ჰყოფს – ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. კავკასიონის სამხრეთით ქედის მდებარე ტერიტორიის „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“ ტერმინით აღნიშვნა საქართველოს გულისხმობს სომხეთისა და აზერბაიჯანის მომცველი ამ ტერიტორიის დანახვას და სახელდებას ჩრდილოეთიდან, „კავკასიის“ სამხრეთი ნაწილის შეფასებას „ჩრდილოელი დამკვირვებლის თვალით“, რის გამოც ეს ტერმინი გარკვეულ პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, „კოლონიურ“ შეხედულებას იძენს. „კავკასიის“ სამხრეთ ნაწილს ჩვენ ქართულად „ამიერკავკასიას“, ანუ კავკასიის ქედის „აქეთ“, „ამიერ“ მდებარე რეგიონს ვუწოდებთ. ამისგან განსხვავებით, რუსულ და დასავლურ სიტყვახმარებაში ჩრდილოეთ კავკასიას უწოდებენ, ხოლო კავკასიის სამხრეთ ნაწილს ლოგიკურად მოსალოდნელი და გეოგრაფიულად გამართლებული განსხვავებით პოლიტიკური ორიენტაციის მქონე „Закавказье“ – „ტრანსკავკასია“ ტერმინით აღნიშნავენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტერმინი „ტრანსკავკასია“ – მიზანშეწონილია ამ ენებში შეიცვალოს პოლიტიკურად ნეიტრალური და გეოგრაფიულად ზუსტი ტერმინებით „ჩრდილო კავკასია“ – „Северный Кавказ“, „North Caucasus“ და „სამხრეთ კავკასია“ – „Южный Кавказ“, „South Caucasus“; ქართულში „სამხრეთ კავკასია“ ტერმინის პარალელურად შესაძლებელია ტრადიციული „ამიერკავკასიაც“ გამოვიყენოთ (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მომცველი ტერიტორიის აღსანიშნავად). ეს საკითხი ხშირად დასმულა ჩვენს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-პოლიტიკურ კონფერენციებზე კავკასიის შესახებ და დადებითად იქნა აღნიშნული მონაწილეთა მიერ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ტრადიციული ტერმინები „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“ იმდენად ფეხმოკიდებულია საერთაშორისო ლექსიკონში, რომ მათ ნაცვლად ტერმინ „სამხრეთ კავკასიის“ დამკვიდრებას, ალბათ, დრო დასჭირდება. უნდა შეიცვალოს უცხოურ ორგანიზაციათა ამიერკავკასიასთან დაკავშირებული პროექტების ტერმინოლოგია: „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“ ტერმინის ნაცვლად უნდა იხმარებოდეს ტერმინი „სამხრეთ კავკასია“, ტერ-

მინი „ტრანსკავკასიური“ (მაგალითად, „ტრანს-კავკასიური მაგისტრალი“) დარჩება მხოლოდ მთელს „სამხრეთ კავკასიაში“ გამავალი გამჭოლი გზის, დერეფნის აღსანიშნავად აღმოსავლეთ-დასავლეთის (ან დასავლეთ-აღმოსავლეთის).

სამხრეთ კავკასია პატარა, მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, კავკასიონის სამხრეთ ნაწილში [2. 15].

კავკასიონის მაღალმთიანი რეგიონი ძირითადად საქართველოს შემადგენლობაში შედის, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, ხოლო სომხეთი საქართველოდან სამხრეთით მდებარეობს, რომელიც ასევე მაღალმთიან პლატოზეა მთების ჯამური ფართობი 186100 კვადრატული კილომეტრია. სამხრეთ კავკასია ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია რუსეთით, აღმოსავლეთით კასპიის ზღვით, სამხრეთით თურქეთით და ირანით, ხოლო დასავლეთით შავი ზღვით.

19-ე საუკუნის დასაწყისში ორი დიდი ომის შემდეგ, რომელსაც რუსეთ-სპარსეთის ომი ეწოდა (1804-1813 და 1826-1828), რუსეთის იმპერიამ დაიპყრო სამხრეთ კავკასიის გარკვეული ნაწილი. საზავო ხელშეკრულებით, რომელიც 1804-1813 წლის ომს მოჰყვა გულისტანის სახელით იქნა აღწერილი, ირანმა დაკარგა დაღესტანი და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი სრულად, ასევე ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნაწილი. თურქმენჩაის ზავის შემდეგ კი, რომელიც 1826 წლების ომს მოჰყვა, ირანმა დაკარგა სომხეთის ტერიტორია. 1828-1829 წლის ომის შემდეგ, ოსმალთა იმპერიამ რუსეთს გადასცა დასავლეთ საქართველო (ბათუმის გარდა). 1844 წელს ამჟამინდელი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ერთად გახდა ნაწილი რუსეთის იმპერიის მოგვიანებით 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემგომ პერიოდში რუსეთმა სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიაც მოიპოვა ყარსის ოლქში გააერთიანა. პარალელურად რუსეთი სრულად აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიაში შემავალ ქვეყნებს 1859 წელს მან საბოლოოდ გატეხა აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ურჩობა, რომელიც შამილის ხელმძღვანელობით წარიმართებოდა, ხოლო 1864 წელს დასავლეთ კავკასიის მთიელთა დამარცხებაც მოახერხა. ჩერქეზთა დიდი ნაწილი თავის სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. გადასახლებულთა ნაწილი გზაში დაიღუპა. კავკასია რუსეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას თან ახლდა ეთნიკური სურათის შეცვლა [3. 74].

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ 1918 წელს, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ორჯერ ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბდა. პირველად 1918 წლის 9 აპრილს 1918 წლის 26 მაისამდე, დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სახით, ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახით 1922 წლის 12 მარტიდან 1936 წლის 5 დეკემბრამდე. ხსენებულ პერიოდში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე დიდხანს დამოუკიდებლობა საქართველომ შეინარჩუნა. დასავლეთის ქვეყნებისაგან მიაღწია იურიდიულ აღიარებასა. კონსტიტუციის შემუშავება და მიღებაც მოასწრო ხსენებულ პერიოდში საქართველოს. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად, საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება მოხდა. უმძიმესი დრო იყო საქართველოსთვის. მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოსაზღვრე სახელმწიფოების ხელში გადავიდა. გორბაჩოვის „გარდაქმნის“ პერიოდს, საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციას მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი, 1991 წლის 17 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმს, საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად, საქართველომ 31 მარტს დამოუკიდებლობის რეფერენდუმით უპასუხა, რის შემდეგაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, რასაც უმძიმესი შედეგები მოყვა. სომხეთმა საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ 1991 წლის 23 სექტემბერს ამცნო მსოფლიოს, აზერბაიჯანმა კი ბოლოს 1991 წლის 18 ოქტომბერს გამოაცხადა. 2008 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ომი გაიმართა, რომელმაც რეგიონში არასტაბილურობას ჩაუყარა საფუძველი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხსენებულმა სახელმწიფოებმა განვითარების განსხვავებული გზა აირჩია, 2003 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირის მიმართულებით დაიწყო. სომხეთმა განაგრძო რუსეთთან ურთიერთობების განვითარება, როდესაც აზერბაიჯანმა ნაცვლად რუსეთისა სტრატეგიულ პარტნიორად თურქეთი და სხვა ნატოს წევრი ქვეყნები აირჩია [4. 2].

გასული საუკუნის 80-იან წლებში ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ ნაიმ მსოფლიოს გააცნო ყველასათვის ახალი ტერმინი „რბილი ძალა“, რაც შემდეგნაირად განმარტა „რბილი ძა-

ლა“ სახელმწიფოს უნარია, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ეს არის კულტურული ძალა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. პრინციპული და მნიშვნელოვანი ის არის, რომ რბილი ძალა იმიტომაც არის კულტურული ძალა, რომ მისი გამოყენება მხარეთა ორმხრივი ნების შედეგად ხდება და არა ძალადობრივი და თავს მოხვეულია [5. 1].

როდესაც ამ ტერმინის დამკვიდრება ხდებოდა, ეს იყო პერიოდი, რა დროსაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა, ამიტომ სულ არ აწყობდა რუსეთს რბილი ძალის პოლიტიკა.

რბილი ძალის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ უნდა შეძლოს ხისტი ძალის გამოყენების გარეშე მოახერხოს სხვადასხვა მიზნის მიღწევა სხვა ქვეყანასთან მიმართებაში.

რბილ ძალაზე საუბრის დროს აუცილებელია შევეხოთ, როსეთს და მის დამოკიდებულებას კავკასიის რეგიონში.

რუსეთისთვის რბილი ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის სულაც არ არის სიახლე და მას იგი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროიდან იყენებდა [6. 1].

ეს მაშინ, როდესაც „ჩამოყალიბდა საერთო პან-სლავური იდეა და წინ წამოიწია რელიგიური მოტივებიც – რომელთა დამცველის სტატუსიც ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ზავის შედეგებიდან გამომდინარე, რუსეთმა კიდევ უფრო გაიმყარა (წარმოადგენდა რა, რბილი ძალის უმთავრეს ბაზისს) [6. 1].

რბილი ძალა დროის განმავლობაში უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა სადაც ეკონომიკური კუთხით შეიცვალა რელიგიური მოტივები, ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო კომუნიზმური წყობით.

მნიშვნელოვანია რუსეთის თანამედროვე რბილი ძალის განხილვა, რაც აღსაღნიშნავია რუსეთის დემოკრატიის განსაზღვრება, ვითომ იგი არც დემოკრატიას უარყოფს, მაგრამ ამავდროულად მას თავისი შეხედულობები გააჩნია დემოკრატიულ წყობასთან დაკავშირებით. ეს ყოველივე გამოიხატება იმაში, რომ მათი დამოკიდებულება მორგებულიაა რუსი პოლიტიკოსების ირგვლივ არსებულ სურვილებზე და სულ არ ითვალისწინებენ იმას, თუ მსოფლიოში როგორ აღიქვავენ ადამიანები დემოკრატიულ პროცესებს. მათ გააჩნიათ შიდა სახელმწიფოებრივი წესები და სულ არ აინტერესებთ იგი შეესაბამება თუ არა დემოკრატიას. მაგალითისთვის კი შეგვიძლია მოვიყვანოთ მათი დამოკიდებულება ლიდერის არჩევასთან დაკავშირებით, რა დროსაც შეუძლით რომ ერთ პიროვნებას შეუზღუდავი ვადით შეეძლოს უფლებამოსილების მინიჭება. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რბილი ძალის ეს ელემენტი საკმაოდ მიმზიდველია როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ასევე ყოფილი სოციალისტური და იმ სახელმწიფოს ლიდერებისთვის, რომლებიც აშშ-ის და ევროპის დახმარებით პროგრესირებენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დემოკრატიზაციის ტალღას მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირებები და რევოლუციები, რაც, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებასთან. ტრანზიციის პროცესისათვის კი დამახასიათებელია საფრთხეები, სადაც შესაძლებელია ჰიბრიდული რეჟიმების რეგრესირება და ავტორიტარული მმართველობების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი კი ძაალიან აწყობს რუსეთს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია განვიხილოთ რელიგიური ფაქტორები, რომლის მიხედვითაც „რუსეთი წარმოადგენს ერთგვარ მესიანისტურ, ქრისტიანული რელიგიის დამცველ, წმინდა ძალას, მით უფრო დასავლეთთან შედარებით, რომელიც თითქოს დეკადანსის გზაზეა დამდგარი. რუსულ პროპაგანდას აქვს ორი მიმართულება: ის, რომ ევროპასა და აშშ-ში ყველაფერი ბევრად უფრო ცუდადაა, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია და ის, რომ რუსეთი მიუხედავად თავისი სირთულეებისა, მორალისა და ზნეობის უკანასკნელი ბასტიონია. ცხადია, აღნიშნული მითი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების დამახინჯებით, მანიპულაციებით, დეზინფორმაციითა და ხშირად უბრალო ტყუილებით მიიღწევა. მეტიც, რუსეთი ცდილობს მუდმივად წარმოაჩინოს ეროვნული და რელიგიური იდენტობის დაკარგვის საფრთხე, რაც თითქოს მცირე სახელმწიფოებს ემუქრებათ დიდ ალიანსებში გაწევრიანების შემთხვევაში. რთული ისტორიისა და მიმდინარე კონფლიქტის კერების მქონე საზოგადოებებზე, აღნიშნული რიტორიკა ცალკეულ შემთხვევაში ეფექტიანად მოქმედებს“ [6. 1].

რუსეთი ცდილობს შავ-თეთრი პროპაგანდით, თავი წარმოაჩინოს, რომ იგი არის ვითომ, თავისი ტრადიციების დამცველი და კიდევაც ახერხებს ამას მედიის საშუალებით. მას აქვს რამოდენიმე ტელევიზია, რომელიც მხოლოდ იმას ტირაჟირებენ, რასაც სახელმწიფო ორგანოები კარნახობენ.

რუსეთის რბილი ძალის მიზანია ხელი შეუწყოს დეზინფორმაციის გავრცელებას კულტურული, რელიგიური თუ ეთნიკური მიმართულებით. ისინი ხალხს მცდარ ინფორმაცია აწვდიან და დროთა განმავლობაში ხალხი იჯერებს ყოველივე არაასწორს და რუსეთის ხელისუფლება აღწევს სასურველ შედეგს.

რუსეთი რბილი ძალის ინსტუმენტად ასევე იყენებს არასამთავრობო სექტორების განვითარებას, რომელებიც განწყობილები არიან პრორუსულად, რადგან ისინი არიან რუსეთის ინტერესების გამტარებლები და მარტივად ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის რეკრუტირებას და მათთან ერთად ეწევა სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ასევე უნდა ავღნიშნოთ სოციალური ქსელებში არსებული კამპანიები, რომლებიც ემსახურება მთელი დიდი „ტროლების“ არმიით პრორუსული განწყობილების შექმნას მოსახლეობაში არა მარტო რუსეთში არამედ კავკასიასა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

საერთაშორისო ურთიერთობებში საინფორმაციო ომი და რუსული პროპაგანდა კვლავ აქტუალურ თემად რჩება, ისევე, როგორც საქართველოში. ნათელ მაგალითად კი ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ის არჩევნები სადაც საკმაოდ ხისტად ჩაერია რუსეთი, რამაც საკმაოდ დიდი გავლენა იქონია შედეგებზეც. ამიტომ ევროპული სახელწიფოები სრულად ათვიცნობიერებენ რუსეთიდან მომავალ საფრთხეებს და შესაბამისი ზომების მიღებას ცდილობენ.

რუსული რბილი ძალის სახელმწიფოებრივი პროპაგანდა უკვე დიდი ხანია საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იყენებს რბილი და ხისტი ძალის ნაწავს. ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ თუ რას უნდა ველოდოთ მომავალში ჩვენი მეზობელი სახელმწიფოსგან.

„რუსეთის რბილი ძალის მახასიათებლები საქართველოში სტაბილურია. ძირითადად, რბილი ძალის გამოყენება ორ კატეგორიაში შეგვიძლია მოვაქციოთ - 1. საქართველოს კულტურული (ღირებულებები და წეს-ჩვეულებები), ისევე როგორც ისტორიული კავშირები რუსეთთან; 2. დასავლური პოლიტიკური ღირებულებები რუსეთის ე.წ. „რეალპოლიტიკის“ (ძალის პოლიტიკა) წინააღმდეგ“ [7. 1].

რუსეთის რბილი ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რელიგიური წარმოდგენები, რადგან საქართველოს ქრისტიანულ და რელიგიურ წრეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ამიტომ კრემლი ცდილობს, რომ აჩვენოს ქართველ მოსაახლეობას, თუ როგორ იცავს ტრადიციულ ღირებულებას. ამ ყოველივეს კი ქართველი ხალხი აღიქვავ ისე, რომ ვითომ რუსეთი არის ჩვენი მეგობარი და დასავლეთი ჩვენი მტერი, ვითომდა დასავლეთს სურდეს ჩვენი ქრისტიანობის წართმევა.

რუსეთის ხისტი ძალა საქართველოში მიმართულია იმისკენ, რომ ხალხში შიში და დაძაბულობა შემოიტანოს. მაგალითად საზღვრები უკანონოდ მიიტაცოს და სამხედრო წრთვნები ატაროს, ეს ყოველივე კი იმას მიანიშნებს, რომ რუსეთი ნებისმიერ დროს მზადა�ა სამარი მოქმედებისთვის.

საბოლოოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილად არ გააჩნია იმის რესურსი, რომ რუსეთი ხისტ ძალას დაუპირისპირდეს, აქედან გამომდინარე, ჯობს, რომ რუსეთის მიერ გამოყენებულ რბილ ძალასთან სწორი ბრძოლის მეთოდები შეიმუშაოს სახელმწიფო ორგანოებმა, რადგან ხელი შეუშალონ რუსული პროპაგანდის და დეზინფორმაციების გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს მერე მნიშვნელოვანი განვიხილოთ, რუსეთ-სომხეთის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, სომხეთი სულ დილემის წინაშე იდგა, მისთვის უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანი იყო თუ სუვერენობა. იგი უსაფრთხოების ნაკლებობას, განიცდიდა იმიტომ, რომ მას მეზობელ აზერბაიჯანთან ომი ქონდა მთიანი ყარაბაღის გამო, ამ დროს კი რუსეთი იყო ერთადერთი ძალა სტრატეგიული პარტნიორი და უსაფრთხოების ნაწილობრივ გარანტი სომხეთისთვის. მას შემდეგ, რაც სომხეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და რუსეთი მისი მთავარი საყრდენი გახდა, ესეთი ურთიერთობა ნელ-ნელა ძირს უთხრიდა და რისკის ქვეშ აყენებდა სომხეთის სუვერენიტეტს და დამოიკიდებლობას.

რუსეთი ნელ-ნელა ეუფლებოდა წამყვან ეკონომიკურ სექტორებს, და სომხეთი უფრო

და უფრო დამოკიდებული ხდებოდა რუსეთზე, რუსეთი კი აძლიერებდა კონტროლს სომხეთზე.

სამხრეთ კავკასიაში, სომხეთი არის რუსეთის ერთადერთი მოკავშირე, სადაც განთავსებულია, მისი სამხედრო ბაზა და არის უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი, რომელსაც რუსეთი უდგას სათავეში,ასევე შეუართდა ბოლო წლებში ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს, სადაც რუსეთი არის დომინანტური როლის შემსრულებელი [8. 1].

ბოლო წლებში მიუხედავად ასეთი კარგი ურთიერთობისა, რუსულ სომხურ ურთიერთობაში შეიმჩნევა, კრიზისი. ალბათ, ეს ყველაფერი იმან განაპირობა, რომ რუსეთიმა ნელ-ნელა მოიპოვა კონტროლი სომხეთის ენერგეტიკაზე, ტელეკომუნიკაციის სექტორზე, სამთო მრეწველობაზე და უკვე სარკინიგზო ქსელზეც. „ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების შემთხვევაში, არის ენერგოუსაფრთხოების დათმობა რუსული ბუნებრივი გაზის სუბსიდირებული იმპორტის სანაცვლოდ. დამატებითი მოწყვლადობა გამოიწვია იმ ფაქტმა რომ რუსეთის დიდ ქალაქებში დასაქმებაზე დამოკიდებული იყო მრავალი სომეხი შრომითი მიგრანტი და სეზონური მუშა, რომლებზეც მოდიოდა სომხეთში საზღვარგარეთიდან შესული ფულადი გზავნილების დიდი წილი“ [8. 1].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სომხეთი უსაფრთხოების გარანტი იყო, მან ყარაბაღის კონფლიქტში ორივე მხარს მიყიდა იარაღი. და ისევ აგრძელებს აზერბაიჯანისთვის ძვირი შეიარაღების მიწოდებას. ასეთმა პოლიტიკამ კი რა თქმა უნდა გააღიზიანა სომხეთი.

სომხეთისთვის კიდევ ყველაზე გასაბრაზებელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ რუსეთმა დაჟინებით მოთხოვა ერევანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მოაგვაროს დიპლომატიური მოლაპარაკებებით. ამ მოლაპარაკებაში, რა თქმა უნდა, რუსეთს მიენიჭებოდა მნიშვნელოვანი როლი და სწორედ ეს სურდა მასაც.

ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ძირეულად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. 2008 წლის მოვლენებმა იმოქმედა, არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, არამედ კავკასიის რეგიონსა და მასში შემავალ ქვეყნებზე. რუსეთმა მოახდინა ქვეყნის 20%-ის ოკუპაცია და ამ ტერიტორიებზე განალაგა მისი ჯარი. ამით მან საქართველოს წაართვა შანსი, რომ ერთიანსა და სუვერენულს გაეგრძელებინა არსებობა მსოფლიოში, თუმცა დღეს ის მაინც იბრძვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების დარუნებისთვის, ასევე მისი პოლიტიკის გამოსწორებისა და შეცვლისთვის.

ამასთან, საქართველოზე გავლენას ახდენს არასტაბილური მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიასა და მთიან ყარაბაღში. ის მომენტი, რომ რუსეთმა ომთან ერთად მოახდინა ძალის დემოსნტრირება, აქედან გამომდინარე კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა შეცვალეს თავისი პოლიტიკა და რიტორიკა რუსეთის მიმართ და ასევე საქართველოს მიმართაც შეიცვალა დამოკიდებულება, რაც რბილი ძალის მოქმედებით ვრცელდება. საქართველო კი ამ გარემოებებიდან გამომდინარე იძულებული შეიქნა გამოიყენოს მიტმასნების პოლიტიკა იმაზე მეტად ვიდრე აქამდე და მოექცეს ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციების რიგებში, როგორიცაა ევროკავშირი და ნატო. ამით საქართველო შეძლებს ეკონომიკურად აღარ იყოს დამოკიდებული რუსეთზე. დღეს-დღეობით კი საქართველოს ბაზრის 60% რუსეთში გადის. რაც შეეხება ნატოს ამით საშუალება ეძლევა იყოს ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის წევრი და იმაზე მეტად დაცული ვიდრე ახლაა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რთული გეოპოლიტიკური გარემო აქვს გამომდინარე ზემოთ აღნიშნული სიტუაციიდან. ერთი მხრივ, საქართველოს მიზანია, რომ გახდეს ევროპული პოლიტიკის ნაწილი, ამავდროულად კი რუსეთიდან ზეწოლა იგრძნობა. საყურადღებოა ამ შემთხვევაში რუსული რბილი ძალისა და სპეცსამსახურების მოქმედება საქართველოში. გავლენა შიდა პოლიტიკაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, ასევე სოციალურ ფონზე, საზოგადოების მნიშვნელოვან თემებზე და ას ცდილობს რუსეთი, რომ საქართველოში შექმნას არასტაბილური გარემო და ხელი შეუშალოს მას გახდეს ევროპული პოლიტიკის ნაწილი. 2008 წლის შემდეგ რუსეთი ყველა მხრიდან ცდილობდა საქართველოში დაპირისპირების კერების გაჩენას და ცდილობდა სიტუაციის დაძაბვას, საოკუპაციო ხაზთან, პანკისის ხეობაში, ჯავახეთში, დავით-გარეჯში. ბოლო კი იყო რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის ხილვა პარლამენტში, რამაც ქართული მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. ეს გამოიყენეს ოპოზიციურმა ძალებმა და სიტუაცუა ისე დაიძაბა, რომ საკანონმდებლო ორგანო დადგა საფრთხის ქვეშ, რის შედეგებსაც ახლა ვიმკით. რუსეთი კი ჩვეულ რეჟიმში აგრძელეს ისევ, პროვიკაციების მოწყობას და საქართველოს-

თვის ხელის შეშლას, რომ გახდეს ევროპული პოლიტიკის ნაწილი. რაც შეეხება უსაფრთხოების გარემოს გამოსწორებას, საქართველოს აქვს ამის პოტენციალი და თუ ის აწარმოებს სწორ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დაიბრუნებს თავის ისტორიულ ფუნქციას და აღადგენს „აბრეშუმის გზას“, მაშინ ის გახდება ძლიერი ყველა სფეროთი და შეძლებს, როგორც მოგერიებას რბილი ძალის, ასევე ოკუპირეული ტერიტორიების დაბრუნების უფრო მეტი შანსი ექნება.

სტატიაში განხილულია თუ როგორ ახდენს გავლენას „რბილი ძალა“ რეგიონულ უსაფრთხოების პირობებს და ადგილობრივი აქტორების საგარეო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკა რომელიც უნდა გააჩნდეს ქვეყანას მის რეგიონსა თუ საერთაშორისო არენაზე, წარმოუდგენელია სწორი შიდა პოლიტიკის გარეშე და რაც გულისხმობს: განათლების ხარისხის გაზრდას, პრაგრატულ მიდგომას რიგი საკითხების მიმართ, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, იდეის ირგვლივ ადამიანების გაერთიანებას, სახელწმიფოებრივ აღზრდას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას, კულტურის ამაღლებას, ძლიერ ეკონომიკას, თავდაცვას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და მიდგომებზე. საქართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, რადგან ის საერთაშორისო პოლიტიკიდან გამომდინარეობს. საგარეო პოლიტიკა ერთგვარად წრიულად განლაგებულ ქვეყნებს წააგავს და თუ განვიხილავთ, რომ საქართველო შუაშუ არის მოქცეული, მან უნდა განსაზღვროს ის კვებითი ჯაჭვი, რომლითაც ქვეყნები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. გამომდინარე იქედანაც, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე კავკასიის რეგიონში მუდამ დაპყრობის ეპიცენტრში იყო და არც ერთი მის ახლოს მყოფი ქვეყანა არ ეხმარებოდა და დღესაც საფრთხის ქვეშ არის, რადგანაც არ არსებობენ მოძმე ერები, არსებობენ სახელმწიფოები, რომლებსაც თავიანთი ინტერესი აქვთ. ის საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც საქართველომ აირჩია დასავლური კურსიდან გამომდინარე, შეიძლება ესეც არ იცავდეს მას, მაგრამ საშუალებას აძლევს, რომ შეინარჩუნოს ოქროს შუალედი, რომელიც ასე მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისთვის და სანამ მოძლიერდება ქვეყანა მანამდე შეძლებს, რომ გამოიყენოს დასავლური პოლიტიკური ელიტა, რომ თუნდაც თავის რეგიონში სტატუსდაკარგულმა შეძლოს მის მეზობელ სახელმწიფოებზე ზეწოლა იმისთვის, რომ მათ თავიანთი ამბიციები არ განახორციელონ, რომელიც საქართველოს მიმართ აქვთ და რომელსაც შიგადაშიგ ავრცელებენ, რბილი ძალის თუ მათი სპეცსამსახურების საშუალებით. რაც შეეხება სპეცსამსახურებს, საქართველომაც უნდა შეეცადოს, რომ აამუშავოს ეს სისტემა ნორმალურად. რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მის საგარეო პოლიტიკას. მაგრამ მანამდ ის პრობლემა უნდა მოაგვაროს, რომელიც მას აწუხებს ოკუპირებული ტერიტორიების სახით.

საკვლევი კითხვებს, თეორიული და ისტორიული მასალის საფუძველზე დამტკიცებულ იქნა ჰიპოთეზა, რომელიც 21-ე საუკუნის, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, თანდათანობით იკვეთება კავკასიის რეგიონის, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორებით. 1991 წლიდან მოყოლებული, როცა გაქრა ბიპოლარული სამყარო, კავკასიაში არსებულმა, რთულმა, პოლიტიკურმა პროცესებმა, თავისი წვლილი შეიტანე, საერთაშორისო უსაფრთხოების მოწყვლადობის საქმეში. ამიტომაც, დადგა საკითხი, რეგიონში სტაბილურობის მიღწევის აუცილელობასთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებამ, წამოაყენა, რამდენიე სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს, რეგიონში მშვიდობიანი, თანაცხოვრების, პირობების დამკვიდრებას.

MALKHAZ GULASHVILI

THE CAUCASUS REGIONAL SECURITY INDICATORS AND “SOFT POWER” EFFECT ON THE REGIONAL SECURITY SYSTEM

Summary

In the article is being discussed how “soft power” influence on regional security system together with local actors’ foreign policy. The foreign policy that a country should have in its region or in the

international arena is unthinkable without the right domestic policy and which means: Increasing the quality of education, pragmatic approach to a number of issues, resolving any issue in the interests of the state, uniting people around the idea, state education, preserving identity, raising culture, strong economy, defense and only then can we talk about the country's foreign policy and approaches. Georgia should pay attention to the current events in the Caucasus region, as it stems from international politics. Foreign policy is somewhat like a circle of countries, and if we consider that Georgia is in the middle, it must determine the food chain through which the countries are interconnected and only then make a decision. The international policy that Georgia has chosen based on the Western course may not protect it either, but it allows it to maintain the golden mean, which is so important for each country And until the country gets stronger, it will be able to use the Western political elite to pressure even its neighboring states, even those in disarray in their region, not to pursue their ambitions towards Georgia, which they are spreading internally, through soft power or their special services. As for the special services, Georgia should also try to operate this system normally. Which will facilitate its foreign policy in the interests of the country. But before that he has to solve the problem that bothers him in the form of occupied territories.

Key Words: *soft power, foreign policy, Georgia, Caucasus region*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., „ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთკავკასია?“, გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის, გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 1998.
2. Transcaucasia - region, Eurasia გვ.15, https://www.britannica.com/place/Transcaucasia (ბოლოს გადამოწმებულია 14/06/2021).
3. Chew A.F.. An Atlas of Russian History: Eleven Centuries of Changing Borders. Yale University Press, 1967.
4. სამხრეთი კავკასია - მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90 (ბოლოს გადამოწმებულია 01/05/2021).
5. პეტრიაშვილი ა. „რბილი ძალა: პირდაპირი დამიზნებით პარლამენტში“, ჟურნალი „ფორბსი“, 24 ივნისი, 2019, თბილისი, https://forbes.ge/blog/372/pirdapiri-damiznebiT-parlamentSi;
6. კობერიძე გ., „რუსული რბილი ძალა სამხრეთ კავკასიაში“, საგარეო პოლიტიკის საბჭო, თბილისი, 5 დეკემბერი, 2018 წელი, https://foreignpolicycouncil.com/2018/12/05/
7. ლომთაძე გ. „რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 17 მარტი 2017 წელი, თბილისი, https://idfi.ge/ge/russias_soft_and_hard_power_in_georgias
8. გირაგოსიანი რ. „სომხეთ-რუსეთის ურთიერთობები: შემცირებული სარგებელი“, ჰეინრიხ ბოლის ფონდი, 16 ოქტომბერი, 2017 წელი, თბილისი, https://ge.boell.org/ka/2017/10/16/somxet-rusetis-urtiertobebi-shemcirebuli-sargebeli

✍ აბილ ასლანოვი
წარმოადგინა ასოც. პროფ. ნატო გეგენავამ

თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ინტერესები

თანამედროვე ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკა სულ უფრო და უფრო მკვეთრად აცხადებს პრეტენზიას რეგიონული ლიდერის როლის დამკვიდრებაზე და ამავდროულად, საკუთარი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენებით, გლობალურ ეკონომიკასა და პოლიტიკაში საკუთარი გავლენის გაძლიერებისაკენ მიისწრაფვის. მისი ეკონომიკა ხასიათდება უცხოური კაპიტალისადმი ღიაობის მაღალი ხარისხითა და აქტიური სავაჭრო, ეკონომიკური და ფინანსური კავშირებით ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რუსეთთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან. ინფრასტრუქტურული მომსახურეობის მხრივ თურქეთი წარმოადგენს ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს რეგიონში და პრაქტიკულად მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ მოსახლეობას საკვებით, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, მედიკამენტებით, ელექტროტექნიკით, სამშენებლო მასალებით, ელექტროენერგიით და ა.შ.

სტატიაში განხილულია ბოლო ათწლეულების განმავლობაში თურქეთის მიერ წარმოებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ხასიათი.

საკვანძო სიტყვები: *თურქეთი, გლობალური ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, რეგიონული ლიდერი.*

თურქეთი, რომელიც დღეს თავს რეგიონალური და მსოფლიო გეოეკონომიკის წამყვანი როლის პრეტენდენტად მიიჩნევს (მათ შორის ახალი ენერგეტიკულ-საკომუნიკაციო სისტემის ფორმირებაში), განსაკუთრებულ ყურადღება ამახვილებს გარე უსაფრთხოების ზონის ფორმირებაზე.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია ასოცირდება აჰმედ დავუთოღლუს სახელთან, რომელიც 2009 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი იყო. ა. დავუთოღლუს წიგნში „სტრატეგიული სიღრმე“ (2001) ნაპოვნია კარგი ბალანსი თურქეთისათვის ტრადიციულ, იმპერიის კომპლექსებით დათრგუნულ, ევრაზიულობასა და დასავლეთისათვის დამახასიათებელი რეგიონალურ რეალიებთან ადაპტირებულ მიდგომებს შორის. არსებითად სწორედ ამ იდეების ნაკრები წარმოადგენს „თურქული მოდელის“ ფენომენის სავიზიტო ბარათი [1].

ა. დავუთოღლუ „სტრატეგიული სიღრმის“ კონცეფციის ცენტრალური, საკვანძო იდეა მდგომარეობს ისეთი მიზნების ერთობლიობაში, როგორიცაა თურქეთის მიერ რეგიონალური ლიდერის როლის მოპოვებაში და მისი გავლენის გაზრდა გლობალურ პოლიტიკაში ხელსაყრელი გეოპოლიტიკური პოზიციისა და მეზობელ ქვეყანებისათვის კულტურული და ეკონომიკური მიმზიდველობის გამოყენებით. ა. დავითოღლუს მიერ განვითარებულ თეზისს ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია დემოკრატიის, როგორც მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობას [1].

ნატოში გაწევრიანების (1952 წ.) შემდეგ თურქეთი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ითვლებოდა ამ ბლოკის სამხრეთ ფორპოსტად, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ვარშავის პაქტის ქვეყნებს და საბჭოთა კავშირს. „ცივი ომის“ მთელი პერიოდის განმავლობაში თურქეთი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში სრულად ეყრდნობოდა ნატოს. სსრკ-ს დაშლისა და ვარშავის ბლოკის თვითლიკვიდაციის შემდეგ კი ვითარება შეიცვალა. ბოლო დროს არაერთი დასავლელი ექსპერტი სულ უფრო ხშირად ახმოვანებს აზრს, რომ თურქეთის კავშირები შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან თანდათან სუსტდება. მაგრამ ეს შესუსტება გარკვეულწილად

„იდეოლოგიურია“, ვინაიდან „სტრატეგიული სიღრმის“ კონცეფციის თანახმად, თურქეთმა არ უნდა გააგრძელოს უსაფრთხოების საკითხებზე ფოკუსირება მხოლოდ ნატოსა და შეერთებულ შტატებზე, არამედ თანმიმდევრულად განავითაროს ურთიერთობები რუსეთთან, ჩინეთთან, ირანთან და მთლიანად მუსულმანური სამყაროსთან. ამ კონცეფციის შემუშავებისას თურქეთმა ბოლო წლებში შესამჩნევად გააძლიერა სამხედრო რუსეთთან და ჩინეთთან, მათთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მეშვეობით.

მთლიანობაში, დაბალანსებული პოლიტიკური კურსის შენარჩუნების პირობებში თურქეთს აქვს ყველა შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების რეალიზებისათვის. ამასთან მისი რეგიონული ლიდერის პოზიციის გაძლიერებისათვის ეფექტურ ინსტრუმენტია ეკონომიკური ურთიერთობების გამყარება.

ეკონომიკის სფეროში თურქეთის მთავრობის ამოცანაა 2023 წლისათვის (ანუ თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავისათვის) შევიდეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა ათეულში და გახდეს რეგიონალური ლიდერი ტექნოლოგიური მოდერნიზაციის სფეროში. ასეთი ამბიციები სავსებით გასაგებიცაა: ბოლო ათწლეულებში ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების საშუალო წლიური მაჩვენებლების სწრაფი ზრდა; მე-16 ადგილი მსოფლიო და მე-6 ადგილი ევროპულ ეკონომიკაში; ხელსაყრელი დემოგრაფიული მდგომარეობა - ახალგაზრდა მოსახლეობა (ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე ბევრად მეტი შრომისუნარიანია, 30 წელს ქვემოთ); ქვეყანაში 139 უნივერსიტეტია (94 - სახელმწიფო, 45 - კერძო), რომლებშიც 3 მლნ-მდე სტუდენტი სწავლობს; 25 მლნ ინტერნეტის მომხმარებელი და ა.შ.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკა საკუთარი წარმოებით არა მხოლოდ აკმაყოფილებს თავისი მოსახლეობის მოთხოვნელებებს, არამედ მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის მთელი რიგი პროდუქციის მიმწოდებლადაც გვევლინება. თურქული სამშენებლო კომპანიები მუშაობენ მსოფლიოს 90-მდე ქვეყანაში, სადაც მათ მიერ აშენებულია 6 ათასზე მეტი სამრწეველო, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტი (ჯამში დაახლოებით 189 მლრ აშშ დოლარის ღირებულების). 30-ზე მეტი თურქული კომპანია მსოფლიოს უმსხვილეს სამშენებლო კომპანიათა რიცხვშია.

თურქეთი ასევე მიისწრაფვის გახდეს ევროპისა და აზიის სტრატეგიული ენერგეტიკული სატრანზიტო კვანძი, იგი აკონტროლებს გაზისა და ნავთობის როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო მარშუტებს. მას გააჩნია განსაკუთრებულად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ერთი მხრივ, იმ ქვეყნებსა და რეგიონებს (რუსეთი, კასპიის რეგიონი, ცენტრალური აზია, ირანი, ახლო და შუა აღმოსავლეთი) შორის, რომლებიც მსოფლიოს ნახშირწყალბადების ნახევარზე მეტს ფლობენ და მეორე მხრივ, ენერგიის უმსხვილეს სამომხმარებლო ბაზრებთან (ევროკავშირი, ჩინეთი, აზია) მიმართებით. ამასთან, თურქეთი რიგით 25-ე ქვეყანა მსოფლიოს სავაჭრო ფლოტის მთლიანი გადაადგილების მიხედვით და ევროპის მასშტაბით ყველაზე დიდი ტევადობის შიდა და გარე გადაზიდვებისათვის საჭირო სატვირთო მანქანების ფლოტი (45 ათასი ერთეული) გააჩნია. ქვეყანაში მოქმედებს 45 აეროპორტი და 50 საზღვაო პორტი.

თურქეთის საგარეო პოლიტიკა უკანასკნელი წლების მანძილზე და „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებამდე, დაფუძნებული იყო „სტრატეგიული სიღრმის“ კონცეფციის ორ – „მეზობლებთან პრობლემების ნულოვანი დონისა“ და „თურქეთის გარშემო სტაბილური და უსაფრთხო ზონის კონცეფციას შექმნის“ - პრინციპებზე. მაგრამ რევოლუციების ტალღამ ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში თურქეთის მთავრობა აიძულა რეკგიონის ქვეყნებთან საკუთარი პოლიტიკის სერიოზული კორექტირებისკენ. ამასთან, თურქეთი არ თმობს თავის „მომლაპარაკებლის“ პოზიციებს რეგიონში წარმოშობილ ამა თუ იმ კონფლიქტებში (ძირითადად, ირანის პრობლემებთან დაკავშირებით).

თურქეთის რესპუბლიკასა და რუსეთს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში პრობლემებმა 1996 წლიდან იჩინა თავი და ეს მათ შორის გარკვეული უნდობლობისა და დაძაბულობის ფონზე წარმოიშვა. ამ პერიოდში ორივე ქვეყანა ეკონომიკური სირთულეები წინაშე აღმოჩნდა: შეჩერდა და უკუსვლა დაიწყო ეკონომიკური ზრდის პროცესმა, გაიზარდა საგარეო ვალები, წარმოიშვა ფინანსური კრიზისები, არასტაბილურობა შემოსავლების განაწილებაში, პრივატიზაციის პროცესის ზეწოლა და ა.შ., თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებს შორის ლოკომოტივად რჩებოდა ტურიზმისა და სამშენელო სექტორები [2].

იმ პერიოდში რუსეთი მუდმივად განიცდიდა საგარეო დაფინანსების საჭიროებას. 1989-1999 წლებში „თურქ-ექსიმბანკისგან“ რუსეთმა ოთხი კრედიტი აიღო, რომელთაგან პირველი ორი სესხი დაფარვა შეძლო, მაგრამ, ბოლო ორი კრედიტის (371 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ვალი) დაფარვის ვადა 1995 წელს ხელმოწერილი გადავადების შესახებ ხელშეკრულებით გახანგრძლივდა, მოგვიანებით, 1998 წლის აგვისტოში, ამავე სესხების გადავადება რუსეთმა ეკონომიკური (ფინანსური) კრიზისის გამო რუსეთმა ხელახლა მოითხოვა [3. 43].

გარდა ამისა, 1992 წლის 14 მაისს, თურქეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებული შეთანხმებით, შეიქმნა შერეული ეკონომიკური კომისია (KEK), რომელიც დღემდე პერიოდულად იკრიბება. ასეთი ტიპის მექანიზმების არსებობას ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებაში კონკრეტული წვლილი შეაქვს.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთში შემცირდა საფეიქრო პროდუქციის წარმოება. წვრილი ვაჭრები, რომლებსაც „მეშოჩნიკებს“ უწოდებენ, თურქული ტექსტილით ამარაგებდნენ რუსეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს, მაგრამ 1995 წლიდან ორ ქვეყანას შორის ინდივიდუალური ვაჭრობის მოცულობა სერიოზულად შემცირდა [2].

1997 წლის 15 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ. ჩერნომირდინის ანკარაში ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებას“, „ინვესტიციების ორმხრივი წახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმებას“ და „ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულებას“ (ცისფერი ნაკადი). ამ ვიზიტმა კიდევ უფრო დააჩქარა ეკონომიკური პროცესების განვითარება, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა [4].

რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების მრავალმხრივ ურთიერთობად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნად იმოქმედა 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილმა „შავი ზღვის ეკონომიკურმა თანამშრომლობამ“. ამ ორგანიზაციის დაფუძნებისას არავინ ფიქრობდა, რომ იგი რეგიონული ინტეგრაციის საწყისი ეტაპი იქნებოდა, შესაბამისად, ეს ორგანიზაცია ვერც გახდა ევროკავშირის პროცესის ალტერნატივა. თუმცა, პრესაში ასეთი განწყობა იგრძნობოდა; თურქეთის პირველივე რეკომენდაციით, „1992 წლის სამიტის დეკლარაციაში“, რომელიც დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენდა, არ იკითხებოდა არანაირი გზავნილი ინტეგრაციისკენ მიმართულ ძალისხმევასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში დიპლომატიურ ურთიერთობებშიც შეინიშნება პროგრესი, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში წინა პლანზე ისევ ვაჭრობა რჩება. მართალია, სავაჭრო ურთიერთობებში შეინიშნება დისბალანსი თურქეთის საწინააღმდეგოდ. თუმცა, თურქეთი ყველა შეხვედრაზე ამ დისბალანსის საკითხს დღის წესრიგში აყენებს, რუსი მოხელეები მიიჩნევენ, რომ იგი გათანაბრებულია სამშენებლო სექტორისა და ტურიზმის მეშვეობით.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთსა და რუსეთს შორის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობების ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, რუსული იმპორტის დინამიკა თურქულისაგან განსხვავებით ნაკლები მდგრადობით ხასიათდებოდა და მისი მოცულობის ზრდის პერიოდები მონაცვლეობდა საკმაოდ მკვეთრი რეცესიის პერიოდებთან, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მთლიანი მოცულობის შემცირებით გამოიხატებოდა [5].

2000-იან წლებში თურქეთ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები ბევრად უფრო მეტად სტაბილური გახდა და შესამჩნევი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ასეთი ვითარება გრძელდებოდა 2009 წლამდე ანუ გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, რისი გავლენითაც საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის 40 პროცენტზე მეტით შემცირდა. 2012 წლიდან თურქეთ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებმა ისევ დაიწყო (ამჯერად უკვე უმნიშვნელო) კლება, როგორც ჩანს, ეკონომიკური ტურბულენტობის გავლენით, რომელსაც იმ პერიოდში განიცდიდა რუსული ეკონომიკა. კერძოდ, 2014 წლის ბოლოს, რუსული რუბლის მკვეთრი გაუფასურების გამო, რუსული იმპორტი თურქეთიდან 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტით შემცირდა.

რუსეთ-თურქეთის საქონელბრუნვის განსაკუთრებით შესამჩნევი შემცირება შეინიშნებოდა 2015 წელს: ამაში თავისი როლი ითამაშა როგორც მსოფლიოში ენერგორესურსებზე ფასების შემცირებამ, ასევე ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა, რასაც რუსეთის მხრიდან თურქეთის საექსპორტო პროდუქციაზე ეკონომიკური სანქციების დაწესება მოჰყვა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ

სანქციებმა გავლენა უფრო მეტად 2016 წლის შედეგებზე იქონია [6].

უკანასკნელ წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. განვითარებულმა სავაჭრო და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დაახლოებაც უზრუნველყო. რუსეთში სამუშაოდ ჩასულმა თურქმა მუშებმა და თურქეთში ჩამოსულმა რუსმა ტურისტებმა დიდი როლი შეასრულეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის ერთმანეთის „აღქმის“ პრობლემის მოგვარებაში. მოსკოვში მოქმედი რუს და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია და თურქულ-რუსული ბიზნეს-საბჭო, ასევე სტამბოლში მოქმედი თურქულ-ევრაზიული ბიზნეს-საბჭო და რუსულ-თურქული კვლევების ცენტრი, როგორც რუსული, ასევე თურქული მედია მხარს უჭერს რუსულ-თურქული ურთიერთობების განვითარებას.

ამჟამად თურქეთი ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა რუსეთში და ეს ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უკანასკნელ წელს თურქეთიდან საქონლის ექსპორტი, მიმდინარე წლის ივნისის მონაცემების თანახმად, გასულ წელთან შედარებით 46,9%-ით გაიზარდა და 19,775 მლრდ დოლარი შეადგინა. თურქეთში იმპორტი კი აღნიშნულ პერიოდში წლიურად 38,7%-ით გაიზარდა და 22,628 მლრდ დოლარი შეადგინა [7].

ევროკავშირის შექმნის პერიოდიდან დღემდე მსოფლიო ბევრ ქვეყანა ცდილობს მასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას და თავად ევროკავშირის ხელმძღვანელობაც ინტენსიურად მუშაობს შემდგომი გაფართოების პერსპექტივებზე. თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა მუსლიმური სამყაროდან, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა [4].

ევროკავშირის თურქეთთან ურთიერთობის საკითხი გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა და თურქეთის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მას უკვე რამდენიმე ათეული წელია ევროპის კარს არ უღებენ.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები ევროკავშირის შექმნის პერიოდიდან მალევე, 1959 წელს დაიწყო, როდესაც თურქეთმა მასში გაწევრიანების განაცხადი გააკეთა, რაზეც პასუხად ასოცირებული ურთიერთობის შეთავაზება მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებული ორმხრივი მოლაპარაკებები 1963 წლის 12 სექტემბერს „ანკარის შეთანხმების“ („თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის ასოციაციის შექმნის შესახებ“) ხელმოწერით დასრულდა და ძალაში 1964 წლის 1 დეკემბრიდან შევიდა [7. 11].

აღნიშნული შეთანხმება გულისხმობდა საბაჟო კავშირის შექმნას, რაც ხელს შეუწყობდა მხარეებს შორის ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში დაახლოების პროცესს. ამავე დროს, ევროკავშირი თურქეთს ფინანსურად უნდა დახმარებოდა, რისთვისაც სპეციალური პროტოკოლები უნდა შემუშავებულიყო. შეთანხმების მიხედვით, ევროპის ეკონომიკურ კავშირს თურქეთისთვის იმპორტზე ტარიფები და რაოდენობრივი ბარიერები უნდა გაეუქმებინა. დამატებითი პროტოკოლი კი მხარეებს შორის ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების საშუალებასაც იძლეოდა. სწორედ ამიტომ, საფუძველი ჩაეყარა თურქულ მიგრაციულ პროცესებს ევროპის ქვეყნებისაკენ [8. 11].

1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთთან ურთიერთობების გაყინვა და მეოთხე ფინანსური პროტოკოლის დაბლოკვა გადაწყვიტა და ურთიერთობების დარეგულირება მხოლოდ 1983 წელს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენისა და ეკონომიკის სფეროში რეფორმების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ევროკავშირში გაერთიანებაზე თურქეთმა მეორე განაცხადი 1987 წლის 14 აპრილს შეიტანა. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირის შეთანხმების 237-ე მუხლის თანახმად, კავშირში გაერთიანების უფლება მინიჭებული ჰქონდა ევროპის ყველა ქვეყანას, თურქეთის ეს მორიგი განაცხადი გადაეცაა დასკვნის მოსამზადებელ კომისიას, რომელმაც, თავის მხრივ, შესაბამის დეპარტამენტებს დაავალა გამოევლინათ თურქეთის რესპუბლიკის გაწევრიანების შესაძლო შედეგები და შეეგროვებინათ ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიის მიერ 1989 წლის 18 დეკემბერს წარდგენილ დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ „არსებულ პირობებში თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სასარგებლო არ იქნებოდა“, რის არგუმენტებადაც კომისიის მიერ მოტანილი იქნა არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზებიც [8. 11].

საბოლოდ, თურქეთსა და ევროკავშირს შორის ორმხრივმა თანამშრომლობამ გაღრმავება დაიწყო და 1995 წლის 6 მარტს ევროკავ-

შირმა და თურქეთის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის შექმნის საბოლოო ეტაპზე გადასვლისა და ფინანსური თანამშრომლობის განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

1995 წლის 13 დეკემბერს საბოლოოდ გადაწყდა საბაჟო კავშირის შექმნა. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს. ინსტიტუციონალურ დონეზე კი შეიქმნა საკონსულტაციო ორგანო - საბაჟო კავშირის ერთობლივი კომიტეტი. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვან მოვლენად იქნა შეფასებული თურქეთში [9].

თუმცა, ამავე დროს, ევროკავშირის წარმომადგენლის ა. ჟუპეს განცხადებით, ევროკავშირში ფიქრობდნენ, რომ მიღწეული პროგრესი არ იყო საკმარისი, რადგანაც თურქეთში გარკვეული პრობლემები არსებობდა ევროკავშირისათვის მისაღები დემოკრატიის დონის თვალსაზრისით [10. 49].

1998 წლის 15-16 ივნისს გამართულ ევროკავშირის მორიგ სამიტზე თურქეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შედარებით რბილი ტონით ხასიათდებოდა, თუმცა მაინც უარყოფითი იყო თურქეთისათვის. მალევე, იმავე წლის სექტემბერში ევროკავშირის ეკონომიკურ კომისიასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის გაიმართა პირველი ტექნიკური დისკუსია, რომელიც „ევროპული სტრატეგიის“ განხორციელების დეტალების გარკვევას ისახავდა მიზნად. აღნიშნულ შეხვედრაზე თურქეთმა დაადასტურა თავისი მზადყოფნა თანამშრომლობაზე. ანკარა იმედოვნებდა, რომ ევროკავშირის მომავალი სამიტი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის გადამწყვეტი სამიტი იქნებოდა და ეს ასეც მოხდა. მიუხედავად დაძაბული ურთიერთობების ფონისა, მოვლენები პოზიტიურად განვითარდა და შედეგად, 1999 წლის 10 დეკემბრის ამ სამიტზე თურქეთი სხვა ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის წევრობის სრულუფლებიან კანდიდატ ქვეყნად გამოცხადდა [11. 87-93].

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო 2000-2001 წლები. 2000 წლის დეკემბერში ევროკავშირის მორიგ სამიტზე ბრიუსელში გამოქვეყნდა და თურქეთს დელეგაციას გადაეცა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი „ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხებზე პარტნიორობის შესახებ“, აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული იყო იმ პრიტერიუმთა ჩამონათვალი, რომელიც რომლებსაც თურქეთი უნდა შეესაბამებოდეს. მასში რთულად გადასაჭრელ საკითხებს წარმოადგენდა: კვიპროსის პრობლემა, ქურთების უფლებები და ეგეოსის ზღვაში საბერძნეთთან ტერიტორიული გამიჯვნა და ა.შ. (ძირითადად ევროპული ღირებულებებისა და დემოკრატიის დონის ამაღლების საკითხები).

2004 წელს ევროკავშირის მორიგი გაფართოების შემდეგ ისევ განახლდა საუბარი ალიანსში თურქეთის გაწევრიანების შესაძლებლობაზე, მაგრამ ევროპის ქვეყნებს აზრთა სხვადასხვაობა სჭარბობდა. მაგ., კ. როზიმ (პასუხისმგებელი გერმანიის მთავრობაში ადამიანთა უფლებებზე და თურქულ-გერმანული მეგობრული ჯგუფის ხელმძღვანელი) მხარი დაუჭირა თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების საკითხს და ეს, მისი აზრით თურქეთში დემოკრატიის დონის ამაღლებით ახსნა, რის არგუმენტადაც ამ უკანასკნელში სიკვდილით დასჯის გაუქმების ფაქტი მოიტანა [12].

ასევე კეთილგანწყობით გამოირჩეოდა გერმანიის კანცლერი ა. მერკელიც, რომელმაც კანცლერად გახდომისთანავე თავისი ევროპული ტურნეს დროს (2005 წ.)პრეზიდენ ჟ. შირაკთან პირველი ოფიციალურ შეხვედრაზევე შეეხო თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს [13. 23].

თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების მომხრე იყო ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელიც თურქეთს „ევროპის ძალად“ აცხადებდა და უფრო მეტიც, აშშ-ის პრეზიდენტს ჯ. ბუშს თურქეთის ევროკავშირის შემადგენლობაში შესვლა პოზიტიურ მოვლენად მიაჩნდა, ვინაიდან თვლიდა, რომ ეს ისლამურ ნაწილსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დარეგულირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა [14].

აღნიშნული საკითხისადმი დადებით პოზიციას ახმოვანებდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტ. ბლერიც. ზოგადად, თურქეთის ევროკავშირში მიღების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად (არაოფიციალურად) მისი მოსახლეობის რაოდენობაა (დაახლ. 80 მლნ) მიჩნეული, რაც დემოგრაფიული სურათის შესწავლის საფუძველზე, უახლოეს მომავალში ვარაუდებს აჩენს. ეს საკითხი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თურქეთი შეძლებს ევროკავშირის გადაწვეტილებებზე ზეგავლენის (10 ქვოტის) უფლებას, რაც ევროპის ქვეყნების ინტერესებში არ შედის.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კანდიდატი ქვეყანაა, ჯერ კიდევ არაა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ქვეყანაში მიმდინარე წარმატებული დემოკრატიული ცვლილებები ეკონომიკის, განათლების, სამართლისა და სხვა სფეროებში, ვერ წყვეტს თურქეთის ევროპასთან გაიგივების, ევროპის ერთიან ცივილიზაციაში მისი მოაზრების საკითხს.

თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების შესახებ თურქი ექსპერტების ოპტიმისტური განწყობილებები ძირითადად, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს უკავშირდება. თურქეთის მრეწველობისა და ვაჭრობის იმდროინდელი მინისტრი ალი ჯონკუნი ევროკავშირში გაერთიანების შედეგად თურქეთში ინვესტიციების რაოდენობის სწრაფი ზრდის, შედეგად კი, კერძო სექტორის აღორძინებით ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების გადაჭრის პროგნოზებს აკეთებდა [2].

შეკითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა თურქეთი სხვა მიმართულებით, ანალიტიკოსების ნაწილი პასუხობს, რომ ქვეყანას ამისკენ სხვადასხვა კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები უბიძგებენ. სტამბოლის შეხვედრაზე ევროპის საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რობერტ უექსლერმა ალიანსის წვერი ქვეყნის წარმომადგენელ კოლეგებს მოუწოდა დაკვირვებოდნენ საკუთარ ქმედებებსა და მოსაზრებებს და ხაზი გაუსვა თურქეთის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებისთვის მოხერხებული პლაცდარმს, რაც თურქეთს ევროკავშირისთვისაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ერსინ კალაიჩიოღლუმ კი აღნიშნა, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს ევროპული ეკონომიკის შემცირება მოჰყვა, რამაც თურქეთს, როგორც ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორს, ახალი ბაზრების მოძიებისკენ უბიძგა [15].

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთსა და ევროპულ ბლოკს შორის საბაჟო კავშირი მოქმედებს, დასავლელ პარტნიორები მაინც სიფრთხილით ეკიდებიან ანკარის შიდა და საგარეო ვალზე დამოკიდებულებასა და ინვესტორების ნდობის მაჩვენებელს და ამ სიფრთხილის რეალური მიზეზად ეკონომიკაზე მეტად მაინც თურქეთის სიდიდე და ისლამური იდენტობა რჩება.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თურქეთი, როგორც „რბილი ძალა“, რომელიც მძლავრი ეკონომიკური და ენერგოკავშირების განვითარებას და ამ სფეროში რეგიონის ლიდერობის განმტკიცებას გულისხმობს. თურქეთი შესამჩნევ ეკონომიკურ პროგრესს აღწევს, რომელსაც აქვს პოტენციალი ევროკავშირში გერმანიის შემდეგ მეორე უმსხვილესი ქვეყანა გახდეს. ბოლო პერიოდში თურქეთის საგარეოპოლიტიკურ კურსზე დაკვირვებით, ნათელია, რომ თურქეთს საგარეო პოლიტიკაში ახალი მისწრაფება - ენერგო ცენტრად ქცევის ამბიციაც გაუჩნდა, რაც ევროგაერთიანების წევრ წამყვანს სახელმწიფოებს ხელს არ აძლევს. ამ კუთხით თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ე.წ. „ნაბუქოსა“ და „სამხრეთის ენერგოპროექტებზე“, რომელიც ევროკავშირისთვის თურქეთს უფრო სასურველს ხდის.

თურქეთის მიერ ევროკავშირში გაწევრიანებისათვის გასატარებელი მთელი რიგი ღონისძიენების განხორციელების წლების განმავლობაში შესამჩნევი იყო კერძო ინიციატივები და კერძო სექტორში სახელმწიფოს ჩარევის შემცირების ტენდენციები. პრივატიზაციამ გამოიწვია საბაზრო ძალების მოქმედების არეალის მნიშვნელოვანი გაფართოება, რაც ევროკომისიის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში.

ევროკავშირში გასაწევრიანებლად მომზადების მთავარი ამოცანა იყო თურქეთისა და ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. კერძოდ, სერიოზულ პრობლემებს წააწყდა საგადასახადო კანონმდებლობა. ევროკომისია ბოლო დრომდე მიიჩნევს, რომ რომ თურქეთის კანონმდებლობა დღგ-ის, აქციზისა და საბაჟო გადასახადების საკითხებში მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს ევროპული კრიტერიუმებს.

ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნის მისაღწევად არცთუ უმნიშვნელო ცვლილებები არ განიცადა თურქეთის ფინანსებმაც. ფინანსური ინსტიტუტების (და პირველ რიგში საბანკო სექტორის) რეფორმირების პროცესში თურქეთმა შეასრულა ევროკომისიის მიერ წაყენებული თითქმის ყველა პირობა. შედეგად, ჯერ კიდევ 2007 წელს ევროკომისია აფიქსირებდა თავის აზრს, რომ ამ სფეროს ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის დონე დამაკმაყოფილებელი იყო.

აქედან გამომდინარე, თურქეთში მოქმედი საბაზრო ეკონომიკის არსებობდა დასტურდება

მისი ევროკავშირის მოთხოვნების უმეტესობასთან შესაბამისობით.

რაც შეეხება თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობას, 2016 წლის დეკემბრის ბოლოს თურქეთის ეკონომიკის მინისტრმა ნიჰათ ზეიბეჩქიმ ევროკომისარ (ვაჭრობის საკითხებში) სესილია მალმსტრომმის მიმართ დიდი კმაყოფილებითა და მადლიერებით აღსავსე კომენტარი გააკეთა ევროკომისიის გადაწვეტილების შესახებ, რომელმაც ევროკავშირის საბჭოს მიმართა ანკარასთან ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყების ნებართვის მისაღებად თურქეთის ევროკავშირთან საბაჟო კავშირის შეთანხმების განახლების მიზნით. მისი თქმით, განახლებული შეთანხმება თურქეთისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მომსახურების ექსპორტის გაზრდის ახალი შესაძლებლობას წარმოადგენს. მისი თქმით „ეს იყო თურქული კომპანიებისათვის ეს ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის საშუალება, გარდა ამისა, ამით თურქეთი იღებდა გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას. ასევე, თურქეთი ავტომატურად ხდებოდა ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების მხარე“ [16].

2021 წლის აპრილში ანკარას ეწვია ევროკავშირის დელეგაცია თურქეთის ევროკავშირთან ნორმალურ თანამშრომლობის ხელისშემშლელი პრობლემების მოგვარების გზების მოსაძიებლად. ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ურთიერთობებში ახალი იმპულსი შესახებ გამოაცხადა. ევროკავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობების პოზიტიური დღის წესრიგი უნდა ეფუძნებოდეს სამ ელემენტს - ეკონომიკურ თანამშრომლობას, მიგრაციის პრობლემების მოგვარებას და ხალხებს შორის კონტაქტებს. ამის შესახებ 6 აპრილს ევროპული საბჭოს ხელმძღვანელმა ჩარლზ მიშელმა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მიშელმა განაცხადა, რომ ანკარაში მისი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო თურქეთის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობის პოვნა. „იმედი გვაქვს, რომ თურქეთი ისარგებლებს ამით“, - განაცხადა მიშელმა და აღნიშნა, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თურქეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა გარკვეულწილად გახურდა.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, ასევე განაცხადა, რომ თურქეთის ხელმძღვანელობა მოტივირებულია ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. ფონ დერ ლაიენმა შესთავაზა ფოკუსირება მოეხდინათ ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაზე, კლიმატის გასაუმჯობესებასა და მიგრაციის პოლიტიკის ჰარმონიზაციაზე.

ანკარაში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ მიშელმა და ფონ დერ ლაიენმა მზადყოფნა გამოთქვეს გაზარდონ ფინანსური დახმარება და დაიწყონ მოლაპარაკებები თურქეთთან საბაჟო თანამშრომლობის მოდერნიზაციის შესახებ, რაც ამ უკანასკნელს მისცემს მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო ბლოკის შიდა ბაზარზე სრულფასოვანი წვდომის ახალ შესაძლებლობებს. ევროკავშირი თურქეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, 2020 წელს მხარეებს შორის ვაჭრობის მოცულობამ 143 მილიარდი დოლარი შეადგინა [17].

ამას ადასტურებს ევროსტატის მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც 2020 წელს თურქეთმა ეკონომიკური ზრდის მხრივ ევროპის ბევრ ქვეყანას გაუსწრო. თურქეთის სტატისტიკური ინსტიტუტისა და ევროპის სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, თურქეთის ეკონომიკა 2020 წლის პირველ კვარტალში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4,5%-ით გაიზარდა [18].

ამავდროულად, ევროკავშირისა და ევროზონის ეკონომიკა 2020 წლის იანვარ-მარტში, შესაბამისად, 3,2%-ით და 2,6%-ით შემცირდა.

თურქეთის ეკონომიკა უკვე ზედიზედ მესამე კვარტალის განმავლობაში ავლენს ზრდას, მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკა ნელდება გლობალური სფეროს გაურკვევლობის ფონზე.

მოწინავე ადგილზე თურქეთი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის თვალსაზრისითაც - მისმა ეკონომიკამ აჯობა ევროკავშირის ბევრ ქვეყანას, გარდა ესტონეთის, ირლანდიის, საბერძნეთის, ხორვატიის, ლუქსემბურგის, მალტასა და სლოვენიისა. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის ფონზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ევროპის 12 ქვეყნის მშპ მინუსში გადავიდა [18].

ABIL ASLNANOV

INTERNATIONAL ECONOMIC INTERESTS OF THE REPUBLIC OF TURKEY

Summary

At the present stage, the Republic of Turkey is increasingly asserting its role as a regional leader and, at the same time, seeking to strengthen its influence in the global economy and politics by using its favorable geopolitical location. Its economy is characterized by a high degree of openness to foreign capital and active trade, economic and financial ties with the European Union, the United States, Russia and other neighboring countries.

In terms of infrastructure services, Turkey is one of the most developed countries in the region and provides almost all of its population with food, clothing and footwear, medicines, electrical engineering, construction materials, electricity, etc.

The article discusses the significant changes in the economic policy pursued by Turkey in recent decades and the nature of relations with different countries of the world.

Keywords: *Turkey, global economy, economic policy, regional leader.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Турция: новая роль в современном мире. ЦЕНТР СИТУАЦИОННОГО АНАЛИЗА РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ НАУК, М., 2012.
2. ხოზრევანიძე ლ., „თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები“, სტუ, თბ., 2018.
3. Orhan Morgil, “The Turkish-Russia Bilateral Economic Relation”, Dış Politika, Cilt 29, Sayı 3-4, 2002, s. (39-44), s. 43.
4. მანჩხაშვილი მ. ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013.
5. УЛЬЧЕНКО Н., „Торгово-экономические связи России и Турции в постсоветский период“ https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/312089
6. http://www.ekonomi.gov.tr (02.03.2017).
7. Объем турецкого экспорта в июне вырос почти на 47% (30.07.2021). https://www.aa.com.tr/ru
8. კომახია მ. ,,თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი 2000, ნომერი 41, გვ. 11.
9. ალექსი რ., ,,ევროკავშირის ფაქტების წიგნი“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი. თბ., 2002.
10. ლეონარდი დ., ევროკავშირის სახელმძღვანელო, თბილისი, გაერთიანება ჯისიაი, 2000, გვ. 49.
11. Arndt Kunnecke – Turkei und EU, 2016, გვ. 87-93.
12. გვილია ი., „საერთო თურქული გეოპოლიტიკური ფაქტორის შესახებ თანამედროვე ეტაპზე“, ისტორია, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1998.
13. Anet Stromer – EU und Turkei – Passt die Turkei zur EU? Nurnberg, 2017; გვ. 23.
14. სურმავა თ., „თურქეთის ევრკავშირთან ურთიერთობა და რეგიონული ლიდერობა“, თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტური კონფერენცია, თბ., 2013.
15. www.humboldt-Foundation/de/web/home
16. До 50% товарооборота Турции приходится на ЕС. https://www.aa.com.tr/ru
17. В ЕС назвали три ключевых элемента новой повестки отношений с Турцией. https://www.rbc.ru/politics/06/04/2021/606c3fe39a794741921674c8
18. Турция опережает многие страны ЕС по росту ВВП. https://www.aa.com.tr/ru

ნანა კანკავა
წარმოადგინა პროფ. ჯემალ გაბელიამ

ქართულ და გერმანულ სააღსრულებო სისტემაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროპის საბჭოს როლი

სტატიაში საუბარია „საერთაშორისო ორგანიზაციების“ მნიშვნელობაზე ზოგად სამართლებრივ კონტექსტში. მათ შორის, მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამათლოს“ და „ევროსაბჭოს“ როლი, ჩართულობა სააღსრულებო პოლიტიკაში, როგორც, ქართულ ასევე, გერმანულ „სააღსრულებო სამართალში“. აგრეთვე, მიმოვიხილავ იმ მნიშვნელოვან „სააღსრულებო მოქმედებებს“, რითაც განსხვავდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი - გერმანიის სააღსრულებო კანონმდებლობისაგან და პრაქტიკისაგან.

***საკვანძო სიტყვები**: საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებები, ევროპის საბჭო.*

1997 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პრეცედენტის განმსაზღვრელ საქმესთან მიმართებაში „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ასევე ეხება აღსრულებას. სასამართლო პროცესის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანაზე, არამედ ასევე ეფექტური სააღსრულებო სისტემის განვითარებაზე: სასამართლო პროცესი არ დასრულდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანით, მაშინაც კი, როდესაც ეს გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად. ეს ასევე ნიშნავს, რომ ასეთი გადაწყვეტილება აღსრულებულია. ამ კონტექსტში ავტორები ძველ ლათინურ ანდაზას მიიჩნევენ ძალიან შესაბამისად: „არ არსებობს უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების გარეშე“.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1959 წელს. 1998 წლიდან იგი გახლავთ სრულ განაკვეთზე მომუშავე სასამართლო, სადაც ფიზიკურ პირებს პირდაპირი მიმართვის უფლება აქვთ. თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში სასამართლომ გამოიტანა 10,000-ზე მეტი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებები სავალდებულოა მოცემული ქვეყნებისათვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს პრაქტიკა კონვენციას ძლიერ ცოცხალ ორგანიზმად აქცევს, რომელიც მზადაა შეხვდეს ახალ გამოწვევებს და მოახდინოს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის კონსოლიდაცია ევროპაში.

სასამართლო სტრასბუგში, ადამიანის უფლებათა შენობაში მდებარეობს, რომელიც ბრიტანელი არქიტექტორის ლორდ რიჩარდ როჯერსის მიერ 1994 წელს იქნა დაპროექტებული. შენობა ცნობილია მთელს მსოფლიოში. სწორედ ამ შენობიდან ხდება 800 მილიონი ევროპელის უფლებების პატივისცემაზე ზედამხედველობა სასამართლოს მიერ, რომლებიც ევროპის საბჭოს იმ 47 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. სასამართლო იმდენივე მოსამართლისგან შედგება რამდენიც მხარეცაა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში (ამჟამად 47) [1].

კონვენციის თანახმად, მოსამართლეებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნეები. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან მოსამართლეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა ცხრა წლის ვადით ხელახალი არჩევის უფლების გარეშე მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდება თუ ის 70 წლის ასაკს მიაღწევს. მო-

სამართლეები სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებენ თავიანთი ინდივიდუალური უფლებამოსილებით მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არ უნდა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან; ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს წყვეტს სასამართლო [1].

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას. თუკი მინისტრთა კომიტეტი თვლის რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ ემორჩილება სასამართლოს გადწყვეტილებას მიმართავს სასამართლოს მხარისთვის შეტყობინების შემდეგ, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ გადაწყეტილება აღსრულებულია მინისტრთა კომიტეტი ხურავს საქმეს.

რაც შეეხება ევროპის საბჭოს, ის წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე, რომელიც აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს, რომელთა შორის 28 ევროკავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა. მას შემდეგ, თანამშრომლობის მთავარი მიზანია ქვეყნის მხარდაჭერა ორგანიზაციაში გაწევრიანებისას აღებული და სხვა კონკრეტული ვალდებულებების შესრულებაში, რაც ემსახურება ქვეყანაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

ევროპის საბჭოს მიზნებია:

1. ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა;
2. ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება;
3. ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვ.) [1].

შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი). შტაბ-ბინა მდებარეობს სტრასბურგში.

„აღსრულება“ ნიშნავს სასამართლო და სხვა არასასამართლო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოპასუხეს ავალებს გარკვეული ზომების გატარებას, გარკვეული ქმედებებისგან თავის შეკავებას ან გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი თანხის გადახდას.

მოცემული რეკომენდაცია ვრცელდება სამოქალაქო საქმეებზე, მათ შორის კომერციულ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, შრომით და საოჯახო სამათალწარმოებაზე. იგი არ ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე. მოცემული რეკომენდაცია ასევე შეიძლება გავრცელდეს სისხლის სამართალწარმოებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. „მოცემული რეკომენდაცია ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, ისევე როგორც სხვა არასასამართლო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე“ [1].

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ სააღსრულებო სამართლის პრობლემები და არ მივიჩნიოთ ისინი მხოლოდ ტექნიკურ საკითხებად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავიაზროთ ზოგადად სამართლებრივ სისტემაში სააღსრულებო სამართლის ადგილთან დაკავშირებული დოგმატური საკითხები. თუ, კლასიკური სამართლებრივი მოძღვრების თანახმად, სამართალს დავყოფთ სამ სფეროდ, მაშინ ერთმანეთისაგან გაიმიჯნება „კერძო სამართალი“ (სამოქალაქო, სავაჭრო და სამეწარმეო სამართალი), „სისხლის სამართალი“ და ე.წ. „საჯარო სამართალი“ (საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი და საგადასახადო სამართალი).

ამ დაყოფის ფარგლებში „სააღსრულებო სამართალი“ – „საჯარო სამართლს“ მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სახელმწიფოს ბრძანებების (მაგ: სასამართლო გადაწყვეტილებები,

განჩინებები, ადმინისტრაციული აქტები და ა. შ.) „იძულების ძალით“ განხორციელება. თუმცა, აღნიშნულთან წინააღმდეგობაში არ მოდის ის გარემოება, რომ სააღსრულებო ღონისძიებების შედეგები ნაწილობრივ კერძოსამართლებრივია. მაგ.: როდესაც საქმე ეხება კერძოსამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ის, რომ სააღსრულებო ორგანოებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას შეუძლიათ „იძულებითი ღონისძიებების“ გატარება (მაგალითად: მესაკუთრეს ნების წინააღმდეგ მისი საკუთრების დაყადაღება, ბინიდან იძულებითი გამოსახლება, ზოგ შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებაც ხელშემშლელის ან წინააღმდეგობის გამწევი პირის მიმართ) ლეგიტიმურია არა კრედიტორის კერძოსამართლებრივი მოთხოვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილებით. „იძულებითი აღსრულების სამართალი“ ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ გამოწვევებს. ერთი მხრივ, ეფექტურ ინსტრუმენტად რომ დარჩეს და მეორე მხრივ, მოვალის დაცვის საჭიროება არ უგულვებელყოს.

მრავალჯერ გამხდარა სადავოდ საკითხი იმის შესახებ სააღსრულებო პროცედურები „კერძო სამართლის“ ნაწილია თუ „საჯარო სამართლისა“ . აღნიშნული კამათი, როგორც ჩანს, განპირობებულია იმით, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებისას აღმასრულებელი მიმართავს იძულებით ღონისძიებებს, რაშიც იგულისხმება სახელმწიფოს ჩარევა იძულებითი მექანიზმებით. სწშ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი პირისათვის. აღნიშნულ ნორმაში იკვეთება ურთიერთობის სუბორდინაციული ხასიათი, რომელიც დამახასიათებელია საჯარო სამართლისათვის: „საჯარო სამართალი არის პრინციპულად სუბორდინაციული სამართალი, კერძო სამართალი პრინციპულად – კოორდინაციის სამართალი“ [2].

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში აღიარებულია, რომ სააღსრულებო წარმოება სამოქალაქო სამართლის სფეროს განეკუთვნება. ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში გერმანელმა იურისტმა ფრიდრიხ შტეინმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სააღსრულებო წარმოება იწყება და მთავრდება კერძო სამართლით.

თეორეტიკოსები სააღსრულებო პროცედურების სამოქალაქოდ მიჩნევის საკითხს ხსნიან ინტერესთა თეორიის მიხედვით: სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს კრედიტორის ინტერესებისათვის, ხოლო ურთიერთობაში კრედიტორიც და მოვალეც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ხოლო აღმასრულებელი მხარეებთან ურთიერთობას ამყარებს თანასწორობის საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სააღსრულებო პროცედურა არ არის რაფინირებული, იგი შეიცავს, როგორც ადმინისტრაციული, სისხლის სამართლებრივი წესით ქონებრივი გადახდევინების/ჯარიმის აღსრულების/ქონების ჩამორთმევის, საგადასახადო, ისე სამოქალაქო აქტების აღსრულების წესებს და პირობებს. სწორედ, ამიტომ იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უნივერსალურ სააღსრულებო პროცედურად. უნივერსალური სააღსრულებო პროცედურა მიეკუთვნება საჯარო სამართალს და საპროცესო და ადმინისტრაციული სამართლის ზღვარზეა. აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სააღსრულებო საქმეთა კერძო და საჯარო საქმეებად დაყოფას, თუმცა განსაზღვრავს მათი აღსრულების განსხვავებულ წესებს საქმეთა კატეგორიიდან გამომდინარე [3].

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კვლევის „Doing Business 2018“-ის მიხედვით, მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის, საქართველომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, აღსრულების ხარისხის მიხედვით მე-16 ადგილიდან მე-7 ადგილზე გადაინაცვლა. აღსრულების რეიტინგის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სააღსრულებო სისტემის გამართულობაზე. მსოფლიო ბანკის მიერ რეიტინგის გამოთვლის კომპონენტებს სასამართლო გადაწყვეტილებების გამჭვირვალე, დროული, ხარისხიანი, აღსრულება წარმოადგენს, რაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. აღნიშნული უწყების მიერ ბოლო წლების განმავლობაში სისტემის სწორად ფუნქციონირებამ გამოიწვია არსებული წარმატებები. მაჩვენებლის გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს ის დიდი საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც საქართველოს იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ ინიცირებული ერთიანი პოლიტიკის შედეგად საკანონმდებლო ცვლილების ერთობლიობით განხორციელდა. რეფორმებმა:

- გაამარტივა კრედიტორისა და მოვალისთვის გადახდისუუნარობის პროცესი;
- მოვალისთვის გაიზარდა რეაბილიტაციის შესაძლებლობები;
- გადახდისუუნარობის სერვისის ხელმისაწვდომობა;
- აღსრულების პროცესში მხარეთა ჩართულობა/მზადყოფნა/ინფორმირებულობა (რაც ამ საქმიანობის სოციალური მიმართულებით აქცენტებზე მიუთითებს) [3].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველად საქმეების დიდი რაოდენობაა წარდგენილი. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთი სფეროა, რომელთანაც დაკავშირებით სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება აქვს მიღებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო გადაწყვეტილებების და სხვა სავალდებულო დოკუმენტების აღსრულებასთან დაკავშირებული სარჩელების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კანონის უზენაესობის დამკვიდრების თვალსაზრისით გარკვეული გამოწვევები არსებობს.

განსახილველად წარდგენილი საქმეების დიდი რაოდენობის გამო ევროპის საბჭომ „საპრეცედენტო გადაწყვეტილებების“ კონცეფცია დანერგა. რეკომენდაციაში Rec (2004) 673 მინისტრთა კომიტეტმა განაცხადა შემდეგი: „როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის (საპილოტე საქმე) სტრუქტურულ ან ზოგად ნაკლოვანებებზე მიუთითებს და სასამართლოს განსახილველად წარდგენილია, ან სავარაუდოდ წარდგენილი იქნება დიდი რაოდენობის საქმეები, რომლებიც იმავე საკითხს შეეხება („განმეორებითი საქმეები“),მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პოტენციური განმცხადებლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი ეფექტური სამართლებლივი მექანიზმი, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას ეროვნულ დონეზე მიმართონ სასამართლოებს, ასევე როდესაც ეს შესაძლებელია, მოცემული ეროვნული მექანიზმი ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ განმცხადებლებისთვისაც, რომლებსაც უკვე წარდგენილი აქვთ განაცხადი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. ასეთი სწრაფი და ეფექტური სამართლებლივი მექანიზმი საშუალებას მისცემს განმცხადებლებს ეროვნულ დონეზე მიიღონ თავისი პრეტენზიის დაკმაყოფილება, რაც შესაბამისობაშია კონვენციის სუბსიდიარობის პრინციპთან *…+ ასეთი ეროვნული მექანიზმის დამკვიდრება არსებითად შეამცირებდა სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობას“ [1].

აღნიშნული ესსე - თვისობრივი ანალიზიდან გამოყენებულ კვლევის მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთ სახეს: კონტენტ-ანალიზის მეთოდს ეფუძნება. იგი მოიცავს საკვლევი თემის გარშემო არსებული ლიტერატურის კვლევას, ასევე, შედარებითი და სტატისტიკურ მეთოდებს. ჩემი კვლევის შესწავლის ობიექტია ქართული და გერმანული სააღსრულებო პოლიტიკა, რომელიც აპრობირებულია და გაშუქებულია 2008-2019 წლებში საქართველოსა და გერმანიაში (მნიშვნელოვანი სააღსრულებო ღონისძიებები). ასევე, საინტერესო იქნება „ევროპის საბჭოსა“ და „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს“ ჩართულობა, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება მოქალაქეთა უფლებების დასაცავად სააღსრულებო პოლიტიკასთან მიმართებაში. ისევე, როგორც ქართული სააღსრულებო სამართალი 2008 წლის ზაფხულში მუდმივი ცვლილებების პროცესში იმყოფებოდა, გერმანიაშიც 2009 წლის ზაფხულში, მნიშვნელოვანი სააღსრულებო სამართლის საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა [1].[1]

ძალაში შესული კანონებიდან ამ შემთხვევაში რამდენიმეს განხილვით შემოვიფარგლები, ვინაიდან, ისინი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს სააღსრულებო სამართლის ცვლილებების საზოგადოების განვითარებაზე დამოკიდებულებას და რომლებიც მოგვცემენ შესაძლებლობას განვსაზღვროთ, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი და საჭირო ქართული სააღსრულებო სამართლის განვითარების პროცესში:

ყადაღისგან დაცული ანგარიში - გერმანიის პარლამენტის მიერ 2009 წლის მაისში მიღებული კანონი ანგარიშის დაყადაღებისგან დაცვის თაობაზე აწესებს ყველა მოქალაქისთვის (კერძო პირები, დამსაქმებლები, დასაქმებულები, სოციალური შეღავათების მიმღებნი

[1] 2004 წლის 12 მაისს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec (2004)6 წევრი სახელმწიფოებისთვის ეროვნული სამართლებლივი მექანიზმების გაუმჯობესების თაობაზე.

და ა.შ.) თავიანთ მიმდინარე ანგარიშზე რიცხული საარსებო მინიმუმის (იგი შეადგენს დღესდღეობით თვეში 985,15 ევროს) დაყადაღებისგან დაცვის საშუალებას, როდესაც მიმდინარე ანგარიში საკრედიტო დაწესებულებაში როგორც ე.წ. „დაუყადაღებელ ანგარიშად“ არის რეგისტრირებული. მნიშვნელობა არ აქვს რომელ შემოსავალს (სესხი, ხელფასი, ნაჩუქარი, სოციალური შეღავათი) ეხება ანგარიშის თანხა. თუ, ეს საბაზისო თანხა თვის განმავლობაში არ ამოიწურება, იგი ავტომატურად გადავა მეორე თვეში. ამგავარად, ანგარიშის მფლობელს შეუძლია დაზოგილი თანხა არც თუ მაღალი ხარჯებისთვის გადაინახოს, რომლის გაწევაც მას ხანდახან უწევს (მაგ. ავტომობილის დაზღვევა, საშობაო საჩუქარი, ქირავნობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები). თითო მოქალაქეს მხოლოდ ერთი ამგვარი ანგარიშის ქონის უფლება გააჩნია (გადამოწმება ხდება ინფორმაციის ერთიან ბანკებში, მაგალითად SC).

საარსებო მინიმუმის თანხაში შედის აგრეთვე განსაზღვრული სოციალური შეღავათები, როგორიცაა ბავშვების თანხა, რომელიც ავტომატურად დაუყადაღებელია. თუ, მსგავსი ანგარიში მაინც დაყადაღდება, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ყადაღის გაუქმება, როდესაც ის დაასაბუთებს, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ანგარიშზე უმეტესწილად ყადაღადაუდებელი შემოსავლებია დარიცხული და მომდევნო 6 თვის განმავლობაშიც ასევე, უმეტესწილად ყადაღადაუდებელი შემოსავლებია მოსალოდნელი. ყადაღადაუდებელი ანგარიშის შექმნა გამოიწვია შემდეგმა ფაქტორმა: ძველი რეგულირებით, მოვალე, რომლის საბანკო ანგარიშსაც ყადაღა დაედებოდა, ვერ განახორციელებდა ანგარიშთან დაკავშირებულ რაიმე ქმედებას მანამ, სანამ იგი თანხის სოციალური საფუძვლით დაუყადაღებლობას სასამართლოში დაამტკიცებდა და ყადაღის მოხსნის შემდეგ თანხას გამოიტანდა. გარდა ამისა, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 850-ე და მომდევნო მუხლები (ყადაღისგან თავდაცვის ნორმები) მოქმედებდა მხოლოდ დასაქმებულისთვის, ხოლო გერმანიის სოციალური კოდექსის 1-ლი წიგნის მსგავსი რეგულირებები სოციალური შეღავათის მიმღები პირებისთვის. ვინაიდან, დაყადაღებული ანგარიშიდან შეუძლებელი იყო გადარიცხვების წარმოება, ეს ყველაფერი იწვევდა ქირის გადახადის, სადაზღვევო შენატანების და ა.შ. არადროულ დაფარვას. გარდა ამისა, ბანკები ანგარიშის დაყადაღებას ანგარიშის შეწყვეტის მიზეზად იყენებდნენ. მყარი საბანკო ანგარიშის გარეშე კი არავის შეეძლო ბინა ექირავა, მუშაობა დაეწყო და ა.შ. მიმდინარე ანგარიშის დაყადაღებას შეეძლო პირის სოციალური მდგომარეობა სწრაფად შეეცვალა. „ყადაგისგან დაცულმა ანგარიშმა“ მომავალში უნდა აგვაცილოს მსგავსი შემთხვევები. ეს ცვლილება რამდენად წარმატებული იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში გაჩნდეს ცვლილების საჭიროება.

რაც შეეხება საქართველოს, მსგავსი ჩანაწერი „ყადაღისგან დაცული ანგარიში“ ან დაუყადაღებელი ანგარიში“ - „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქ. კანონში არ მოგვეპოვება, უფრო მეტიც აღსრულების პროცესის დაწყებისთანავე, ქონების მოძიების მიზნით, აღმასრულებელი მიმართვას აგზავნის საქართველოში რეგისტრირებულ ყველა საბანკო დაწესებულებებში, ახდენს მოვალის სახელზე არსებული საბანკო ანგარიშების მოძიებას მასზე რიცხული დადებითი ნაშთების მიხედვით და ახორციელებს მათ დაყადაღებას. ყადაღას ექვემდებარება მოვალის სახელფასო საბანკო ანგარიშიც, რომელზეც წარმოებს ხელფასის დარიცხვა. ვინაიდან, ყადაღა იძულებითი ღონისძიების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა, მოვალის სახელფასო ანგარიშის დაყადაღების შემდეგ მას ეკრძალება ისარგებლოს საბანკო ანგარიშით და მიიღოს მისი კუთვნილი ხელფასი. აუცილებელია, რომ მოვალე ამის შესახებ ინფორმირებული იყოს. კანონი აღმასრულებელს ავალდებულებს, რომ წინადადების გაგზავნის დროს მოვალეს დეტალურად მიაწოდოს ინფორმაცია და განუმარტოს მისი საბანკო ანგარიშების დაყადაღების შესახებ. რაც შეეხება მოვალის სახელფასო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრას, ის ხორციელდება ორი გზით: ა) საინკასო დავალებით თანხის იძულებითი წესით ჩამოჭრა; ბ) ხელფასის დაკავება ორგანიზაციაზე მიმართვით.

ორივე შემთხვევა წარმოადგენს იძულებით სააღსრულებო მოქმედებას. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებამდე კი აუცილებელია მოვალეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული ჰქონდეს წინადადება და გასული იყოს მისი ნებაყოფლობით შესრულების 7-დღიანი ვადა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვალე წინადადების ჩაბარების შემდეგ მიმართავს აღმასრულებელს

და ითხოვს ნებაყოფლობით დადგენილი 7-დღიანი ვადის გასვლამდე სახელფასო ანგარიშიდან თანხის საინკასო წესით ჩამოჭრას. აღნიშნულ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია აღმასრულებელს წარუდგინოს სახელფასო ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან და განცხადება, სადაც გამოხატული იქნება ნება, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლამდე განხორციელდეს მისი საბანკო ანგარიშიდან დავალიანების ინკასოს წესით ჩამოჭრა.

მოვალის მხრიდან აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ აღმასრულებელი მიმართავს საბანკო დაწესებულებას თანხის ჩამოჭრის თაობაზე. საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია, მოვალეს იძულების წესით დაუკავდეს ხელფასის 50%-ზე მეტი, კერძოდ: „შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს“. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე თავად გამოხატავს ნებას და წარმოადგენს განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის თანახმაა მოახდინონ მისთვის დადგენილ ოდენობაზე მეტი თანხის დაქვითვა. მოვალის სახელფასო ანგარიშიდან ყოველთვიურად დავალიანების სრულად დაფარვამდე დაკავებული თანხის ოდენობამ შესაძლოა შეადგინოს ხელფასის 50%-ზე ნაკლებიც. ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს კრედიტორის თანხმობა, რაც აისახება მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. თუ, მოვალის მხრიდან ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში არ იქნება დაფარული დავალიანება და აღმოჩნდება, რომ მოვალე მუშაობს დაწესებულებაში, სადაც ერიცხება ხელფასი, იგი ვალდებულია აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს ცნობა სამსახურიდან, სადაც მითითებული უნდა იყოს რა თანამდებობაზე მუშაობს იგი, რა რაოდენობის ხელფასი ერიცხება მას და რომელ ანგარიშზე. სახელფასო ცნობას თან უნდა დაერთოს ამონაწერი საბანკო ანგარიშის თაობაზე (მინიმუმ, ბოლო 3 (სამი) ან 6 (ექვსი) თვის).

იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს დაყადაღებულ ანგარიშზე აღმოაჩნდება დადებითი ნაშთი, აღმასრულებელი ახდენს თანხის 50%-ის საინკასო დავალების წესით ჩამოჭრას. რაც შეეხება თანხის დარჩენილ ნაწილს, იმისთვის, რომ მოვალემ შეძლოს დარჩენილი თანხის გამოყენება, სახელფასო ანგარიში უნდა გათავისუფლდეს ყადაღიდან. პარალელურად, აღმასრულებელი დამსაქმებელ ორგანიზაციას წერილობით მიმართავს. მიმართვაში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული, თუ რომელი ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით ხდება მოვალის ხელფასის დაკავება. ასევე, უნდა მიეთითოს დავალიანების ოდენობა და აღსრულების ეროვნული ბიუროს/კერძო აღმასრულებლის იმ ანგარიშის ნომერი, რომელზეც ორგანიზაციამ ყოველთვიურად უნდა ჩარიცხოს მოვალის ხელფასიდან დაკავებული თანხები.

მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა - საგნის გამოკვლევის გაუმჯობესება - ქართული რეგულირების მსგავსად, გერმანიაშიც იქნა შემოღებული რეგულირება, რომლის მიხედვითაც მოვალე ვალდებულია წარუდგინოს აღსრულების კრედიტორს მისი ქონების აღმწერი საბუთი და საბუთის სისწორე დაადასტუროს ფიცის ჩვენების მიცემით, როდესაც ის იძულებითი აღსრულების დაწყებამდე კრედიტორის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 802-ე და მომდევნო მუხლები). ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 802 დ-ის მიხედვით აღსრულების კრედიტორს, როდესაც მისი დაკმაყოფილება ნებაყოფლობით არ ხდება, საშუალებას აძლევს მას იცოდეს სად მდებარეობს მოვალის ქონება და რომელი ქონებით ღირს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ვინაიდან, იგი ჯერ კიდევ იძულებითი აღსრულების საწყის ფაზაში იმყოფება, მოვალის რეესტრის (802-ე და მომდევნო მუხლები) ფუნქციას წარმოადგენს, ყველა დაინტერესებულ ხელშეკრულების მხარეს და პოტენციულ კრედიტორს მიუთითოს მოვალის ფინანსური კუთხით სანდოობაზე, რომელიც უკვე დასრულებული აღსრულების პროცესში არასანდოობით გამოირჩეოდა. ჩანაწერის გაკეთება რეესტრში ხდება მაშინ, როდესაც კრედიტორის სააღსრულებო მცდელობები შედეგს არ იღებს. მოვალესთან დაკავშირებული ჩანაწერის შინაარსი (§882 ბ-ის მე-2 და მე-3 ნაწილი) შემოიფარგლება მოვალის პიროვნებასთან ერთად იმ აუცილებელი ფაქტებით, რომლებიც მისი რეესტრში შეტანის საფუძველი გახდა. მოვალის მონაცემების რეესტრში შეტანა ხდება ფედერალური მიწის მხოლოდ ე.წ. ცენტრალურ სააღსრულებო სასამართლოში (§ 882 თ-ის 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადება) და შესაძლებელია მათი ფედერალური მასშტაბით ინტერნეტში მოძიება, როდესაც მაძიებელს § 882 ვ-ის 1-ლი წინადადების

1-6 ჩამოთვლილი მიზეზებიდან ერთ-ერთის დასაბუთება შეუძლია (§ 882 თ-ის 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადება. #4 უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა, კერძოდ, ყველას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მოვალეზე, როდესაც ვარაუდობს, რომ შესაძლებელია მოვალესთან საქმიანი ურთიერთობა წარმოეშვას. ამის საპირისპიროდ, ქონების აღწერასთან წვდომა (რომლის წარდგენაც ასევე სააღსრულებო სასამართლოში ხდება) შეზღუდულია და მხოლოდ იმ კრედიტორებს აქვთ მისი მიღების უფლება, რომლებიც იძულებით აღსრულებას აწარმოებენ და შეზღუდულები არიან თავის მხრივ ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმეორედ მიიღონ. ისინი ინფორმაციას იღებენ არა უშუალოდ, არამედ მათთვის მიერ იძულებითი აღსრულების ფარგლებში მოქმედი აღმასრულებლისგან [2].

რაც შეეხება - „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქ-ს კანონს:

- აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია დაავალდებულოს მოვალე, წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა და ინფორმაცია ამ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ქონების ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს აგრეთვე მესამე პირის მიმართ თავისი მოთხოვნის საფუძველი და მტკიცებულებები. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ასევე ის ქონება, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას მესამე პირის მიმართ;
- მოვალე წერილობით გარანტიას იძლევა, რომ მან ყველა მონაცემი, რომლებიც მისგან მოითხოვეს, მაქსიმალურად სწორად და სრულად წარადგინა. წერილობითი გარანტიის მიცემის შემდეგ მოვალის მიერ ქონების ან/და ქონებრივი უფლებების შემენის, ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის შემთხვევაში იგი ვალდებულია ამის შესახებ დამატებით, წერილობით აცნობოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს;
- თუ მოვალე აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში არ წარუდგენს ქონების ნუსხას, ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეგნებულად წარუდგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- აღსრულების ეროვნული ბიურო ამოწმებს მოვალის მონაცემების სისწორესა და სისრულეს [2].

იძულებითი აღსრულების ხარჯები და საფასური ქართულ და გერმანულ სამართალში - ქართული სააღსრულებო კანონი ითვალისწინებს აღსრულების საფასურს, რომელიც მოიცავს ასევე 2008 წლამდეც კანონში არსებულ ხარჯებს აღმასრულებლის განსაკუთრებული მომსახურებისათვის და დღესდღეობით შეადგენს აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 7%-სა და უკანონო მფლობელობიდან გადასაცემი ნივთის საბაზრო ღირებულების 1%-ს. აღნიშნულმა ნოვაციამ, როგორც ეს განმარტა პარლამენტმა, „მატერიალური თვალსაზრისით უნდა უზრუნველყოს“ სააღსრულებო ორგანოების არსებობა. შემოსავლის ნაწილი (დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით) კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. მეტისმეტად მაღალი მეჩვენება ეს საფასური, რომელიც, საბოლოო ჯამში, უნდა გადაიხადოს მოვალემ, რაც მნიშვნელოვნად დაამძიმებს მის ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობას. ოდნავ მოგვიანებით მსურს, შედარებისთვის კონკრეტული მაგალითიც კი მოვიყვანო გერმანული სამართლიდან.

იმდენად, რამდენადაც დამატებით ამოსაღები ხარჯები ვეღარ მოეთხოვება მოვალეს, მაღალი დანახარჯები კი პრაქტიკულად გაერთიანდა აღსრულების საფასურთან, საბოლოო ჯამში, მაღალი დანახარჯები, რომლის გამომწვევი მიზეზებიც არის მხოლოდ რამდენიმე მოვალე (მაგალითად, შენახვის, განთავსების, დაპატიმრების ხარჯები), გადაიხდება არა მათი გამომწვევი პირების, არამედ იმ მოვალეთა მიერ, რომლებმაც მაქსიმალურად დაბალი ხარჯები გამოიწვიეს. მსგავსი ეფექტი აქვს ასევე აღსრულების საფასურის დაწესებას არა აღმასრულებლის მიერ გაწეული მომსახურების, არამედ აღსრულების საგნის ღირებულების საფუძველზე. ვინაიდან ხარჯები არ იზრდება აღმასრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ამოსაღები თანხის პროპორციულად, პრაქტიკულად დიდი ვალის მქონე მოვალეებმა (ანუ ვისაც გადასახდელი აქვს დიდი ფულადი მოთხოვნები იძულებითი აღსრულების ფარგლებში) უნდა მოახდინონ მცირე მოვალეების „სუბსიდირება“. ვინაიდან, აღსრულების საფასურმა მთლიანად უნდა დაფაროს აღსრულების ხარჯები და კიდევ უნდა დარჩეს გარკვეული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტისათვისაც, ფაქტობრივად, სახელმწიფო ამოცანის შესრულება მთლიანად ხდება მცირე და მოქალაქეთა

ეკონომიკურად განსაკუთრებით სუსტი კატეგორიის ხარჯზე. ძირითადად, სააღსრულებო ორგანოები (კადრები, შენობები, ავტომობილები და ა. შ.) არსებობენ კრედიტორთა თვითდახმარების აღსაკვეთად, იძულებითი აღსრულების, როგორც სახელმწიფო კომპეტენციის მიმდინარეობის სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი სახით უზრუნველსაყოფად და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ურჩი მოვალეების წინააღმდეგ აღსასრულებლად. ყოველივე ეს ხომ წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანას, რომლის დაფინანსებაც უნდა ხდებოდეს სახელმწიფო გადასახადებიდან. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია საუბარი სახელმწიფოსათვის არსებულ ნამეტ შემოსავლებზე. ამის საწინააღმდეგოდ, შესაძლოა საფასური, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებასთან, გაერთიანდეს კონკრეტული აღსასრულებელი აქტის ცალკეულ ხარჯებთან. თუმცა, ყოვლად დაუშვებელია ამის განსაზღვრა ნამეტ შემოსავლად. რადგანაც საჯარო-სამართლებრივ საფასურზე ყოველთვის ვრცელდება ეკვივალენტობის პრინციპი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების შტოს მიერ ცალკეულ შემთხვევაში შესრულებულ მოთხოვნას. გერმანიაშიც და ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს აღსრულების ბევრად უფრო დაბალი განაკვეთები, რომელთა მიზანიცაა არც სახელმწიფოს გაკოტრება და არც მოვალისა თუ კრედიტორის გაკოტრება იძულებითი აღსრულების გზით. მინდა, განვმარტო ყოველივე კონკრეტული მაგალითის საფუძველზე: წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში ამოსაღები ფულადი თანხა შეადგენს 100 000 ლარს. მაშასადამე, აღსრულების საფასური 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად შეადგენს 7 000 ლარს აღსრულების ხარჯების ჩათვლით.

ახლა კი ავიღოთ გერმანიის მაგალითი, სადაც უნდა გავმიჯნოთ, აღსასრულებელი 100 000 ევრო უნდა იქნას ამოღებული აღსრულებისა თუ აუქციონის მეშვეობით: წარმოვიდგინოთ, რომ სასამართლოს მოხელემ აღასრულა კონკრეტული მოთხოვნის დაყადაღება ან გადაცემა ან კიდევ აღმასრულებელმა დააყადაღა ან აუქციონზე გაყიდა რომელიმე მოძრავი ნივთი. სასამართლო მოხელის მიერ გადაყადაღებისა ან გადაცემის განჩინების გამოცემის შემთხვევაში აღსრულების საფასური და ხარჯები შეადგენს 31 ევროს, ხოლო აღმასრულებლის მიერ მოძრავი ნივთების დაყადაღების შემთხვევაში კი - 97 ევროს. ლარსა და ევროს შორის სავალუტო სხვაობის გათვალისწინებითაც კი დამატებით მტკიცებას აღარ საჭიროებს ის გარემოება, რომ საქართველოში არსებული აღსრულების საფასურის სისტემა ბევრად აღემატება გერმანიაში მოქმედ სატარიფო მოდელს. სასამართლო ხარჯებიც კი სადავო წარმოებისას დავის საგნის 100 000 ევროს ღირებულების შემთხვევაში მტკიცებულებათა შეგროვების ჩათვლით (უწყების გაგზავნის ხარჯების ჩათვლით და ა. შ.) გერმანიაში შეადგენს მხოლოდ 2 590 ევროს, ანუ დაახლოებით 2,5%-ს [1].

და კვლავ დავუბრუნდები საქართველოს, უფრო ვრცლად აღსრულების ხარჯებთან დაკავშირებით: აღსრულების საფასური და ხარჯები აღსრულების საფასური აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებისთვის დაწესებული სავალდებულო გადასახდელია (დღგ-ს ჩათვლით), რომელიც სრულად ხმარდება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნებს. აღსრულების საფასურის დეტალურ მოწესრიგებას კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე შეიცავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის #144 ბრძანება სწშ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ. აღსრულების საფასური განსხვავებულია სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე და მისი ოდენობა გამომდინარეობს აღსასრულებელი აქტის შინაარსიდან. კანონის 38-ე მუხლის იმპერატიული ნორმა აცხადებს, რომ აღსრულების საფასური სავალდებულო გადასახდელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორი ვერ დაიწყებს აღსრულებას, ხოლო მოვალის ქონების რეალიზაციიდან პირველ რიგში უნდა მოხდეს მისი დაფარვა აღსრულების ხარჯის შემდგომ. ნორმიდან გამონაკლისი არსებობს სოციალურად დაუცველი პირების მიმართ და იმ კრედიტორებისათვის, რომლებიც სასამართლომ გაათავისუფლა აღსრულების საფასურის გადახდისაგან. აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება იყოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გათავისუფლების საფუძვლებიდან ერთ-ერთი. რაც შეეხება აღსრულების ხარჯს, ეს შეიძლება იყოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გაწეული ქონების ტრანსპორტირების, შენახვის და სხვა ხარჯი. აღსრულების საფასურის არსებობა/დაკისრება საჯარო სამართლის სფეროს

განეკუთვნება, რასაც ადასტურებს კიდეც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ტალინის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც, სადაც აღნიშნულია, რომ აღმასრულებელი არის პირი, რომელიც ახორციელებს და ხელმძღვანელობს სააღსრულებო წარმოების პროცესს, ახდენს მხარეების ინფორმირებას, აყადაღებს ქონებას, ახდენს ყადაღის რეგისტრაციას შესაბამის ორგანოში, ყადაღადადებული ქონების შეფასებას, კრედიტორს ურიცხავს ამონაგებ თანხას [2].

აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისათვის აღმასრულებელი იღებს საზღაურს. ტალინის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი მოქმედებს როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, ამიტომაც აღმასრულებლის საზღაური არის ფულადი ვალდებულება, რომელიც განეკუთვნება საჯარო სამართალს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს აღმასრულებლის უფლებამოსილება სახელმწიფოს სახელით დააკისროს მოვალეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანხა, დეტერმინირებულია დადგენილი საჯარო-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სასამართლო და სხვა იძულებითი აღსრულებით და ასახავს სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივ ინტერესს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაში. საკითხის განსხვავებული მოწესრიგება გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც კრედიტორის და მოვალის მიმართ, ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ. კანონისმიერი რეგულირებით სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც კრედიტორი, არ იხდიან მომსახურების საფასურს და როგორც მოვალეს, არ ეკისრებათ საფასურის გადახდა. ასევე საფასურს არ იხდიან ამ ორგანოთა კრედიტორები. საფასურის გადახდა და დაკისრება ასევე არ ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან და უცხოელთა საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებულ საქმეებზე. აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს და იგი არ უნდა აღემატებოდეს 7%-ს, თუმცა სააღსრულებო წარმოების დასაწყებად 2%-ს წინასწარ იხდის კრედიტორი. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „აღსრულების საფასურის 7%-იანი განაკვეთი თავისი არსით ატარებს არა უფლებააღდგენითი სანქციის ხასიათს, რომლითაც ხდება მოვალის მიერ აღსრულების ხარჯების იძულებითი ანაზღაურების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, არამედ მოვალის მიმართ გამოყენებული საჯარიმო ხასიათის სანქციას, რომლითაც დამატებითი გადახდის ვალდებულება ეკისრება მოვალეს, ამ ვალდებულებას იწვევს მოვალის მიერ სააღსრულებო წესების დარღვევა აღსასრულებელი საფასური კრედიტორისათვის გადაიხდევინება აღსასრულებელი მოთხოვნიდან გამომდინარე, ხოლო მოვალისაგან მოთხოვნის არასრულად ან ეტაპობრივად დაფარვის შემთხვევაში პირველ რიგში იფარება აღსრულების ხარჯი, შემდეგ საფასური და ბოლოს აღსასრულებელი მოთხოვნა ამოღებული თანხის პროპორციულად. ასევე განსხვავებულად წესრიგდება საფასურის დაკისრების საკითხი, როდესაც მოვალე გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადაში სრულად ასრულებს აღსასრულებელ მოთხოვნას.

ამდენად „ყადაღისგან დაცული ანგარიში“ - როცა გერმანიაში თითო მოქალაქეს მხოლოდ ერთი ამგვარი ანგარიშის ქონის უფლება გააჩნია, ამ დროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქ. კანონი მსგავს ჩანაწერს არ იცნობს, გარდა იმ შემთხვევისა როცა სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე (არაუზრნველყოფილ საქმეებზე) ბანკებში მოძიება-დაყადაღების გაგზავნისას ვუთითებ(თ) ტექსტს: „ყადაღა არ გავრცელდეს „სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული პირების ანგარიშებზე (რაც ეხება მხოლოდ სს „ლიბერთი ბანკს“). რაც, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი თუ, ზ/აღწერილ გერმანიის მაგალითს გადავხედავთ. ასევე, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა - საგნის გამოკვლევის გაუმჯობესება - ქართული რეგულირებისგან განსხვავებით გერმანიაში მოვალემ საბუთის სისწორე უნდა დაადასტუროს „ფიცის ჩვენების მიცემით“ - რაც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მიმართ პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. ხოლო, ქართულ პრაქტიკაში - „სააღსრულებო წარმოებათა შეასახებ“ საქ. კანონის 42-ე მუხლის ეფექტურობა ნაკლებად გამართლებულია, რასაც მოწმობს ჩემს წარმოებაში არსებული არაერთი მოქმედი თუ დასრულებული (დაარქივებული საქმე), სადაც მოვალეზე შეტყობინების ჩაბარების შემდგომ და მოვალის მიერ არასრული ან დაგვიანებული პასუხის შედეგად აღმასრულებელი ვალდებულია მიმარ-

თოს შესაბამის ორგანოს პირის მიმართ პასუხიმგებლობის დადგენის თაობაზე, თუმცა ჩემი 10-წლიანი (კერძო სააღსრულებო საქმიანობა) და 2008-2010 წწ. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის სტატუსში ყოფნის განმავლობაში არც ერთი პრეცედენტი მახსენებს ზ/აღნიშნული მუხლის ეფექტურობას და სიძლიერეს.

და ბოლოს, წმინდა სამართლიანობის მოტივითაც კი სრულიად გაუმართლებელია აღსრულების საფასურის ახალი სისტემა. იძულებითი აღსრულების ხარჯები და საფასური ქართულ და გერმანულ სამართალში, სადაც საქართველო გამოირჩევა მომსახურეობის სიძვირით; მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ამჟამად იგეგმება სააღსრულებო ხარჯების გაზრდა, დაგეგმილი ზღვრული განაკვეთები ყველა შემთხვევაში საქართველოში არსებულზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, საჭიროა კიდევ უფრო მეტი სრულყოფა არსებული კანონმდებლობის და უფრო მეტად მოქნილი აღსრულების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შემდგომ განვითარებას და იმავდროულად იმ მაჩვენებლების გაუმჯობესებას, რომელიც ამ სფეროში საერთაშორისო მასშტაბით გააჩნია საქართველოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2003 წლის შემდეგ. კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრების სფეროში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელობის გათვალისწინებით მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო მონიტორინგი დაემყარებინა ეროვნულ დონეზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. ევროპის საბჭოს კომიტეტმა მართლმსაჯულების ეფექტურობის სფეროში (CEPEJ) სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა (CEPEJ GT-EXE), რომელიც პასუხისმგებელი იყო ევროპის საბჭოს სტანდარტების ეფექტური აღსრულების ხელშეწყობაზე მიმართული სახელმძღვანელო დირექტივების შემუშავებაზე. მოცემული სახელმძღვანელო დირექტივები 2009 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა. CEPEJ-მა - ევროპის საჭოს კომიტეტმა მართლმსაჯულების ეფექტურობის სფეროში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება თავისი პრიორიტეტების სიაში ჩართო. 2009 წლის 17 დეკემბერს CEPEJ-მა აღსრულების სფეროში ევროპის საბჭოს რეკომენდაციების ეფექტურად აღსრულების მიზნით სახელმძღვანელო დირექტივები შეიმუშავა [1].

რეკომენდაციები (და სახელმძღვანელო დირექტივები) ეფექტურობისა და გამჭვირვალეობის ამაღლებას ისახავს მიზნად და თანმიმდევრული და ნათელი ენითაა დაწერილი. რეკომენდაციები არ იძლევა მზა რეცეპტებს იდეალური სისტემის შესაქმნელად, რადგანაც აღსრულების იდეალური სისტემა არ არსებობს. ამ სამი დოკუმენტის მიზანია აღსრულების საბაზისო პრინციპების ჩამოყალიბება. ეს რეკომენდაციები და სახელმძღვანელო დირექტივები აღსრულების პროცედურისა და პრაქტიკის შეფასებას ემსახურება.[6]

ამდენად, ცოტა ვინმე თუ იდავებს მასზედ, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს მუშაობა არ იყო წარმატებული. მისი გაერო-ს თანამედროვეებისგან განსხვავებით, ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას სასამართლო მექანიზმის დახმარებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მომწიფდა და გახდა მსოფლიოს ყველაზე ყოვლისმომცველი და ეფექტიანი ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა შესახებ (ტარშისი დ.). იგი ადამიანის უფლებათა დაცვის უდიდესი ორგანოა, რომელმაც საქმეთა უწყვეტი წარმოების საფუძველზე ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული და ყოვლისმომცველი სასამართლო პრაქტიკა.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ წარმატებით განიხილა უმცირესობათა საკითხები და ჩამოაყალიბა კარგი პრაქტიკა იმ სახელმწიფოთათვის, რომელთაც სურთ მათი უმცირესობათა ჯგუფების დაცვა და შემდგომი განვითარება. იცავს რა ერთგულებას მისი პოლიტიკური წარმოშობის მიმართ, ეუთო არ იყენებს აღსრულების სისტემას, როგორც ასეთს, უფლებებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ჯეროვნად უნდა დაფასდეს მისი წვლილი უფლებათა განვითა-

[6] მე-3 რეზოლუცია სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულების ხელშეწყობაზე, ევროპის იუსტიციის მინისტრთა 24-ე კონფერენცია, 2001 წლის ოქტომბერი. 79 იხ. დანართი: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის Re (2003) 17 მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის 851 შეხვედრაზე, რომელიც 2003 წლის 9 სექტემბერს გაიმართა); 80 იხილეთ დანართი: CEPEJ-ის სახელმძღვანელო დირექტივები აღსრულების სფეროში ევროპის საბჭოს რეკომენდაციების ეფექტურად აღსრულების მიზნით, CEPEJ (2009) 11 REV.

რებაში რეგიონში, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ მის ფართო გეოგრაფიას. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ახალი დემოკრატიების მხარდაჭერამ ეუთო-ს შეაძლებინა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საფუძვლის ჩაყრა. ეუთო-ს მუშაობამ ასევე გზა გაუკვალა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნების რაოდენობის ზრდას და კიდევ უფრო მეტს სურს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპების შესრულება.

ევროპულ თანამეგობრობას/კავშირს აქვს სოციალური უფლებებისა და შრომის ბაზარზე მუშა ხელის რეგულირების უფლებების აღსრულების ძლიერი სისტემა. მისი ეკონომიკური წარმოშობის მიუხედავად, თანამეგობრობა ჩამოყალიბდა სოციალურ უფლებათა რეგიონულ ორგანოდ, რომელმაც თავისი მნიშვნელობით აჯობა ევროპის საბჭოს ადრეულ სამუშაოს, ვინაიდან თანამეგობრობის უფლებათა აღსრულება შესაძლებელია. ადამიანის უფლებებმა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას მიაღწია თანამეგობრობაში, როგორიცაა ქარტიის მიღება. ვინაიდან თანამეგობრობა ფართოვდება აღმოსავლეთით, შესაბამისად, კანონის უზენაესობა, რასაც იგი განუხრელად იცავს, უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული.

NANA KANKAVA

THE ROLE OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS AND THE COUNCIL OF EUROPE IN GEORGIAN AND GERMAN ENFORCEMENT SYSTEMS

Summary

The article discusses the importance of "International Organizations" in general legal context. Among them, the role of the European Court of Human Rights and the Council of Europe is important, as well as its involvement in enforcement policy, both in Georgian and German "Enforcement Law". I will also review those important "Enforcement activities", which differs "The Law of Georgia on Enforcement Proceedings" from German Enforcement Legislation and practice.

Keywords: *International Organizations, Human Rights, Council of Europe.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპის საბჭო. ფასეულობები. ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history
2. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხლივა. სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში. ENPI – ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი http://nbe.gov.ge/files/_სისტემის_მიმოხივლა_-_ტვინინგის_წიგნი.pdf
3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.coe.int/ka/web/tbilisi/europeancourtofhumanrights
5. https://ka.wikipedia.org/wiki/ადამიანის_უფლებათა_ევროპული_სასამართლო
6. შტინგერი ჰ., საკრედიტო სამართალი, ლუთრიგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, შუშკე ვ., სააღსრულებო სამართალი, ტოლკმიტი ი., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/279196/1/Sakredito_Samartali.pdf?fbclid=IwAR3ZlqJI9Ew6JJP1dQwoN2stzz9gXnrQ3LLNKYKSk7UzQE1gR17ma5JicU
7. ჩემი, კერძო აღმასრულებლის ნანა კანკავას (ლიცენზის #31) მოქმედი სააღსრულებო წარმოებებიდან : A20025056; A20025055 ; A19190290; A19125512 და სხვა...
8. https://ka.wikipedia.org/wiki/ევროპის_საბჭო
9. ადამიანის საერთაშორისო უფლებები. http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/samartal/document/HASH01704a270d59cac82929655b.10?p.s=TextQuery&fbclid=IwAR0Z4BrefU7kkiivslveNnxkzntlUT1xqxW66noIAjqQqmqTA0bAPLceanY

✍ სოფიო ცაციაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **მურად შონიამ***

სპორტი და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი

მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესის ეპოქაში სპორტი დღითი დღე მეტ ყურადღებას იპყრობს, როგორც ადამიანის აღზრდისა და სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი. სულ უფრო შესამჩნევი ხდება მისი როლი პიროვნების სტრუქტურის სოციალური, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური, ბიოლოგიური და სხვა კომპონენტების ფორმირებაში.

სპორტი მარტო რეკორდების დამყარება როდია, ეს არის უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა, შრომისადმი მზადყოფნა, ცხოვრებაში ისეთი საჭირო თვისებების გამომუშავება, როგორიც არის ამტანობა, სიმტკიცე და მამაცობა.

დღეს, როცა ტექნიკური პროგრესის ზენიტია თითქმის არცერთი სფერო არ დარჩენილა გადაულახავი და აუთვისებელი. ისევე, როგორც ყველაფერს, ამ ფაქტსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: *მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, სპორტი, ფიზიკური აქტივობა, ადამიანის ჯანმრთელობა.*

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სოციოლოგიურ კვლევას, კერძოდ, მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლას, არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

თანამედროვეობა მოითხოვს სპორტის განვითარების ახალი რეზერვების გამოვლენას, სპორტული საქმიანობის ოპტიმალური გზების პოვნას, სპორტში მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული მუშაობის დაახლოებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების ანალიზს, ამ პროცესებზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებათა დადგენას [1].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი პერმანენტული სოციალური ფაქტორია და იგი დასაბამს ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში იღებს, მაგრამ ეს პროცესი ისტორიული ეპოქების ყველა ეტაპზე და ყველა ქვეყანაში ერთნაირი კანონზომიერებებით არ მიმდინარეობდა.

მართალია, სამყარო საყოველთაო მოძრაობას ექვემდებარება და არაფერია მასში მდგრადი, რადგან მუდმივ ცვალებადობას განიცდის, მაგრამ დროდადრო გამოიყოფოდა ისეთი პერიოდები, როცა მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლის თვალსაზრისით, თუმცა საერთო ჯამში იგი მაინც პერმანენტულ განვითარებასა და პროგრესს განიცდიდა. მეცნიერული ცდებისა და კვლევების ჩატარება, რომელსაც კვირები, თვეები და წლებიც კი სჭირდება, დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მეცნიერთა მთელი შრომა წყალში იყრება, უმეტეს შემთხვევაში, ისინი წარმატებას აღწევენ, რასაც კაცობრიობისთვის დიდი სიკეთე მოაქვს. მაგალითად, დედამიწის ორბიტის გარშემო მოძრავი სატელიტური თანამგზავრები ქმნიან გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ სისტემას, რაც GPS-ის სახელით არის ცნობილი. ეს სისტემა, რომელიც თავდაპირველად სამხედრო მიზნებისთვის შეიქმნა, დღეს დიდ დახმარებას უწევს მძღოლებს. მეცნიერების მიერ შექმნილი GPS მოწყობილობის წყალობით გვიადვილდება დანიშნულების ადგილამდე მისვლა. მართლაც, მეცნიერება და ტექნოლოგიური პროგრესი ჩვენზე მრავალმხრივ მოქმედებს დადებითად, თუმცა ადამიანური სამყაროს პროგრესულ წინსვლას დასასრული არ უჩანს და მისი მოქმედება მისივე არსებობის საპირისპიროდ მიდის. გლობალიზაციის პირობებში ამის მაგალითი ბევრია: გაუცხოება, ატომური იარაღი, კლონირება, მთელი რიგი ეკოლოგიური პრობლემები, უკონტროლო ინფლა-

ცია, ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები, და ა.შ. [2].

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება უშუალო კავშირშია საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროსთან - ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან, სპორტთან...

და მაინც, რა ურთიერთობა აქვს მას ამ უკანასკნელთან?

სად არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სპორტის შეხების წერტილები?

სპორტი და ფიზიკური აღზრდა ასრულებს აუცილებელ სოციალურ შეკვეთას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი კი წარმატებით წყვეტს სპორტის აღჭურვისა და ოპტიმალურად ფუნქციონირების პრობლემებს.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის რა შეკვეთას ასრულებს ფიზიკური აღზრდა და სპორტი?

„ჭკვიანი მანქანების“ შექმნამ ძირფესვიანად შეცვალა ადამიანის ყოფა, სხვადასხვა რობოტი და თვითნასწავლი ალგორითმები დღითიდღე უფრო „ჭკვიანები“ ხდებიან. ამიტომ ზღვარი ახალი პროგრამების შექმნის უნარსა და შემდეგ მათი კონტროლის შესაძლებლობებს შორის სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოა [2].

ამას გარდა, რობოტები ცვლიან ხელით სამუშაოს, ადამიანი სულ უფრო და უფრო ნაკლებად არის ფიზიკურად დატვირთული. ეს კი იწვევს ჰიპოდინამიას, აქედან კი სიმსუქნეს, (დღეს მსოფლოს მოსახლეობის დაახლოებით 35% ჭარბწონიანია), აღარაფერს ვამბობთ დიაბეტსა და სხვა არაგადამდებ დაავადებებზე. ფიზიკური დატვირთვის მკვეთრად შემცირებამ გამოიწვია ადამიანის სხვადასხვა სასიცოცხლო ორგანოების და სისტემების დაქვეითება. ფიზიკური განვითარება ჩამორჩა გონებრივს. ადამიანის მოძრაობითი უკმარისობის, მის ფიზიკურ დატვირთვაში არსებული სიცარიელის შევსება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს დაეკისრა.

ამრიგად, სპორტმა და, საერთოდ, ფიზიკურმა აღზრდამ მიიღო საპატიო სოციალური შეკვეთა: აღადგინოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად ადამიანის საერთო განვითარებაში დარღვეული ჰარმონია.

მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესის ეპოქაში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს სამი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს:

პირველი ასპექტი

ტექნიკის ეპოქაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკურ მონაცემებს, მის ფსიქო-სომატურ მდგომარეობას.

ტექნოლოგიური პროგრესის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: კოსმოსური სივრცეებისა და ოკეანების სიღრმეების ათვისება, ზებგერითი სიჩქარის მქონე თვითმფრინავების მართვა და სხვა, წარმოუდგენელია ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი ადამიანების გარეშე. წარმოების ინტენსიფიკაციას სჭირდდება გონებრივი, ფსიქიკური და ფიზიკური ძალების მობილიზება. არ შეიძლება უგულვებელვყოთ ისეთი ნეგატიური მხარეები, როგორიცაა: გარემოს დაბინძურება მრეწველობის ნარჩენებით, ჰაერში მავნე მინარევების, განსაკუთრებით ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზების ზრდა, ატმოსფეროში ჟანგბადის მარაგის შემცირება და სხვ. [3]

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ისეთ უარყოფით მოვლენას, როგორიცაა ხმაური. ურბანიზაციით გამოწვეულ სტრესორთა შორის ხმაური ყველაზე აბეზარია. მეცნიერმა კოხმა ხმაურს „უჩინარი მტერი“ უწოდა. ხმაური დღითიდღე იზრდება და მისგან სათავეს იღებს მრავალი სახის დაავადება. განსაკუთრებით აზიანებს ადამიანის ფსიქიკას, „უხილავი ნემსებით ჩხვლეტს ნერვულ სისტემას“, აქვეითებს ყურადღებას. ხმაურის გავლენით გონებრივი შრომის ნაყოფიერება 60%-ით მცირდება, ხოლო ფიზიკურისა - 30%-ით. 120 დეციბელის სიძლიერის ხმაური მწვავე ტკივილებს იწვევს ადამიანში,130 კი - მომაკვდინებელია.

სოციოლოგები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ხმაური ტექნიკის პროგრესზე კი არ მიუთითებს, არამედ ტექნიკის არასრულყოფაზე. ახლა ხმაურის წინააღმდეგ ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, გვინდა დავიბრუნოთ მყუდროება, გვინდა განვდევნოთ ხმაური ჩვენი ბინებიდან, ქუჩებიდან, ქალაქებიდან, მაგრამ ცოტაა იმის იმედი, რომ მეცნიერული პროგრესი მთლიანად აღკვეთს ხმაურს. წარმოიდგინეთ მსოფლიო ავტოპარკი რამდენიმე ასეულ მილიონ ავტომანქანას ითვლის და რა დრო და რა საშუალებაა საჭირო, რომ მთლიანად შეიცვალოს ბენზინზე მომუშავე ჰაერის გამჭუჭყიანებელი და ხმაურიანი ავტომობილები უხმაურო და „სტერილური“ ელექტრომობილებით?! დღეისათვის ხმაური უპირველესი სტრესორია და მის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურად უნდა წარიმართოს.

ამრიგად, ტექნოლოგიურ პროგრესის ეპოქაში იზრდება ადამიანის ორგანიზმის ამტანობის, ფსიქოლოგიური პროცესებისა და ემოციების მდგრადობის, მოძრაობის მაღალი კულტურისა და კოორდინაციის ჩვევების გამომუშავების, ე. ი. ფიზიკური სრულყოფის მნიშვნელობა.

ადამიანის ამ მეტად საჭირო თვისებების ფორმირებაში უმთავრესი როლი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ეკუთვნის. ამასთან, ახლა სადავო არ არის დებულება, რომ ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოსახსნელად კარგია სპორტული ვარჯიშები, განსაკუთრებით კი - სპორტული თამაშები.

მეორე ასპექტი

სოციოლოგებმა ემპირიული კვლევებით დაამტკიცეს, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანისა და გარემოს ეკოლოგიური დამოკიდებულება. თანამედროვე ცხოვრებამ მეტი მოთხოვნები წაუყენა ადამიანის თავს და ნაკლები - სამოძრაო აპარატს.

ცნობილია, რომ უპირატესად ვითარდება სხეულის ის ნაწილი, რომელსაც ცხოვრებამ გაზრდილი მოთხოვნილებები წაუყენა. ფიზიკურ განვითარებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანები, თანამედროვე ტექნოლოგიებმა ისინი „მიაჯაჭვა მაგიდას“.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს თინეიჯერების ძალიან დიდი ნაწილი, კომპიუტერზე დამოკიდებული გახდა და მის გარეშე ვერც ერთ წუთს ვეღარ ძლებს. ბოლო დროს ქართულმა ტელევიზიებმაც მიაქციეს ყურადღება ამ საკითხს. არაერთხელ ვნახეთ სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო საქართველოში ამ პრობლემის შესახებ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ეს საკითხი კვლავაც და კვლავაც აქტუალური იქნება, რადგან არ შეიძლება ერთი, ორი ან სამი წლის ბავშვი ამგვარად იყოს დამოკიდებული კომპიუტერზე. მისთვის მთავარ გასართობს სულ სხვა რაღაც უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამიტომაა, რომ უკვე ძალიან გახშირდა თვალის პრობლემებიც. მოზარდები ხშირად უჩივიან თვალის წვას, სიწითლეს და ცრემლდენას. თუ ექიმების რჩევებს ყურს დავუგდებთ მაშინ გამოდის, რომ ერთი სრული საათის მანძილზე დაახლოებით 15 წუთი უნდა შევასვენოთ თვალი. აბა, დაფიქრდით, ამას რომელიმე ჩვენგანი აკეთებს? დრო კომპიუტერთან საოცრად სწრაფად გადის, ერთი შეხედვით, ვერც ვგრძნობთ თვალის ტკივილს, თუმცა დროთა სვლისას ეს პრობლემა უფრო მკაფიოდ იჩენს თავს. ასაკი კი უარეს კვალს დაგვამჩნევს.

დამაფიქრებელ მონაცემებს იძლევა სტატისტიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები ცვლიან ხელით სამუშაოს, ადამიანი სულ უფრო და უფრო ნაკლებად არის ფიზიკურად დატვირთული. ეს კი იწვევს ჰიპოდინამიას, აქედან კი სიმსუქნეს, (დღეს მსოფლოს მოსახლეობის დაახლოებით 35% ჭარბწონიანია), აღარაფერს ვამბობთ დიაბეტსა და სხვა არაგადამდებ დაავადებებზე. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზები ხშირ შემთხვევაში არის ჰიპოდინამია, მის წინააღმდეგ ბრძოლის უპირველესი იარაღი კი არის ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ტურიზმი და აქტიური სხვა ფორმები [4].

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ადამიანის ჯანმრთელობას მხოლოდ 10-15%-ით უზრუნველყოფს, 15-20%-ით ადამიანის ჯანმრთელობა განპირობებულია გენეტიკური ფაქტორით, 25% - ეკოლოგიური პირობებით, ხოლო 50-55% - ადამიანის ცხოვრების პირობებითა და სტილით. აქედან გასაგებია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესია მისი ცხოვრების სტილი, ღირებულებები, შინაგანი სამყაროს ჰარმონიული განვითარება და გარემოსთან შეგუებულობა.

მეტი მოძრაობა, თავისუფალი დროის გონივრული ხარჯვა ფიზიკური სრულყოფისათვის, ფიზიკური აქტივობა და სპორტი ყველას, განურჩევლად დიდსა და პატარას წლის ყველა დროში! - აი როგორია ჰიპოდინამიისა და ჰიპოკინეზის პროფილაქტიკის მიზნით გაცემული რეკომენდაციები. „ინფარქტს სირბილით გაექცევი“, - ეს შეგონება პარადოქსად არ მოგეჩვენება, თუ გავიხსენებთ ანტიკური დროის უდიდესი პოეტის ჰორაციუსის სიტყვებს: „ვინც არ დარბის, როცა ჯანმრთელია, მოუწევს სირბილი, როცა დაავადდება“.

ეჭვს არ იწვევს მრავალმხრივი და ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშის დიდი მნიშვნელობა ჰიპოდინამიასთან ბრძოლაში, ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობის შენარჩუნებასა და აღდგენაში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი მხოლოდ ფიზიკური განვითარების და ადამიანის ჯანმრთელობის, ან მხოლოდ მისი სოციალური აქტივობის გამოვლენის საშუალებას როდი

წარმოადგენს, არამედ იგი გავლენას ახდენს პიროვნების სხვადასხვა სპექტრის ინტელექტუალურ-ზნეობრივი მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე.

მესამე ასპექტი

მესამე ათასწლეული მთელ მსოფლიოში ხასიათდება მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის მასშტაბური მიღწევებით, რაც კაცობრიობის უდავოდ დიდი წარმატების მაჩვენებელია. პროგრესული ნაბიჯები, ერთი მხრივ, ყოფაცხოვრებას აადვილებს, მეორეს მხრივ კი, ეკოლოგიური სიტუაციების გაუარესებას და, აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობისათვის ახალი პრობლემების მომრავლებას იწვევს. დღეს ადამიანი მუშაობს და ცხოვრობს იქ, სადაც რადიაცია, დაბინძურება ორჯერ, სამჯერ, ათასჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას და მან არც კი იცის არაფერი ამის შესახებ. მან შეიძლება მიიღოს სიცოცხლისათვის საშიში ნიტრატების და მძიმე მეტალების შემცველი საკვები და არ იცოდეს ამის შესახებ. ეს არის ეკოლოგიური რისკი [5].

მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ავადობის შემცირების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელი პრინციპებისა და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა.

მრავალი დაავადების პრევენცია შესაძლებელია ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მოსახლეობაში ფართოდ დანერგვის გზით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი რთული დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობის პირობებში. ცხოვრების ჯანსაღი წესი გულისხმობს იმ ქცევას, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ე. ი. ცხოვრების ჯანსაღი წესი, საკუთრივ, მოიცავს ქცევის ყველა ელემენტს (შრომითი, სოციალური, ინტელექტუალური, ფიზიკური, სამედიცინო აქტივობა), რომელთა მიზანია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

ცხოვრების ჯანსაღი წესი ასევე შეიცავს ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების თავიდან აცილების გზებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობა - ეს არის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა, და არა მარტო დაავადებისა და ფიზიკური დეფაქტების არარსებობა.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი დიდ როლს ასრულებს ჯანსაღი თაობების აღზრდის პროცესში. პირები, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ ზოგად გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ნაკლებად ავადდებიან. გარდა ამ სამი ასპექტისა, რომლებიც განსაკუთრებით ხელშესახებია თანამედროვე ეპოქაში, სპორტს გააჩნია თავისი მუდმივმოქმედი პოზიტიური თვისებები, რომელთა როლი კი არ ეცემა, არამედ მაღლდება ტექნიკური პროგრესისა და დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი - სპორტის მოკავშირე

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი სპორტის საიმედო მოკავშირეა. იგი საშუალებას იძლევა ნეიტრალიზებულ იქნას სპორტის მთელი რიგი სახეობების განვითარებისათვის არსებული არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობები. მატერიალური ბაზის განვითარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად შემცირდა სპორტსმენთა წვრთნისა და ასპარეზობაზე უარყოფითად მოქმედი კლიმატურ-სეზონური გავლენა. ახლა ტრამპლინებს აშენებენ ისეთ ადგილებშიც, სადაც თოვლი საერთოდ არ მოდის. მოთხილამურეები ვარჯიშობენ მთელი წლის განმავლობაში. საქმეს შველის ხელოვნური თოვლი, სრიალის მაღალი კოეფიციენტის მქონე ნივთიერება ფტოროპლასტი. მას „მარადიულ თოვლს“ ეძახიან, რადგან სპორტსმენებს ზამთარ-ზაფხულ ემსახურება ფტოროპლასტს ზამთარშიც, ბუნებრივი თოვლის სიუხვის პირობებშიც იყენებენ თხილამურების სასრიალო ნაწილის დასაფარად. შედეგი საუცხოოა. ეს სიახლე ეხმარება სპორტსმენებს განავითარონ დიდი სიჩქარე, თხილამურებს თოვლი არ ეკვრის და კარგად სრიალებს. თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიას შეუძლია მოგვცეს ისეთი ზამთრის სტადიონები და აუდიტორიები, რომლებიც სპორტსმენებსაც და მაყურებლებსაც ასპარეზობა-დასვენების ოპტიმალურ პირობებს შეუქმნის [6].

ალპინიზმი - ეს მამაცთა და შეუპოვართა სპორტი დღითი დღე ფართოდ ვრცელდება ახალგაზრდობაში, ალბათ, იმიტომაც არის, რომ მთამსვლელთა საქმეში რისკსა და მოსალოდნელი ხიფათის ალბათობას სულ უფრო და უფრო ამცირებს გამძლე, მოხერხებული და მსუბუქი აღწურვილობის ხელმისაწვდომობა.

ტექნიკურმა პროგრესმა საფუძველი ჩაუყარა და განვითარების საშუალება მისცა სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა: საწყალოსნო

მოტორული, საავტომობილო, ველო-მოტო სპორტი.

სპორტული წვრთნის თანამედროვე სისტემაში შედის არა მარტო უშუალოდ წვრთნისა და შეჯიბრების პროცესების მართვა, არამედ სპორტსმენთა დასვენება - რეაბილიტაციის (ენერგიის აღდგენის) ოპტიმალურობის მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა. მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევა წარმოუდგენელია სპორტული მეცნიერების პრაქტიკასთან შეერთების გარეშე. ფიზიოლოგიისა და ბიომექანიკის კანონების ცოდნა, წვრთნის მოწინავე მეთოდებისა და სატრენაჟორო აპარატურის გამოყენება ახალი მსოფლიო რეკორდების საფუძველია. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ნორბერტ ვინერი საქვეყნოდ გამოაცხადებდა მეცნიერებათა ახალი „პარადიგმის“ - კიბერნეტიკის დაბადებას ცნობილმა მეცნიერმა ბერნშტეინმა გამოაქვეყნა კიბერნეტიკული დებულებები ადამიანის მოძრაობის ბიომექანიკის სფეროში, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა სპორტში კიბერნეტიკის პრინციპების გამოყენებას [7].

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში კაცობრიობამ საპატიო მისია დააკისრა სპორტს - იყოს ხალხთა ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მეგობრობის განმტკიცების საშუალება. შესანიშნავი ოლიმპიური ტრადიციების მქონე სპორტი ამ მისიას წარმატებით ასრულებს. კავშირ გაბმულობის თანამგზავრებმა ტელეხიდები გასდეს კონტინენტებს შორის; ოლიმპიური და მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული ასპარეზობის მაყურებელთა აუდიტორიები ზღაპრულად გაფარდოვდა. ერთი სიტყვით, მეცნიერება და ტექნიკა სპორტსმენთა საიმედო მოკავშირეა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ფიზიკური აღზრდა და სპორტი საპატიო სოციალურ შეკვეთას ასრულებს შემდეგი კანონზომიერებით:

- ფიზიკური აღზრდა და სპორტი არის პიროვნების სოციალიზაციისა და ჰარმონიულად განვითარების ერთ-ერთი, ხოლო ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური სრულყოფის უმთავრესი საშუალება;
- სპორტი და ფიზიკური აღზრდა დადებითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე და ადამიანთა საზოგადოებრივ აქტივობაზე;
- სპორტი არის საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების, ასევე მათში პროფესიულ და სხვა დაავადებათა, განსაკუთრებით ჰიპოდინამიით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის ეფექტური საშუალება;
- სპორტი არის განსაკუთრებით ახალგაზრდათა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების, ამდენად, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და სხვა სოციალურ დანაშაულებათა შემცირებისა და პროფილაქტიკის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი;
- მაღალ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის მთელ რიგ სახეობათა მასობრიობაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცება;
- მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც მეტად საპატიო სოციალურ შეკვეთას აძლევს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, ამ უკანასკნელი განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორებით:
- სამშენელო ინდუსტრიის მზარდი საშუალებების გამოყენებით სპორტული ბაზების, ნაგებობების ფართო ქსელის შექმნა;
- სპორტული მანქანების, იარაღებისა და ინვენტარის წარმოების გაფართოება, ხარისხის გაუმჯობესება და მათი ხელმისაწვდომობა;
- პროგრამული წვრთნის, ტრენაჟორების, სამედიცინო კონტროლის ხელსაწყოების, დამზღვევი და უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების შექმნა;

სპორტსმენთა წვრთნის, ასპარეზობების ჩატარების, ტრავმების შემცირების, სპორტსმენთა კვებისა და რეაბილიტაციის (ენერგიის აღდგენის) სისტემების მეცნიერულ საფუძველზე დამუშავება;

სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სიკეთის მაქსიმალურად გამოყენებისთვის საჭიროა მათი მეცნიერული შესწავლა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმ მექანიზმების დადგენა, რომლებითაც სპორტი მოქმედებს საზოგადოების პროგრესზე. სპორტული ინვენტარის განახლება და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის განვითარებას, დიდი სპორტული ტრადიციების აღდგენას, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევას. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, თაობების გაჯანსაღებასა და ფიზიკურ აღზრდას.

SOPHIO TSATSIASHVILI

SPORT AND SCIENTIFIC-TECHNOLOGICAL PROGRESS

Summary

In the era of scientific and technological progress, sport is gaining more and more attention as an important factor in human upbringing and socialization. Its role in the formation of social, psychological, aesthetic, biological and other components of the personality structure is becoming more and more noticeable.

Sport is not only about setting records, it is about the health of many people, their readiness for work, the development of such necessary qualities in life as endurance, strength and courage.

Today, at the zenith of technical progress, almost no field has remained insurmountable and untapped. Like everything else, this fact has its advantages and disadvantaeges.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზალდასტანიშვილი ჯ., ბიბილეიშვილი ლ., „ვალეოლოგია: ჯანსაღი ცხოვრების წესი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005.
2. სკლიარენკო ს., „დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ჭარბ წონასა და სიმსუქნეზე საქართველოში“ (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2016. https://ug.edu.ge/storage/disertations/November2019/fkAe7YzBQnd71M1m5dwE.pdf
3. აფციაური ლ., „მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“ https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/2019/03/The%20impact%20of%20scientific%20and%20technical%20progress.pdf
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.https://www.geostat.ge/ka
5. ქოჩლაძე მ., „გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა“ https://greenalt.org/story/garemos-dabindureba-da-adamianis-janmrteloba/
6. Влияние научно-технического прогресса https://tst.sportedu.ru/content/vliyanie-nauchno-tekhnicheskogo-progressa
7. Shaping the future of sports with science and technology https://www.bridgesofsports.org/science-technology-in-sports/
8. Еременко В. Н., Синько О. В., Федорова Н. П., „Особенности развития спорта под влиянием научно-технического прогресса и его принятие человеком“ https://cyberleninka.ru/article/n/osobennosti-razvitiya-sporta-pod-vliyaniem-nauchno-tehnicheskogo-progressa-i-ego-prinyatie-chelovekom
9. Девять ярких примеров влияния научного прогресса на большой спорт https://vtbrussia.ru/tech/tekhnologii-izmenivshie-sport/

რონა პერტია
*წარმოადგინა ასოც. პროფ. **ნანა ბახსოლიანმა***

რუსული რბილის ძალის მექანიზმი და მისი გამოვლენის თავისებურებები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი)

ავტორის კვლევა ეხება რუსული რბილის ძალის შესწავლას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ავტორი ითვალისწინებს იმას, რომ რბილი ძალის უკან დგას მაღალი ინტელექტი და განათლება. ის გადის პირად კონტაქტებზე, კულტურულ ღონისძიებებზე, რომელიც თავისთავად მრავალმხრივია (ხელოვნება, ლიტერატურა, განათლება და სხვა). ამ ძალის შედეგები ძნელად გასათვლელია და მდგრადობას მოკლებულიც. ავტორი თვლის, რომ რუსეთი რბილი ძალის მოქმედების მიზნით იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: ფონდები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა კულტურის ცენტრები და ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ერთიანობაშიც და ცალ-ცალკე ნაკლებად კონტროლირებადია. საკვლევი საკითხის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად ავტორი იმ მართებულ დასკვნამდე მიდის, რომ რუსული რბილის ძალის გავლენის სფეროებს წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროები, როგორიცაა ეკონომიკა, ტურიზმი, კულტურა, რელიგია, პოლიტიკა, მსხვილ სავაჭრო და ბიზნეს ურთიერთობები, განათლება და ნებისმიერი ასპექტი, რომელიც შეიძლება ვიწრო ადამიანურ ურთიერთბებზეც გადიოდეს.

***საკვანძო სიტყვები**: პოსტსაბჭოთა სივრცე, რუსეთის რბილი ძალის მექანიზმები, კულტურა, განათლება, ტურიზმი.*

რბილი ძალის დეფინიციის, მისი სახეებისა და როლის შესახებ კლასიკად მიიჩნევა მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი ჟოზეფ ნაი, რომელიც საინტერესოდ ადარებს ძალას ამინდს და წერს: „power is like the weather. Everyone depends on it and talks about is, but few understand it“ - ძალა ჰგავს ამინდს. ყველა მასზეა დამოკიდებული და მასზე საუბრობს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანს თუ ესმის ის“ [1. 1].

რბილი ძალის შესახებ მსჯელობისას, ნაი მის რამდენიმე მექანიზმს უსვამს ხაზს და მათ შორის გამოყოფს ჰიტლერისა და სტალინის მცდელობას, მსოფლიოსთვის შეეთავაზებინათ მითი თავიანთი ქვეყნების უძლეველობისა და უცვლელობის შესახებ. „ეს კი სინამდვილეში იმპერიალისტური იდეების დამყარებას ემსახურებოდა. აღნიშნული კი გულისხმობს დღის წესრიგის შექმნას მცირე ერებისთვის“ [1. 9].

ნაი მიიჩნევს, რომ დაიწყო ბირთვული ერა და „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს გააჩნდა არა მხოლოდ ინდუსტრიული ძალა, არამედ ბირთვული არსენალი და კონტინენტთაშორისი რაკეტები“. ჟოზეფ ნაის თანახმად, რუსეთს ჰქონდა საკმაოდ რბილი ძალა, მაგრამ მაინც დაკარგა უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის დაპყრობისას. „საბჭოთა რბილი ძალა მცირდებოდა მაშინაც კი როცა რუსეთის ეკონომიკა და სამხედრო ძალაუფლება იზრდებოდა“ [1. 18].

ამჯერად, განსახილველ საკითხს „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ (ლეიბნიცი) პრინციპით მივუდექით და გადავწყვიტეთ რბილი ძალის კვლევა. შედარებითი მეთოდი კი დაგვეხმარება გარკვეული საკითხების მოსალოდნელი შედეგების გათვლასა და ქვეყნისთვის საფრთხეების არიდებაში.

რბილი ძალის უკან დგას მაღალი ინტელექტი და განათლება. ის გადის პირად კონტაქტებზე, კულტურულ ღონისძიებებზე, რომელიც თავისთავად მრავალმხრივია (ხელოვნება, ლიტერატურა, განათლება და სხვა). ამ ძალის შედეგები ძნელად გასათვლელია და მდგრადობას მოკლებულიც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთი ქვეყნის რბილი ძალის მაგალითი არასდროს იქნება მეორე ქვეყნის ანალოგი. არც ერთ ისტორიულ ჭრილში მიმდინარე რბილი ძალის სხვადასხვა მექანიზმი არ ემსგავსება ერთი ქვეყნის ფარგლებშივე მიმდინარე სხვადასხვა ეპოქის მექანიზმებს. რუსი პოლიტოლოგების მოსაზრებით „დღეს არამხო-

ლოდ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ თავიანთი ძალისხმევა ჩადონ რბილი და ხისტი ძალის ტექნოლოგიების გავლენებში თანამედროვე მსოფლიო წესრიგში, არამედ, ისეთივე ახალ გეოპოლიტიკურ ცენტრებში, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი“ [2. 38].

რამდენად შეძლებს რუსეთი რბილი ძალის პოლიტიკის გავლენებით გადაასწროს ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, მომავლის საქმეა. ბოლო სამი საუკუნის საერთაშორისო პროცესები და ინდუსტრიული თუ კულტურული რევოლუციები რბილი ძალის ფარგლებში მიმდინარეობდა ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ რბილი ძალის გამოყენებითაც მიმდინარეობდა და ის სულაც არ არის უცხო ყველაზე დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც, მათ შორის ამერიკა, ჩინეთი, ევროკავშირი, გაერო. ისინი უნივერსალური ღირებულებების გავრცელებას ემსახურებიან და ქმნიან ფასეულობებს. უფრო მეტიც, ხშირად ერთმანეთსაც კი ეჯიბრებიან როგორ შეიძლება მსოფლიო ღირებულებების დამკვიდრების პროცესში უფრო ეფექტურად ჩაერთონ და ასევე ყველა ჩართონ. წარმოუდგენელი დაპირისპირებისა და მტრობის შემდგომ ქვეყნები დღეს ერთიან სივრცეში (ევროკავშირში) საერთო ღირებულებებისა და ფასეულობების გარშემო თანამშრომლობით იკრიბებიან.

რუსული რბილი ძალა განსაკუთრებით ეფექტურია პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობაზე, რადგან პოსტსაბჭოთა საზოგადოება მენტალურად არ არის მზად აიღოს პირადი პასუხისმგებლობა მიმდინარე მოვლენებზე. განსაკუთრებით საინტერესო და დაკვირვების მიზნით მნიშვნელოვანია რბილი ძალის გამოვლენის ფორმა თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, როცა ინფორმაციისა და დეზინფორმაციის გავრცელების საშუალებები და არეალი გამრავალფეროვნდა. რუსეთი რბილი ძალაში ისეთ მექანიზმებს იყენებს, როგორიცაა: ფონდები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კულტურის ცენტრები და ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ერთიანობაშიც და ცალ-ცალკე ნაკლებად კონტროლირებადია ქვეყანაში. ხშირად იქმნება პროპაგანდა წარსულის ბევრი სასარგებლო საკითხის გარშემო, რაც აბნევს განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას. ამ იდეის მატარებელია სტალინის რეაბილიტაციის მიზნით გავრცელებული ინფორმაციები, სხვადასხვა დოკუმენტური ფილმები და სოციალური ქსელების საშუალებებით გავრცელებული სხვადასხვა მიმზიდველი სათაურის მქონე პოსტები და სტატიები. ამ ყოველივეს კი სათანადოდ მომზადებული ვერ ხვდება სკოლები. გლობალიზაციის წარმოჩენა როგორც იდენტობის დაკარგვისა და ერების გაქრობის საფრთხე. დასავლეთისკენ სწრაფვის გააზრება როგორც რისკი, განსაკუთრებით ვიზალიბერალიზაციის პროცესები როგორც მიგრაციისა და მოსახლეობის გადინების უმძიმესი რეალობა. ნიჰილიზმი ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი. განსაკუთრებულ როლს რელიგიური თემები ასრულებს - საკითხები მოსალოდნელი მეორედ მოსვლისა და საშიშროებების შესახებ. ქრისტიანობის გააზრება როგორც უმთავრესი იდეოლოგიის. სხვადასხვა ტიპის შიშების დანერგვა და სიმბოლოების ძიება სახელმწიფო ატრიბუტებში (სიმბოლოებსა და დოკუმენტებში). ანტითურქული პროპაგანდა და ისტორიული წარსულის ხშირი გამეორება თურქეთის პოლიტიკის დაკნინებისა და მისგან შორს თავის დაჭერის მიზნით. თურქეთის დასახელება ოკუპანტად რუსული ოკუპაციის გადაფარვის მიზნით. სხვადასხვა კონსპირაციული თეორიები (შეთქმულების) მასონების, ჩიპიზაციის, ანტივაქსერული იდეების სახით (მაგალითად, ლუგარის ლაბორატორიის საიდუმლო მისიის შესახებ). ხშირად მსგავსი ინფორმაცია აფრთხობს ინტელექტუალურ ნაწილსაც კი.

კონსპირაციული თეორიები განსაკუთრებული გავლენების მქონეა. ინტერნეტ საშუალებები და მათში დომინირებული ინფორმაცია უკვე უთითებს მოსახლეობის დაბალ ინტელექტსა და წიგნიერების დეფიციტზე. ყოველივე ეს მიზნად ისახავს ღირებულებების დემონტაჟს, გაბუნდოვანებას, ქაოსს, უნდობლობის დათესვას, სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლას. მსგავსი ტიპის პროპაგანდა არ გამოიყენება მხოლოდ სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) ქვეყნების მიმართ, არამედ ის იგრძნობა მსოფლიო ქვეყნების მიმართაც. ქვეყანაში არ არის სანდო ინსტიტუცია, რომელიც რუსული დეზინფორმაციის რწმუნებისგან დაიცავს მოსახლეობას, ახალგაზრდობას.

პარადოქსულია რუსეთის დამოკიდებულება მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების რბილი ძალის მიმართ. ზოგი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ისინი ცდილობენ დესტაბილიზაციის შექმნას და მათი პოლიტიკა სეპარატიზმის საფრთხეებად წარმოჩინდება, მაშინ როდესაც

საკუთარი პოლიტიკის ფარგლებში მიიჩნევს, რომ რუსული რბილი ძალის პოლიტიკა არის ქვეყნის პოზიტიური მაგალითის ფორმირების პროცესი. მსჯელობენ რა რუსული რბილი ძალის შესახებ, პოლიტოლოგები რუსაკოვა, კოვბა, მას უმეტესად ადარებენ ჩინურს და აღნიშნავენ, რომ ორივეგან ეს იყო „ზევიდან-ქვევით“ მოძრაობა. რუსული სამეცნიერო საზოგადოება ხშირად სვამს საკითხს ნაის მიერ შემუშავებული ტერმინის „რბილი ძალა“, ორიგინალობის შესახებ. ხშირად ამ ტერმინს ადარებენ ისინი უძველესი ფილოსოფოსის ლაო-ძის ფილოსოფიას, რომ „სამყაროში არ არსებობს უფრო რბილი საგანი ვიდრე წყალია, მაგრამ მას შეუძლია ყველაზე მაგარი, მყარი საგნის რღვევა“ [2. 42].

შესაძლოა, ტერმინი ახლა გამოჩნდა ხმარებაში, მაგრამ ის ისეთივე ძველია როგორც თავისთავად კაცობრიობა.

ძნელი სათქმელია, რომ რუსული რბილი ძალა მსოფლიოში აპრობირებული და დღემდე აქტიურად მიმდინარე (ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი, ჩინეთი) რბილი ძალის ანალოგია, ხშირად ის მხოლოდ იდეაშია რბილი და მისი გამოხატვის ფორმები კი განსხვავებულია. უმეტესად რუსული რბილი ძალა ქვეყნის შიგნით იდეურად რბილია, მაგრამ მისი მთავარი და ამავე დროს ფარული მიზანი, მსოფლიოს სხვა ლიდერი ქვეყნების რბილი ძალის მხილებაა და ამასობაში ყოველდღიურობა ცხადჰყოფს, რომ რუსეთი კარგავს რეპუტაციას. რას აკეთებს ამ დროს მსოფლიო? ასევე, ცდილობს რბილი ძალის სახელით სანქციები დაუწესოს რუსეთს. მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რუსეთმა ე. წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდბელობა გამოაცხადა, რის შედეგადაც ქართველებმა რუსეთი არაოფიციალურად ოკუპანტად გამოაცხადეს.

რუსეთის რბილი ძალის კრიტიკოსთა შორისაა ჰოლის რამერი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკა დაფუძნებულია იდენტობის იდეოლოგიაზე და ძირითადად, მომდინარეობს ხედვიდან - რუსეთი ანტი-დასავლური, მაშინ როდესაც დასავლური რბილი ძალა ეყრდნობა იმას, რაც არის სინამდვილეში: ლიბერალიზმი, თავისუფლება და პროგრესი. ძალიან ბევრი დაწერილა და თქმულა, რომ კაცობრიობა შედის ძალაუფლების ეპოქაში, განსაკუთრებით რუსული პოლიტიკის მეოხებით, მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკის სასიცოცხლო კომპონენტად მაინც რჩება რუსული რბილი ძალის სტრატეგია, განსაკუთრებით კი ეს აისახება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე.

დღეს რბილი ძალის მექანიზმები ბევრად უფრო მრავალფეროვანია, თუმცა ისტორიის გადასახედიდან საკმაოდ საინტერესო იყო ვორონცოვის პოლიტიკა საქართველოში. ლონდონში გაზრდილი დიპლომატი, პირველი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი ჩაუდგა სათავეში მოქნილ პოლიტიკას ამიერკავკასიაში რუსეთის ნდობის აღდგენის მიზნით და აქცენტები არა ადმინისტრაციულ, არამედ კულტურულ ღონისძიებებზე გადაიტანა. ვორონცოვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას საქართველოში ურთულესი პროცესები უძღოდა. მას შემდეგ რაც რუსეთმა კავკასიაში პოლიტიკური კურსის განსაზღვრა დაიწყო, ეს ეთნიკურად განსხვავებული ერების სამშობლო წარმოიდგინა როგორც ერთიანი სივრცე და „კავკასიის პრობლემის“ გადაჭრის ცენტრად თბილისი მიიჩნია. კავკასიის ამ ხისტ პოლიტიკას ატარებდნენ მთავარმმართებლები ალექსი ერმოლოვი (1816-1827), ივ. პასკევიჩი, გრ. როზები, ე. გოლოვინი, ალ. ნეიდჰარტი. თუმცა, 1840 წლიდან ვორონცოვის პოლიტიკამ არსებითად შეცვალა სიტუაცია. იმპერატორმა მისი კადნიდატურა უამრავი მიზეზის გამო შეარჩია. ვორონცოვი მთავარმართებელ პავლე ციციანოვთან ერთად მსახურობდა თბილისში 1800-იანი წლებიდან და იცნობდა აქაურობას. ვორონცოვმა კავკასიის ხალხთა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება გამოიყენა როგორც რუსეთის ძალა და არა როგორც რუსული პოლიტიკის ხელის შემშლელი ფაქტორი. მისი რეფორმა ითვალისწინებდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას რუსეთთან უმტკივნეულოდ ქართული კულტურის ევროპეიზაციის გზით. დახვეწილი პოლიტიკა ერთდროულად იყო მიმზიდველი და ძნელად გასარჩევად ვერაგული. თავისი ცხრაწლიანი მმართველობის დროს მან აღადგინა და დააარსა რუსული და ქართული თეატრები, საბალეტო დასი, დაარსა რუსეთის საიმპერტორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი, ააგო შენობა საჯარო ბიბლიოთეკისთვის, გაიხსნა გიმნაზიები თბილისსა და ქუთაისში, ქართველ თავადაზნაურთა შვილებს სასწავლებლად გზავნიდა მოსკოვსა და პეტერბურგში. დაინერგა ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ამოქმედდა მინის ქარხანა

სოფელ ღვარევში, მაუდის ფაბრიკა, ლითონის ჩამოსასხმელი ფაბრიკა ზუგდიდში და სხვა. ის საგანგებო ყურადღებას უთმობდა ქალთა განათლებას. ის პირადად ხელმძღვანელობდა ისტორიული ძეგლებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციას. აგზავნიდა ქართველ მეცნიერებს უცხოეთში ქართული ხელნაწერების შესასწავლად და იწვევდა უცხოელ მეცნიერებს ლიტერატურული პროცესების აღორძინების მიზნით. საგანგებოდ შეისწავლა უფლისციხე არქეოლოგიური თვალსაზრისით უნიკალურობის გამო. გამოხატავდა უზომო პატივისცემას ქართული ენის, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების მიმართ. ის ქართულ ენასა და კულტურას მიიჩნევდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიური უფლების მქონე ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბების საფუძვლად. ვორონცოვის პოლიტიკა მიემართებოდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული პროცესების ევროპეიზაციას, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის პოლიტიკას. ვორონცოვის პოლიტიკას ქართველი საზოგადო მოღვაწეები ქართული კულტურის აღორძინების ხანას ეძახდნენ. დროთა განმავლობაში მას ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ჰყავდა როგორც პოზიტიური ისე რადიკალურად საწინააღმდეგო შეფასების მქონე მიმდევრები. ვორონცოვის პოლიტიკას კრიტიკოსები ჰყავდა არა მარტო საქართველოში ან კავკასიაში, არამედ თვით რუსეთშიც კი. ვორონცოვის პოლიტიკას იმედის თვალით უყურებდა აკაკი წერეთელი. აკაკიმ ვორონცოვის პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე შეინახა თუმცა, წერდა, რომ ვორონცოვი მიიჩნევდა „საქართველოს პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით, საევროპიო სწორის გზით“ [3. 458].

ვორონცოვის პოლიტიკის შედეგებს მიიჩნევენ 1860-იანი წლების ქართველთა ასპარეზზე გამოსვლისას მათი იდეების საფუძვლად. ერთგვარი ნიადაგი ახალი მოთხოვნებისთვის უკვე არსებობდა, როცა ილია და მისი თანამოაზრეები გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე.

ჩვენი აზრით, საბჭოთა იმპერიის რღვევის შემდგომი ხანის რუსული პოლიტიკა ემსგავსება ვორონცოვის პოლიტიკას, მხოლოდ კულტურული მანიპულაციები შეცვალა დემოკრატიულმა, მსოფლიო დემოკრატიულმა ტენდენციების პოლიტიკამ, თუმცა რუსეთის „იმპერიაში“ დამკვიდრებული დემოკრატიული სულისკვეთება შინაარსობრივად რადიკალურად განსხვავდება რეალური სურათისაგან. მისი პოლიტიკა პროპაგანდისტულია და მკვეთრად რადიკალური დემოკრატიული სტანდარტებისაგან.

რუსული რბილის ძალის გავლენებზე მსჯელობისას არაერთი მნიშვნელოვანი, სტრატეგიული და საინტერესო თანამშრომლობის დეტალი წამოიწევს წინ. ესენია: ეკონომიკა, ტურიზმი, კულტურა, რელიგია, პოლიტიკა, განათლება და ნებისმიერი ასპექტი, რომელიც შეიძლება ვიწრო ადამიანურ, მსხვილ სავაჭრო და ბიზნეს ურთიერთობებზე გადიოდეს [4. 94-137].

მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური და სრულიად გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობისა, ეკონომიკური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მუდმივად გრძელდება. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთსა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის არ არსებობს ოფიციალური თანამშრომლობა, მთელი რიგი საკითხები, ეკონომიკის, ტურიზმის სფეროში განსაკუთრებით ურთიერთობები გრძელდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგულირების ჩარჩოებს მიღმა. რუსეთისთვის საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში შედიოდა. აღნიშნულ ქვეყნებს შორის ურთიერთობაც სსრკ-სთან ერთად მოიშალა. განსაკუთრებით ეს პროცესები გაამწვავა საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გამოცხადებულმა რუსეთის ბლოკადამ და ამდენად ქართულ-რუსული ეკონომიკური ურთიერთობები ყველაზე მეტად დაზარალდა, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. თუ სამეცნიერო კრიტიკას დავაკვირდებით, აღნიშნული გადაწყვეტილება შეფასებულია როგორც ეკონომიკური შეცდომა, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს გზას უხსნიდა მსოფლიო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, თუმცა ღარიბი ეკონომიკით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილმა თანამეგობრობამ გააერთიანა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომელსაც საქართველო მოგვიანებით იძულებით (რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით, 1993 წელს) შეუერთდა, რამაც განაპირობა მთელი რიგი საკითხების მოგვარება, შეთანხმება ეკონომიკური საკითხების გარშემო, მაგრამ იმთავითვე გაჩნდა სირთულეებიც.

აღნიშნული პოლიტიკა და პროცესები მიმდინარეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, სადაც რუსეთი ისევე ეწეოდა სეპარატისტულ პოლიტიკას, როგორც საქართველოში. რუსული ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საბჭოთა კავშირის დაშლის მერე სამხრეთ კავკასიის (უმეტესად საქართველო) ქვეყნებს ვლადიმერ პაპავა სტატიაში [5. 64-79] განიხილავს სამ სხვადასხვა ეტაპზე, რევოლუციამდე (იგულისხმება ვარდების რევოლუცია) ომამდე (2008 წლის აგვისტოს ომი), ომის შემდგომ (2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ) და საინტერესოდ წარმოაჩენს რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც თვალსაჩინო მაგალითია რუსული რბილი ძალის უკან დამალული იმ პოლიტიკის, რომელიც მუდმივად იყო მიმართული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დასავლური ორიენტაციის დასუსტებისკენ. განსაკუთრებით კი საქართველო იყო სამიზნე, რამდენადაც საქართველომ, განსხვავებით სომხეთისა და აზერბაიჯანისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე რადიკალური პოლიტიკა აირჩა დასავლური კურსისკენ და გაემიჯნა რუსულ პოლიტიკას, თუნდაც ეს არ ყოფილიყო მომგებიანი ეკონომიკურად. ამან ერთგვარად ხელი შეუწყო ქართული მხრიდან სავაჭრო პარტნიორების ძიების გაძლიერებას დასავლეთის ქვეყნებში. საქართველოს, რა თქმა უნდა, სტრატეგიული პარტნიორები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში უფრო აწყობს, რუსეთთან რადიკალიზმი კი ამ პარტნიორობის გაძლიერებას ემსახურება ნებსით თუ უნებლიეთ. რუსეთიც ეკონომიკურ გავლენებს (რბილი ძალის სახელით, რომელსაც „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულება, „ლიბერალური იმპერია“ ერქვა) ხისტი ძალა უფრო შეიძლება ერქვას. რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მიზნით ამჟამად წამოყენებულია 3+3 რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის იდეა, რომელიც ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ გაჩნდა და სამი კავკასიური ქვეყნის (საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის) და სამი რეგიონული მოთამაშის (რუსეთის ფედერაცია, თურქეთისა და ირანის ისლამური რესპუბლიკა) სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობასა და ურთიერთობების გაღრმავებას გულისხმობს.

აღნიშნულ „3+3 ფორმატის“ პირველ შეხვედრას მოსკოვში საქართველო არ დასწრებია. აღნიშნული შეხვედრის შესახებ და იდეას წარმატებულობისა და ყველა ჩართული მხარის სარგებლის შესახებ საქართველოსთან ლაპარაკი რუსეთმა სომხეთსა და აზერბაიჯანს სთხოვა, იმდენად რამდენადაც რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია.

ენერგეტიკა მნიშვნელოვანი თემაა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. ბევრი ენერგოკომპანიები ჯერ კიდევ რუსული კომპანიებისა და ბიზნესმენების საკუთრებაა [6. 65].

საქართველოს ბუნებრივი გაზისა და ენერგეტიკის სექტორები დგანან რუსეთის მხრიდან სანქციებისა და საფასურის ზრდის საფრთხის წინაშე. ძირითადი ნაწილი ამ იმპორტის მოდის აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან.

რუსეთს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ტურიზმის სექტორზე. დაახლოებით 16% ტურისტების რუსეთიდანაა და ისინი უმეტესად სახმელეთო გზით სარგებლობენ. პირდაპირი ფრენების აკრძალვა საქართველოს საკმაოდ ძვირად უჯდება. რუსეთიდან ტურისტების რაოდენობა, მიუხედავად რუსეთის მხრიდან გამოხატული პროტესტისა, რომ შეიძლება საქართველო არ იყოს უსაფრთხო რუსი ტურისტებისთვის, მაინც იზრდება. ასევე საინტერესოა, რომ საქართველოდან სამუშაოდ რუსეთში წასული ქართველების მიერ გამოგზავნილი თანხები საქართველოში უცხოეთიდან გადმორიცხული საერთო თანხის 40%-ს შეადგენს.

რუსული რბილი ძალის შეფარვითი ხისტი ძალა არ ეხება მხოლოდ ეკონომიკას, რელიგიასა და ტურიზმს, ის მოიცავს კულტურულ ღონისძიებათა მთელ რიგს და მათ შორის მსოფლიო ყურადღების ცენტრში იყო სოჭის 2014 წლის ოლიმპიადა. აღნიშნული ღონისძიებები ქვეყნის რეპუტაციისა და რბილი ძალის პოლიტიკის ზრდის უპირობო საშუალებებია. სოჭის ოლიმპიადა რუსეთისთვის იყო საშუალება პოლიტიკური მიმზიდველობა გაეზარდა. აღნიშნული სპორტული ღონისძიების ჯეროვნად შეფასებისას საერთაშორისო მკვლევარები ასკვნიან: „Russia does not fit into the category of states which seek to burnish their national image abroad through hosting a one-off sports spectacle, but rather they have pursued a strategy of domestic soft power goals while exhibiting a ‘hard power’ foreign policy. Thus the unique Russian SME strategy actually resulted in a loss of international prestige and soft power - რუსეთი არ შედის იმ კატეგორიის სახელმწიფოთა რიგებში, რომლებიც ეძებენ საშუალებებს გაზარდონ თავიანთი იმიჯი საერთაშორისო დონეზე სპორტული ღონისძი-

ებების სახით, არამედ ისინი უმეტესად შიდა რბილი ძალის სტრატეგიულ მიზნებს ამჟღავნებენ უცხოური პოლიტიკის ხისტი ძალების გამოვლენით. ამდენად ეს რუსული უნიკალური სპორტული ღონისძიებაც გადაიქცა საერთაშორისო პრესტიჟისა და რბილი ძალის პოლიტიკის დანაკარგად“ [7. 4].

საქართველოზე რუსული რბილი ძალის გავლენები ეხებოდა ეთნიკურ უმცირესობებს, შედარებით უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომელიც, ძირითადად ანტიდასავლურია და ეხება კულტურულ-რელიგიურ ასპექტებს. იმდენად რამდენადაც დასავლური ტენდენციები ლიბერალიზმისა და თავისუფლების იდეითაა აღსავსე, ეს კარგად გამოიყენებოდა როგორც ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობის საწინააღმდეგო იდეოლოგია. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ კარგად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ინტენსიურად ისწრაფვიან ევროპაში ინტეგრაციისკენ, ქართველები ბუნებით მაინც რჩებიან კონსერვატორებად.

ამრიგად, ზემოაღმოშნულიდან გამომდინარე, რუსული რბილი ძალის გავლენები და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შეიძლება ითქვას შემდეგნაირად გამოიყურება: დღეს რუსეთი და აზერბაიჯანი ითვლებიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორებად, მაგრამ ის, რომ რუსეთი აგრძელებს სომხეთის დახმარებას და ყარაბაღის ომის გაჭიანურებას, უკვე ქმნის წინააღმდეგობას რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომ გახდნენ მნიშვნელოვანი პარტნიორები. დღეს აზერბაიჯანი ცდილობს იპოვოს კარგი ბალანსი რუსეთთან პარტნიორობაში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების გათვალისწინებით. ეკონომიკაა ის ძირითადი ბერკეტი, რომლითაც რუსეთი ცდილობს მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე კონტროლის შენარჩუნებას და ეს ხდება დეზინფორმაციით, პროპაგანდითა და ეკონომიკური მანიპულაციებით.

აღნიშნული საშუალებები ვრცელდება სომხეთზეც. ძალიან მძიმე დეზინფორმაცია და პროპაგანდა იყო სომხეთში 2017 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა არჩევნების წინ მოსახლეობის წახალისებას. სომხეთში განსაკუთრებით წარმატებით იმუშავა დეზინფორმაციამ სხვადასხვა ტროლების, ბოტების სახით, რომლებიც ვრცელდებოდა ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე რაოდენობის მიმდევრებით, ერთი და იმავე ფრაზებითა და სურათებით Twitter-ზე. აღნიშნული განსაკუთრებით სახიფათო იყო იმდენად, რამდენადაც სომხეთის მოსახლეობის 70% რუსულენოვანია და მხოლოდ 30%-მდე საუბრობს ინგლისურს, რაც ხელსაყრელია რუსული მედიისთვის, რადგან ისინი არასდროს თარგმნიან თავიანთ პროდუქციას. სომხეთის სუსტი კიბერუსაფრთხოება რუსულ პოლიტიკას კიდევ უფრო მეტად ხდიდა ეფექტურს. „2017 წლის რანჟირების მიხედვით სომხეთის კიბერუსაფრთხოება 111-ე ადგილზე იყო განსხვავებით საქართველოსგან, რომელიც მე-8 ადგილზეა და თუნდაც აზერბაიჯანი 48-ე ადგილზე“ [8. 10].

ამ მხრივ სომხეთში დღეს შედარებით უკეთესი სიტუაციაა. რაც შეეხება ეკონომიკურ გავლენებს, სომხეთი ყველაზე ცუდ სიტუაციაშია ამ მხრივ, კორუფციისა და საზღვრების ორივე მხარეს არახელსაყრელი მდგომარეობის გამო (თურქეთისა და აზერბაიჯანის მხარეს ორმხრივად ჩაკეტილია). ამდენად, რუსეთმა მხოლოდ ენერგეტიკული ინდუსრტია და ფულადი გზავნილების ეკონომიკა შესთავაზა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტიც რუსეთისთვის რბილი ძალის გამოვლენის საშუალებაა. ცდილობს რა დაამყაროს მშვიდობა, რუსეთი ფსევდო დიპლომატიურ ურთიერთობებს ეწევა და მიუხედავად იმისა, რომ ყარაბაღის დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებია, ორივე მხარის - ყარაბაღისა და რუსეთის დიპლომატიური ვიზიტი შედგა. ამავე დროს, რუსეთი სომხეთსა და აზერბაიჯანზე თანაბრად ყიდის იარაღს. აღნიშნული კონფლიქტი რუსეთმა თავისი ინტერესებისთვის გამოიყენა და ირწმუნება რომ ის რეალური მშვიდობისმყოფელია. აზერბაიჯანის მედია და ჟურნალისტიკა სუსტია და როგორც საქართველოშია დაბალი მედიაწიგნიერება, რუსული პროპაგანდა კარგად მუშაობს. სერიოზული სამიზნეა facebook გვერდები, რომელთა წყაროდ უმეტესად ჩანს საინფორმაციო სააგენტო სპუტნიკი, ის რუსეთის მთავრობას ეკუთვნის. დეზინფორმატორები, ძირითადად, ანტიდასავლური პროპაგანდით არიან დაკავებული. რაც შეეხება ეკონომიკას, აზერბაიჯანის ეკონომიკა აგებულია ნავთობზე, ფაქტობრივად, 80% ნავთობის შემოსავლებია. აზერბაიჯანმა სწორად გამოიყენა ნავთობი დასავლეთთან ურთიერთობისთვის საბჭოთა კავშირის დაშლის მერე და ამ პოლიტიკას ინარჩუნებს ახლაც. ალიევმა ნაკლები ინტერესი გამოიჩინა

დასავლური ტიპის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისადმი და ამით შეინარჩუნა ბალანსი რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობისას. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის ძალისხმევისა ენერგეტიკული პოლიტიკის სფეროში რუსეთს როლი არ მცირდება. რუსული რბილის ძალის კონკრეტული მახასიათებლების შესახებ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი).

RONA PERTIA

MECHANISM OF RUSSIAN SOFT POWER AND SPECIFICS OF ITS DETECTION (GEORGIA, ARMENIA, AZERBAIJAN)

Summary

The author's research is about the study of the Russian Soft Power in post-Soviet countries. The author assumes that the back of Soft Power is supported by high intellect and education. It goes through personal contacts, cultural events, which is diverse (art, literature, education, etc.). The consequences of this Power are difficult to calculate and even devoid of sustainability. The author believes that Russia uses mechanisms such as foundations, non-governmental organizations, various cultural centers and media outlets to operate through soft power, which are both less united and individually controlled. After studying and analyzing the research issue, the author comes to the correct conclusion that the spheres of influence of the Russian soft power are vital areas such as economy, tourism, culture, religion, politics, major trade and business relations, education and any aspect that may extend beyond narrow human relations.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნაი ჯ., „რბილი ძალა, მსოფლიო პოლიტიკის წარმატების სახეობა“, 2005.
2. რუსაკოვა ო., კოვბა დ., „რუსეთის რბილი ძალის კვლევა რუსულ პოლიტიკურ მეცნიერებებში“, პრობლემურ-თემატური საკითხების ანალიზი, 2019.
3. წერეთელი აკ., „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“, ნაწყვეტები, ტფილისი, 1915.
4. Hendrik W. Ohnesorge, „Soft Power, The Forces of Attraction in International Relations“, Bonn, 2020.
5. პაპავა ვლ., „რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში“. ქართველი და რუსი ექსერტების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტი, 2011.
6. ძველიშვილი ნ., კუპრეიშვილი თ., „რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში“, თბ., 2015.
7. კრამარევა ნ., გრიქსი ჯ., „ომი და მშვიდობა“ 1980 წლის მოსკოვის და 2014 წლის სოჭის ოლიმპიადა: რბილი და ხისტი ძალის როლი რუსულ იდენტობაში, სპორტის ისტორიის საერთაშორისო ჟურნალი. 2019.
8. Hollis Rammer, Reconceptualization of Soft Power: Russian Influence in South Caucasus, 2019.
9. ევროპული საჯარო დიპლომატია, გლობალური საჯარო დიპლომატიის სერიის გამოცემა, მაკმილანი, აშშ. 2013

სალომე გიორგაძე
წარმოადგინა ასოც. პროფ. ***ლევან ოსიძემ***

ქართული ნაციონალიზმი და ეთნოსიმბოლიზმი თანამედროვე მსოფლიოში

ნაციონალიზმი და მასთან დაკავშირებული ცნებები რთული და მრავალმხრივია. ამაზე არა მხოლოდ სტატიაში განხილული თეორიული მიდგომები და მკვლევართა მოსაზრებები მეტყველებს, არამედ ის ისტორია, რომელიც მას უკავშირდება. ე.დ. სმითი ნაციის ორ ძირითად მოდელს განასხვავებს, რომელთა შექმნასაც სხვადასხვა ისტორიული კონტექსტი განაპირობებდა: დასავლური, რომელიც ემყარება ეროვნული ტერიტორიის ერთიანობას, მოქალაქეთა ოფიციალურ თანასწორობასა და მათ გამაერთიანებელ საერთო სახალხო კულტურას და აღმოსავლური, რომელიც წარმოიშვა ინტელიგენციის ძალისხმევით იმპერიათა მარწუხებიდან მათი ეთნოსების გასათავისუფლებლად. ზოგადი განსაზღვრებით, დასავლური და აღმოსავლური ნაციონალიზმი განსხვავებულია. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, სადაც თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირება ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც ერის, ისე სახელმწიფოს ჩამოყალიბება. საქართველოს შემთხვევაში აღმოსავლეთ-ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მსგავსად, ჯერ მოხდა ერის კონსტრუირება და შემდგომში ეთნოკულტურული იდენტობის საშუალებით ეროვნული საზღვრების დადგენა, საიდანაც იწყება თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა. XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული იდენტობა სავსებით შეესაბამება მეორე მოდელს, რადგან ერის კონსოლიდაცია ხდებოდა ინტელიგენციის ძალისხმევითა და ეთნიკური აქცენტებით. ასევე ვიზიარებთ სმითის გამოთქმულ მოსაზრებას, სადაც ეროვნების ორ მოდელს შორის განსხვავებას არ უნდა გადავაჭარბოთ. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლურ ნაციონალიზმის სხვადასხვა ეტაპზე იკვეთება ორივეს ელემენტი. ამის დასტურია ის, რომ ილია ჭავჭავაძისეულ ეროვნულ ნარატივში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო ღირებულებებს, მათ შორის მოქალაქეთა თანასწორობის საკითხებს, ეთნიკურ და რელიგიურ ფაქტორებს და ა.შ. საწყისი ეტაპიდან დღემდე მიმდინარე მოვლენებთან ერთად აღინიშნება მრავალი ხარვეზი, მერყევი და არასტაბილური მდგომარეობა, რაც ეთნოსიმბოლისტთა მტკიცებით, განაპირობებდა კონკრეტული ხალხის ნაციონალიზმი და ამ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები. ნაციონალიზმის ნეგატიური გავლენების დაძლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა კონსოლიდაციას, მათი მეგობრობის განმტკიცებასა და ურთიერთკავშირის გაძლიერებას. მნიშვნელოვანია ეროვნული პოლიტიკის სწორად და თანმიმდევრულად წარმართვა თანამედროვე პირობებში.

საკვანძო სიტყვები: *ნაციონალიზმი, ეთნოსიმბოლიზმი, ეროვნული იდენტობა, ეთნოსი, ერი*

საზოგადოების განვითარება დინამიური პროცესია, რომელიც უხსოვარი დროიდან დღემდე პერმანენტულად მიმდინარეობს და ხდება მათი კლასიფიკაცია სოციალური სტრატიფიკაციის პარალელურად, რომელსაც შედეგად ეთნიკური სახელმწიფოების შექმნა მოჰყვებოდა. განსაკუთრებულ როლს მათ ფუნქციონირებაში ყოველთვის ასრულებდა პოლიტიკური ელიტა, რომელიც კულტურულად ჰომოგენურ და სოციალურად მყარ საზოგადოებას მართავდა. იქმნებოდა ნაციონალური კულტურა თავისი თვითმყოფადობით, რომელიც ამა თუ იმ ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობის განსახიერებაა. იგი გამოხატავს ერის სულიერ სპეციფიკას, რომელიც თავისებური, სხვებისგან განსხვავებული არსებობისა და ცხოვრების განმასახიერებელია. თითოეულ ერს, დიდსაც და პატარასაც გააჩნია განსხვავებული თავისებურებანი, სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და სხვა ერს არ გააჩნია [1]. ნებისმიერი ორი ეთნოსის სიცოცხლისუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს იმის შესაბამისად, რამდენად შეუძლია მას უცხო კულტურის ელემენტებთან ასიმილაცია და ამის ხარჯზე საკუთარი კულტურის გამდიდრება [2].

ენტონი დ. სმითის აზრით, ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ინ-

ტელექტუალებს“ ანუ მათ, ვინც ერს სულიერად ასაზრდოებს მუსიკალური თუ ლიტერატურული ნაწარმოებების, ფერწერის ნიმუშებისა თუ ქანდაკებების, არქიტექტურული ძეგლების, ფილმებისა თუ სპექტაკლების შექმნის გზით. XIX საუკუნეში ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარებამ განაპირობა „საშუალო კლასის ნაციონალიზმის“ გარდაქმნა „მასობრივ ნაციონალიზმში“, სადაც ეროვნული განვითარების იდეები ადამიანებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი გახდა.

ერნესტ გელნერი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი, უმთავრესად, პოლიტიკური პრინციპია და მისი მიზანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაა. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ტერმინ „ნაციონალიზმის“ და „ერის“ დეფინიციას შორის. ნაციონალიზმის ძირითადი თეორიები - პრიმორდიალიზმი, პერენიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი - განსხვავებულად განიხილავს ნაციონალიზმის და ერების ჩამოყალიბების პროცესს. მკვლევართა ნაწილი პრიმორდიალისტურ შეხედულებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ქართველი ერი უძველესი პერიოდიდან არსებობდა, რომლის ფორმირება ადრეულ შუა საუკუნეებში დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო ერთიანი, ცენტრალიზებული, რეგიონში წამყვან პოზიციაზე მყოფი სახელმწიფოს და ძლიერი არისტოკრატიის არსებობამ.

თუმცა, XXI საუკუნეში ამერიკელი მკვლევარი რ. სუნი იყენებს მ. ჰროშის მოდელს ქართული ნაციონალიზმის პერიოდიზაციისთვის. ავტორის თანახმად, საქართველოში ნაციონალიზმი, რომელიც იწყება მე-18 და მე-19 საუკუნის მიჯნაზე, ორიენტირებული იყო კულტურული პროცესების განვითარებისკენ. ინტელექტუალები ზრუნავდნენ ისტორიის შესწავლასა და კვლევას, ენის, კულტურის განვითარებაზე. ფაზაზეა ტრანზიცია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც სახეზეა პოლიტიკური ნაციონალიზმი [3. 123].

ენტონი დ. სმითი განასხვავებს „ეთნოეროვნული“ განვითარების რამდენიმე სტადიას: – პირველ ეტაპზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი ხმელთაშუა ზღვისპირეთში ჩამოყალიბდნენ ეთნიკური კატეგორიები. მათ გააჩნდათ ისეთი ეთნონიმი, როგორიც იყო ენა და ტრადიციები. ადამიანებმა დაიწყეს საკუთარ წარმომავლობაზე ფიქრი, ზეპირი და წერილობითი ფორმით. შეიქმნა ერთგვარი მითები წინაპართა შესახებ. საზოგადოებათა გაერთიანებები უფრო დახვეწილ და მრავალფეროვან ხასიათს იღებდა. ეთნიკური კატეგორიები გარდაიქმნენ ეთნიკურ კავშირებად და ეთნიკურ ერთობებად [4. 117].

ეთნოსიმბოლიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ენტონი სმითის თეზისის მიხედვით, თანამედროვე ერის არსის გაგება შეუძლებელია მათი ეთნიკური წარსულისა და ისტორიის შესწავლის გარეშე. ნაციონალიზმის ფორმირების საფუძველი მათი ერთობაა, რომლის მითების, სიმბოლოების, ტრადიციებისა და მემკვიდრეობის საფუძველზე ხდება თანამედროვე ერის ჩამოყალიბება. ეთნოსიმბოლისტები მიიჩნევენ, რომ ყველა ერს ევოლუციის ერთნაირი გზა არ გაუვლია. უფრო მეტიც, თანამედროვე მსოფლიოში გვხვდება ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ჯერ ეთნოსადაც არ ჩამოყალიბებულან [5].

ეთნოსიმბოლისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ერი უნდა ფლობდეს ტერიტორიას. თუმცა, არ არის დაზუსტებული კონკრეტულად რა სამართლებრივი სტატუსი უნდა ჰქონდეს ამ ტერიტორიას.

სმითისთვის ერის ან ეთნოსის ტერიტორიისადმი კუთვნილება ნაკლებად მნიშვნელოვანია. იგი მიიჩნევს, რომ ერი ფუნქციური ინსტიტუციაა, ხოლო იმის გამო, რომ ის იდენტობებთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მისი მოშლა ან ჩანაცვლება ძალზე რთულია. ის განასხვავებს ნაციის ორ ძირითად მოდელს, რომელთა შექმნასაც სხვადასხვა ისტორიული კონტექსტი განაპირობებს. ესენია დასავლური (ემყარება ეროვნული ტერიტორიის ერთიანობას, მოქალაქეთა ოფიციალურ თანასწორობასა და მათ გამაერთიანებელ საერთო სახალხო კულტურას) და აღმოსავლური, რომელიც წარმოიშვა ინტელიგენციის ძალისხმევით იმპერიათა მარწუხებიდან მათი ეთნოსების გასათავისუფლებად. ზოგადი განსაზღვრებით, დასავლური და აღმოსავლური ნაციონალიზმი განსხვავებულია, განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სადაც თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირება ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც ერის, ისე სახელმწიფოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით, თუმცა საქართველოს შემთხვევაში აღმოსავლეთ-ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მსგავსად, ჯერ კიდევ ხდება ერის კონსტრუირება, შემდგომში ეთნოკულტურული იდენტობის საშუალებით მას მოსდევს ეროვნული საზღვრების

დადგენა და იწყება თანამედროვე სახელმწიფო [6. 35].

XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული იდენტობა სავსებით შეესაბამება მეორე მოდელს, რადგან ერის კონსოლიდაცია ხდებოდა ინტელიგენციის ძალისხმევითა და ეთნიკური აქცენტებით, მაგრამ ასევე ვიზიარებთ სმიტის იქვე გამოთქმულ მოსაზრებას, სადაც ეროვნების ამ ორ მოდელს შორის განსხვავებას არ უნდა გადავაჭარბოთ. როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ნაციონალიზმში სხვადასხვა ეტაპზე იკვეთება ორივეს ელემენტები. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ილია ჭავჭავაძისეულ ეროვნულ ნარატივში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო ღირებულებებს, მათ შორის მოქალაქეთა თანასწორობის საკითხებს, ეთნიკურ და რელიგიურ ფაქტორებს.

ნაციონალიზმი და მასთან დაკავშირებული ცნებები რთული და მრავალმხრივია, ამაზე არა მხოლოდ ზემოთ განხილული თეორიული მიდგომები და მკვლევართა მოსაზრებები მეტყველებს, არამედ ის ისტორია, რომელიც მასთანაა მჭიდრო კავშირში. ნაციონალიზმი აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც ფაქტობრივად უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი პრინციპის სრულყოფაში. როგორც ცნობილია, ვესტფალიის ზავის შემდეგ (1648 წ.) ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა სისტემა, როგორც წესი, ეფუძნებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპებს, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ არასოდეს დამდგარა მისი გადასინჯვის პრობლემა. ეკლესიის გავლენისგან გათავისუფლებული ევროპული სახელმწიფოების მმართველობა დამყარებული იყო მონარქების ძალაუფლებაზე და ეს თითქოს ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ამ საკითხზე მსჯელობა გააქტიურდა, რადგან გაჩნდა სუვერენიტეტის ახალი წყარო - ერი. ნაციონალიზმმა საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან დღემდე სხვადასხვა სახითა და ფორმით უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს შემდგომ ისტორიაზე. მას ჰქონდა როგორც გამაერთიანებელი, ისე დამანგრეველი, ასევე გამათავისუფლებელი ხასიათი. ამ ფენომენთან არის დაკავშირებული პირველი და მეორე მსოფლიო ომებითავის დამახასიათებელი რადიკალური იდეოლოგიების ჩამოყალიბებია და მსოფლიო პოლიტიკური რუკის რადიკალური ცვლილებები. საქართველოში მე-19 და მე-20 საუკუნეებში განვითარებული პროცესები დიდ მსგავსებას ავლენდა ევროპულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში განვითარებულ პროცესებთან [7].

როგორც წესი, ევროპაში მიმდინარე კონფლიქტების დიდი ნაწილი სწორედ ნაციონალიზმის ნიადაგზე ჩამოყალიბებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი თუ თვითგამორკვევისკენ მიმართული მოძრაობები გახლდათ. ისევე, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში საქართველოშიც თანამედროვე ქართველი ერის როგორც ნაციის ფორმირება, მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ევროპული, ლიბერალური პრინციპების გავრცელებასთან. აქაც, ისევე როგორც დანარჩენ ევროპაში, ნაციონალიზმს საწყის ეტაპზე ცალსახად ერის მაკონსოლიდირებელი და გამაერთიანებელი ხასიათი გააჩნდა. ჩვენთანაც დაიწყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დამაკავშირებელი არეალების შექმნა, ენის რეფორმა, საერთო საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება და ა.შ. [7].

ნაციონალიზმის აღზევება განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მთელი იმპერიის მასშტაბით შეიმჩნევა. მასთან ერთად, მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს ლიბერალიზმი და მარქსიზმი. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში. მარქსიზმის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მუშათა კლასში, ხოლო ლიბერალიზმი – გავლენიან ქალაქის ბურჟუაზიაში. ხშირად, პროგრესულ შემთხვევაში დომინანტი იდეოლოგიები სხვადასხვა მიმართულებებით ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ნაციონალური მოძრაობების აღმავლობას. მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება, ქართველი ერი არ შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას. სსრკ მარქსისტული იდეოლოგიის სახელით ავითარებდა საბჭოთა ნაციონალიზმს ტოტალიტარული რეჟიმის გასამტკიცებლად. მისი ინტერესებიდან გამომდინარე იგი გარკვეულწილად ხელს უწყობდა მოკავშირე პოლიტიკურ ერთეულებში ისეთ კულტურულ პროცესებს, სადაც საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო მიზანს საბჭოთა იდენტობის ფორმირება წარმოადგენდა, რომელიც არ ითვალისწინებდა ეროვნული თვითმყოფადობის სრულყოფას. XIX საუკუნის ბოლო დეკადიდან ქართული ინტელექტუალური

სივრცე მნიშვნელოვანწილად მარქსიზმით იყო დაკავებული. XX საუკუნის დასაწყისისათვის, ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც უზარმაზარი გავლენით სარგებლობდნენ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ გაერთიანებაში და ფაქტობრივად წამყვან ძალას წარმოადგენდნენ. ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურია მათ მიერ მარტივად მოიპოვებული გამარჯვება მომდევნო წლებში, (მათ შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებისას 1919 წლის 14 თებერვალს) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა. ამდენად ამ პერიოდში, ცალსახაა, რომ საქართველოს შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაციონალიზაციის სრულყოფის დასკვნით ფაზასთან.

საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა წარმატებით მოახერხეს ეთნიკური და სოციალური ასპექტების საერთო ნაციონალურ ერთობლივად შერწყმა, რითაც მუშათა კლასის და გლეხობის (გლეხობა, ძირითადად, უნდობლობით ეკიდებოდა მასშტაბურ ნაციონალურ პროგრამებს და კვლავ ლოკალური იდენტობებით შემოიფარგლებოდა) მასშტაბური მხარდაჭერა მოიპოვეს. თავის მხრივ, იმპერიის დეზინტეგრაციისა და შემდგომში სამოქალაქო ომის პირობებში, საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების ერთადერთ აქტორად სწორედ ეროვნული მარქსისტული ინტელიგენცია აქცია [8. 99].

პარადოქსულია, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც რუსეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების იმედი ჰქონდათ და ერთიან რუსეთის სახელმწიფოში [3. 114] წარმოედგინათ სხვადასხვა ერების ეთნიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, მძლავრი ეროვნული მოძრაობა შექმნეს და საბოლოო ეტაპზე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. პოლიტიკურ ელიტას უფრო მეტი საშუალება მიეცა ხელი შეეწყო კულტურული ნაციონალიზმის განვითარებისთვის [3. 308].

აღნიშნული პროცესების შედეგად 1970-იანი წლების საქართველოში იქმნებოდა ეროვნული მოძრაობის საფუძვლები. საქართველოში გამოიკვეთა ლიბერალური (ინტელიგენცია) და რადიკალური (დისიდენტები) ფრთა. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ჰელსინკის პროცესებისადმი მიერთება და ახალი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება. „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაცია, რომელმაც შესაძლებელი გახადა აზრის თავისუფლად გამოხატვა, მათ შექმნეს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმის კულტურულ პროცესებს. ინტელიგენცია ტერორის პირობებში ცდილობდა რუსიფიკაციის საფრთხის თავიდან აცილებას. რადიკალები დისიდენტური მოძრაობის სახით, საბჭოთა ტოტალიტარული კონტროლის პირობებში თავდაპირველად არალეგალურად აქვეყნებდნენ მასალებს. ინტელიგენციისგან განსხვავებით, ისინი ღიად ამხელდნენ საბჭოთა რეჟიმს, ცდილობდნენ კომუნისტური ხელისუფლებისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებას. საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში ინტელიგენციას მიეცა შესაძლებლობა ნაციონალური იდენტობის გამამყარებელი ნარატივი შეექმნა. ეროვნული მოძრაობის აქტივისტები ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებას საზოგადოებაში საპროტესტო აქციების გამართვით ცდილობდნენ, სადაც თავდაპირველად ერი-სახელმწიფოს განმსაზღვრელი კულტურული მოთხოვნები ჭარბობდა. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ხელისუფლებამ განიცადა დისკრედიტაცია და უნებურად ეროვნული მოძრაობის სამსახურში აღმოჩნდა [9. 39], ქართული ნაციონალიზმი უფრო რადიკალური გახდა. ეროვნული მოძრაობის აქტივისტები საბჭოთა სისტემისგან გამიჯვნას და დამოუკიდებლობის აღდგენას კომუნისტური ხელისუფლების ჩამოსაშორებლად არჩევნების გზით ცდილობდა. 1970-1980-იან წლებში მიმდინარე პროცესები და ქართული ნაციონალიზმის განვითარების დინამიკა - საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების პირობებში კულტურულიდან პოლიტიკურ ნაციონალიზმად ტრანსფორმირდა [10. 6].

შევეცდებით, მოკლედ შევეხოთ ქართული ნაციონალიზმის ისტორიას, რათა შეიქმნას ზოგადი სურათი, თუ რა პროცესები უძღოდა წინ საბჭოთა იმპერიულ სივრცეში განვითარებულ ნაციონალიზმს და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი. საინტერესოა ქართული ნაციონალიზმის კვლევა მოდერნისტული თეორიის ასპექტით. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მისი ისტორია იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რომელიც თერგდალეულების სახელს უკავშირდება. ქართული ნაციონალიზმის ისტორიაში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი: თანამედროვე ქართველი ერი-სახელმ-

წიფოს ჩამოყალიბება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიულ სივრცეში დაიწყო, მეორე ეტაპი საბჭოთა პერიოდში განვითარდა, ხოლო მესამე ეტაპი - პოსტსაბჭოთა პერიოდიდან იწყება. ვინაიდან მისი ფორმირება ხდებოდა იმპერიულ სივრცეში, იგი შეგვიძლია განმათავისუფლებელ ნაციონალიზმად მივიჩნიოთ. მე-19 საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროები გაუქმებული და გაერთიანებული იყო რუსეთის იმპერიაში, სწორედ ამიტომ ინტელექტუალური ელიტის მხრიდან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო რუსეთის იმპერიულ სივრცეში ნაციონალიზმის აღზევება-ფორმირებისთვის და იგი ერთგვარი გამაერთიანებელი ნაციონალიზმის სახეს წარმოადგენდა [11].

თერგდალეულთა ძალისხმევა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, თავდაპირველად ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლების შექმნისკენ იყო მიმართული, რასაც შედეგად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაინერგა სასწავლო პროცესში რუსული ენის გამოყენება და ქართულის ენის როლის დაკნინება, ამიტომაც მნიშვნელოვანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი, ეროვნულ საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსება და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობა. ქართული ნაციონალიზმის მთავარი მიზანი იყო ავტოკეფალიის აღდგენა. მათი მოსაზრებით, საქართველოსათვის იმ პერიოდში მხოლოდ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების იდეა შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღდგენას. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თერგდალეულთა ნაციონალური ნარატივის საფუძველზე დაიწყო. ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყვეთ“. ეს სამი პერიოდი ერის ცხოვრებისა იმდენადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს. მისი მოსაზრებით, ისტორიის ერთობის შეგნების წყალობითაა, რომ უცხო დამპყრობთაგან დაქსაქსულ-დასუსტებული ერი, მიუხედავად სახელმწიფოებრივი ერთობის უქონლობისა, მაინც ერთ მთლიანობად აღიქვამს თავს და ისწრაფვის დაკარგული მთლიანობის დასაბრუნებლად [12. 198].

კონცეფცია ერისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ გარკვეული ორიგინალობით ხასიათდება. ისტორიულად მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანების კრებული ახდენს ეთნოსების კონსოლიდაციას, რაც შემდგომ ეტაპზე სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის საფუძველი ხდება - ასეთია ილია ჭავჭავაძის ერისა და სახელმწიფოს წარმოქმნის მოკლე თეორია [13. 36].

სხვადასხვა მკვლევრები განსაკუთრებით გამოყოფენ ილიას იდეების გარკვეულ ზეგავლენას არჩილ ჯორჯაძეზე, რომელიც 1900-1917 წლებში ეროვნულობის დაცვისა და გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი იდეოლოგი, რომელიც საქართველოს მომავალს შემდეგნაირად ხედავდა: „მხოლოდ ერთად საერთო ნიადაგზე დგომით შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ“ [14].

ჯორჯაძე თავის წიგნში საუბრობს“ „დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ,,ერთგული მსახური მთავრობისა“, გაკიცხეს და დაგმეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაბედა და ხმა ამოიღო ქართველთა ინტერესების დასაცავად. ეს არ იყო ერის ისტორიულ ან პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საუბარი, არამედ იყო თავშეკავებული, თუმცა მტკიცე სურვილი ქართული ენის დაცვისა სახალხო სკოლებში და სურვილი ქართველების რუსებთან გათანასწორებისა კანონის წინაშე“ [15].

ზემოხსენებულ ნაციონალურ ნარატივში დასავლური ტიპის ეროვნული იდენტობისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც იკვეთება. ეროვნული ნარატივის შექმნამ სერიოზული გავლენა იქონია ქართული საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, რომელმაც თითქოს ხელახლა დაანახა მათ მივიწყებული ტრადიციები. ილიას ღრმად სწამდა, რომ ერი უნდა ვითარდებოდეს როგორც საკუთარი ისტორიული წარსულის, ისე პროგრესული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ქართული ნაციონალური იდენტობის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით ნიკო ნიკოლაძის უდიდეს დამსახურებას ჩვენი ქვეყნის წინაშე. ის თვლიდა, რომ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ამის

მაგალითად ინგლისს ასახელებდა: „ვიგები და ტორები ადვილი შესაძლებელია ასჯერ შეიცვალონ ბრიტანეთის მთავრობის საჭესთან, მაგრამ ინგლისის ინტერესები ამით ოდნავადაც არ შეიცვლება და მისი უდიდებულესობის ქვეყნის დედოფლის მთელი ძალისხმევა მუდამ ერთი მიზნისკენ იქნება მიმართული“ [16].

ნიკო ნიკოლაძის პროგრესული აზროვნება და პუბლიცისტური მემკვიდრეობა აქტუალურია დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში. „ის იყო კაცი-სახელმწიფო, ახალი იდეების გენერატორი ეროვნულ იდეოლოგიებზე, ევროპული იდეებით შემკული, უაღრესად განათლებული, ილია იყო სიტყვა, ხოლო ნიკო საქმე, რომელმაც ჩამოაყალიბა ორიენტირი და საქართველოს დაუსახა სამომავლო პრაქტიკული მიზანი“ [17].

ქართული ნაციონალიზმი პროგრესული იდეალებისკენ მიისწრაფოდა, რასაც ადასტურებს ბეჭდური სიტყვის განვითარება, კერძო მეწარმეობის და საბანკო სისტემის წახალისება [18], ქართველ ერს, მისი დეფინიციის ეთნოსიმბოლისტური თეორიის ფარგლებში თუ განვიხილავთ, სმითის თანახმად, ერი არის ადამიანთა ერთობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო ისტორიული მეხსიერება, სხვებისაგან განსხვავებული კულტურა, საერთო ისტორიული ტერიტორია - სამშობლო, საერთო უფლება-მოვალეობანი, ერთიანი ეკონომიკა [19].

ნაციონალიზმის მსგავსად, რელიგია, როგორც ერის კონსოლიდაციის საშუალება, არის მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების დისკუსიის საგანი. რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგებად განხილვის დისკუსიებში იკვეთება, ნაციონალიზმის მსგავსად, რელიგიის როლი ეროვნული მემკვიდრეობის გადარჩენის საკითხში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე დისკურსის თანახმად, ნაციონალიზმსა და რელიგიას შორის ურთიერთმიმართების ფორმების კვლევისას გამოიკვეთა დომინანტი მიდგომა და ეს არის რელიგიის ნაციონალიზმის შემადგენელ ნაწილად განხილვა. რელიგია არის ეროვნულობის ქვაკუთხედი, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანდეს მთელი ერი. მართლმადიდებლობა მიჩნეულია არაერთხელ დაცემული საქართველოს გადარჩენის და „გაცოცხლების“ სიმბოლოდ და ასე იქნება სამომავლოდაც. ქვეყანაში ეროვნული იდენტობისა და რელიგიის დაკავშირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია პატრიარქის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 17 მაისის ოჯახის სიწმინდის დღედ დაწესება [20].

ნაციონალიზმი, როგორც სოციალური ფენომენი, ღრმად არის დაკავშირებული ადამიანსა და სახელმწიფოთა შორის არსებულ ურთიერთობასთან. ნაციონალიზმის მთავარ ასპექტს წარმოადგენს პიროვნების იდენტურობა, რომელიც საზოგადოების წევრობას ემყარება. ნაციონალიზმს ბევრი პოზიტიური მხარე გააჩნია, თუმცა ის არ არის მხოლოდ დადებითი მოვლენა. ისტორიაზე დაკვირვებით თვალსაჩინო გახდა, რომ ძალადობრივი ნაციონალისტური მოძრაობები იწვევენ სისხლიან ომებსა და დაპირისპირებას სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებს შორის. ნაციის ეთნიკური მოდელის თავისებურება გამოიხატება საერთო ფასეულობებში, რწმენაში, წეს-ჩვეულებებსა, ენაში და ა.შ. [4. 13], რომელთა ერთობლიობა ქმნის საზოგადოების საერთო კულტურულ სისტემას, სადაც კულტურული ნარატივი გარდაიქმნება ნაციონალიზმის იდეოლოგიად და ჩნდება ერთიანი ნაციის ჩამოყალიბების წინაპირობა. დასავლეთ ევროპაში, დომინანტმა ეთნოსებმა შეძლეს პერიფერიების ჩართვა ელიტარულ კულტურაში, ხოლო „ვერტიკალური“ ეთნოსი უფრო კომპაქტურია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორიული კონსტრუქცია, ჩვენთვის მნიშვნელოვანი პერიოდის ქართულ სინამდვილესთან მიმართებით საინტერესოდ ვლინდება. ეთნოსიმბოლიზმი გრძელვადიან ანალიზს უკავშირდება. „მხოლოდ რამდენიმე თაობის და საუკუნეების შესწავლით მეცნიერებს ძალუძთ გამოავლინონ წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის არსებული ურთიერთმიმართებანი და ადგილი გამოუნახონ ეთნოსებს და ნაციებს ისტორიაში“ [19. 92-93].

ეთნოსთა ერთობლიობა და კულტურული სიმბოლოები ერის წარსულსა და აწმყოს შორის გადებული ხიდია. სახელწოდება „ეთნოსიმბოლიზმი“ ტერმინებიდან „ეთნოსი“ და „სიმბოლო“ წარმოდგება. ეთნოსიმბოლიზმი უარყოფს მოდერნისტების მიერ დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეთნოსის ფორმირების ექსკლუზიური უფლება პოლიტიკურ ელიტას ეკუთვნის. სოციალური მობილიზაციის წყალობით ისინი პოლიტიკური ლიდერების და ელიტის გადაწყვეტილებებზე ყოველთვის ზეგავლენას ახდენდნენ. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს ირლანდიაში გლეხობისა და დაბალი ფენის ქალაქელთა აქტივობამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევება

გამოიწვია. საქართველოში 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობას თავდაპირველად სტუდენტები და თბილისის რიგითი მოქალაქეები ჩაებნენ. ეთნოსიმბოლისტური კონცეფცია მხედველობაში იღებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას, თუმცა აკვირდება მთლიან პროცესს და ისტორიულ-კულტურული ინდიკატორების მიხედვით ახდენს მათ სისტემატიზაციას. რელიგიური იდენტობა, როგორც ყველაზე ძლიერი კომპონენტი ეთნოკულტურისა, გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ პროცესში. ნაციონალიზმის საკითხის ანალიზს უამრავი კვლევა მიეძღვნა. მისი წარმოშობის დროისა და ფორმების შესახებ განსხვავებული ხედვები არსებობს. ენტომი სმითი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა თანამედროვე ერებისა და მათი შორეული „ორეულებისაგან“ ჩამოყალიბდა [21].

ეთნოსიმბოლისტებს მიუღებლად მიაჩნიათ ერების მთლიანად ახალი პერიოდის ფენომენად წარმოსახვა და ერის ისტორიაში გარკვეული ეთნიკური ერთობის როლის უგულებელყოფა. ეთნოსიმბოლიზმი მჭიდროდ აკავშირებს თანამედროვე ერებს მათ ეთნოსოციალურ წინაპრებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სხვადასხვა გარემო ფაქტორი - ერთი მხრივ, ლოკალურად განვითარებული მოვლენები, მეორე მხრივ, საგარეო გავლენების ზრდის შედეგად ყალიბდებოდა ქართული იდენტიფიკაციის რეალობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართული ნაციონალიზმი ძირითადად ორ მოვლენაში გამოიხატა. ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ დაწყებული სტალინის კულტის დაგმობა და 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მასშტაბური დემონსტრაციები, რომელიც ქართული სახელმწიფო ენის სტატუსს შეეხებოდა, ამავდროულად, გრძელდებოდა ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრება სხვა ეთნოსებთან. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აღზევდა, რომლის სათავეში ზვიად გამსახურდია იყო [9].

საბჭოთა იდეოლოგიამ, ცენზურამ და ეროვნული თემების აქტუალიზაციამ ხელი შეუშალა ქართული იდენტობის დაცვას და ბუნებრივად განვითარებას საერთაშორისო მასშტაბით. 70 წლის განმავლობაში ისტორიული ფაქტები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შუქდებოდა ცალმხრივად, ტენდენციურად, ქართველი ერის ისტორიის საზიანოდ. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე ყოველივე ამას სწორი განსჯა და ინტერპრეტაცია სჭირდება [22. 44].

ამრიგად, ინფორმაციული ვაკუუმი იყო ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომლის გადაჭრის ქაოსური და არასტაბილური გზების ძიება შემოქმედ და მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფებისთვის აუცილებელ, გარდაუვალ რეალობად იქცა „რკინის ფარდის“ რღვევის, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე. არსებულმა რეალობამ საზღვრების გახსნის, ინფორმაციის შემოდინებისა და გაცვლის თვალსაზრისით კულტურული პროცესების განვითარება რადიკალურად შეცვალა. საწყისი ეტაპიდან დღემდე მიმდინარე მოვლენებთან ერთად აღინიშნება მრავალი ხარვეზი, მერყევი და არასტაბილური მდგომარეობა, რაც ეთნოსიმბოლისტთა მტკიცებით, განაპირობებდა კონკრეტული ხალხის ნაციონალიზმი და ამ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები. ნაციონალიზმი გარდაუვლად გამოდის წინა პლანზე, არა მხოლოდ როგორც ძალა, რომელმაც შექმნა ეროვნული სახელმწიფო, არამედ როგორც მასობრივი მობილიზებული იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავს „ნაციონალების“ მისწრაფებებს. ნაციონალიზმი ცვლის ეროვნულ იდენტობებს „ნაციონალისტურ იდენტობად“ და აღნიშნავს ერს ახალი მახასიათებლებით. ნაციონალიზმის დაძლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა თანამშრომლობას, მათი მეგობრობის განმტკიცებასა და ურთიერთკავშირის გაძლიერებას. თანამედროვე პირობებში მეტად საჭიროა ეროვნული პოლიტიკის სწორად და თანმიმდევრულად გატარება. ჩვენი წინსვლა შეუძლებელია ძველ აზროვნებაზე დაყრდნობით, ძველებური მიდგომითა და სტერეოტიპის მიხედვით. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თანამედროვე რეალობა და მოთხოვნათა ზრდა [23].

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაციონალიზმი არ არის უნივერსალური მოვლენა და როგორც ქართული, ასევე, ყოველი კონკრეტული ხალხის ნაციონალიზმი უნიკალური და ცალკე შესწავლის საგანია.

SALOME GIORGADZE

GEORGIAN NATIONALISM AND ETHNOSYMBOLISM IN THE MODERN WORLD

Summary

Nationalism and related concepts are complex and multifaceted. It is not only the theoretical approaches discussed in the article and the opinions of researchers, but also the history that is connected with it. Ed. Smith distinguishes two main models of the nation, the creation of which was determined by different historical contexts: the Western one, which is based on the unity of the national territory, the official equality of citizens and the common popular culture that unites them, and the Eastern one, which arose from the efforts of the intelligentsia to free their ethnic groups from the yoke of empires. By general definition, Western and Eastern nationalism are different. In contrast to Western Europe, where the formation of the modern nation-state took place at the same time as the formation of the nation and the state. In the case of Georgia, like in East-Central and South-Eastern Europe, the nation was first constructed and then the national borders were determined through ethno-cultural identity, where the construction of a modern state begins. The Georgian national identity formed in the 19th century fully corresponds to the second model, because the consolidation of the nation took place through the efforts of the intelligentsia and ethnic accents, but we also share the opinion expressed by Smith, where we should not exaggerate the difference between these two models of nationality. In various stages of both Western and Eastern nationalism, elements of both can be found. This is evidenced by the fact that in Chavchavadze's national narrative, civic values, including the issue of equality of citizens, ethnic and religious factors, etc., occupy an important place. Along with the current events from the initial stage to the present day, there are many gaps, fluctuating and unstable conditions, which, according to ethnosymbolists, caused the nationalism of specific people and the conflicts arising on this ground. In overcoming nationalism, the cooperation of peoples, strengthening of their friendship and strengthening of mutual relations is of great importance. It is important to conduct the national policy correctly and consistently in modern conditions.

Key word: *Nationalism, ethnosymbolism, national identity, ethnos, nation.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სურგულაძე ა., „რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, თბ., 1963.
2. ოსიძე ლ., „ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები“, თბ., 2021.
3. Suny, R. G. (1994). The Making of Georgian nation. Bloomington: Indiana University Press
4. გოგსაძე გ., „სივრცე და პოლიტიკა“ (სასწავლო კურსი, მე-2 გამოცემა), თბ., 2022.
5. Ozkirimli, U. 2010. Theories of Nationalism A critical introduction. (2nd ed). New York: Palgrave Macmillan, P. 35
6. შუბითიძე კ., „საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალურ პროექტზე 1910-იან და 1980-იან წლებში (შედარებითი ანალიზი)“. თსუ, თბ., 2022.
7. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Konstantine_Shubitidze.pdf (უკანასკნ. ნანახია 08.12.2022)
8. Richard Pipes, The formation of The Soviet Union, 1997
9. ჯონსი ს., „პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ., 2013.
10. ჯ. ჰატჩინსონი „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიის ფარგლებში., ჩხაიძე 2016, გვ. 6, 41
11. ჩხაიძე ი., „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, ღია საზოგადოება, თბ., 2009.
12. ყორანაშვილი გ, ეროვნული საკითხი, თბ., 1997, გვ. 198
13. გოგიაშვილი, ო., ,ილია ჭავჭავაძე-ქართველი ერის ეროვნული იდეოლოგია, თბ., 2013 გვ. 35 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა"
14. ლობჟანიძე გ., „ისტორიული პარალელები“, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1999.

15. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, ჩვენი საზოგადოებრივობა, წიგნი მეორე, ტფილისი., 1911.
16. შუბითიძე ვ., „ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის შესახებ“, https://for.ge/view/27839/niko-nikolaZe-qarTuli-saxelmwifos-gonivrulad-mowyobis-Sesaxeb.html (უკანასკნ. ნანახია 08.12.2022)
17. შუბითიძე ვ., „ნიკო ნიკოლაძე - კაცი-სახელმწიფო“, თბ., 2013.
18. ნოდია, გ. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ჟურნალი „Identity Studies.”, თბ., 2009 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
19. ე. დ. სმითი, ,ნაციონალიზმი, თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილი, თბ., 2004
20. https://borjomi.tv/axali-ambebi/sazogadoeba/article/16068-17-maisi-ojakhis-sitsmindis-dghea (უკანასკნ. ნანახია 11.12.2022)
21. ჯაფარიძე შ., „პოლიტოლოგია“, დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლის სტუდენტე-ბისათვის, გამომცემლობა ,,ირმისა“ , თბილისი-ბათუმი 1995.
22. ჭუმბურიძე ო., „პოლიტოლოგია (ზოგადი კურსი, მეორე შევსებული გამოცემა)“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2014.

ინა ნაცვალაძე
წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა

ევროსკეპტიციზმი და რადიკალიზმის აღორძინების ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთი ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს კერას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ახდენდა აღმოსავლეთის ქვეყნების ცივილიზაციების საუკეთესო გამოცდილებათა აკუმულაციას. საუკუნეების მანძილზე ერთგვარი დიფუზია მინდინარეობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის. ისინი ერთიმეორისაგან იღებდნენ იმას, რაც მისაღები იყო მათი მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და ბუნებისათვის. რაც შეეხება თანამედროვე ევროპას, თავისი სიახლეებით, მოდერნიზაციით, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვითა და გლობალიზაციით, აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობისათვის, მისი რწმენიდან გამომდინარე, აბსოლუტურად მიუღებელი ფენომენია. რადიკალური ძალები ამ ფაქტზე აპელირებით აწარმოებენ პოპულისტურ დისკურსებს „ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვის“ სახელით, რომელშიც თავიანთი იდენტობის დადგენას ახორციელებენ სხვა იდენტობის „ნეგაციით“. შესაბამისად, ამ დისკურსის წიაღში ქრისტიანობა პოზიტიური შინაარსს კარგავს და გამოიყენება როგორც ინსტურმენტი სხვისი იდენტობის უარყოფის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *ევროპული ღირებულებები. ევროსკეპტიციზმი. რადიკალიზმი. ევროპის ლტოლვილთა კრიზისი.*

მიგრაციის პროცესი ერთ-ერთი მაპროვოცირებელი მოვლენაა სკეპტიციზმის ზრდაში. არაერთი სამიტი მიეძღვნა არალეგალური მიგრაციის პრობლემის აღმოფხვრას, ეს პრობლემა მალევე გასცდა უბრალოდ მიგრაციის ფარგლებს და მწვავე პოლიტიკურ კრიზისად გარდაიქმნა.

მიგრანტების კრიზისი პირდაპირ კავშირშია იმ პოლიტიკურ რყევებთან, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე შეიმჩნეოდა ევროკავშირის შიგნით. ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, უნგრეთი, სლოვაკეთი) ღიად იბრძვის ევროპულ სასამართლოში, რათა ხელი შეუშალოს ევროკავშირის გეგმებს მიგრანტების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განაწილებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროკავშირი უარს ვერ იტყვის იმ პრინციპებზე, რაც, ასე ვთქვათ, არსებითია ამ ორგანიზაციისთვის, მაგალითად, ადამიანების თავისუფალ გადაადგილებაზე ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზრდის მიგრაციის პროცენტს, ის იმ ინსპირაციის ნაწილია, რაც ევროკავშირის შექმნის იდეას ასაზრდოებდა.

ამას ემატება ისიც, რომ როცა შენ ხარ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკური კავშირი, გაქვს ძალაუფლება და რესურსები, თვალს ვერ დახუჭავ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე და, ალბათ, არც საკუთარ საზღვრებში ჩაკეტვაა დასაშვები. მიუხედავად საკუთარი დისკომფორტისა, ევროკავშირს რაღაც ეტაპზე მაინც მოუწევდა იმ შედეგებთან გამკლავება, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი ცვლილებები იწვევს.

გლობალიზაციის ეპოქაში ნებისმიერი ლოკალური კატასტროფა შეიძლება მთელს მსოფლიოზე გავრცელდეს და როგორც წესი, რაც უფრო დაგვიანებულია რეაქცია, რაც უფრო თავს არიდებს ესა თუ ის მხარე თვალი გაუსწოროს პრობლემას, მით უფრო მძიმეა ხოლმე შედეგიც.

შესაბამისად, პროცესების გარკვეულ ეტაპზე სირიაში არსებული სიტუაციის მსგავს დონემდე მიყვანამ რეალურად შემდეგში შექმნა ყველა ის პრობლემა და კრიზისი, რასაც დღესდღეობით ებრძვის ევროკავშირი.

ევროკავშირის ლიდერები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ საერთო პოზიციის ჩამოყალიბებას, თუ რა იყო საუკეთესო გა-

მოსავალი შექმნილი სიტუაციიდან, თუ როგორ უნდა ემოქმედა ევროკავშირს.

თანამედროვე ეტაპზე მემარჯვენე რადიკალურ პოზიციებზე მარჯვნივ განთესილ პარტიათა აღმასვლის მთავარ მაკროფაქტორად გვევლინება მიგრაცია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებული კვლევები, ასევე 21-ე საუკუნის დასაწყისში მომზადებული სოციოლოგიური გამოკითხვებით დასტურდება, რომ მიგრაციის ზრდა მემარჯვენე რადიკალური პარტიების მხარდაჭერის მატების მაპროვოცირებელი ფაქტორია.

ლტოლვილობის კრიზისმა გამოიწვია ევროკავშირის ინსტიტუციების და ორგანიზაციების აზრთა უთანხმოება. დახურული კარის პოლიტიკის ფარგლებში, ზოგმა ევროპულმა ქვეყანამ უარი თქვა ლტოლვილების მიღებაზე, ევროპის ბევრმა ქვეყანამ დახურა თავისი საზღვრები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთი ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს კერას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ახდენდა აღმოსავლეთის ქვეყნების ცივილიზაციების საუკეთესო გამოცდილებათა აკუმულაციას.

საუკუნეების მანძილზე ერთგვარი დიფუზია მინდინარეობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის. ისინი ერთიმეორისაგან იღებდნენ იმას, რაც მისაღები იყო მათი მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და ბუნებისათვის.

რაც შეეხება თანამედროვე ევროპას, თავისი სიახლეებით, მოდერნიზაციით, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვითა და გლობალიზაციით, აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობისათვის, მისი რწმენიდან გამომდინარე, აბსოლუტურად მიუღებელი ფენომენია.

რადიკალური ძალები ამ ფაქტზე აპელირებით აწარმოებენ პოპულისტურ დისკურსებს „ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვის“ სახელით, რომელშიც თავიანთი იდენტობის დადგენას ახორციელებენ სხვა იდენტობის „ნეგაციით“.

შესაბამისად, ამ დისკურსის წიაღში ქრისტიანობას პოზიტიური შინაარსი კი არ აქვს, არამედ გამოიყენება როგორც ინსტურმენტი სხვისი იდენტობის უარყოფის პროცესში. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ რადიკალი მემარჯვენე პარტიების მხრიდან ქრისტიანობის პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზება ჰომოგენური ხასიათის მატარებელია. რის თქმით, ევროპის რადიკალური მემარჯვენე პარტიები ქრისტიანულები „მხოლოდ იმდენად არიან, რამდენადაც ისინი ისლამს უარყოფენ“.

იმავეს ადასტურებს როჯერ ბრუბაკერის კვლევა, რომელიც პოპულიზმს საზოგადოდ „პოლიტიკის კეთების სტილად“ აღიქვამს და დასავლეთ ევროპული ქვეყნების ანალიზზე დაყრდნობით ამბობს, რომ ქრისტიანობა „ცივილიზაციონიზმის“ დისკურსის ინსტრუმენტია, სადაც ისლამი წარმოჩენილია, როგორც მტერი, ხოლო მის საპირწონედ აიგება „ქრისტიანიზმის“ დისკურსი. პარადოქსულად, ბრუბაკერის თქმით, ისლამის, როგორც ჩამორჩენილი ცივილიზაციის კრიტიკისას, იგი გამოიხმობს ისეთ დასავლურ სიკეთეებს, როგორიცაა, უმცირესობათა უფლებები. ბრუბაკერის მაგალითი სწორედ იმის დასტურია, თუ როგორ იყენებს რადიკალური პოლიტიკური დისკურსი ქრისტიანობას, არა როგორც თეოლოგიურ შინაარსს, რომელიც ამ შემთხვევაში ლიბერალური პოლიტიკური ეთიკის საპირისპირო უნდა ყოფილიყო, არამედ როგორც „რიტორიკულ სტილსა“ და პოლიტიკურ პოზას „ქრისტიანული ცივილიზაციისა“ და „ისლამური კულტურის“ შეპირისპირების მიზნით. ეს, თავის მხრივ, რუას მიერ ხსენებულ პოლარობას გვაგონებს: „კარგი ჩვენ“ და „ცუდი ისინი“. შესაბამისად, რუას და ბრუბაკერის კვლევები მოწმობს, რომ რელიგიის პოპულისტური გამოყენება იდენტობაზეა ორიენტირებული და მკაფიოდ ნეგატიურია.

თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც დამოკიდებულია გლობალიზაციის ძლიერ პროცესებზე, სახელმწიფო იდენტურობა (მოქალაქეობა) ხშირად ერთგვარ აბსტრაქციაშია, ხოლო იდენტობის პლურალიზაციას კი თან ახლავს ძალადობის ზრდა და ქსენოფობია; ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებში გავრცელებული სტერეოტიპების მიხედვით, კრიმინალის შემთხვევების უმრავლესობა ემიგრანტებთან და მათ საქმიანობასთან ასოცირდება.

მე-9 მოწვევის ევროპარლამენტში (2019-2024) წარმოდგენილია ორი სრულფასოვნად ევროსკეპტიკოსი ფრაქცია. ესენია:

- იდენტობა და დემოკრატია (რომელშიც შედის, კერძოდ, ავსტრიის თავისუფლების პარტია, ბელგიური ფლამანდური ინტერესები, ალტერნატივა გერმანიისთვის. დანიის სახალხო პარტია, იტალიური „ლიგა“, ფინელების პარტია და საფრანგეთის „ნაციონალური ასო-

ციაცია“) - სულ 73 დეპუტატი 751-დან (9,7%);

- „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები“ (რომელშიც შედიან, კერძოდ, ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია, ესპანური Vox, ჰოლანდიური „ფორუმი დემოკრატიისთვის“ და პოლონური „კანონი და სამართლიანობა“) - 62 დეპუტატი (8,3%).

გარდა ამისა, ევროპარლამენტში ასევე არის ჯგუფი „თავისუფლებისა და პირდაპირი დემოკრატიის ევროპა“ (თუმცა, 2019 წლის ზაფხულიდან ამ ჯგუფმა დაკარგა სრულფასოვანი ფრაქციის სტატუსი). ჯგუფში შედის, სხვათა შორის, ბრიტანული Brexit-ის პარტია, იტალიური ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა და ფრანგი პატრიოტები - 42 დეპუტატი (5,6%).

ვიდრე ევროკავშირი შედარებით წარმატებით ვითარდებოდა, ევროსკეპტიკოსები, განსაკუთრებით კონტინენტის ქვეყნებში, საკმაოდ მარგინალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ და არ იყვნენ სერიოზული კონკურენტები ძირითადი პარტიებისთვის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ევროპულ ინტეგრაციას. 2000-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებულმა კრიზისულმა ფენომენებმა საკუთარი კორექტირება მოახდინა კონტინენტის პოლიტიკურ ლანდშაფტში.

ევროზონის კრიზისი გახდა ფუნდამენტური შიდა ფაქტორი ევროკავშირში პოლიტიკური განწყობის შეცვლისთვის. ეს კრიზისი ევროპული პროექტის ძლიერი „ბირთვისა“ (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები) და „პერიფერიების“ განსხვავებული ეკონომიკური „სიჩქარეების“ შედეგი იყო [1].

კიდევ ერთი ფაქტორი იყო ევროკავშირის ფართომასშტაბიანი გაფართოება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე, რომელთა ეკონომიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა EEC-ის შემქმნელ „ძველ“ სახელმწიფოებს.

გარე კრიზისული ფაქტორი, რომელიც მთელი ძალით გამოვლინდა 2010-იანი წლების შუა პერიოდში, იყო დესტაბილიზაცია სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, რამაც გამოიწვია ასობით ათასი მიგრანტის ყოველწლიური შემოდინება ევროპაში დიდი შუა, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის მუსულმანური ქვეყნებიდან.

ევროპის ქვეყნების მოუმზადებლობა ასეთი მოვლენებისთვის არა იმდენად სასაზღვრო სამსახურების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაში, არამედ მიგრაციული კრიზისის მოგვარებისა და ახალმოსახლეების ინტეგრაციის რაიმე საერთო სტრატეგიის არარსებობაში მდგომარეობდა. ადრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი პოტენციური მოქალაქეების ინტეგრაციის პოლიტიკა, მ.შ. ყოფილი კოლონიებიდან საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა. მაშინ მათზე მიგრაციული ზეწოლა შედარებით სუსტი იყო და განათლებისა და შრომის სფეროთა სახელმწიფო პოლიტიკა წარმატებით მუშაობდა მიგრანტების ასიმილაციაზე მათი შესაბამისი ქვეყნის კულტურულ სფეროში ჩანერგვით.

1990-იანი წლების დასაწყისისთვის ასიმილაციის იდეის ნაცვლად მოვიდა მულტიკულტურალიზმის, ტოლერანტობისა და „პოზიტიური დისკრიმინაციის“ ცნებები [2].

ეს ცნებები ეფუძნებოდა ბოლო საუკუნეების ევროპული ისტორიის კრიტიკულ გადახედვას, რაც თითქოსდა დასავლეთის დანაშაულთა სერია იყო დანარჩენი, არადასავლური სამყაროს წინააღმდეგ, რისთვისაც ევროპის ქვეყნებს შესაბამისი ფასის გადახდა მოუწიათ [3].

„მულტიკულტურულმა“ მიდგომამ გამოიწვია მიგრანტების დომინანტურ კულტურაში ინტეგრაციის პროცესის გართულება, ევროპის მრავალი დიდი ქალაქის გარეუბნებისა და უბნების „გეტოიზაცია“ და კრიმინალიზაცია [4].

კრიმინალური მდგომარეობის გაუარესებამ ევროპელ ამომრჩევლებში უარყოფითი გრძნობები გამოიწვია არა მხოლოდ „უცხოების“, არამედ საკუთარი პოლიტიკური ელიტების მიმართაც, რომლებსაც ადანაშაულებდნენ იმაში, რაც ხდებოდა [5].

2010-იანი წლების დასაწყისისთვის ევროპელი ლიდერები გერმანიის კანცლერი ა. მერკელი [6], ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დ. კამერონი [7] და საფრანგეთის პრეზიდენტი ნ. სარკოზი [8] აღიარებდნენ კონტინენტზე „მულტიკულტურული“ საზოგადოების აშენების მცდელობების „მარცხს“. ამავდროულად, არ იყო შემოთავაზებული ახალი მექანიზმები იმიგრანტული წარმომავლობის მქონე ახალგაზრდების რადიკალიზაციასთან ინტეგრაციისა და წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

იმიგრაცია და ტერორიზმი გახდა მკვეთრი გამოწვევა ევროკავშირის ერთიანობისთვის და

კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კონტინენტური ინტეგრაციის ისეთ მიღწევას, როგორიცაა შენგენის ზონა. ამ კონტექსტში, ევროსკეპტიციზმი, რომელიც ევროპის ეროვნული სახელმწიფოების წინაშე არსებული პრობლემების მიზეზს ხედავს ზენაციონალური „ბრიუსელის ბიუროკრატიის“ „დიქტატურაში“ ჯერ „მდგრადი ფენომენი“ [9], შემდეგ კი ევროპის „ახალ ნორმად“ იქცა [10].

მეინსტრიმული პოლიტიკური ძალები ხშირად იღებენ სულ უფრო პოპულარულ ევროსკეპტიკურ რიტორიკას, როგორიცაა ბრძოლა მასობრივი იმიგრაციისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ [11], ან ევროკავშირის რადიკალური რეფორმის [12] საჭიროება.

2016 წლის რეფერენდუმმა დიდ ბრიტანეთში კიდევ უფრო მეტი ლეგიტიმაცია შესძინა ევროსკეპტიკოსებისა და ნაციონალისტების პოპულისტურ იდეოლოგიებს, რომლებსაც ისინი დასავლეთის ფართო საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეებშის ქადაგებენ.

დროთა განმავლობაში ევროსკეპტიციზმმა ცვლილებები განიცადა ევროკავშირის სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად და ახალი ეტაპები შეიძინა პან-ევროპული მშენებლობის პროექტის განხორციელებაში, რაც დაკავშირებულია როგორც ევროკავშირის საზღვრების გაფართოებასთან, ასევე შიდა გაღრმავებასთან. თუკი 1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროსკეპტიკოსთა წილი თანამეგობრობის ქვეყნებში არ აღემატებოდა 13%-ს, ხოლო 57% აქტიურად უჭერდა მხარს ინტეგრაციის პროექტს [13].

ამ პერიოდში ევროპელები ევროკავშირის მთავარ პრობლემად ფასების ზრდას (20%), რეგიონულ უთანასწორობას (14%), ასევე ერთიანი ვალუტის შემოღებას, გარემოსდაცვით პრობლემებსა და უმუშევრობას ასახელებდნენ. ამავდროულად, ევროკავშირში დემოკრატიის დონით კმაყოფილთა და უკმაყოფილო ადამიანთა რაოდენობა 44%-ს შეადგენდა [14].

2006 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები (45%) ორი წლით ადრე ევროკავშირის გაფართოებას ეთანხმებოდა, ხოლო მოქალაქეების თითქმის იგივე რაოდენობა იყო წინააღმდეგი (42%). გერმანიის მოსახლეობის 66%, ლუქსემბურგის - 65%, საფრანგეთის - 62%, ავსტრიის - 61% და ფინეთის - 60% მოსახლეობის უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა შემდგომ გაფართოებას [15].

2017 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვით კი რესპონდენტთა 47% არ ენდობა ევროკავშირის ინსტიტუტებს (42%-ის წინააღმდეგ) და ამ პერიოდისთვის კი ევროპელებმა უკვე ევროკავშირის მთავარ პრობლემად ტერორიზმი (44%), იმიგრაცია (38%) და ეკონომიკური მდგომარეობა (18%) დაასახელეს. მათ, ვისაც არ სჯეროდა, რომ მათი ხმა რაიმეს ნიშნავს ევროპულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში, იყო 52%, ხოლო ვისაც სჯეროდა - 42% [16].

ამრიგად, მაშინ როცა ევროინტეგრაციით ეკონომიკური უკმაყოფილების დონე პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა თითქმის ორნახევარი ათწლეულის განმავლობაში, ისეთი საკითხები, როგორიცაა ტერორიზმი და იმიგრაცია, რომლებიც მანამდელ კვლევებში არც კი დაფიქსირებულა, წინა პლანზე წამოიჭრა.

საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, სხვადასხვა იდეოლოგიური სპექტრის პარტიების პროგრამული პარამეტრები შეიცვალა. პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც დღეს ევროსკეპტიკოსებად არიან კლასიფიცირებული, თავიანთი საქმიანობის ადრეულ ეტაპზე ზოგადად დადებითად იყვნენ განწყობილი ევროინტეგრაციის იდეასა და განხორციელებაზე. ასეთ პოლიტიკურ ძალებს შორის იყვნენ, კერძოდ, ბრიტანელი კონსერვატორები, პოლონური სამართალი და სამართალი, იტალიის ლიგა ან უნგრეთის ფიდესი. სხვები კი, როგორიცაა: საფრანგეთის ეროვნული მიტინგი, ავსტრიის თავისუფლების პარტია, დანიის სახალხო პარტია, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ან ფინეთის პარტია, ნეიტრალურები იყვნენ.

მეცნიერთა აზრით, ევროპელთა მხრიდან ევროკავშირის მიმართ მზარდი უნდობლობის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს, ესენია:

1) ერთიანი ევროპის პროექტი, რომელიც ვერ გაუძლო „გლობალიზაციის გამოცდებს“, ვერ შეადუღაბა ევროკავშირთან ეროვნული სახელმწიფოები და ვერ შექმნა მათთვის ახალი, ერთიანი იდენტობა;

2) 1990-იან წლებში ევროკავშირის ხელმძღვანელობაში ახალი ელიტები მოვიდნენ, რომლებიც ორიენტირებულნი იყვენ „გლობალისტური“ პროექტის მშენებლობაზე და ცალკეული სუვერენული სახელმწიფოების არსებობა მის განხორციელებაში დაბრკოლებად მიიჩნიეს;

3) ევრაზიის გეოპოლიტიკური რუქიდან საბჭოთა კავშირის გაქრობა, რომელიც „აშშ-თან ერთად მნიშვნელოვანი პოლუსი იყო ერთიანი ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში“.

როგორც დ. ლივენი აღნიშნავს, თავდაპირველად ევროკავშირი იყო „მცდელობა, შეენარჩუნებინა ევროპელების ადგილი წამყვანი მსოფლიო ძალების ჯგუფში“ ომისშემდგომი ტრანსფორმაციისა და მსოფლიო აქტორების „გაფართოების“ კონტექსტში. ცივი ომის ბარიერები. ევროპული პროექტის ფუნდამენტური პრობლემა იყო „კონტინენტური (ანუ იმპერიული) ხელისუფლების ლეგიტიმაციის შეუძლებლობა რეგიონში, რომელმაც გამოიგონა თანამედროვე ნაციონალიზმი“ [17].

ამჟამად, როგორც ა. სმიტი აღნიშნავს, ერი გახდა სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის ნორმა, ხოლო ნაციონალიზმი, სხვადასხვა ფორმით, ყველაზე გავრცელებული იდეოლოგიაა. „ზეეროვნული გაერთიანებების“ შექმნის ყველა მცდელობა აქამდე წარუმატებელი აღმოჩნდა მოქალაქეებისათვის ისეთი ერთნაირი ლოიალობის უზრუნველყოფის უუნარობის გამო, რასაც ადამიანს ერისადმი კუთვნილება აძლევს.

სმიტი აღნიშნავს, რომ „აბსტრაქტულ „ევროპას“ არ შეუძლია თანაბარი კონკურენცია გაუწიოს თითოეულ ევროპული ერის ფესვგადგმულობას [18].

ცალკე დისკუსიის თემაა ის, ფაქტი, რომ მუსლიმების პრობლემა ევროპაში დაკავშირებულია არამხოლოდ კულტურულ და რელიგიურ განსხვავებებზე, არამედ ძალიან მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ განზომილებებზეც. ემიგრანტების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ ქვეყანაში ცხოვრობს (და თანაც შესაძლოა ქალაქის ცენტრშიც) გაუნათლებელია.

რა თქმა უნდა, ისინი ევროპული საზოგადოებისაგან იზოლირებულები არიან და თავიანთი მინისამყარო აქვთ. ზუსტად ამ ევროპის შუაგულის მინი ისლამურ სამყაროში ხდება ექსტრემისტული იდეების გავრცელება. დანაშაულის ზრდის საკითხები ხანდახან დემოკრატიის კრიზისის, დემოკრატიის პირობებში კანონისა და წესრიგის შესუსტების არგუმენტებსაც უკავშირდება.

ასეთ ვითარებაში ევროპული საზოგადოების გარკვეული ნაწილი იწყებს მეინსტრიმული პოლიტიკის ალტერნატივის ძებნას, რაც, საბოლოო ჯამში, რადიკალური მემარჯვენე პარტიებისადმი მხარდაჭერაში აისახება. მათი იდეოლოგიური პლატფორმა, რიდგრენის აღწერით, მიმართულია ერის გაძლიერებაზე მისი ჰომოგენურობისა გაზრდისა და ტრადიციულ ღირებულებებთან დაბრუნების გზით.

მემარჯვენე პოლიტიკურმა პარტიებმა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან შეიძინეს ინსტიტუციური სხეული - ჩაერთნენ ქვეყნების აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი ნაწილი საკანონმდებლო ორგანოებსა და მთავრობების ფორმირებაშიც იღებენ მონაწილეობას. პოლონელი მკვლევარი ვლადიმერ სირაკოვსი, აღნიშნავდა, რომ 2018 წელს მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის 15 ქვეყნიდან შვიდში პოპულისტური მემარჯვენე ძალები მთავრობაში არიან, ორ ქვეყანაში - კოალიციურ მთავრობაში, სამ ქვეყანაში კი მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ [19].

რადიკალური მემარჯვენე პარტიების დაწინაურება სხვადასხვა მიზეზებმა - მიკრო, მაკრო და მეზო ფაქტორებმა განაპირობეს - დაწყებული ინდივიდუალური და ფსიქოლოგიური გარემოებებიდან, უმუშევრობიდან და კრიმინალიდან დამთავრებული მიგრაციით, რომელმაც, თავის მხრივ, მულტიკულტურალიზმისა და კულტურული იდენტობის კრიზისი გამოიწვია. რეალურად, რადიკალური მემარჯვენე ძალების მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ევროპის იმ სახელმწიფოებში, სადაც მიგრაციამ უფრო ინტენსიური და მაშტაბური სახე შეიძინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kelemen R.D. Saving the euro, dividing the union // FA. 21.01.2013. https://www.foreignaffairs.com/articles/europe/2013-01-21/saving-euro-dividing-union
2. Gottfried P.E. The strange death of Marxism: The European Left in the new millennium. Columbia, Mo.: University of Missouri Press, 2005.

3. Брюкнер П. Тирания покаяния: Эссе о Западном мазохизме. СПб: Издательство Ивана Лимбаха, 2009
4. Radical Islam on rise in Belgian mosques // Politico.eu. 8.02.2017. http://www.politico.eu/article/radicalislam-on-rise-in-belgian-mosques/.
5. Саррацин Т. Германия. Самоликвидация. М.: Рид групп, 2012; Murray D. Op. cit.; Phillips M. Londonistan: how Britain is creating a terror state within. London: Encounter Books, 2007; Wilders G. Marked for death: Islam's war against the West and me. Washington, D.C.: Regnery Pub.; New York: Perseus Distribution, 2012.
6. Angela Merkel declares death of German multiculturalism // The Guardian. 17.10.2010. https://www.theguardian.com/world/2010/oct/17/angela-merkel-germany-multiculturalism-failures.
7. Multiculturalism has failed in Britain — Cameron // Reuters. 5.02.2011. http://uk.reuters.com/article/ukbritain-radicalisation-idUKTRE71401G20110205.
8. Nicolas Sarkozy declares multiculturalism had failed // The Telegraph. 11.02.2011. https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/france/8317497/Nicolas-Sarkozy-declares-multiculturalismhad-failed.html.
9. Usherwood S., Startin N. Euroscepticism as a Persistent Phenomenon // Journal of Common Market Studies. 2013. № 51(1). P. 1-16.
10. Harding G. Euroscepticism: The EU's new normal // EUobserver. 9.06.2016. https://euobserver.com/opinion/133747.
11. Judis J.B. Op. cit.; Бышок С. Новая Европа Владимира Путина.
12. The EU must reform or face a Frexit, says Emmanuel Macron // The Telegraph. 01.05.2017. http://www.telegraph.co.uk/news/2017/05/01/eu-must-reform-face-frexit-says-macron/.
13. Якунин В. Европейцы в поисках новой Европы // Власть. 2016. Т. 24, № 9. С. 6
14. Standard Eurobarometer 40. December 1993. P. 4. [Электронный ресурс]. http://ec.europa.eu/commfrontoffice/publicopinion/archives/eb/eb40/eb40_en.pdf.
15. Кобаяси К. Либеральный порядок: что дальше? // РГП. 29.10.2017. http://www.globalaffairs.ru/number/Liberalnyi-poryadok-chto-dalshe-19116.
16. Standard Eurobarometer 87. May 2017. P. 16. http://ec.europa.eu/commfrontoffice/publicopinion/index.cfm/ResultDoc/download/DocumentKy/79565.
17. Ливен Д. Революция 1917 года, война и империя // РГП. 29.10.2017. http://www.globalaffairs.ru/number/Revolyutciya-1917-goda-voina-i-imperiya-19109.
18. Smith A.D. Nationalism and modernism: a critical survey of recent theories of nations and nationalism. London, New York: Routledge, 1998. P. 195.
19. ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, თბ., 2019.

ნინო მაზიაშვილი
წარმოადგინა პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა

შოტლანდიური სეპარატიზმის ჩასახვა, მისი თავისებურებანი და პოლიტიკურ-ეკონომიკური წინაპირობები

დღევანდელ თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაუჭრელ პრობლემად კვლავ რჩება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ძალიან ბევრი მიზეზით და სწორედ აქედან გამომდინარე არაერთგვაროვანია კონფლიქტების გადაჭრის გზებიც. სახელმწიფოებმა ცალსახად და უპირობოდ უნდა დაიცვან 1970 წლის დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ და ეუთოს 1975 წლის დასკვნა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება მოლაპარაკების გზითა არის შესაძლებელი, მაგრამ, მაინც, ძალიან ბევრ პრობლემას ვხვდებით კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების დროს, რადგან მოლაპარაკება პოლიტიკური ნებაა და არა რაიმე სახის ვალდებულება.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები. სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში არსებული პრობლემა, გავლენას ახდენს, არა მხოლოდ იმ კონკრეტულ ქვეყანაზე, სადაც სეპარატისტული კერა არის და ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი დაჯგუფება არსებობს, არამედ საერთაშორისო მასშტაბებს მოიცავს და გავლენას ახდენს საერთაშორისო მშვიდობიან მოსახლეობასა და თანამეგობრობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი და მისი გადაჭრის გზები, რადგან ადგილობრივი კონფლიქტი პირდაპირ აისახება საერთაშორისო მშვიდობიან ურთიერთობებზე. ნებისმიერი ერთი ქვეყნის შიგნით არსებულმა სეპარატისტული დაჯგუფების წარმატების მიღწევამ, შესაძლოა, დომინოს პრინციპით წაახალისოს სხვა ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი დაჯგუფება და არეულობამ მოიცვას თანამედროვე საერთაშორისო მშვიდობიანი თანამეგობრობა. ნებისმიერი ხელისუფალი და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების მთავარი მოქმედი პირები იძულეულნი ხდებია, იზრუნონ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებულ მშვიდობიან პროცესებზე. აღნიშნული შეიძლება გამოხატული იყოს სადამკვირვებლო მისიით, ჰუმანიტარული ან/და ინტერვენციით და სხვა. სეპარატიზმის პრობლემებისა და ერთა თვითგამორკვევის მოძრაობების შესწავლით, ნათელი ხდება, რომ ესა თუ ის მოძრაობა განსხვავებულად ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. საგულისხმოა, ასევე, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს სეპარატიზმის ჩამოყალიბებას და რა განაპირობებს ერთა თვითგამორკვევის მოძრაობების წარმოშობას და შემდგომში განვითარებას, ეს შეიძლება იყოს ერთის მხრივ ეკონომიკური, ხოლო, მეორეს მხრივ - ეთნიკური იდენტობის არგუმენტების გამოყენება.

***საკვანძო სიტყვები**: სეპარატიზმი, საერთაშორისო კონფლიქტები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები, სუვერენიტეტი, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, უსაფრთხოება.*

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში მიმდინარეობს სეპარატიზმი, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში, შესაძლოა, გადაიზარდოს აგრესიულ სეპარატიზმში. საერთაშორისო თანამეგობრობამ, დროულად უნდა გაავლოს ზღვარი თვითგამორკვევასა და სეპარატიზმს შორის.

ევროპულ სეპარატიზმზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ „ნისლიანი ალბიონი“. ბრიტანელები ყოველთვის ცალკე კუნძულად თვლიდნენ თავს, ევროკავშირში ყოფნის პერიოდშიც, ისინი საკმაოდ დიდი პრივილეგიით სარგებლობდნენ, არ იზიარებდნენ იმ საერთო პუნქტებს, რაც სხვა ევროპული ქვეყნებისთვის ერთნაირი იყო. ისეთი როგორიცაა: ფულადი სისტემა, საზღვრების კონტროლი, გადასახადები და ა.შ. ბრიტანელები ევროკავშირის პირველი სეპარატისტები იყვნენ და შესაბამის შედეგსაც მიაღწიეს, თუმცა საინტერე-

სოა „ბრექსიტმა“ რამდენად მოახერხა, ნისლიან ალბიონზე ერთიანობის შენარჩუნება?

დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო 2016 წელს, ევროკავშირის დატოვების შესახებ საკმაოდ რეზონანსული გახდა როგორც ევროკავშირისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში. აღნიშნულ ეტაპზე ევროკავშირისათვის რთული აღმოჩნდა წევრი სახელმწიფოების მიერ ალიანსის დატოვება. დიდი ბრიტანეთის პრეცედენტს მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული ალიანსის სხვა ქვეყნებსაც წაახალისებდა, რათა დაეტოვებინათ ორგანიზაცია. დიდი ბრიტანეთის გასვლამ ალიანსიდან დომინოს ეფექტის საფრთხის წინაშე დააყენა ევროკავშირი, რაც ცალსახად, შესაძლოა, გახდეს ევროკავშირში წევრი სახელმწიფოების შემცირების მიზეზი. ფაქტიურად, შესაძლოა ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება ევროკავშირის დატოვების შესახებ უარყოფითად აისახა ალიანსზე [1. 52-53].

დღევანდელ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მრავალ ტერიტორიაზე არსებული პატარ-პატარა ეთნიკური დაჯგუფებები ითხოვენ გამოყოფას ცალკე სახელმწიფოდ და დამოუკიდებლობას. ცხადია, საერთაშორისო პრინციპებისთვის მიუღებელია ყველა ეთნიკურ დაჯგუფებას ვინც დამოუკიდებლობას მოითხოვს დაუკმაყოფილონ აღნიშნული ინტერესი. სწორედ ამიტომ, საკმაოდ რთულია თვითგამორკვევის უფლების კანონიერება. კანონის ინტერპრეტაცია ეთნიკურ უმცირესობაში მყოფ ხალხს აძლევს საშუალებას საკუთარ სიტუაციასა და სურვილს მოარგონ. ნებისმიერი ქვეყნის სიტუაცია განსხვავებულია ერთმანეთისგან და არც ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი არიან გამონაკლისი ქვეყნები. სწორედ ამიტომ საფუძველს მოკლებულია, ერთი ქვეყნის გადაწყვეტილება გახდეს პრეცედენტი და გავრცელდეს სხვა ქვეყნის ანალოგიურ საქმეზე. გადაწყვეტილება, რომელიც იქცევა პრეცედენტად, შესაბამისად უკვე კანონად ითვლება, რომელიც შემდგომში შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა ანალოგიურ შემთხვევაში. ზოგიერთმა ქვეყანამ გამოიყენა, ხოლო ზოგიერთმა ქვეყანამ ვერ გამოიყენა თვითგამორკვევის უფლება. თუმცა ყველა საქმე მაინც განსხვავებულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად აღნიშნულის გამო, სახელმწიფოებმა თითოეული საქმე უნდა განიხილონ ინდივიდუალურად და გამოიტანონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ტერმინის „ხალხი“ სწორი განმარტების მისაცემად თვითგამორკვევის უფლებაში უნდა მოხდეს გარკვეული სახის ცვლილების შეტანა და ჩარჩოში მოქცევა. თვითგამორკვევის პრინციპზე საუბრისას, დაკვირვება ხდება ადამიანთა ჯგუფის ენაზე, კულტურაზე, ეთნოსსა და ტერიტორიაზე, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, რომ თავი დაიზღვიონ ეთნიკური უმცირესობის ნებისმიერი არასწორი ქმედებისგან. რთულია საერთაშორისო სამართლის მიერ სწორი და დროული ნაბიჯების გადადგმა ასეთ სენსიტიურ საკითხში, თუმცა ნათელია, რომ უნდა გადაიჭრას ამდენი გაურკვეველი ტერიტორიის პრობლემა მსოფლიოში და აღნიშნული ვერ მოხდება მხოლოდ ახალი კანონის მიღებით. ვფიქრობ, საჭიროა ყველა საქმის ინდივიდუალურად განხილვა და შესაბამისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. შოტლანდიის ერთიანი სისტემა დაიშლებოდა თუ არა, დამოუკიდებლობის მოპოვების ნაწილში, მაინც, არ შეექმნებოდა საფრთხე კულტურულ და ისტორიულ კავშირებს მეზობელ ხალხთან, ვინაიდან შოტლანდიას საუკუნეები აკავშირებს მათთან. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების აღდგენას წარმოადგენდა.

საერთაშორისო თანამეგობრობამ უამრავი დოკუმენტი მიიღო, სადაც გააკეთა განმარტება თვითგამორკვევის უფლების არსზე. ასევე შეეცადა გაეფართოვებინა მისი შინაარსი, კერძოდ, გაეროს წესდება, გაეროს ადამიანთა უფლებების პაქტი, ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ და სხვა. 1966 წელს კი მიიღეს საერთო შინაარსის პირველი პუნქტის მქონე პაქტები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და სოციალურ, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ [2. 185].

შოტლანდია მდებარეობს, კუნძულ ბრიტანეთის ჩრდილოეთით და სახმელეთო საზღვარი აქვს ინგლისთან. შოტლანდიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ჩრდილოეთის ზღვა, დასავლეთიდან კი ირლანდიის ზღვა და ატლანტის ოკეანე.

ბრიტანელები არ ეთანხმებოდნენ ევროკავშირის მითითებებს, მაგალითად ქვეყნის საზღვრის კონტროლი, გადასახადები, ეკონომიკა და სხვ. ევროკავშირის პირველი სეპარატისტები ბრიტანელები იყვნენ, თუმცა ბრექსიტმა ვერ შეინარჩუნა ერთიანობა. სპორტულ ღონისძიე-

ბებზე უელსი, შოტლანდია და ირლანია დამოუკიდებლად იღებენ მონაწილეობას, მაგრამ მათ აერთიანებთ თავდაცვის სისტემა, ეკონომიკური ფაქტორი და სხვა.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებს შორის თვითგამორკვევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რადგან მის საფუძველზე ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს. აღნიშნულის მიუხედავად მსოფლიოში, ბევრი კონფლიქტი ვითარდება, რომელიც თვითგამორკვევის პრინციპს და მის შესაბამის უფლებებს უკავშირდება. საერთაშორისო სამართალი მოიცავს ისეთ პრინციპებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან. ერთმანეთს და ზუსტად ეს განაპირობებს იმას, რომ ქვეყანაში ხშირია ისეთი ვითარება, როცა საერთაშორისო სამართალი ფაქტობრივად უძლური ხდება [3].

რეფერენდუმის ჩატარებადე ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა მხარე, გაერთიანებაში დარჩენის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ისინი ატარებდნენ PR კამპანიებს და ცდილობდნენ ბევრი ადამიანი გადაეყვანათ თავის მხარეს. ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული მხარე „Yes“ და „No“, რომლებსაც ჰქონდათ არგუმენტები, თუ რატომ უნდა დარჩენილიყვნენ გაერთიანებაში ან რატომ უნდა გამოყოფილიყვნენ. დამოუკიდებლობის მომხრე „Yes“ კამპანია მომავლის რწმენაზე იყო დაფუძნებული და წინასწარ რაიმე სახის დასკვნას და გარანტიას ვერავინ გამოიტანდა, რაც შესაბამისად აისახა რეფერენდუმზე და რისკის გაწევისგან თავი შეიკავეს, ხოლო გაერთიანების „No“ მომხრეები რეალურად არსებულ ვითარებას აკვირდებოდნენ და აღარ უნდოდათ საფრთხე დამუქრებოდათ. „No“-ს მხარდამჭერებს არგუმენტად მოჰყავდათ, ის, რომ შოტლანდია გაერთიანებაში არსებულ ყველა სხვა წევრებთან შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო და ამიტომ მას არ უნდა ჰქონოდა გამოყოფის სურვილი და პრეტენზია. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად გაერთიანების მოწინააღმდეგეების არგუმენტს დემოკრატიის ნაკლებობა წარმოადგენდა, რაც რეალურად აშკარად ნათელი იყო. შოტლანდიელი ამომრჩეველი ვერ იღებდა იმ სახელმწიფო მმართველობას რასაც ხმას აძლევდა და არ ჰქონდა კონტროლი ბრიტანეთის არჩევნების შედეგებზე. ძირითად პრობლემას ინგლისის დომინირება წარმოადგენდა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის თითქმის 84% იყო. შოტლანდიის მოსახლეობა, დემოკრატიის ნაკლებობის ნაწილობრივ მოგვარებას ხედავდა მეტი უფლებების გადაცემასა და ავტონომიაში გარკვეულ საკითხებზე [4].

რეფერენდუმი ტარდება მაშინ, როდესაც რაიმე საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება წარმომადგენელობითი ორგანოს მიერ. მაგალითად, როდესაც არსებობს განსხვავებული შეხედულებები პარტიებს შორის, ან პარტიის წევრებს შორის არის რაიმე უთანხმოება ნებისმიერ საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, სწორედ ამ მოცემულობამ განაპირობა დიდ ბრიტანეთში 2016 წელს რეფერენდუმის ჩატარება. ასევე, 2014 წელს შოტლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც პოლიტიკური პარტიები ვერ შეთანხმდნენ. რეფერენდუმზე მოსახლეობის აქტივობა ძალიან მაღალი იყო და მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა დამოუკიდებლობის მოპოვებას. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 84%-მა, რაც გაცილებით მაღალი მაჩვენებელი იყო, ვიდრე შემდგომ წლებში არჩევნებში იგივე მოსახლეობის აქტივობა [5].

აღნიშნული მაგალითი, გვაჩვენებს, რომ რეფერენდუმის ჩატარება წარმოადგენს დემოკრატიის მექანიზმს, რომელიც მოსახლების ნების დაფიქსირების გზით უზრუნველყოფს კრიზისის თავიდან აცილებას ქვეყანაში, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებობს მკვეთრად განსხვავბეული აზრები. ეფერენდუმის ჩატარების მაგალითი, ასევე გვიჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ხელისუფლებას ესმოდეს მისი ხმა, დაცული იყოს მისი არჩევანი და შესაბამისად თვითონ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. კატალონია და შოტლანდია გაერთიანებულია ევროკავშირთან, რაც საკმარისი საფუძველი უნდა იყოს გაწევრიანების ახალი პროცესის თავიდან ასაცილებლად, თუმცა, ევროკომისია შესაბამისი კომპეტენციის არქონის გამო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას. ევროპულ საბჭოში კი, სეცესიურ რეგიონებს ესპანეთი მხარს არ დაუჭერს [6].

2014 წლის 18 სექტემბერს შოტლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო შოტლანდია დარჩებოდა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, თუ გამოეყოფოდა და მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. მოსახლეობის 55.3 %-მა 44.7 %-ის წინააღმდეგ უარი განაცხადა შოტლანდიის დამოუკიდებ-

ლობაზე და მხარი დაუჭირა, რომ დარჩენილიყვნენ დიდ ბრიტანეთში. რეფერენდუმის ჩატარებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2014 წლის ივნისში, შოტლანდიის მთავრობამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა შოტლანდიის დროებითი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც თან ერთვოდა შოტლანდიის პირველი მინისტრის მაშინდელი მოადგილის ნიკოლა სტარჯენის წინასიტყვაობა და შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდგომი პროცესის აღწერა. რეფერენდუმის ჩატარებამდე დევიდ ქემერონმა სთხოვა შოტლანდიელ ხალხს, არ დაეშალათ ერთიანი მრავალეროვნული „ოჯახი“, ხოლო აღნიშნულის სანაცვლოდ ავტონომიური უფლებების გაფართოვებას დაჰპირდა. დევიდ ქემერონმა საკუთარი დანაპირების აღსრულება რეფერენდუმის მეორე დღესვე დაიწყო, განაცხადა რომ, შეექმნათ კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი შოტლანდიისათვის კომპეტენციის გაფართოებისა და შემდგომში მათზე გადაცემის თაობაზე. ჩამოყალიბდა მრავალპარტიული კომისია, რომელშიც ორ-ორი წარმომადგენლით შევიდნენ შოტლანდიის ძირითადი პარტიები: კონსერვატიულ-უნიონისტური პარტია, შოტლანდიის ლეიბორისტული პარტია, შოტლანდიის მწვანეთა პარტია, შოტლანდიის ლიბერალური პარტია და შოტლანდიის ნაციონალური პარტია. კომისიას ხელმძღვანელობდა კელვინის ლორდი რობერტ სმიტი, სწორედ ამიტომ ამ კომისიას სმიტის კომისია ეწოდა. აღნიშნულმა კომისიამ შეიმუშავა ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები, რომლებსაც უნდა დამყარებოდა მომავალი დოკუმენტი, რაც მოიცავდა შოტლანდიისათვის გაფართოებულ კომპეტენციათა გადაცემას. ზემოთ ხსენებული პრინციპების მიხედვით, კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოო დოკუმენტს:

- უნდა ჩემოეყალიბებინა მნიშვნელოვანი და მტკიცე უფლებამოსილებათა პაკეტი, რაც არსებითი იქნებოდა შოტლანდიელი ხალხისთვის თავისი მიზნების მისაღწევად;
- უნდა გაეძლიერებინა შოტლანდიის დევოლუციის ხარისხი და შოტლანდიის პარლამენტი გაერთიანებული სამეფოს საზღვრებში (პარლამენტის ფინანსური პასუხისმგებლობის დონის ჩათვლით);
- უნდა განემტკიცებინა დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი, რომელიც გაამყარებდა შოტლანდიის ადგილს გაერთიანებულ სამეფოში და გააძლიერებდა ურთიერთთანამშრომლობასა და პარტნიორობას;
- არ უნდა ჰქონოდა დამოკიდებულება გაერთიანებულ სამეფოში გამართულ სხვა პოლიტიკური მოლაპარაკების შედეგებზე;
- არ უნდა დაეზარალებინა, როგორც მთლიანად გაერთიანებული სამეფო, ისე მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილი;
- არც გაერთიანებული სამეფოსა და არც შოტლანდიის მთავრობისათვის არ უნდა გამოეწვია ფინანსური შემოსავალი ან დანაკარგი, როგორც სპეციალური უფლებამოსილების გადაცემის შედეგი.
- შესაძლებელი უნდა ყოფილიყო იმპლემენტირება;
- უნდა შესაბამებოდა შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ვალდებულებებს, ევროკავშირის კანონმდებლობის ჩათვლით.

სმიტის კომისიამ ასევე განსაზღვრა, რომ შოტლანდიის პარლამენტისა და მთავრობისათვის დამატებითი კომპეტენციების გადაცემა უნდა ემსახურებოდეს ისეთ მიზნებს როგორიცაა:

- შოტლანდიის მართვის მტკიცე და ამავე დროს პასუხისმგებლიანი კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა;
- კეთილდღეობის, ჯანსაღი ეკონომიკის, სამუშაო ადგილებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;
- შოტლანდიის პარლამენტის ფინანსური ანგარიშვალდებულების განმტკიცება.

კომისიამ 2014 წლის 26 ნოემბერს დაასრულა საბოლოო დოკუმენტზე მუშაობა და გამოაქვეყნა კიდეც. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე 2016 წლის 23 მარტს მიიღეს კანონთა პაკეტი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტით ცვლილებები შევიდა ისეთ კანონებში, როგორიც არის:

- 1998 წლის კანონი ,,შოტლანდიის შესახებ“;
- 1983 წლის კანონი „ხალხის წარმომადგენლობის შესახებ“;
- 1984 წლის კანონი „საგზაო მოძრაობის მოწესრიგების შესახებ“;
- 1998 წლის კანონი „ნავთობის შესახებ“;
- 2000 წლის კანონი „პოლიტიკური პარტიების, არჩევნებისა და რეფერენდუმების შესახებ“;

- 2007 წლის კანონი „საშემოსავლო გადასახადის შესახებ“;
- 2010 წლის კანონი „თანასწორობის შესახებ“ და სხვ. [7].

შოტლანდია საკმაოდ მდიდარ ბუნებრივ წიაღისეულებს ფლობს, უპირველესად აღსანიშნავია ბუნებრივი აირი და ნავთობი. დიდი ბრიტანეთის სამომხმარებლო ბუნებრივი აირის და ნავთობის 90%-ით მომმარაგებელი სწორედ შოტლანდია და ჩრდილოეთის ზღვაა, გარდა ამისა შოტლანდიას გააჩნია მძლავრი ჰიდროელექტრო სადგურები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია დანარჩენი ბრიტანეთისათვის და შოტლანდიის გამოყოფის შემთხვევაში ბრიტანელები იძულებულები იქნებიან იმპორტზე გადავიდნენ და მთლიანად მასზე იყვნენ დამოკიდებულნი ამ შემთხვევაში, მათ გაცილების მეტის გადახდა მოუწევთ ვიდრე შოტლანდიას უხდიან [8].

ეთნიკური უმცირესობის იდენტობა თუ პოლიტიზირებული გახდება შესაძლოა აღნიშნული გახდეს ქვეყანაში არსებული მშვიდი პოლიტიკური წესრიგის არეულობის მიზეზი. სამხრეთ ტიროლი კლასიკური მაგალითია იმისა, რომ ეთნიკურობის პოლიტიზირების ნეგატიური შედეგი შესაძლოა დაძლეულ იქნას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებითა და უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიის ახალი და საინტერესო გზით განვითარების პერსპექტივით. თუმცა ამისთვის საჭიროა ეკონომიკური და პოლიტიკური მესვეურების, ბიზნესის და ცენტრალური ხელისუფლების ეფექტიანი ჩართულობა და თანამშრომლობა [9].

ამავდროულად, ეთნოტერიტორიული ავტონომიების და სახელმწიფოს სხვა ტერიტორიების არათანაბარი განვითარება ხელს უწყობს სეპარატისტული განწყობების ზრდას (როგორც ეს იყო კატალონიის ან ფლანდრიის მაგალითზე). როგორც შოტლანდიის გამოცდილება გვიჩვენებს, სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტების მაღალი განვითარება და სოციალურ სფეროში სამოქალაქო აქტიობის პოტენციალი, დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის მომზადების პროცესში შეიძლება „გარიგების საგნად“ იქცეს [10].

რეგულირების ყველაზე უფრო პრობლემურ სფეროს წარმოადგენს კულტურული პოლიტიკა. რამდენიმე ნაწილად გაყოფილ საზოგადოებაში შეთანხმების მიღწევა წარმოუდგენლად რთულია [11. 184].

რელიგიურ საკითხებში დაპირისპირების კლასიკური და ნათელი მაგალითია ჩრდილოეთ ირლანდია, რომლის უკან ირედენტული განწყობები იდგა ყოველთვის. ეს წარმოადგენს პროცესს, რომელიც შეეხო სხვადასხვა ფორმებითა და მასშტაბებით, გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის შემადგენლობაში მყოფ ოთხივე ქვეყანას. მის ყველაზე უფრო ეკონომიკურად ჩამორჩენილ ნაწილთან დაკავშირებით, (2017 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ირლანდიის მეურნეობების შემოსავალი შეადგენდა 83%-ს საშუალო ბრიტანულ - 15,9 ათას ფუნტს, გაერთიანებული სამეფოს საშუალო კი 19,1 ათას ფუნტს და ინგლისის 19,45 ათას ფუნტთან შედარებით) [12]. საუბარია დემოკრატიული ფორმით პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების გაწევაზე [13].

დღეს ქვეყანას ერთობლივად მართავენ ორივე თემის წამყვანი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ორ რელიგიურ თემს წარმოადგენენ - პროტესტანტებს და კათოლიკებს. სამხრეთ ტიროლისაგან განსხვავებით, სადაც კონფლიქტის ესკალაციის დროს ტერაქტები მიმართული იყო ინფრასტრუქტურული ობიექტების გასანადგურებლად, ჩრდილოეთ ირლანდიაში კონფლიქტის თანმდევი იყო ფიზიკური ძალადობა. „ვნების პარასკევის შეთანხმების“ საფუძველზე მიღწეულმა პოლიტიკურმა დარეგულირებამ განაპირობა სამშვიდობო პროცესის ინსტიტუციონალიზაცია, მაგრამ არა დაპირისპირებულ თემთა დაახლოება. სეგრეგაცია ყოველდღიურ რეალობად რჩება. კათოლიკური თემისათვის იდენტობის განმსაზღვრელი კონფესიური კუთვნილებაა. მათი სახელით მოქმედი პოლიტიკური ძალები, აქტიურად იყენებენ ენის ფაქტორს, როგორც ბარიერს „თავისიანებს“ და „სხვებს“ შორის. ენის პრობლემის დეპოლიტიზაციის საკითხი ისტორიული ენის პოზიციების განმტკიცების გზით, მწვავედ დგას პოლიტიკურ დღის წესრიგში [14].

ტრადიციულად პროტესტანტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო სივრცეში თავიანთი პოლიტიკური იდენტობის სიმბოლურ და მასობრივ მანიფესტაციას, ასეთი შეიძლება იყოს, ორანჟისტების მარში და დროშის დემონსტრირების სხვადასხვა ფორმები. როგორც ირლანდიელი ანალიტიკოსები ფიქრობენ, სწორედ ეთნოკულტურული ფაქტორები რჩება პო-

ლიტიკური მობილიზაციის ძირითად პრობლემად საკითხად [15].

დევიდ ტორენსის მიხედვით, შოტლანდიის ეკონომიკური მომავლის შესახებ დამოუკიდებლობის შემთხვევაში, ორი მოსაზრება არსებობს: 1. (ისტორიულად დომინანტური) შოტლანდიის ეკონომიკა იმდენად სუსტი და დამოკიდებულია ინგლისზე, რომ თვითმმართველობამ შესაძლოა სერიოზულ პრობლემებამდე მიიყვანოს ის და 2. ბოლო დროს უფრო მომძლავრებული) შოტლანდიის ეკონომიკური სირთულეები ვიღაც სხვისი ბრალია, განსაკუთრებით - ინგლისთან პოლიტიკური კავშირის შედეგი [16].

ერთი მხრივ, გაერთიანებაში დარჩენას ეკონომიკური თვალსაზრისით ის უპირატესობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში რისკები გაზიარებულია. შოტლანდიაში არსებული პრობლემის თუ კრიზისის საფასური მარტო მისი გადასახდელი კი არ არის, არამედ პასუხისმგებლობას მთელი კავშირი იღებს და ინაწილებს. The National Institute of Economic and Social Research (NIESR) - მა დაასკვნა, რომ შოტლანდია პატარა და ძალიან ღია ეკონომიკაა, რომელიც მჭიდროდ ინტეგრირებულია დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოსთან, უფრო მეტად, ვიდრე ევროპასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ის გეოგრაფიულად თუ ისტორიულად ყველაზე ახლოს სწორედ მასთან იყო. თუმცა მეორე მხრივ, ბევრი კვლევის თანახმად, შოტლანდიას არათუ შეუძლია დამოუკიდებლობის შემთხვევაში გადარჩენა და ყველაფრისთვის თავის გართმევა, არამედ მას შეუძლია იყოს უფრო წარმატებული და უფრო განვითარებული ქვეყანა. Fiscal Commission Working Group (FCWG) - ის კვლევის თანახმად, შოტლანდია მდიდარი და პროდუქტიული ქვეყანაა და მას შეუძლია თავისი მაკროეკონომიკის დამოუკიდებლად ორგანიზება და მართვა [16].

დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის მომხრეებს ბევრი მყარი არგუმენტი მოჰქონდათ იმის დამადასტურებლად, რომ შოტლანდიას საკმაოდ ძლიერი ეკონომიკა აქვს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ნავთობის და გაზის საბადოები, რომლებიც ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვება და რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ შოტლანდიის ტერიტორიაზეა. ჩრდილოეთის ზღვის ნავთობისა და გაზის რეზერვების 96%, შოტლანდიის ტერიტორიულ წყლებშია თავმოყრილი. ეს კი, ევროკავშირში წარმოებული ნავთობის 60%-ია [17].

ბოლო დროს ნავთობზე მოთხოვნილების გაზრდამ და მისი მარაგის შემცირებამ გამოიწვია მისი ფასების ზრდა. ამასთან ვარაუდობდნენ, რომ შოტლანდიის აღნიშნული საბადოები ათწლეულების მანძილზე არ დაიცლებოდა, ხოლო თუ მოხდებოდა ამ სფეროს ინვესტირება და ნავთობის საინვესიტიციო ფონდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ნავთობისა და გაზის ინვესტირებას გრძელვადიან პროექტებში, იგი 100 წელიც შესაძლოა გამოყენებადი ყოფილიყო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ შოტლანდია საკმაოდ კარგ მოგებას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და ამ ყველაფრის ერთადერთი განმკარგავი გახდებოდა. გარდა ამისა, ისინი ამბობდნენ, რომ ჩრდილოეთის ზღვის საბადოები არ არის ერთადერთი რასაც შოტლანდიის ეკონომიკა ეყრდნობა. ეს უბრალოდ დამატებითი სიმდიდრეა, რომლის გარეშეც შოტლანდია ისედაც წარმოადგენს სრულფასოვან და ძლიერ ეკონომიკას როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოში. მარტო ენერგეტიკის სფეროში იგი გაზისა და ნავთობის გარდა იყენებს ზღვის და ქარის ენერგიას, ასევე აქვს განვითარებული ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ტურიზმი, წარმოება, ელექტრონიკა, ტექსტილი, საბანკო სფერო, უმაღლესი განათლება, კრეატიული სექტორი, მეთევზეობა, ვისკი და ა.შ. [18].

ბრიტანეთში დარჩენის მომხრეები დიდ აქცენტს აკეთებდნენ დამოუკიდებლობის უარყოფით მხარეებსა და რისკებზე. ისინი ამბობდნენ, რომ შოტლანდია ვერ შეძლებდა ბანკების გათავისუფლებას დამოკიდებულებისგან, Royal Bank of Scotand და Lloyds Bank ორივე ოფიციალურად შოტლანდიური ბანკებია, თუმცა მათი ოპერაციების უმეტესობა ინგლისში ხორციელდება და კრიზისის შემდეგ ისინი ფაქტობრივად გაერთიანებული სამეფოს მმართველობის ქვეშაა. რისკების შესახებ არგუმენტებმა პიკს მიაღწია კამპანიის ბოლო კვირაში. დარჩენის მომხრეები ადგილობრივ ბანკებს აფრთხილებდნენ ინვესტიციების შემცირების შესახებ. ბანკებიც, იმ შემთხვევაში თუ შოტლანდია დამოუკიდებელი გახდებოდა, აცხადებდნენ, რომ მათი ინსტიტუტები ლონდონში გადაინაცვლებდა. ზოგიერთი სუპერმარკეტების ქსელი კი ფასების მომატებით იმუქრებოდა იმ

შემთხვევაში, თუ ხალხი ხმას მისცემდა გამოყოფას [19].

მიუხედავად ალექს სალმონდის (Alex Salmond) დაპირებისა, რომ შექმნიდნენ უამრავ სამუშაო ადგილს, დაიცავდნენ ეროვნულ ჯანდაცვის სისტემას, დაამარცხებდნენ სიღარიბეს და გააუმჯობესებდნენ საჯარო მომსახურების სფეროს, მაინც ბევრი გრძნობდა, რომ კრიზისისა და ფინანსური არასტაბილურობის დროს სტატუს-კვოს შენარჩუნება და გაერთიანებაში დარჩენა ყველაზე უსაფრთხო გზა იყო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო დამოუკიდებელი შოტლანდიის ფულის ერთეული. შოტლანდიის ნაციონალური პარტიის (SNP) ლიდერი ბრიტანეთს სთავაზობდა ფუნტის გამოყენების გაგრძელებას და მონეტარული კავშირის შექმნას, რომელიც ევროზონის საპირწონე იქნებოდა, რაც ვესტმინსტერის მხარემ უარყო. შოტლანდიას რჩებოდა არჩევანი - ან ახალი ვალუტა უნდა შემოეღო, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ქაოსს, ან მორგებოდა ევროს, რასაც უარყოფდა დამოუკიდებლობის კამპანიის ლიდერი. რა უნდა ყოფილიყო შოტლანდიის დამოუკიდებლობის შემთხვევაში მისი ვალუტა, ფუნტი, ევრო, თუ 400 წლის წინანდელი ეროვნული ვალუტა? სამწუხაროდ შოტლანდიელი ხალხისთვის ეს შეკითხვა პასუხგაუცემელი რჩებოდა და კიდევ უფრო ამძაფრებდა დაურწმუნებლობას. გარდა ამისა, მათ, ისე როგორც არასდროს, აღელვებდათ თავიანთი პენსიისა და სოციალური უშიშროების საკითხი [20].

იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს ეკონომიკური ფაქტორი, სეპარატიზმის ან/და ნაციონალიზმის გაღვივებაში კარგად გამოგვადგება 1970-იან წლებში დიდ ბრიტანეთში მიმდინარე მოვლენები. 1970 წლისთვის ჩრდილოეთის ზღვაში, რომელიც შოტლანდიის სანაპიროს აკვატორიაა საკმაოდ დიდი ნავთობის მარაგი აღმოაჩინეს, 1973 წლის სანავთობო კრიზისის ფონზე კი ამ ნავთობის ღირებულება ერთ-ორად გაიზარდა. ამის შემდეგ უკვე ნავთობი შოტლანდიელთა ხელში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ბერკეტად იქცა, პარალელურად კი გაიზარდა ნაციონალიზმი მათი მხრიდან, მაგალითისთვის 1970 წლის არჩევნებში შოტლანდიის ნაციონალისტურმა პარტიამ, რომლის მთავარი საპროგრამო დაპირებაც დიდი ბრიტანეთისგან გამოყოფა იყო ხმათა 11% მოაგროვა 1974 წელს ანუ ნავთობის კრიზისის შემდეგ, იმავე პარტიამ ხმათა 30% მეტი. ამის საპირისპიროდ კი 2009 წელს ეკონომიკური კრიზისის დროს შოტლანდიაში ძალზე იკლო დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვმა [21].

შოტლანდიელების გადაწყვეტილებამ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენასთან დაკავშირებით, განაპირობა პოლიტიკურად სტაბილურ გარემო და ეკონომიკური სარგებელი. დიდი ბრიტანეთის შემადგელობაში არ ხდება შოტლანდიელების ეთნიკური იდენტობის დამცირება. მათ აქვთ უფლება ჩაატარონ რეფერენდუმი. თუმა, ასევე ასაღნიშნია ის ფაქტიც, რომ რეფერენდუმი საფრხის მატარებელია ეთნიკური დაჯგუფებებისთვის სეპარატიზმის წახალისების ნაწილში.

ასევე, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის მაგალითზე ნათლად ჩანს ის თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სეპარატისტული მოძრაობის მსვლელობაში ეკონომიკურ ფაქტორს. ეკონომიკის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპულ სეპარატიზმში.

ეკონომიკურ გარე ფაქტორებზე დადებითად მოქმედებს, ერთიანი ევროპული ეკონომიკა, ერთიანი ბაზრითა და საერთო ვალუტით, რაც უზრუნველყოფს პროდუქტის, კაპიტალის, სერვისისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ევროპულ ზონაში, რაც შეიძლება პატარა ქვეყანას ჰქონდეს. ამიტომ შოტლანდიისთვისაც აღნიშნული იდეა ხელსაყრელი მიმზიდველი იყო, დამოუკიდებლობა ევროკავშირის შიგნით. ისეთ, პატარა წარმატებულ ერებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში არიან, უყალიბდებათ განცდა, რომ ისინი არიან უსამართლობის მსხვერპლნი, რადგან გაცილებით მეტი წვლილი შეაქვთ სახელმწიფოს განვითარებაში და ნაკლებ მოგებას იღებენ. მათ, ასევე უჩნდებათ განცდა, რომ შეუძლიათ ბევრად უკეთ იყვნენ დამოუკიდებლობის შემთხვევაში და მეტ წარმატებას მიაღწიონ. ისტორიულად მდიდარი რეგიონები, ხშირ შემთხვევაში ნაკლებ სარგებელს ღებულობენ ადგილობრივი სახელმწიფოს ბაზრიდან თუ უშიშროების სისტემიდან. აღნიშნული არ ეხება ევროკავშირს, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი ამგვარი დისბალანსი, ბუნებრივია ასეთი ერებისთვის მიმზიდველია მემკვიდრე ქვეყანას გამოეყონ და შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეკონომიკური მოლოდინები გავლენას ახდენს სეცესიის პროცესებზე. მეტი სოციალური სამართლიანობა და თანაბარი პირობები სიმდიდრის გადანაწილებისა ბიძგს აძლევს ამგვარ ერებს, გამოეყონ მემკვიდრე ქვე-

ყანას. შესაბამისად, შოტლანდიაშიც პრო-ევროპულობა გადაიქცა დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების პოლიტიკური განხორციელების ყველაზე დიდ შესაძლებლობად [22].

დიდი ბრიტანეთისგან, რეფერენდუმის გზით შოტლანდიის გამოყოფის მცდელობა კონფლიქტის თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო აღნიშნულმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენამ. მთავარი მიზეზი რის გამოც ჩვენი ყურადღებაც მიიქცია ის არის, რომ როცა სახელმწიფოს შიგნით საერთაშორისო სამართლით აღიარებული ორი ძირითადი პრინციპი, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპები, ერთმანეთს „ეჯახება“ ცენტრალურ ხელისუფლებას მართებს პირველ რიგში დათმობებზე წასვლა, ამავდროულად პასუხისმგებლობა და წინდახედულება და ეს ყველაფერი სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნების მიზანს უნდა ემსახურებოდეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილებისათვის სწორედ ეს გზა აირჩია, როელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მწარე გაკვეთილები აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით [7].

ხალხის სურვილის შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის მიერ შოტლანდია აღიარებული იქნებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. შესაბამისად თუ თავად ის ქვეყანა, რომლის შემადგენლობაშიც იყო, აღიარებს მის დამოუკიდებლობას კანონიერი და დემოკრატიული გზით, სხვა არცერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა რაიმე საფუძველი მისი არაღიარებისა. თუმცა ესპანეთი აპელირებდა, რომ დაბლოკავდა შოტლანდიის განაცხადს ევროკავშირის წევრობის თაობაზე. ეჭვის საფუძველიც არ არსებობდა, რომ იგივე დამოკიდებულება გავრცელდებოდა კატალონიის შემთხვევაშიც და ეს არ იქნებოდა მარტო ესპანეთის პოზიცია. ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც სეცესიის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, ასევე ცალსახად არ დაუჭერენ მხარს შოტლანდიის და კატალონიის დამოუკიდებლობას. კოსოვოს დამოუკიდებლობაც ბრიუსელმა განაპირობა, ევროკავშირის 4 წევრი სახელმწიფო დღემდე არ აღიარებს პრიშტინას დამოუკიდებლობას. შესაბამისად, მათ სიაშიც არის ესპანეთი. დიდ ბრიტანეთში დარჩენის მომხრე, ლეიბორისტების ლიდერი ედ მილიბენდი აცხადებდა, რომ მათ შეეძლოთ შოტლანდიელი ხალხი დაერწმუნებინათ, რომ თუ დარჩებოდნენ ბრიტანეთში ისინი შეძლებდნენ შეექმნათ სოციალურად შედარებით უფრო სამართლიანი ქვეყანა. „Better Together“ კამპანიის ხელმძღვანელი ალისტერ დარლინგი ამბობდა: „ალექს სალმონდი იყო კაცი ყოველგვარი გეგმის გარეშე“. ბუნდოვანება როგორც ფულის ერთეულის, ისე ევროპის საკითხთან დაკავშირებით ძალიან არასასურველ რისკებს მოუტანდა შოტლანდიას, თუ ისე მოხდებოდა, რომ მოსახლეობა გამოყოფას მისცემდა ხმას [23].

მშვიდობიანი პროცესი, როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს. მშვიდობის მშენებლობა დაფუძნებულია ისეთი პრინციპების ერთობლიობაზე, რომლებიც საშუალებას გვაძლევს კონფლიქტების, კონფლიქტური სიტუაციებისა და ომების პრევენცია მოვახდინოთ და არ დავუშვათ წარსულის მარცხის გამეორება. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს, ურთიერთდაპირისპირებული მხარეების შერიგების გზაზე დაყენება, რაც გამოიხატება მათ შორის ურთიერთობების დათბობასა და ნდობის აღდგენაში. კონფლიქტური სიტუაციებისა და კონფლიქტების სპეციფიკის სათანადოდ გასაგებად საჭირო შევისწავლოთ კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და დარეგულირების მიზეზები, შედეგები და მეთოდები.

კონფლიქტის ორი ფაქტორი შეგვიძლია გამოვყოთ:

- ინტერესთა კონფლიქტი;
- ღირებულებათა კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური. ტერიტორიულ ინტერესს წარმოადგენს ტერიტორია, ფული, აღიარება და სხვა, ხოლო ღირებულებათა კონფლიქტი შეიძლება იყოს რელიგიური ან/და ეთნიკურ კონფლიქტი. თავის თავში ესკალაცია არ გულისხმობს კონფლიქტური სიტუაციის გამუდმებით აგრესიულ ფაზას. მიუხედავად იმისა, რომ ესკალაციის დროს კონფლიქტი ვითარდება, მაინც არსებობს ე.წ. „ტალღისებური ესკალაცია“, როდესაც დაძაბულობა ხან იკლებს, ხან მატულობს. კონფლიქტის გადასაჭრელად არ არის დადგენილი რაიმე წესი, რაც ყველა ქვეყნის შემთხვევას მოერგება. განსხვავებულმა სტრატეგიებმა შესაძლოა კარგი შედეგი გამოიღოს კონფლიქტის აღმოცენებისა და განვითარების მიხედვით. მშვი-

დობის მშენებლობის არსს კარგად ასახავს იდეა: „არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე, დიალოგი კი ერთიმეორის აზრის აღიარებაა“. რაც ასევე მოითხოვს ამ პროცესით საზოგადოების ყველა ფენის დაინტერესებასა და მათ ჩართულობას. დაპირისპირებულ მხარეებს შორის შერიგების გარეშე მშვიდობის დამყარება წარმოუდგენელია. სამშვიდობო ხელშეკრულებებზე მხოლოდ ხელის მოწერა არ წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრის გზას. სხვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არის საჭირო, შერიგების პროცესის მისაღწევად. მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა და დიალოგი ერთადერთი გზაა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს მისცემს საშუალებას მოუსმინონ ერთმანეთს, წარმართონ საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ მშვიდობიანი გზით, ომის დაწყების, სიცოცხლის მსხვერპლად გაღებისა და დანაკარგების გარეშე მივიდნენ კონსესუსამდე [24. 8-10].

NINO MAZIASHVILI

THE BIRTH OF SCOTTISH SEPARATISM ITS FEATURES AND POLITICAL-ECONOMIC PRECONDITIONS

Summary

The peaceful way of handling this problem still remains unresolved in today's world. Conflict can be caused because of many reasons, and that is why there are mixed ways to solve conflicts. States must unequivocally and unconditionally keep the 1970 Declaration of the Principles of International Law and the OSCE's 1975 Conclusion. It is possible to resolve these conflicts peacefully through negotiations, but at least we encounter too many problems when resolving conflicts in a peaceful manner, since negotiation is political will but not some kind of obligation. The dissertation paper also provides studies on conflict centers, basic scientific approaches to conflict and their analysis, finding ways to solve these conflicts and providing all theoretical and practical recomendations that will help the international community solve the problem in a peaceful way. In modern international relations globalisation is in progress. This fact has led to the statement that in any state the problem impacts not only the specific country where the separatist hub is and a grouping of ethnic minority, but it is also covered worldwidely and affects the international civilian population and the commonwealth. Iinternal state conflict and ways to solve it are especially noteworthy, since local conflict directly affects international peaceful relations. Succeeding separatist groups in any single country may encourage grouping in the ethnic minority of another country and bring unrest to the modern international peacekeeping community. Any government and the main incumbents in resolving international conflicts are forced to take care of the peaceful processes within and outside the country. This may be expressed by observation mission, humanitarian and/or intervention, etc. By studying the problems of separatism and the movements of self-determination of the nations, it becomes clear that this movement is formed differently taking into account various factors. It is noteworthy, as well as what factors contribute to the formation of separatism and what determines the origin and subsequent development of self-determination movements of nations, it can be economic on the one hand, and on the other hand, the use of arguments of ethnic identity. The dissertation paper discusses the problems of separatism in Spain and the UK, the causes, peculiarities and consequences of their origin.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიდელაშვილი ს., „Brexit - ევროსკეპტიციზმის ტრიუმფი დიდ ბრიტანეთში“. საერთაშორისო სამართლის გამოწვევები, სტატიათა კრებული, სტუ, თბ., 2021. გვ. 52-53.
2. მიდელაშვილი ს., „ტერიტორიული მთლიანობის და თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, # 3, თბ., 2012.
3. მიდელაშვილი ს., „ერთა თვითგამორკვევისა და სეპარატიზმის პრობლემები საქართველოში“. (სადოქტორო დისერტაცია), სტუ, თბ., 2013.

4. McHarg A., Mullen T., Page A., Walker N., „The Scottish Independence Referendum“. 2016 The Scottish Independence Referendum: Constitutional and Political Implications — University of Strathclyde ბოლო ნახვა 28.12.2021
5. Scottish independence referendum - Results - BBC News ბოლო ნახვა 10.01.2022
6. Spanish civil war Spanish Civil War | Definition, Causes, Summary, & Facts | Britannica ბოლო ნახვა 08.01.2022
7. გახოკიძე ჯ., დემეტრაშვილი ავთ., მიდელაშვილი ს., ჯინჭარაძე ქ., გორაძე გ., „ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისთვის“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017.
8. The Econimic Consequences of European Separatism, World Economic Journal, March 2013 | Statistics, http://world-economic.com/articles_wej-226.html
9. Перегудов С.П., Семененко И.С. Референдум о независимости Шотландии и проблемы британской государственности. – МЭиМО. № 3. С. 64-75, 2015.
10. ვოლსკი გ., „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ-პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2021.
11. Guelke A. 2012. Politics in Deeply Divided Societies. Cambridge: Polity Press. 184 p
12. Gross disposable household income (GDHI): 1997 – 2015. Statistical Bulletin. См.: URL: https://www.ons.gov.uk/economy/regionalaccounts/grossdisposablehouseholdincome/bulletins/regionalgrossdisposablehouseholdincomegdhi/2015
13. Lijphart A. 1977. Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration. New Haven: Yale University Press. 248 p
14. O‘Leary J. 2014. Why is Irish language a divisive issue in Northern Ireland? – BBC news. 17.12.. URL: http://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-30517834
15. Nolan P., Bryan D., Dwyer C., Hayward K., Radford K., Shirlow P. 2014. The Flag Dispute: Anatomy of a Protest. Belfast: Queen‘s University. 145 p. P. 107
16. Torrance, D., The Battle for Britain: Scotland and the Independence Referendum, 2013.
17. „რა ელის სუვერენული შოტლანდიის ეკონომიკას“?, 2014 წლის 18 სექტემბერი რა ელის სუვერენული შოტლანდიის ეკონომიკას? (agora.ge) ბოლო ნახვა 29.03.2021
18. Gray M., „10 facts about Scotland’s oil and independence“, 18 February 2018, http://www.thescottishstandard.scot/independence/10-facts-about-scotland-s-oil-and-independence ბოლო ნახვა 28.03.2021
19. Keating, M., The Scottish Independence Referendum and after, 2015.
20. Chikhoun. L., The Scottish Independence Referendum Result: A Question of Interdependence, 2015
21. ბასილაია მ., „გაყრა შოტლანდიურად“, 2011წლის 16 მაისი, https://tabula.ge/en/news/542380-gaqra-shotlandiurad ბოლო ნახვა 01.04.2021ში
22. Muro D., & Vlaskamp M. C., „How do prospects of EU membership influence support for secession? A survey experiment in Catalonia and Scotland. 2016
23. დავითაშვილი ნ., „დამოუკიდებლობის რეფერენდუმი შოტლანდიაში და მის შედეგზე გავლენის მომხდენი ფაქტორები“, სამაგისტრო დისერტაცია), თსუ, თბ., 2019 https://openscience.ge/bitstream/1/1155/1/MA%20Thesis.DavitashviliDIP2019.pdf
24. ციხისთავი თ., „მშვიდობის დამკვიდრება გახლეჩილ საზოგადოებაში“, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2001 წელი, გვ: 8-10

✍ გიორგი კლიმიაშვილი
წარმოადგინა პროფ. ზურაბ კვეტენაძემ

შავი ზღვის რეგიონში არსებული ინტეგრაციული პროცესები და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე

წინამდებარე ნაშრომი შავი ზღვის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს შეეხება. რეგიონი სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება წამყვანი გლობალური მოთამაშეებისთვის, აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ადგილის და როლის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საგარეო პრიორიტეტს რეგიონული თანამშრომლობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საქართველოს ძალისხმევა მეზობელ ქვეყნებთან სტაბილური ურთიერთობების განმტკიცებისკენ არის მიმართული.

ქვეყნებს შორის ურთიერთობა და რეგიონის წარმატებული განვითარება დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ განწყობაზე და ქვეყნებს შორის არსებულ საერთო ინტერესებზე. პროფესორი ა. სონღულაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს; - „გასული საუკუნის მიწურულს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საჭირო გახდა გამოკვეთილიყო იმ ფასეულობების მნიშვნელობა, რომელზედაც აიგებოდა ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური ცხოვრების, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სამომავლო კურსი [1. 139]. მოყვანილი მსჯელობა უდავოდ მნიშვნელოვანია, რამდენადაც სამომავლო პერსპექტივების და პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა განსაზღვრა ქვეყნის წარმატების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

წარსულში შავი ზღვის რეგიონი დაყოფილი სახით იყო წარმოდგენილი და საერთო რეგიონული პოლიტიკის განვითარებისთვის არასაკმარის პირობას ქმნიდა. შავი ზღვის ორი სანაპირო ქვეყნის - ბულგარეთის და რუმინეთისა ევროკავშირში გაწევრიანებამ ორგანიზაციას გაუჩინა რეგიონში უფრო კონსოლიდირებული როლის თამაშის ინტერესი და ამბიცია. რეგიონის გაძლიერების პროცესში ევროკავშირმა სცადა გაფართოების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, გაერთიანების წინა დახმარება თურქეთისთვის, სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან და პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებების დადება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონი უამრავი გამოწვევის წინაშე იდგა, იყო უსაფრთხოების გამოწვევები და კონფლიქტები, ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების აქტორის ჩარევამ გაზარდა მისი გავლენა შავი ზღვის რეგიონში. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ (2003), შავი ზღვის სინერგიამ (2007) და აღმოსავლეთ პარტნიორობამ (2009) გავლენა იქონია რეგიონის შიდა კონსოლიდაციაზე და დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე, ასევე ხელი შეუწყო რეგიონული მოთამაშეების დაახლოებას ევროკავშირთან [2. 2].

ცნობილია, რომ რუსეთის რევიზიონისტული ქცევამ (აშკარაა 2008 წლიდან და მიზნად ისახავს ეროვნული საზღვრების შეცვლას, სამხედრო გაძლიერებას, ძალის გამოყენების მუქარას, სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებასა და დასავლეთთან გეოპოლიტიკურ კონკურენციას) მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა როგორც შავი ზღვის რეგიონში, ასევე მის გარშემო არსებულ უსაფრთხოების სისტემაში [2].

ევროპულ და ევროატლანტიკურ სისტემაში ინტეგრაცია კომპლექსური პროცესია და ის ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე აისახება. ამ კუთხით ქართველმა ხალხმა დიდი ხნის წინ გააკეთა არჩევანი იმ კურსის სასარგებლოდ, რასაც ადამიანის უფლების პატივისცემა, კანონის უზენაესობა, მშვიდობა და სტაბილური განვითარება ჰქვია. პროფესორ ზ. აბაშიძეს აღნიშნავს, რომ „ევროპული ინტეგრაციის გზა ჩვენი საზოგადოების შეუქცევადი და გააზრებული არჩევანია. შესაბამისად, ევროკავშირსა და NATO-ში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი და უსაფრთხოების გარანტია [3. 29].

საკვანძო სიტყვები: *დიპლომატია, ინტეგრაციული პროცესები, რეგიონის უსაფრთხოება, ევროპული ინტეგრაცია, უსაფრთხოების პოლიტიკა.*

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს აუცილებლად სჭირდება დასავლური კურსის შენარჩუნება, რათა აღიარებული და გასათვალისწინებელი მოთამაშე გახდეს. ასევე გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებისთვის მოხერხებული პლაცდარმი, რაც საქართველოს ევროკავშირისთვისაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის. საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი გრიგოლ გიორგაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ - „საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა არ იძლევა რეგიონული პოლიტიკის ფორმირების საშუალებას „საქართველოს გარეშე“ [4. 72].

მას შემდეგ, რაც ევროკავშირი გახდა საზღვაო აქტორი, ვგულისხმობთ 2007 წლიდან ბულგარეთისა და რუმინეთის შემოერთების საკითხს, მისი ინტერესები, რეგიონის სხვადასხვა პრობლემის მოგვარების კუთხით, გაიზარდა. უნდა ითქვას, რომ ევროკავშირს დამოუკიდებლად არ გააჩნია საკმარისი ინსტრუმენტები პარტნიორი სახელმწიფოების დასახმარებლად, რომ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მზარდ გამოწვევებს გაუმკლავდნენ. ერთი მხრივ, ევროკავშირი ზრდის თავის ჩართულობას რეგიონში, თუმცა, მეორე მხრივ, მისი ინსტრუმენტები ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს ორგანიზაციის პოლიტიკის მიზნების რეალიზებისათვის [2. 72].

ნათელი ხდება, რომ საბოლოოდ, ნატო რჩება ევროკავშირის უსაფრთხოების გარანტორად, რომელსაც შეუძლია რეგიონში ევროპული ინტერესებისა და, პირველ რიგში, ევროკავშირის სამეზობლოს დაცვა. ამა ადასტურებს ის გარემოება, რომ ნატოს შავ ზღვასთან დაკავშირებით საკუთარი დღის წესრიგი აქვს და გარკვეულ ნაბიჯებს დგამს პარტნიორი სახელმწიფოების (უკრაინა და საქართველო) თავდაცვის შესაძლებლობების გასაზრდელად. ნატოს 2016 წლის ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზგასმულია შავი ზღვის რეგიონში გარკვეულ საფრთხეებზე რეაგირების მნიშვნელობა, რომლებიც ძირითადად უკავშირდება რუსეთის მიერ ყირიმის ხელში ჩაგდებასა და შემდგომში მიმდინარე სამხედრო გაძლიერების ინტენსიურ პროცესებს [2. 72].

რა შანსი აქვს საქართველოს ნატოს გარეშე? შეიძლება ითქვას, რომ ნატოს გარეშე საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა აქვს, თუმცა ამის მისაღწევად განვითარების საკმაოდ გრძელი და რთული გზა აქვს გასავლელი. ამ შემთხვევაში უნდა შევჩერდეთ ისრაელზე, უნდა ითქვას, რომ ისრაელი მის წინაშე არსებულ გამოწვევებს პირველ რიგში იდეოლოგიით უპირისპირდება. მათი იდეოლოგია და უსაფრთხოების დოქტრინა განსაზღვრავს რწმენას, რომ მათ არ აქვთ თუნდაც ერთი ომის წაგების ფუფუნება. მათი სამხედრო დანიშნულების საჰაერო საფრენი აპარატი 595-ს, საზღვაო ხომალდი 65 ერთეულს, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტი $19,6 მილიარდს შეადგენს. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ისრაელი არის აშშ-ის პარტნიორი, რომლისაგანაც მას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 134.7 მილიარდი აშშ დოლარი აქვს მიღებული. ასევე იგი არის პირველი საერთაშორისო მომხმარებელი „ფ-35“ შემტევი გამანადგურებლის, რომლის 50 ერთეულის მფლობელია დღეისათვის [5. 267-271].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს აშშ-სთან, ეს თანამშრომლობა არ გულისხმობს საქართველოსათვის სამხედრო ხასიათის დახმარებას რუსეთის ან სხვა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. ნატო-საქართველოს მჭიდრო და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის მიუხედავად, საქართველო არ არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და მასზე არ ვრცელდება ნატო-ს ხელშეკრულების მეხუთე მუხლი.

ზემოაღნიშნული რეგიონული და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს უწევს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძალზედ რთული ამოცანების გადაჭრა, რაც კრიტიკულ მნიშვნელობას სძენს საქართველოს მხრიდან თანამედროვე და ეფექტიანი უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია შეკავების მექანიზმი, რომელიც ემსახურება მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენას, რათა მან ხელი აიღოს სამხედრო აგრესიაზე [6. 155].

მოკლედ ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება შეკავების მექანიზმი. „შეკა-

ვების მიზანია მოწინააღმდეგის შესაძლო სამხედრო აგრესიის თავიდან აცილება ადეკვატურად დაკომპლექტებული, ბრძოლისუნარიანი და გაწვრთნილი შეიარაღებული ძალების განვითარების გზით. ეფექტიანი შეკავება აიძულებს პოტენციურ მოწინააღმდეგეს, უარი თქვას შეიარაღებულ თავდასხმაზე, მიზნის მისაღწევად შეუსაბამო დანაკარგების და სამხედრო ოპერაციის წარუმატებლობის გამო. შეკავება მოითხოვს შეიარაღებული ძალების გამართული რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის არსებობას და, ასევე, ხელისუფლების უნარს, კრიზისის ან ომის დროს, მოახდინოს ეროვნული რესურსების მობილიზება. შეკავება ასევე მოიცავს კონფლიქტების თავიდან აცილებისა და შესაძლო ესკალაციის აღკვეთის მიზნით დიპლომატიის გამოყენებას [7].

ქვეყნისთვის სასარგებლო გეოსტრატეგიული ხაზის და გეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავებისთვის, მნიშვნელოვანია საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის შეცნობა. გარკვევა იმისა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას მოცემული გეოგრაფიული სივრცე, რა პრობლემებს მოუტანს იგი არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ წამყვან სახელმწიფოებს. სწორედ აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია შევიცნოთ როგორც ჩვენი, ასევე შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური სივრცის კანონზომიერებანი.

GIORGI KLIMIASHVILI

INTEGRATION PROCESSES IN THE BLACK SEA REGION AND ITS IMPACT ON THE REGION'S SECURITY

Summary

In order to develop a useful geostrategic line and geopolitical concept for the country, it is important to know the geographical location of one's country. Finding out what challenges the given geographical space is facing, what problems it will bring not only to our country, but also to the leading states. In order to analyze the mentioned issue, it is important to know the regularities of our geopolitical space as well as that of the Black Sea region.

Key words: *diplomacy, integration processes, regional security, European integration, security policy*.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სონღულაშვილი ნ., „ქართულ დასავლური ურთიერთობები, ახალი და უცხოური ისტორიის საკითხები“, 1 (14) თბ., 2014.
2. გოგოლაშვილი კ., „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება“. თბ., 2018.
3. აბაშიძე ზ., „NATO- და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ“. თბ., 2000.
4. გიორგაძე გ., „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების შესაძლებლობები და გამოწვევები შავი ზღვის რეგიონის ახალ გეოპოლიტიკურ განზომილებაში“. თბ., 2023.
5. ძინძიბაძე შ., „NATO -საქართველოს უსაფრთხოების შესაძლებლობა". სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, N43, თბ., 2019.
6. დადიანი ა., „თავდაცვისა და შეკავების ტრადიციული და თანამედროვე მექანიზმები – საქართველოს რეალობა და პერსპექტივა“. თბ., 2022.
7. The North Atlantic Treaty. Washington, DC - April 4, 1949. (2016, August 5). http://old.infocenter.gov.ge/index.php?newsid=1302

გიორგი ხიდირბეგიშვილი
*წარმოადგინა პროფ. **მაია გურამიშვილმა***

კონფლიქტის მოგვარებისა და დარეგულირების ძირითადი მექანიზმები

თითოეული ეთნიკური კონფლიქტი უნიკალურია. ამავდროულად, მათი ბუნება ერთნაირია და ამიტომ არსებობს დასახლების დადასტურებული ფორმები და მეთოდები. რა თქმა უნდა, თითოეულ შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტული ეთნიკური კონფლიქტის სპეციფიკისა და მიზეზების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კონფლიქტის მასშტაბები, მისი წარმოშობის ფორმა, რელიგიური ფაქტორის არსებობა, კონფლიქტში ჩართული ტერიტორიის გეოპოლიტიკური პოზიცია, კონფლიქტის მხარეების უკან არსებული გარე ძალები და ა.შ. შესაძლებლობები.

სწორედ ამ გარემოებებზეა დამოკიდებული კონფლიქტების მოგვარების მეთოდები.

რა უნდა გაკეთდეს, თუ ეთნიკური კონფლიქტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა? როგორ შეიძლება მისი მოგვარება ან დარეგულირება? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა წინამდებარე სტატიის მიზანი.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი. კონფლიქტის მოგვარება, კონფლიქტის დარეგულირება.*

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, განვასხვავოთ კონფლიქტების მოგვარება და მათი დარეგულირება. „კონფლიქტის მოგვარების“ კონცეფციაში აქცენტი კეთდება კონფლიქტის ფესვების შედარებით სრულ აღმოფხვრაზე, როდესაც მხარეთა ინტერესები სხვადასხვა მიზეზის გამო (ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია, გარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ობიექტური ცვლილებები მხარეთა ინტერესებში და ა.შ.) ქრება დაპირისპირების ან შეჯახების მოტივაცია და კონფლიქტი ქრება. „კონფლიქტის მოგვარების“ კონცეფცია ფოკუსირებულია კონფლიქტის მხარეებს შორის ნაწილობრივ, ყველაზე ხშირად დროებით კომპრომისზე, როდესაც მნიშვნელოვანი განსხვავება ობიექტურ ინტერესებში არ გაქრა ან დაძლეული არ არის, მაგრამ შესაძლებელი იყო დროებითი ბალანსის მიღწევა, რომელშიც მხარეთა განსხვავებული ინტერესები არ გადაიქცევა მტრულ ან ძალადობრივ ქმედებებში ერთმანეთის წინააღმდეგ. კონფლიქტის სრულად დარეგულირება (თუ ის მიღწეულია), არსებითად ემთხვევა მის საბოლოო გადაწყვეტას. თუმცა, უფრო ხშირად დერაგულირება ნაწილობრივი, არასრული და დროებითია და კონფლიქტის სრული და საბოლოო მოგვარებისთვის დამატებით ქმედებებს საჭიროებს.

თუ კონფლიქტის დარეგულირება მიიღწევა კონფლიქტის უშუალო მხარეების მიერ პირდაპირი ურთიერთქმედებით სხვა ძალების მონაწილეობის ან ჩარევის გარეშე, საქმე გვაქვს უშუალო (პირდაპირი) მოგვარებასთან. თუ მხარეები თავად ვერ პოულობენ გამოსავალს და სხვა მონაწილეები (პოლიტიკური ძალები, სახელმწიფოები, სახელმწიფოთაშორისი თუ არასახელმწიფო აქტორები) ჩაერთვებიან კონფლიქტის განვითარებაში, ხდება არაპირდაპირი მოწესრიგება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ მესამე ძალის ჩარევა, როგორც კონფლიქტის ამა თუ იმ მხარის მხარდამჭერი, მისი მიზნების მიღწევაში დახმარება, ან ნეიტრალური (შედარებით) ძალის ინტერვენცია, რომელიც ცდილობს სისტემის სტაბილიზაციას, და არა კონფლიქტის რომელიმე მხარის ინტერესების გაცნობიერებას.

პ. ვალენსტეინი თავის პანორამულ ნაშრომში „როგორ გავიგოთ კონფლიქტის გადაწყვეტა“ კონფლიქტის გადაწყვეტას განმარტავს, როგორც „სიტუაციას, როდესაც კონფლიქტის მხარეები მიდიან შეთანხმებაზე, რომელიც წყვეტს მათ ძირითად წინააღმდეგობებს და იღებენ მეორე მხარის არსებობის მოცემულობას მისი ინტერესების გათვალისწინებით და ორივე მხარე წყვეტს ყოველგვარ ძალადობ-

რივ ქმედებას ერთმანეთის მიმართ. ავტორის თქმით, კონფლიქტის „მოგვარება“ ხდება „კონფლიქტის“ შემდეგ“ [1. 8].

კვლევის „კულტურა და კონფლიქტების მოგვარების“ ამერიკელი ავტორი კ. ავრუხი გამოყოფს ორ მიმართულებას: ერთი კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის ქვეშ აერთიანებს მისი შეწყვეტის ან შეზღუდვის ყველა ფორმას - დაწყებული კონფლიქტიდან ერთი ან ყველა მხარის გასვლიდან (სხვადასხვა მიზეზის გამო) და მოლაპარაკებებით, რომელთა შედეგადაც მხარეები თანხმდებიან რესურსების გადანაწილებაზე ან სიტუაციის აღქმის შეცვლაზე და, დამთავრებული მესამე ძალის ჩარევამდე და თუნდაც ერთი მხარის მეორის მიერ სრულ განადგურებამდე. თეორიების მეორე ჯგუფში კი კონფლიქტის მოგვარება უფრო ვიწრო გაგებით მოიაზრება, კერძოდ, როგორც მშვიდობიანი გადაწყვეტა (რომელიც ეწინააღმდეგება ძალადობრივ ან სამხედრო განვითარებას) და კონფლიქტის დასრულებას [2. 25-26].

მედიაცია (კონფლიქტის მოგვარებისას) არის კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთქმედების პროცესის ორგანიზება, რომლის დროსაც მხარეთა პოზიციებისა და ინტერესების შესახებ ინფორმაცია და მოლაპარაკების წინადადებები ერთმანეთს გადაეცემა ნეიტრალური მესამე მხარის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული კონფლიქტში და შერიგებისა და შეთანხმების პროცესში კონფლიქტურ მხარეებს შორის მოტივაციისა და ორგანიზატორის როლს ასრულებს.

მედიაცია შეიძლება იყოს მოლაპარაკების ფორმა, რომელშიც მესამე მხარე, რომელიც არ არის ჩართული კონფლიქტში, ხელმძღვანელობს და მოლაპარაკების პროცესს წარმართავს კომპრომისის ან წინააღმდეგობათა სრული გადაწყვეტის ძიების მიმართულებით.

მ. ლებედევას განმარტებით, „მესამე მხარის“ ცნება არის ფართო და კოლექტიური, ჩვეულებრივ მოიცავს ტერმინებს „შუამავალი“, „მოლაპარაკების პროცესის დამკვირვებელი“ და „არბიტრი“ [3. 62].

„მესამე მხარე“ ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც ნებისმიერი პირი, რომელსაც არ აქვს შუამავლის ან დამკვირვებლის სტატუსი, მაგრამ ეწევა დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტური ურთიერთობების გადაწყვეტისათვის საჭირო საქმიანობას. ზოგადად, როდესაც საქმე ეხება კონფლიქტში (მისი მოგვარების ან მინიმუმ მისი ესკალაციის შეჩერების მიზნით) სხვა ვინმეს (მისი მონაწილეების გარდა) ჩარევას, გამოიყენება „მესამე მხარის“ ზოგადი კონცეფცია.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მესამე მხარე ერევა კონფლიქტში სწორედ მისი მშვიდობიანი მოგვარების მიზნით და არა ერთ-ერთი მონაწილისთვის დახმარების გაწევის მიზნით.

განასხვავებენ რამდენიმე სახის მედიაციას: პირდაპირი და ირიბი, ფორმალური და არაფორმალური, ოფიციალური და არაოფიციალური.

- **პირდაპირი მედიაცია:** ყველა მხარე, მათ შორის შუამავლები, ერთდროულად ესწრება მოლაპარაკებებს, შუამავლები ასრულებენ წამყვან და მოტივირებულ როლს;
- **არაპირდაპირი მედიაცია:** ნეიტრალური მხარე, რომელიც ასრულებს მედიაციის ფუნქციებს, მონაცვლეობით აწარმოებს კონსულტაციებს ან მოლაპარაკებებს თითოეულ კონფლიქტურ მხარესთან;
- **ფორმალური მედიაცია:** მესამე მხარეს აქვს მისთვის მინიჭებული მედიატორის ფორმალური სტატუსი, რომელიც აღიარებულია მოლაპარაკების ყველა მონაწილის მიერ;
- **არაფორმალური მედიაცია:** მედიატორს არ აქვს მისთვის მინიჭებული ოფიციალური სტატუსი. არაფორმალური მედიაცია არ გულისხმობს მედიაციის ყველა ფუნქციის განხორციელებას, არამედ მხოლოდ მათ ნაწილს, მაგალითად, მხოლოდ მოსაზრებების დაზუსტებას;
- **ოფიციალური მედიაცია:** შუამავლის როლში გამოდის გარკვეული პირი (ორგანიზაცია), რომელსაც აქვს სახელმწიფო ძალაუფლება ან საერთაშორისო სტრუქტურების მიერ მინიჭებული უფლებამოსილებები;
- **არაოფიციალური მედიაცია**: შუამავლის ფუნქციის შემსრულებელი პირის ან ორგანიზაციებისათვის არანაირი სავალდებულო უფლებამოსილება არ არსებობს.

თუმცა, კონფლიქტის გარე მონაწილეების ყოველი ჩარევა არ არის შუამავლობა და არც გადაწყვეტას ისახავს მიზნად. ხშირად არის სიტუაციები, როდესაც კონკრეტულ სახელმწიფოს, განსაკუთრებით „დიდ ძალას“, ან სა-

ხელმწიფოთა კოალიციას აქვს საკუთარი ინტერესები კონფლიქტის რეგიონთან მიმართებაში ან საკუთარი პროექტი საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციისთვის. ასეთ შემთხვევაში მათი ქმედებები კონფლიქტთან მიმართებაში (მაგალითად, ერთ-ერთი მხარისთვის იარაღის მიწოდება ან კონფლიქტის ყველა მხარის იძულება, შეწყვიტონ ძალის გამოყენება, როგორც სამოქალაქო ომის „ჩაქრობის" შემთხვევაში) იქნება არა „მიუკერძოებული", არამედ ჩარევა საკუთარი მაკროპოლიტიკური ინტერესების რეალიზებისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში მსოფლიო საზოგადოება ფუნდამენტურად არ არის მზად შუამავლობისა და მშვიდობიანი მოგვარებისთვის და კონფლიქტის მისაღებ გადაწყვეტად ხდება კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის განადგურება აღიარება. მაგალითად, ISIS-თან საერთაშორისო დაპირისპირების შემთხვევაში, სასურველ შედეგად მოიაზრება არა ექსტრემისტულ ერთეულთან „სამშვიდობო ხელშეკრულება", არამედ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მისი სრული განდევნა და განადგურება.

ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკა და ზოგიერთი იდეოლოგიის ხაზი ორიენტირებულია მოწინააღმდეგეების სრულ აღმოფხვრაზე, ჩახშობასა და დამორჩილებაზე. ასეთ შემთხვევებში საუბრობენ შეურიგებელ წინააღმდეგობებზე, ე.ი. წინააღმდეგობები, რომლებიც შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაციით.

ამავდროულად, მსოფლიო თანამეგობრობის ძირითადი ხაზს ძალადობრივ და შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებაში წარმოადგენს კონფლიქტის მხარეების მოტივირება, რათა მათ შეძლონ კომპრომისული მშვიდობიანი გადაწყვეტის პოვნა; ასევე, ცალკეულ შემთხვევებში მსოფლიო თანამეგობრობა ცდილობს „აიძულოს" კონფლიქტის მხარეები, უარი თქვან შეიარაღებული ძალის გამოყენებაზე და მოუწოდებს მშვიდობისაკენ ანდა კონფლიქტის ძალადობრივი სტადიიდან ლატენტურ სტადიაზე გადატანისკენ (კონფლიქტის სრულად მოგვარების შესაძლებლობების არარსებობის პირობებში).

აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოებში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმით დინებას, არის სამშვიდობო საქმიანობა.

რ. აკოფი გამოყოფს კონფლიქტის სამ შესაძლო შედეგს: მოგვარება, დარეგულირება, აღმოფხვრა.

1. **კონფლიქტის მოგვარება** ნიშნავს მხარეთა მიერ ბრძოლის წამომწყებ და ნებისმიერ ფასად საკუთარი ინტერესების რეალიზების მამოტივირებელი პირობების გამოყენებას. კონფლიქტის მოგვარებისაკენ მისწრაფება, როგორც წესი, ამ კონფლიქტს ძლიერებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ დაამარცხებს მეორეს;
2. **დარეგულირება** ნიშნავს მხარეების მიერ ბრძოლის წარმოშობის პირობების მიღებას და კომპრომისის პოვნას, ე.ი. დაპირისპირებული მხარეებისთვის სარგებლისა და ზიანის განაწილებას მათთვის მისაღები ფორმით. მორიგების შეთანხმება ჩვეულებრივ მიიღწევა მაშინ, როდესაც მონაწილეები თვლიან, რომ შემოთავაზებული მოგება-ზარალი შედარებით სამართლიანია;
3. **დაპირისპირების აღმოფხვრა** ნიშნავს მის წარმოშობის პირობების შეცვლას ისე, რომ ის საერთოდ გაქრეს. ეს შეიძლება გაკეთდეს სიტუაციის ან ბრძოლაში მონაწილეთა შემადგენლობის შეცვლით [4. 42].

ბოლო ათწლეულების რიგ კვლევებში, მედიაციასა და მესამე მხარის ინტერვენციასთან ერთად, ჩნდება „კონფლიქტის მართვის" და ზოგჯერ „კონფლიქტის რეგულირების" კონცეფცია.

კვლევის „კონფლიქტების პოლიტიკის მეცნიერება" ავტორი დ.მ. ფელდმანი, კონფლიქტის რეგულირებას განმარტავს, როგორც კონფლიქტის მართვის ერთ-ერთ მეთოდს, რომლის გამოყენება გულისხმობს არა კონფლიქტების შეჩერებას ან აღმოფხვრას, არამედ მათი ინტენსივობის კონტროლს, კონფლიქტის მხარეების ენერგიის გამოვლინებას, მათი ხარჯებისა და დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას [5. 83].

ამავდროულად, „კონფლიქტის მართვის" უფრო ზოგადი კონცეფცია გაგებულია, როგორც მიდგომა, რომელშიც კონფლიქტის პრევენცია, გადაწყვეტა და შეწყვეტა, ისევე როგორც მისი გაღვივება და ესკალაცია, არის კერძო ტაქტიკა, რომელიც წარმოიქმნება უფრო მეტი პრობლემის გადაჭრის პროცესში. ზოგადი ამოცანა - პოლიტიკური ინტერესების რეა-

ლიზება კონფლიქტის გამოყენებით პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მიზნით.

ამავდროულად, „კონფლიქტის მართვის“ უფრო ზოგადი კონცეფცია გაგებულია, როგორც მიდგომა, რომელშიც კონფლიქტის პრევენცია, გადაწყვეტა და შეწყვეტა, ისევე როგორც მისი გაღვივება და ესკალაცია, არის კერძო ტაქტიკა, რომელიც წარმოიქმნება უფრო ზოგადი ამოცანის გადაჭრის პროცესში - კონფლიქტის გამოყენებით საკუთარი პოლიტიკური ინტერესების რეალიზება პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მიზნით.

ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების ტექნოლოგია გულისხმობს ამ მიმართულებით საქმიანობის ალგორითმს. კონფლიქტის მოგვარების სამუშაოების დროს ჯერ უნდა გაანალიზდეს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მისი ბიოგრაფია, კონფლიქტის მხარეები, მხარეთა პოზიციები და დამოკიდებულებები და კონფლიქტისადმი საბოლოო დამოკიდებულება.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ეთნიკური კონფლიქტის ჩაქრობა უფრო ადვილია მის საწყის ეტაპზე, როცა მას ჯერ კიდევ არ აქვს ფართომასშტაბიანი ხასიათი. ფაქტია, რომ ეთნიკური კონფლიქტები, როგორც კი იფეთქებს, მალევე იზრდება. თუ კონფლიქტი გრძელვადიან ფაზაში გადავიდა და გაჭიანურდა, მაშინ მისი მოგვარება რთულდება და ზოგჯერ შეუქცევადი შედეგებიც დგება.

კონფლიქტის შესუსტების ერთ-ერთი მეთოდია კონფლიქტში ჩართული ძალების დაშლა, გარკვეულ ზომათა სისტემის გამოყენებით, რომელიც ახდენს ყველაზე რადიკალურ ელემენტების ან ჯგუფების იზოლირებას და მხარს უჭერს ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან მიდრეკილნი კომპრომისისა და მოლაპარაკებისკენ.

კონფლიქტების შეჩერების ეფექტური საშუალებები მოიცავს სანქციების ფართო სპექტრის - ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ა.შ. - გამოყენებას და ზოგჯერ შეიარაღებული ჩარევაც ხდება საჭირო. ეს ყველაზე ხშირად ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ადამიანის უფლებების მასიურ დარღვევას ხდება კონფლიქტის დროს, რომელმაც ძალადობრივი შეტაკებების ფორმა მიიღო. თუ შეიარაღებული ძალები გამოიყენება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მაშინ საერთაშორისო ორგანიზაციების სანქციის საჭიროება დგება.

ეთნიკურ შეიარაღებულ კონფლიქტებში მნიშვნელოვანია საომარი მოქმედებების შეწყვეტა და მხარეების დაზავება, რაც შესაძლებელს ხდის მეომარი მხარეების აურზაურის გაგრილებას და მოლაპარაკების პირობების შექმნას. ამის შედეგად იცვლება კონფლიქტის ემოციური ფონი, მცირდება ვნებების ინტენსივობა, რაც შესაძლებელს ხდის კონფლიქტის მოგვარების პრაგმატული მიდგომების ეფექტის გაფართოებას. ეს მეთოდი გამოიყენებოდა ყარაბაღის, ოსურ-ინგუშურ, ქართულ-აფხაზურ, დნესტრისპირეთის და სხვა ეთნიკურ კონფლიქტებში.

გარკვეული პირობები და წესები არსებობს მოლაპარაკების პროცესშიც. წარმატების მისაღწევად ის უნდა იყოს პრაგმატიზებული, რაც მოითხოვს მოლაპარაკების საგნის რიგ თანმიმდევრულ ამოცანებად დაყოფას. როგორც წესი, მხარეები შეთანხმებას ახდენენ პრიორიტეტულ და გადაუდებელ საკითხებზე, რომლებზეც მყარდება ზავი: მიცვალებულთა დაკრძალვა, ტყვეების გაცვლა, ლტოლვილების დაბრუნება. შემდეგ გადადიან აქტუალურ ყოველდღიურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე. ყველაზე რთული პოლიტიკური საკითხები განიხილება და წყდება ბოლოს. თუ აშკარაა, რომ მათი გადაჭრა ამჟამად შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება ე.წ. „გადადებული გადაწყვეტილებების“ ტაქტიკა. ეს მიდგომა გამოიყენეს დნესტრისპირეთსა და სამხრეთ ოსეთში.

მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს ისე, რომ თითოეული მხარე ცდილობდეს გაითვალისწინოს არა იმდენად ერთმანეთის პოზიციები, რამდენადაც ორმხრივი ინტერესები. მაშინ შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ პარტნიორისთვისაც დამაკმაყოფილებელი ვარიანტების პოვნა. როგორც კონფლიქტის ექსპერტები გვირჩევენ, აუცილებელია „მოგება-წაგების“ მოდელის შეცვლა „მოგება-მოგებაზე“. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მოლაპარაკების პროცესში ყველა შეთანხმების დოკუმენტირება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკების მხარეებს შორის შეთანხმება იშვიათად მიიღწევა შუამავლების მონაწილეობის გარეშე, რომლებიც, როგორც წესი, ასრულებენ არბიტრაჟის, ინტერესთა ბალანსის გამთანაბრებელ და მშვიდობისმყოფელ როლს. მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ

როგორც მხარეების ოფიციალურ წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე საზოგადოებრივ ძალებს სახალხო დიპლომატიის მეთოდით.

კონფლიქტის მოგვარება ყოველთვის ძალიან რთული პროცესია, რომელიც დიდ უნარს მოითხოვს. განსაკუთრებით რთულია ეთნოტერიტორიული კონფლიქტების მოგვარება. აქ გამოიყენება ალტერნატიული მეთოდი. მისი არსია გადაწყვეტის შემოთავაზებული ვარიანტებიდან არასტანდარტული, არაჩვეულებრივი არჩევანის გამოყენება.

მაგალითად, „ტერიტორიის გაცვლა მშვიდობიანად“ ან ეკონომიკური ტერიტორიული დათმობა სარგებლის სანაცვლოდ, გარკვეული ეთნიკური ჯგუფის უფლებების აღდგენა. ეს მექანიზმი გამოიყენებოდა ბოსნიაში, პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებების დროს. ტერიტორია იცვლება კონფლიქტის მხარეების გამყოფი ახალი სახელმწიფო საზღვრების შედგენის გამო, მაგრამ ზოგჯერ იცვლება მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა გამო. სინამდვილეში, ყველაზე ხშირად ორივე ვარიანტი გაერთიანებულია (ბოსნია და ჰერცეგოვინა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი და ა.შ.).

ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების ყველა მეთოდი სამ ვარიანტამდე შეიძლება დაიყვანება:

პირველ რიგში, ერთი მხარის სრული გამარჯვება მეორეზე, ანუ კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრა ძალის პოზიციიდან. ამ შემთხვევაში დამარცხებულ მხარეს, როგორც წესი, რჩება ეროვნული წყენის განცდა, დამარცხების სიმწარე, რომელიც ახალ თაობებს გადაეცემა და კონფლიქტები შეიძლება შენარჩუნდეს, ღია მდგომარეობიდან ლატენტურში გადავიდეს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ასეთი კონფლიქტი შეიძლება კვლავ გამწვავდეს;

მეორე, არსებობს აქტუალიზებული კონფლიქტის მოგვარების ვარიანტები, როდესაც ხდება კონფლიქტის მხარეთა ურთიერთდამარცხება. ასეთი შედეგი გარდაუვალია, როდესაც ორივე მებრძოლი მხარის ძალა ამოწურულია და არცერთ მათგანს არ აქვს მოპოვებული შესამჩნევი გამარჯვება მეორეზე. ამ შემთხვევაში, კონფლიქტის მოსაგვარებლად მხარეები იძულებულნი არიან მიმართონ შუამავლებს და ეძებონ პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტა, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ დროებით აკმაყოფილებს ორივე მხარეს. ამ მეთოდით კონფლიქტიც პრაქტიკულად ლატენტურ მდგომარეობაში გადადის, რომელშიც მხარეები აგრძელებენ ერთმანეთის მოწინააღმდეგეებად განხილვას. კონფლიქტის მოგვარების ეს ვარიანტი ასევე სავსეა შემდგომი აქტუალიზაციის მაღალი ალბათობით.

და **მესამე,** რა თქმა უნდა, არსებობს კონფლიქტების მოგვარების შესაძლო ვარიანტები მხარეთა ორმხრივი კმაყოფილებით საკვანძო საკითხებზე შეთანხმების მიღწევისა და კონსტრუქციული ურთიერთქმედების დამყარების სახით. ასეთი შედეგი დამოკიდებულია კონფლიქტის მხარეების პოლიტიკურ ნებაზე კონფლიქტის პოზიტიურად გადაწყვეტის თაობაზე. პარალელურად, მუშავდება მათი შემდგომი თანამშრომლობის მექანიზმები მათ წინაშე არსებული საერთო პრობლემების გადასაჭრელად. ხშირად ხდება, რომ შუამავლები ან საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ მიღწეული შეთანხმებების შესრულების გარანტის როლს. ამ ვარიანტებით კონფლიქტი ლატენტურ მდგომარეობაში საკმაოდ დიდი ხნით გადადის.

ეთნიკური კონფლიქტების დაძლევის საშუალებებისა და მეთოდების შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ისეთ ფაქტორს, როგორიცაა კონფლიქტის პრევენცია. ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობის განჭვრეტა ნიშნავს იმას, რომ შეძლოს დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა თავიდან აიცილოს, ლოკალიზდეს ან გადაჭრას რაც შეიძლება სწრაფად, მინიმალური დანაკარგებით.

პოლიტიკურმა კონფლიქტმა, მისი განვითარების პროცესში, შეიძლება შეიძინოს ეთნიკური საფუძველი, თუ მასში ჩაერთვება საზოგადოების არაელიტური ფენები. ამრიგად, კონფლიქტები პოლიტიკურ ელიტებს შორის სხვადასხვა დონეზე (მაგალითად, ცენტრალური და რეგიონალური) შეიძლება წარმოიშვას რესურსების კონფლიქტის სახით.

თუმცა, თუ ისინი იგნორირებულია ან მათი გადაჭრის მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, შესაძლოა, იდენტობის კონფლიქტში გადაიზარდოს. უფრო მეტიც, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება კონფლიქტი, მით უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება მასში, რომლებიც ამ კონფლიქტის მოგვარებას თავიანთი სტატუსის, ღირსების, პრესტიჟისა და ჯგუფური იდენტობის შენარჩუნებას/ამაღლებას უკავშირებენ. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშ-

ნავს, რომ შეუძლებელია კონფლიქტების ტიპების დაპირისპირება სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე.

ამ და სხვა მიზეზების გამო, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ძნელად მოსაგვარებელია, რადგან დგება უაღრესად რთული ამოცანა, რაც როგორც არამატერიალური ინტერესების, ასევე სტატუსის გაზრდის მოთხოვნის, წინაპრების ტერიტორიების დაბრუნების, გაფართოებული ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პოლიტიკური ძალაუფლების მეტი ხელმისაწვდომობის, იშვიათი რესურსების და ა.შ. მიღების გზების პოვნაში მდგომარეობს.

რ.ბრუბეიკერი ამ საკითხზე წერს: „ჩემი აზრით, ეროვნული კონფლიქტები იშვიათად წყდება ან გვარდება. ბევრად უფრო სავარაუდოა, რომ ისინი დროთა განმავლობაში ბუნდოვდებიან, კარგავენ ცენტრალურ პოზიციას და სიკაშკაშეს, როდესაც რიგითი ხალხი და პოლიტიკური ლიდერები მიმართავენ სხვა საზრუნავებს, ან როდესაც იზრდება ახალი თაობა, რომლისთვისაც ძველი ჩხუბი, ძირითადად, გულგრილი. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ როგორ და რატომ ხდება ეს - არა მხოლოდ როგორ და რატომ შეიძლება მოხდეს პოლიტიკის ყოვლისმომცველი და შედარებით მოულოდნელად ნაციონალიზაცია, არამედ როგორ და რატომ შეიძლება ასევე მოულოდნელად და თანაბრად ყოვლისმომცველი დენაციონალიზება“ [6].

GIORGI KHIDIRBEGISHVILI

THE MAIN MECHANISMS OF CONFLICT RESOLUTION AND REGULATION

Summary

Each ethnic conflict is unique. At the same time, their nature is the same, and therefore there are proven forms and methods of settlement. Of course, in each case, it is necessary to take into account the specifics and causes of a specific ethnic conflict. It is important to take into account the scope of the conflict, the form of its origin, the existence of a religious factor, the geopolitical position of the territory involved in the conflict, the external forces behind the parties to the conflict, etc. abilities. Conflict resolution methods depend on these circumstances.

What should be done if ethnic conflict cannot be avoided? How can it be solved or adjusted? The purpose of this article is to answer these questions.

Key words: *conflict. conflict resolution, conflict settlement.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Wallensteen P.* Understanding Conflict Resolution. L.: SAGE Publications, 2012. P. 8.
2. *Avruch K.* Culture and Conflict Resolution. Washington, D.C.: U.S. Institute of Peace Press, 1998. P. 25-26.
3. Никитин А.И. Международные конфликты: вмешательство, миротворчество, урегулирование: Учебник. М.: Издательство «Аспект Пресс», 2017. С. 55-75.
4. *Акофф Р.* Искусство решения проблем. М.: Мир, 2001. С. 42.
5. *Фельдман Д. М.* Политология конфликта. М.: Стратегия, 1998. Гл. 6. С. 83.
6. Брубейкер Р. Мифы и заблуждения в изучении национализма. С. 75.

ნატალია ხულორდავა
წარმოადგინა პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა

კიბერტერორიზმი და კიბერომი, როგორც პოლიტიკური კონფლიქტის თანამედროვე საფრთხე

კიბერტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეებმა ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. საერთაშორისო ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ რეგიონსა და სახელმწიფოს, არამედ მთელ მსოფლიოს. ამგვარი გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო რთულდება, რადგან ტერორისტული ორგანიზაციებიც ფეხს უწყობენ ტექნოლოგიურ განვითარებას - კიბერტერორიზმიც სწორედ ამის შედეგია. საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება ტერორისტული დანაშაულის შინაარსი, ფორმა, დანაშაულის ჩადენის ხერხი და მეთოდები.

აღსანიშნავია ასევე კიბერომი, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტების სულ უფრო გავრცელებული და საშიში მოვლენა ხდება. მსოფლიო მასშტაბით უკვე არსებობს კიბერშეტევების უამრავი ფაქტი, ამათგან ყველაზე საფრთხის შემცველ მოვლენას კიბერომი წარმოადგენს. კიბერომის წარმოების დროს ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე ახდენს შეტევებს, რამაც შეიძლება ქვეყნის პარალიზებაც კი გამოიწვიოს.

საკვანძო სიტყვები: *კიბერსივრცე, კიბერტერორიზმი, კიბერომი, კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები.*

დღეისათვის კიბერსივრცე წარმოადგენს საბრძოლო მოქმედებების მე-5 განზომილებას, სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, კოსმოსურ სფეროებთან ერთად. ეს არის სფერო, სადაც ჩვეულებრივი კანონები და რეგულაციები არ მოქმედებს. შესაბამისად, თავისი არაპროგნოზირებადი ბუნებიდან გამომდინარე, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისათვის [1].

სახელმწიფო საზღვრების არმქონე ეს ვირტუალური სივრცე გვევლინება პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული და კულტურული კონკურენციის მნიშვნელოვან ასპარეზად. არსებითად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების არნახული განვითარების ფონზე კონკურენციის ეს ველი წარმოადგენს ახალი (ვირტუალური) ტიპის პოლიტიკურ სივრცეს, რომელშიაც ეჯახება სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების, სახელმწიფოების და პოლიტიკური ძალის ცენტრების ინტერესები [2].

კიბერსაფრთხეები, ბოლო წლებში, სულ უფრო მნიშვნელოვან საკითხად იქცა პოლიტიკაში. პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში ტექნოლოგიებზე მზარდმა დამოკიდებულებამ, ისინი უფრო დაუცველი გახადა სხვადასხვა სახის კიბერშეტევების მიმართ. კიბერშეტევებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების შეფერხება, რაც თავის მხრივ იწვევს გადაწყვეტილების მიღების შეფერხებასა და კომუნიკაციის დარღვევას, რაც ართულებს პოლიტიკური ორგანიზაციების ეფექტურ ფუნქციონირებას და უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე.

კიბერტერორიზმი

ტერორისტულ დანაშაულს, რომელსაც მე-20 საუკუნის შავ ჭირსაც უწოდებენ, საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. სიტყვა „ტერორი" (terrere) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს - შიშს, საშინელებას, დაშინებას. ისტორიულად ტერორიზმი სხვადასხვა ფორმითა და ხასიათით ვლინდებოდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ეპოქალური მახასიათებლებით. საუკუნეების განმავლობაში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ტერორისტული დანაშაულის შინაარსი, ფორმა, დანაშაულის ჩადენის ხერხი და მეთო-

დები. ტერორისტული დანაშაული გაცდა შიდასახელმწიფოებრივ ჩარჩოებს. არაერთი სახელმწიფო, რომელთათვის სასურველი მიზნის მისაღწევად საყოველთაოდ აღიარებულ ბრძოლის მეთოდებს სათანადო შედეგი არ მოჰქონდა, ტერორისტულ მეთოდებს მიმართავდნენ სურვილის მისაღწევად. შედეგად, მე-20 საუკუნის ბოლოს, ჩნდება ტერორიზმის ახალი მიმდინარეობა, რომელიც „სახელმწიფო ტერორიზმად“ შეფასდა. თანდათან ჩნდება ტერორისტული დანაშაულის ახალი გამოვლინებები, ერთ-ერთ მის ნაირსახეობას წარმოადგენს „კიბერტერორიზმი“ [3].

ტერორიზმის როგორც გაგება, ასევე მეთოდები და ხერხები ევოლუციას განიცდის და დროსთან ერთად სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. მისგან მომდინარე საფრთხეებმა ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ხასიათი შეიძინა, სადაც გარდამტეხი იყო 9/11 ტერაქტების სერია. საერთაშორისო ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ რეგიონსა და სახელმწიფოს, არამედ მთელ მსოფლიოს. ამგვარი გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო რთულდება, რადგან ტერორისტული ორგანიზაციებიც ფეხს უწყობენ ტექნოლოგიურ განვითარებას -კიბერტერორიზმიც სწორედ ამის შედეგია [4].

1980-იან წლებში ბარი კოლინმა (Barry Collin), კალიფორნიის უსაფრთხოებისა და დაზვერვის ინსტიტუტის უფროსმა მკვლევარმა, პირველად შემოიტანა ფრაზა „კიბერ ტერორი“. იმ დროს კოლინმა კიბერ ტერორი განმარტა, როგორც „კიბერნეტიკისა და ტერორიზმის კონვერგენცია“, მას შემდეგ ტერმინი „კიბერტერორიზმი“ ფართოდ გამოიყენება [5]. ხოლო მისი პირველი განმარტება კი, FBI-ს ოფიციალურმა აგენტმა, მარკ პოლიტმა (Mark Pollitt) გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ კიბერტერორიზმი ეს არის სუბნაციონალური, ან ფარული აგენტების მიერ წინასწარ განზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა მშვიდობიანი (არამებრძოლი) სამიზნის წინააღმდეგ, რაც გამოხატულია ინფორმაციაზე, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებზე შეტევასა და მათ განადგურებაში [6].

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სიტყვათა განმარტების ლექსიკონის მიხედვით კიბერტერორიზმი არის საერთაშორისო ჯგუფების ან სპეციალური აგენტების მიერ საინფორმაციო, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებსა და მონაცემებზე დაზიანების, რღვევის ან ბლოკირების მიზნით განხორციელებული წინასწარმომზადებული, არასამხედრო, პოლიტიკურად მოტივირებული დარტყმა [7].

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, კიბერტერორიზმი, ცალკე, როგორც დასჯადი ქმედება პირველად გამოჩნდა 2002 წლის 28 დეკემბრის კანონში, 324[1] მუხლის სახით, რომლის დეფინიციაც ახალი რედაქციით განსაზღვრულია შემდეგნაირად:

კიბერტერორიზმი, ესე იგი კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. ამავე მუხლში ასევე აღნიშნულია კიბერტერორიზმის დამამძიმებელი გარემოება, იმ შემთხვევაში თუ მოხდა ზემოთ აღნიშნული ქმედება, რამაც ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია [8].

ტერმინი - კიბერტერორიზმის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს. ხშირ შემთხვევაში რთულია მკაფიო განსხვავება დაინახო კიბერდანაშაულსა და კიბერტერორიზმს შორის. მიუხედავად ამისა, კიბერტერორიზმი განსხვავდება კიბერსივრცეში მოქმედი სხვა კრიმინალური ფორმებისგან, უპირველეს ყოვლისა, თავისი მიზნებით, რომლებიც საერთოა პოლიტიკური ტერორიზმისთვისაც. კიბერტერორისტი არსებითად განსხვავდება ჰაკერისგან, კომპიუტერის ხულიგანისგან ან კომპიუტერის ქურდისგან, რომელთა ქმედებები მოტივირებულია ფინანსური სარგებლის მიღებით ან ხულიგნობით. კიბერტერორიზმის ძირითადი ტაქტიკა მოიცავს იმის უზრუნველყოფას, რომ კიბერდანაშაულის ამ ფორმას აქვს სახიფათო შედეგები, აქვს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი და ქმნის ატმოსფეროს, რომელიც საფრთხეს უქმნის აქტის განმეორებას კონკრეტული სამიზნის იდენტიფიცირების გარეშე. კიბერტერორიზმი ორიენტირებულია სახელმწიფოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დანგრევის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებაზე ან საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის კატასტროფული შედეგების გამომწვევი სიტუაციის შესაქმნელად [9].

აშშ-ს კიბერტერორიზმის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი, ჯორჯთაუნის პროფესორი დოროთი დენინგი (Dorothy E. Denning) გან-

მარტავდა „ჰაკტივიზმს“, როგორც ინტერნეტში საქმიანობის არალეგიტიმურ ფორმას: ჰაკტივიზმი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მეშვეობით ჰაკერების დარტყმის ობიექტია ვებ გვერდები და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ინტერნეტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა. რაც შეეხება დამანგრეველი ზიანის მიყენებას, ეს უკვე კიბერტერორიზმის ფუნქციაა [10].

2002 წელს პრაღის სამიტზე ნატოს წევრ სახელმწიფოთა ლიდერებმა კიბერტერორიზმი მნიშვნელოვან საფრთხედ აღიარეს და საჭიროდ მიიჩნიეს, შექმნილიყო „ნატოს კიბერ თავდაცვის პროგრამა“. ნატოს მიერ 2008 წლის 14 მაისს, ესტონეთში შეიქმნა კიბერთავდაცვის ცენტრი, რათა გაზრდილიყო ნატოს კიბერთავდაცვითი შესაძლებლობები [11].

უნდა აღინიშნოს რომ, „ნატოს“ მიერ შემუშავდა კიბერტერორიზმის პროგრამა, რომელშიც ჩართულია „ნატოს“ სხვადასხვა ორგანოები: ნატოს საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების სერვისების სააგენტო (NCSA), წარმოდგენილი როგორც „კიბერტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის პირველი ხაზი“, ნატოს INFOSEC ტექნიკური ცენტრი (NITC), რომელიც პასუხისმგებელია კომუნიკაციასა და კომპიუტერულ უსაფრთხოებაზე; ნატოს საინფორმაციო უზრუნველყოფის ოპერაციების ცენტრი (NIAOC), რომელიც პასუხისმგებელია კრიპტოგრაფიული აღჭურვილობის მართვასა და კოორდინაციაზე „ნატოს“ წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევის საპასუხოდ; „ნატოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი (NCIRC), რომლის ამოცანაა ნატოს დაშიფრული საკომუნიკაციო სისტემების დაცვა [12].

ამრიგად, კიბერტერორიზმის პოტენციური საფრთხის შესახებ შეშფოთება საფუძვლიანია. კიბერტერორიზმის ცნების სათავეები 1990-იანი წლების დასაწყისში იღებს სათავეს, როდესაც ინტერნეტის გამოყენების სწრაფი ზრდა შეინიშნება. უკვე 1990 წელს ამერიკაში, მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოაქვეყნა ანგარიში კომპიუტერული საფრთხეების შესახებ, სადაც ნათქვამია: „ჩვენ რისკის ქვეშ ვართ. ამერიკა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული კომპიუტერებზე. ხვალინდელმა ტერორისტმა შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს მსოფლიოს კლავიატურით, ვიდრე ბომბით“ [13].

კიბერტერორიზმთან ბრძოლა არა მხოლოდ უაღრესად პოლიტიზებულ საკითხად იქცა, არამედ ეკონომიურად მომგებიანი სფერო გახდა. მთელი ინდუსტრია გაჩნდა, რომელიც ებრძვის საფრთხეს - კიბერტერორიზმი. ანალიტიკურმა ცენტრებმა წამოიწყეს პროექტები და გამოსცეს ანგარიშები ამ თემაზე, ექსპერტებმა დაადასტურეს კიბერტერორიზმის საფრთხე კონგრესის წინაშე. კერძო კომპანიებმა სასწრაფო წესით განათავსეს უსაფრთხოების კონსულტანტები და შექმნეს პროგრამული უზრუნველყოფა საჯარო და კერძო მიზნების დასაცავად. ასევე 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ ფედერალურმა მთავრობამ მოითხოვა 4,5 მილიარდი დოლარი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისთვის და ასევე თავდასხმის შედეგად პრეზიდენტმა ბუშმა შექმნა კიბერსივრცის უსაფრთხოების ოფისი თეთრ სახლში [13].

ტერორისტებისთვის კიბერტერორიზმი მიმზიდველი ვარიანტია რამდენიმე მიზეზის გამო:

პირველ რიგში, ეს უფრო იაფია, ვიდრე ტრადიციული ტერორისტული მეთოდები. ყველაფერი, რაც ტერორისტს სჭირდება არის პერსონალური კომპიუტერი და ონლაინ კავშირი. ტერორისტებს არ სჭირდებათ იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ყიდვა. ამის ნაცვლად, მათ შეუძლიათ შექმნან და მიაწოდონ კომპიუტერული ვირუსები სატელეფონო ხაზის, კაბელის ან უკაბელო კავშირის საშუალებით [13].

მეორეს მხრივ, კიბერტერორიზმი უფრო ანონიმურია, ვიდრე ტრადიციული ტერორისტული მეთოდები. ტერორისტები იყენებენ ონლაინ მეტსახელებს - „ეკრანის სახელებს“ - ან შედიან ვებსაიტზე, როგორც „სტუმარი“, რაც ართულებს უსაფრთხოების სააგენტოებისა და პოლიციის ძალებისთვის ტერორისტების რეალური ვინაობის დადგენას. ასევე, კიბერსივრცეში არ არის ფიზიკური ბარიერები, როგორიცაა საგუშაგოები ნავიგაციისთვის, არ არის საზღვრების გადაკვეთა და გამშვები პუნქტები 13].

მესამე, სამიზნეების მრავალფეროვნება და რაოდენობა უზარმაზარია. კიბერტერორის შეუძლია სამიზნე მიიტანოს მთავრობების, კერძო პირების და საჯარო დაწესებულებების კომპიუტერული ქსელებზე, კერძო ავიახაზებზე და ა.შ. პოტენციური სამიზნეების დიდი რაოდენობა იძლევა გარანტიას, რომ ტერორისტებს შეუძლიათ იპოვონ მოწყვლადი სამიზნეები [13].

მეოთხე, კიბერტერორიზმი შეიძლება განხორციელდეს დისტანციურად, ეს ფუნქცია

განსაკუთრებით მიმზიდველია ტერორისტებისთვის. კიბერტერორიზმი მოითხოვს ნაკლებ ფიზიკურ მომზადებას, ფსიქოლოგიურ ინვესტიციებს, სიკვდილიანობის რისკს და მოგზაურობას, ვიდრე ტერორიზმის ჩვეულებრივი ფორმები, რაც აადვილებს ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობას [13].

მეხუთე, კიბერტერორიზმს აქვს პოტენციალი გავლენა მოახდინოს ხალხის უფრო დიდ რაოდენობაზე, ვიდრე ტრადიციულ ტერორისტულ მეთოდებს, რაც საბოლოოდ ტერორისტების მიზანია [13].

კიბერომი

კიბერომი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სიტყვის განმარტების მიხედვით, წარმოადგენს კომპიუტერებისა და ინტერნეტის საშუალებით კიბერსივრცეში წარმოებული ბრძოლას. ტერმინ „კიბერომის“ ქვეშ იგულისხმება კომპლექსური ზემოქმედება სახელმწიფო და სამხედრო მართვის კომპიუტერულ და საინფორმაციო სისტემებზე პარალიზების მიზნით, საკუთარი საინფორმაციო სისტემებისა და ინფრასტრუქტურების დაცვით [7].

კიბერომი საერთაშორისო კონფლიქტების სულ უფრო გავრცელებული და საშიში მოვლენა ხდება. ის ფაქტი, რომ კიბერომის მკაფიო წესები არ არსებობს, ნიშნავს იმას, რომ შეიძლება უახლოეს მომავალში ვირტუალური სივრცე უკონტროლო გახდეს. კიბერომის დროს უმეტესწილად მხოლოდ კომპიუტერული სისტემები არ არის საბოლოო სამიზნე, ის მიზნად ისახავს რეალურ სამყაროში ინფრასტრუქტურის მართვას, მაგალითად, აეროპორტების, ელექტროქსელების, ვინაიდან, ასეთი ინფრასტრუქტურა ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ღილაკზე ერთი თითის დაჭერით შეიძლება დახურონ აეროპორტები, მეტროსადგურები ან შეწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება [1].

მსოფლიო მასშტაბით უკვე არსებობს კიბერშეტევების უამრავი ფაქტი, ასევე კიბერჯაშუშობის და სხვადასხვა თაღლითური მანიპულაციური თავდასხმების. ამათგან ყველაზე საფრთხის შემცველ მოვლენას კიბერომი წარმოადგენს. ისტორია და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კიბერომის წარმოების დროს ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე ახდენს შეტევებს, რამაც შეიძლება ქვეყნის პარალიზებაც კი გამოიწვიოს, ზარალი ამ შემთხვევაში ძალიან დიდია. კიბერომი - ეს ის ტერმინია, რომელზეც მსოფლიო მასშტაბით ბევრი ექსპერტი თუ სამხედრო სპეციალისტი დაობს - აღნიშნული ტერმინის 300-ზე მეტი განმარტება არსებობს. კიბერომის ზოგადი განმარტება კი ასეთია: „კიბერომი არის ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანაზე ციფრული შეტევების გამოყენება (კომპიუტერული ვირუსები ან ჰაკერული კიბერშეტევები) კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დაზიანების, ლიკვიდაციისა და განადგურების მიზნით“. კიბერომის წარმოებად ხშირად მიიჩნევენ, როდესაც კიბერტექნოლოგიების საშუალებით ხდება დივერსია, ელექტრონული ჯაშუშობა, ან კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა. არსებობს კრიტერიუმები, რითიც კიბერომის რაობას განსაზღვრავენ - მაგალითად, რა მასშტაბის კიბერშეტევა განხორციელდა, ვინ იყო ობიექტი და რა ზარალის მომტანი აღმოჩნდა აღნიშნული თავდასხმა. აგრესორი სახელმწიფოები, ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ჰაკერებს. მათი ჩართულობის გარეშე კიბერშეტევებისა და კიბერომების წარმოება შეუძლებელია. ჰაკერების გარეშე ასევე შეუძლებელია კიბერუსაფრთხოების განვითარება და კიბერთავდაცვა [14].

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, თუ როგორ უნდა განისაზღვროს „კიბერომი“, როგორც ტერმინი, დღეს ბევრ ქვეყანას, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, ინდოეთს, პაკისტანს, ჩინეთს, ისრაელს, ირანის ისლამურ რესპუბლიკას და ჩრდილოეთ კორეას უკვე გააჩნიათ კიბერ შესაძლებლობები, როგორც შეტევითი, ასევე თავდაცვითი ოპერაციებისთვის[1].

აღსანიშნავია, რომ ჰაკერულ დაჯგუფებებს, კიბერშეტევებს, საინფორმაციო ომებს მრავალი ქვეყნის მიმართულებით აწარმოებს ისეთი აგრესორი ქვეყანა, როგორიც რუსეთია. არსებობს არაერთი ფაქტი, როდესაც რუსეთმა სამხედრო კონვენციურ ომთან ერთად აწარმოა კიბერომი, მაგალითად, 2007 წელს ესტონეთ-

თან, 2008 წელს საქართველოსთან, როდესაც დაიბლოკა სახელმწიფო სტრუქტურების ვებ-გვერდები, საბანკო სისტემები და მედიასაშუალებები მუშაობდნენ შეფერხებით. დაიკარგა უამრავი ინფორმაცია და განადგურდა ინფრასტრუქტურა. რუსეთის მხრიდან 2014 წელს განხორციელდა თავდასხმა უკრაინაზე, როდესაც „ჰიბრიდული ომის“ თითქმის ყველა ელემენტი იქნა გამოყენებული, მათ შორის ყველაზე ინტენსიურად იყო კიბერ და საინფორმაციო თავდასხმები. მძლავრი კიბერშეტევები 2016 წელს განხორციელდა რუსეთის მხრიდან უკრაინის რეგიონულ ელექტრომომარაგების სისტემაზე, რამაც 1.4 მილიონი ადამიანი ელექტრო ენერგიის გარეშე დატოვა. ასევე 2022 წლის თებერველში რუსეთი კიდევ ერთხელ შეიჭრა უკრაინაში და წამოიწყო ფართო მასშტაბიანი ომი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ ომს თან ერთვის ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ელემენტები, მათ შორის საინფორმაციო და დეზინფორმაციული მანიპულაციები, კიბერომი. ზარალის დათვლა ომის პერიოდში რთულია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთს გააჩნია კიბერშესაძლებლობების დიდი ბაზა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, უკრაინის კიბერზარალი ძალიან დიდი იქნება“ [14].

ზემოაღნიშნული კიბერშეტევები გახლდათ კიბერომის ერთ-ერთი პირველი აშკარა ფაქტები უახლეს ისტორიაში 2007 წელს ესტონეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ. ამ შემთხვევამ გამოიწვია გლობალური შიში იმ დამატებითი შესაძლებლობების შესახებ, რაც შეიძლება ახლდეს კიბერშეტევებს. ეს თავდასხმები არ იყო გამიზნული მხოლოდ ხალხის გასაკონტროლებლად, ისინი ასევე ცდილობდნენ ქართული სამხედრო დაზვერვის დოკუმენტაციის მოპარვასა და შეგროვებას. კავკასიური ცენტრის ვერ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ჰაკერული თავდასხმები რუსეთის მხრიდან აგვისტოს ომამდე 1 თვით ადრე დაიწყო. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა ამერიკელი ექსპერტების სამონიტორინგო ჯგუფის შეფასების შემდგომ, რომელიც ასევე გაზეთ „The New York Times”-ში იყო გამოქვეყნებული. ინტერნეტ ტექნიკური ექსპერტების აზრით, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კიბერომს მოჰყვა ფიზიკური ომი [15].

2006-2008 წლებში ესტონეთსა და საქართველოში მიმდინარე კიბერკონფლიქტები კიბერომებად არის შეფასებული. კიბერომები ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია, რომელსაც დიდი სახელმწიფოები პატარა სახელმწიფოების გამოყენებით ან მათ წინააღმდეგ ახორციელებენ [10].

კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე კიბერშეტევის ყველაზე გახმაურებული მაგალითია „Stuxnet” კომპიუტერული ვირუსით თავდასხმა, რომელმაც ირანის ბირთვული პროგრამა შეაჩერა, ვირუსმა ბირთვული მასალის გამოყოფისთვის გამოყენებული ცენტრიფუგები გაანეიტრალა. ამ ინციდენტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია, რადგან „Stuxnet”-ზე ეჭვობდნენ, რომ შეიძლება ადაპტირებული ყოფილიყო „SCADA” სისტემებზე თავდასხმისთვისაც. „SCADA“” სისტემებს იყენებს მრავალი კრიტიკული ინფრასტრუქტურა და საწარმო ინდუსტრია ევროპასა და აშშ-ში [1].

,,Stuxnet’’-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ირანის ბირთვულ პროგრამაზე. ინციდენტმა აჩვენა კიბერშეტევების პოტენციალი ფიზიკური ზიანის მიყენების მიზნით და ხაზი გაუსვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სისტემების მოწყვლადობას. მან ასევე გამოიწვია გლობალური დებატები კიბერ ომის, საერთაშორისო ნორმებისა და შეტევითი კიბერ შესაძლებლობების გამოყენების შესახებ.

დასკვნა. ამ ყველაფრის მიუხედავად უნდა აღინიშნოს რომ დღემდე კიბერტერორიზმის არცერთი რეალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა, რომელსაც ოფიციალურად შერაცხავდნენ კიბერტერორიზმის ფაქტად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ ტერორისტულ ჯგუფებს ან ტერორისტულ ორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეთ განზრახვა, მათ დღემდე არ ჰქონიათ შესაძლებლობა განეხრციელებინათ ნამდვილი დესტრუქციული კიბერშეტევა, რასაც შეიძლება გამოეწვია სიცოცხლის დიდი დანაკარგი ან ინფრასტრუქტურული დაზიანება [13].

ზემოთ აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავს რომ გვაძლევს სიმშვიდის უფლებას. კრიტიკული ინფრასტრუქტურის უმეტესობა ქსელშია კომპიუტერების საშუალებით, კიბერტერორიზმის პოტენციური საფრთხე რა თქმა უნდა, ძალიან საგანგაშოა. ჩვენი საზოგადოებების მზარდმა დამოკიდებულებამ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე შექმნა დაუცველობის ახალი ფორმა, რაც ტერორისტებს აძლევს სამიზნეებთან მიახლოების შანსს, რაც სხვაგვარად სრულიად მიუწვდომელი იქნებოდა, როგორიცაა ეროვნული

თავდაცვის სისტემები და საჰაერო მიმოსვლის კონტროლის სისტემები. რაც უფრო ტექნოლოგიურად განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო დაუცველი ხდება მისი კრიტიკული ინფრასტრუქტურა კიბერშეტევების მიმართ [13].

კიბერელემენტების გამოყენება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად, გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად, თანამედროვე მსოფლიოს რეალობაა. არსებული მონაცემებით, ორმოცამდე სახელმწიფოს უკვე აქვს კიბერშეტევითი პოტენციალი და წარმატებით ავითარებს მას. კიბერელემენტი დღეისათვის უკვე იქცა ყველა ომის, კონფლიქტისა თუ დაპირისპირების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად [16].

NATALIA KHULORDAVA – *GTU, PhD Student*

CYBERSPACE REPRESENTS THE FIFTH DIMENSION OF WARFARE, ALONGSIDE THE LAND, SEA, AIR, AND SPACE FIELDS

Summary

This article aims to explain the concept of cyberterrorism and cyberwar, its historical origins, and provide specific examples of the potential dangers associated with these activities.

In recent decades, cyberterrorism has emerged as a major threat on an international level. It not only poses a risk to specific regions and countries but to the entire world. The fight against this challenge becomes even more complex as terrorist organizations are also advancing in technological development, and cyber terrorism is a direct result of this. With the progress of society, the content, form, manner, and methods of committing this crime keep changing.

It's important to acknowledge the increasing sensitivity and importance of cyber war in international discussions. Cyber-attacks have enormous worldwide examples, the most dangerous of which is a cyber war. During a cyber war, one country attacks the critical infrastructure of another country, which can lead to the paralysis of the targeted country.

Keywords: *Cyberspace, Cyber terrorism, cyber war, Threats in Cyberspace.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზედელაშვილი თ., „კიბერომი - ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე საფრთხე და პოლიტიკური კონფლიქტის ახალი განზომილება“. თბ., 2020.
2. კუპრაშვილი ჰ., „კიბერსივრცე და ტერმინები: კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება“. სტუ-ის შრომები №2 (524), 2022.
3. გახოკიძე ჯ., ლედიაშვილი დ., „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. სამეცნიერო ჟურნალი ერუდიტი. N2. თბ., 2018.
4. სუჯაშვილი დ., „ვიქტიმოლოგიის პრობლემები საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. თბ., 2020.
5. Mohammad Iqbal, Defining Cyberterrorism, 22 J. Marshall J. Computer & Info. L. 397. 2004
6. ნადარეიშვილი ი., ლომსაძე ჯ., „კიბერდანაშაულის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი“. ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“. N15. თბ., 2020.
7. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=249
9. Mikhail P. Sychev. „Cybercrime and cyber terrorism“. National Academies Press. Washington. DC. 2004
https://nap.nationalacademies.org/read/10968/chapter/13#102
10. შენგელია ს., „კიბერდანაშაული - XXI საუკუნის გამოწვევა“. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. 2011.
11. ბერუაშვილი შ.,. „კიბერდანაშაული და კიბერტერორიზმი XXI საუკუნის მთავარი საფრთხე“. თბ., 2019.
12. Bogdanoski M., Petreski D., „Cyber terrorism-global security threat. Internation scientific defence“. Security and peace journal. 2022.
13. Weimann G., „Cyberterrorism-how real is the threat?“, special report., USA institute of peace. https://www.usip.org/sites/default/files/sr119.pdf
14. ზედელაშვილი თ., „კიბერუსაფრთხოების სამხედრო პოლიტიკური განზომილება 21-ე საუკუ-ნეში“. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული. გორი. 2022.
15. Markoff J., „Before the Gunfire. Cyberattacks“. The New York times. 2008 https://www.nytimes.com/2008/08/13/technology/13cyber.html
16. გოცირიძე ა., „რუსეთის კიბერაქტივობები - მზარდი საფრთხე საქართველოსათვის“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018. https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/95-expert-opinion-geo.pdf

ნაშრომის გაფორმებისა და წარდგენის წესი

სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 14 გვერდისა, სტატიას თან უნდა დაერთოს: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ან რუსულ ენებზე (არანაკლებ 100-150 სიტყვა) და საკვანძო სიტყვები.

ტექნიკური პარამეტრები:

1. **გვერდის ფორმატი:** – A4
2. **გვერდის ველი :** – 2 სმ
3. **შრიფტი:** ქართული – sylfean, ზომა – 12,
   რუსული – *Times New Roman,* ზომა 12
   ინგლისური – *Times New Roman,* ზომა 12
4. **ინტერვალი** – 1 (Single)
5. **აბზაცი** – 1 სმ

ტექსტის სტრუქტურა:

- ავტორის სახელი, გვარი
- რეცენზენტის სახელი, გვარი (დოქტორანტის შემთხვევაში)
- ნაშრომის სათაური
- რეზიუმე ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.